ელგუჯა ხინთიბიძე

წყაროთმცოდნეობითი ძიებანი

თბილისი 2021
„ქართველოლოგი“

წინამდებარე წიგნში გაერთიანებულია ერთი ჯგუფი ჩემი სამეცნიერო ნარკვევებისა, რომლებიც ძირითადად მანამდე შეუსწავლილი პირველწყაროების გამოვლენისა და ინტერპრეტირების საფუძველზე ქართველოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა უცნობ ფაქტსა და ახლებურ დასკვნებს წარმოაჩენს. ეს სფეროები უპირატესად საისტორიო და ლიტერატურათმცოდნეობითია, ამასთან ერთად მათ შორისაა საკუთრივ ლინგვისტური და იურისპრუდენციული კვლევებიც. ნარკვევები სტატიების სახით ქვეყნდებოდა ათეული წლების მანძილზე, კერძოდ 1962 წლიდან 2020 წლის ჩათვლით. ვფიქრობ, თითოეული მათგანის გაცნობა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს შესაბამისი პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევარებს. ამასთან ერთად, მინდა იმედი ვიქონიო, რომ ქართველოლოგიური და ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებებით დაინტერესებულ ახალგაზრდა მკვლევარებში ეს ნარკვევები აღძრავს წარმოჩენილი პრობლემატიკის მიმართულებით კვლევების გაგრძელების ინტერესს, იმ ზუსტი მეცნიერული და მეთოდოლოგიური პრინციპულობით, რომლებზეც ვცდილობდი ჩემი ძიებების დამყარებას.

წიგნში თავმოყრილი თითოეული სტატია ქვეყნდება თავდაპირველი პუბლიკაციის სახით, ზოგიერთ შემთხვევაში მცირე სიახლითა და შემოკლებით. ამან ერთი უხერხულობა გამოიწვია: ზოგჯერ სხვადასხვა სტატიაში ერთი და იმავე ფაქტის განმეორება ხდება, რასაც თავი ვერ ავარიდე; მკითხველს მინდა ბოდიში მოვუხადო.

ამ გამოკვლევების წინამდებარე კრებულის სახით თავმოყრასა და გამოსაქვეყნებლად მომზადებაში დიდი დახმარება გამიწიეს ჩემმა კოლეგებმა, თანამშრომლებმა და მოწაფეებმა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ქალბატონი მანანა რუსიეშვილის სამსახური წიგნის ინგლისური რეზიუმეს რედაქტირებაში და ჩემი მოწაფეების – ირინა ჯავახაძის, სოფიო გულიაშვილის და თამარ მელიქიძის ხანგრძლივი გარჯა გამოცემის კომპიუტერული მომსახურებითა და ტექნიკური რედაქტირებით.

შინაარსი

1. ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია

- წინასიტყვა 7
- ქართველთა სახელწოდებების ინტერპრეტაციის ისტორიისათვის 8
- ქართველურ ტომთა სახელწოდებები უცხოური წყაროების მიხედვით 12
- ქართველთა უცხოური სახელწოდებების ურთიერთმიმართებისათვის 21
- ქართველთა თვითსახელწოდების იტერპრეტაციისათვის 34
- ქართველურ ტომთა თვითსახელწოდებების ურთიერთმიმართებისათვის 45
- ტერმინ *იბერიის* ინტერპრეტაციისათვის 50
- მგელი – ქართველურ ტომთა ტოტემი 57
- მეთოდური შენიშვნები 63
- ძირითადი დასკვნები 66

2. დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები

კაპადოკიელ წმინდა მამათა სადაურობისათვის 73

ბასილ დიდის სადაურობისათვის 96

მეთოდოლოგიური შენიშვნები კაპადოკიელთა სადაურობის თაობაზე 141

ბასილ დიდის *ასკეტიკონის* ქართული ვერსიები და მათი მნიშვნელობა უძველესი ბერძნული რედაქციის აღსადგენად 147

ბასილ დიდის მოძღვრება სიყვარულზე და მისი *ასკეტური წესები* 157

3. უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში

იოანე ოქროპირის „ჟამისწირვის" უცნობი ქართული ხელნაწერი ივირონის წიგნთსაცავში 167

მეთერთმეტე საუკუნის უცნობ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმში 180

4. ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი 191

5. ქართველთა ინტელექტუალური მოღვაწეობის ადრინდელი ნაკვალევი წმინდა მიწაზე და XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისის კატასტროფაზე 211

6. რუი გონსალეს დე კლავიხო – XV საუკუნის მოგზაური და საათაბაგოს ქართველები..... 243

7. უცნობი მასალა ესპანეთის არქივებიდან

ძველი ფოლიანტები მოგვითხრობენ 255

ესპანეთის მეფეთა წერილი კონსტანტინე II ბაგრატიონისადმი 265

სიმონ მეფის წერილები ესპანეთში 295

8. ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე 323

9. უცნობი საისტორიო წყარო სპარსეთის სეფიანთა კარზე ქართული კვალის თაობაზე 357

10. შუასაუკუნეების ქართული სამართლის ერთი უცნობი ფორმა 385

11. Summary 423

12. მითითებული ლიტერატურა 435

13. საძიებლები (პირთა სახელები, თხზულებანი) 453

ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია*

წინასიტყვა

წინამდებარე გამოკვლევა მინდა მცირე ბიოგრაფიული ექსკურსით დავიწყო. ჩემი ინტერესი დასმული პრობლემისადმი გამოიკვეთა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, როცა ვმუშაობდი რუსულენოვანი მონოგრაფიის – *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი* – წინასიტყვაობაზე. ინტერესი კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა ამ მონოგრაფიის ინგლისურენოვან ვარიანტს ვამუშავებდი. საქმე ისაა, რომ ევროპელი მკითხველისათვის ახსნას მოითხოვდა ქართველთა ქვეყნის ევროპული სახელწოდება Georgia (ასევე, რუსული Грузия), რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ქვეყნის საკუთრივ ქართული სახელწოდების – *საქართველოს* – შესახებ. შემდგომი ეტაპი ჩემი ინტერესისა ამ პრობლემისადმი გამოიკვეთა მაშინ, როდესაც შევისწავლე ესპანეთში სამეცნიერო მივლინების დროს მოპოვებული საარქივო მასალა. კერძოდ, XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე გავლის დროს ესპანელი ელჩის რუი გონსალეს დე კლავიხოს მიერ შესრულებული დღიურები. კლავიხო თავის მშობლიურ ესპანურ ენაზე საქართველოს *გურგანიის* სახელით მოიხსენიებს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამყარა აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ევროპული და რუსული სახელწოდებები Georgia და Грузия სპარსულ-სირიულ-არაბულ *გურჯ/გურმ/ჯურჯ*-ის საფუძველზე უნდა იყოს წარმოშობილი. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ კავშირს უნდა ამყარებდეს ძველი

* ეს ნარკვევი პირველად მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა, ინგლისურ ვარიანტთან ერთად, 1998 წ. (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

აღმოსავლეთის ისტორიულ გეოგრაფიაში ცნობილი *გურგანის* სახელწოდებასთან.

ქართველთა სახელწოდებების ინტერპრეტაციის ისტორიისათვის

ქართველთა სახელწოდებების ინტერპრეტირებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძველ ბერძნულ წყაროებში შემონახული ქართველთა ერთი უძველესი სახელის *იბერიის* ახსნას ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ცდილობდნენ. იოსებ ფლავიუსი (I საუკუნე) წერდა, რომ ბიბლიური იაფეტის შვილის თუბალისაგან თობალები წარმოიშვნენ, რომლებსაც ახლა იბერებს უწოდებენო. ქართულ სინამდვილეში ინტერესი ქართველთა ძველი სახელწოდებების ახსნისადმი ჩანს XVIII საუკუნიდან. ეს ინტერესი რამდენიმე საკმაოდ გულუბრყვილო ეტიმოლოგიად ჩამოყალიბდა:[1]

ივერია შედგება სიხარულის გამომხატველი შორისდებულის *ი*ი და ქართული სიტყვისაგან *ვერიე* (მოვერიე). როდესაც მეფე ადერკიმ დაამარცხა და მოკლა მეფე არშაკ, სიხარულით შესძახა *ი*ი, *ვერიე!* აქედან დაემკვიდრა ქართლს სახელი *იბერია;*

ივერი იმერის საფუძველზე მიღებული სახელია და იგი ბერძნებმა შეარქვეს საქართველოს;

ივერია სომხური ენის საფუძველზე შეიძლება აიხსნას, როგორც ზემოთ მდებარე, ანუ ჩრდილოეთის ქვეყანა, რამდენადაც სომხურად *ვერ* ნიშნავს *ზედ*, (*ზემოთ*). ამის პარალე-

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბ. 1973, გვ. 39. П. Иосселиани, *Различныя наименования грузинов.* Тиф. 1846, стр. 23-25. Brosset, M., *Histoire de la Géorgie,* t. I, 1849, p. 15-16. შდრ: Toumanoff, C., *Studies in Christian Caucasian History.* Georgetown University Press, 1963. p. 59, 62.

ლურად არმენიის ქართულ სახელწოდებას *სომხეთი* თვლიან ნაწარმოებად ქართული სიტყვისაგან *სამხრეთი* (სამხრეთის ქვეყანა);

ივერი მოდის ებრაული სიტყვისაგან *iberi*, ნიშნავს *გადავიდა, გადასული* და მიუთითებს იმ ტომს, რომელიც გადავიდა ბაბილონიდან სპარსეთში და შემდეგ ევროპაში;

ივერია შეიძლება მოდიოდეს გეოგრაფიული სახელებისაგან, კერძოდ: მდ. იორი და მდ. ვერე.

ქართველთა ძველი სახელწოდებების მეცნიერული ინტერპრეტირება XIX საუკუნის დასასრულიდან იწყება და იგი თავდაპირველად ი. მარკვარტის ნაშრომში ჩანს.[1] აქ დასახული პრობლემატიკის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია და კვლევის არეალის გაფართოება შეინიშნება ნიკო მარის,[2] ივ. ჯავახიშვილის,[3] ი. ყიფშიძის,[4] ლ. მელიქსეთ-ბეგის,[5] იუსტ. აბულაძის,[6]

---

[1] Marquart, J., "Beiträge zur Geschichte und Sage von Eran": *ZDMG*, 49, 1895, S.632-633, 666; Marquart, J., *Eranschahr, nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci*. Berlin. 1901.

[2] Марр, Н., *«Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием»: Записки Вост. Отдел. ...*, XVI, вып. 2-3 ст. 166, 169, 196.

[3] ჯავახიშვილი, ი., „ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები – სამშობლო და უძველესი ბინადრობა": *ქართველი ერის ისტორია*, I, თბ. 1960, გვ. 402-404 (პირველად გამოქვეყნდა *ქართველი ერის ისტორიის* მეორე გამოცემაში, 1913).

[4] Кипшидзе, И., *Граматика мингрелского (иверского) языка*. С. Пет. 1914, Кипшидзе, ст. XIII-XIV.

[5] Меликсетбеков, Л., «Новый взгляд на происхождение названия *Иверия*». *Изв. Кавк. Отдела Рус. географического Общ.*, т. XXIV, №1, Тиф. 1916, ст. 36-40; Меликсетбеков, Л., *Родство грузин с испанцами по древним источникам*. Тиф. 1911; Меликсетбеков, Л., *Введение в историю государственных образований Юго-Кавказа*. Тиф. 1924, ст. 75.

[6] აბულაძე, იუსტ., „ტერმინ *გურჯის* ეტიმოლოგიისათვის": *მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის* (აკად. ნ. მარისადმი მიძღვნილი კრებული). თბ. 1934, გვ. 293-300.

ს.ჯანაშიას,[1] ვ. მინორსკის,[2] გ. დეეტერსის[3] შრომებში. თავდაპირველად ყურადღება გამახვილდა უძველეს სომხურ წყაროებში დაცულ აღმოსავლეთ საქართველოს სახელებზე veria და virk, რომელსაც პარალელი მოეძებნა უძველეს ბერძნულ წყაროებშიც ჰეროდოტეს Ὑρκάνιοι-ს სახით (*ისტორია*, III, 117; VIII, 62 და სხვ.). ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ასეთი თვალსაზრისი: ქართველთა სომხური სახელწოდება *ვირქ* უნდა მომდინარეობდეს ქართული *იმერეთი*-საგან. თავის მხრივ *ვირქ*-ისაგან არის ნაწარმოები ბერძნული *ჰირკანიოი* (ნ. მარი სომხურ *ვირქს* თვლიდა ბერძნულიდან მომდინარედ) და ძველი სპარსული vr.kān. იმავე *ვირ-ქ* ფუძისგან მივიღეთ საშუალო სპარსული waruč. ამავე ფორმებიდან არის ნაწარმოები სპარსული Gurğ და Gurgān, სირიული Gurzān და არაბული Ǧurzān (ი. მარკვარტი).[4] ეს თვალსაზრისი ფიგურირებს ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის და ი. ყიფშიძის შრომებში. ი. ჯავახიშვილის *ქართველი ერის ისტორიაში* მან ასეთი სახე მიიღო: ბიბლიური *თობელიდან* მომდინარეობს ეთნონიმი *იბერი* და აქედანაა მიღებული *ივერი* და *იმერი*. ხოლო *იმერიდან* სომხური *ვირქ*. სომხური *ვირქ*-იდან მომდინარეობს ძველი სპარსული *ვრკან*, ახალი სპარსული *გურჯ* და არაბული *ჯურზ*.

---

[1] ჯანაშია, ს., „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი": *ენიმკის მოამბე*, ტ. I, თბ. 1937, გვ. 185-241.

[2] Minorsky, V., „Transcaucasica": *Journal Asiatique*, t. CCXVII, Juillet-Septembre, 1930, p. 72.

[3] Deeters, G., „Der Name der Kaukasischen Iberer": *MNHMIIZ, XAPIN*, Wiesbaden-Wien 1956, I, s. 85-88.

[4] შედარებით უფრო ახალი დროის ერთ გამოკვლევაში ეს თვალსაზრისი თავისებურად განვითარდა: ძალაში დარჩა აზრი საქართველოს სპარსული და ბერძნული სახელწოდებების სომხური *ვირქ*-იდან მომდინარეობაზე და მივიწყებულ იქნა ამ უკანასკნელის ქართულ *იბერ*-თან კავშირი. სომხური *vir* დაუკავშირდა ოსურ *ir*-ს და ამ სახელის სომეხთა მიერ ქართლის სახელწოდებად გადმოტანის ვარაუდი გამოითქვა (Bielmeier, R., "Zum Namen der Kaukasischen Iberer": *Bibliotheca Nubica, B. I. Nubia et Oriens Christianus*. 1987, s.103-104).

იბერ ფუძისგან (ჰიბერისაგან) *იმერ*-ის გარდა ნაწარმოებია აგრეთვე *ეგრისი* და *გურია*. ლ. მელიქსეთ-ბეგი საქართველოს სახელწოდებათა ამ რიგს აფართოებს და ახალ სპარსულ *გურჯან* და სირიულ *გურზან*-იდან ნაწარმოებად თვლის რუსულ *გრუზიას*. ევროპული Georgia-ს დაკავშირება საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ სახელწოდებათა ჯგუფთან არაბული Ğurğ-ის გზით ივარაუდეს ნ. მარმა და ს. ჯანაშიამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროპული *გეორგიის*, ასევე რუსული *გრუზიის* აღმოსავლური *ჯურჯისტანიდან* მომდინარეობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ პ. იოსელიანი.[1] იუსტინე აბულაძემ შეცვალა საქართველოს უძველეს სახელწოდებათა წარმომავლობის მიმართულება. მისი აზრით, ამოსავალი საქართველოს უცხოურ სახელწოდებათა რიგისათვის არის ძველი სპარსული *ვრკან*. მისგან მომდინარეობს ბერძნული *ჰირკანიოი*, სომხური *ვირქ*, სირიული *გურზ*, *გურზან*.

ინტერესი ქართველთა უძველესი სახელწოდებების კვლევისადმი არ შეწყვეტილა. 1963 წელს ამ საკითხს უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა გიორგი წერეთელმა: *საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიიდან*, რომლისგანაც მნიშვნელოვნადაა დავალებული ჩვენი წინამდებარე ნაშრომი. გ. წერეთლის ნარკვევი პირველად გამოქვეყნდა 1993 წელს კრებულში: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, რომელიც ამ პრობლემის ირგვლივ ბევრ მნიშვნელოვან სტატიას აერთიანებს და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ახალ დონეს ქმნის.

ქართველთა უძველესი სახელწოდებების კვლევა ბუნებრივია უნდა დავიწყოთ უძველეს წერილობით წყაროებში ქართველთა სახელწოდებების ფიქსირებით. რას უწოდებენ ამ ხანგრძ-

[1] Иосселиани, П., *Различныя наименования грузинов*. Тиф. 1846, ст. 28.

ლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს მეზობელი ხალხები და რას უწოდებს ქართველი ხალხი თავის თავს?

ქართველურ ტომთა სახელწოდებები უცხოური წყაროების მიხედვით

როდესაც უცხოურ წყაროებში საქართველოსა და ქართველთა სახელწოდებებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ დღეისათვის სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი საქართველოს უძველესი მოსახლეობისა და ქართველური ტომების განსახლებაზე. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ებრაული, ასურული, ურარტული და ბერძნული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში მცირე აზიაში შავი ზღვის სამხრეთით ჩნდება ქართველური მოდგმის ტომების *მუშქებისა* და *თობალების* დიდი გაერთიანება *დიაოხი,* ხოლო მისგან ჩრდილოეთით – *კოლხა.* უფრო მოგვიანებით შავი ზღვის აღმოსავლეთით წყაროები უჩვენებენ ქართველი ტომების *ხალდების* თუ *ხალიბების* გაერთიანებას – *ხალიტუს.* შემდეგ – მდ. ჭოროხის სათავეებში *სასპერების* დიდ გაერთიანებას. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის შუა საუკუნეებისათვის ეს პოლიტიკური გაერთიანებები უკვე აღარ არსებობენ, მაგრამ მათში შემავალი ხალხები ისევ ცხოვრობენ შავი ზღვისპირეთის ზოლზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთაღმოსავლეთ სანაპიროზე ქართველური ტომების და მათი მეზობელი სხვა ხალხების მიწა-წყალზე შეიქმნა *პონტოს* ელინისტური სამეფო, რომელიც, როგორც პოლიტიკური ერთეული, გაუქმდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შუა წლებში.

იგი შევიდა რომის იმპერიაში პონტოს დიოცეზის სახელწოდებით და ამით ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომებიც რომის და შემდგომში ბიზანტიის გამგებლობაში მოექცნენ. როგორც ბერძნული წყაროები მოწმობენ, ყოფილი პონტოს ტერიტორიაზე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მოსახლეობენ ქართველური ტომები: *ხალიბები, ტიბერენები, მოსინიკები, მაკრონები, კოლხები, სანები, ლაზები.* მათგან ჩრდილოეთით *ჰენიოხები* და *სანიგები.* აღმოსავლეთით კი სხვა ქართველური ტომები: *სასპერები, ტაოხები, მოსხები* და უფრო მოშორებით, *იბერები.*

დასახელებულ ქართველურ ტომთა და ქართველურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა სახელწოდებათაგან ზოგიერთი მათგანი უცხოურ წყაროებში ძალზე პოპულარულია და ისტორიის საკმაოდ ვრცელ პერიოდში ქართველური სამყაროს ზოგად სახელადაც კი გვევლინება. პირველ რიგში ასეთი სახელია ასურული და ურარტული წარწერების *კულხა (კოლხა),* რომელსაც ბერძნული წყაროების *კოლხის (კოლხები)* შეესატყვისება. ძნელია ლეგენდარული კოლხეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ ჩარჩოებში ზუსტი ლოკალიზება. ეს ის ქვეყანაა, რომლის ძველ დიდებაზე ასე მიმზიდველად მოგვითხრობს ბერძნული მითი არგონავტებზე. რეალურად არსებული კოლხეთის სახელმწიფო *კოლხა* დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო. უფრო მეტიც, იმასაც ვარაუდობენ, რომ კოლხეთის (Κολχική) ქვეყანაში ბერძნები შესაძლებელია მთელ ქართველურ სამყაროს, ესე იგი დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოსაც გულისხმობდნენ. კოლხეთის დედაქალაქად წყაროები დღევანდელ ქუთაისს მიუთითებენ, რომელიც ბერძნულ წყაროებში *კვტაიის* (Κυταίις) სახელით მოიხსენიება.[1]

---

[1] ურუშაძე, ა., *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში.* თბ.1964, გვ. 6.

შემდეგი სახელი, რომელიც ქართველური სამყაროს, ქართული სახელმწიფოს სახელად გვხვდება უცხოურ, უპირატესად ბერძნულ და ლათინურ წყაროებში, არის *იბერია*. იბერიაზე ცნობებს იძლევიან სტრაბონი (I ძვ. წ. – I ახ. წ.), იოსებ ფლავიუსი (I ს.), პლუტარქე (I-II ს.ს.), აპიანე (II ს.), დიონისე პერიეგეტე (IIს.), ევსები კესარიელი (III-IV ს.ს.), ეპიფანე კვიპრელი (IV ს.), თემისტიოსი (IV ს.), ამიანე მარცელინუსი (IV ს.), გელასი კესარიელი (IVს.), რუფინუსი (IV-V ს.ს.), თეოდორიტე კვიპრელი (Vს.), სოკრატე სქოლასტიკოსი (Vს.), ერემია სოზომენე (Vს.) და სხვები.[1]

სახელი *იბერია* არის ის სახელწოდება, რომელიც ჩათვლილია ეთნონიმ *ქართველის* უცხოურ შესატყვისად ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებში. რამდენიმე მაგალითი: რომის პაპის, გრიგოლ დიდის *დიალოღონის* ქართულ თარგმანში *იბერს* (რომელიც ტექსტის მიხედვით პირენეს იბერიის მკვიდრს ნიშნავს) შეესატყვისება *ქართველი.*[2] ბასილი კაპადოკიელის *ჰექსემერონის* ძველ ქართულ ვერსიებში ბერძნული ტექსტის *იბერიის* ექვივალენტია *ქართველნი დასავლეთისანი.*[3] *იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში*, რომელიც XI საუკუნეშია დაწერილი გიორგი ათონელის მიერ, ესპანეთის იბერები მოხსენიებულნი არიან როგორც ქართველნი, უფრო მეტიც, ქართველთა ნათესავებად არიან მიჩნეულნი: იოანე ათონელმა გადაწყვიტა თავისი შვილითა და რამდენიმე მოწაფით ესპანეთში გადასახ-

---

[1] *გეორგიკა*, I, (ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბ. 1961; *Lexique de Géographie Ancienne,* par Maurice Besnier. Paris 1914, p. 380.

[2] კეკელიძე, კ., „IV ს. საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე": *ეტიუდები*, VI. თბ. 1960, გვ. 12-13.

[3] სირაძე, რ., *წერილები*. თბ. 1980, გვ. 7-8.

ლებულიყო, „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერი მკუიდრ არიან მუნ“[1].

ქართულ-ბერძნული წყაროების შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ბერძნულ ენაზე ეთნონიმ *იბერს* ქართულენოვანი *ქართველ* ეთნონიმის მონაცვლედ იყენებენ. ჩვენამდე მოღწეულია 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაწერილი *პეტრიწონის მონასტრის წესდება*. იგი თავიდანვე ორ ენაზეა დაწერილი – ქართულად და ბერძნულად. *წესდების* შესავალში გრიგოლი ლაპარაკობს თავის თავზე. მიუთითებს, რომ იგი წარმოშობით არის აღმოსავლეთიდან, ქართველი. ქართულ ენაზე დაწერილ წესდებაში გრიგოლის ეროვნების აღსანიშნავად გამოიყენება ეთნონიმი *ქართველი*, ბერძნულ ენაზე დაწერილში კი – ეთნონიმი *იბერი*.[2]

იბერიის სახელით ბერძნები უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს მოიხსენიებენ. დასავლეთ საქართველოში კი ძველი კოლხეთის დაცემის შემდეგ ბერძნები უპირატესად ცალკეულ ქართველურ ტომებზე მიუთითებენ. მაგრამ თანდათანობით, იმის მიხედვით თუ რომელი ტომი დაწინაურდებოდა, მთელ ამ მხარეს მისი სახელით მოიხსენიებდნენ. კერძოდ: ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ბერძნები ამ მხარეს ხან *კოლხთა* ქვეყანას უწოდებენ, ხან *ჭანეთს*, ხან *ლაზეთს* (*ლაზიკე*). ასე იყო VII საუკუნემდე. შემდგომში, უპირატესად VII-VIII საუკუნეებიდან, დასავლეთ საქართველოში აბაზგთა ტომი დაწინაურდა და ბერძნებიც თანდათანობით მთელ დასავლეთ საქართველოს ამ ტომის სახელით იცნობენ. აბაზგები ბერძნულ წყაროებში

---

[1] აბულაძე, ი., *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II. თბ. 1967, გვ. 54.

[2] შანიძე, ა., *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*. თბ. 1971, გვ. 61; *გეორგიკა*, V (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბ. 1963, გვ. 9.

ქართველურ ტომთა გვერდით იხსენიებიან I-II საუკუნეებიდან (პლინიუს უფროსი, არიანე ფლავიუსი). VI საუკუნის დასასრულისთვის ლაზთა სამეფოსაგან ამ უკანასკნელის დასუსტების გამო გამოიყო აბაზგთა სამეფო.[1] VIII საუკუნის 80-იან წლებში აბაზგთა და ლაზთა სამეფოები გაერთიანდა და *აფხაზეთის* (*აბაზგიის*) სამეფოს სახელით უშუალოდ ბიზანტიას დაექვემდებარა. აქედან დაწყებული ბერძნულ წყაროებში მთელი დასავლეთ საქართველო *აბაზგიის* სახელით იხსენიება, ქართულ წყაროებში კი – *აფხაზეთის* სახელით. XI საუკუნიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად სახელი *აფხაზი* ქართველ მეფეთა ტიტულატურაში შევიდა (მეფე „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა...“) და ამდენად სახელი *აფხაზი* ზოგ შემთხვევაში საზოგადოდ ქართველთა ეთნოსზე მიუთითებდა და *აფხაზეთი* ქართველთა ქვეყნის სახელწოდებად გამოიყენებოდა. ამგვარი მნიშვნელობით ტერმინი *აფხაზი* სხვებზე უფრო ადრე ბერძნულ წყაროებში დასტურდება. ასე მაგალითად: XI საუკუნის შუა წლებში ბერძნულიდან ლათინურად ითარგმნა *ვარლაამ და იოასაფის* რომანი. ლათინელი მთარგმნელი შესავალში მიუთითებს, რომ ეს თხზულება ბერძნულად თარგმნილი იყო ეფთვიმე ბერის მიერ, რომელიც ტომით აბაზგი იყოო. XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბიზანტიელი ფილოსოფოსი იოანე იტალოსი წერილს წერს მის ქართველ მოწაფეს (ვარაუდობენ, შემდგომში ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს, იოანე პეტრიწს) და მას უწოდებს *აბაზგ* გრამატიკოსს. ასე რომ, XI საუკუნის ბერძნული წყაროები ქართველი მწერლების ეფთვიმე მთაწმიდელისა და იოანე პეტრიწის ეროვნების აღსანიშნავად იყენებენ ეთნონიმს *აბაზგი*. მას შემდეგ, რაც ქართველ მეფეთა ტიტულატურის სათავეში *აფხაზთა* სახელი დამკვიდრდა, სპარსულ წყაროებშიც საქართველოს

[1] ლორთქიფანიძე, მ., *აფხაზები და აფხაზეთი*. თბ. 1990, გვ. 9.

სახელად *აფხაზეთი* ჩაენაცვლა ტრადიციულ *გორჯესთანს*. თვით მონღოლთა შემოსევის წინარე პერიოდში სპარსული წყაროები საქართველოს *აფხაზეთს* უწოდებენ, მაგრამ მის მოსახლეობას ისევ გორჯების სახელით მოიხსენიებენ.[1] XII საუკუნის შირვანის სამეფოს აზერბაიჯანელი პოეტი ხაკანი, რომელიც დაახლოებული იყო თამარ მეფის ქართულ სამეფო კართან, სპარსულ ენაზე დაწერილ ერთ ლექსში წერს: ისე შემიყვარდა ერთი ლამაზი ქალი, დავსახლდი აფხაზეთში და ავლაპარაკდი ქართულადო.

ქართველ მეფეთა ტიტულატურის აფხაზთა დასახელების დაწყებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ *აფხაზ* ძირიდან არის ნაწარმოები ქართველთა აღმნიშვნელი ერთ-ერთი სახელი XIV-XVI საუკუნეების რუსულ საისტორიო წყაროებშიც. კერძოდ, რუსული მატიანეები, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულია XIV-XVI საუკუნეების ხელნაწერებით, საქართველოსა და ქართველების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს: *კოლხის, კოლხ, ივერ, ივერსკაია ზემლია, ობეზ, ობეზი, გურზი*. მიჩნეულია, რომ რუსული ტერმინი *ობეზ* ეტიმოლოგიურად უკავშირდება *აბაზგ, აფხაზ* სახელწოდებას.[2]

ლათინურენოვან სამყაროში საქართველოს სახელად თანდათანობით ტერმინ *იბერიის* ნაცვლად მკვიდრდება ტერმინი *გეორგია*, რომელიც გადმოდის თანამედროვე ევროპულ ენებში, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ვარიაციით (*ჯორჯია, ჟეორჟია, ხეორხია, გეორგია*). საკმარისია გავიხსენოთ რომის პაპების, ონორე III-ისა და გრიგოლ IX-ის წერილები საქართველოს დე-

---

[1] ტაბატაძე, კ., „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XI ს.ს. სპარსული წყაროების მიხედვით“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1994, გვ. 222.

[2] პაიჭაძე, გ., „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. გვ. 286.

დოფლისა და მეფისადმი (XIII ს., იტალია),[1] როჯერ ბეკონისეული აღწერა მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებისა (XIIIს., ინგლისი),[2] სებასტოპოლის ეპისკოპოსის პეტრეს მიერ ინგლისში გაგზავნილი წერილი (XIV ს., ინგლისი)[3], კასტილიისა და არაგონის გაერთიანებული სამეფოს მეფისა და დედოფლის ფერნანდესისა და ელისაბედის წერილი ქართველთა მეფის კონსტანტინესადმი (XV ს., ესპანეთი).[4] *გეორგ* ფუძისაგან ნაწარმოები საქართველოს სახელწოდება გვხვდება არა მარტო ევროპის, არამედ აზიის ხალხების ენებშიც. კერძოდ: იაპონიაში და კამპუჩიაში,[5] ინდოეთში,[6] ისრაელში.[7]

---

[1] ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*. თბ. 1984, გვ. 180, 184, 244, 252.

[2] კუტალია, გ., „XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ": *მაცნე* (ისტორიის სერია), 1981, №2, გვ. 92.

[3] Telfer, J. B., *The Crimea and Transcaucasia, vol. II.* London 1876, pp. 268-269. კიკნაძე, ვ., „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან": *მნათობი*, 1982, №9, გვ.156-160.

[4] ხინთიბიძე, ე., „ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ": *ცისკარი*, 1986, №3, გვ. 148.
ფართოა სპექტრი იმ სახელებისა, რომლებითაც შუა საუკუნეებში მოიხსენიებენ საქართველოსა და ქართველებს წმინდა მიწის მომხილველი ევროპელი პილი-გრიმები: *Iberians, Lazes, Gogarenes, Jorjans, Cursy, Avignia, ქალთა ქვეყანა (Lord of Feminic), Jorsy, Jorsites, Georgittes, Georgiani, Jorgani, Gorgi, ჯორიანისანი ("of the Jorian"), Kurgy, Corsy, იოანეს ქვეყნის ქრისტიანები, სარტყლის ქრისტიანები, ("The Christians of the Cincture"), Corsses, Kerches, Kirchens, Gorgotas, Gorziani, Jordiani, გრიგორიანები, грузины* (იხ. გრიგოლ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრის შესახებ*. თბ. 1995, გვ. 72).

[5] პაიჭაძე, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 291-292.

[6] კენჭოშვილი, ნ., „ტერმინ *საქართველოს* გაგებისათვის ინდოეთში": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, გვ. 335.

[7] წერეთელი, კ., „ქართველისა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები არაბულსა და ებრაულში": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, გვ.149.

საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად ძველ რუსულ სამყაროში *კოლხის, ივერის* და *ობეზის* პარალელურად დამკვიდრდა *გურზი*: იგი რუსულ მატიანეებში XIV საუკუნებში უკვე არსებობს. ამ უკანასკნელის ტრანსფორმირებული ფორმაა *გრუზინ* და *გრუზია*, რომელიც საქართველოს ერთადერთ სახელწოდებად იქცა თანამედროვე რუსულში და მისი გავლენით შევიდა არა მხოლოდ საზოგადოდ სლავურ სამყაროში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მაგალითად: იაპონიაში, ვიეტნამსა და ლაოსში,[1] თანამედროვე ებრაულ ენაში,[2] და თვით ქართველთა მეზობელ ხალხებში – ჩერქეზებსა[3] და აფხაზებში.[4]

როგორც ირკვევა, ძალზე მნიშვნელოვანი როლი საქართველოს უცხოურ სახელწოდებათა ჩამოყალიბებაში შეუსრულებია სპარსულ-არაბულ და, საზოგადოდ, ახლო აღმოსავლეთის სამყაროს. X-XV საუკუნეების სპარსულ წყაროებში ქართველთა ტრადიციულ სახელად გვხვდება *გურჯი, გორჯი* ან *გორზი*.[5] ხალიფატის მიერ დაპყრობილ ქართლს IX საუკუნის არაბული წყაროები *ჯურზან*-ს ან *ჯურჯან*-ს უწოდებენ, ამავე პერიოდის სირიული წყაროები კი იმავე ქართლს *გურზან*-ის სახელით იცნობენ.[6] XI საუკუნის არაბულ წყაროებში საქართველოს და ქართველის აღმნიშვნელად გვხვდება *ქურჯისთანი* და *ქურჯი*.[7]

---

[1] პაიჭაძე, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 291-92.

[2] წერეთელი, კ., დასახ. ნაშრომი, გვ.148.

[3] შენგელია, ვ., ჯანაშია, რ., *„ქართველის* სახელწოდებისათვის ჩერქეზულ და უბიხურ ენებში": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, გვ. 320.

[4] გვანცელაძე, თ., „ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და აბა-ზურ ენებში": *საქართველოს და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 315.

[5] ტაბატაძე, კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 210-215.

[6] ჯაფარიძე, გ., „ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები": *საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 121-126.

[7] იქვე, გვ.132-33.

სპარსულ-არაბულ ტრადიციას აგრძელებს ოსმალური წყაროებიც, სადაც *ქართველი* და *საქართველო გურჯად* და *გურჯისთანად* იწოდება.[1] ქართველთა სპარსულ-არაბული სახელწოდებანი ფართო გავრცელებას პოულობს დღევანდელი მსოფლიოს ქვეყნებსა და ცალკეულ ენებში. მაგალითად: ინდოეთში,[2] ჩინეთში,[3] ოსურში,[4] ნახურ-დაღესტნურში.[5]

ერთგვარად ცალკე ჯგუფს ქმნის საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია სომხურ ენაში – *ვერია* (veria), *ვრაც* (vrac), *ვირქ* (virk), *ვრაცი* (vraci).[6]

ჩატარებული მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ შემდეგი:

ა) საქართველო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაგვარად იწოდებოდა იმის მიხედვით, თუ რომელი ქართველური ტომის ჰეგემონიით იქმნებოდა იმ ეპოქაში სახელმწიფო.

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს სახელწოდება, რომელიც თანდათანობით ქართველთა საერთო სახელწოდებადაც იქცა, სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სახელიდან იწარმოება. ამ ეთნონიმთაგან ქართველთა მეზობელი ხალხების ენებში გამოიყოფა რამ-

---

[1] აბულაძე, ც., „საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში“: *საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 255.

[2] კენჭოშვილი, ნ., „ტერმინ *საქართველოს* გაგებისათვის ინდოეთში“: *საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 335.

[3] პაიჭაძე, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

[4] თედეევა, ო., „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ოსურში“: *საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 30.

[5] ბურჭულაძე, გ., შავხელიშვილი, ბ., „*ქართლის, საქართველოს* აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დაღესტნურ ენებში“: *საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 322-327.

[6] ცაგარეიშვილი, ე., „ქართველისა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში“: *საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 153-210.

დენიმე ძირითადი ჯგუფი: აღმოსავლური (სპარსული, სირიული, არაბული) – *გურგ, გურჯ, ჯურზ, ჯურჯ*; სომხური – *ვერია, ვირქ*; ბერძნული – *იბერია*; ევროპული – *გეორგია*; რუსული – *გრუზია*.

ქართველთა უცხოური სახელწოდებების ურთიერთმიმართებისათვის

დავიწყოთ იმით, რომ რუსული *გრუზია* აღმოსავლური (არაბულ-სირიული) *გორზ/გურზ*-იდან უნდა მოდიოდეს, როგორც ეს XIX საუკუნის მკვლევარებმა მიუთითეს. ამას უდავოს ხდის ქართველთა სახელად რუსულ მატიანეებში დაცული *გურზი*.

ვფიქრობთ, ასევე არ უნდა იწვევდეს ეჭვს ევროპული *გეორგიის* იმავე აღმოსავლური *გურგ/გორგ* ძირიდან მომდინარეობა. არასწორია ის პოპულარული ვარაუდები, რომელთაგან ერთი სახელწოდებას *გეორგია* წმინდა გიორგი კაპადოკიელს უკავშირებს.[1] მეორე კი – ბერძნულ და ლათინურ სიტყვებს γεωργός – მიწისმოქმედი და georgicus – სამიწათმოქმედო.[2] თუმცა შესაძლებელია, მითითებულ ბერძნულ-ლათინურ ძირს – (georg) მართ-

---

[1] ეს ეტიმოლოგია შეტანილია უცხოურ ენციკლოპედიებშიც იმაზე მითითებით, რომ იგია სახელწოდება *გეორგიის* პოპულარული ეტიმოლოგია (Enciclopedia universal ilustrada, Europeo-Americana, t. XXV, Barcelona 1924, p. 1379). საკმაოდაა გავრცელებული იგი ხალხის ფართო ფენებშიც. თეორიულად ქვეყნის სახელწოდება *გეორგია*, მართლაც, შეიძლება მოდიოდეს სახელისაგან *გიორგი*. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებაც: დღეს მსოფლიოში საქართველოს გარდა სხვა ქვეყანაცაა ცნობილი *გეორგიის* სახელით. კერძოდ, ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების ერთი შტატი – *გეორგია*, რომლის სახელწოდება მართლაც მომდინარეობს ინგლისის მეფე გიორგი II-ისაგან. არსებობს კიდევ ავს-ტრალიის *გეორგია*. იგი ერთი კუნძულის სახელია (იხ. *Enciclopedia Italiana, Di Scienze, Lettere ed Arti, t. XVI.* Roma 1950).

[2] გარკვეულ წრეებში ეს თვალსაზრისი მეცნიერულ და მართებულ ეტიმოლოგიადაა მიჩნეული. შეიძლება მაგალითად მივუთითოთ თურქეთის რესპუბლიკის ქართული სათვისტომოს ჟურნალი *ჩვენებური* (Hayri Hayrioğlu, „Demagogi uzmanlari": Čveneburi, *Kulturel dergi*, 1993, 1(8). გვ. 29).

ლაც გარკვეული როლი ჰქონდეს შესრულებული აღმოსავლეთიდან მომდინარე ეთნონიმ *გურგ/გორგ/ჯურჯ*-ის *გეორგიად* ტრანსფორმირებაში. საქმე ის არის, რომ ბერძნულ და ლათინურ სამყაროში, სადაც მოხდა საქართველოს სახელწოდების *გეორგიად* ფორმირება, აღმოსავლეთიდან მომდინარე მითითებული ეთნონიმი დამსგავსებია ბერძნულ-ლათინური სამყაროსათვის ნაცნობ სიტყვას (*გეორგოსი* ანუ მიწისმოქმედი).[1]

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ დიდ პროვინციას ევროპული სამყარო უძველესი დროიდან იცნობდა *გოგარენეს*-ს სახელით. ასე უწოდებდა ქვემო ქართლის რეგიონს I საუკუნეში სტრაბონი, II საუკუნეში პტოლემეოსი. ამასთან ერთად, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ XV საუკუნის დასაწყისში, როცა ლათინურ სამყაროში საქართველოს უკვე *გეორგიის* სახელით მოიხსენიებდნენ, ესპანეთის მეფის, ჰენრიხ III-ის დესპანი თემურ ლენგის სამეფო კარზე, რუი გონსალეს დე კლავიხო, გადაივლის რა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიას, ამ მხარეს თავის მშობლიურ ესპანურ ენაზე შედგენილ დღიურებში *გურგანიას/გორგანიას* უწოდებს,[2] რაც აღმოსავლეთის ერთი დიდი რეგიონის სახელია და რომელიც, როგორც ჩანს, საქართველოს აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ ტერმინი *გეორგია* ლათინურ სამყაროში გამოჩენის დასაწყის ეტაპზე არ იწერება ერთი და იმავე ტრანსკრიფციით. პირ-

[1] განსაკუთრებით პოპულარულია სახელწოდება *გეორგიის* წმ. გიორგისთან დაკავშირება XII-XV საუკუნეების ევროპულ წყაროებში, რომლებშიაც წმინდა მიწაზე მოღვაწე ბერებია მოხსენიებული. თუმცა იმავე ევროპულ წყაროებშია შენიშნული, რომ სახელწოდება *გეორგია* წმ. გიორგის ეპოქაზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს და იგი დაკავშირებულია ბერძნულ სიტყვასთან *გეორგოს* – მიწისმოქმედი (იხ. ფერაძე, გრ., *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გვ. 74).

[2] "Embajada a Tamorlán", (Estudio y edición de un Monuscrito del siglo xv por Francisco López Estrada). Madrid 1943, p. 243-44.

ველი თანხმოვანი აღინიშნება ხან J (Jorgia), ხან Ge (Georgia), ხან Gi (Giorgia) ასოებით. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, სამართლიანადაა შენიშნული, რომ იტალიურ სამყაროს (სადაც ეს დაწერილობა თავდაპირველად გამოჩნდა), ამ ტოპონიმის პირველ ბგერად ჯ თანხმოვანი ესმის და მის გადმოცემას ცდილობს, რაც ამ სახელის აშკარად აღმოსავლურიდან, უპირატესად არაბულიდან მომდინარეობას მიუთითებს.[1]

უფრო რთული ჩანს საქართველოს ბერძნულ-ლათინური სახელწოდების – *იბერიის* გავრცელების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ზღვრების ზუსტი დადგენა.[2] საქმე ის არის, რომ სახელი *იბერია* ძველი მსოფლიოსათვის არ იყო მხოლოდ კავკასიაში, შავი ზღვის პირას არსებული ქვეყნის აღმნიშვნელი სახელი. დავიწყოთ იმით, რომ *იბერები* იყვნენ დღევანდელი ბრიტანეთის უძველესი მაცხოვრებლები (აპიანე, *იბერიკე* I.1), რომელთა იქ მისვლას ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში ვარაუდობენ.[3] ძველ ლათინურ წყაროებში Hibernia დღევანდელ ირლანდიას ეწოდება. უფრო პოპულარული იყო დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე არსებული იბერია, ანუ პირენეს იბერია (ლათ.: Hiberia/Iberia). ძველი ისტორიკოსების აზრით, დასავლეთის (პირენეს) და აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერიაში ერთმანეთის მონათესავე ხალხი ცხოვრობდა. ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ იბერები დასავლეთიდან, პირენეს ნახევარკუნძულიდან გადმოსახლდნენ აღმოსავლეთში. მიგრაციის ამგვარ ვერსიას მხარს უჭერდნენ მეგასთენე (IV-III სს. ძვ. წ.), აპოლოდორე (II ს. ძვ. წ.), სტრაბონი (I ს.), იოსებ ფლავიუსი (I ს.),

---

[1] ჯანაშია, ს., „თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი“: *შრომები*, III, თბ. 1959, გვ. 226-27.

[2] იხ. ვაშაკიძე, ვ., „ტერმინები *იბერია* და *იბერები* ანტიკურ წყაროებში“: *საქართველოს და ქართველების... ტერმინოლოგია*, გვ. 56-69.

[3] Morton, A. L., *A People's History of England*. London 1984, p.15-18.

დიონისე პერიეგეტე (II ს.), ევსევი კესარიელი (III-IV სს.), სოკრატე სქოლასტიკოსი (V ს.) და სხვები. ძველი რომაელი მწერლები უპირატესად იბერების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასახლების ვერსიას უჭერდნენ მხარს: ვარონი (II-I სს. ძვ. წ.), პლინიუს უფროსი (I ს.). როგორც ჩანს, ანტიკურ სამყაროში ის ვარაუდიც იყო დაშვებული, რომ ეს ორი თანამოსახელე იბერები შესაძლოა სხვადასხვა ხალხიც იყოს. ამას მოწმობს აპიანეს (I-II ს.) გადმოცემა: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრად, ზოგი ამათ მოახალშენეებად, სხვები მხოლოდ თანამოსახელეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენა".[1]

იბერიის მეცნიერული ეტიმოლოგიის პირველი ცდა იაფეტიდოლოგიაში განხორციელდა (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეორია ეყრდნობა ბერძნული წყაროების გადმოცემას იმის თაობაზე, რომ *იბერი* ბიბლიური *თობელი*-საგან მომდინარეობს და მიჩნეულია საწყის ფორმად როგორც ქართველთა სპარსული და სომხური სახელწოდებებისათვის, ასევე დასავლეთ საქართველოს კუთხეთა სახელებისათვისაც. ამ თეორიის შეუზღუდავი ფონეტიკური ვარიაციები, ბგერათგადასვლები,[2] თანამედროვე ფონეტიკური მეცნიერების დონეზე არ მართლდება[3] და ამასთან ერთად არცაა საკმარისი იბერთა განსახლების ზემოთ მითითებული ფართო გეოგრაფიის ასახსნელად. ეტყობა, ამ გარემოებასაც ითვალისწინებდა ნ. მარი, როცა დაუშვა, რომ *იბერ* იშლება *ი* პრეფიქსად და *ბერ* ძირად (*и-*

---

[1] აპიანე, *მითრიდატეს ომების ისტორია* (თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოც.). თბ. 1959, გვ. 195.

[2] Кипшидзе, И., Грамматика мингрельского (иверского) языка, ст. *XIII-XIV.* იხ. აგრეთვე ჯანაშია, ს., „თუბალ-თაბალ, ტიბერენი, იბერი".

[3] იხ. *ყაუხჩიშვილი, თ., იოსებ ფლავიუსი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.* თბ. 1983, გვ. 53.

бер; ки-мер), რაც, მისი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობდნენ „ბერული//ბერის ტომები“ (берские племена).[1]

ს. კაკაბაძემ ბერძნული *იბერის* ქართულ შესატყვისად მიიჩნია *ჰერი*[2]. ეს თვალსაზრისი გაიზიარა და განავრცო კ. კეკელიძემ: ქვეყანა, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ *იბერიას*, სომხურ ენაზე არის *ვირქ*, ხოლო ქართულად *ჰერეთი*.[3] გარდა იმისა, რომ ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს ს. კაკაბაძის შემოთავაზებული *იბერ* და *ჰერ* ძირების ფონეტიკური დამსგავსების საეჭვო ვარაუდი (*იბერ, ჰბერ, ჰვერ, ჰერ. არრან, ალბან, ჰალბან, შარვან*), იგი არც ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებით მტკიცდება. ი. ჯავახიშვილის შენიშვნით, „სომეხთა *ვირქ-ი ჰერეთს* კი არ უდრიდა, ...არამედ გოგარეთს, ანუ ქართლის თემს... სომხური *ვრაც აშხარჰ* ვრაცთა ქვეყანა, ანუ იბერია ქართლს აღნიშნავდა“.[4]

ს. ჯანაშიამ ტერმინი იბერია *სასპერებიდან* მომდინარედ მიიჩნია (ჰეროდოტეს *სასპედრები*, ქსენოფონტეს *ჰესპერიტები*, აპოლონიოს როდოსელის *სასპედრები*, სტრაბონის *სვსპირიტები*, ქართული და სომხური წყაროების *სპერი*, თურქული *ისპირი*)[5]. მეორე მხრივ, ს. ჯანაშიას აზრით, *იბერ* ფუძემდე დაიყვანება ქართველთა ყველა უცხოური სახელწოდება: სომხური *ვირქ* და *ვრაცი*, ძველი სპარსული *ვრკან*, სირიული *გურზან*, ახალი სპარსული და თურქული *გურჯი* და არაბული *ჯურჯი/ჯურზი*.[6]

---

[1] Марр, Н., *Избранные работы*, т. V. (Это – и глоттогония восточной Европы). Лен. 1935, ст. 354-355.

[2] კაკაბაძე, ს., *წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში*. თბ. 1912, გვ.11.

[3] კეკელიძე, კ., „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“: *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV, თბ. 1957, გვ. 264.

[4] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. I, გვ. 207.

[5] ჯანაშია, ს., „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ“: *შრომები*, II, თბ. 1952, გვ. 60.

[6] ჯანაშია, ს., „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“.

მოდიფიცირება განიცადა იმ თვალსაზრისმა, რომელიც ბერძნულ *იბერიას* სომხური *ვერიასა* და *ვირქისაგან* მიღებულად თვლიდა. რ. ბილმაიერის აზრით, ქართლის ბერძნული სახელწოდება *იბერია* სომხური *ver*-ის პირდაპირი გადმოტანაა (βηρ) მისი *ესპანეთის იბერიასთან* ადაპტირებით.[1]

დ. მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ *ქართლის ცხოვრების* მიხედვით კახეთის ტერიტორიაზე აგებული უძველესი დასახლების სახელი იყო *ბერ* („*ბერ* ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა"). მან ამ სახელწოდებას გვერდით ამოუყენა ჰიდრონიმი *იორი* და დაასკვნა, რომ იმ სატომო სახელწოდებას, რომელსაც უცხოელები ქართველებს უწოდებდნენ (*იბერ*) იცნობდნენ თვითონ ქართველებიც.[2]

იბერიის ეტიმოლოგიის დადგენას დღეს ქართველოლოგების გარდა პირენეს იბერიის ისტორიის მკვლევარნიც ცდილობენ. ამ კუთხით ნიშანდობლივია ბასკური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორის ბ. პიობელმანის თვალსაზრისი, რომელიც *იბერიას* სემიტური წარმოშობის სახელწოდებად მიიჩნევს: პირენეს *იბერიას* იგი ფინიკიელთა შერქმეულ სახელად თვლის, ხოლო კავკასიის *იბერიას* არამეელთაგან მომდინარე სახელად.[3] ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისის განვითარებაა ქართულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული კიდევ ერთი თეორია, რომელიც *იბერიას* უკავშირებს საერთო ინდოევროპულ-სემიტურ ძირს *ბრ* (ʻbr), რაც ძველ ებრაულ ენაში ნიშნავდა წყლიანი ან მთიანი ზღუდის

---

[1] Bielmeier, R., დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

[2] მუსხელიშვილი, დ., *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ტ. I. თბ. 1977, გვ. 75.

[3] იხ. Meier, G. F., "Das Problem des Baskischen als Nationalsprache, Zeitschrift, für Phonetik": *Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung*, Heft 4, Band 29. Berlin 1976, S. 344; სარჯველაძე, ა., „კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ": *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). 1989, №3, გვ. 123.

გადალახვას, ხოლო ‘eb̲er – ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა (ა. სარჯველაძე). მკვლევარის აზრით, ამ ძირიდან აწარმოეს ქართველთა ქვეყნის სახელწოდება *იბერია* კოლხეთში მოსულმა ფინიკიელებმა. მცირე კავკასიონის, ანუ თრიალეთის ქედის ქვეყანას მათ უწოდეს *იბერია*. ფინიკიელებმა დაიპყრეს აგრეთვე ესპანეთის სამხრეთი სანაპირო, დამკვიდრდნენ იქ და ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხს უწოდეს *იბერები*. ფინიკიელებმა მიაღწიეს ბრიტანეთს და შემდეგ ირლანდიას. ამ უკანასკნელი ქვეყნის მოსახლეობასაც *იბერია* უწოდეს.[1]

ვფიქრობ, რომ ეს თვალსაზრისი წარმოადგენს ეთნონიმ *ებრაელის* (ლათ.: Hebraeus) ცნობილი ეტიმოლოგიის გადმოტანას ტოპონიმ *იბერია*-ზე. საქმე ისაა, რომ *ებრაელი* ძველი ებრაული ტექსტების მიხედვით გამოითქმის, როგორც ‘Ibri, არამეულად კი – ‘Ibrai. როგორც მიუთითებენ, ლექსემა ‘Ibri ნაწარმოებია i სუფიქსის დართვით ‘eber სიტყვაზე. ეს უკანასკნელი კი ებრაულ ენაში გავრცელებული წინდებულია და აქვს მნიშვნელობა ქართული სიტყვისა *გაღმა* (ანუ *იმ მხარეს*). ამ ფუძისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები იღებენ *გადმოლახვის, ფონს გამოსვლის* მნიშვნელობას. წინდებული ‘eber ზოგჯერ დამოუკიდებლად და ზოგჯერ სხვა წინდებულებთან კომბინაციაში აღნიშნავს ზღვის ან მდინარის გაღმა, იქეთა მხარეს. უძველესი ისრაელური ტრადიციით სიტყვა *ებრაელი* განიმარტება, როგორც ხალხი, რომელთა წინაპრები ცხოვრობდნენ მდინარე ევფრატის გაღმა. ზოგი უფრო გვიანდელი მწერალი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „იორდანიის გაღმიდან მოსულ ხალხს“. ლექსემა Eber უძველესი ბიბლიური მითოლოგიით საკუთარი სახელიცაა ებ-

[1] სარჯველაძე, ა., დასახელებული ნაშრომი, გვ. 118-123.

რაელთა წინაპარი ეპონიმისა.[1] ასე რომ, ეთნონიმ *ებრაელის* ეტიმოლოგიას *ებერ* წინდებულს უკავშირებენ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს ებრაულ ენაზე აქვს გარკვეული მნიშვნელობა (რომელიც მიუთითებს ებრაელი ხალხის მოსვლაზე გარკვეული რეგიონიდან, რასაც ადასტურებს ბიბლიური გადმოცემებიც) და ეს სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობით დასტურდება უძველეს ებრაულ ტექსტებში. აქედან გამომდინარე, ამავე 'eber წინდებულიდან სულ სხვა ხალხის და სულ სხვა ქვეყნების (იბერები, იბერია) სახელწოდებათა ახსნა, რომელთა არც ენა იძლევა ანალოგიურ მონაცემებს და არც პრეისტორია, ხელოვნური ჩანს.

ვფიქრობ, რომ *იბერ* ეთნონიმის ინტერპრეტირების ზემოთ მიმოხილული თვალსაზრისები რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა:

ა) ქართველთა ქვეყნის უცხოური (*ვირქ, ვერია, გურჯ, გურზ, ჯურჯ*) და ცალკეული კუთხეების (*იმერეთი, ეგრისი, გურია*) სახელწოდებები გარკვეულ მიმართებებს ამჟღავნებენ *ი-ბერ* ეთნონიმთან;

ბ) *იბერია* მსოფლიოს უძველეს ონომასტიკაში გავრცელებული სახელია. გარდა კავკასიის იბერიისა, არსებობდა პირენეს იბერია და მოიხსენიება ბრიტანეთის *იბერები.*

გ) სახელწოდება *იბერია* ქართველთა მეხსიერებაშიცაა შემონახული: *ქართლის ცხოვრების* ტოპონიმი *ბერ*, ეთნონიმი *სპერი*, ჰიდრონიმი და ტოპონიმი *ვერე*. თბილისის ერთი უბნის დღევანდელი სახელწოდება *ვერე* XVII-XVIII საუკუნეებში უფრო ვრცელი ტერიტორიის სახელადაცაა დამოწმებული – ამჟამინდელ ვაკეს, საბურთალოსა და დელისსაც მოიცავს.[2]

---

[1] იხ. König, E., Eber, *The Jewish Encyclopedia*, vol.V. New York and London, 1903, p. 30; Peters, J. P., Hebrew, *The Jewish Encyclopedia*, vol.VI. New York and London 1904, p. 304; იხ. აგრეთვე Klein, E., *A Comprehensive Etymological Dictionary of the Hebrew Language for Readers of English*. Jerusalem 1987, p. 462.

[2] ბერიძე, თ., ... *და აღმოცენდა თბილისი*. თბ. 1977, გვ. 44.

მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ არც ერთი ზემოთ მიმოხილული თეორია არ იძლევა ეთნონიმ *იბერის* სრულყოფილ ინტერპრეტაციას:

ვერ ჩავთვლით ეთნონიმ *იბერს* ქართველთა იმგვარ უძველეს და დამკვიდრებულ თვითსახელწოდებად, რომლისგანაც მომდინარეობს ქართველთა სხვა ტომობრივი და უცხოური სახელებიც. თუ ეს ეთნონიმი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა ქრონოლოგიურად ისეთი ხანგრძლივი პერიოდის სახელწოდებაა, რომ ამ სახელით გაიცნეს ეს ხალხი როგორც უახლოესმა, ასევე შორეულმა მეზობლებმაც (სომხები, სპარსელები, ბერძნები) და, ამავე დროს, ამ სახელიდან ჩამოყალიბდა ქართველთა სხვადასხვა კუთხის სახელებიც (*იმერეთი, ეგრისი, გურია*), მაშინ რატომ დაივიწყა ქართველთა მეხსიერებამ ეს სახელი, როგორც საკუთარი ეთნონიმი? მეორეც, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ *იბერ* ეთნონიმის აგრერიგად ფართო გეოგრაფიული გავრცელება (ესპანეთის იბერია, ბრიტანეთის იბერები)? ამ კითხვებზე შეიძლება მოიძებნოს არაერთი პასუხი, მაგრამ არა არგუმენტირებული, არამედ მხოლოდ ფანტასტიკურად ჰიპოთეტური. ასევე ძნელი სავარაუდოა, რომ *სპერი*-დან (ჰეროდოტეს *სასპედრებიდან*) ნაწარმოები *იბერი* დამკვიდრებულიყო ეთნონიმად ესპანეთსა და ბრიტანეთში. თუ სახელი *იბერია* კოლხეთში მოსულმა ფინიკიელებმა შეარქვეს აღმოსავლეთ საქართველოს, რატომ დამკვიდრდა თვით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ ეთნონიმის ფონეტიკური ვარიაციებიდან ნაწარმოები თვითსახელწოდება (*სპერი, იმერეთი, ეგრისი, გურია*)? ანდა რატომ იცნობენ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ ფინიკიელთა მიერ შერქმეული სახელის ფონეტიკური სახეცვლილებით მათი უძველესი აღმოსავლელი მეზობლები – სპარსელები, სომხები? ფინიკიელ-

თა მიერ ჩატარებულ „ნათლობამდე“ ამ ხალხს სახელი არ ჰქონდა?

ისიც ძნელი სავარაუდოა, რომ ბიბლიური *თობელის* ტომიდან მომდინარე *ტიბერენებისა* და *იბერების* გავრცელება ვივარაუდოთ არა მხოლოდ კავკასიაში ბიბლიური *მოსოხისაგან* მომდინარე *მესხების* გვერდით, არამედ შორეულ ესპანეთსა და ბრიტანეთში. თუ სპარსელებმა *თობელისაგან* მომდინარე *იბერების* სახელის ფონეტიკური სახეცვლილება (*გურგ, გურჯ*) შეარქვეს მათ კავკასიელ მეზობლებს, რატომ მოიხსენიებენ ისინი იმავე სახელით (გურგანი) კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარესაც?

დავუბრუნდეთ ისევ იმ პოზიტიურ დასკვნებს, რომლებიც ქართველთა სახელწოდებების ირგვლივ ჩატარებული კვლევაძიების მიმოხილვიდან ჩანს. ჩემი აზრით, ამგვარ დასკვნათაგან ყველაზე არსებითი არის შემდეგი: ქართველთა ყველა უცხოური სახელწოდება (რომელიც ამ ხალხის ეთნონიმად შეიძლება ჩაითვალოს და არა სახელმწიფოებრივი გაერთიანების სახელად, ამ ქვეყანას გარკვეულ ეპოქაში რომ შეერქვა), ერთმანეთთან კავშირშია, ერთი ძირის ფონეტიკური ვარიაციებია. ეს სახელწოდებებია (სჯობს ისინი ამგვარი თანმიმდევრობით დავალაგოთ): ძველი სპარსული *ვრკან* (*ვარკან*), ბერძნული *იბერია*, სომხური *ვირქ, ვერია*, ახალი სპარსული *გურჯ, გურგან*, სირიული *გურზ, გურზან*, არაბული *ჯურჯ*, ევროპული *გეორგია*, რუსული *გრუზია*.

ვფიქრობ, საკითხის შემდგომი კვლევა ორ კითხვაზე პასუხის გაცემით უნდა დაიწყოს: პირველი – რა მიმართებაშია ქართველთა ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებები ერთმანეთთან, რომელი მათგანია ამოსავალი ფორმა? და მეორე – რა კავშირშია

ქართველთა უცხოურ სახელწოდებებთან ქართველთა თვით-სახელწოდება ქართველი?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა, ჩემი აზრით, შესაძლებელია გ. წერეთლის ზემოთ მითითებულ გამოკვლევაზე (*საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის*) დაყრდნობით. გ. წერეთლისათვის საქართველოს ირანულ სახელწოდებათა შესწავლაში ამოსავალი გახდა III საუკუნის სასანიდთა დინასტიის შაჰის, შაპურ I-ის სამენოვანი (პართული, საშუალო სპარსული, ბერძნული) წარწერებისა და პართული მანიქეური ფრაგმენტების შეპირისპირება. აღმოჩნდა, რომ ბერძნული წარწერის *იბერია* სპარსულ ტექსტში აღინიშნება *ვარუჩან*, ხოლო პართულში *ვირშან* სახელებით. სანამ შაპურ I-ის წარწერის ბერძნული ტექსტი აღმოჩნდებოდა, საეჭვო იყო, საშუალო სპარსულის *ვრუჩან* ქვეყანა კასპიის იქეთა ბალხეთის მხარეში არსებულ გურგანის ქვეყანას აღნიშნავდა თუ ქართლს (ივერიას).[1] საქმე ისაა, რომ ამ ორი ქვეყნის სახელი სპარსულ წყაროებში ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც მკვლევარებს შემთხვევით ფაქტად მიაჩნდათ.[2] გ. წერეთელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თითქმის ყველა სახელი, რომელიც ძველ, საშუალ და ახალ სპარსულ, სირიულ, არაბულ და ზოგჯერ ბერძნულ წყაროებში კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე

[1] Spengling, M., *Third Century Iran, Sapor and Kartir*. Chicago 1953; Honigmann, E., Maricq, A., *Rescherches sur les Gestae Divi Saporis*. Bruxelles 1953; იხ. ჩხეიძე, თ., „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... ტერმინოლოგია*, გვ. 115.

[2] მკვლევარები, რომლებიც ქართლის სპარსული, პართული და ბერძნული სახელწოდებების *(ვრკან, ვირშან, ჰირკანია, იბერია)* ამოსავალ ფორმად სომხურ *ვირქ*-ს მიიჩნევდნენ, ეყრდნობიან სწორედ იმ მცდარ თვალსაზრისს, რომ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გურგანის სახელწოდებებს არავითარი კავშირი არა აქვთ ქართლის სპარსულ სახელწოდებებთან (იხ. Bilmeier, R., დასახ. ნაშრ. გვ. 99).

გურგანის ქვეყანას აღნიშნავს, დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს სახელწოდებადაც. ეს პარალელური სახელებია: *ვრკან* (vr.kān), *ჰირკანია* (Ὑρκανία), *ვარჯან* (varǧān), *ვარუჩან* (waručān), *გურგ, გურგან* (*gurg, gurgan*), *ჯურჯან* (ǧurǧān), *გურზიან* (gurziyan).[1] აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სპარსული, ძველი ბერძნული, საშუალო სპარსული, ახალი სპარსული, სირიული და არაბული სახელწოდებანი უძველეს საუკუნეებში ემთხვეოდა კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გურგანის მხარის სახელწოდებებს; მაშასადამე, ამ სახელწოდების ფორმირება ახლო აღმოსავლეთშია მოსალოდნელი და ჩვენამდე მოღწეული ფორმებიდან უფრო ძველი უნდა იყოს სპარსული *ვრკან*. მისგან მომდინარე ფორმებად მიაჩნიათ ბერძნული *ჰირკანია*, სომხური *ვირქ*, საშუალო სპარსული *ვარუჩან* (იუსტ. აბულაძე, გ. წერეთელი).

ძველი სპარსული vr.k-ān (vark-ān) ახალ სპარსულში შეიცვალა gurg-ān-ად. vark ძირის ბოლოკიდური k-ს შეცვლა č-დ (varč-ān), რაც შემდეგ გვაძლევს g-ს (gurč-ān, gurǧ-ān), ეთნიკური სახელების მაწარმოებელი (i)ya სუფიქსის წინ, კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენაა პროტოარიული და ძველი სპარსული ენების სიტყვათწარმოებისათვის.[2] რაც შეეხება თავკიდური v/g შენაცვლებას, იგი აიხსნება სპარსული ენის სხვადასხვა დიალექტური ფორმის მონაცვლეობით. შენიშნულია, რომ ფარსის ტომის შერევით სპარსეთში მანამდე დამკვიდრებულ მოსახლეობასთან „შეიცვალა ტერმინი Vehrcк(vrk) წმინდა სპარსულ *გორგ*-ად".[3]

---

[1] იხ. წერეთელი, გ., „საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... ტერმინოლოგია*, გვ. 102.

[2] წერეთელი, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 103; შეადარე აბულაძე, იუსტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

[3] აბულაძე, იუსტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 295.

დადგენილია, რომ ძველი სპარსულის v გვიანდელ საშუალსპარსულში გვაძლევს g-ს; ხოლო ძველი ირანული r. გადადის ur-ში.[1]

აქედან გამომდინარე, არასწორია ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისები იმის თაობაზე, რომ ქართველთა უცხოური სახელწოდებები საფუძველს უნდა იღებდეს ან ბერძნული *იბერიისგან (თობელი, ტიბერენები, იბერები)*, ან სომხური სახელწოდებებისგან – *ვირქ, ვერია*. როგორც სომხური, ასევე ბერძნული ტოპონიმები მომდინარეობს აღმოსავლეთში ფორმირებული იმ ეთნონიმიდან, რომელმაც ძველ სპარსულში მოგვცა *ვრკან*. ვარაუდობენ სომხური *ვირქ*-ის მომდინარეობას სპარსული *ვრკან*-იდან.[2] ბერძნული *იბერია*, ერთი თვალსაზრისით, *ჰირკანიის* განვითარება შეიძლება იყოს. ყოველ შემთხვევაში *ვრკან*-ისა და *ი-ბერ*-ის შესაძლებელ ფონეტიკურ მიმართებაში მკვლევარებს ეჭვი არ ეპარებათ. ამას აშკარად ადასტურებს სომხურში ძველი სპარსული *ვრკან*-ის მონაცვლედ *ვერია*-ს არსებობა.

ძველი სპარსული varkānā-ს (რომელიც საფუძველს იღებს ძველი ინდური vŕ.kah და ავესტას vahrka-დან) და მისგან მომდინარე საშუალო სპარსული და პართული waručān, wiršān-ისა და ახალი სპარსული gurgān-ის ეტიმოლოგია ცნობილია. იგი *მგლეთს, მგლის ქვეყანას* ნიშნავს.[3] საფიქრებელია, რომ *ვრკ (ვარკ)* ძირისაგან იყო ნაწარმოები მგლის აღმნიშვნელი ტოტემური სახელი, რომელიც თანდათანობით ეთნონიმად იქცა (რაც დადასტურებული მოვლენაა სხვა ეთნონიმთა შემთხვევებშიც) და სხვადასხვა არეალში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ვარიაციებით გავრცელდა.

---

[1] ჩხეიძე, თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[2] წერეთელი, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[3] აბულაძე, იუსტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 294; წერეთელი, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 103; Гамкрелидзе, Т., Иванов, В., *Индоевропейский язык и индоевропейцы*. Тб. 1984, т. 2, ст. 492; ჩხეიძე, თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

ქართველთა თვითსახელწოდების ინტერპრეტაციისათვის

ახლა დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ მეორე კითხვას: რა კავშირშია ქართველთა უცხოურ სახელწოდებებთან ამავე ხალხის თვითსახელწოდება *ქართველი*? რამდენადაა მოსალოდნელი, რომ ქართველთა ყველა უცხოურ სახელწოდებას ერთმანეთთან ჰქონდეს მიმართება, ხოლო მათთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ქართველთა თვითსახელწოდებას?

ამგვარი შესაძლებლობა აპრიორულადაა დაშვებული ყველა თვალსაზრისში, რომელიც ეთნონიმ *ქართველის* ინტერპრეტაციას ეძღვნება. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ სვამს კითხვას: რატომ არ არის არავითარ კავშირში ეთნონიმი *ქართველი* ქართველთა უცხოურ სახელწოდებებთან? ეს თვალსაზრისები კი შემდეგია:

ნ. მარს ქართველთა თვითსახელწოდება ბიბლიური მითოლოგიის *ქაშდიმიდან* მომდინარედ მიაჩნდა. მისი აზრით, *ქართ* ფუძე წარმოქმნილია *ქასდ*-ისაგან. ამ უკანასკნელს ერთვის მრავლობითობის არქაული სუფიქსი *ივ. ქასდივ* იგივეა, რაც ბიბლიაში დამოწმებული ებრაული *ქაშდიმ.* მეორე მხრივ კი *ქაშდივ* გვაძლევს *ქართივ*-ს, რასაც ერთვის წარმომავლობის სუფიქსი *ელ* და მივიღებთ *ქართივ-ელს – ქართველს.* [1] ეს თვალსაზრისი განავრცო ივ. ჯავახიშვილმა. რამდენადაც *ქაშდიმ* ანუ *კაშდიმ* შეიძლება ქართების ქვეყანას გულისხმობდეს, ბიბლიაში მოხსენიებული *ურკაშდიმ,* სადაც ცხოვრობდა აბრაამი, ივ. ჯავახიშვილმა ჩათვალა ურარტუს ქართების ქვეყნად. [2] ეს შეხედულება იმ პერიოდშია ჩამოყალიბებული და იმ წარმოდგენების გაგრ-

---

[1] Марр, Н., *Основные таблицы к грамматике дравнегрузинского языка с предворительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими.* СПБ. 1908, ст. 5.

[2] ჯავახიშვილი, ივ., დასახ. ნაშრომი, გვ. 410-411.

ძელებაა, როდესაც და რომლის მიხედვითაც ბიბლიური მითოლოგიის პერსონაჟებში ქართველურ ტომთა სახელებს ხედავდნენ. ამ თეორიის დამცველთა აზრით, ბიბლიური აბელი თობელის ანუ თუბალის ტომია. აბელისა და კაენის დაპირისპირებაში „შენახული გვაქვს ცნობა ბრძოლის შესახებ, რომელიც მომხდარა ორ ქართველ ტომს... შორის". ბიბლიური *ჰენოხი* „უნდა ჭანმეგრელთა ტომის *ჰენიოხი*-ების სახელს უდრიდეს. *დაბადების* სახელი *მათუშაელ* ანუ *მათუსალა* შეიძლება თუშების სატომო სახელს უდრიდეს"[1], და სხვა ამდაგვარი.

ტრადიციული წარმოდგენით, სახელწოდება *ქართლ* ქართველთა ეპონიმ *ქართლოს*-ისაგან მომდინარეობს. თანახმად ლეონტი მროველისა, როცა თარგამოსმა სამეფო თავის რვა შვილს განუყო და მისცა ქართლოსს თავისი სამემკვიდრო, „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა სახელი მთასა მას თავისა თჳსისა ქართლი... და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი...".[2]

ეპონიმის, ეთნარქის სახელით ეთნონიმის ეტიმოლოგიის დადგენა მეცნიერული თვალსაზრისით მართებული არ უნდა იყოს. უმრავლეს შემთხვევებში პირიქით ხდება. ეპონიმის სახელს ეროვნული მითოსი ან მითიურ-ბიბლიური მატიანე ეთნონიმის მიხედვით ქმნის.

ლეონტი მროველის ეს გადმოცემა საფუძველი გახდა *ქართლის* ეტიმოლოგიის დადგენის მეცნიერული ცდებისთვის.

ამ ტრადიციული წარმოდგენებიდან იღებს სათავეს ს. კაკაბაძის თვალსაზრისი *ქართლის* წარმომავლობის საკითხზე.

---

[1] ჯავახიშვილი, ივ., დასახ. ნაშრომი, გვ. 409-410.

[2] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I. თბ. 1955, გვ. 8.

მკვლევარი ლეონტი მროველისეულ *ქართლს*, როგორც მთაზე აშენებულ სიმაგრეს უკავშირებს სვანურ სიტყვას *ქვლთხი*, რაც, მისი მითითებით, მაღალს ნიშნავს; ქართულ *ქარდაგს*, რაც, მისივე ინტერპრეტაციით, „შესაძლებელია ნიშნავდეს მაღლობ ადგილებზე შენებულობას"; *ქორედს* (მრავალსართულიან სახლს) და *ქორს* (ერდოზე დაშენებულ სახლს). ამ საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ *ქართ-ლ-ი* (ლ მრავლობითობის ნიშნად მიაჩნია) ნიშნავს „მაღალ შენებულობებს", ე. ი. იგი თავდაპირველად ქალაქის სახელი უნდა ყოფილიყო და ამიტომ შემორჩა მეგრულში *ქართი* თბილისის სახელწოდებად.[1] თუმცა სხვა ადგილას ს. კაკაბაძე მეგრულ *ქართს* უკავშირებს თბილისის უძველეს სახელს, რომელიც, მისი აზრით, *კალა*-დან უნდა მომდინარეობდეს, რაც თბილისის ციხის უძველესი სახელია.[2]

გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, იმ მთას, რომელზედაც სახლდება ქართლოსი, ანუ ქართველ ტომთა გაერთიანების უძველეს ცენტრს, დაერქმეოდა *ქართა*. მეგრულსა და ქართული ენის ზოგ დიალექტში (იმერული და გურული) *ქართა* (*ქალტა*) ნიშნავს საზაფხულო ფარეხს, შემოზღუდულ ადგილს. აქედან უნდა მიგვეღო *ქართა-ელ-ი // ქართა (ვ)-ელ-ი // ქართველი*.[3] ამ თეო-

---

[1] კაკაბაძე, ს., „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები": *საისტორიო მოამბე*, წ. I. ტფ. 1924, გვ. 5-7.

[2] კაკაბაძე, ს., დასახელებული ნაშრომი, გვ. 7-8.

[3] მელიქიშვილი, გ., *საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*. თბ. 1965, გვ. 238.

ამ თვალსაზრისმა ჩვენს მეცნიერებაში შორსმიმავალი ეთნოლოგიურ-მითოლოგიური გაგრძელება განიცადა, რაც ამგვარად ჩამოყალიბდა: „*ქართი* (*ქართველი*), *მეგრი* (*მეგრელი*), *იბერი*, *კოლხი*, ერთიანი საკრალური შინაარსით გაჯერებული ეთნონიმებია და მითოლოგიურ ჭრილში ნიშნავს ქორწინების წმინდა ადგილში დაბადებულს, სადაც მოგვიანებით თითქოს თვით ქრისტეც დაიბადა. მათი ემპირიული შინაარსი კი ასეთია: გამაგრებულ ადგილში, აკროპოლისში, ციხე-ქალაქში დაბადებული და მფლობელი მისი,

რიის საწინააღმდეგოდ იმას მიუთითებენ, რომ ეთნონიმი *ქართი* არსად არ არის დამოწმებული.[1] უფრო მნიშვნელოვანი მაინც ისიც უნდა იყოს, რომ *ქართველ* და *ქართლ* ფუძეების *ქართ* სეგმენტი საერთო ქართველურ დონეზე აღდგება (ქართული – *ქართ*; მეგრული – *ქორთ*; ლაზური – *ქორთ*; სვანური – *ქართ*).[2] *ქართა* კი არ იძლევა კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს სხვა ქართველურ ენებში და თვით ქართულში მისი ძირეულობა ეჭვის ქვეშ დგას.[3]

სხვა თვალსაზრისით, რომელიც აკაკი შანიძეს ეკუთვნის,[4] ქართველთა თვითსახელწოდება *პართიის* ანუ *პართავის* სახელმწიფოდან მოდის. იმ ისტორიულ ფაქტზე დაყრდნობით, რომ პართელებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში იმდენად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, რომ კავკასიამდე მოაღწიეს, *მოქცევად ქართლისადში* მოხსენიებული აზო, ა. შანიძის აზრით, პართიიდან უნდა იყოს და ის თვრამეტი *სახლი*, რომელიც მან *არიან-ქართლიდან* ქართლში ჩამოასახლა, პართელები უნდა ყოფილიყვნენ. ასე რომ, ერთი ერის სახელი, *პართია* სხვა ერის სახელად *ქართლი* ქცეულა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, *პართნი*-დან (პართელები) მოდის *ქართლი*: თავკიდური *პ* გადაიქცა *ქ*-დ (*პ→კ→ქ*), ხოლო ბოლოკიდური *ნ* გადაიქცა *ლ*-დ.

ანუ მოქალაქე" (კილანავა, ბ., „ვინა ვართ ჩვენ?": *ჟურ. რიწა*, 1985, №1, გვ. 234-257).

[1] მუსხელიშვილი, დ., „ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... ტერმინოლოგია*, გვ. 338.

[2] Климов, Г. А., *Этимологический словарь картвельских языков*. Москва 1964, ст. 196; ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ., *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბ. 1990, გვ. 332.

[3] ბურჭულაძე, გ., „კვლავ ქართველ ეთნონიმის თაობაზე": *მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*. თბ. 1999.

[4] შანიძე, ა., „ეტიმოლოგიური შენიშვნები: *ქართლი, ქართველი*": *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, №23. თბ. 1980, გვ. 7-13.

იმავე *პართ* ძირიდანაა ნაწარმოები *ქართველი*: *პართაავა* > *პართაველი* > *პართველი* > *ქართველი*.

ზემოთ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისში რამდენიმე საეჭვო მომენტი ჩანს: რამდენადაა სარწმუნო, რომ მცხეთაში ჩამოსახლებულ თვრამეტ ოჯახს თუ გვარს (*სახლს*) თავისი სახელი დაემკვიდრებინა მთელი ერისათვის იმგვარად, რომ იმ ერის ადრინდელი სახელი საერთოდ მისცემოდა დავიწყებას? უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ საერთო ქართველურ დონეზე აღდგენა *ქართ* ძირისა ამ უკანასკნელის ბევრად უფრო ძველ წარმოშობაზე მიუთითებს, ვიდრე პართელების საქართველოში დასახლება შეიძლება ვივარაუდოთ.[1]

ასე რომ, ქართველთა თვითსახელწოდების ეტიმოლოგია გარკვეული არ არის.[2]

ამავე დროს, ვფიქრობ, მართებული უნდა იყოს მკვლევართა მიერ *ქართველ* და *ქართლ* ლექსემების ძირეულ ელემენტად *ქართ* სეგმენტის გამოყოფა (ნ. მარი, გ. მელიქიშვილი, გ. ბურჭულაძე). საქმე ის არის, რომ მორფოლოგიურად *ქართლისა* და *ქართველის* ერთმანეთზე დამოკიდებულება არ ვლინდება, მაშინ როცა ეტიმოლოგიურად მათ შორის კავშირი უეჭველია.[3] ისიც არსებითია, რომ ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით ორივე სახელი – როგორც *ქართლი* ასევე *ქართველი*, ორგვარი დატვირთვის შემცველია: ეროვნულ-პოლიტიკურისა და ტომობრივ-ეთნოგრაფიულის.[4] საბოლოოდ კი, თანამედროვე ენის დო-

---

[1] ბურჭულაძე, გ., დასახ. ნაშრომი.

[2] ბერძენიშვილი, ნ., *საქართველოს ისტორიის საკითხები*, VIII. თბ. 1990, გვ. 223-224; მუსხელიშვილი, დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 337; ბურჭულაძე, გ., დასახ. ნაშრომი.

[3] მუსხელიშვილი, დ., დასახ. ნაშრომი.

[4] მუსხელიშვილი, დ., დასახ. ნაშრომი; შეად. ბერძენიშვილი, ნ., დასახ. ნაშრომი. გვ. 257-258.

ნეზე, ეროვნულ-პოლიტიკური შინაარსი *ქართველმა* შეინარჩუნა, ხოლო ტომობრივ-ეთნოგრაფიული – *ქართლმა*. აქედან კი ლოგიკურია ვივარაუდოთ *ქართ* ძირიდან ერთმანეთის დამოუკიდებლად ორი ლექსემის წარმოქმნა.

ლექსემა *ქართლ-ი* შეიძლება მიღებული იყოს, როგორც ა. შანიძე ვარაუდობს, *ქართ* ძირზე მრავლობითობის *-ნ* სუფიქსის დართვით (*ქართ-ნ-ი*), რომელსაც უნდა მოეცა *ქართ-ლ-ი*,[1] ან *ქართ* ძირზე წარმომავლობის *-ელ* სუფიქსის დართვით (*ქართ-ელ-ი*), რომელშიც ფუძისეული ა ხმოვანი (*ქართ*) იწვევს *ე* ხმოვ-ნის შეკუმშვას ანუ სინკოპეს: *ქართ-ელ-ი>ქართ-ლ-ი* (გ. ბურჭუ-ლაძე).[2]

ლექსემა *ქართვ-ელ-ი* შეიძლება მიღებულ იყოს, ნ. მარის ვარაუდით, მრავლობითობის არქაული *-ივ* სუფიქსით ნაწარმოები *ქართ-ივ-ი*,[3] ან გეოგრაფიულ სახელთა *-ევ* ან *-ავ* სუფიქსებით ნაწარმოები *ქართ-ევ-ი* ან *ქართ-ავ-ი* (შეადარე: *ბოსლ-ევ-ი, ცურტ-ავ-ი*) ფუძეებიდან.[4] ამ გზით მიღებულ ფუძეს უნდა დართვოდა წარმომავლობის *-ელ* სუფიქსი (*ქართ-ივ-ელ-ი //ქართ-ევ-ელ-ი //ქართ-ავ-ელ-ი*), რაც გამოიწვევდა *ვ* თანხმოვნის წინ მდგომი ხმოვნის შეკუმშვას და მივიღებდით ფორმას *ქართ-ვ-ელ-ი*. ზოგიერთ მკვლევარს (გ. ბურჭულაძე) ეჭვი შეაქვს *ქართ-ევ-ელ//ქართ-ავ-ელ* ფუძეებში *-ელ* სუფიქსის გავლენით *ე/ა* ხმოვნის შეკუმშვის შესაძლებლობაში, რადგანაც ფიქრობს, რომ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში ქართულ ენაში შეკუმშვა არ ხდება (*თელ-ავ-ელ-ი*,

---

[1] იხ. შანიძე, ა., *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, თბ. 1976, გვ. 53.

[2] ვფიქრობ, შეიძლება დავუშვათ, რომ *-ელ* სუფიქსის შეკუმშული ვარიანტი (*ლ*) დასტურდება ქართულ სიტყვათწარმოებაში: *თოვ-ლ-ი, ცრემ-ლ-ი*.

[3] იხ. Марр, Н., *Основные таблицы к грамматике дравнегрузинского языка с предворительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими*. СПБ. 1908, ст. 5.

[4] ბურჭულაძე, გ., დასახ. ნაშრომი.

მან-ავ-ელ-ი ყანჩ-ავ-ელ-ი) და ამჯობინებს დაუშვას, რომ აქაც ფუძისეული ხმოვანი უნდა იწვევდეს აფიქსისეულის სინკოპეს.[1]

ასე რომ, *ქართველ*-ისა და *ქართლ*-ის ძირეულ ფორმად *ქართ*-ი უნდა ვივარაუდოთ. ჩემი აზრით, *ქართ* ძირი მიმართებას უნდა ამყარებდეს ქართველთა ძველ აღმოსავლურ სახელწოდებებთან: vr.k-ān, waruč, gurg. ის ფონეტიკური სახესხვაობა, რასაც *ქართ* ძირი ამჟღავნებს მითითებულ ლექსემებთან (თავკიდური *ქ/გ*, ბოლოკიდური *თ/კ*), უნდა აიხსნას პარალელური ენობრივი ფორმების არსებობით ამ ეთნონიმის ფორმირების საწყის ეტაპზე, თუ საკუთრივ ქართული ენის წიაღში მომხდარი ფონეტიკურ-მორფოლოგიური გადასვლებით. *ქართ* ძირის ა ხმოვანი vr.k ფუძის vr. კომპლექსის სავარაუდო თავდაპირველი გახმოვანებაა.[2] *ქართ*-ის თავკიდური *ქ* ნაცვლად *გ*-სა (gurg) სავსებით კანონზომიერი ფონეტიკური მონაცვლეობაა და მას ახსნა არ სჭირდება.[3] აქ მხოლოდ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ არ უნდა

---

[1] ვფიქრობ, რომ მოყვანილი მაგალითები (*თელ-ავ-ელ-ი, მან-ავ-ელ-ი...*) თანამედროვე ქართულის დონეს შეესაბამება. ძველ ქართულში არაა მოულოდნელი, რომ *-ელ* სუფიქსს წინამავალი *-ევ/ავ* სუფიქსის ხმოვანი შეეკუმშა (*ძველი – რუსთველი*, თანამედროვე – *რუსთაველი*). დამოწმებული მაგალითების შემთხვევაში ამას ადასტურებს თანამედროვე *მან-ავ-ელ-ის* პარალელურად ალბათ უფრო ძველი წარმოშობის გვარების *მან-ვ-ელ-ი-ძ-ის* და *მან-ვ-ელ-ი-შვილ-ის* არსებობა, რომლებიც ასევე დადასტურებული *მან-ვ-ელ-ა-დან* უნდა მოდიოდეს. ამ უკანასკნელის პარალელურად *მან-ავ-ელ-ა-ც* გვხვდება (ღლონტი, ალ., *ქართველური საკუთარი სახელები*. თბ. 1986, გვ.157).

[2] შეად. წერეთელი, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[3] *გ-ქ-კ* (ისევე როგორც *ბ-ფ-პ*, რომლის მონაცვლეობის შესახებაც ამავე ძირიდან ნაწარმოებ ეთნონიმებში ქვემოთ გვექნება საუბარი) ე.წ. ჰომორგანული ხშული თანხმოვნების სამეულია, რომლის თითოეული წევრი ერთმანეთს ადვილად ენაცვლება (ეს თანხმოვნები ერთმანეთის მიმართ მონაცვლეა როგორც ერთი ენის ფარგლებში, ასევე განიცდიან თანხმოვანთმონაცვლეობის სისტემებრივ ფონეტიკურ ცვლილებას ამა თუ იმ ენაში სხვა ენასთან მიმართებით). ამასთან ერთად ეს სამეული მთელ რიგ ინდოევროპულ ენებში წყვილეულადაა წარმოდგენილი, რადგანაც მათში ჰომორგანული ხშული თანხმოვნები ორ-ორია (ახვლედიანი, გ., *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, თბ. 1949, გვ. 80, 186, 187,

ჩავთვალოთ *ქართ* ძირის *ქ* *გურ* სეგმენტის *გ* თავკიდურისაგან მიღებულ ფონეტიკურ გადაადგილებად და, მაშასადამე, ისტორიულად *ქართ* ძირის ჩამოყალიბება *გურგ*-ის ფორმირების შემდგომ ეტაპად არ უნდა წარმოვადგინოთ. მე მიმაჩნია, რომ კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება კონსტატირება მხოლოდ შემდეგი ფაქტისა: *ქარ* ძირი (ეთნონიმიდან *ქართ*) vr.(var) კომპლექსის ფონეტიკურად შესაძლებელი განვითარებაა, რასაც ისტორიულად ადასტურებს ძველ ინდურ vr.k ძირისაგან მომდინარე ახალ სპარსულში დამკვიდრებული gurg ძირი. აქვს *ქარ* ძირს უშუალო მიმართება *გურგ* ძირთან, თუ იგი vr. სეგმენტიდან მიღებული *გურგ*-ის პარალელური ბგერითი კომპლექსია? რომლის ფორმირებაა ისტორიულად უფრო ადრინდელი *ქართ*-ისა თუ *გურგ*-ისა? და სხვა ამგვარი კითხვები სხვა რიგის კვლევას მოითხოვს.

ასახსნელია *ქართ*-ის ბოლოკიდური *თ*. იგი იჭერს vark ძირში k-ს ადგილს, ხოლო gurg ძირში ბოლოკიდური g-ს ადგილს. ამ ძირის სწორედ ეს თანხმოვანი არის ცვალებადი სხვადასხვა ენის მონაცემების მიხედვით. იგი გვაძლევს სხვადასხვა თანხმოვანს: *კ(ვარკ)*, *ქ(ვირქ)*, *ჩ(ვარუჩ-ან)*, *შ(ვირშ-ან)*, *ჯ(გურჯ)*, *ზ(გურზ)*, ზოგჯერ კი სულ იკარგება (*ი-ბერ*, *ვერ-ია*). ამავე vr. ძირიდან ნაწარმოებ სხვა ეთნონიმებში vr.k ფუძის ბოლოკიდურ k-ს ნაცვლად, ისევე როგორც *ქართ*-ში, გვაქვს სწორედ *თ*: გავიხსენოთ *პართია*, *ქურთ-ი* და კიდევ მცირე აზიის ონომასტიკაში ცნობილი *კარდ-უ-ხი*. ასე რომ, ეს ბოლოკიდური *თ* არ ქმნის დაბრკოლებას იმისათვის, რომ *ქართ* ძირი ჩავთვალოთ იმავე ტოტემური სახელიდან მომდინარედ, რომლისგანაც წარმოიშვნენ ქართლის აღმნიშვნელი სხვა უცხოური სახელწოდებები.

195, 208, 216, 217, 237). ასე რომ, ქართულში *ქ*-ს დადასტურება შესატყვისი ინდოევროპული ძირის *გ*-სა და *კ*-ს აღგილას ფონეტიკურად კანონზომიერია.

ვფიქრობ, მაინც ახსნას მოითხოვს ამ ეთნონიმთა ჯგუფის ძირის ბოლოკიდური თანხმოვნის ამგვარი მონაცვლეობა. თუ ძველი ირანული *ვარკ* ძირის *კ*-ს შეცვლა საშუალო სპარსულში, პართულში და ახალ სპარსულში *ჩ (ვარუჩ), შ (ვირშ), გ (გურგ) თანხმოვნებად* იხსნება ირანულ ენათა ბგერათმონაცვლეობის კანონზომიერებით, რომლის ასევე კანონზომიერი მონაცვლეობაა *ჯ, ზ გურჯ, გურზ* ეთნონიმში, ამას ასევე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით სომხურში დადასტურებულ *ქ (ვირქ)*[1] და ქართულ *თ (ქართ)* თანხმოვნების შესახებ. ამ გარემოებაზე დაკვირვებამ შემდეგ თვალსაზრისამდე მიმიყვანა:

ქართლის ძველი სპარსული სახელწოდება vr.k-ān მიღებულია ძველი ინდური vŕ.kah ლექსემისაგან, რაც მგელს აღნიშნავს. vr.k-ān-ში vr.k ფუძე არაა მარტივი. იგი შედგება vr. ძირისა და k თანხმოვნისაგან, რომელიც ძველი ინდოევროპული სუფიქსის ნაშთია. საქმე ისაა, რომ მგლის სახელი ინდოევროპულ ენათა უძველეს დონეზე უკავშირდება ɣel ძირს. მას დაერთვის სუფიქსები -k$^{(h)}$- და -p$^{(h)}$-, რაც იძლევა მგლის სახელწოდების ორ განვითარებას ინდოევროპულ ენებში.[2] ინდოევროპული ɣel ძირი უკვე შეიცავს *დაგლეჯის, დაჭრის, მოკვლის* მნიშვნელობას, რასაც უკავშირდება მგლის სახელწოდება, რომელიც ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში იწარმოება ამ ძირიდან ზემოთ მითითებული სუფიქსების გარეშე.[3] ასე რომ, *ქართ* ეთნონიმში ჩანს მგლის ინდოევროპული სახელის მხოლოდ ძირი vr.(var), რომე-

---

[1] სომხურის *ქ (ვირქ)* შეიძლებოდა ძველ სპარსულში დადასტურებულ *კ* თანხმოვნის (*ვარკ*) ფონეტიკურ მონაცვლეობად ჩაგვეთვალა. მაგრამ სომხურშივე დადასტურებული *ვერ-ია* გვაფიქრებინებს, რომ სომხურში ეს ეთნონიმი იწარმოება არა vr.k, არამედ vr. ძირიდან (*ვერ-ია, ვირ-ქ*). ამიტომაც ალბათ უფრო სარწმუნოა, *ქ* ვირქ ფორმაში მრავლობითობის სომხურ სუფიქსად მივიჩნიოთ.

[2] Гамкрелидзе, Т., Иванов, В., *Индоевропейский язык и индоевропейцы*, II, ст. 492.

[3] „Сюда же следует отнести арм. gayl с закономерным отсутсвием конечного -p$^{(h)}$"(Гамкрелидзе, Т., Иванов, В., ст. 492).

ლიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონეტიკურად გადადის *ქარ* ძირში, მასზე დართული ინდოევროპული სუფიქსის -k$^{(h)e}$- (vf.kah), ან მისი -k- ნაშთის (var-k-ān) გარეშე. მაშასადამე, *ქართ* ეთნონიმი შეიძლება დაიშალოს *ქარ* ძირად და *თ* მაწარმოებლად. ეს უკანასკნელი კი უნდა იყოს გეოგრაფიულ სახელთა *-ეთ* ან *-თა* სუფიქსების ნაშთი. ამ ვარაუდს განამტკიცებს, ერთის მხრივ, ქართულ ტოპონიმთა მონაცემებიც: ქართულში არ დასტურდება *ქართ*, როგორც ტოპონიმური სახელების ძირი (ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ ასახსნელ სახელებს *ქართლი* და *ქართველი*), მაშინ, როცა დასტურდება *ქარ* ძირი (*ქარ-ელ-ი*).[1] მეორეს მხრივ, საქართველოს აღმნიშვნელი სომხური ეთნონიმი *ვირქ* ანალოგიურ წარმოებას გვიჩვენებს: იმავე ინდოევროპულ ძირზე *ვირ* დართულია სომხური მრავლობითობის სუფიქსი *-ქ*. როგორც ცნობილია, სომხური მრავლობითობის *-ქ* შეესატყვისება სწორედ ქართული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ *-ეთ* სუფიქსს.[2] მაშასადამე, *ქართ* ეთნონიმი მიღებული ჩანს მგლის მნიშვნელობის შემცველი უძველესი ინდოევროპული ძირის vr.(var) სპეციფიკური, თუმცა კანონზომიერი ნაირსახეობის (*ქარ*) ქართული *-ეთ* ან *-თა* სუფიქსით გაფორმების გზით:

---

[1] ქართული *ქარ* და მისი კანონზომიერი შესატყვისი სვანური *ქარ* ძირის სახით გამოიყოფა ქართველურ პირთა სახელებშიც: *ქარბე, ქარდაყან, ქარიესა, ქარიმ, ქარიმან, ქარიმშა, ქარობი, ქაროზი, ქაროსან, ქარსელ, ქარუმ, ქარჩა* (მამაკაცთა სახელები); *ქაროზი, ქარუშკი, ქარჩა, ქარჩია* და სხვ. (ქალთა სახელები) (იხ. ღლონტი, ალ., *ქართველური საკუთარი სახელები*, გვ. 205, 304). *ქარ* ძირის გამოყოფა შესაძლებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტოპონიმებშიც: *ქარსანი, ქარაბმა, ქარტა, ქართიაი, ნაქარგალი, ნაქარჩუ, ნაქართუ, საქარია, საქარასყელი, საქარნო, საქარდო* და სხვ. (იხ. ღლონტი, ალ., *მცხეთის ტოპონიმია*. თბ. 1975; *ფრონეების ხეობის ტოპონიმია*. თბ. 1988; *სუფსა-ნატანების ხეობები*. თბ. 1993; ითონიშვილი, ვ., *ხევის ტოპონიმიკა*. თბ. 1971).

[2] შანიძე, ა., *ქართული გრამატიკის საფუძვლები*, თბ. 1953, გვ. 140.

ა) *ქარ-ეთ*-ისაგან *ქართ*-ი უნდა მიგვეღო ფუძის შეკუმშვით, ერთის მხრივ, *-ელ* და მეორეს მხრივ, *-ევ/ავ/ივ* სუფიქსებით გაფორმების დროს: **ქარ-ეთ-ელ-ი*>**ქარ-თ-ელ-ი*> *ქართლ-ი*.

ბ) *ქარ-თა* (შეადარე: *გოგოლაურ-თა*, ჩხიკვ-თა, გურიან-თა) იმავე *-ელ* ან *-ევ/ავ/ივ* სუფიქსების დართვისას ა ხმოვნის მოკვეცით მოგვცემს *ქართ* ფუძეს: **ქარ-თა-ელ-ი* >**ქარ-თ-ელ-ი* > *ქართლი*.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სხვა ქართველურ ენათა მონაცემებიც. მეგრულისა და ლაზურის *ქორთუ* ქართულის *ქართელ* ფუძეს შეესატყვისება: როგორც შენიშნულია,[1] ზანური *-უ* სუფიქსი ქართულის *-ელ* სუფიქსის ტრანსფორმაციაა. ზანურის *ქორთ ძირი* კი *ქართ*-ის კანონზომიერი შესატყვისია. ამიტომ ინარჩუნებს *ქორთუ ქარეთ* (*ქართა*) გეოგრაფიული სახელისგან *-ელ* წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები სახელის **ქართელის* ანუ დღევანდელი *ქართველის* მნიშვნელობას.[2]

ამრიგად, ჩემი თვალსაზრისით, ქართველთა თვითსახელწოდება შემცველია *ქარ ძირისა*, რომელიც კანონზომიერი ნაირსახეობაა მგლის აღმნიშვნელი უძველესი ინდური ლექსემის vr.(var) *ძირისა*. ამ უკანასკნელისაგან მომდინარეობს ქართველთა უცხოური სახელწოდებებიც: *ძველი სპარსული ვრკან* (*ვარკან*), *ბერძნული ჰირკანია* და *იბერია*, *პართული ვირშან*, *სომხური ვირქ*, *ვერია*, *საშუალო სპარსული ვარუჩან*, *ახალი სპარსული გურგ*, *გურგან* (და მათგან ნაწარმოები სირიული, არაბული, ევროპული და რუსული სახელწოდებები). ეთნონიმთა ეს მრავალსახეობა

---

[1] გამყრელიძე, თ., მაჭავარიანი, გ., *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*. თბ. 1965, გვ. 89-93.

[2] სხვა შემთხვევაში (ე. ი. თუ ზემოთ წარმოდგენილ თვალსაზრისს უგულვებელვყოფთ) ზანურის *ქორთუ*-ს მიმართება ქართულ *ქართველ*-თან ერთგვარად გაუგებარია. ამ ორი ფუძის მიმართებაზე წერდა გ. კლიმოვი: «Основа обнаруживает неясное соотношение груз. -el с занск. -u». (*Этимологический словарь*... ст. 196)

მკვეთრად მიემართება მგლის უძველეს ინდურ ტოტემურ სახელს.[1]

ქართველურ ტომთა თვითსახელწოდებების ურთიერთმიმართებისათვის

ზემოთ ჩამოყალიბებული დებულებების შემდგომი ინტერპრეტირებისას, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ორიოდე გარემოებას.

რა მიმართებას ამყარებს ქართველთა თვითსახელწოდების *ქართ* ფუძესთან სხვა ქართველური ეთნოჯგუფების სახელწოდებები? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისტორიული საქართველოს დანარჩენი კუთხეების სახელწოდებები ამყარებენ თუ არა

---

[1] ისმის კითხვა: თუ მგლის ტოტემური სახელი ქართულში ტრანსფორმირდება *ქარ* ფუძედ, რატომ ქართული სიტყვა *მგელი* იმავე ფუძისგან არაა ნაწარმოები? ამ გარემოებას სხვადასხვაგვარი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ვარაუდობენ, რომ მგლის ტოტემური სახელი თავისი ფუნქციით საკრალური იყო, რამაც მთელ რიგ ხალხებსა და ტომებში მისი ტაბუირება გამოიწვია, რასაც მოჰყვა მგლის აღმნიშვნელი ახალი ევფემიური სიტყვების წარმოქმნა (Гамкрелидзе, Т., Иванов, В., დასახ. ნაშრომი, გვ. 494). ამაზე დაყრდნობით ხსნიან ქართულში ინდოევროპული წარმოშობის სიტყვის გაჩენას (ქართ.: *მგელ-ი*, მეგრ.: *გერ-ი*) და მის სომხურიდან (gayl – *მგელი*) მომდინარეობას ვარაუდობენ (Гамкрелидзе, Т., Иванов, В., დასახ. ნაშრომი, გვ. 496).

ჩემი აზრით, *მგელ* ლექსემის ინდოევროპულთან არსებული მიმართების ასახსნელად მისი სომხურიდან ნასესხობის დაშვება არაა სავალდებულო. ეს ძირი (გლ//გრ) ქართველურ ენებში და დიალექტებში, როგორც დავინახეთ, არსებობს ეთნონიმების, ტოპონიმების და ჰიდრონიმების სახით, თანაც მისი სხვადასხვა ვარიაციული ფორმით: *ბრ, ვრ, სპრ, გრ, ქრ*. მისგან მომდინარე *ქართ* ფუძე ძალზე ძველია, იგი აღდგება საერთო ქართველურ დონეზე. ქართველურ ენებში, ისევე როგორც სხვა ენებში, მგლის აღმნიშვნელი ლექსემის დამკვიდრებისას თავისი როლი შეუსრულებია ტაბუირების კანონს: სვანურში დამკვიდრებულა (ფიქრობენ, ნასესხებიაო) *თხერე*, მეგრულში არსებული ძირის ვარიაცია მომხდარა – *გერ-ი*, ქართულში კი ამავე ძირის ვარიანტული სახესხვაობიდან არის წარმოქმნილი ახალი სიტყვა – *მ-გელ-ი*.

რაიმე მიმართებას მგლის ტოტემურ სახელთან, რომლისგანაც ნაწარმოებ ერთ-ერთ ვარიანტად მიმაჩნია მე – *ქართ-* ფუძე?

ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ვფიქრობ, რომ ქართველთა სხვადასხვა კუთხის სახელწოდებებიდან *სამეგრელო* და *გურია* ზემოთგანხილულ gur ძირთან შეიძლება ამყარებდეს კავშირს. როგორც ზემოთ მივუთითებდით, *ეგრ-ისისა* და *გურ-იის* შესაძლო ფონეტიკურ კავშირს საქართველოს უცხოურ სახელწოდებებთან ჯერ კიდევ იაფეტური თეორიის მიმდევრები ვარაუდობდნენ (ი. ყიფშიძე). მხოლოდ მათ ამოსავალ ფორმად *იბერ* ძირი მიაჩნდათ, დამოუკიდებლად *ეგრის* და *გურიისათვის*, ხოლო *იმერ* ძირის გზით სომხური და სპარსული ფორმებისათვის. ვფიქრობ, უფრო მეტად საგულვებელია ქართველთა უძველესი ტოტემური სახელის vr.k//grg ფუძისგან vr/gr კომპლექსის ძიება *ეგრ* და *გურ* ძირში. საქმე ისაა, რომ *ეგრისიც გურ(გერ)* ძირისგანაა ნაწარმოები. სამეგრელოს უძველეს სახელწოდებად ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებულია *ეგური*: „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქნა ყოველსა ქართლსა და *ეგურსა* ზედა“ (ლეონტი მროველი).[1] ძველ სომხურში სამეგრელოს სახელად დასტურდება *ე-გერ-ი* (*ქართლის ცხოვრების* ძველი სომხური თარგმანი,[2] ანონიმის *გეოგრაფია*[3]). ტერმინ *ე-გერ*-ის ძირი თანხვდება მეგრულ ენაზე სიტყვა მგელს (*გერ-ი*). ტოპონიმი *ეგური* კი დღეისათვის შემონახულია ჰიდრონიმში *ენგური*, რომლის ძველი ფორმა იყო *ეგური*: „სამხრეთით მდინარე, რიონი, გურია-ოდიშს შორის, და კუალად *ეგურის*

---

[1] *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 277.

[2] *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი* (ილ. აბულაძის თარგმანი და გამოცემა). თბ. 1953, გვ. 337-338; კახაძე, ო., „ტერმინი *ეგრისი*“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... ტერმინოლოგია*, გვ. 379.

[3] იხ. კაკაბაძე, ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა“ (ვახუშტი ბაგრატიონი).[1]

ამგვარად, „*ეგური* ტოპონიმია..., ქვეყნის სახელია და ნიშნავს *სამეგრელოს, დასავლეთ საქართველოს*“. ის მნიშვნელობით იგივეა, რაც ხმოვნის რედუქციით მისგანვე მომდინარე – შუალობით ან უშუალოდ – უფრო გვიანდელი *ეგრ-ი* (= *ეგურ-ი*) და ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოები – შედარებით მოგვიანო, თუმცა თავისთავად ძალიან ძველი – *ეგრ-ის-ი* (=*ეგრ+ის-ი*)“.[2] *ენგურ* ჰიდრონიმში *ნ* ხშულის წინ განვითარებული თანხმოვანია, რაც მეგრულისათვის დამახასიათებელია; „ხოლო ხმოვნები *ე/ი* nomina loci-ს მაწარმოებელი პრეფიქსებია“.[3] მაშასადამე, *გრ* ძირისაგან, რომელიც საერთოა ქართველთა უძველეს სახელწოდებებში, ნაწარმოებია კიდევ ერთი სახელი ქართველთა ეთნოსისა – *ეგური*. მოგვიანებით ამ ფუძისაგან იქნა შექმნილი შედარებით ახალი ტოპონიმები *ეგრისი* და *სამეგრელო*. სუფიქსი -*ისი* და პრეფიქს-სუფიქსი *სა-ო* ქართულ ენაში ტოპონიმების მაწარმოებელი ფლექსიებია.

იმავე ძირისაგანაა ნაწარმოები კიდევ ერთი ტოპონიმი დასავლეთ საქართველოში – *გურ-ია*. ამ შემთხვევაში, შესაძლე-

---

[1] *ქართლის ცხოვრება*, IV (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბ. 1973, გვ. 776.

[2] კახაძე, ო., „ტერმინი *ეგრისი*“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... ტერმინოლოგია*, გვ. 379.

[3] Кипшидзе, И., *Грамматика мингрельского (иверского) языка*, ст. 217-218. ჰიდრონიმ *ენგურის* პარალელურად დასტურდება ტოპონიმი *ინგირი*. ასე რომ, *ე* და *ი* მოყვანილ გეოგრაფიულ სახელებში პრეფიქსებია. სახელთა ოდენ ხმოვანთავსართული (კერძოდ *ე* და *ი* პრეფიქსებიანი) წარმოება საზოგადოდ დამახასიათებელი ყოფილა ზანურისთვისაც და ქართულისთვისაც (იხ. თოფურია, ვ., „ხმოვანთავსართული სახელები“: *შრომები*, III. თბ. 1979, გვ. 92-100). შეადარე: აფხაზურ ენაში *მეგრელთა* აღმნიშვნელი ეთნონიმი ნაწარმოებია *გრ (გურ, გერ)* ძირიდან ფუძისეული *ე* პრეფიქსის გარეშე. «resp. *wā* в составе племенных названий, напр., *a-qàrj-wā* „грузины“, *à-gr-wā*, „менгрелы“, букв. *„картские люди“, „герские или гурские люди“*» (Марр, Н., Избранные работы, V, ст. 189).

ბელია, რომ იმავე *გურ* ძირზე დართული იყოს ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი ეთნიკური სახელების მაწარმოებელი, -(i)ya სუფიქსი (შეადარე: Armina>Armin – (i)ya[1]); ანდა -an (vr.k-ān, waruč-ān, gurg-ān, gurz-ān) სუფიქსი (შეადარე: *გური-ანთა*).[2] ასე რომ, უფრო სავარაუდოა ტოპონიმ *გურიის გურ* ძირს მეზობელი კუთხის უძველესი სახელწოდების (*ეგური, ეგრისი*) *გურ* ძირთან ჰქონდეს კავშირი და იმ ტოტემური სახელისგან მომდინარეობდეს, რომლისგანაცაა ნაწარმოები ქართველთა სხვა სახელწოდებები; ვიდრე ის, რომ ამ ტოპონიმის (*გურია*) ახსნა სხვა სიტყვებთან მსგავსებით ვცადოთ.

თუ ქართველთა ეთნონიმის *ქართ* სეგმენტი პარალელური ენობრივი თუ დიალექტური ფორმაა ქართველთა უცხოურ სახელწოდებებში დამონმებული vr.k (ვარკ), br (ბერ) და grg (გურგ) ძირებისა, მაშინ თითქოსდა მოსალოდნელია ამ პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი მათგანის მაინც დადასტურება ძველ ქართულ გეოგრაფიულ სახელებში, ან კონსტატირება მათი არსებობისა, სანამ *ქართ* ძირიდან გაფორმებული ეთნონიმის დომინირება მოხდებოდა. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ამ ვარაუდსაც ადასტურებს. მკვლევართა მიერ ყურადღება აქვს მიქცეული იმ ფაქტს, რომ *ბერ*, როგორც ეთნონიმზე მიმათითებელი ტოპონიმიც და ჰიდრონიმიც, დასტურდება ქართულ საისტორიო წყაროებში:

ლეონტი მროველის ცნობით, „კახოს აღაშენა ჩელეთი... რომელსა *ბერ* ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა".[3] ამას უნდა

---

[1] იხ. წერეთელი, გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

[2] არც ისაა გამორიცხული, რომ *-ია* (გურია) დაბოლოება ქართული *-იან* სუფიქსის ნაშთი იყოს (შეადარე: *წაბლიანი* და სხვ.). მითუმეტეს, რომ *-ია* დაბოლოებიანი ადგილის სახელები დასავლეთ საქართველოში ბევრია: *მერ-ია, სა-მტრედ-ია, სა-თაფლ-ია, სა-ღორ-ია* და სხვ.

[3] *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 9.

დაემატოს ტოპონიმი *ვარიანი*, ჰიდრონიმი და ტოპონიმი *ვერე*;[1] ალბათ, *იორ*-იც, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ მკვლევარს *იბერ* ეთნონიმის ნაშთადაც მიაჩნია. *ბერ* ძირიდან რომ იწარმოებოდა ქართველთა თვითსახელწოდება, ჩემი აზრით, ამის კვალი უცხოურ წყაროებშიც არის შემონახული. იპოლიტე რომაელის (III ს.) *ქრონიკაში* (Διαμερισμός, 232) ერთ რეგიონში მაცხოვრებლებად მოიხსენიებიან *არმენები, იბერები* და *ბერანები* (sic!): „კაპადუკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები" (Ἀρμένιοι καὶ Ἴβερες καὶ Βηρανοί).[2] ვფიქრობთ, სწორია ამ პასაჟის ინტერპრეტატორი, რომელიც აქ დამოწმებულ ეთნონიმებს Ἴβερες καὶ Βηρανοί - ერთსა და იმავე ეთნოსზე მითითებად თვლის.[3]

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია *ბერ* ძირის დადასტურება ქართველური ტომის, *სპერის* სახელში. ეთნონიმი *სპერ* ძალზე ძველია. იგი, როგორც მივუთითებდით, დამოწმებულია უძველეს ბერძნულ საისტორიო წყაროებში (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი და სტრაბონი) და ს. ჯანაშია ტოპონიმ *იბერიას სპერიდან* მიღებულად თვლიდა. ვფიქრობ, რომ *სპერ* ძირი *ბერ* სეგმენტის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია. *ბ//პ* მონაცვლეობის ახსნა მტკიცებას არ საჭიროებს, *სპ* ამ შემთხვევაში პ-ს ფონეტიკურ პარალელად მიმაჩნია (*სპარსი // Parsa).*

გამორიცხული არ არის *ჰერ*-ის (*ჰერეთი*) *ი-ბერ* ეთნონიმთან დაკავშირება, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ამტკიცებდა (ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე).

---

[1] თბილისის ერთი უბნის სახელი ვერე, XVIII საუკუნეებიდან მოღწეული წერილობითი ცნობების თანახმად, ქალაქის ბევრად უფრო დიდი ნაწილის საერთო სახელი იყო. (კვირკველია, თ., *ძველთბილისური დასახლებანი.* თბ. 1985, გვ. 102).

[2] *გეორგიკა*, I, (ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც.). თბ. 1961, გვ. 19.

[3] Bielmeier, R., დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ ყოველივე ზემოთქმულიდან? ქართველთა თვითსახელწოდების *ქართ* სეგმენტი მომდინარეობს მგლის აღმნიშვნელი ტოტემური სახელისგან. იგი სხვა ენობრივ თუ დიალექტურ გარემოში ფორმირებული ნაირსახეობაა იმავე ეთნონიმისა, რომელიც vr.kān ფორმით შემოუნახავს ძველ სპარსულ ენაზე დაცულ წყაროებს, Ὑρκανία – ძველ ბერძნულს, waručan – საშუალო სპარსულს, wiršan – ფალაურს, gurg, gurgan – ახალ სპარსულ და virk, veria – სომხურ წყაროებს. ქართველურ სამყაროში ადრინდელ ეტაპზე შესაძლებელია ჰქონოდა გავრცელება ზემოთ მითითებული ტოტემური სახელის *ბერ* ნაირსახეობიდან მომდინარე ეთნონიმს. ყოველ შემთხვევაში, იგი საისტორიო წყაროებში შემორჩა სატომო სახელად და ტოპონიმად, ჰიდრონიმად და ფონეტიკურად სახეცვლილ ეთნონიმადაც (*სპერი*). ქართულში დამკვიდრდა ამავე ტოტემური სახელიდან მომდინარე *ქარ* ძირი, რომლისგანაც უნდა წარმოებულიყო **ქარ-ეთ-ი*. *ქარეთ* ფუძეზე *-ელ* და *-ევ* (*-ავ -ივ*) სუფიქსების დართვით მივიღეთ: *ქართლი* (**ქართ-ელ-ი* < **ქარ-ეთ-ელ-ი*) და **ქართევ-ი*. ამ უკანასკნელიდან კი მომდინარეობს *ქართველი* (**ქართ-ევ-ელ-ი*). ქართულ სამყაროში უპოვია ასახვა ამავე ძირის მესამე ნაირსახეობასაც – *გურ* (*ე-გურ-ი; გურ-ია*).

ტერმინ *იბერიის* ინტერპრეტაციისათვის

ზემოთ ჩამოყალიბებული კონცეფცია კიდევ ერთ ინტერპრეტირებას საჭიროებს. რამდენადაც მე *ქართ* (*ქართლი*) და *იბერ* (*იბერია*) ფუძეების საერთო ძირიდან (ɣel // vr.) წარმომავლობას ვვარაუდობ, ვფიქრობ, პასუხის გაცემას მოითხოვს ქართველთა უცხოური სახელწოდების – *იბერიის* გავრცელების ზემოთ მითითებული ესოდენ ფართო არეალი.

უნდა დავიწყოთ იმის კონსტატირებით, რომ ტოპონიმ *იბერია*-ში *ი*, როგორც ამას ჯერ კიდევ ნ. მარი მიუთითებდა, შესაძლებელია მაწარმოებელი იყოს. გ. დეეტერსიც თვლის, რომ *ი-ბერ* ფორმაში *ი* ძირისეული არაა. მისი აზრით, vir-k-ის ლოკატიური ფორმით მიღებულია iviras, რაც იმ დროს გავრცელებული იტაციზმის მიხედვით გვაძლევს ფორმას Ἴβηρες. [1] არც ისაა გამორიცხული, რომ *იბერ* ძირი *ბერ*-ის ფონეტიკური ნაირსახეობა იყოს, სხვა ენობრივი თუ დიალექტური განვითარებისა. ყოველ შემთხვევაში *ვრკ* ძირი, რომელიც *ვარკ, ვირქ* ვარიანტებს იძლევა, ჰეროდოტესთან ეთნონიმ *ჰირკანია*-დაა დამოწმებული და ამაზე დაყრდნობით, როგორც დავინახეთ, ზოგი მკვლევარი *იბერია*-ს *ჰირკანი*-ისაგან მიღებულად თვლის. ქართულ ტოპონიმებში, ჰიდრონიმებსა და ეთნონიმებში შესაბამისი ფუძე, როგორც ზემოთ მივუთითეთ, *ბერ* ძირითაა წარმოდგენილი *(ბერ, ვერ, სპერ)*. მას უნდა დაემატოს ქართლის ძველი სომხური სახელი *ვერია*.[2]

მგლის აღმნიშვნელ ტოტემურ სახელს, როგორც ჩანს, ძალზე ფართო გავრცელება მიუღია. იგი თავის თავს ავლენს ბევრი თანამედროვე ხალხის ეთნონიმში. როგორც მივუთითებდით, ეს სახელი იძლევა სხვადასხვაგვარ ძირს: *ვრ* (*ვარკ, ვერ, ვირქ*), *ბრ* (*ბერ*), *ქრ* (*ქართ*), *გრ* (*გურგ, გურჯ, გურზ*). ამ ძირთაგან განსხვავებული ენობრივი თუ დიალექტური ვარიაციებით ვიღებთ სხვადასხვა ეთნონიმს, რომელთაგან ზოგჯერ რამდენიმე გამოჩნდება ერთი და იმავე ხალხის აღსანიშნავად სხვადასხვა ეპოქაში

---

[1] Deeters, G., *Der Name der Kaukasischen Iberer*, S. 85-86. იხ. ყაუხჩიშვილი, თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[2] *ვრ-ბრ* ძირების მონაცვლეობა განპირობებულია *ვ* და *ბ* ბაგისმიერ თანხმოვანთა ურთიერთ ჩანაცვლების ფონეტიკური კანონზომიერებით (იხ. ახვლედიანი, გ., *მოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, გვ. 228), რომელიც დასტურდება როგორც ერთი ენის ფარგლებში, ასევე ერთი ენის მთლიან სისტემაში სხვა ენასთან მიმართებით.

თუ სხვადასხვა ენობრივ დონეზე. ასეა თუ ისე, ზემოთ მითითებული ძირები ჩანს ევროპისა და მცირე აზიის ხალხთა ბევრ ეთნონიმში. განსაკუთრებით ფართო გავრცელება მიუღია *ბრ* ძირს და მის ფონეტიკურ ნაირსახეობებს: *ფრ, პრ* (*სპრ*): *ბრიტანია* (ლათ. Britannia),[1] *სა-ფრანგ-ეთ-ი* (ფრ. France), *სპარსეთი* (ლათ. Persae) და სხვა. იგივე ძირი ჩანს მცირე აზიის ძველ ხალხთა სახელებში: *პართია* (ლათ. Parthia), *ფრიგია* (ინგ. Phrygia) და სხვა. ფართოდაა გავრცელებული ამ ძირის *გრ* სახესხვაობაც: *გერმანია* (ლათ. Germania) და სხვა. *ქართ* ძირსაც ეძებნება შემთხვევითი თუ კანონზომიერი ფონეტიკური პარალელები: *ქურთ-ი- ქურთისტანი* (ინგ. Kurd, Kurdistan) და ანტიკური წყაროებით დამოწმებული *კარდუხი*.[2] შესაძლებელია მოყვანილი ფაქტების შემთხვევითობად მიჩნევა, ყურადღებას რომ არ იქცევდეს ერთი უფრო არსებითი გარემოება.

როგორც დავინახეთ, ქართველთა სახელწოდება სხვადასხვა ენაზე შექმნილია ზემოთ განხილული ტოტემური ძირის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტისგან. კერძოდ კი – *ვრ//ბრ* (*ი-ბერ; ვრკ-ან; ვერ-ია...*) და *ქრ//გრ* (*ქარ-თ; გურგ-ან; ე-გურ...*) ძირე-

---

[1] ტრადიციული ინტერპრეტაცია სიტყვა Britannia-ს ადგილობრივ წარმონაქმნად თვლის და მის ახსნას ცდილობს იბერების და გალების (კელტების) ენის საფუძველზე (Latham, R.G., „Origin of the Word Britannia". *A Dictionary of Greek and Roman Geography*. Edited by William Smith. (D.G.R.G.), vol. I. London 1878, p. 434.

[2] შდრ. Allen, W.E.D., *A History of the Georgian People*, London 1932, p.17. ამკარაა, რომ საისტორიო წყაროების *კარდ-უ-ხი* ასოცირდება დღეისათვის ცნობილი ეთნონიმების *ქართ* და *ქურთ* ძირებთან. არსებითად, სწორედ ამის საფუძველზე ხდება, რომ, ერთი მხრივ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კარდუხების ქართველთა მონათესავე ტომად მიჩნევის თაობაზე (Меликишвили, Г., *К истории древней Грузии*, ст. 107-108); მეორე მხრივ კი, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსები სპარსელთა მეფის დარიოსის მიერ ალექსანდრეს ლაშქრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყვანილ კარდუხებს შემდეგდროინდელ ქურთებად მიიჩნევენ (Duruy, V., *Histoire de la Grece ancienne*, 1874; იხ.: *Солон, Перикл, Александр Великий*, Киев 1992, ст. 153).

ბიდან. როგორც ჩანს, არც ეს მოვლენაა სპეციფიკური მხოლოდ ქართველთა მიმართ. ელინთა ტომს, რომელიც დამკვიდრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ქართველები უწოდებენ *ბერძნებს*, ხოლო ევროპელი ხალხები *გრიკებს* (ინგ. Greeks; ესპ.: griegos; რუს.: греки), რაც მომდინარეობს ლათინური Graecia-დან. მაშასადამე, ელინთა ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდება და ამ ხალხის სახელი სხვადასხვა სიბრტყეზე ინახავს ზემოთ განხილული ტოტემური ძირის ერთმანეთის მონაცვლე ორ კომპლექსს *ბრ* (*ბერძენი*)[1] და *გრ* (Graeci).[2] გერმანელი ტომების ერთ-ერთ

---

[1] *ბერძენ* ეთნონიმი ქართული ენის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლებში დასტურდება (*სახარების* ძველი რედაქციები). მასში შემონახული უნდა იყოს ეგეოსის ზღვის აუზში მცხოვრები რომელიღაც ძველი ხალხის სახელი. ამას გვაფიქრებინებს, ერთი მხრივ, ამ ეთნონიმის *ბერძ* ძირის *ბერ* სეგმენტი; და, მეორე მხრივ, კიდევ სხვა მნიშვნელოვანი გარემოება: ჩემი აზრით, *ბერძენ* ეთნონიმს უნდა ჰქონდეს გარკვეული მიმართება უძველეს ბერძნულ საისტორიო წყაროებში (ჰეროდოტე, *ისტორია*, I, 56-58; და სხვ.) დადასტურებულ *ბერ* ძირის ფონეტიკურად მონაცვლე *პელ* (*ბ-პ*; *რ-ლ*) ძირიდან ნაწარმოებ წინაბერძნული მოსახლეობის უმთავრესი ეთნიკური ერთეულის სახელთან: *პელასგები* – Πελ-ασγοί. ეს მიმართება მხოლოდ *ბერ* და *პელ* ძირების იდენტურობით არ ამოიწურება. *ბერ-ძ-ენის ძ პელ-ას-გის ს*-ს მონაცვლე უნდა იყოს. *ს//წ* ადვილი შესაძლებელია, რომ ქართულ ნიადაგზედაც გადასულიყო *ძ*-ში (*ბმე - საბძელი*). ამასვე გვაფიქრებინებს *ბერძენ* ფუძის გვერდით ქართულ გვარებში *ბერსენ* ფუძის დადასტურება (*ბერსენაძე*). შეადარე აგრეთვე: ერთ-ერთი დაღესტნური ტომის სახელი *ხუნ-წ-ი* ქართულში *ხუნ-ძ-ი* ფორმითაა დაცული (ჩიქობავა, არნ., ცერცვაძე, ილ., *ხუნძური ენა*, თბ. 1962, გვ. 1). *ბერძ-ენ-ის ენ*, წარმომობით დეტერმინანტი (იხ. ჩიქობავა, ა., *სახელის ფუძის აგებულება ქართველურ ენებში*, თბ. 1942), სატომო სახელების მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს (იხ. ჯანაშია, ს., *თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი*). და ბოლოს, Πελασγός, Πελασγίη, Πελασγιῶται, რომ გარკვეულ პერიოდში იმ ხალხის სახელადაც გამოიყენებოდა, რომელსაც დღეს ქართველები *ბერძნებს* უწოდებენ, ევროპელები – *Greeks*, ხოლო თვითონ თავიანთ ქვეყანას – *Ἑλλάς*. ამას *ძველი* ბერძნული წერილობითი ძეგლები აშკარად ადასტურებს (იხ. Liddel, H. G. and Scott, R., *A Greek-English Lexicon*, Oxford 1983, p. 1357).

[2] Graecia არის სახელი, რომელიც შეარქვეს რომაელებმა ქვეყანას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებდნენ Hellas. თავდაპირველად სიტყვა Hellas აღნიშნავდა პატარა რეგიონს თესალიაში (ჰომეროსი, *ილიადა*). თუ რა-

უძველეს გაერთიანებას მდ. რეინის ქვემო დინებაზე ერქვა ფრანკები (ლათ. Franci).[1] ამ რეგიონში *ბრ* (*ფრ*) ძირიდან ნაწარმოები უძველესი ეთნონიმის ფართო გავრცელებას ტოპონიმებიც ადასტურებს: *ფრანკფურტი, ბერლინი.*[2] ამ ძირის ეთნონიმს იმავე ხალხის სახელად სხვა სიბრტყეზე ენაცვლება *გრ* ძირისაგან ნაწარმოები ეთნონიმი: *გერმანები* (ლათ. Germaniae).[3] ერთი და

ტომ დაარქვეს ამ ქვეყანას რომაელებმა Graecia, პრობლემურია. ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ ფილიპე მაკედონელის ეპოქაში ჩანს ტომი Agraen-ებისა, რომლებსაც თანამედროვენი არ თვლიდნენ ელინებად (პოლიბიოსი). ყველაზე ადრინდელ ხსენებად სიტყვისა მიუთითებენ არისტოტელეს გადმოცემას იმის თაობაზე, რომ ელადის მიწებზე დოდონის მხარეში უძველეს პერიოდში ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც მაშინ უწოდებდნენ Graeci, ხოლო შემდეგ ეწოდა Hellenes (არისტოტელე, *მეტეოროლოგიკა*, I, 14). არისტოტელეს ამ მითითებიდან გამომდინარე ფიქრობენ, რომ სახელი Graeci უნდა ყოფილიყო უძველეს პერიოდში ელადის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხთა სახელი და იგი ნაცნობი უნდა ყოფილიყო დასავლეთით ზღვის მეორე ნაპირზე მცხოვრებ რომაელთათვის. ამიტომაც რომაელებმა ეს სახელი შემდეგ განავრცეს ელადის მთელ მოსახლეობაზე. თუმცა რომაელთა მიერ ელადის დაპყრობის შემდეგ, როცა ეს უკანასკნელი რომის იმპერიაში ერთ პროვინციად შევიდა, მას ოფიციალურად ეწოდებოდა სახელი *აქაია* (Achaia) და არა Graecia (Smith, W., *Graecia* : D.G.R.G., v. I, p.1010).

[1] Schmitz, L., *Franci:* D.G.R.G., v. I, p. 913.

[2] *ბერლინის* ეტიმოლოგია დადგენილი არ არის. ფიქრობენ, რომ ეს სახელი უფრო ძველია, ვიდრე ძველ გერმანიაში სლავური ჩამოსახლებების პერიოდი. ე.ი. მისი არსებობა ე.წ. გერმანიკული ტომების ჰეგემონიის ხანაშია სავარაუდო (*Berlin ABC - Geschichte, Politik, Wirtschaft, Kultur.* Berlin-München 1969, s. 798).

[3] სახელწოდებას *გერმანია* იცნობს როგორც ლათინური, ასევე ბერძნული სამყარო (ἡ Γερμανία) მისი ეტიმოლოგიის დადგენის სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ზოგი მას ლათინური ენის საფუძველზე ხსნის, ზოგიც საკუთრივ გერმანულის, სხვა კი კელტურის. სირთულეს ის ქმნის, რომ გერმანელები თავიანთ თავს ამ სახელით არ იცნობენ. გერმანული Deutsch უკავშირდება Teutsch-ს და გერმანელების ერთი ტომის, ტევტონების (Teutones) სახელისგანაა ნაწარმოები. იმ წყაროებიდან და თვალსაზრისებიდან, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან, ვფიქრობ, რომ დასმული პრობლემის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებანი: ა) ტაციტუსის (I-II საუკუნეები) გადმოცემით სახელწოდება *გერმანია* მოდის ერთი გერმანული ტომის

იმავე ხალხის ეთნონიმთა ამგვარ კანონზომიერ მონაცვლეობას ევროპის ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებზე დაკვირვებისას საინტერესო შედეგამდე მივყავართ. პირენეს ნახევარკუნძულზე იბერების გვერდით საისტორიო წყაროებში კელტები ჩნდებიან. ეს ხალხები ერთმანეთთან იმგვარ ახლობლობას ამჟღავნებდნენ, რომ მათ შერეულ თანაარსებობას ერთი ეთნიკური სახელითაც მოიხსენიებდნენ: *კელტიბერები* – Κελτίβηρες, Celtiberi (პოლიბიოსი, სტრაბონი, აპიანე და სხვ.).[1] ზოგჯერ კი ეს ორი სახელი თითქოს ერთმანეთსაც ფარავდა – თითოეული ცალ-ცალკე მთელ ესპანეთზე მითითებადაც გამოიყენებოდა.[2] ამავე დროს ბერძნების მიერ კელტებად (Κελτικοί) მოხსენიებულ ხალხებს რომაელები გალებად იცნობენ (Galliae). ამ ორი სახელით ერთ ეთნოსზე მითითებაში ძველ ისტორიკოსებს ეჭვი არ ეპარებოდათ (აპიანე, *იბერიკე*, I.1). ამიტომაც ჩნდება სახელწოდება Κελτογαλατία.[3] ასე რომ, ამ შემთხვევაშიც *ბრ* ძირიდან ნაწარმოებ ეთნონიმს (*ი-ბერ*) ენაცვლება *კლ//გლ* ძირიდან ნაწარმოები ეთნონიმები (*კელ-ტები; გალ-ები*).[4] *კლ//გლ* ძირი კი ჩვენ მიერ ზემოთ განხილული *ქრ//გრ*

უძველესი სახელიდან, შემდეგ ამ ტომს სხვა სახელი ეწოდა; ბ) ჰეროდოტე სპარსული მოდგმის ტომთა შორის ასახელებს *გერმანიებს* (ჰეროდოტე, *ისტორია*, I, 125). ამაზე დაყრდნობით ზოგი მკვლევარი ევროპელი გერმანელების სპარსული წარმოშობის თეორიას იცავს: სიტყვა *გერმან*-ის სპარსული ენის საფუძველზე განმარტებას ცდილობს და ძველ გერმანელთა და სპარსელთა ზნე-ჩვეულებების მსგავსებას იმოწმებს (იხ. Schmitz, L., „Germania", *D.G.R.G.*, v. I, p. 992-993).

[1] Smith, P., „Celtiberia": *D.G.R.G.*, I, p. 581.

[2] Bunbury, E. H., „Celtica": *D.G.R.G.*, I, p. 583.

[3] Long, G., „Gallia Transalpina": *D.G.R.G.*, I, p. 947.

[4] როგორც ჩანს, *გურ* ძირი *იბერ* ეთნონიმის *ბერ* ძირის მონაცვლედ დასავლეთშიც დამკვიდრებულა. ნ. მარის მითითებით, სახელწოდება *i-ber* დასავლეთში ცნობილია *li-* პრეფიქსით *li-gur*-ის სახით. «Баски, – წერს ნ. მარი, – пережиточно сохранили в себе доисторическое противопоставление... себя *иберам, лигурам* действительно населявшим в доисторические эпохи территории нынешних Франции и Испании» (Марр, Н., Избранные работы, т. V, ст. 123).

ძირის ფონეტიკური მონაცვლეა.[1] საგანგებო კვლევას მოითხოვს *ბრ* და *გრ* ძირთაგან ნაწარმოები ტოპონიმების მონაცვლეობა მცირე აზიის უძველეს ხალხთა სახელწოდებებში. [2] საკითხის დასმისთვის, ვფიქრობ, ზემოთ თქმული საკმარისია.[3]

მოტანილი ფაქტები შეიძლება ამგვარად შევაჯამოთ: ქართველთა თვითსახელწოდება და ბევრი სახელი, რომლითაც ამ ხალხს იცნობდნენ ძველი მეზობლები, უნდა მომდინარეობდეს *მგლის* აღმნიშვნელი უძველესი ტოტემური სახელიდან, რომელიც ინდოევროპულ ენებთან საერთო ძირზე დაიყვანება. თავის მხრივ კი ამავე ინდოევროპული ძირიდან შეიძლება იყოს მომ-

---

[1] *რ* და *ლ* სონორული თანხმოვნების ერთმანეთის მიმართ მონაცვლეობას საგანგებო მტკიცება არ სჭირდება (იხ. ახვლედიანი, გ., *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, გვ. 200- 202).

ჩვენ მიერ განხილული ტოტემური სახელის vr. ძირის ევროპის ისტორიული გეოგრაფიით ცნობილ ეთნონიმებში კლ//გლ ფორმით დადასტურებამ კიდევ ერთი ვარაუდის დაშვებამდე მიგვიყვანა: ხომ არ უნდა ჩავთვალოთ ასურული და ურარტული წყაროებით ცნობილი *კოლ-ხა//კულ-ხა* (კოლხეთი) ამავე vr. (ვრ, ბრ, ქრ, გრ) ძირის ფონეტიკური კანონზომიერებით მონაცვლე კლ კომპლექსზე დაყრდნობილ ეთნონიმად და აქედან გამომდინარე, *ე-გურ-ი* და *გურ-ია* მისგან მომდინარე ფუძეებად? მცირე აზიის ონომასტიკის ისტორიით დასტურდება ეთნონიმი თუ ტოპონიმი *კურიანი*. ურარტულ წყაროებში მოიხსენიება „ქვეყანა კურიანთა", რასაც ასურული წარწერებით – „გურიანის ოლქი" შეესატყვისება (გვეტაძე, ჯ., *„გურია-ს ეტიმოლოგიისათვის": საისტორიო კრებული*, VI, 1976, გვ. 166).

[2] ერთი და იმავე ქვეყნის ონომასტიკაში ორი ძირის – *ბრ* (*ფრ*) და *გრ* (*ქრ*) ძირების მონაცვლეობა დასტურდება მცირე აზიასთან დაკავშირებულ საისტორიო წყაროებშიც: ბერძნული წყაროების *ფრიგიის* ქვეყანაში დასტურდება *გორდ* ძირიდან ნაწარმოები ონომასტიკა, კერძოდ, დედაქალაქის, ქვეყნის მითიური ეპონიმის და მმართველთა დინასტიური სახელები (*გორდიონი, გორდიუსი*), რასაც ამ ქვეყნის დამაარსებელი მუშქების ერთ-ერთი ტომის, *კარდუხების* გავლენად მიიჩნევენ (Меликишвили, Г., *К истории...* ст. 408)

[3] *ბრ* და *გრ* ძირებიდან ნაწარმოები ტომთა სახელების ერთ სახელწოდებად შერწყმის ფაქტს ხედავს ნ. მარი *ბულ-გარ* ეთნონიმში: *„bul-ğar или bor-ğar* являются скрещенными двуплеменными названиями" (Марр, Н., Избранные работы, т. V, стр. 355).

დინარე ინდოევროპული მოდგმის ხალხთა ბევრი ეთნონიმი და ტოპონიმი, რაც მომავალ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

მგელი – ქართველურ ტომთა ტოტემი

მგლის ტოტემური სახელის გავრცელება ევროპისა და აზიის ფართო არეალზე და მისგან ეთნონიმებისა და ტოპონიმების მომდინარეობა მეცნიერებაში დადგენილი ფაქტია. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე.[1]

1. უძველეს ტრადიციაში მგლის კულტი საკრალურ ფუნქციას იძენს, რაც უპირატესად დაკავშირებულია ერთიანობის (ურთიერთკავშირის) და ყოვლისმცოდნეობის თვისებებთან. ამაზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოსალოდნელია ტაბუირება ამ საკრალური ტოტემური სახელისა და მის აღსანიშნავად ახალი სიტყვების ძიება. ამ გარემოებითაც ხსნიან თვით ინდოევროპულ ენობრივ არეალში *მგლის* აღმნიშვნელი ლექსემების სიმრავლეს.

2. სახელი *მგელი* გარდა ზემოთ მითითებული ძველი ინდურიდან მომდინარე ვარიანტისა (vŕ.kah) გვაძლევს სხვა სახეცვლილებასაც: ბერძნული λύκος, ძვ. სლავური vlīkŭ, ლიტვური vilkas, ალბანური ulk და სხვა. *მგელ* ტოტემის ამ სახელწოდებებიდან ნაწარმოებ ეთნონიმებსა და ტოპონიმებს ვხვდებით იტალიაში, ბალკანეთში, საბერძნეთში, ფრიგიაში, ძველ ირანში და სხვ.

3. არქეოლოგიური მონაცემებით მგლის გავრცელების კვალი ძალიან ფართო არეალზე შეინიშნება ჯერ კიდევ VIII-VII ათასწლეულებში ჩვ. წ. აღ-მდე. ეს ფართო არეალი მოიცავს საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილს, აღმოსავლეთ მცირე აზიას, ირანს, პალესტინას და ჩრდილოეთ ევროპას, კერძოდ, ინგლისს.

---

[1] იხ. Гамкрелидзе, Т., Иванов, В., დასახ. ნაშრომი, გვ. 492-497.

4. შენიშნულია ძალზე მნიშვნელოვანი პარალელები მგლის კულტისა ინდოევროპულ (ხეთური, ანტიკური ბერძნული, ბიზანტიური, გერმანული და სხვ.) და ქართველურ რიტუალურ და ეთნოგრაფიულ ტრადიციაში.

ქართველთა უძველესი რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენებით მგელი არის ტოტემი, უძველესი მითიური წინაპარი და მფარველი ტომისა. ამ წარმოდგენის ნაშთი ჩანს ისტორიულ გადმოცემებშიც იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე ვახტანგის (V საუკუნის მეორე ნახევარი) საბრძოლო მუზარადს ამშვენებდა მგლის თავის გამოსახულება, რის გამოც სპარსელებმა მას მეტსახელად *გორგასალი* (მგლისთავიანი) უწოდეს და თვალს მოჰკრავდნენ რა ბრძოლაში, თავზარდაცემულნი ყვიროდნენ: „მირიდეთ თავსა მგლისასა!".[1]

უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ქართველ ტომთა უძველეს რელიგიურ-მითოლოგიურ გადმოცემებს და საწესო გრაფიკულ ხელოვნებას შემოუნახავს მასალა, რის საფუძველზე მგელი ქართველურ ტომთა უძველესი ტოტემური ცხოველია (ვ. ბარდაველიძე). ამ წარმოდგენათა გამოსავლენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტი:[2]

სვანეთში შემონახულია სხვადასხვა სახის წმინდა დროშა, რომელიც სხვადასხვა თემს და საზოგადოებას ეკუთვნის. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დროშა სახელწოდებით *ლემი*, რაც ნიშნავს *ლომს*. იგი გრძელ მოვერცხლილ და მოოქვრილ შუბის ტარზე მიმაგრებული ძვირფასი აბრეშუმის ნაჭრისაგან შეკერილი ცხოველის ფორმის გარეკანია. თვალები,

---

[1] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა": *ქართლის ცხოვრება*, I, თბ. 1955, გვ.180.

[2] იხ. Бардавелидзе, В., *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён*. Тб. 1957, ст. 37-53.

ყურები, ცხვირის ნესტოები, ფეხები ვერცხლისფერი ზონარით და წითელი ნაჭრებით ან ყავისფერი ამონაქარგებით აქვს გაწყობილი. დროშა-ლომს წინ ღია ხახა აქვს, რომელშიც ედგმება ვერცხლის ყბა, კბილები და ენა. დროშის მოძრაობისას ეს გამოსახულება ჰაერით ივსება, იბერება და იღებს ცხოველის ფორმას. ეს ცხოველი კი, როგორც თავისი ფორმით, ასევე სვანების რწმენით და გადმოცემებით, არის მგელი. მას *ლემი* იმიტომ ეწოდება, რომ ლომივით ძლიერი და გამარჯვებულია.

სვანეთში დაცული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა გამოავლენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მგლისადმი. მგელს მიეწერება არაბუნებრივი ფიზიკური ძალა და მოხერხება, გონიერება და მხედველობა, შესაძლებლობა – იგრძნოს და ამოიცნოს მოვლენები, რომლებიც მისგან ძალიან შორს ხდება. მგელი მაგიურ ძალას ფლობს და ამ ძალას ადამიანთა სიკეთისათვის იყენებს, ეხმარება და მფარველობს მათ. ამიტომ ატარებენ სვანები მგლის კბილის ამულეტს ბოროტი სულების განსასხმელად. ცოცხლობს რწმენა, რომ მგლის ხორცის, ქონის შეჭმა ან დალევა მგლის ხორცის ან ძვლის ნახარშისა იცავს ადამიანს ავადმყოფობათაგან.

უფრო მეტიც – მგლის მოკვლა იყო აკრძალული, ხოლო ამ აკრძალვის საფუძველი იყო მგელთა მოდგმასთან ტოტემურ-ნათესაური კავშირი. ფიქსირებულია გადმოცემა იმის თაობაზე, რომ სვანმა მის მიერ შემთხვევით მოკლული მგელი დაიტირა და დამარხა, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი. როგორც ზემო, ასევე ქვემო სვანეთში დადასტურებულია მგლის, როგორც ტოტემური ცხოველის, მოკვლის რიტუალთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ნაშთი. ძალზე იშვიათი შემთხვევები მგლის მოკვლისა მთავრდებოდა მამაკაცთა თითქოსდა სადღესასწაულო პროცესიით, რომელსაც სათავეში ედგა მონადირე გრძელ ჯოკზე დამაგ-

რებული მის მიერ მოკლული მგლის ტყავით. პროცესია სიმღერით მიადგებოდა ყოველ სახლს. მონადირეს ყოველი ოჯახიდან აძლევდნენ ტყვიის წამალს, ან ტყვიას, რაც შეიძლება აიხსნას, როგორც თანამონაწილეობა ტოტემური ცხოველის მოკვლაში.

სხვადასხვა ქართველურ ტომთა ეთნოგრაფიული წარმოდგენებით დასტურდება, რომ მგლის, როგორც ტოტემური ცხოველის, საპატივცემულოდ დაწესებული იყო კალენდარული სადღესასწაულო დღეები: ამ დღეს აკრძალული იყო მუშაობა და სრულდებოდა სხვადასხვაგვარი მაგიური მოქმედებანი, წარმოითქმოდა შელოცვათა და დაწყევლათა ტექსტები, მგლებს მიერთმეოდა საწესო „სამგლე პორცია", ინთებოდა ჩირაღდნები და ა. შ. ქართველთა შორის ამ დღესასწაულს *მგელთ უქმი*, ან *მგელთ კვერაობა* ეწოდებოდა, სვანთა შორის კი – *თხერობა, ლითხარ* ან *თხერემი ლამპრობ*.

სვანური რელიგიური წარმოდგენები იცნობენ მგელთა მბრძანებელს, რომელსაც *მამბერი* ჰქვია. იგი შეუკრავდა ხახას მგლებს, როდესაც სვანთა მოქმედებით კმაყოფილი იყო, ხოლო როცა განრისხებული იყო მათზე, მგლებს მიუსევდა სვანების საქონელს.

ქართველურ ტომთა რელიგიური წარმოდგენები ადასტურებენ მგლის კულტის გადაცემას, გადატანას ძაღლზე. სვანეთში დაცული გადმოცემებით მათ ზოგიერთ ღვთაებას რამდენიმე მოშინაურებული მგელი ჰყავდა, რომლებიც უკვე ძაღლების სახელით მოიხსენიებიან. დიდ ღმერთსაც ჰყავდა თავისი მგლები, რომელთაც დიდი ღმერთის ძაღლები ეწოდებოდათ. დიდ ღმერთს სწორედ მგელი ჰყავს მიჩენილი დალის მცველად, რადგანაც ამ უკანასკნელს ღმერთი შვილის გაზრდის ნებას არ

რთავს.[1] მგლები-ძაღლები ხშირად მოიხსენიებიან სვანური წყევლის ფორმულებში. ღვთაებების (თუ ღვთის შვილთა) თანაშემწე და მათი ნების შემსრულებელ მგლებსა და ძაღლებზე წარმოდგენა ცოცხალია მთიულურ, გუდამაყრულ და ხევსურულ გადმოცემებში. ხევსურთა ადგილობრივი ღვთაებების ძაღლებს *მწევარნი* ეწოდებათ, ხოლო მთიულთა და გუდამაყრელთა იმავე ტიპის მგლებს – *ესაულები*. მწევარნი თავიანთი გარეგნობით ძაღლებისაგან განსხვავდებოდნენ თავიანთი დიდი ძალით, მტრის სისხლით შეღებილი ბრჭყალებით და ყელზე შემობმული ოქროს ჯაჭვით. მწევარნი წარმოადგენდნენ ღვთაებათა ლაშქარს, რომელიც მუდმივად მზად იყო ჭირში ჩავარდნილი ადამიანის დასახმარებლად და იბრძოდა ხევსურებთან ერთად მტრის წინააღმდეგ.

ტოტემ-მგლის თაყვანისცემის გადაზრდა ძაღლის კულტში ჩანს არა მარტო ქართველ მთიელთა რელიგიურ-ეთნოგრაფიულ გადმოცემებში, არამედ უძველესი ეპოქის არქეოლოგიურ მონაცემებშიც. ჩვენამდე მოღწეულ კოლხურ-ყუბანურ სპილენძის ცულებისა და ბალთების დეკორში გამოსახულია ფანტასტიურ ცხოველთა სიმრავლე, ლაშქარი, რომლებშიაც მკვლევარები ხედავენ ან ველურ ძაღლებს,[2] ან მგელ-ძაღლებს,[3] ან მგლებს[4] და ყველა შემთხვევაში მას უკავშირებენ ქართველთა უძველეს წარმოდგენას მგელზე, როგორც ტოტემზე.

---

[1] იხ. სვანური სიმღერა „დალი კლდეში მშობიარობს". *სვანური პოეზია*, (შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა). თბ. 1939, გვ. 269. იხ. აგრეთვე თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივის საქმე № 22135.

[2] Миллер, А., «Изображения собаки в древностях Кавказа»: *ИГАИМК*, т. II, Птр. 1922; Бардавелидзе, В., დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[3] Мещанинов, И., «Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа», *Зап. Вост. Одт. Русск. Арх. Общ.*, т. XXVI.

[4] Амиранашвили, Ш., *История грузинского искусства*, т. I, Мос. 1950, ст. 42-43.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია თრიალეთის ყორღანში ნაპოვნი ვერცხლის თასის (II ათასწლეული ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ზემო ფრიზის დეკორაციული კომპოზიცია: ტახტზე მჯდომი ანთროპომორფული ცენტრალური ფიგურა და მისკენ მიბრუნებული და მწყობრად განლაგებული იმავე ტიპის 22 ფიგურა. ვ. ბარდაველიძის დასკვნით, აქ წარმოდგენილია ქართველთა ღვთაებრივი პანთეონის საკულტო სცენა. როგორც ცენტრალური, ასევე მეორე რანგის ღვთაებანი განსახიერებულნი არიან ძაღლების სახით.[1] ეს კი იმავე უძველესი წარმოდგენის განვითარებაა, რომელიც საფუძველს მგლის ტოტემისაგან იღებს და ძაღლის კულტში გადაიზრდება.

ამას უნდა დაემატოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ქართულ მეტყველებაში ძალზე ფართო გავრცელება მოუპოვებია მგლისა და ძაღლის სახელებს, რაც ნათლად ჩანს ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში. ქართულ ენაში აღნუსხულია ძაღლთან დაკავშირებული 25 ფრაზეოლოგიური გამოთქმა („ძაღლის ბედი აქვს", „ძაღლის ერთგულება", „ძაღლის ნათრევი", „ძაღლის ყბა აქვს გამობმული" და სხვ.) და მგელთან დაკავშირებული 13 ფრაზეოლოგიური გამოთქმა („მგლის მუხლის მობმა", „მგლის სულის მოდენა", „მგლის თვალზე ნახვა", „მგლის ყურის გამობმა" და სხვ.). ისიც აღსანიშნავია, რომ მაგიური ძალის და მოქმედების სიტყვა-თქმანი მხოლოდ მგლის სახელთანაა დაკავშირებული („მგლის ქონის მოცხება" – მოჯადოება; „მგლის კოჭის დაწვა" – მაგიური ძალით შედეგის მიღწევა).[2]

ერთი სიტყვით, მგელი ქართველთა ტოტემია, რაც არაორაზროვნად დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის

---

[1] Бардавелидзе, В., დასახ. ნაშრომი, გვ.101-105.

[2] იხ. სახოკია, თ., *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*, ტ. II, თბ. 1954; ტ. III, თბ. 1955.

(ქართლი, კოლხეთი, სვანეთი, თრიალეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევსურეთი) არქეოლოგიური, წერილობითი, ეთნოგრაფიული, რელიგიურ-მითოლოგიური თუ ენობრივი მონაცემებით. ამ ტოტემური ცხოველის სახელად სხვადასხვა კუთხეში ჩანს როგორც ქართული *მგელ-ი*, ასევე სვანური *თხერ-ე* და მეგრული *გერ-ი*. ამავე მნიშვნელობის უფრო ძველი სახელი უნდა იყოს *ბერ-ი*. *მამბერი* (*მამა-ბერი*) სვანური რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემებით მგელთა მბრძანებელია. *ბერ* როგორც სახელი თუ ეპითეტი უძველესი ქართული ღვთაებისა აღდგება სხვა სიბრტყეზეც.[1] *ბრ* ძირის სემანტიკური ველი ქართულ ენაში ინარჩუნებს უძველესი წინაპრის, ტოტემის საკრალურ ნიშან-თვისებებს: ომისუნარიანობის – *ბრძოლის* (*ბრდღვნა, ბრჭყალი*); ყოვლისმცოდნეობის – *სიბრძნის*; ღვთაებასთან მიახლოვების – *სიბერის* მნიშვნელობებს. საინტერესოა, რომ ტოტემის უძველესი სახელის (*ბერ*) კანონზომიერ მონაცვლედ ქართულში დამკვიდრებული *გელ* (*მ-გელ-ი*, *გერ-ი*) ძირის სემანტიკური ველიც წარმოაჩენს წინაპარი ტოტემის ცხოველური (*გლეჯა*) და საკრალური (*გლოვა, გალობა*) ბუნებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობებს.[2]

მეთოდური შენიშვნები

ზემოთ ჩამოყალიბებული ვარაუდი ქართველთა თვითსახელწოდების ეტიმოლოგიაზე და ქართველთა უცხოური სახელწოდებებისა და ევროპის ზოგიერთ ხალხთა ეთნონიმის ერთ

---

[1] Бардавелидзе, В., დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[2] არაა მნიშვნელობას მოკლებული იმის აღნიშნვაც, რომ საქართველოში დღეისათვის აღნუსხული გვარებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია *ბერიძე*. პოპულარულია ამ ძირის სხვა ვარიანტებიც: *ბერიშვილი, ბერაძე, ბერაია, ბერაშვილი*. მას მოსდევს *გელაშვილი*, ამ ძირის სხვა გაფორმება – *გელაძე*-სთან ერთად (სილაგაძე, ა., თოთაძე, ა., *გვარ-სახელები საქართველოში*, 1997).

ტოტემურ სახელთან მიმართებაზე, უპირველეს ყოვლისა, ხალხთა წარმოშობის ისტორიისა და პრეისტორიის საკითხებზე გადაიტანს ჩვენს ყურადღებას. რატომ ემთხვევა ერთმანეთს *ქართლის* და კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე *გურგანის* ქვეყნის სახელწოდებები ძველ სპარსულ, საშუალო სპარსულ და ახალ სპარსულ ენებზე? ხომ არ ეხმიანება ჩვენი თეორია *ქართ*-ის ეტიმოლოგიაზე *მოქცევად ქართლისადში* დაცულ ცნობას ქართველთა პირველი მეფის, აზოს მიერ ქართლში *არიან ქართლიდან* დიდი ოჯახების გადმოსახლებაზე? რა კავშირშია ეს თვალსაზრისი ევროპისა და აზიის ხალხთა წარმოშობის ე. წ. არიულ თეორიასთან? რატომ ჩანს ზემოთ მითითებული ტოტემური ძირი გარდა ინდოევროპული ენების ოჯახის ხალხებისა ქართველური ენების მქონე ხალხთა ეთნონიმებშიც? აქვს თუ არა რაიმე მიმართება ჩვენ მიერ მითითებული *ბერ* ძირისაგან ნაწარმოები ეთნონიმების გავრცელების ესოდენ ფართო არეალს ნიკო მარისეული ოთხი ლინგვისტური ელემენტის თეორიის *ბერ* ელემენტთან.

დასმული კითხვები (და სხვა ამ ტიპის, ან უფრო კონკრეტული კიდევ მრავალი კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას), უკვე მიუთითებს, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი შეიძლება განიმარტოს საისტორიო წყაროების ფონზეც. მაგრამ ჩვენ საკითხის ამგვარი ინტერპრეტირების წინააღმდეგი ვართ; ყოველ შემთხვევაში – კვლევის ამ ეტაპზე. საქმე ის არის, რომ პრობლემის დასმის ამ დონეზე საჭიროა თავისთავად დაფიქსირდეს აღნიშნული ტოტემური სახელიდან ნაწარმოები ეთნონიმების ამგვარი წრის არსებობა, მიუხედავად იმისა, ეს ფაქტი ეთანხმება თუ ეწინააღმდეგება კონკრეტული ისტორიული წყაროების ინტერპრეტაციებს. ისტორიული წყაროების და პრეისტორიული გადმოცემების ინტერპრეტირებას თავისი სპეციფიკური სირთუ-

ლეები და წინააღმდეგობები ახასიათებს და ამ ბუნდოვან სირთულეებზე დაყრდნობით თეორიის ჩამოყალიბება არა საისტორიო სფეროში მეთოდურად არ მიმაჩნია გამართლებულად. მით უმეტეს, რომ ჩემი აზრით, ეთნონიმი ყველა შემთხვევაში არ მიუთითებს ხალხის გენეზისზე.[1] ზოგჯერ ხალხს მეზობელი ერები უნარჩუნებენ იმ ქვეყნის სახელს, რომელშიც ესა თუ ის ერი ჩასახლდა. ზოგჯერაც ხალხი შეინარჩუნებს იმ ქვეყნის სახელს, საიდანაც ისინი გამოვიდნენ, მიუხედავად იმისა, ეთნიკურად ჰქონდათ თუ არა ნათესაობა იმ ქვეყანასათან. სახელთა აღრევის სხვა ტიპის შემთხვევებიც შეიძლება არსებობდეს. ასე რომ, ზემოთ ჩამოყალიბებული თეორიის *დასასაბუთებლად* ან *უარსაყოფად* მისი ისტორიული მონაცემებით ინტერპრეტირება მეთოდურად არ მიმაჩნია გამართლებულად.

მნიშვნელოვანია ამ თეორიის ინტერპრეტირების მეორე – წმინდა ენათმეცნიერული ასპექტიც. ბუნებრივია, აღიძვრება ინტერესი თითოეული ეთნონიმის ჩამოყალიბების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ფონეტიკური სურათის აღდგენისა ამა თუ იმ ენისა თუ ენათა ჯგუფის დამახასიათებელი ბგერათმონაცვლეობის კანონების ფონზე. ამგვარი კვლევა მომავლის საქმეა.[2] კვლევის ამ ეტაპზე არსებითია ის გარემოება, რომ ერთი ტოტემური სახელწოდებიდან ჩემ მიერ მითითებული სხვადასხვა ძირის ეთნონიმის ჩამოყალიბება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემყარება ბგერათმონაცვლეობის საზოგადოდ აღიარებულ კანონებს; და, რაც უფრო

---

[1] შდრ.: ყაუხჩიშვილი, თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[2] კვლევის არეალში შემოტანილ ევროპულ ტოპონიმებში ამჯერად მხოლოდ ძირების ერთმანთთან სავარაუდო მიმართებებზე ვმსჯელობთ და აფიქსაციის დეტალებზე ყურადღებას არ ვამახვილებთ. საკითხის ამგვარი შესწავლა სცდება წინამდებარე კვლევის უშუალო ინტერესის სფეროს.

მეტად მნიშვნელოვანია, ეთნონიმთა ამგვარი მონაცვლეობის ისტორიულად დადასტურებულ ფაქტებს (*ვარკან – გურგან, იბერია – ვერია* და სხვ.).[1] მიუხედავად ამისა, არაა მოსალოდნელი, თითოეული ეთნონიმის ფორმირების ზუსტი კანონზომიერებების ძიება ყველა შემთხვევაში წარმატებით დამთავრდეს: ეთნონიმები ყალიბდებოდნენ სხვადასხვა ენობრივ თუ დიალექტურ გარემოში ისტორიულად ძალზე ხანგრძლივი ეპოქების მანძილზე; და ამას, როგორც ჩანს, თან ერთვოდა ტოტემურ სახელთა ტაბუირების და ტოტემური კულტის გადაცემის თუ გადაადგილების არაერთგვაროვანი ფაქტები.

ძირითადი დასკვნები

დასმული პრობლემის ჩვენეული კვლევა წარიმართა საკითხის ირგვლივ არსებული კონკრეტული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების ტრადიციული გზით, რამაც ჩვენ ახლებური ვარაუდის ფორმირებამდე მიგვიყვანა: ქართველი ხალხის

---

[1] საზოგადოდ, ბგერათგადაწევის თუ ბგერათა შერწყმის შესაძლო პროცესების არეალი საკმაოდ ფართოა; მათზე დაყრდნობით ჩვენი კვლევის სფეროში შემოსული ფონეტიკური მოვლენებიც შეიძლება აიხსნას. ასე მაგალითად, ნ. მარი *ბორბალ, გორგალ, გორგორა* ფუძეთა იგივეობაზე მითითებით ლაპარაკობდა ანტიპოდ ბგერათა გადანაცვლებაზე (Марр, Н., *Грамматика древнелитературного грузинского языка*, Л. 1925, стр. 020). ქ. ლომთათიძემ დაასაბუთა, რომ ქართველურ ენებში საკმაოდ გავრცელებულია (თუმცა მას არა აქვს სისტემური ხასიათი) უკანაენისმიერ და ფარინგალურ ხშულთა ლაბიალური კომპლექსების *ბ, ფ, პ* ხშულებად შერწყმის პროცესი (*ბ<გვ; ფ<ქვ; პ<კვ*) (ლომთათიძე, ქ., *კომპლექსთაგან მომდინარე ხშულები ქართველურ ენებში*, თბ. 1984). მიუხედავად ამისა, წინამდებარე მონოგრაფიაში ჩამოყალიბებული კონცეფციის საფუძვლად ჩვენ ვიღებთ ბგერათგადაწევის არა მხოლოდ შესაძლებელ ვარაუდებს, არამედ ამგვარი მონაცვლეობის ისტორიულად დადასტურებულ ფაქტებს (ქართველთა სახელწოდებების *ბრ//ვრ* და *ქრ//გრ* ძირებზე დაყრდნობას) და აქედან ვავლებთ პარალელს ზოგიერთი ევროპელი ხალხის სახელწოდებებში სხვადასხვა ქრონოლოგიურ და ენობრივ სიბრტყეზე გამოვლენილ ანალოგიურ მოვლენებთან.

თვითსახელწოდება (*ქართ-ლი, ქართ-ველი*) და თითქმის ყველა ძირითადი ეთნონიმი, რომლითაც ამ ხალხს, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს, იცნობენ მათი უძველესი მეზობლები (*ვარკან, ვარუჩან, ჰირკანია, იბერია, ვირქ, ვერია, გოგარენე, გურგანია, გურჯისტან, გეორგია, გრუზია*) შესაძლებელია მომდინარეობდეს ქართველურ ტომთა ტოტემის – მგლის სახელიდან, რომელიც ინდოევროპულთან საერთო ძირზე დაიყვანება (ụel: ძვ. ინდური vŕ.kah). ამ უკანასკნელიდან უნდა იყოს წარმოშობილი აგრეთვე ზოგიერთი ევროპელი ხალხის ეთნონიმიც.

საჭიროდ მიმაჩნია ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნების ასეთი თანმიმდევრობით წარმოდგენა:

I. როგორც დამტკიცებულია, მგლის ტოტემურ სახელს უძველეს ხალხთა მითოლოგიურ წარმოდგენებში საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ამ სახელის ერთგვარ ტაბუირებაში გადაიზარდა, რამაც გამოიწვია ტაბუირებული სახელის ნაცვლად იმავე მნიშვნელობით ახალი სახელების წარმოქმნა, რომლებიც იმავე ძირისაგან სხვაგვარი სუფიქსებით იწარმოება, ან ამ ძირის ერთგვარი მოდიფიცირებით მიიღება.

მგლის აღმნიშვნელი ტოტემური სახელისაგან მიღებულ იმ ეთნონიმთა წრეში, რომელიც საქართველოს უკავშირდება, გამოიყოფა ძირები, რომლებიც ერთმანეთისაგან კანონზომიერად გამომდინარეობენ, თუმცა ამ კანონზომიერებებს ზემოთ მითითებული რელიგიურ-მითოლოგიური ასპექტის გამო (ტოტემის საკრალური სახელის ტაბუირება) ყველა შემთხვევაში მარტივად და ხელშესახებად არ ამჟღავნებენ. ესენია: *ვრ* (*ვრკ, ვრჩ, ვერ-ია, ვრ-ქ*), *ბრ* (*ი-ბერ, სპერ*), *ქრ* (*ქრთ*), *გრ* (*გრგ, გრჯ, გრზ*).

II. მგლის ტოტემური სახელიდან მომდინარე ეთნონიმების ზემოთმითითებულ წრეში *ი-ბერ* ეთნონიმის მოთავსება საგანგებო

განმარტებას საჭიროებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ მეცნიერებს (ი. მარკვარტი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, გ. დეეტერსი და სხვ.), რომლებიც *ი-ბერ* ეთნონიმს უკავშირებენ ქართველთა სხვა ეთნონიმებს (*იმერ, მეგრ, გურია, ვირქ, ვერია*), მხოლოდ არა იაფეტიდოლოგიაში დაშვებულ საეჭვო ბგერათგადასვლებზე დაყრდნობით. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებანი: ა) *ი-ბერ*-ის მიმართება ქართულ *ი-მერ*-თან და სომხურ *ვერ-ია*-სთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს უკანასკნელი (*ვერ-ია*) კი *ვირქ*-თან ერთად აშკარად უკავშირდება ძველირანულ *ვრკ-ან*-ს და მის ბერძნულ ვარიანტს *ჰირკ-ანიას*. მაშასადამე, *ბერ* ძირიც ამ წრის ამოსავალ vr. კომპლექსიდან უნდა მომდინარეობდეს; ბ) *ი-ბერ*-ს ეძებნება პარალელი ქართველთა სხვა ეთნონიმის – *სპერ*-ის სახით (ს. ჯანაშია); გ) *ბერ* ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებული უძველესი ტოპონიმის სახელია: „*ბერ* ერქვა პირველშენებულსა კახეთისასა“ (ლეონტი მროველი); *ვერ-ე* – ძალზე პოპულარული ტოპონიმი და ჰიდრონიმია; *ვარიანი* – სოფლის სახელი. დ) *ბერ* ძირიდან ნაწარმოები ეთნონიმი აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში დასტურდება უძველესი საისტორიო წყაროებით: „კაპადუკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და *ბერანები*“ (იპოლიტე რომაელი).

III. ქართველთა ზემოთ მითითებულ ეთნონიმთა წრესთან პირველადაა დაკავშირებული *ქართ* ეთნონიმი. იგი, ჩემი აზრით, საქართველოს ძველირანული, საშუალო და ახალსპარსული სახელწოდებების (*ვარკ-ან, ვარუჩ-ან, გურგ-ან*) პარალელური ენობრივი ფორმაა. *ქართ* ფუძის *ქარ* სეგმენტის მიმართება ზემოთმითითებულ ეთნონიმებთან და მათ ძველინდურ საწყის ფორმასთან (vŕ.kah) დადგენილი და აღიარებული ფონეტიკური კანონზომიერებებით აიხსნება.

ასახსნელია *ქართ* ფუძის ბოლოკიდური *თ* თანხმოვნის წარმომავლობა. თუ ძველირანული *ვარკ* ძირის ბოლოკიდური *კ* საშუალო სპარსულ, პართულ, ახალ სპარსულ, სირიულ და არაბულ შესატყვის ეთნონიმებში კანონზომიერად გვაძლევს *ჩ, შ, გ, ზ* და *ჯ* თანხმოვნებს და ბგერათმონაცვლეობის გამოვლენილ კანონზომიერებებს ემორჩილება, ამას ვერ ვიტყვით *ქართ* ეთნონიმის *თ* ბოლოკიდურზე. იგი უნდა მივიჩნიოთ ან *ქართ* ძირის განუყოფელ ნაწილად, ხოლო ეს უკანასკნელი კი ჩაითვალოს ამ ტოტემური სახელის ტაბუირების გამო წარმოქმნილ განსხვავებულ ლექსემად, რის მაგალითებიც მგლის სახელწოდების მიმართ, როგორც შენიშნულია (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი) საკმაოდ მრავლად გვაქვს ინდოევროპულ ენებში (u̯lk$^{[h]o}$: ძვ. ინდ. vŕ.kah, ბერძ. λύκος, ძვ. სლავ. vlĭkŭ და სხვ. u̯lp$^{[h]}$: ხეთ. ulippana, გოთ. wulfs, ლათ. lupus და სხვ. u̯eit'-(n): ხეთ. u̯étna, ძვ. ისლან. vitnir და სხვ.); ან, რაც უფრო მეტად საგულვებელია, *ქარ* ძირზე დართული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი *ეთ*, ან ნაგენეტივარი წარმოების *თა* ქართული სუფიქსების ნაშთად.

ქართ ეთნონიმში *ქარ* ძირის გამოყოფის სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე გარემოება:

1) ინდოევროპულ ენათა ოჯახში *მგლის* აღმნიშვნელ საწყის ძირად აღდგება u̯el ძირი. მას დაერთვის სუფიქსები -k$^{[h]o}$ - და -p$^{[h]}$ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). სწორედ -k$^{[h]o}$ - სუფიქსის დართვით u̯l (u̯el) ძირზე არის მიღებული ძველი ინდური vŕ.kah, რაც ამოსავალი ფუძეა ძველირანულიდან მომდინარე ქართველთა ზემოთმითითებულ ეთნონიმთა ჯგუფისა. თუ დავუშვებთ, რომ *ქართ* ლექსემაში ძირისეულია *ქარ*, მაშინ გამოდის, რომ დასახელებული ინდოევროპული ძირის (vr.) კანონზომიერად მონაცვლე *ქარ* სეგმენტს ნაცვლად ინდოევროპული -k$^{[h]o}$ – სუფიქსისა ერთვის ტომობრივი და ეთნიკური სახელებიდან გეოგრაფიული

სახელების მაწარმოებელი ყველაზე არქაული ქართული *ეთ* სუფიქსი (*ჰერ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, ოვს-ეთ-ი*),[1] ან, რაც არ არის გამორიცხული, გეოგრაფიული სახელების ნაგენეტივარი წარმოების *თა* სუფიქსი (*გოგოლაურ-თა, ჩხიკვ-თა, გურიან-თა*). ამ სუფიქსის შემდგომი შეკუმშვის (ან შეკვეცის) შედეგად ვიღებთ *ქართ* ფუძეს. ამ შემთხვევაში *ქართ* ეთნონიმის ფორმირება ძველირანული vr.k ფუძისაგან დამოუკიდებლად უნდა ვიგულვოთ და არა ძველი ირანულიდან ახალ სპარსულზე გარდამავალ ეთნონიმთა რიგში (vr.kān, waručān, gurgān).

2) **ქარ-ეთ* ეთნონიმის მსგავსი კონსტრუქციისა ჩანს ქართლის ძველი სომხური სახელი *ვირ-ქ*, რომელშიც *ვირ* ძირია, ზემოთ მითითებული ინდოევროპული vr. კომპლექსიდან მომდინარე, ხოლო *-ქ* უნდა იყოს მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი. როგორც შენიშნულია, ქართული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ *-ეთ* სუფიქსს სომხურში მრავლობითობის *-ქ* შეესატყვისება (ა. შანიძე).

3) ქართლის ტერიტორიაზე დასტურდება *ქარ* ძირიდან ნაწარმოები ტოპონიმების არსებობა (*ქარ-ელ-ი*), რაც *ქართ* ფუძეში ძირისა და სუფიქსის გამოყოფას გვავარაუდებინებს. საგულისხმოა, რომ *ქარელის* გეოგრაფიულ არეალში არის სოფელი *ვარიანი*. ვფიქრობ, რომ ამ ტოპონიმში ქართველთა სახელწოდების საერთო ძირი (*ვრ, ბრ, გრ*) დასტურდება – *ვარ-იანი* (*ვარკან, ვერია*).

4) ქართველურ ენებში *მგლის* ინდოევროპული სახელი (ძვ. ინდური vŕ.kah) და ამ ძირის სპარსულენოვანი განვითარება (vr.k,

---

[1] გამოთქმულია ვარაუდი, რომ *-ეთ* სუფიქსიანი ქართველური წარმოშობის ტოპონიმები გვხვდება არამეული დამწერლობით შესრულებულ I საუკუნის ე. წ. არმაზის მონოლინგვაში (გიორგაძე, გ., „ტოპონიმები არმაზის ერთენოვან არამეულ წარწერაში": *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები*, I. 1991, გვ. 33-46).

wrč, grg) -k[h]o – სუფიქსისაგან მომდინარე ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეცილი ფორმით მკვიდრდება (ქართ. *მ-გელ-ი*, მეგრ. *გერ-ი*, სვან. *თხერე*). ამ მოვლენას მხარს უჭერს ქართულის მეზობელი ინდოევროპული ენის მონაცემიც (შეადარე სომხური gayl-მგელი).

5) ჩემი აზრით, ქართველთა თვითსახელწოდებების კიდევ ორი სახელი – *ე-გურ-ი* (*ე-გერ-ი*) და *გურ-ია* ამყარებს მიმართებას მგლის ტოტემური სახელის ან ქართველურ ენებში დადასტურებულ ფორმასთან (*გერ-ი*), ან ინდოევროპულ gurg ფუძესთან, მხოლოდ ამ შემთხვევაშიც ბოლოკიდური სუფიქსისეული თანხმოვნის მოკვეცით.

ეთნონიმი **ქარეთ-ი* გვაძლევს *ქართ* ფუძეს *ე* თანხმოვნის შეკუმშვით, რასაც იწვევს მასზე წარმომავლობის *-ელ* სუფიქსის და გეოგრაფიულ სახელთა *-ევ* ან *-ავ* სუფიქსების დართვა. როგორც ვარაუდობენ, *ქართ* ფუძისაგან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა მიღებული *ქართველი* და *ქართლი*:

**ქართ-ევ-ელ-ი // * ქართ-ავ-ელ-ი> ქართ-ვ-ელ-ი*

**ქართ-ელ-ი> ქართლ-ი*

ამ უკანასკნელ ვარაუდს მხარს უჭერს მეგრულისა და ლაზურის *ქორთუ*. ეს უკანასკნელი ქართული *ქართელ* ფუძის კანონზომიერი შესატყვისია; რადგანაც, როგორც შენიშნულია, ზანური *-უ* ქართული *-ელ* სუფიქსის ტრანსფორმაციაა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

IV. ქართველთა ეთნოსის ჩემ მიერ განხილული ეთნონიმები მომდინარეობენ ერთი ტოტემური სახელის ძირის (vr.) სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტიდან. კერძოდ კი, *ვრ//ბრ* (*ი-ბერ; ვრკ-ან; ვერ-ია...*) და *ქრ//გრ* (*ქარ-თ; გურგ-ან; ე-გურ...*) ძირებიდან. ამავე ტოტემური ძირის *ბრ* და *გრ* ფონეტიკური ვარიანტების ანალოგიური მონაცვლეობა ჩანს ზოგიერთი ევროპელი ხალხის სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ სახელწოდებებშიც. კერძოდ: ბრ და

გრ (ბერ-ძენ და გრ-იკ – *graeci*); ბრ//ფრ და გრ (ფრ-ანკ – *Franci* და გერ-მან – *Germaniae*); ბრ და კლ//გლ (ი-ბერ – *Iberi* და კელტ – *κελτική//გალ – Galliae*).

დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები

კაპადოკიელ წმინდა მამათა სადაურობისათვის*

ქართველ ხალხს თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მსოფლიო კულტურის ისტორიაში მრავალი კუთხით შეუტანია თავისი წვლილი. უპირველეს ყოვლის, ეს წვლილი გამოვლინდა განუმეორებელი ქართული ხელოვნების – ქართული მუსიკის, არქიტექტურის, ლიტერატურის შექმნით. ქართული ფენომენი თავისი მიმზიდველობით ყველაზე მეტად კახური მრავალჟამიერის, გურული კრიმანჭულის და *შენ ხარ ვენახის* გალობაში აჟღერდა, მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის კონტურებში გამოინაკვთა, დავით აღმაშენებლის *გალობანი სინანულისანში* და რუსთაველის *ვეფხისტყაოსანში* ამეტყველდა. ამასთან ერთად, ქართველ ხალხს უშუალოდ ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ფორმირებაშიც მიუღია მონაწილეობა. შუა საუკუნეებში საქართველო მსოფლიო კულტურას უპირატესად ბერძნული ენის, ბიზანტიური სასულიერო მწერლობის გზით უკავშირდებოდა. ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნილი ზოგი ლიტერატურული ძეგლი შემდგომში ევროპული ქრისტიანული ლიტერატურის შედევრად ქცეულა. შეიძლება დავასახელოთ ქართული *ბალავარიანი*, ევროპაში *ვარლაამ და იოასაფის ისტორიის* სახელით ცნობილი ქრისტიანული ნოველა. ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს ბერძნულ ენაზე შეუქმნია ქრისტიანული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი. მაგალითად – გრიგოლ ბაკურიანისძის *პეტრიწონის მონასტრის წესდება*. ზოგიერთი

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში *ჯვარი ვაზისა* (N3, 1992 წ.)

ბერძენი მწერალი კი ეროვნული წარმოშობით ქართველი ყოფილა. ამ მიმართულებით ევროპული კულტურის ისტორია ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს. დიდი ბიზანტიური სასულიერო მწერლობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ფორმირებაში, არ არის მხოლოდ ბერძენი ხალხის შექმნილი. ამ დიდ ლიტერატურას ბერძნულ ენაზე ქმნიდა სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იყვნენ გაერთიანებული ბიზანტიის დიდ იმპერიაში. ასე მაგალითად, ბრწყინვალე ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი რომანოს მელოდოსი სირიელი იყო (წარმოშობით ებრაელი), ხოლო ქრისტიანული მართლმადიდებლური დოგმატიკის ერთერთი დიდი ფუძემდებელი იოანე დამასკელი არაბი იყო. სავარაუდებელია, რომ ბიზანტიის კულტურულ პროცესში გარკვეული წვლილი იყოს ეროვნული წარმოშობით ქართველი მოღვაწეებისა. საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერიაში შემავალ პონტოსა და კაპადოკიის პროვინციებში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური წარმოშობის ტომები – კოლხები, მესხები, ჭანები, ტიბერენები, ხალიბები, მაკრონები, მოსინიკები და ა. შ. გარდა ამისა, მთელი დასავლეთ საქართველო X საუკუნემდე ბიზანტიის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ ამ ქართველური რაიონების მოსახლეობა თავისი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის სარბიელს ბიზანტიის იმპერიაში ხედავდა. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს – იბერიის ანუ ქართლის ერთადერთი ერთმორწმუნე კულტურული მეზობელი სწორედ ბიზანტია იყო, რომლისკენაც, ბუნებრივია, ქართველები მიისწრაფოდნენ განათლების მისაღებად თუ პოლიტიკურ-კულტურული მოღვაწეობისათვის. ქართველი ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ტრადიციით ზოგი ბიზანტიელი მოღვაწე

ახლობელ, ნათესავ, მშობლიურ პიროვნებადაა ჩათვლილი. ამ ტრადიციამ მომცა სტიმული იმისა, რომ შემესწავლა IV საუკუნის დიდი ბიზანტიელი მწერლების – კაპადოკიელი წმინდა მამების ბიოგრაფიების ჩვენამდე ბერძნულ და ქართულ ენაზე მოღწეული პირველწყაროები, რის საფუძველზე 1962 წელს ჩემ მიერ წამოყენებული იყო ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები – ხორციელი ძმები ბასილ დიდი და გრიგოლ ნოსელი ეროვნული წარმოშობით ქართველური ტომების წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ. ეს თვალსაზრისი გამოქვეყნდა ჩემი დიდი მასწავლებლის ბატონ კორნელი კეკელიძის წარდგინებით.[1] ჩემი არგუმენტაცია 1965 წელს გაიზიარა პროფესორმა გიორგი გოზალიშვილმა და თავის მხრივ გამოთქვა ვარაუდი, რომ ასევე ქართული წარმოშობის უნდა იყოს მესამე დიდი კაპადოკიელი წმინდა მამა, ბასილის უახლოესი მეგობარი, გრიგოლ ღვთისმეტყველი.[2]

IV საუკუნის II ნახევრის დასაწყისიდან ქრისტიანულ ეკლესიას დიდ ბურჯად მოევლინა სამი დიდი კაპადოკიელი წმინდა მამა: ბასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი. ქრისტოლოგიის ისტორიაში მათი მოძღვრება განეკუთვნება ე. წ. ნეოალექსანდრიულ თეოლოგიურ სკოლას. კერძოდ, მათ გააგრძელეს და თავის უმაღლეს განვითარებამდე მიიყვანეს ქრისტიანული ღვთისმეტყველების წმინდა ათანასე ალექსანდრიელის ხაზი. მათი პრაქტიკული საეკლესიო მოღვაწეობა მიმართული იყო არიანობის წინააღმდეგ და ემსახურებოდა ნიკეის საეკლესიო კრების მიერ აღიარებული რწმენის სიმბოლო-

---

[1] ხინთიბიძე, ე., „ბასილი დიდის სადაურობისათვის": *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 1962, #3.

[2] გოზალიშვილი, გ., *ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან.* თბ. 1965.

ების განმტკიცებას. მათი, როგორც ქრისტოლოგების, მისტიკური ჭვრეტა მიეძღვნა სამების ერთარსების დოგმატის ორთოდოქსული არსის შეცნობას. მათ წვლილად თეოლოგიის განვითარებაში მიჩნეულია ელინიზმისა და ქრისტიანობის მიმართების პრობლემის გადაწყვეტა და ისეთი სამონასტრო სისტემის დამკვიდრება, რომელსაც ჰქონდა განუწყვეტელი თანამშრომლობა მსოფლიო ეკლესიასთან. ამ კაპადოკიელ დიდ წმინდა მამებს აერთიანებდათ საერთო სულიერი და გონებრივი ინტერესები, ისევე როგორც მტკიცე მეგობრული და ნათესაური კავშირები. თითოეული მათგანი იყო თავისთავადი პიროვნება. ბასილი მიჩნეულია დიდ პრაქტიკულად მოქმედ მოღვაწედ, გრიგოლ ნაზიანზელი – დიდ ორატორად, ხოლო გრიგოლ ნოსელი – დიდ თეოლოგად.

ამ სამი კაპადოკიელი მამიდან ერთადერთია წმ. ბასილი, რომელმაც ბიზანტიის საეკლესიო ტრადიციით დაიმკვიდრა სახელი „დიდი“. ამ წოდებას იმსახურებს იგი, როგორც ორგანიზატორი საეკლესიო სისტემის, განმმარტებელი ქრისტიანული დოქტრინის, დამცველი ორთოდოქსული დოგმატის, რეფორმატორი და მამა აღმოსავლური სამონასტრო სისტემისა.

ბასილის მეგობარი წმ. გრიგოლ ნაზიანზელი ამჯობინებდა წყნარ მჭვრეტელობით მოღვაწეობას, ერთმანეთთან აკავშირებდა ასკეტურ ღვთისმოსაობას და ლიტერატურულ საქმიანობას. იგი მიჩნეულია ძველი ქრისტიანობის ერთ-ერთ უდიდეს ორატორად, რის გამოც ბიზანტიაში მას დიდხანს უწოდებდნენ – „ქრისტიან დემოსთენეს“, თუმცა საბოლოოდ მაინც დაუმკვიდრდა სხვა და უფრო დიდებული ზედწოდება „ღვთისმეტყველი“.

წმ. გრიგოლ ნოსელი არ ყოფილა ისე ბრწყინვალე ადმინისტრატორი და სამონასტრო კანონმდებელი, როგორიც იყო წმინდა ბასილი. იგი წმინდა გრიგოლისაგან განსხვავებით არ

ყოფილა არც მიმზიდველი ორატორი და პოეტი. მაგრამ როგორც თეოლოგი და მისტიკოსი იგი ამ სამი დიდი კაპადოკიელიდან ყველაზე მეტად იყო ღვთაებრივი მადლით ცხებული.

წმ. ბასილ დიდი დაიბადა 329 თუ 330 წელს კაპადოკიის ქალაქ კესარიაში ძველ დიდგვაროვანთა დიდებულ ოჯახში, რომელიც განთქმული იყო აგრეთვე თავისი ქრისტიანული სულისკვეთებითაც. მისი დიდედა იყო ცნობილი წმინდანი მაკრინა, წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის მოწაფე. წმ. ბასილის მამა, ისიც სახელად ბასილი – წმ. მაკრინას ვაჟიშვილი რიტორიკის ცნობილი მასწავლებელი იყო პონტოს ნეოკესარიაში, სწორედ მისგან მიიღო წმ. ბასილმა პირველდაწყებითი სწავლა-განათლება. წმ. ბასილის დედა ემელია აგრეთვე ქრისტიანული ოჯახიდან იყო. მას ათი შვილი ჰყავდა. ამათგან სამი ეპისკოპოსი გახდა და წმინდანად შეირაცხა: წმ. ბასილი კესარიელი, წმ. გრიგოლ ნოსელი და წმ. პეტრე სებასტიელი. უმცროსი ქალიშვილი მაკრინა სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო და ეკლესიამ ისიც წმინდანად შერაცხა. ნეოკესარიიდან წმ. ბასილმა სწავლა კაპადოკიის კესარიაში გააგრძელა, შემდეგ კონსტანტინეპოლში, ბოლოს – ათენში. იგი დაუმეგობრდა გრიგოლ ნაზიანზელს. მათ აქ ერთად აღეძრათ სიყვარული წმინდა წერილისადმი. 357 წლის მახლობლად დაბრუნდა ბასილი კესარიაში, სადაც ერთხანს რიტორიკას ასწავლიდა, მაგრამ მალე საბოლოოდ გადაწყვიტა ქრისტიანობის მიღება და მოინათლა. ამ პერიოდში იმოგზაურა ბასილმა დიდ სამონასტრო ცენტრებში – ეგვიპტესა და მესოპოტამიაში და უკანდაბრუნებულმა მამისეულ მამულში საკუთარი მონასტერი დააარსა. შემდეგ იგი აქტიურად ჩაერთო კესარიის ეკლესიის საქმეებში. 370 წელს კი წმ. ბასილი გახდა კესარიის ეპისკოპოსი, კაპადოკიის მიტროპოლიტი და პონტოს ეგზარქოსი. გარდაიცვალა ბასილი 379 წლის 1 იანვარს.

წმ. ბასილის პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითადი ასპექტი იყო სამონასტრო ცხოვრების გავრცელება პონტოში, კაპადოკიაში და საზოგადოდ შავი ზღვისპირეთში. მანვე თავის მონასტრებს განუწესა სამოღვაწეო ანუ ასკეტური ცხოვრების კანონები. წმინდა ბასილის სამონაზვნო ცხოვრების სისტემამ საუკუნეებს გაუძლო და უაღრესად პოპულარული გახდა მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანობაში. მეორე მხრივ, წმ. ბასილის პრაქტიკული მოღვაწეობა იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენის დაცვისათვის ბრძოლა. ამ მიზნით ბასილი ცდილობდა შეერიგებინა აღმოსავლეთის ეპისკოპოსები დასავლეთის ეკლესიასთან და დაერაზმა ისინი არიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლას წმ. ბასილი არაერთხელ დაუყენებია საშიშროების წინაშე. წმ. ბასილის გარდაცვალებიდან ორიოდე წლის შემდეგ 381 წელს მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც კონსტანტინეპოლში გაიმართა, წმ. ბასილის იდეებმა იზეიმა. სათანადო პატივი მიეგო ყველას, ვინც მტკიცედ იცავდა ნიკეის მართლმადიდებლურ სიმბოლოს. სწორედ წმ. ბასილის დაუღალავმა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ მოამზადა ეს დიადი მომენტი ქრისტიანობის ისტორიაში.

წმ. ბასილის სახელთან ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში დაკავშირებულია დიდძალი და პირველხარისხოვანი ლიტერატურა. მიღებულია მათი შემდეგი დიფერენცირება: დოგმატური ნაწერები, რომლებიც მთლიანად არიანობის წინააღმდეგაა მიმართული. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი წიგნი *ევნომიუსის წინააღმდეგ* და ფუნდამენტური ტრაქტატი *სული წმიდა* მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ბასილ დიდის ასკეტური ნაწერები, რომელსაც ბიზანტიურ მწერლობაში *ასკეტიკა* ეწოდებოდა, ქართულ თარგმანში კი *ასკეტიკონის* სახელწოდება მიიღო. იგი თარგმნი-

ლია შუა საუკუნეების თითქმის ყველა კულტურული ქრისტიანი ხალხის ენაზე და დღემდე 150-ზე მეტი ხელნაწერითაა მოღწეული. ქრისტიანულ აღმოსავლეთში პოპულარული იყო წმ. ბასილის ლიტურგიული ნაწერები. ცალკე უნდა გამოიყოს მისი პედაგოგიური თხზულებანი, განსაკუთრებით მისი *ტრაქტატი ახალგაზრდობისათვის,* თუ როგორ გამოიყენონ წარმართული ლიტერატურა, და ჰომილიები და სწავლანი, რომელთაგან ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით გავრცელდა *ექვსთა დღეთა – შესაქმის* პირველი თავის (მუხლები 1-26) განმარტება და *ფსალმუნთა განმარტებანი,* რომელშიც 18 ჰომილია შედის. მათგან სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილის კუთვნილებად ითვლება 13 მათგანი: განმარტებანი 1, 7, 14, 28, 29, 32, 33, 44, 45, 48, 56, 61, და 114 ფსალმუნებისა. ამ პერიოდის საეკლესიო ცხოვრების, პონტოს, კაპადოკიისა და ბასილის ოჯახის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი *ეპისტოლეები* ანუ წერილები, რომელთა რაოდენობა დღევანდელ პუბლიკაციებში დაახლოებით სამი ასეულია.

წმ. ბასილის თეოლოგიური ნააზრევიდან განსაკუთრებით გამოჰყოფენ სამების ფორმულის ტერმინოლოგიურ დეფინიციებას. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებიდან დაწყებული ალექსანდრიის 362 წლის სინოდის ჩათვლით ერთგვარი გაურკვევლობა სუფევდა ტერმინების „უსია“ და „ჰიპოსტასი“-ს გამოყენებისას. ზოგჯერ „უსია“ („არსი“) და „ჰიპოსტასი“ სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა და ზოგჯერაც ერთგვარად მისაღებად ჩანდა ორივე გამოთქმა: ღმერთის ერთი ჰიპოსტასი და სამი ჰიპოსტასი. ბასილი იყო პირველი, რომელიც მოითხოვდა ღმერთის ერთ არსის (უსია) და სამი ჰიპოსტასის ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებას და მხარს უჭერდა იმ პოზიციას, რომ ერთადერთი მისაღები ფორმულაა ერთი არსი და

სამი ჰიპოსტასი. ბასილის ამ ტერმინოლოგიას პირველები გაჰყვნენ წმ. გრიგოლ ნაზიანზელი და წმ. გრიგოლ ნოსელი და იგი აღმოჩნდა ერთადერთი მართებული გზა ქალკედონის საეკლესიო კრების (451 წ.) ორთოდოქსული დეფინიციის მისაღებად.

წმ. ბასილის უმცროსი ძმა წმ. გრიგოლი დაიბადა 335 წელს. მისი მასწავლებელი ძირითადად თვითონ წმ. ბასილი იყო. იგი თავდაპირველად საერო კარიერის გზით წავიდა: რიტორიკის მასწავლებელი გახდა და დაქორწინდა. შემდგომში მისი უფროსი მეგობრების და განსაკუთრებით გრიგოლ ნაზიანზელის შთაგონებით იგი ბერად აღიკვეცა წმ. ბასილის მიერ პონტოში დაარსებულ მონასტერში. 371 წელს იგი განწესებულ იქნა კესარიის მიტროპოლიის პატარა ქალაქის ნისის ეპისკოპოსად. ამიტომ ეწოდება მას გრიგოლ ნისელი (ქართული ტრადიციით ნოსელი). წმ. ბასილი, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, უსაყვედურებდა თავის ძმას, რადგანაც ამ უკანასკნელმა ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე და მოხერხებულობა საეკლესიო საქმეების მართვაში. 376 წელს ქალაქ ნისაში გამართულმა არიანელ ეპისკოპოსთა და სამეფო კარის მღვდელმთავართა კრებამ იგი გადააყენა ამ თანამდებობიდან. არიანელი იმპერატორის ვალენტის გარდაცვალების შემდეგ წმ. გრიგოლი აღდგენილ იქნა ეპისკოპოსად და დაბრუნდა თავის ეპარქიაში. 380 წელს იგი არჩეულ იქნა სებასტიის არქიეპისკოპოსად. მან წმ. გრიგოლ ნაზიანზელთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მსვლელობაში. წმ. გრიგოლ ნოსელის გარდაცვალების თარიღად 394 წელია მიჩნეული.

როგორც შენიშნულია, კაპადოკიელ წმიდა მამათა შორის წმ. გრიგოლ ნოსელი არის ყველაზე მეტად ღრმა თეოლოგი. IV საუკუნის არც ერთი წმინდა მამა არ იყენებს ისე ფართოდ ფილოსოფიას რწმენის საიდუმლოების ადამიანთათვის განსა-

მარტავად, როგორც ამას წმ. გრიგოლ ნოსელი აკეთებს. ეს ფილოსოფიური ხაზი წმ. გრიგოლის თეოლოგიაში თავის საფუძველში პლატონურ-ნეოპლატონური მიმართულებისაა. განსაკუთრებით მკაფიოა ამგვარი საფუძვლები მის მცდელობაში, რომ შეათავსოს ერთების და სამების ცნებები. მისი ქრისტოლოგიისათვის დამახასიათებელია ქრისტეს ორი ბუნების მკვეთრი დიფერენცირება. განსაკუთრებით იცავს წმ. გრიგოლი უფლის, იესო ქრისტეს, ადამიანური ბუნების სისრულეს; იმას, რომ იესო ქრისტეს ჰქონდა რეალური ადამიანური სული, ადამიანური გონება და იგი ფლობდა თავისუფალ ნებას. წმ. გრიგოლის ინტელექტუალური წვდომის სიღრმე უმაღლეს მწვერვალზე ავიდა მის მისტიკურ თეოლოგიაში. მიჩნეულია, რომ სწორედ ის არის მაკავშირებელი რგოლი, ერთი მხრივ, პლატონს, პლოტინს და ალექსანდრიულ ნეოპლატონიზმსა და, მეორე მხრივ, ფსევდო დიონისე არეოპაგელს შორის. წმ. გრიგოლის ღმრთისმეტყველების ერთი არსებითი თემაა მოძღვრება ადამიანში ღვთაების ხატის შესახებ. სწორედ ამ ხატითაა ადამიანი დაკავშირებული ღმერთთან და მოწოდებული იმისაკენ, რომ შეიცნოს იგი. ამასვე ეფუძნება წმ. გრიგოლის მოძღვრება მისტიკურ ამაღლებაზე.

წმ. გრიგოლ ნოსელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს დოგმატური ტრაქტატები ევნომიუსის და აპოლინარიუსის წინააღმდეგ, სული წმიდის შესახებ, დიალოგი თავის დასთან მაკრინასთან სულის თაობაზე; ეგზეგეტიკური ნაწერები: *კაცისა შესაქმისათვის*, რომელიც დაიწერა მისი ძმის, წმ. ბასილის *ექვსთა დღეთაჲს* დასრულების მიზნით, განმარტებანი *შესაქმეზე*, *ფსალმუნებზე*, რვა ჰომილია *ეკლესიასტეზე*, თხუთმეტი ჰომილია *ქებათა ქებაზე*; ასკეტური ნაწერები:

ტრაქტატი *ქალწულობისათვის*[1] და *მაკრინას ცხოვრება* და სხვა; ცალკე უნდა გამოიყოს მისი ლიტურგიკული, მორალური, სამგლოვიარო სიტყვანი და წერილები.

წმ. ბასილის უახლოესი მეგობარი წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, ისევე როგორც ბასილი, დაიბადა დაახლოებით 330 წელს კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ნაზიანზის მახლობლად, სადაც მისი მამა, რომელსაც სახელად აგრეთვე გრიგოლი ერქვა, იყო ეპისკოპოსი. წმ. გრიგოლის დედას სახელად ნონა ერქვა. იგიც, თავად ქრისტიანი მშობლების შვილი, ქრისტესმოსავი იყო. ამ წმინდა ქალის გავლენით მოინათლა მისი ქმარი, ხოლო ვაჟი წმ. გრიგოლი მას თვით დაბადებამდე ღმერთისადმი ჰყავდა მიძღვნილი. გრიგოლის პირველი მასწავლებელი სწორედ დედამისი იყო. შემდეგ იგი სწავლობდა რიტორიკას ბასილთან ერთად კაპადოკიის კესარიაში. სწავლა გააგრძელა ჯერ კონსტანტინოპოლში და შემდეგ ათენში, სადაც საბოლოოდ დაუმეგობრდა ბასილს. 357 წელს იგი დაბრუნდა კაპადოკიაში, მოინათლა და შემდეგ, დაახლოებით 359 წელს, ესტუმრა წმ. ბასილს ახლადდაარსებულ მონასტერში, პონტოში. იქ მეგობრები ერთად ეუფლებოდნენ თეოლოგიას და ამუშავებდნენ სამონასტრო კანონმდებლობას. შემდგომში, დაახლოებით 362 წელს წმ. გრიგოლი ნაზიანზის მრევლის დაჟინებული თხოვნით მამამისის მიერ მღვდლად იქნა განწესებული და აქედან მოკიდებული ნაზიანზის ეპარქიის ადმინისტრაციულ საქმიანობაში აქტიურად ეხმარებოდა მამამისს, რომელიც 374 წელს გარდაიცვალა. წმ. გრიგოლის სულიერი სწრაფვა განმარტოებულ ცოვრებისაკენ და შემეცნებით-ლიტერატურული მოღვაწეობი-

---

[1] **გრიგოლ ნოსელი**, *ქალწულებისათვის და საღმრთოისა მოქალაქობისა* (გიორგი ზვიადაძის გამოცემა გამოკვლევებით, კომენტარებითა და ლექსიკონით), თბ. 2011

საკენ იყო მიმართული. ამიტომაც იყო, რომ იგი შიგადაშიგ გარბოდა პონტოში, წმ. ბასილის მონასტერში, 379 წელს წმ. გრიგოლი კონსტანტინოპოლში მიიწვიეს საეკლესიო საქმეების რეორგანიზაციისათვის, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. ამ პერიოდში კონსტანტინოპოლის მრევლის წინაშე წარმოითქვა მისი ბრწყინვალე ქადაგებები. ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსიმ იგი დანიშნა დედაქალაქის ეპისკოპოსად, რაც დაამტკიცა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ. მაგრამ იმავე საეკლესიო კრებაზე ეგვიპტისა და მაკედონიის მღვდელმთავრებმა არ მოიწონეს ეს გადაწყვეტილება სხვადასხვა კანონიკური მიზეზით და იმის გამოც, რომ იგი მიღებული იყო მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მათ ჩამოსვლამდე. ამ ამბავმა ისე გაუცრუა გული წმ. გრიგოლს, რომ იგი განერიდა ქრისტიანული საკრებულოს შემდგომ ხილვას რამდენიმე დღით და გადაწყვიტა კონსტანტინოპოლს განშორებოდა. დედაქალაქის დატოვებამდე მან წარმოთქვა თავისი გამოსამშვიდობებელი ქადაგება საეპისკოპოსო კრებულისა და ხალხის წინაშე. იგი დაბრუნდა ნაზიანზში და გააგრძელა ეპარქიის საეკლესიო საქმეების მართვა. 384 წლიდან იგი თავის საგვარეულო მამულში ეწევა სამოღვაწეო ცხოვრებას და ლიტერატურულ საქმიანობას. გარდაიცვალა წმ. გრიგოლი 389 თუ 390 წელს.

გრიგოლ ნაზიანზელი უაღრესად ნაყოფიერი მწერალია. მას, განსხვავებით სხვა დიდი კაპადოკიელებისაგან, არ იტაცებს დოგმატიკური და ეგზეგეტიკური თემები. იგი წერს ლექსებს, ქადაგებებს და წერილებს. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია დაახლოებით 400 ლექსი, რომელთა როგორც ფორმის, ასევე მხატვრული მეტყველების სტილის დახვეწილობა მიუღწეველია ყველა მისი თანამედროვე მწერლისათვის. ამიტომ იყო, რომ იგი ერთნაირად მიმზიდველ და საინტერესო ავტორად ითვლებოდა

როგორც შუასაუკუნეების ბიზანტიელი კომენტატორებისათვის, ასევე რენესანსის ეპოქის ჰუმანისტებისათვის. მისი ქადაგებებია თეოლოგიური, აპოლოგეტიკური, პანეგირიკულ-აგიოგრაფიული ხასიათის, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი *სიტყვა-ეპიტაფია დიდისა ბასილისათვის*, რომელიც ქართულ ენაზე ორგზის ითარგმნა ეფთვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ. წმ. გრიგოლის ლექსები სხვადასხვაგვარია თავისი თემატიკით. ბევრი მათგანი არის დოგმატური, ეხება სამებას, ღვთაებრივი შესაქმის აქტს, ღვთაებრივ წინასწარჭვრეტას, ჯოჯოხეთს, განკაცებას, უფლის – იესო ქრისტეს სასწაულებსა და იგავებს და წმინდა წერილის სხვადასხვა წიგნს. ერთი ჯგუფი მისი ლექსებისა არის მორალური ხასიათის; უმრავლესობა კი ისტორიული და ავტობიოგრაფიულია. წმ. გრიგოლის ლექსებში შეხვდებით ეპიტაფიებს, ეპიგრამებს და აფორიზმებსაც.

წმ. გრიგოლ ნაზიანზელს შთამომავლობამ შემთხვევით არ უწოდა ღვთისმეტყველი. მისი შრომების ერთ უმთავრეს თემას სწორედ ღვთისმეტყველება ანუ თეოლოგია წარმოადგენს. იგი განმარტავს თეოლოგიის არსს, მის მეთოდს, სწავლობს მის წყაროებს, ახასიათებს თეოლოგებს. მის ცნობილ ხუთ ქადაგებას წარმოთქმულს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობისას *თეოლოგიური ქადაგებანი* ეწოდება. წმ. გრიგოლის თხზულებები ეძღვნება სამების დოქტრინის დაცვას, იგი ებრძვის არიუსის და საბელიუსის მწვალებლობებს.

ასეთი იყო სამი დიდი კაპადოკიელი წმინდა მამის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნათქვამს შეიძლება დაემატოს ის, რომ, როგორც მათი ნაწერებიდან ჩანს, წმინდა მამებს დიდი სიყვარულით უყვარდათ თავიანთი სამშობლო, მწარე გულისტკივილით განიცდიდნენ მის მძიმე მდგომარეობას, აწუხებდათ ის, რომ მათი მშობლიური ხალხი ბიზანტიის იმპერიის მაღალი არისტოკრატუ-

ლი და საეკლესიო წრეების მიერ ჩამორჩენილ ხალხად იყო მიჩნეული. ის ქვეტექსტი, რომ წმ. ბასილი, რომლის მსოფლიო მოძღვრად აღიარებას ცდილობდნენ მისი დიდი თანამოაზრენი, თავისი სადაურობით და ეროვნული წარმოშობით ზოგიერთების თვალში არ სარგებლობდა მაინცდამაინც მაღალი რეპუტაციით, კარგად ჩანს წმ. გრიგოლ ნოსელის სახოტბო სიტყვიდან წმ. ბასილზე. იგი აფრთხილებდა მსმენელებს, ნუ იმსჯელებდნენ წმ. ბასილზე მისი ხორციელი საქმეებით და ნათესაობით და განესაჯათ იგი მისი დიადი ქრისტიანული ქმედებებით; მაგრამ თუ მაინც მისი წარმომავლობის ძიებას დაიწყებდნენ, სწორად და მართებულად გამოეძიებინათ წმ. ბასილის სანათესაოს დიდი წარსული და ღირსებანი: „დავიდუმოთ უკვე ქუეყანისა საქმეთა და მამულთათჳს თქუმად მას ზედა, რომელთაგანი არცა ერთი არს კეთილ რაჲმე ანუ სანატრელ; ხოლო მამული მისი იგი ვაჴსენოთ, რომელი მან ფრიად შეიყუარა, და ესრეთ ისწრაფა ვიდრემდის მიემთხჳა მას"; ანდა კიდევ: „რომელმანცა უკვე ესევითარისა მამულისა და ნათესაობისაგან შეასხას მას, მან ჭეშმარიტი თქუას". თვითონ წმ. ბასილი კი არ მალავდა თავის დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი და საკუთარი სანათესაოსადმი. ვერ ურიგდებოდა რა იმ უბედურებას, რასაც თავის სამშობლოში ხედავდა, წმ. ბასილი ერთ თავის წერილში პათეტიკურად ამბობდა: „თავისკენ მიხმობს მე ჩემი ტანჯული სამშობლო". სხვა ადგილას კი თავის ბიძას წერდა: „ღმერთო, გამოსაცდელადაც კი არ მომცე რაიმე ისეთი, რომელიც მაიძულებდა ჩემი ნათესავების დავიწყებას". დავუკვირდეთ წმ. გრიგოლ ნაზიანზელის, როგორც პატარა ხალხის შვილის, გულისტკივილს, რომელიც მაღალი ორატორული ხელოვნებითაა ჩაქსოვილი მის კონსტანტინოპოლის მრევლის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში: „ამგვარად, ჩვენ არა ვართ მართალნი იმის გამო, რომ თქვენ დიდნი და სახელოვანნი

ხართ, ჩვენ კი მცირენი და მცირედთაგან მოსულნი?“ ანდა კიდევ სხვა ადგილას: „იქნებ თქვას ვინმემ, ეს ჩვენი მქადაგებელი უცხოელია და მოსული მეტად შეზღუდულ და ავხორც ადამიანთაგან, – მაგრამ მოციქულნი? განა ისინი უცხოელნი არ იყვნენ მრავალ ხალხთა და ქალაქთათვის?!“

მაინც რომელია ეს მათი სამშობლო და ვინ არის ის ხალხი, რომელთა უძველეს დიდებასა და იმდროინდელ სიდუხჭირესა და სიღატაკეზე ასე არაორაზროვნად წერდნენ ბასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი? პატრისტიკის თანამედროვე ისტორიკოსები ამ კითხვას არ პასუხობენ. ისინი სამივე წმიდა მამას თვლიან კაპადოკიელებად შემდგომი დაზუსტების გარეშე და ამაზე საკითხის კვლევას წყვეტენ. ჩემი აზრით, დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები თავიანთი ეროვნული წარმოშობილობით ქართველურ სამყაროს უნდა მიეკუთვნებოდნენ. ბასილ დიდის ცხოვრების ამსახველი პირველწყაროების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ისინი უნდა იყვნენ შავი ზღვისპირეთში, კერძოდ პონტოსა და კაპადოკიაში, მცხოვრები ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელნი. არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც ვაყალიბებ ამ თეორიას შემდეგია:

1. პირველწყაროების შესწავლამ დამარწმუნა, რომ ამ დიდი წმინდა მამების კაპადოკიელობა არ უნდა გავიგოთ მითითებად მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის კაპადოკიის პროვინციაზე, როგორც ამ მოღვაწეთა დაბადებისა და მოღვაწეობის ადგილზე. ეს წმინდა მამები თავიანთ თავს ეროვნებით კაპადოკიელებად თვლიდნენ.

წმინდა ბასილის ცხოვრებაში, რომელიც ამფილოქე იკონიელს მიეწერება, ახლაგაზრდა ბასილის კესარიიდან ათენში სასწავლებლად გამგზავრებაზე ნათქვამია: „და მუნთქუესვე

დაუტევა ქუეყანაჲ თჳსი, რამეთუ კაბადუკიელი იყო ნათესავით, და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენას“. ძველი ქართული „ქუეყანაჲ თჳსი“ (მის შესატყვისად ამ თხზულების ლათინურ თარგმანში იკითხება „პატრია“) ნიშნავს სამშობლოს, ხოლო „კაბადუკიელი ნათესავით“ (ლათინურად „კაპადოქს გენერე“) ნიშნავს ტომით, მოდგმით, ეროვნებით კაპადოკიელს.

თხზულებაში *სული წმიდის შესახებ* ბასილ დიდი ერთი სიტყვის თაობაზე წერს: „ჩვენ კაპადოკიელები ასევე გამოვთქვამთ ჩვენს ადგილობრივ დიალექტზე“.

ამგვარად, წმინდა ბასილი, მისი ძმა გრიგოლ ნოსელი და მისი მეგობარი გრიგოლ ნაზიანზელი კაპადოკიელები იყვნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში იმის თაობაზე, თუ რა ეროვნების ხალხი იყვნენ კაპადოკიელები, ერთი და გარკვეული აზრი არ არსებობს. საქმე ისაა, რომ „კაპადოკია“ პირველწყაროებში ხშირად გეორგაფიულ-ადმინისტრაციული ტერმინია და მიუთითებს რეგიონს, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. მეორე მხრივ, კი სხვადასხვა ანტიკური პირველწყარო კაპადოკიელებად სხვადასხვა ეროვნების ხალხებს ასახელებს. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ამოვიცნოთ, თუ რას გულისხმობდნენ ამ ტერმინში კაპადოკიელი წმინდა მამები (და მათი ბიოგრაფები), როდესაც თავიანთ თავს ეროვნებით კაპადოკიელებად თვლიდნენ. საქმე ისაა, რომ ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობას კაპადოკიელთა ვინაობაზე ერთი და მკაცრად ჩამოყალიბებული აზრი აქვს. IV საუკუნის ბიზანტიური საისტორიო მწერლობის აზრით, კაპადოკიელი არის იგივე მესხი. ეს აზრი დაკანონებულია ამ პერიოდის ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში და ბუნებრივია, რომ უწოდებენ რა თავიანთ თავს კაპადოკიელს, ეკლესიის დიდი წმინდა მამები – ბასილ დიდი,

გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი თვლიან, რომ ისინი მესხური მოდგმის ხალხს მიეკუთვნებიან თავიანთი ეროვნებით.

ამ ტრადიციის ჩამოყალიბება ბიზანტიურ ეპოქამდეა საგულვებელი. ჯერ კიდევ პირველი საუკუნის მოღვაწე იოსებ ფლაბიოსი წერდა: „მოსოხენები დაფუძნებულნი არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ“. ეს თვალსაზრისი გაბატონებული ხდება სწორედ ბიზანტიურ მწერლობაში, სწორედ IV საუკუნიდან, კაპადოკიელ წმინდა მამათა მოღვაწეობის დროიდან. ევსტათი ანტიოქელი (IV ს.) ნოეს შთამომავლობაში ასახელებს ოსოხს, რომლის შესახებ წერს: „ოსოხი, რომლისგან არიან მესხები, დღევანდელი კაპადოკიელები“. V საუკუნის I ნახევრის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოდორიტე კვირიელი თავის *საეკლესიო ისტორიაში* არაერთგზის იმეორებს მესხების კაპადოკიელებთან გაიგივების თეზას. იგივე აზრი მეორდება ბიზანტიის საისტორიო მწერლობაში X და XI საუკუნეებშიც კონსტანტინე პორფიროგენეტის და ლეონ გრამატიკოსის საისტორიო თხზულებებში.

მაშასადამე, ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში მიჩნეულია, რომ კაპადოკიელები არიან მესხები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვიფიქროთ: ეკლესიის დიდი წმინდა მამები, უწოდებდნენ რა თავიანთ თავს კაპადოკიელებს, თვლიდნენ, რომ ისინი ეროვნებით იმ ეთნოსის ხალხებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა წინაპრებს ეწოდებოდათ მესხები.

II. პირველწყაროები საშუალებას იძლევიან, კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ ბასილ დიდის და გრიგოლ ნოსელის საგვარეულოს ეროვნული წარმომავლობა. საქმე ის არის, რომ ეს წმინდა მამები, რომლებსაც საეკლესიო ისტორიამ *კაპადოკიელები* უწოდა, წარმოშობით პონტოდან იყვნენ. გრიგოლ ნაზიანზელის მოწმობით ისინი ეკუთვნოდნენ პონტოს ძველისძველ მკვიდრ და

დიდგვაროვან ოჯახს, იმ გვარს, რომელსაც პონტოელები ძველთაგანვე მრავალ კეთილ და დიდებულ საქმეს მიაწერდნენ. სწორედ პონტოში მდებარეობდა წმ. ბასილის მამაპაპეული მამული, სადაც ცხოვრობდა მისი დიდი ოჯახი, სადაც დააარსა მან საკუთარი მონასტერი და სამონასტრო მოღვაწეობას ეწეოდა მისი და წმინდა მაკრინა, აგრეთვე ძმა ნავკრატოსი; სადაც თვითონ წმ. ბასილი მისდევდა ასკეტურ ცხოვრებას და წერდა თავის ლიტერატურულ ქმნილებებს.

პონტოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური წარმოშობის ტომები. ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულებში ამ ტერიტორიაზე ჩანს მუშქებისა და ტაბალების სახელმწიფოებრივი ერთეულები დიაოხი და კოლხა. უფრო მოგვიანებით კი – ქართველურ ტომთა ხალიბების, ხოლო შემდგომში სასპერების დიდი გაერთიანებები. ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძლიერი ელინისტური პონტოს სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველური ტომებია. ბერძნული პირველწყაროების მოწმობით, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნისათვის, დიდ კაპადოკიელ წმინდა მამათა მოღვაწეობა რომ იწყებოდა, ქართველური მოსახლეობა ძირითადად პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობს, დაახლოებით მდინარე ირისის მიდამოებიდან მოკიდებული. ესენია: ხალიბები, ტიბერენები, მოსინიკები, მაკრონები, კოლხები, სანები, ლაზები. უფრო აღმოსავლეთით კი – სასპერები, ტაოხები, მოსხები. პონტოს სამეფოს დამარცხების შემდეგ უფრო აქტიურად იწყება ამ მხარის ელინიზაცია. ჩნდება ბერძნული მოსახლეობაც. განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ქალაქებში – ბერძენთა ახალშენებში. პონტოს მოსახლეობის ერთ ნაწილს სომხებიც წარმოადგენდნენ. ეს

აიხსნება ძირითადად იმით, რომ პონტოს მოსაზღვრედ იყო სომხეთის ელინიზირებული სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მიისწრაფოდა ზღვისაკენ.

წმ. ბასილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველწყაროების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: 1. ბასილი არ იყო არც ბერძენი და არც სომეხი. 2. ბასილის საგვარეულო მამული მდებარეობდა პონტოს აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ მდინარე ირისის ხეობაში, რომელიც ოდითგანვე ქართველური მოდგმების ხალხებით იყო დასახლებული.

1. კაპადოკიელი წმინდა მამები რომ არ იყვნენ ბერძნები, აშკარად ჩანს ზემოთ მოყვანილი ფაქტებით, კერძოდ: ფსევდო ამფილოქე იკონიელის *წმინდა ბასილის ცხოვრებაში* საბერძნეთში სასწავლებლად გამგზავრებული ბასილის ეროვნებით კაპადოკიელად გამოცხადებით და მის მიერ სამშობლოს დატოვებაზე მითითებით; წმ. ბასილის მიერ კაპადოკიის გამოცხადებით თავის ტანჯულ სამშობლოდ, ხოლო კაპადოკიური დიალექტის მშობლიურ ენად მიჩნევით; წმ. გრიგოლ ნაზიანზელის მიერ კონსტანტინოპოლში თავისი ხალხის, როგორც მცირე ხალხის, კონსტანტინოპოლელებთან, როგორც დიდ ხალხთან, დაპირისპირებით. გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს ერთ პასაჟს, რომელიც იკითხება წმ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებაში *სიტყვა-ეპიტაფიად ბასილ დიდზე*. წმ. გრიგოლი მოგვითხრობს ახალგაზრდა ბასილის სასწავლებლად ათენში ჩამოსვლაზე. ათენის სასწავლებელში დამკვიდრებული წესის თანახმად, ბასილი სხვა უცხოელ სტუდენტებთან ერთად მოუთავსებიათ. აქ მას გრიგოლ ნაზიანზელის გარდა სომეხი სტუდენტებიც დახვედრია. ამ უკანასკნელებს კი ბასილის, როგორც უცხოელისა და ახალმოსულის წინაშე, თავიანთი უპირატესობის დამტკიცება მოუნდომებიათ და მასთან კამათი დაუწყიათ.

აქედან აშკარად ჩანს, რომ ბასილი კესარიელი არ იყო ბერძენი, რადგანაც საბერძნეთში ბერძენთა შორის მოსწავლე სომეხი ბასილის უცხოელობის (ანუ ბერძნობის) გამო მის წინაშე უპირატესობას ვერ მოინდომებდნენ. ამავე ეპიზოდიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ბასილი იყო უცხოელი არა მარტო ბერძენთათვის, არამედ სომეხთათვისაც. მაშასადამე, იგი არ იყო არც სომეხი. ამ უკანასკნელ დასკვნას მხარს უჭერს სხვა პირველწყაროებიც: ბასილი კესარიელს, როგორც კაპადოკიის მიტროპოლიტს, 372 წელს იმპერატორმა დაავალა მოეგვარებინა მცირე არმენიაში არსებული საეკლესიო უთანხმოებანი, მაგრამ მას დამხმარედ დაუნიშნეს ადგილობრივი სომეხი ეპისკოპოსი, რომელსაც უნდა შეევსო ბასილის მიერ სომხური ენის და სომხური ზნე-ჩვეულებების უცოდინარობა. ამის შესახებ ცნობები დაცულია ბასილის ერთ-ერთ წერილში კომეტ ტერენტიუსის მიმართ. წმ. ბასილის სხვა წერილში, რომელიც გაგზავნილია მცირე არმენიის ქ. სატალის მოქალაქეებისადმი, გადმოცემულია შემდეგი ამბავი: ბასილმა სატალის სომხურ მრევლს ეპისკოპოსად განუწესა თავისი ნათესავი. წმ. ბასილი უმტკიცებს სატალის მოქალაქეებს, რომ ახალი ეპისკოპოსი მან მოსტაცა თავის ხალხს, ნათესავებს, დედას და გაგზავნა სომხეთში. ამის წინააღმდეგი იყო ახალი ეპისკოპოსის მთელი სანათესაო, მშობელი ხალხი. თავიანთი მხრივ სატალის მცხოვრებლებმა, წმ. ბასილის მიმართვის თანახმად, უნდა გაამართლონ ბასილის ნდობა და მეგობრული და შინაურული მიღებით ახალ ეპისკოპოსს შეუმსუბუქონ სამშობლოსაგან განშორებით გამოწვეული სევდა.

2. ის გარემოება, რომ ბასილის საგვარეულო, როგორც პონტოს ძველისძველი მკვიდრი მოსახლეობა ეროვნებით არ მიეკუთვნებოდა არც ბერძნულ სამყაროს და არც სომხურ სამყაროს, გვაფიქრებინებს, რომ ეს საგვარეულო ქართველური მოდგ-

მის, ქართველური წარმოშობის უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს აძლიერებს ის, რომ, როგორც პირველწყაროდან ჩანს, ბასილის მამის საგვარეულო მამული იყო აღმოსავლეთ პონტოში, პონტოს იმ ნაწილში, რომელიც ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ბასილის საგვარეულო მამულის შესახებ ცნობები დაცულია გრიგოლ ნოსელის თხზულებაში: *წმინდა მაკრინას ცხოვრება*. ამ თხზულებაში ნათლად ჩანს, რომ ბასილის მამის მამული, რომელსაც გრიგოლ ნოსელი უწოდებს „ადგილნი ჩუენნი“ (ეფრემ მცირის თარგმანი) გამიჯნულია სომხეთისაგან და მდებარეობს პონტოში მდინარე ირისის ხეობაში.

მაშასადამე, წმ. ბასილის და წმ. გრიგოლ ნოსელის საგვარეულო პონტოში მცხოვრებ ადგილობრივი, ქართველური წარმოშობის ძველისძველ ხალხს მიეკუთვნებოდა. ხომ არ არის რაიმე წინააღმდეგობა იმ გარემოებებში, რომ თავის თავს ეს მოღვაწეები კაპადოკიელებად თვლიდნენ, ხოლო მათი საგვარეულო პონტოს მკვიდრი იყო? რა თქმა უნდა, არა! პონტოსა და კაპადოკიაში რომ ერთმანეთის მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ, ეს აშკარად ჩანს პირველწყაროებში. ამიტომაც იყო, რომ ეს ორი მხარე ხშირად რომისა და ბიზანტიის იმპერიების ოფიციალური დაყოფით ერთ ადმინისტრაციულ ნაწილად იყო გაერთიანებული. პონტოს ტერიტორიაზე უძველეს პერიოდში კოლხეთის ძლიერი სახელმწიფო იყო ლოკალიზებული და იქედან მოკიდებული, თვით IV საუკუნეშიც ამ ტერიტორიაზე საკუთრივ კოლხთა ტომიც ცხოვრობდა. კაპადოკიელებს კი ბიზანტიური წყაროები, როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, უძველეს მესხებთან აიგივებდნენ. მესხები რომ კოლხების მონათესავე ხალხები იყო, უფრო სწორად, რომ ისინი ერთ ეთნოსს განეკუთვნებოდნენ, ეს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ბერძნებმა იცოდნენ. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI-V

საუკუნეების მიჯნის ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ჰეკატიუსის ცნობილი ფრაგმენტი, რომელშიც იკითხება: „მოსხები კოლხურ ეთნოსს განეკუთვნებიან“.

III. როგორც აღვნიშნეთ, კაპადოკიელი წმინდა მამები დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდნენ და წერდნენ თავიანთი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე, პირველ რიგში მათ გაუნათლებლობაზე. მაგრამ ამავე დროს მათ ნაწერებში ისიც იგრძნობა, რომ ისინი მაღალი წარმოდგენისა იყვნენ საკუთარი ერის წარსულზე. მაგრამ, რამდენადაც ეს წარსული წარმართი ხალხის უძველეს თქმულებებს შეეხება, წმ. ბასილის ცხოვრების ქრისტიანი აღმწერლები მათი გადმოცემისაგან თავს იკავებენ. სწორედ ამიტომაა, რომ ბასილი კესარიელის აგიოგრაფები (გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი) ბასილის წინაპრებში და ნათესავებში დაჟინებით ეძიებენ ქრისტიანებს და მხოლოდ მათ ამბებს გადმოსცემენ (ბასილის დიდედის, დის და ძმის ამბები). მიუხედავად ამისა, აშკარად ჩანს, რომ მათ ძალიან კარგად იციან ბასილის მშობელი ხალხის ძველი დიდების ამბავი. ამაზე ნათლად მიუთითებს ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები წმ. გრიგოლ ნოსელის სახოტბო სიტყვიდან ბასილ დიდზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით წმ. გრიგოლ ნაზიანზელის პოზიცია. ახასიათებს რა ბასილის წინაპრებს, როგორც მხედართმთავრებს რიტორებს და სხვა, წმ. გრიგოლი უპირისპირებს ამ ხალხის ძველ დიდებას ბერძნული მითოლოგიის გმირებს და წერს: ჩვენ რომ მოვისურვოთ მათზე ლაპარაკი, შესაძლებელია მათ წინაშე გაუფასურდნენ შთამომავლობანი პელოპსისა, კეკროპსისა, ალკმეონისა, აიაკსისა, ჰერაკლისა და სხვა თვალსაჩინოებანი მათი წარსულისა.

სხვა ადგილას გრიგოლ ნაზიანზელი კიდევ უფრო აზუსტებს ბასილის წინაპრების მიმართ ნათქვამ სიტყვებს და ეჭვი აღარ რჩება, რომ ბასილის წინაპრებს იგი თვლის მონათესავედ და

მემკვიდრედ იმ ხალხისა, რომელთა სახელთანაც არის დაკავშირებული, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ძველი კოლხეთის ამბები. კერძოდ: მამის მხრიდან ბასილის წინაპრების შესახებ პონტო გადმოგვცემს ისეთ თქმულებებს, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება მისივე ძველ საკვირველებებს, რომლებითაც აღსავსეა ნაწერები ისტორიკოსებისა და პოეტებისა. პონტოს ძველი საკვირველებები, რომლებსაც ადარებს გრიგოლ ნაზიანზელი ბასილის საგვარეულოს ამბებს, არის ძველი კოლხეთის მითოლოგიური ამბები, რომლებიც აღწერილია ისტორიკოსებისა და პოეტების მიერ. რომ ამ შემთხვევაში მართლაც ძველი კოლხეთის მითზე – არგონავტების თქმულებაში აღწერილ აიეტის სამეფოს ამბებზეა ლაპარაკი, ეს ჩანს იქედანაც, რომ სწორედ ამგვარად მოიხსენიებენ ამ პერიოდის სხვა ბიზანტიელი მწერლებიც ამ ამბებს. კერძოდ თემისტიოსი (IVს.) და აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) აიეტ მეფის ამბებს, მსგავსად გრიგოლ ნაზიანზელისა, უწოდებენ საკვირველ და დაუჯერებელ ამბებს, რომლებსაც პოეტები გაკვირვებით გვიამბობს.

ამ თვალსაზრისის სისწორეში კიდევ უფრო გვარწმუნებს XI საუკუნის ქართველი მთარგმნელის ეფრემ მცირის კომენტარი. იგი თარგმნის რა გრიგოლ ნაზიანზელის ამ სიტყვებს, იქვე განმარტავს: „შეისწავე, რამეთუ მამა დიდისა და ბასილისი პონტოელი იყო. ამისთვს მისთა ჰამბავთა მთხრობელნი თანა-შეატყუნა საკვრველებითა ძუელთა ამათ აღმწერელთა, ვითარ-იგი იყუნეს ქსენოფონ და პოლოვიოს და სხუანი მრავალნი; და კუალად სიტყვსმოქმედთაცა, ვითარ-იგი არს აპოლონისი არღონავსპტიკონი და სხუათა არამცირედთა, რამეთუ ამათნი აღწერანი და სიტყვსმოქმედებანი აღსავსე არიან პონტოჲსა საკვრველებათაგან“. ეფრემ მცირის მიერ დასახელებული სამივე მწერალი – ქსენოფონტე, პოლიბიოსი და აპოლონიოს როდო-

სელი გადმოგვცემენ მითოლოგიურ და ისტორიულ ცნობებს ქართველი ტომების და, კერძოდ, კოლხთა სამეფოს შესახებ. ამგვარად, უდავოა, რომ გრიგოლ ნაზიანზელი ბასილის საგვარეულოს მიაკუთვნებს ძველი კოლხეთის მემკვიდრე ხალხს, რომლის ძველი დიდება არგონავტთა თქმულებების ციკლითაა გადმოცემული.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით ვფიქრობ, რომ კაპადოკიელი წმინდა მამები ბასილ დიდი და მისი ძმა გრიგოლ ნოსელი თავიანთი ეროვნული წარმოშობილობით ქართველურ სამყაროს უკავშირდებიან, კერძოდ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელნი უნდა იყვნენ. მათი მამაპაპური ოჯახი IV საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა აღმოსავლეთ პონტოში, სადაც ძირითადად ქართველური ტომები მოსახლეობდნენ; ისინი თავიანთ თავს თვლიდნენ კაპადოკიელებად, რაც იმ დროისათვის ძველი მესხების სახელად ითვლებოდა; და თავიანთ უძველეს წარსულად ძველი კოლხეთის ამბებს მიიჩნევდნენ.

ამ ნარკვევში სამი დიდი კაპადოკიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი პრობლემა, კერძოდ – მათი ეროვნული კუთვნილების საკითხი, პოპულარულად და მკრთალადაა მიმოხილული. რამდენადაც ამ საკითხზე ჩემ მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ბიზანტინისტიკისა და ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, საჭიროდ მიმაჩნია იგივე პრობლემა, პირველწყაროების სრული დამოწმებით და თავდაპირველად გამოქვეყნებული სახით, კიდევ ერთხელ შევთავაზო მკითხველს განხილვის საგნად.

ბასილ დიდის სადაურობისათვის*

ბასილი კაპადოკიელი ბიზანტიური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩიო წარმომადგენელია. თავისი მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობითა და დაუცხრომელი პრაქტიკული საქმიანობით მან ბიზატიის ისტორიაში ბასილ დიდის სახელი დაიმკვიდრა. ბასილის უდიდესი დამსახურებით აღტაცებული ერთი გამოჩენილი მკვლევარი საეკლესიო ლიტერატურისა გადაჭრით აცხადებს, რომ მისი დროის არც ერთ ბერძენს არ შეუძლია დადგეს მასზე წინ.[1] ბასილის გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ დიდი კამათი გაიმართა ბიზანტიელებს შორის იმის თაობაზე, თუ ვინ ეღიარებინათ უპირველეს წმინდა მამად – ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი), თუ იოანე ოქროპირი. ხანგრძლივი დავის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სამივენი უპირველესი მოღვაწენი არიან და ერთნაირი დამსახურება მიუძღვით ქრისტიანული ეკლესიისა და ლიტერატურის წინაშე.

ბასილი კესარიელი დაიბადა 330 (თუ 329) წელს კაპადოკიის ქალაქ კესარიაში.[2] სწავლა ბასილმა პონტოს დედაქალაქ ნეოკესარიაში დაიწყო თავისი მამის, უფროსი ბასილის ხელმძღვანელობით, რომელიც პონტოში დიდად განათლებულ ადამიანად

---

* პირველად გამოქვეყნდა 1962 წელს ჟურნალ საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყოფ. *მოამბეში* (#3, გვ. 125-151).

[1] "Kein Grieche seiner Zeit wird ihm den Vorrang streitig machen können" (Bardenhewer, O., *Geschichte der altkirchlichen Literatur*, III, 1912, გვ. 152).

[2] ზოგიერთის ვარაუდით ბასილი პონტოში უნდა იყოს დაბადებული: «Некоторые полагают его рождение в темном *Геленопонте*, другие – в Неокесарии, – *понтийском городе*» – Фаррар, Ф. В., Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, 1903, გვ. 549.

და საუკეთესო პედაგოგად ითვლებოდა. შემდეგ ბასილი კაპადოკიის დედაქალაქ კესარიას ეწვია. კესარიაში სწავლისას მან პირადად გაიცნო გრიგოლ ნაზიანზელი და ევსტათი, შემდგომში სებასტიის ეპისკოპოსი. კესარიის შემდეგ ბასილი სწავლას კონსტანტინოპოლში აგრძელებს. აქ უნდა დაახლოებოდა იგი სოფისტ ლიბანიოსს (თუ ის წერილები ლიბანიოსისადმი, რომლებიც ბასილის ეპისტოლეებშია შესული, ჭეშმარიტად ბასილის ხელით არის დაწერილი). სწავლა-განათლების დასასრულებლად ბასილი ათენს გაემგზავრა. აქ საბოლოოდ დაუმეგობრდა გრიგოლ ნაზიანზელს. ბასილმა და გრიგოლმა ათენში მიიღეს საუკეთესო განათლება წარმართულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, გრამატიკასა და რიტორიკაში. როგორც გრიგოლ ნაზიანზელის ნაწერებიდან ჩანს, მათ აქვე უნდა აღძვროდათ სიყვარული და აქვე უნდა შეესწავლათ *წმინდა წერილი*. ბასილი კესარიაში 28 წლის ასაკში დაბრუნდა და მალე საბოლოოდ გადაწყვიტა ქრისტიანობის მიღება, მოინათლა. ამ პერიოდში ბასილმა სამონასტრო საქმის შესასწავლად იმოგზაურა ეგვიპტეში, პალესტინასა და მესოპოტამიაში. პონტოში დაბრუნებისას მან დააარსა საკუთარი მონასტერი და ასკეტური ცხოვრება დაიწყო. შერყეული მართლმადიდებლური ქრისტიანობის დასაცავად ბასილი მალე კესარიაში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ შეეწყო კესარიის ნახევრადარიან ეპისკოპოსებს, მაინც ჰქონდა მათთან გარკვეული ურთიერთობა და დაახლოებით 362 წლიდან იგი არაოფიციალური მმართველია კესარიის საეკლესიო საქმეებისა. მაგრამ დროდადრო, ეპისკოპოსებთან უთანხმოების გამო, იგი ტოვებდა კესარიას და პონტოში მიდიოდა. 370 წლიდან იგი კესარიის ეპისკოპოსია, თუმცა ამის წინააღმდეგი იყო მეზობელი ეპისკოპოსების დიდი ნაწილი. კესარიის ეპისკოპოსობის ტიტულთან ერთად მან მიიღო კაპა-

დოკიის პროვინციის მიტროპოლიტობა და პონტოს ეგზარქოსობა.

ბასილი კესარიელის მთელი ცხოვრება მართლმადიდებლური ქრისტიანობის დაცვისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ბასილი იბრძოდა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. ბასილის დოგმატური ხასიათის ნაწერებში აისახა ბრძოლა არიანობის წინააღმდეგ სული წმიდას საკითხზე. ამ ბრძოლას იმ პერიოდისათვის გაძლიერებული არიანული სექტის წინააღმდეგ წლების მანძილზე მეთაურობდა ბასილი კესარიელი. ეკლესიის ისტორიკოსების გადმოცემის თანახმად, ბასილთან ერთად ერთიანი თვალსაზრისით არიანობას ებრძოდნენ გრიგოლ ნაზიანზელი, ათანასე ალექსანდრიელი და აპოლინარი ლაოდიკიელი (Sozom., Hist. Eclesias., VI, 22). 337-378 წლებში არიანობა პრაქტიკულად აღმოსავლეთის სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა. ბასილი კესარიელი კი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური ცენტრის, კაპადოკიის კესარიის არქიეპისკოპოსის ტიტულით სასტიკად ებრძოდა ირგვლივ გაბატონებულ არიანობას. რწმენით არიანი იმპერატორი ვალენტი არაერთგზის შეეცადა ბასილის არიანობაზე გადაბირებას, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, არიანობასა და ბასილს შორის საერთო ენის გამონახვას. რა ღონეს არ მიმართა იმპერატორმა – საჩუქრები გაუგზავნა ბასილს, გაძევებითაც დაემუქრა, საკუთარი ფეხითაც კი ეახლა, მაგრამ არქიეპისკოპოსის რწმენა ურყევი იყო. ამ ფაქტს დიდის აღტაცებით, ერთხმად გადმოსცემენ ეკლესიის ისტორიკოსები (Socrat., H. E. IV, 26; Sozom., H. E. VI, 16; Theodor., H. E. IV, 19). ბასილის მთელი პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართული იყო იმ მხრით, რომ შეერიგებინა აღმოსავლეთის ეპისკოპოსები დასავლეთის ეკლესიასთან და დაერაზმა ისინი

არიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბასილი კესარიელი გარდაიცვალა 379 წელს.[1]

ბასილი კესარიელს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში მიეწერება დიდძალი და პირველხარისხოვანი ლიტერატურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. დოგმატური ნაწერები:
   ა) ევნომიუსის წინააღმდეგ (PG – Patrologia Graeca – J. P. Migne-ის გამოცემა, t. 29, 497-670).
   ბ) სული წმიდა (PG., t. 32, 67-218).
2. მორალურ-ასკეტური ნაწერები: (PG., t. 31, 619-1428).
3. ლიტურგიკული ნაწერები: (PG., t. 31, 1629-1656).
4. ჰომილიები და სწავლანი. მათაგან ცალკე უნდა გამოიყოს:
   ა) ექუსთა დღეთათვის (PG., t. 29, 3-208).
   ბ) ფსალმუნთა განმარტებანი (PG., t. 29, 209-494; t. 30, 71-118).
5. ტრაქტატი ახალგაზრდობისათვის, თუ როგორ გამოიყენონ წარმართული ლიტერატურა (PG., t. 31, 563-590).
6. ეპისტოლენი (PG., t. 32, 219 -1110).

ბასილის ნაწერები სრული სახით ბერძნულ ენაზე მრავალჯერ არის გამოცემული. მათ შორის ერთ-ერთია ჩვენ მიერ მითითებული გამოცემა: PG., t. t. 29-32.

ბასილის შრომების ბეჭდური სახით გამოცემა XVI საუკუნიდან იწყება. პირველ გამოცემებად ასახელებენ: ჰააგის, 1528 წ.; ბაზელის, 1532 წ.; ვენეციის, 1535 წ. და ისევ ბაზელის, 1551 წ. გამოცემებს. შედარებით უფრო სრულ გამოცემად მიიჩნევენ პარიზის 1618 წ. გამოცემას, რომელიც 1638 წ. განმეორდა. ხოლო

---

[1] სამეცნიერო ლიტერატურა ბასილი კესარიელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ: Bardenhewer, O., *Geschichte der altkirchlichen Literatur*; III, 130-162; Altaner, Ber., *Patrologie*, 1958, 258-266; Фаррар, Ф. В., *Жизнь и труды святых отцов и учителей церкви*, II, 1903, 1-63; Allard, P., St.-Basile, Paris 1899; *Православная богословская энциклопедия*, III. 179-197; და სხვა ენციკლოპედიები.

საუკეთესო გამოცემად მიჩნეულია გარნიესა (Mauriner Julien Garnier) და მარანის (Prudent Maran) გამოცემა. პირველმა 1722 წ. გამოსცა პირველი ორი ტომი, ხოლო მეორემ 1730 წ. მესამე ტომი.

დაწვრილებით უნდა შევეხო ბასილ დიდის ეროვნული წარმომავლობის საკითხს. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილი გამოცხადებულია კესარიელად ანუ კაპადოკიელად. ბასილის კესარიელად გამოცხადებას დიდი ხნის ისტორია აქვს. საეკლესიო ლიტერატურის მკვლევარები ამით თითქოს არ ღალატობენ ბიზანტიურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას: რადგანაც ეკლესია ამა თუ იმ მოღვაწის სახელს ყოველთვის უკავშირებდა იმ ადგილს, სადაც იგი დაიბადა, ან სადაც იგი მოღვაწეობდა, ან კიდევ, სადაც ეწამა. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, გამართლებულია ბასილის კესარიელად გამოცხადება; რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ბასილი კესარიაში დაიბადა, ამავე ქალაქის ეპისკოპოსი იყო და აქვე გარდაიცვალა. მაგრამ, ამავე დროს, კესარიელობა სრულიადაც არ არის მითითება ეროვნებაზე. ზოგიერთ პირველწყაროში ბასილის შესახებ გარკვევითაა ნათქვამი, რომ იგი კესარიელი იყო იმდენად, რამდენადაც ეპისკოპოსი იყო ამ ქვეყნისა. ბასილის თანამედროვე და თანამოაზრე ეფრემ სირიელი (ეფრემ ასური) თავის სახოტბო სიტყვაში ბასილზე, დასაწყისშივე, შესავლის შემდეგ ახსენებს არა ბასილი კესარიელს, არამედ იმ ბასილს, რომელიც ეპისკოპოსობდა კაპადოკიელთა ქალაქ კესარიაში: „ესე არს ბრძენი და სარწმუნო და დიდი ბასილი, რომელი ეფისკოპოსობდა კაპადუკელთა სოფელსა, ქალაქსა დიდსა კესარიასა".[1] ეს უხერხულობა შენიშნულია ბიზანტინისტიკაში და ამიტომაც,

[1] ხელნაწერი Q-662 (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა. ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.), 242 v.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილის კესარიელობას უმატებენ იმას, რომ იგი წარმოშობით იყო პონტოელი, რადგან მისი მამა და მთელი სანათესაო მამის მხრიდან პონტოს ძველთაძველ და მკვიდრ გვარს წარმოადგენდა. ეს განცხადება საფუძვლიანია და ამას დამაჯერებლად ამტკიცებენ ძირითადი პირველწყაროები ბასილი კესარიელის ცხოვრებისა.[1]

ბასილი კესარიელი პონტოელი იყო. იგი გრიგოლ ნაზიანზელის მოწმობით, ეკუთვნოდა პონტოს ძველისძველ მკვიდრ და დიდგვაროვან ოჯახს, იმ გვარს, რომელსაც პონტოელები ძველთაგანვე მრავალ კეთილ და დიდებულ საქმეს მიაწერდნენ. გრიგოლ ნაზიანზელის თანახმად, ბასილის შორეული წინაპრები „არავისსა უდარეს იყვნეს ახოვნებითა, და სიმდიდრითა, ერისთვობითა, და პატიოსნებითა წინაშე მეფეთასა. და სიმაღლითა საყდართაჲთა, და პატივითა ერთა მიერ, და ბრწყინვალებითა სიტყუათაჲთა". [2] ბასილის ძმის გრიგოლ ნოსელის გადმოცემითაც მათი წინაპრები პონტოში ცხოვრობდნენ. მთელი თავიანთი სიცოცხლე პონტოში, მამა-პაპეულ მამულში გაატარეს ბასილის დედამ, დამ და ძმამ. ბასილის მამამ თანამედროვეების დიდი სიყვარული და მეგობრობა დაიმსახურა, მაგრამ მისი სახელი, როგორც იგონებდა სიკვდილის წინ ბასილის და მაკრინა, მაინც ვერ გასცდა პონტოს (გრიგოლ ნოსელი, *მაკრინას*

---

[1] პირველწყაროები ბასილი კესარიელის ცხოვრების შესახებ: გრიგოლ ნაზიანზელი, *სიტყვა 43* (Migne, PG., t. 36, 493-606); გრიგოლ ნოსელი, *სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე* (Migne, PG., t. 46, 787-818); გრიგოლ ნოსელი, *მაკრინას ცხოვრება* (Migne, PG., t. 46, 958-998); ბასილი კესარიელი, *წერილები* (Migne, PG., t. 32, 219-1110), ეფრემი (ან ფსევდო ეფრემი) სირიელი, *სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე* (იხ. ძვ. ქართული თარგმანი, Q-662. ფრ. 242-244); ფსევდო ამფილოქე იკონიელი, *ბასილის ცხოვრება* (იხ. ძვ. ქართული თარგმანი, A-1103, ფრ. 119-131). ხელნაწერები A, S, H, Q ფონდებისა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

[2] ხელნაწერი A-1, გვ. 264; ხელნაწერი A-16, ფრ. 81.

ცხოვრება). ბასილი კესარიელი, ეს ერთგული ეპისკოპოსი თავისი სამწყსოსი, სამშობლოდაც კესარიას თვლიდა. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ იგი პატივს არ სცემდა თავის გვარს და მამა-პაპეულ ქვეყანას. „ღმერთო, გამოსაცდელადაც კი არ მომცე რაიმე ისეთი, რომელიც მაიძულებდა ჩემი ნათესავების დავიწყებას", – სწერდა ბასილი ერთ-ერთ წერილში თავის ბიძას.[1] ბასილი კესარიელის მთელი ცხოვრება ამტკიცებს, რომ მას მშობლიური გრძნობით უყვარდა თავისი მხარე. მან პონტოში გაატარა მთელი თავისი ბავშვობა. აქ დააარსა მონასტერი და შეუდგა სამონაზვნო ცხოვრებას: აქვე დაწერა თავისი ცნობილი ასკეტური თხზულებები; და, როგორც თვითონ მიუთითებს, იყო ხშირი სტუმარი პონტოსი, რათა დაძაბული მუშაობის შემდეგ ცოტა ხნით შეესვენა მშობლიურ კუთხეში.[2] თვითონ ბასილი გვაცნობებს, რომ მისი აღმზრდელი დიდედა (მამის დედა) მაკრინა პონტოელი იყო. [3] და ბოლოს, ბასილი კესარიელი ერთ-ერთ წერილში ნეოკესარიელებისადმი აშკარად მიუთითებს, რომ იგი მათი (პონტოელების) ნათესავია სისხლით და ხორცით.[4]

---

[1] Patrologia Graeca, t. 32, 1857, სვ. 413.

[2] Patrologia Graeca, t. 32, სვ. 769.

[3] Patrologia Graeca, t. 32, სვ. 752.

[4] Patrologia Graeca, t. 32, სვ. 745.

ის ფაქტი, რომ ბასილი კესარიელი პონტოს თავის სამშობლოდ მიიჩნევს, იმდენად აშკარა და მნიშვნელოვანია, რომ ამის შეუმჩნევლობა შეუძლებელია. ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსი ხედავს ამ ფაქტს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ბასილის მიერ თავის სამშობლოდ პონტოს გამოცხადება ახსნას იმით, რომ იგი წარმოშობით პონტოელი იყო, რომ მისი გვარი პონტოელ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდა და ამდენად მითითება მის პონტოელობაზე გარკვეულად ეროვნულ წარმოშობაზე მითითების ტოლფასია, ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ბასილი ბავშვობის მოგონებებით დაკავშირებული იყო პონტოსთან და ამდენად მას უწოდა თავისი სამშობლო: «Несомненно, благодаря своему раннему воспитанию в Понте, своим тесным связям с ним, Василий иногда говорит о нем, как о своей собственной стране, напр. Ep. 87» (Фаррар, Ф. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 549).

მაგრამ ბასილის პონტოელად გამოცხადებაც არ არის საკმარისი მისი ეროვნული წარმომავლობის გასარკვევად. პონტოში თავიდანვე სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. რამდენადაც საქმე ეხება პონტოს ძველთაძველ მკვიდრ მოსახლეობას, უპირველეს ყოვლისა, პონტოს მკვიდრ ქართველურ ტომებზე, მეგრულ-ჭანური მოდგმის ხალხებზე უნდა შევჩერდეთ.[1]

ქართველთა მონათესავე ტომები მცირე აზიის ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის ბოლოს ჩანან. ამ დროისათვის შავი ზღვის სამხრეთით ჩნდება მუშქებისა და ტაბალების დიდი გაერთიანება „დიაოხი“ („დიაუხი“), ხოლო მისგან ჩრდილოეთით „კოლხა“ (კოლხეთი). უფრო მოგვიანებით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით წაყროები უჩვენებენ ხალდების ან ხალიბების გაერთიანებას „ხალიტუს“; და შემდეგ მდ. ჭოროხის სათავეებში სასპერების დიდ გაერთიანებას. ეს გაერთიანებები, როგორც პოლიტიკური ერთეულები, ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა საუკუნეებისათვის უკვე აღარ არსებობენ (ყველაზე დიდხანს, ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა „კოლხა“). მაგრამ მათში შემავალი ხალხები არ აღგვილან „პირისაგან მიწისა“. ისინი ძირითადად თავს იყრიან შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე და სხვადასხვა სახელმწიფოების მბრძანებლობას ექვემდებარებიან. პირველად მათზე ბატონობს სპარსეთი, მაგრამ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი

[1] ქართველი ტომების მცირე აზიის ტერიტორიაზე გავრცელებისა და პონტოს სამეფოში მათი ადგილის შესახებ იხილეთ: *საქართველოს ისტორია*, 1, 1958; ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია*. 1, 1961; Меликишвили, Г., *К истории древней Грузии*, 1959; Хаханов, А., *Разселение грузин по Малой Азий*, 1890; „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა“, გამოც. კ. კეკელიძის, მისივე შესავალი წერილი. *ლიტერატურული ძიებანი*, IV, გვ. 94-128; *ეტიუდები*, IV, გვ. 293-325; სანიკიძე, ლ., *პონტოს სამეფო*, თბ. 1956; გოზალიშვილი, გ., *მითრიდატე პონტოელი*. თბ. 1962.

ქართველური ტომი ჩანს თავისუფალი მათი ბატონობისაგან. ასეთებია: მაკრონები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალდები, ხალიბები და სხვ. ძვ. წ. აღ-ის IV საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქართველი (მეგრელ-ჭანების) და მისი მონათესავე სხვა ხალხების მიწა-წყალზე შეიქმნა პონტოს ელინისტური სამეფო. პონტოს ტერიტორიაზე ქართველი ტომები ძველთაგანვე მეტ-ნაკლები სიხშირით ცხოვრობდნენ მდ. ჰალისის ქვემო წელამდე. მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ისინი ძირითადად თავმოყრილი არიან აღმოსავლეთ პონტოში. აქ, მდ. ირისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთადერთი მკვიდრნი ქართველი ტომები არიან. ამ ადგილებიდან მათი შემდგომი გადასახლება აღარ მომხდარა. ჩვ. წ. აღ-ის I საუკუნის შუა წლებში პონტოს სამეფო გაუქმდა. იგი შევიდა რომის იმპერიაში პონტოს დიოცეზის სახელწოდებით და ამით ქართველი ტომებიც რომისა და შემდგომში ბიზანტიის განმგებლობაში მოექცნენ.

ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, მდ. ირისიდან დაწყებული ჩრდილო-აღმოსავლეთით მთლიანად ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.[1] პონტოს ტერიტორიაზე – ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, კოლხები (ტრაპეზუნდთან), სანები, ლაზები; ხოლო მაშინდელი სომხეთის ტერიტორიაზე – სასპერები, ტაოხები და მოსხები. მდ. ირისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ქართველი ტომების ადგილსამყოფელი რომ იყო, ამის დადასტურებაა პლინიუსის ცნობაც იმის შესახებ, რომ მაკრონები ცხოვრობდნენ მდ. ირისიდან აღმოსავლეთით ტრაპეზუნამდე (Plin., Hist. Natur. VI, 4, 3). საყურადღებოა, რომ მემნონის ერთ-ერთი ფრაგმენტის თანახმად სანები და ლაზები

[1] Kiepert, H., *Atlas Antiques Asia citerior* (იხ. კეკელიძე, კ., „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა“: *ლიტერატურული ძიებანი*, IV. თბ. 1948).

შიდა პონტოს ნაპირას ცხოვრობდნენ (Mem., Frgm. XVI, ZIV). ეს მიწები ძველთაგანვე ქართველთა კუთვნილებად იყო მიჩნეული. ქსენოფონტე ამ მხარეს მთლიანად კოლხეთის ქვეყანას უწოდებს; ეს იქიდან ჩანს, რომ ტრაპეზუნდს თვლის სინოპის მცხოვრებთა კოლონიად კოლხების ქვეყანაში, ხოლო კერასუნტს – სინოპელების მიერ დაარსებულ ელინთა ქალაქად კოლხეთში (Xenoph., Anab., V). ჩვ. წელთაღრიცხვის 134 წ. არიანეს წერილიდან იმპერატორ ადრიანესადმი აშკარად ჩანს, რომ II საუკუნეში პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში შედიოდნენ ძლიერი ქართველური ტომები, რომელთა ბელადებს გარკვეული დამოუკიდებლობაც (მეფობა) კი ჰქონდათ მინიჭებული. არიანე ტრაპეზუნდის მიდამოებში ასახელებს: ჭანებს, მაკრონებს, ჰენიოხებს, ზიდრიტებს; ხოლო დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე – ლაზებს, აფსილებს, აბასკებს და სანიგებს (Arr. Periplus, §15). მალე ამ რაიონებში დაწინაურდა ჭანების ტომი. მათმა ჰეგემონიამ განაპირობა ის, რომ ძველი ქართული წყაროები ამ მხარეს ჭანეთს უწოდებს. მართალია, პირველი საუკუნეებისათვის, სტრაბონის გადმოცემის თანახმად, ჭანები ცხოვრობდნენ ტრაპეზუნდისა და ფარნაკიის ზემოთ (XII, 3), მაგრამ ქართველი ტომები სტრაბონის დროსაც შიდა პონტოშიც საკმაოდ მომრავლებული ყოფილან; ამის დამადასტურებელია ისიც, რომ თვით სტრაბონი, რომელიც ქ. ამასიაში დაიბადა (მდ. ირისის დასავლეთით), დედით ლაზი იყო. არიანე საყვედურობს ჭანებს, რომ ისინი რომაელებს არ ემორჩილებიან და მათ ტერიტორიიდან განდევნით ემუქრება (Arr. Perip., §15). მაგრამ, როგორც პროკოპი კესარიელის ცნობის თანახმად ირკვევა, რომაელებმა ვერ გატეხეს ჭანების წინააღმდეგობა; და მიუხედავად იმისა, რომ *რომაელთა მეფეები* ჭანებს ყოველწლიურად მშვიდობიანობის დაცვისათვის გარკვეული რაოდენობის ოქროს აძლევდნენ, ისინი

ზოგჯერ მაინც ივიწყებდნენე თავიანთ პირობას და კვლავ ესხმოდნენ თავს ხან სომხებს, ხან *რომაელებს* (Bel. Pers. 1, 15). ჭანების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართველურ ტომთა ძლიერი გაერთიანება, რომელიც აწყობდა ძლევამოსილ და შორეულ სამხედრო ექსპედიციებს. VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორის *იოანე მალალას* ქრონოგრაფის თანახმად დაახლოებით 379-395 წლებში ჭანები შეიჭრნენ კაპადოკიაში, კილიკიაში და სირიაში და ააოხრეს ეს ქვეყნები (*Chronographia*, XIII).

ამრიგად, როგორც ჩანს, პონტოს ფარგლებში მცხოვრები ქართველური ტომების ხსენება არც შედარებით მოგვიანო საუკუნეებში (IV-V) გამქრალა. მდ. ირისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ისინი პონტოს, შეიძლება ითქვას, ერთადერთ, მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ.

როდესაც პონტოს დიოცეზში ქართული მოსახლეობის როლზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის საყურადღებო გარემოება, რომ პონტოს ფარგლებში (შეიძლება ფორმალურად, მაგრამ მაინც) შედიოდა კოლხეთი; ხოლო პონტოს დიოცეზი ჩრდილო-აღმოსავლეთით, მესხეთისა და ტაო-კლარჯეთის ხაზით, უშუალოდ იბერიას ეკვროდა. განათლებასა და კულ-ტურას დაწაფებული ქართველი მოსახლეობის არისტოკრატიული ნაწილი კოლხეთიდან და სამხრეთ იბერიის თემებიდან პონტოს შიდა რაიონებისაკენ მიისწრაფოდა, სადაც ამ დროისათვის განთქმული იყო ახალი კულტურული ცენტრები – კაპადოკიის კესარია და პონტოს ნეოკესარია. ამ ქალაქებში რიტორიკისა და ელინური ფილოსოფიის სკოლები არსებობდა.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ გასაგები ხდება ის სიმპათიები ვახტანგ გორგასალისა, რომელსაც იგი იჩენდა პონტოს მოსახლეობისადმი. აკად. კ. კეკელიძეს პონტოში მნიშვნელოვანი ქართული ელემენტის დასადასტურებლად მოჰყავს

სწორედ ის ფაქტი, რომ პონტოს გარშემო ბერძენ-სპარსელთა ომში მონაწილე ვახტანგ გორგასალი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა გადაერჩინა დაზარალებისაგან.[1]

მდ. ირისიდან დასავლეთით მდ. ჰალისამდე პონტოს დიოცეზში ქართველური ტომები უკვე აღარ ჩანან. ანტიკური წყაროების მიხედვით აქ მოხსენიებული ტომები ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ან გადმოსახლებულები არიან მდ. ირისის აღმოსავლეთით მთიან და უკაცრიელ რაიონებში, ან გაბერძნებული არიან, ანდა მათი ხვედრითი წონა ამ რაიონებში იმდენად მცირეა, რომ წყაროები მათ აღარ იხსენიებენ. ქართველი ტომების ელინიზაციის საყრდენი პუნქტები ამ რეგიონში ზღვის სანაპირო ქალაქები – ბერძენთა ახალშენები იყო. თუმცა ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-ის II-III საუკუნეებში აქ ძლიერია ადგილობრივი ელემენტი. პროკოპი კესარიელიც მიუთითებს ამ ადგილებში „რომაელებისა“ და ლაზების ერთად ცხოვრებაზე („რომაელებში“ იგულისხმება პონტოს ელინიზირებული მოსახლეობა – Bel. Goth. VIII, 2), ე. ი. შავი ზღვის სანაპირო ქალაქებიდან ამ რაიონებში თანდათან იჭრება ბერძნული ელემენტი და იწყება მოსახლეობის ელინიზაცია.

პონტოს მოსახლეობის ერთ ნაწილს სომხები წარმოადგენდნენ. ეს აიხსნება ძირთადად იმით, რომ პონტოს მოსაზღვრედ იყო სომხეთის ელინიზირებული სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მოიწევდა პონტოსაკენ. ისტორია მიუთითებს, რომ პონტოს ქართველურ ტომების დამორჩილებას ცდილობდნენ სომხეთის მმართველები. სტრაბონის ცნობის თანახმად, მცირე არმენიის მმართველებმა დაიმორჩილეს ხალდებისა და ტიბარე-

[1] კეკელიძე. კ., „მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე“: *ეტიუდები*, VI. თბ. 1960. გვ. 14.

ნების ტომები და თავიანთი მმართველობა ფარნაკიასა და ტრაპეზუნდამდე გაავრცელეს (XI, 14). საფიქრებელია, რომ ამ რაიონებში ხდებოდა ადგილობრივი ტომების არმენიზაცია. ამით თუ აიხსნება პლინიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ ტრაპეზუნდის ირგვლივ არსებული მთების გადაღმა ცხოვრობენ „არმენო-ხალიბები“ (Plin., HN, VI, 11-12).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. პონტოს მოსახლეობა ძირითადად სამი სხვადასხვა ეროვნებისაგან შედგებოდა: ბერძნების, ქართველი ტომებისა და სომხებისაგან.

2. პონტოს დიოცეზის აღმოსავლეთი ნაწილის (მდ. ირისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით) ძირითადი მკვიდრი მოსახლეობა ქართველური ტომები იყვნენ. მათი არისტოკრატიული ნაწილი და მათთან ერთად ჩრდილოეთიდან ჩამოსული კოლხები და იბერიელები ჩაბმული იყვნენ კაპადოკიის კესარიისა და პონტოს ნეოკესარიის კულტურულ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, ბასილ დიდი, რომელიც წარმოშობით იყო პონტოდან, ეროვნებით შეიძლება ყოფილიყო ან ბერძენი, ან რომელიმე ქართველური ტომის წარმომადგენელი, ან კიდევ სომეხი.

პირველწყაროებში ბასილი კესარიელის ეროვნული წარმომავლობა ნათლად არ ჩანს (გარკვევით არ არის ხაზგასმული). ბასილის ცხოვრების თითქმის ყველა აღმწერელი ეყრდნობა ქრისტიანული ეკლესიის იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოღვაწის ამქვეყნიური (ხორციელი) საქმეები არაა შემკობის ღირსი. ამ ტენდენციის ნათელი გამომხატველია გრიგოლ ნოსელი, რომელიც *ბასილ დიდის შესხმაში* გადაჭრით აცხადებს:

„ჯორციელთა საქმეთაგან მისი შესხმაჲ უგუნურებაჲ არს“;[1] ან კიდევ: „დავიდუმოთ უკუჱ ქუეყანისა საქმეთა და მამულთათჳს თქუმად მას ზედა, რომელთაგანი არცა ერთი არს კეთილ რაჲმე, ანუ სანატრელ; ხოლო მამული მისი იგი ვაჴსენოთ, რომელი მან ფრიად შეიყუარა, და ესრეთ ისწრაფა ვიდრემდის მიემთხჳა მას... ხოლო რაჲ არს ნათესავი და მამული ბასილისი? ვიხილოთ: ნათესავი უკუჱ მისი არს თჳსებაჲ ღმრთისაჲ და მამული არს სათნოებაჲ“.[2] ამავე აზრის ნათელი გამოხატულება გვაქვს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებაში *ეპიტაფია ბასილ დიდისა*. როდესაც ბასილს იმპერატორის ერთ-ერთი მოხელე გაძევებით ემუქრება, იგი პასუხობს: – ჩემთვის გაძევება არ არსებობს, რადგანაც არ ვარ მიჯაჭვული არც ერთ ადგილთან. ისიც, სადაც ახლა ვცხოვრობ, არ არის ჩემი, და ჩემი მიწა იქნება ყველგან, სადაც არ უნდა გადამაგდოთ: უკეთ რომ ვთქვათ, ყველგან ღვთის ადგილია.

მიუხედავად აგიოგრაფთა ასეთი ტენდენციისა, ბასილ დი-დის ცხოვრების პირველწყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატუ-რაში შეგვიძლია გარკვევით ამოვიკითხოთ, რომ ეროვნებით ბასილი არ იყო ბერძენი. ბასილის ისტორიკოსები (კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელი) დაწვრილებით გვიამბობენ ბასილის წინაპრების შესახებ, იკვლევენ მათ ვინაობას, მიუთითებენ მათი ძველისძველი სამკვიდრებელი ქვეყნის – პონტოს შესახებ, გადმოგვცემენ მათ სახელთან დაკავშირებულ ძველ თქმულებებს, მაგრამ არაფერს ამბობენ მათი ბერძნობის შესახებ. პირიქით, აგიოგრაფები ბასილის საგვარეულოს უპირისპირებენ ბერძნულ სამყაროს.

წმ. ბასილის ცხოვრებაში, რომელიც ტრადიციით ამფილოქე იკონიელს მიეწერება (სინამდვილეში უცნობ ავტორს ეკუთვნის),

[1] ხელნაწერი H – 1760, ფრ. 83.

[2] იქვე.

საბერძნეთში სასწავლებლად მიმავალი ბასილის შესახებ იკითხება: „და მუნთქუესვე დაუტევა ქუეყანაჲ თჳსი, რამეთუ კაბადუკიელი იყო ნათესავით, და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენას“.[1] ამასვე ამბობს ამავე თხზულების ლათინური თარგმანიც: "Relicta igitur postmodum patria (erat enim Cappadox genere), eloquentiae matrem Athenas petit".[2]

ძველი ქართული სიტყვები „კაბადუკიელი იყო ნათესავით“ და ლათინური გამოთქმა „Cappadox genere" ნიშნავს ტომით, მოდგმით, ე. ი. ეროვნული წარმოშობით კაპადოკიელს. ამგვარად, აგიოგრაფის მითითება იმის შესახებ, რომ ათენში წასვლით ბასილმა დატოვა სამშობლო („ქუეყანაჲ თჳსი“, „patria"), რადგანაც ტომით კაპადოკიელი იყოო, აშკარად გამორიცხავს ბასილის ბერძნობას და მიუთითებს ეროვნებით მის ადგი-ლობრივ, მცირე აზიურ წარმოშობაზე.[3]

გრიგოლ ნაზიანზელი „ბასილ დიდის ეპიტაფიაში“ გადმოგვცემს, რომ ათენში სასწავლებლად ჩასულ ბასილს უყურებენ როგორც უცხოელს, ეს კი აშკარად გამორიცხავს ბასილის ბერძნობას (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

ბასილ დიდის ბერძნობა უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაშიც. სპეციალურ ლიტერატურაში არსად არ არის ნათქვამი, რომ ბასილი ეროვნებით იყო ბერძენი. მკვლევრები ბასილის ეროვნების დასადგენად დაჟინებით იკვლევენ, ერთი მხრივ, მისი

---

[1] ხელნაწერი A-1103, 120 r.

[2] Patrologia Graeca, t. 29, 1857, CCXCVI.

[3] კაპადოკიაში, ამ სახელწოდების ფართო გაგებით, შედიოდა პონტოს დიდი ნაწილიც. „კაპადოკიის“ ასეთი გაგება აქვთ მხედველობაში, როდესაც ბასილის კაპადოკიელობაზე ლაპარაკობენ. იხ.: Фаррар, Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 1: «Василий родился в Каппадокии». ამ ცნობას ავტორი ურთავს შენიშვნას (გვ. 549); «Некоторые полагают его рождение в темном «Геленопонте», другие – в Неокесарии, «Понтийском городе», но подходившем под общее название Каппадокий (Cave, II, 216)».

დაბადების ადგილს და ვარაუდობენ, რომ იგი დაბადებულიც პონტოში იყო: „Некоторые полагают его рождение в темном «Геленопонте»". საინტერესოა, რომ მისი დაბადების ადგილს „ჰელენოპონტოს" ბნელ (უკაცრიელ, ველურ) ნაწილში, ანუ „ბარბაროსი" ტომების სამკვიდრებელ „ჰელენოპონტოში" მიიჩნევენ. მეორე მხრივ, დაწვრილებით ამოწმებენ, თუ როგორი შეხედულების იყო ბასილი თანამემამულეებზე: „Он описывает их робкими и ленивыми (Ep. XLVIII)".[1]

ცნობები იმის შესახებ, რომ ბასილი კესარიელი არ იყო სომეხი, შეგვიძლია ამოვიკითხოთ პირველწყაროებში:

I. იმპერატორის მიერ საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად მივლინებულმა ბასილი კესარიელმა ქ. სატალაში, რომელიც მცირე არმენიაში შედიოდა, ეპისკოპოსად განაწესა თავისი ნათესავი. ამის თაობაზე იგი წერილს სწერს სატალის მოქალაქეებს (იხ. დანართი 1: ბერძნული ტექსტი – PG, t. 32, სვ. 508-509; და მისი რუსული თარგმანი – *Творения Василия Великого*, ч. VI, 1802, გვ. 220-221).

ბასილი კესარიელის ამ წერილში ყურადღება უნდა მივაქციოთ რამდენიმე მომენტს: 1. ახალი ეპისკოპოსი, რომელიც ბასილმა განუწესა სატალის მცხოვრებლებს, არის მისი ნათესავი,

---

[1] Фаррар, Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

როდესაც ბასილის სამშობლოდ ჰელენოპონტოს ასახელებენ, შესაძლებელია, რომ გულისხმობდნენ არა პონტოს დასავლეთ ნაწილს, პოლემონის პონტოს საპირისპირო ჰელენოპონტოს, არამედ მთლიანად პონტოს. ჰელენოპონტო შეიძლება გაგებულ იქნეს მთელი პონტოს სახელად, რადგანაც იუსტინიანე კეისარმა (527-565) დაამკვიდრა სახელი ჰელენოპონტო მთელი პონტოს ეპარქიის მნიშვნელობით: „ამგვარად, ორივე ამ პონტოს, რომელიც ხსენებულ ცამეტ ქალაქს შეიცავს, კვლავ ერთ ეპარქიად ვაერთიანებთ და ვანიჭებთ მათ ძველს ერთიანობას და ახალს სახელწოდებას: ჰელენოპონტო ეწოდოს მას მთლიანად" (*გეორგიკა*, I, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა, თბ. 1961, გვ. 37).

ბავშვობიდანვე მისი ახლობელი. 2. ბასილმა მოსტაცა იგი თავის ხალხს, თავის ნათესავებს, საკუთარ დედას და გააგზავნა სომხეთში (სატალაში). 3. ახალი ეპისკოპოსისა და ბასილის ხალხი, მათი სანათესაო წინააღმდეგია მისი სომხეთში გაშვების. 4. თავიანთი მხრივ სატალის მცხოვრებლებმა (სომხებმა) უნდა გაამართლონ ბასილის ნდობა მათ მიმართ და მეგობრული და შინაურული მიღებით ახალ ეპისკოპოსს შეუმსუბუქონ სამშობლოსაგან განშორებით გამოწვეული სევდა.[1] აქედან კი გამომდი-

---

[1] არასწორი იქნება, რომ ტექსტიდან ამოვგლიჯოთ სიტყვები (დანართი 1): «ὅτι πρὸς οἰκείους καὶ φίλους αὐτὸν ἐξεπέμψαμεν» აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ, რადგანაც ბასილს ეპისკოპოსი მის «οἰκείους»-თან გაუგზავნია, ახალი ეპისკოპოსი და სატალის მცხოვრებლები ნათესავები ყოფილანო; რადგანაც:

ა) კონტექსტიდან სულ სხვა გამომდინარეობს – ბასილი გარკვევით მიმართავს სატალის მოქალაქეებს: ხოლო (თქვენის მხრივ), უნდა დაამტკიცოთ, რომ ღირსი ხართ ჩვენი იმედის და იმ დაპირებების, რომლებიც მე ამ კაცს მივეცი. კერძოდ, რომ მე გავგზავნე იგი შინაურებში და მეგობრებში და რომ თითოეული თქვენგანი მოწადინებული იქნება გადააჭარბოს სხვებს მისდამი (ახალი ეპისკოპოსისადმი) სიყვარულში და გულმოდგინებაში. ე. ი. ბასილი კესარიელი დაპირდა ახალ ეპისკოპოსს, რომ შინაურებში გაგზავნიო და ისინი შენდამი სიყვარულს გამოამჟღავნებენო. ხოლო ახლა სთხოვს სატალის მცხოვრებლებს, რომ გაამართლონ ეს დაპირება იმით, რომ სატალელები, როგორც შინაურები და მეგობრები, ახალ ეპისკოპოსისადმი სიყვარულს გამოამჟღავნებენ. ეს არის ბასილის დაპირება, რომელიც უნდა გაამართლონ სატალელებმა.

ბ) ასე ესმის ეს წერილი ფრანგ ავტორს P. Allard-საც (*Св. Василий Великий, 1902,* გვ. 93).

გ) ბერძნულ სიტყვას «οἰκεῖος» სხვა მნიშვნელობებთან ერთად აქვს გაგება „შინაურის“, „ნათესაურის“, „მეგობრულის“. ამ კონტექსტში მისი აზრის დასადგენად მნიშვნელობა აქვს მომდევნო სიტყვასაც «οἰκείους καὶ φίλους». ამიტომაც ამ კონტექსტში ეს სიტყვა არ არის ხორციელი ნათესაობის აღმნიშვნელი, არამედ იგი გადმოსცემს „არამატრულის“ მნიშვნელობის შემცველ ნიუანსებს: „შინაურს“, „ნათესაურს“, „მეგობრულს“.

დ) ასე ესმის ეს სიტყვა რუს მთარგმნელსაც. იგი ამ კონტექსტში მას თარგმნის სიტყვით «ближний», მაშინ როდესაც მან კარგად იცის, რომ «οἰκεῖος» ზოგჯერ ნიშნავს „ნათესავს“. ზემოთ მოტანილ ამონაწერში სიტყვას «οἰκειότητος» იგი თარგმნის «родственный»-ით; ეს იმიტომ, რომ ამ ადგილას არის გადმოცემული

ნარეობს უცილობელი დასკვნა, რომ ეპისკოპოსი არ იყო სომეხი. ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მასთან ნათესაობით დაკავშირებული ბასილი კესარიელიც არ ყოფილა სომეხი (ყოველ შემთხვევაში ნათესაობის იმ კუთხით, რომლითაც ამ ახალ ეპისკოპოსთან იყო დაკავშირებული).

II. ბასილი კესარიელს, როგორც კაპადოკიის მიტროპოლიტს, 372 წელს იმპერატორმა დაავალა მოეგვარებინა მცირე არმენიაში არსებული საეკლესიო უთანხმოებანი. მას დამხმარედ დაუნიშნეს ადგილობრივი ეპისკოპოსი თეოდოტი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ჩამოშორდა ბასილს. უცხო გარემოში მარტოდ დარჩენილმა ბასილმა ძირითადად მაინც მოახერხა შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულებანი. ამის შესახებ ფრანგი ავტორი P. Allard-ი წერს: „გულმოდგინეობა და სიფრთხილე უნაზღაურებდნენ მას ადამიანებისა და ადგილების მცირე ცოდნას, და თვით ენისა და ზნეჩვეულებათა უცოდინრობასაც“.[1]

P. Allard-ის ცნობა იმის შესახებ, რომ ბასილი კესარიელი არ იცნობდა სომეხ ხალხს, არ იცოდა მათი ენა და ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგანაც:

ა) P. Allard-ის წიგნი „St.-Basile” პირველწყაროებზე დაყრდნობილი ნაშრომია.

დამოკიდებულება ბასილსა და ახალ ეპისკოპოსს შორის, რომელიც, როგორც ტექსტიდან ჩანს, აშკარად ნათესაური იყო.

ლათინელი მთარგმნელი «οἰκείους»-ს თარგმნის სიტყვით "conjunctus", მაშინ, როცა ნათესაობის გადმოსაცემად იგი ხმარობს სიტყვას „cognatio" (Patrologia Graeca, t. 32, სვ. 507).

[1] "Son zèle, sa prudence, suppléèrent au peu de connaissance qu'il avait des hommes et des lieux, à son ignorance même de la langue et des coutumes du paya" (Allard, P., დასახ. ნაშრომი, გვ. 104).

ბ) ამ წიგნის რუსი მთარგმნელი, რომელმაც თარგმნისას, როგორც თვითონ მიუთითებს, [1] პირველწყაროებში შეამოწმა, განავრცო და ნაწილობრივ შეასწორა P. Allard-ის ნაშრომი, ამ ცნობას უცვლელად ტოვებს. იგი მიუთითებს, რომ სომხეთში მივლენილ ბასილს დამხმარედ დაუნიშნეს ადგილობრივი ეპისკოპოსი თეოდოტი, «чтобы восполнить его незнание людей, языка и местных обычаев».[2]

გ) ცნობა იმის შესახებ, რომ მცირე არმენიაში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად მივლენილ ბასილი კესარიელს თანაშემწედ დაუნიშნეს ადგილობრივი ეპისკოპოსი თეოდოტი, რომელმაც არ გაუწია მას დახმარება, არ მიაწოდა ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ ადგილობრივი ზნე-ჩეულებანი და ენა, შემონახულია ბასილი კესარიელის ერთ-ერთ წერილში კომეტ ტერენტიუსის მიმართ.[3]

III. ბასილი კესარიელი როგორც ბერძნებისათვის, ასევე სომხებისათვის უცხოელადაა გამოცხადებული თავისი უახლოესი მეგობრის გრიგოლ ნაზიანზელის მიერ. გრიგოლ ნაზიანზელი თავის *ეპიტაფიაში ბასილ დიდზე* (სიტყვა 43) საუბრობს ბასილთან დამეგობრების შესახებ ათენში. (იხ. დანართი 2: ბერძნული ტექსტი – PG, ტომი 36, გვ. 516-517; მისი რუსული თარგმანი – *Творения Григория Богослова*, ნაწ. IV, გვ. 71-73; ეფთვიმე ათონელის თარგმანი – A-1, გვ. 283-284; ეფრემ მცირის – A-16, ფრ. 286).

გრიგოლ ნაზიანზელის ამ ნაამბობში რამდენიმე მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. ბასილ დიდი რომ ეროვნებით სომეხი იყოს, გრიგოლ ნაზიანზელის მიერ სომეხთა არასიმპათიურად დახასიათება

---

[1] *Св. Василий Великий*, 1902, გვ. 11.

[2] *Св. Василий Великий*, გვ. 93.

[3] Patrologia Graeca, t. 32, გვ. 497-504.

ბასილის შესამკობად დაწერილ ეპიტაფიაში გაუმართლებელი იქნებოდა. ქართველი მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი, სწორად ხედავს რა გრიგოლ ნაზიანზელის ამ ტენდენციას, თავის მხრივ აზვიადებს ნაზიანზელის აზრს.[1]

2. ათენში ბასილი კესარიელს პაექრობას გაუმართავენ სომხები, რომლებიც მას ადრევე იცნობდნენ. აქ გრიგოლ ნაზიანზელი გარკვევით გამიჯნავს ამ სომხებს ბასილისაგან და, რათა მკითხველისათვის არაფერი დარჩეს გაურკვეველი, იგი დაწვრილებით მიუთითებს, თუ საიდან იცნობდნენ სომხები ბასილს. თურმე ბასილისა და ამ სომხების მამები თუ წინაპრები იცნობდნენ ერთმანეთს და თურმე ისინი ერთ სასწავლებელში სწავლობდნენ.

3. სომხები მოითხოვენ უპირატესობას ბასილი კესარიელთან შედარებით. მათი აზრით, აქვთ კიდეც ამის საფუძველი: ა) ისინი ბასილზე ადრე შემოსილან ფილოსოფოსის მანტიით, ბ) ბასილი უცხოელი ყოფილა, გ) ბასილი ახალმოსული ყოფილა. ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ბასილის უცხოელობა.[2] სომხე-

---

[1] ხინთიბიძე, ე., „ბასილ დიდის სადაურობისათვის". საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების *მოამბე*, 3, 1962, გვ.138.

[2] ბერძნული სიტყვა ὁ ξένος უფრო ხშირად ნიშნავს „უცხოელს" (ზოგჯერ βάρβαρος-ის მნიშვნელობით), ხოლო ზოგჯერ მას აქვს მნიშვნელობა „მწირის", „ყარიბის" (იშვიათად „სტუმრის" ნიუანსით). ამ კონტექსტში იგი აშკარად ნიშნავს „უცხოელს", რადგანაც:

ა) ბასილი კესარიელი სტუმარი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ახალმოსული იყო; და რომ ამ თვალსაზრისითაც იწუნებდნენ ბასილს, ეს საგანგებოდაა მითითებული იქვე საგანგებო სიტყვით (νέηλυς). რომ ამ კონტექსტში სიტყვა ὁ ξένος ნიშნავდეს „სტუმარს", მაშინ მივიღებდით აზრობრივ ტავტოლოგიას: სომხებს ვერ აუტანიათ, რომ არა აქვთ არავითარი უპირატესობა ახალმოსულის (სტუმრისა) და ახალმოსულის წინაშე.

ბ) იმის გამო, რომ ბასილი კესარიელი ათენში იყო სტუმარი (ე. ი. არაადგილობრივი), სომხები მის წინაშე უპირატესობას ვერ მოითხოვდენ, რადგანაც

ბისთვის აუტანელი იყო, რომ მათ არავითარი უპირატესობა არ ჰქონდათ ამ უცხოელის წინაშე, ე. ი. სომხების თვალსაზრისით ბასილის უცხოელობა მათ უფლებას აძლევდა მოეთხოვათ მასზე მაღლა დგომა. აქედან აშკარად ჩანს შემდეგი:

ა) ბასილი კესარიელი არ შეიძლება იყოს ბერძენი (უცხოელი სომხების თვალსაზრისით), რადგანაც ბასილის უცხოელობაში თუ გრიგოლ ნაზიანზელი ბერძნობას გულისხმობდა, მაშინ სომხებს, რომლებიც ბერძენთა სასწავლებელში თავად იყვენ უცხოელნი, არ ექნებოდათ არავითარი პრეტენზია ბასილზე მაღლა დგომისა.

ბ) ბასილი კესარიელი არ შეიძლება იყოს სომეხი (უცხოელი ბერძნების თვალსაზრისით), რადგანაც ბასილის სომხობის გამო მის წინაშე სომხები, რამდენადაც თავადაც სომხები იყვნენ, უპირატესობას ვერ მოითხოვდნენ.

ბასილი უცხოელობის გამო ეროვნებით განსხვავდება სომხებისაგან და ბასილს მისი ეროვნება (უცხოელობა), ათენში, ბერძენთა შორის მოსწავლე სომხების თვალსაზრისით, მათზე (სომხებზე) დაბლა აყენებს. აქედან კი ყოველგვარი ეჭვის გარეშე გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბასილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნებით არც ბერძენი და არც სომეხი.

თვითონაც, ათენში სასწავლებლად ჩასულნი, ისეთივე სტუმრები იყვნენ, როგორც ბასილი.

გ) ამ კონტექსტში სიტყვა ὁ ξένος „უცხოელად" ესმის რუს მთარგმნელს («перед иноземцем и недавно прибывшим»...); ეფთვიმე ათონელს („უცხოჲსა მის და ახლადმოსრულისა"); ეფრემ მცირეს („უცხოჲსა და ახლად-მისულისა"); ამ თხზულების ლათინურად მთარგმნელს: „Grave enim minimeque ferendum esse judicabant, eos, qui philosophica pallia priores induissent, atque in funditandis verbis operam ante posuissent, extero et tironi nequaquam anteferri" (Patrologia Graeca, t. 36, სვ. 518.); ამ ნაწყვეტის ფრანგ კომენტატორს P. Allard-ს "Dès la première rencontre, ces anciens,.. virent avec envie un "étranger à leur nation"... (Allard, D., დასახ. ნაშრომი, გვ. 12).

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ეს ადგილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებაში არ არის შემთხვევითი, ან ამ თხზულების საერთო ხასიათთან, ან მის რომელიმე ნაწილთან წინააღმდეგობაში მყოფი, პირიქით, თხზულების ავტორი ეხება რა დაწვრილებით ბასილი კესარიელის ვინაობას და მის წინაპრებს, არა თუ არაფერს ამბობს ბასილის ბერძნობის ან სომხობის შესახებ, არამედ ოდნავადაც არ აახლოებს მათ ბერძნებთან ან სომხებთან.

ამრიგად, პირველწყაროები აშკარად მეტყველებენ, რომ ბასილი არ იყო არც ბერძენი, არც სომეხი. ამასთან ერთად, როგორც ვიცით იგი წარმოშობით იყო პონტოელი, პონტოს ძველის-ძველი ოჯახიდან. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია დავუშვათ, რომ ბასილი ეროვნებით იმ ქართველური ტომების რომელიმე შტოს წარმომადგენელი იყო, რომლებიც ძველთაგანვე და ბასილის დროსაც ცხოვრობდნენ იმ მიწა-წყალზე, რომელსაც ამ დროს პონტო ეწოდებოდა. აქვე შეგვიძლია მივუთითოთ, რომ ის შტო, რომელსაც ბასილი ეკუთვნოდა, ამ დროისათვის არ იყო არც გაბერძნებული, არც გასომხებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყაროებში არ იქნებოდა ასეთი აშკარა უარყოფა მისი ბერძნობის და სომხობის. ამავე დროს, სრულიად ბუნებრივია, რომ წყაროებში არ არის პირდაპირი ცნობა ბასილ დიდის ეროვნების შესახებ, რადგანაც:

1. ბუნებრივია, რომ ბასილის, შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენლის, ეროვნებაზე მსჯელობისას მეოთხე საუკუნეში ბერძნული პირველწყაროები ვერ უთითებენ მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოსთან (იბერია) მის კავშირზე. ძველი კოლხეთი კი, რომელიც ოდესღაც აერთიანებდა ამ ქართველურ ტომებს, ამ დროისათვის იმდენადაა დაკნინებული, რომ ტომობრივ ერთეულებადაა დაშლილი და პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში შედის.

2. ამიტომაც ბასილის ცხოვრების აღმწერელი ეკლესიის მამები პონტოს დასახელებით ზოგადად მიუთითებენ მის წარმომავლობაზე; თუმცა ამით სრულიადაც არ ღალატობენ სინამდვილეს, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ქართველური ტომები იყვნენ პონტოს ძველისძველი მკვიდრნი; და ალბათ, მათთვისაც პონტოს ცნება სამშობლოს უდრიდა.[1]

3. კანონზომიერია ის ფაქტიც, რომ ბასილის ცხოვრების აღმწერელი ქრისტიანი მამები, თანახმად ქრისტიანული ჩეულებისა, არ წვრილმანდებიან ბასილის ტომობრივი სადაურობის დეტალებით და მიუთითებენ მხოლოდ მისი წინაპრების დიდგვაროვნებასა და ქრისტიანობაზე. ბასილის წინაპრების სწორედ ამ ღირსებებს გულისხმობს მისი ძმა გრიგოლ ნოსელი, რომელიც ბასილის შესახებ წერს: „რომელმანცა უკუჱ ესევითარისა მამულისა და ნათესაობისაგან შეასხას მას, მან ჭეშმარიტი თქუას".[2] არის შესაძლებლობა კიდევ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ ბასილი კესარიელის კავშირი მეგრულ-ჭანური მოდგმის ქართველურ ტომებთან:

1) პირველ ყოვლისა დასაზუსტებელია პირველწყაროების გეოგრაფიული მონაცემები იმის შესახებ, თუ პონტოს რომელ მხარესთან იყო ბასილის მამა-პაპეული მამული დაკავშირებული. პირველწყაროების მონაცემებით, შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ სად მდებარეობს იმ დროისათვის ბასილის

[1] შესაძლებელია, აგიოგრაფთა დაჟინებითი მითითება ბასილის წინაპრების პონტოელობაზე, გარკვეულად ეროვნებით პონტოელობას ნიშნავდეს და ამდენად სწორედ ქართველურ ტომებზე მითითებას წარმოადგენდეს, რადგან სწორედ ესენი არიან მკვიდრნი ამ ქვეყნისა და მხოლოდ მათ არ ეგულებათ ამ ქვეყნის გარეთ არავითარი სამშობლო. პონტოში მცხოვრები ბერძნები კი, უპირველეს ყოვლისა, საბერძნეთთანაა დაკავშირებული, ისევე, როგორც სომხები – სომხეთთან, და ამდენად ისინი არიან ეროვნებით ბერძნები და სომხები და არა პონტოელები.

[2] H-1760, 83 r.

საგვარეულო მამული. ეს ადგილი არის პონტოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ირისის მარჯვენა, ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნეოკესარიის მახლობლად. მდ. ირისის ხეობა ბასილის მამის მამულს (სამფლობელოს) უნდა წარმოადგენდეს. ამის შესახებ ცნობები დაცულია ბასილის ძმის გრიგოლ ნოსელის თხზულებაში *წმ. მაკრინას ცხოვრება* და ეს ცნობები გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. გრიგოლ ნოსელი, გვესაუბრება რა თავის და ბასილის ძმაზე ნავკრატიოსზე, რომელიც მონაზნურად ცხოვრობდა მათი მამულის რომელიღაც კუთხეში, საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ მამულის ადგილმდებარეობის შესახებ: „ესე უკუე ნავკრატიოს მიიწია მაღნართა მათ პონტოდსათა; და დაემკვდრა ადგილსა უდაბნოსა ირი(ს) მდინარისა მახლობელად; რომელი-იგი შთამოვალს სომხითით, და განჰვლის შორის პონტოდსა და ადგილნი რაჲ ჩუენნი წარვლნეს, ევქსინოდსა ზღუასა შეერთვის, რომელ არს პონტოდ".[1] ამ ცნობის თანახმად, ბასილის მამის მამული („ადგილნი ჩუენნი") მდებარეობს პონტოში და იგი აშკარად გამიჯნულია სომხეთისაგან. აქ მოხსენიებული მდინარე შესაძლებელია იყოს მდ. ირისის მარჯვენა შტო, ანტიკური სახელწოდებით მდ. ლიკოსი და არა საკუთრივ მდ. ირისი; რადგანაც მხოლოდ ეს მდინარე (ლიკოსი) გამოდის სომხეთიდან, გაივლის პონტოს და უერთდება რა მდ. ირისს, ერთვის შავ ზღვას. ცნობა მდ. ირისისა და ბასილის მამის მამულის ადგილმდებარეობის შესახებ ზუსტად ასევე იკითხება ბერძნულ დედანშიც: «Ποταμὸς δὲ ὁ Ἶρις ἐστὶ, μέσον διαῤῥέων τὸν Πόντον. ὃς ἀπ' αὐτῆς τῆς Ἀρμενίας τὰς ἀρχὰς ἔχων, διὰ τῶν ἡμετέρων τόπων, ἐπὶ τὸν Εὐξείνου Πόντον τὸ ῥεῖθρον ἐκδίδωσι».[2]

[1] ხელნაწერი A-55, 23 r; ხელნაწერი A-142, გვ.121.

[2] Patrologia Graeca, t. 46, სვ. 968.

ამგვარად, ბასილის საგვარეულო მამული მდებარეობს პონტოს იმ ნაწილში, სადაც ძირითადად ქართველური ტომები მოსახლეობენ. ბასილის მთელი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ადგილთან, მან სწორედ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას, ანისში, სადაც მისი დიდედა, დედა და და ცხოვრობდნენ, დააარსა მონასტერი, რომელშიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა. აქვე მოღვაწეობდა მისი ძმა ნავკრატიოსი და ამ ადგილთანაა დაკავშირებული მათი ოჯახის მთელი ისტორიაც.[1]

2) გრიგოლ ნაზიანზელი „ბასილ დიდის ეპიტაფიაში" წერს:

---

[1] ყურადღება უნდა მივაქციოთ პირველწყაროებში დაცულ ამ ადგილმდებარეობის გეოგრაფიულ სახელებს. ესენია: ანისი და მდ. ირისი. ეს სახელებია - *ისი*-დაბოლოებიანი ნანათესაობითარი წარმოების საკუთარი სახელები. გეოგრაფიული სახელების ასეთი წარმოება ენათმეცნიერებაში ქართველური ენების სპეციფიკადაა მიჩნეული. ამას ადასტურებს სახელები: თბილისი, კრწანისი, დმანისი, ქუთაისი, ფაზისი და სხვები. განსაკუთრებით ხშირია ასეთი წარმოების სახელები სწორედ პონტოს იმ ნაწილში, სადაც ქართველური ტომები მოსახლეობდნენ.

შეცდომა იქნებოდა რაიმე პარალელის გავლება აქ დამოწმებულ *ანისსა* და ქართულ წყაროებში ხშირად მოხსენიებულ სომხეთის ქალაქ ანისს შორის. გარდა იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს არსებობდნენ, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: სომხეთის ქალაქს სომხურ ენაზე ჰქვია ანი. და აქედან ყველა ენის (გარდა ქართულისა) ლიტერატურაში იგი შეიძლება შეგეხვედეს მხოლოდ ამ სახელით (ანი). ქართულში კი სომხური „ანი", ალბათ, ქართული ტოპონიმიკის სპეციფიკის გავლენით „ანისად" გადაკეთდა. რაც შეეხება პონტოს *ანისს*, იგი არა მარტო ქართულ. არამედ ყველა ენაზე არის *ანისი* და არა *ანი*. ე. ი. მას ადგილობრივი მკვიდრნიც უწოდებდნენ *ანისს*. ამიტომაც იგი პირველწყაროებში ბერძნულ ენაზე დამოწმებულია, როგორც *ანისი*. იხ. მაგ.: ბასილის წერილები: «Ἀνὴρ τις ἄγροις τῶν συνοικούντων ἡμῖν ἐν Ἀννήσοις» (Ep. 3). ასევე შევიდა იგი სხვა ენაზე დაწერილ ლიტერატურაშიაც. იხ.: ინგლისურად: "About 360 he was leading the monastic life at Annesi, in Pontus..." (*The Encyclopaedia Britannica*, Vol. 3, London 1959, გვ. 171); ასევე რუსულად: „Маленькая община под кущами деревьев родового понтийского поместья Аннис..." (*Св. Василий Великий, 1902,* გვ. 25).

«Πολλὰ μὲν γὰρ ὁ Πόντος ἡμῖν ἐκ τοῦ πατρὸς προβάλλει τὰ διηγήματα, καὶ οὐδενός ἐλάττω τῶν πάλαι περὶ αὐτὸν θαυμάτων, ὧν πλήρος πᾶσα συγγραφή τε καὶ ποίησις».[1]

«...Ибо о предках его с отцовой стороны представляет нам Понт множество таких сказаний, которые ничем не маловажнее древних понтийских чудес, какими наполнены писания историков и стихотворцев».[2]

ეფთვიმეს თარგმანი:

„...რამეთუ მრავალთა კეთილთა მისთა მოგვთხრობს ქუეყანად პონტოდსად საკვირველებათა და დიდებულებათა მისთა მშობელთასა, რომლითა სავსე არიან წიგნნი".[3]

ეფრემის თარგმანი:

„... რამეთუ მრავალთა მამისა მისისათჳს პონტოდ წინადაგჳდებს თხრობათა. და არავის ძუძლთაგანისასა უდარესჰყოფს მის თჳსთა საკჳრველებათა, რომელთაგან აღსავსე ყოველნი აღმწერელობანი და სიტყჳსმოქმედებანი.[4]

ე. ი. გრიგოლ ნაზიანზელი მიუთითებს, რომ პონტო მოგვითხრობს ბასილის მამის წინაპრების შესახებ ისეთ ამბებს, რომლებიც არ ჩამოუვარდება მისივე ძველ საკვირველებებს, რომლებითაც სავსეა ისტორიკოსების და პოეტების ნაწერები. გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დამოწმებული „მისი (პონტოს – ე. ხ.) ძველი საკვირველებები" არის კოლხეთის ძველი ამბები, არგონავტების ციკლის ძველი თქმულებები; რადგანაც არავითარი სხვა „საკვირველება" არ არის დაკავშირებული პონტოს დიოცეზის აღმოსავლეთ (მდ. ირისის მარჯვენა ნაპირას) ნაწილში მცხოვრებ ხალხებთან, რომელიც იყო გადმოცემული როგორც

[1] Patrologia Graeca, t. 36, გვ. 497.
[2] *Творения Григория Богослова*, ч. IV, 1844, გვ. 55.
[3] ხელნაწერი A-1, გვ. 264; ხელნაწერი A-16, ფრ. 81.
[4] ხელნაწერი A-16, ფრ. 280

ძველი ისტორიკოსების, ასევე პოეტების მიერ.[1] ეს რომ ასეა, ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებს XI საუკუნის ქართველი მთარგმნელი

[1] საინტერესოა შემდეგი გარემოებანიც:

ა) არგონავტების ამბავს სხვა ავტორებიც დაახლოებით ისევე იხსენებენ, როგორც გრიგოლ ნაზიანზელი ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში. მაგალითად, IV ს. ავტორი თემისტიოსი წერს: მე რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე არა წყნარსა და ელინურ ადგილას,

«ἀλλ.᾽ ἐν τῇ ἐσχατιᾷ τοῦ Πόντου πλησίον Φάσιδος ὅπου κσὶ τὴν Ἀργὼ σωθεῖσαν ἐκ Θεσσαλίας ποιηταί τε ἐθαύμασαν...» (Or. XXVII).	„...არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, - რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ..." (*გეორგიკა*, I, გვ. 59)
შევადაროთ:	
გრიგოლ ნაზიანზელი (IV ს.)	თემისტიოსი (IV ს.)
საკვირველებები, რომლებსაც პოეტები გადმოგვცემენ.	რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ.

ბ) ბიზანტიურ მწერლობაში ძველი კოლხეთის ამბებს ბევრი მწერალი უწოდებს სწორედ ისევე, როგორც გრიგოლ ნაზიანზელი – *საკვირველ ამბებს*, ასე. მაგალითად: აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.) წერს (*გეორგიკა*, III, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა. თბ., 1936, გვ. 51):

«...ὥστε εἰ τις τοὺς χαλκόποδας ταύρους περιέλοι καὶ τὰς τῶν γηγενῶν ἀναβλασστήσεις καὶ ὁ π ό σ α ἄλλα τ ε ρ α τ ώ δ η κ α ὶ ἄ π ι σ τ α τῇ ποιήσει ἀμψὶ τῷ Αἰήτῃ κεκόμψευται...»	„... ასე, რომ თუ ადამიანი აღარ მოიგონებს სპილენძჩლიქებიან ხარებს. და მიწისაგან აღმოცენებულ ბუმბერაზებს და ბევრ *სხვა საკვირველსა* და *დაუჯერებელ ამბავს*, რაც აიეტის გარშემო შეთხზულ თქმულებაშია..."

გ) გრიგოლ ნაზიანზელი იცნობს თქმულებებს არგონავტების შესახებ და ეს ამავე ნაწარმოების სხვა ადგილიდანაც ჩანს. ასეთი აზრი გამომდიანრეობს ბიზანტიურ მწერლობაში გავრცელებულ გრიგოლ ნაზიანზელის ამ თხზულების ერთ-ერთი ადგილის კომენტარიიდან. იხ. ნონე აბასის (Nonnus Abbas) გრიგოლ ნაზიანზელის "ბასილ დიდის ეპიტაფიის" XI კომენტარი (Patrologia Graeca, t. 36, სვ. 1064) და ეფრემ მცირესეული „ზღაპრობანი დიდისა ბასილისა ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი" XVIII თხრობა („ზღაპრობანი ელინთანი". (ილ. აბულაძის გამოცემა): *ენიმკის მოამბე*, 1941, გვ. 28; ურუშაძე, ა., „შესავალი": *აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა*, თბ. 1948, გვ. 25).

და მეცნიერი ეფრემ მცირე, რომელიც თარგმნის რა ზემოთ მოტანილ ნაწყვეტს, ურთავს მას ასეთ კომეტარს:

„შეისწავე, რამეთუ მამა დიდისა ბასილისი პონტოელი იყო. ამისთვს მისთა ჰამბავთა მომთხრობელნი თანა-შეატყუნა საკვრველებითა ძუკლთა ამათ აღმწერელთა, ვითარ-იგი იყუნეს ქსენოფონ და პოლოვიოს და სხუანი მრავალნი; და კუალად სიტყვსმოქმედთაცა, ვითარ-იგი არს აპოლონისი არღონავსპტიკონი და სხუათა არამცირედთა, რამეთუ ამათნი აღწერანი და სიტყვსმოქმედებანი აღსავსე არიან პონტოჲსა საკვრველებათაგან“[1].

ამგვარად, ეფრემ მცირის თანახმად, გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დასახელებული ისტორიკოსები („აღმწერლები“) არიან ქსენოფონტე და პოლიბიოსი, ხოლო პოეტი („სიტყვსმოქმედი“) აპოლონიოს როდოსელი მისი „არგონავტიკით“. ცნობილია, რომ დასახელებული სამივე მწერალი გადმოგვცემს ცნობებს ქართველი ტომების და, კერძოდ, კოლხეთის სამეფოს შესახებ. ამგვარად, უდავოა, რომ გრიგოლ ნაზიანზელის მითითებაში პონტოს ძველ საკვირველებაზე (αὐτὸν θαυμάτων) ძველი კოლხეთის ამბები

---

[1] ხელნაწერი A -16, 281 r; ხელნაწერი A -109, 31 r.

1953 წ. დაწერილ საყურადღებო საკანდიდატო დისერტაციაში „გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისთვს“ ეფრემ მცირეს ქართულ თარგმანში“, თ. ფაშალიშვილი ეფრემის მოტანილ კომენტარს ამგვარად კითხულობს: „შეისწავე, რამეთუ მამა დიდისა ბასილისი პონტოელი იყო. ამისათვს მისთა ჰამბავთა მომთხრობელნი თანა-შეატყუნა საკვირველებითა ძუელთა ამათ აღმწერელთა, ვითარ-იგი იყუნეს ქსენოფონ და პოლოვიოს და სხუანი მრავალნი. კუალად სიტყვისმოქმედთაცა, ვითარ იგი არს აპოლონისი, არიონ, ავსპტიკონი და სხუათა არა მცირედთა, რამეთუ ამათნი აღწერანი და სიტყვსმოქმედებანი აღსავსე არიან პონტოჲსა საკვირველებათაგან“.

ასეთი წაკითხვა არ არის სწორი (იხ. ხინთიბიძე, ე., „ბასილ დიდის სადაურობისათვის“, გვ. 144-145.).

იგულისხმება, რომლებიც ძირითადად არგონავტების მითშია აღწერილი.

ამდენად გრიგოლ ნაზიანზელი ძველი კოლხეთის ამბების მემკვიდრედ აცხადებს ბასილის წინაპრებს (ბასილის მამის მშობელი ხალხის შესახებ პონტო წარმოაჩენს ისეთ ამბებს, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან პონტოსავე ძველ საკვირველებებს). საინტერესოა, რომ ქართველი მთარგმნელის ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანის მიხედვით, სწორედ ეს ძველი კოლხეთის ამებბი (რომლებიც წიგნებში წერია) არის ის საკვირველებანი, რომლებსაც მოგვითხრობს პონტო ბასილის წინაპრების შესახებ.

ეჭვი არ უნდა შევიტანოთ გრიგოლ ნაზიანზელის ცნობის ფასეულობაში. არ შეიძლება, რომ იგი ვერ ხედავდეს განსხვავებას იმ ხალხებსა, რომლებიც ძველი კოლხეთის (ძველი კოლხეთის ამბების) მემკვიდრენი არიან, და იმ ბერძნებსა და სომხებს შორის, რომლებიც პონტოში ცხოვრობენ. გრიგოლ ნაზიანზელი თავისი დროის დიდად განათლებული ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, რიტორი და ღვთისმეტყველი იყო (მას ქრისტიანულ სწავლულობასთან ერთად ბრწყინვალე ანტიკური განათლება ჰქონდა მიღებული). იგი უახლოესი მეგობარია ბასილი კესარიელის, ახლობელი და საყვარელი ადამიანი ბასილის ოჯახის ყველა წევრის და პონტოს ძალზე ხშირი სტუმარი. ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნაზიანზელის იდეების ერთიანობა, გულისტკივილი ერთმანეთის პირადი საქმეებისადმი იმის წინაპირობაა, რომ გრიგოლ ნაზიანზელს შეცდომა არ მოუვა ბასილის წინაპრების ამბების გამოძიებისას და არც შემთხვევითი ხასიათის ცნობას მოგვაწვდის მათ შესახებ.

გრიგოლ ნაზიანზელის ამ ცნობიდან ის უცილობელი დასკვნა გამომდინარეობს, რომ ბასილის წინაპრები ქართველური ტომების იმ ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები არიან, რომელიც

წინათ კოლხეთის სამეფოში შედიოდა და ახლაც (ბასილის დროსაც) მის მემკვიდრედ ითვლება.

ასახსნელია მხოლოდ ის ფაქტი, თუ რად დასჭირდა გრიგოლ ნაზიანზელს ბასილის ეროვნულ წარმომავლობაზე თითქოს „შეფარვით“ ლაპარაკი. რად არ ლაპარაკობს იგი უფრო მეტს ბასილის კოლხური წარმოშობის შესახებ. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი:

ა) ამ დროისათვის უკვე კარგა ხანია ძველი კოლხეთი პონტოს შემადგენლობაშია. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მიჯნაზე კოლხეთი უკვე დამოუკიდებელ პროვინციადაც კი აღარ ითვლება. იგი შედის რომაელთა პონტოს პროვინციაში. კოლხეთის ძველი სამეფო უკვე დიდი ხანია დაშლილია. მის ტერიტორიაზე, როგორც არიანეს წერილიდან ჩანს, ცხოვრობენ ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები (Arr. Periplus, §15). ისინი კი ყველანი პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში შედიან. ამდენად სახელი „პონტო“ ამ დროისათვის მოიცავს ძველ კოლხეთსაც.

ბ) ძველი კოლხეთის სამეფო (დასავლეთ საქართველო) VI საუკუნემდე წარმართული ქვეყნა იყო და, ამდენად, მისი მკვიდრნი წარმართებად ითვლებოდნენ. ქრისტიანულ ეკლესიას კი, რომელმაც საერთოდ მიჩქმალა ეროვნული წარმოშობის საკითხი, სასახელოდ არ მიაჩნდა მისი დიდი მოძღვარის ამ წარმართი ხალხის შვილად გამოცხადება. სწორედ ამიტომაა, რომ ბასილი კესარიელის ისტორიკოსები (გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი) ბასილის წინაპრებში დაჟინებით ეძებენ ქრისტიანებს და მხოლოდ მათ ამბავს გადმოგვცემენ (ბასილის დიდედას ამბავი). ამიტომაც გრიგოლ ნაზიანზელი საგანგებოდ დუმს ბასილის შორეულ წინაპრებზე. მან ძალიან კარგად იცის ამ ხალხის ძველი დიდების შესახებ, სწორად აფასებს მას, მაგრამ რწმენით ქრისტიან აგიოგრაფს არ სურს ამ წარმართი ხალხის

დიდებაზე ლაპარაკი. ამაზე აშკარად მიუთითებს თვითონ გრიგოლ ნაზიანზელი, ახასიათებს რა ბასილის წინაპრებს, როგორც მხედართმთავრებს, რიტორებს და სხვ., იგი გარკვევით ამბობს:

«Ὧν ἡμῖν εἰ βουλομένοις εἰπεῖν ἐξῆν, οὐδὲν ἂν ἦσαν ἡμῖν οἱ Πελοπίδαι, καὶ Κεκροπίδαι, καὶ οἱ Ἀλκταίωνες, Αἰακίδαι τε καὶ Ἡρακλεῖδαι, καὶ ὧν οὐδὲν ὑψηλότερον».[1]

«...Если бы захотели мы говорить о них, что можно, то оказались бы ничего незначащими для нас поколения Пелопса, Кекропса, Алкмеона, Айякса, Ирокла и другие знаменитейшие в их древности...»[2]

ეფრემ მცირის თარგმანი:

„....რომელთა უკუეთუმცა ჯერ იყო თქუმად ჩუენდა მნებებელთათჳს არარადმცა იყჳნეს ჩუენდა პელოპიდნი და კეკროპიდნი და ალკმეონნი, აკიდენი და ირაკლიდნი და რომელთასა არარაჲ უმაღლეს“.[3]

ამ კონტექსტიდან ნათლად იგრძნობა, რომ გრიგოლ ნაზიანზელი ტენდენციურად არაფერს ამბობს ამ ხალხის ძველი დიდების შესახებ. დიდად აფასებს მათ და აშკარად უპირისპირებს და გამიჯნავს ბერძნული წარმართული სამყაროსა და მითოლოგიის გმირებისაგან.

როგორც ჩანს, არგონავტების მითი და ძველი კოლხეთის დიდება ეროვნული თვითშეგნების საყრდენი ყოფილა ჯერ კიდევ IV საუკუნეში პონტოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ხალხებში. რომ ეს ტომები ძველი კოლხეთის მემკვიდრედ თვლიდნენ თავს, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ II-III საუკუნეების შემდეგ გაძლიერებულ ლაზთა მეფეებს დიდი კოლხეთის მემკვიდრედ მიაჩნდათ საკუთარი თავი.[4] ბერძნებმა კი, მცირე

[1] Patrologia Graeca, t. 36, სვ. 497.
[2] *Творения Григория Богослова*, ч. IV, 1844, стр. 56.
[3] ხელნაწერი A-16, ფრ. 280-281.
[4] ბერძენიშვილი, ნ., *საქართველოს ისტორია*, I. თბ. 1958, გვ. 85.

აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები რომ კოლხების მონათესავენი იყვნენ, საუკუნეებით ადრე იცოდნენ. ამას ამტკიცებს ჰეკატიოსის ცნობა: „მოსხები კოლხთა მოდგმისანი არიან" - «Μόσχοι ἔθνος Κόλχων» (Hecat. Frag. 188).

3) პირველწყაროებში ბასილი კაპადოკიელადაა გამოცხადებული. ბასილის კაპადოკიელობაზე მითითება არ ნიშნავს იმ ადგილზე, იმ ქვეყანაზე მითითებას, რომლის მკვიდრი იყო ბასილის სანათესაო, ან სადაც იყო ბასილი დაბადებული, რადგანაც ასეთ ქვეყნად იგივე პირველწყაროები პონტოს ასახელებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბასილის კაპადოკიელობაში აგიოგრაფები ბასილის ეროვნებას მიუთითებენ – ე. ი. ბასილის ცხოვრების აღმწერლები მიუთითებენ, რომ ბასილი ეროვნებით კაპადოკიელი იყო. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ეროვნების ხალხი იყო კაპადოკიელები, საბოლოოდ გარკვეული არ არის. მაგრამ იმის გადასაწყვეტად, თუ რას ნიშნავს სასულიერო მწერლობის მითითება ბასილის კაპადოკიელობაზე, მთავარია დადგენა, თუ რა შინაარსს დებდა ადრინდელი შუასუკუნეების მწერლობა ტერმინში „კაპადოკიელი". ჩვენამდე მოღწეული ანტიკური და ბიზანტიური წყაროები კი ამის გარკვევის შესაძლებლობას იძლევა. ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კაპადოკია ეთნიკური ტერმინია და კაპადოკიელი არის იგივე მესხი. ამ ტრადიციის ჩამოყალიბება ბიზანტიურ ეპოქამდეა საგულვებელი: იოსებ ფლავიოსი (39-95 წწ.) კაპადოკიელების შესახებ წერს[1]:

[1] *გეორგიკა*, I , (ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა). თბ. 1961, გვ. 271-272.

«...Καὶ Μοσοχηνοὶ δὲ ὑπὸ Μοσόχου κτισθέντες, Καππάδοκες μὲν ἄρτι κέκληται τῆς δὲ ἀρχαίας αὐτῶν προσηγορίας σημεῖον δείκνυται. πόλις γάρ ἐστι παρ' αὐτοῖς ἔτι καὶ νῦν Μάζακα, δηλοῦσα τοῖς συνιέναι δυναμένοις οὕτω ποτὲ προσαγορευθὲν πᾶν τὸ ἔθνος».

„მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოლიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელს ყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს“.

იოანე პეტრიწის თარგმანით: „...ხოლო მესქინნი მესხიოჲს მიერ აღშენებულნი აწ კაპპადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუენებვის. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მაზაკად ცხადმყოფელი გულისჴმისყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ ოდესმე სახელისდებასა ყოვლისა ნათესავისსა“.

ბიზანტიურ მწერლობაში დაბეჭითებით იმეორებენ კაპადოკიელების მესხობას. ევსტათი ანტიოქელი (280-360) ნოეს შთამომავლობაში ასახელებს ოსოხს (Ὀσόχ), რომლის შესახებაც წერს: «Ὀσόχ Μεσχηναίους, τοὺς νῦν Καππάδοκας» („ოსოხი, რომლისაგან არიან მესხები, დღევანდელი კაპადოკიელები“).[1]

თეოდორიტე კვრიელი (393-457/8) განმარტებას ურთავს ბიბლიაში ესაია წინასწარმეტყველის მიერ დასახელებულ ტომებს. ესაია წერს: „და განვავლინე მათგან ცხოვნებული წარმართთა მიმართ. თარშიდ და ფუდდ და ლუდდ და მოსოხდ და თოველთ და ელადად მიმართ“ (ესაია 66, 19). თეოდორიტე ურთავს განმარტებას, რომელშიაც „მოსოხ და თოველ“-ის შესახებ შენიშნავს:[2]

---

[1] *გეორგიკა*, I, გვ. 35.

[2] *გეორგიკა*, I , გვ. 221-222.

«...καὶ Μοσόχ Καππάδοκας καὶ Θωβὲλ "Ιβηρας» (P.G. t. 81)	„მოსოხ – კაპადოკიელებს და თობელ – იბერებს“.

სხვა ადგილას თეოდორიტე განმარტავს იეზეკიელის ტექსტს. იეზეკიელი წერს: „მუნ მიეცნეს მოსოქ და თობელ და ყოველი ძალი თითოეულისა მათისა საფლავისა მისისა გარე-მოსთაგანისა, ყოველნი წყლულნი მათნი...“ (იეზეკ. 32., 26). თეოდორიტე განმარტავს:[1]

«Θωβὲλ δὲ καλοῦνται οἱ "Ιβηρες, Μοσόχ δὲ Καππαδόκαι» (P. G. t. 81, 1137)	„თობელ ეწოდებათ იბერებს, ხოლო მოსოხ – კაპადოკიელებს“.

იეზეკიელი კიდევ სხვა ადგილას ასახელებს მოსოხს და თობელს (იეზეკ. 38, 1-3): „... ძეო კაცისო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა, და ქუეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს, მოსოხს და თობელსა და წინასწარმეტყუელებდ მის ზედა და არქუ მას...“. თეოდორიტე აქაც განმარტავს:[2]

«Μοσόχ δὲ Καππαδόκας εἶναι φασιν, καὶ θοβὲλ "Ιβηρας» (P.G. t. 81, 1200)	„...ხოლო მოსოხ, ამბობენ, კაპადოკიელები არიანო, თოხელ კი – იბერებიო“.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (კეისარი, 913-959 წწ.) ტრაქტატში: „De Thematibus“ არმენიკის თემზე საუბრისას ახასიათებს კაპადოკიას, მოგვითხრობს კაპადოკიის ქალაქების შესახებ და ახსენებს კესარიას, რომლის შესახებაც წერს:[3]

«Καισάρεια μητρόπολις, ἡ ἀπὸ τοῦ μεγάλου Καίσαρος Ἰουλίου	„...დედაქალაქია კესარია, რომელსაც ეს სახელი დაერქვა დიდ

[1] *გეორგიკა*, I, გვ. 222.

[2] *გეორგიკა*, I, გვ. 222. ბიბლიური *მოსოხის* ტომის კაპადოკიელებთან დაკავშირების ტრადიცია მკვეთრად იყო დამკვიდრებული გვიანდელ ანტიკურ და ადრინდელ ბიზანტიურ მწერლობაში (სხვა წყაროებზე მითითება იხ. Кекелидзе, К., *Иерусалимский канонарь VII века*. Тиф. 1912, გვ. 110).

[3] *გეორგიკა*, IV, (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა). თბ. 1952, გვ. 299.

ὀνομασθεῖσα, ἥτις πρότερον ἐκαλεῖτο Μάζακα ἀπὸ Μοσὼχ τοῦ τῶν Καππαδόκων ἀρχεγόνου»

იულიოს კეისარისაგან და რომელსაც წინათ ერქვა მაზაკა, კაპადოკიელთა პირველწინაპრის მოსოხისაგან...“.

ლეონ გრამატიკოსი (XI საუკუნე) თავის „ქრონოგრაფიაში“ (Λέοντος Γραμματικοῦ Χρονογραφία) საუბრობს იაფეტის მოდგმაზე და წერს:[1]

«...ἐκ δὲ τοῦ Θόβελ Θοβελοὶ οἱ νῦν Ἴβηρος, ἀπὸ δὲ Μεσχὼ Μεσχηνοὶ οἱ νῦν Καππάδοκες, διὸ καὶ Μάζακα ἡ παρ' αὐτοῖς μητρόπολις»

„თობელისაგან – თობელები, რომელთაც ახლა იბერნი ეწოდებათ, მესხოსაგან – მესხები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ, საიდანაც არის მაზაკა, მათი დედაქალაქი“.

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ბიზანტიელი ავტორები, ბასილის ბიოგრაფები, პირდაპირ მიუთითებენ, რომ ბასილი ეროვნებით კაპადოკიელი იყო, ასე მაგალითად, ფსევდო ამფილოქე იკონიელის *წმ. ბასილის ცხოვრებაში* პირდაპირაა თქმული, რომ ბასილი „კაპადოკიელი იყო ნათესავით“: "Cappadox genere". აქედან გამომდინარე კი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მეცნიერულად ჭეშმარიტი ბერძენი ისტორიოგრაფების მტკიცება, რომ კაპადოკიელები იგივე მესხები არიან, ერთი გარემოება ფაქტია: ბასილის ბიოგრაფები, მიუთითებენ რა მის ეროვნებით კაპადოკიელობაზე, თვლიან, რომ კაპადოკიელები არიან მესხები; რამდენადაც ბიზანტიური ტრადიცია მხოლოდ მესხებს უწოდებს კაპადოკიელებს. ამის გათვალისწინების შემდეგ ბუნებრივია, რომ ეროვნებით კაპადოკიელი ანუ მესხი საკუთარი ხალხის წარსულს ძველ კოლხეთში ხედავდეს და ძველი კოლხეთის დიდება მასში ეროვნულ სიამაყეს იწვევდეს; რამდენადაც მესხები ძველთაგანვე

[1] *გეორგიკა*, V, (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა). თბ. 1963, გვ. 3-4.

თვლიდნენ თავს კოლხების მონათესავედ და ეს გარემოება ბერძნებისათვისაც ცნობილი იყო, რაც ჩემ მიერ უკვე დამოწმებული ფრაგმენტიდანაც ჩანს: „მოსხები კოლხთა მოდგმისანი არიან“ «Μόσχοι ἔθνος Κόλχων» (Hecat Frag. 188).

ამრიგად, ბასილი კესარიელის ცხოვრების პირველწყაროების შესწავლიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა:

ბასილი კესარიელი ეროვნებით იყო, მცირე აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომების ერთ-ერთი იმ შტოთაგანის წარმომადგენელი, რომელმაც ადრე იწამა ქრისტიანული აღმსარებლობა, დაუახლოვდა მცირე აზიის კულტურულ ცენტრებს და ეზიარა ბერძნულ კულტურასა და განათლებას.

ისმის საკითხი – რა ადგილი უჭირავს ბასილი კესარიელს ქართველი ხალხის ცხოვრებაში? თვლის თუ არა ქართული ტრადიცია ბასილი კესარიელს ახლობელ, მშობლიურ მოღვაწედ?

ამ თვალსაზრისით მხოლოდ რამდენიმე მომენტს მივაქციე ყურადღება:

1. ქართველი ხალხის ტრადიცია კაპადოკიას მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევს, ხოლო კაპადოკიელ მოღვაწეებს – ქართველებად. წმინდა გიორგი, რომლის სახელი ესოდენ ახლობელი იყო ისტორიული საქართველოსათვის, კაპადოკიელადაა მიჩნეული. ქართველოლოგთა მიერ გამოთქმულია აზრი, რომ ქართველთა განმანათლებელი ნინო ეროვნებით ქართველი, გუგარქელი უნდა ყოფილიყო[1]. ხოლო ტრადიცია ამ ახლობელ, მშობლიურ ქალს კაპადოკიელად მიიჩნევს. ზოგიერთი, ძირითადად მხოლოდ ქართულ ტრადიციაზე დამყარებული შრომის მიხედვით, კაპადოკიელებად არიან გამოცხადებული საქართველოში სამონაზვნო ცხოვრების დამამკვიდრებელი სირიელი მამები და

[1] კეკელიძე, კ., „უძველესი რედაქცია ქრისტინეს მარტვილობისა“: *ეტიუდები*, III. თბ. 1955, გვ. 178-195.

ბიზანტიიდან საქართველოში პირველად გამოგზავნილი სამღვდელო პირები.[1]

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ თავის ბროშურაში სცადა დაემტკიცებინა მთელი კაპადოკიის მოსახლეობისა და ქართვე-ლი ხალხის ნათესაობა. ეს ნაშრომი 1877 წელს გადმობეჭდა ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა *ივერიამ* სათაურით: „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა". თვით ნაშრომის წარმოშობაც და მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში მისი პოპულარობაც ძირითადად კაპადოკიელებთან ნათესაობაზე ქართველთა წარმოდგენაში არსებულმა ტრადიციამ განაპირობა. ამრიგად, ბასილი კესარიელიც, როგორც კაპადოკიელი, ქართველ ხალხს მშობლიურ მოღვაწედ მიაჩნია.

2. არც ერთი წმინდა მამის ხსენების დღე არ დამკვიდრებულა ისე მყარად ქართველ ხალხში, როგორც წმინდა ბასილის. იგი ფართოდ აღინიშნებოდა გურიაში, ჯავახეთში, რაჭაში, ქართლში და საქართველოს მთიანეთშიც, კერძოდ ხევსურეთში. გურიაში ახალი წლის დღესასწაულზე – კალანდობაზე (ბასილობა ახალი წლის დღესასწაულს ემთხვეოდა) აკეთებდნენ ჩიჩილაკს, რომლის მთავარი ნაწილი ათლილი თხილის ჯოხია, რომელსაც ნათალები ბურბუშელასავით ჰკიდია და მას *ბასილის წვერებს* უწოდებენ. ქართლში, ჯავახეთში და რაჭაში ამ დღეს აცხობდნენ სპეციალური დანიშნულების პურს, რომელსაც *ბასილა* ერქვა.[2]

---

[1] კარბელაშვილი, პ., *ქართული საერო და სასულიერო კილოები*. 1898, გვ. 14.

[2] Хаханов, А., *Очерки по истории грузинской словесности*, вып. I. Москва 1895, გვ. 5-13; გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., ქავთარაძე, ი., *ქართული დიალექტოლოგია*, I. თბ. 1961, გვ. 681.

ქართველ ხალხში ბასილის „კულტის“ გავრცელება მხატვრულ ლიტერატურაშიც ასახულა.[1]

3. ძველი ქართული მწერლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბასილი კესარიელის თხზულებებს. ქართულ ენაზე თარგმნილია მისი თითქმის ყველა ძირითადი ნაწარმოები. თითოეული მათგანი ქართველებს უთარგმნიათ რამდენიმეჯერ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კულტურულ-ლიტერატურულ ცენტრში. გარდა იმ თხზულებებისა, რომლებიც ნამდვილად ბასილი კესარიელს ეკუთვნის, ქართულ მწერლობაში ბასილის სახელს ატარებს უამრავი ნაწერი, რომელთაგან თავისი სიმრავლით გამოირჩევა ლოცვები. ქართველი მწერლები სწავლობდნენ ბასილი კესარიელის ნაწარმოებებს, აჯგუფებდნენ მათ და ადგენდნენ მათგან სხვადასხვა დანიშნულების კრებულებს.

4. იმ უამრავ საგალობელთან ერთად, რომლებიც ბასილი კესარიელისადმია მიძღვნილი, ქართულ ლიტერატურაში დაცულია რამდენიმე ეროვნული, წმინდა ქართული წარმოშობის საგალობელი ბასილზე. ერთი ასეთი საგალობელი აღმოაჩინა, შეისწავლა და მისი ქართული წარმოშობა დაადგინა აკად. კ. კეკელიძემ. [2] ქართული ორიგიანლური საგალობელი დაუწერია ბასილ დიდზე ძველ ქართველ ჰიმნოგრაფს იოვანე მტბევარს, რომელსაც გარკვევით აწერია: „თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი“. [3] ორიგინალურია, აგრეთვე, მიქელ მოდრეკილის კრებულში შესული ორი საგალობელი ბასილზე, რომელთაც აწერიათ: „ქართულნი“, [4] ორიგინალურ-

---

[1] ერისთავი, რ., „ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალწელიწადის დღეს“: *მოთხრობები და სცენები*, ტ. III. 1937, გვ. 156-158.

[2] Кекелидзе, К., *Литургические грузинские памятники*. 1908, გვ. 424.

[3] ინგოროყვა, პ., *ძველი ქართული სასულიერო პოეზია*. ტფ. 1913, გვ. 90-98.

[4] ინგოროყვა, პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 200-203.

ქართულია, აგრეთვე, ე. წ. „არსების ხატად“ მიჩნეული ერთი საგალობელი ბასილზე.[1]

5. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ტრადიცია განსაკუთრებით ხაზს უსვამს ბასილი კესარიელის პონტოელობას. ეს გარკვევით შეინიშნება იოვანე მტბევარის საგალობელსა და მიქელ მოდრეკილის კრებულში შესულ სხვა საგალობლებში, რომლებიც ბასილისადმია მიძღვნილი. აქ ბასილი წოდებულია არა კესარიელად, არამედ ნეოკესარიელად (ნეოკესარია პონტოს დედაქალაქი იყო). განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის ეფრემ მცირის აზრი. მან მეორედ თარგმნა (ეფთვიმე ათონელის თარგმნის შემდეგ) გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილ დიდის ეპიტაფია“ და დაურთო მას საკუთარი კომენტარები (აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ნაწარმოები არის ყველაზე მეტად შემკობილი ეფრემის კომენტარებით). ეფრემმა შეისწავლა ბიზანტიურ მწერლობაში ყველა კომენტარი გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილ დიდის ეპიტაფიისა“ და მათი თარგმანით შეადგინა „ზღაპრობანი დიდისა ბასილისა ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“. ეფრემი, როგორც აღვნიშნეთ, გარკვევით მიუთითებს, რომ ბასილი კესარიელის მამა პონტოელი იყო და ეს ის პონტოა, რომელზედაც მოგვითხრობს არგონავტების მითი. ეფრემი თავის კომენტარებში განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ბასილი კესარიელის პონტოელობაზე.[2] იმ ადგილას, სადაც ტექსტში საუბარია ბასილი კესარიელის პონტოელებთან უთანხმოებაზე, ეფრემ მცირეს თავის მოვალეობად მიაჩნია განმარტოს, რომ ამ უთანხმოების მიზეზი

[1] კარბელაშვილი, პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[2] ხელნაწერი A -16, ფრ. 282.

არის „ეპარხოზი ევსევი“, რომელიც იყო დედოფლის ბიძა და რომელსაც სძულდა ბასილიო.[1]

6. აღსანიშნავია, რომ შედარებით მოგვიანებით ქართულმა ტრადიციამ ბასილი კესარიელი აშკარად ქართველად გამოაცხადა. ამ აზრის გამომხატველია პ. კარბელაშვილი, რომელიც, თვითნებურად აზვიადებდა რა ქართულ ტრადიციულ აზრს კაპადოკიელ მოღვაწეებზე, 1898 წ. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე წერდა: „იოანე დამასკელის ბერძნული შთამომავლობა საეჭვოა. იოანე დამასკელის შემდეგ აღმობრწყინდნენ მრავალნი საგალობელთა მწერალნი და მთხზველნი, რომელთაგან თითქმის ყველანი ან სირიელ-კაპადოკიელნი (ქართველნი) იყვნენ ან ეგვიპტელნი, და არა ბერძენნი. სახელოვანნი ძმანი ვასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, სტეფანე საბაწმინდელი, იოანე სინელი, წმ. გიორგი, წმ. ნინო, ათცამეტი ასურელნი მამანი იყვნენ ბუნებით ქართველნი და ჭეშმარიტი მამულის შვილნი“.[2] რასაკვირველია, ასეთი მსჯელობა საფუძველს და ამდენად მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. იგი მხოლოდ ტრადიციაზე დამყარებულ გაზვიადებულ მოსაზრებას წარმოადგენს.[3]

---

[1] ხელნაწერი A -16, ფრ. 289.

[2] კარბელაშვილი, პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[3] ახსენებს რა ბასილ დიდს, პ. კარბელაშვილი სქოლიოში მიუთითებს: „ვასილი დიდს თვით საეკლესიო ისტორიაც არ აღიარებს ბერძნად, საეკლესიო პატროლოგიაში (მამათცხოვრებაში) ვასილი ცნობილია მეფის შთამომავლად. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ვასილ დიდს ჰქონდა მშვენიერი მთა-ბარი კლარჯეთში, ეხლანდელ „ისპირის წყალზედ“, მარცხენა ტოტი მდ. ჭოროხისა, რომელიც მთელ მდინარე ირისს (თორთომის) ხეობას შეიცავდა. მისი სახლი მაღლა გორაზე იდგა და მშვენიერი გადასახედ-გადმოსახედი იყო დიდს მანძილზედ. აქ დწერა ვასილმა თავისი შესანიშნავი თხზულება *ექვსთა დღეთათვის შესაქმისა*. ეს ადგილი დღესაც აღნიშნულია მიუდგომელ მაღლობზედ ციხე-დარბაზის („ცივა-სროლა“) ნანგრევებით, სოფ. სოღორეთის მახლობლად“. ცნობები „ცივა-სროლას“ შესახებ პ. კარბელაშვილს ამოღე-

ასეთია ჩვენს ხალხსა და მწერლობაში დაცული ფაქტების ერთი ნაწილი, რომლებიც მეტყველებენ, რომ ბასილ დიდი ქართველთა ტრადიციაში მახლობელ და მშობლიურ მოღვაწედაა მიჩნეული.

ამგვარად, ტრადიციაც მხარს უჭერს იმას, რომ ბასილი კესარიელი ეროვნული წარმოშობით ქართველურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული. იგია ერთი იმ მოღვაწეთაგანი, რომელიც მიუცია ქართველურ სამყაროს ბიზანტიისათვის. აღნიშნული ფაქტის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ბასილი კესარიელის მამის მთელი ოჯახი იყო ქართველური სამყაროდან. ამ ოჯახმა კი გარდა ბასილი კესარიელისა, ქრისტიანულ ეკლესიას მისცა ორი ეპისკოპოსი: გრიგოლი და პეტრე, და სამი წმინდანი: ემილია, მაკრინა და თეოზევია.[1] ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ნოსელი, რომელიც დიდი ბიზანტიელი მწერალია და აღიარებული საეკლესიო ავტორიტეტი.

რასაკვირველია, არ შეიძლება ცალმხრივად შევაფასოთ ამ მოღვაწეების ქართველური წარმოშობის მნიშვნელობა. ისინი აღიზარდნენ ბეძნული კულტურის წიაღში, განათლება მიიღეს და წერდნენ ბერძნულ ენაზე და მათი სამწერლობო და საეკლესიო მოღვაწეობა ბიზანტიის კულტურულ პროცესში იყო ჩართული. სწორედ ამიტომაც არიან ისინი მიჩნეული ბიზანტიელ მწერლებად. მათი კავშირი ქართველურ სამყაროსთან იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოშობით იყვნენ დაკავშირებულნი იმ ხალხთან,

---

ბული აქვს (როგორც თვითონ მიუთითებს) დ. ბაქრაძის წიგნიდან *Арх. Путеш. по Гурии и Адчаре*, გვ. 42-43. იქ მართლაც ლაპარაკია სოფ. სოღორეთის მახლობლად არსებული ციხის ნანგრევების შესახებ, რომელსაც უწოდებენ „ციკა-სროლას", მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ამ ციხეს რაიმე კავშირი ჰქონდეს ბასილი კესარიელის სახელთან. შესაძლებელია, აქაური ადგილმდებარეობის აღწერა ამსგავსა პ. კარბელაშვილმა ბასილ დიდის მონასტრის ადგილმდებარეობის აღწერას და ამიტომ გამოიტანა ასეთი დასკვნა.

[1] Altaner, Ber., *Patrologe*, 1958; Фаррар, Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 165-181.

რომელნიც, თანამედროვე მეცნიერული ატრიბუციით – ანუ სახელდებით, ქართველური მოდგმის ხალხები იყვნენ. კარგად იცოდნენ ეს ფაქტი მათ თვითონ და მათმა უახლოესმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა.

დანართი 1: ბასილის წერილი სატალის მოქალაქეებს – ნაწყვეტი (PG, 32, 508-509; *Творения Василия Великого*, VI, 220-221).

„...Οὕτως τὸ ὑπερβάλλον τῆς καθ' ὑμᾶς τιμῆς οὐδενός μοι συνεχώρησεν εἰς μνήμην ἐλθεῖν, οὐ συγγενείας, οὐ τῆς ἐκ παιδὸς συνηθείας τῆς ὑπαρχούσης μοι πρὸς τὸν ἄνδρα, πρὸ τῶν παρ' ὑμῶν αἰτηθέντων. ἀλλὰ πάντων μὲν τῶν ἰδίᾳ μοι ὑπαρχόντων πρὸς αὐτὸν εἰς οἰκειότητος λόγον ἐπιλαθόμενος. μὴ ὑπολογισάμενος δὲ μηδὲ τοῦ στεναγμοῦ τὸ πλῆθος, ὃ κατασστενάζει μου ὁ λαὸς ὁ τὴν προστασίαν αὐτοῦ ζημιωθείς, μὴ πάσης αὐτοῦ τῆς συγγενείας τὸ δάκρυον. μὴ μητρὸς αὐτοῦ γυμνὰς καὶ ἐπὶ μόνῃ τῇ παρ' αὐτοῦ θεραπείᾳ σαλευούσης τὴν ψαλμῳδίαν εἰς καρδίαν λαοῦ. πάντων ὁμοῦ τοιούτων ὄντων καὶ τοσούτων, ἁλοὺς, ἑνὸς ἐγενόμην, τοῦ τὴν

«...Так избыток оказанной вам чести не допустил, чтобы прежде просимого вами пришло мне на память другое что либо, например: родство, снискавшая с детства привычка к сему мужу; напротив того, забыв все частные мои родственные к нему отношения, не обратив внимания на множество стенаний, с какими возрыдает народ мой, лишенный его покровительства, не тронувшись ни слезами всего родства его, ни скорбью престарелой матери, которая только и держалась одними его услугами, не уважив всех этих вместе и сильных и многочисленных причин, одно имел

ὑμετέραν Ἐκκλησίαν κατακοσμῆσαι μὲν τῇ τοῦ τηλικούτου ἀνδρὸς προστασίᾳ, μηθῆναι δὲ αὐτῇ ἐκ τῆς χρονίας ἀπροστασίας εἰς γόνυ κλιθείσῃ καὶ πολλῆς καὶ δυναστῆς χειραγωγίας εἰς τὸ ἀναστῆναι δεομένῃ. Τὰ μὲν οὖν ὑμέτερα τοιαῦτα. Τὰ δὲ παρ' ὑμῶν ἀπαιτοῦμεν λαμβάνειν μὴ ἐλάττονα φανῆναι τῆς ὑμετέρας ἐλπίδος, καὶ τῶν ὑποσχέσεων ἃς πεποιήμεθα τῷ ἀνδρί, ὅτι πρὸς οἰκείους καὶ φίλους αὐτὸν ἐξεπέμψαμεν. ἑκάστου ὑμῶν ὑπερβαλέσθαι τὸν ἕτερον ἐν τῇ περὶ τὸν ἄνδρα σπουδῇ καὶ ἀγάπῃ προσφερομένου. Ὅπως οὖν ἐπιδείξησθε τὴν καλὴν ταύτην φιλοτιμίαν, καὶ τῷ ὑπερβάλλοντι τῆς θεραπείας παρακαλέσητε αὐτοῦ τὴν καρδίαν, ὥστε λήψην μὲν αὐτῷ ἐγγενέσθαι πατρίδος, λήψην δὲ συγγενῶν, λήψην δὲ λαοῦ τοσούτου ἐφιεμένου τῆς προστασίας αὐτοῦ, ὅσον παιδίον νεαρὸν τῆς μητρώας θηλῆς.

я в виду—украсить вашу церковь правлением такого мужа и оказать ей помощь, преклонявшей уже колена от долговременного пребывания без начальника, и чтобы встать на ноги, возимевшей нужду в значительном и сильном руководстве. Вот что мною для вас сделано!

Но и вас уже прошу доказать, что вы не ниже нашей надежды и обещаний, какие сделаны мною сему мужу, а именно, что я послал его к ближним и к друзьям, и что каждый из вас пожелает превзойти всякого другого в усердии и в любви к нему. Как бы то ни было, покажите это прекрасное соревнование, и особенною своею услужливостью утешьте его сердце, чтобы забыть ему родину, забыть родных, забыть народ, столько же привязанный к его покровительству, сколько недавно рожденный младенец привязан к материнским сосцам»

დანართი 2: გრიგოლ ნაზიანზელი, *ეპიტაფია ბასილ დიდზე – ნაწყვეტი* (PG, 36, 516-517; *Творения Григолия Богослова*, IV, 71-73; ეფთვიმე ათონელის თარგმანი – A-1, 283-284; ეფრემ მცირის თარგმანი – A-16, 286).

«... Потом присоединилось и следующее обстоятельство, о котором также не прилично умолчать. Примечаю в Армянах, что они люди не простодушные, но весьма скрытные, и непроницаемые. Так и в сие время некоторые из числа более знакомых и дружных с Василием, еще по товариществу отцов и прадедов, которым случилось учиться в одном училище, приходят к нему с дружеским видом (действительно же приведены были с зависти, а не благорасположением), и предлагают ему вопросы более спорные, нежели разумные. Давно зная даровитость Василия и не терпя тогдашней его чести, они покушались с первого приема подчинить его себе. Ибо несносно было, что прежде него облекшиеся в философский плащ и навыкнувшие метать словами не имеют никакого преимущества пред иноземцем и недавно прибывшим...

(გრიგოლ ნაზიანზელი პირველად ვაჭრობს სიტყვებს მიეჭრება)...

Но как скоро понял и тайную цель собеседования, потому что невозможно стало скрывать ее долее, и она сама собою ясно обнаружилась; тогда, употребив нечаянный поворот, перевернул я корму, и став за одно с Василием, сделал победу сомнительною...»

ეფთვიმე ათონელის თარგმანი

....და მერე იქმნა ესეცთარცა: რამეთუ ცითარცა არს ნათესავი ესი სომეხთაჲ არა წრფელ, არაჲცა მზაკუდარ და ცულარძნილ, და ბოროტი, მიწსგაესებულ

ეფრემ მცირის თარგმანი

..... ამისსა შეწდგომად შემოღებელ იქმნა რაჲმე სხჳაჲცა, არცა ესი ღირს დატევებაჲ. არა ბრძენ ვჰრაცხ სომეხთაჲ. არაწრფელ ცრუად დიუარულ რაჲმე და

კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი და სხუაჲ უც გულსა, და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს. და რაჲ საკჳრველ არს უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ, და ბოროტად აღმსაარებელ. მაშინ უკუმოვიდეს მისდა სომეხნი ვიეთნიმე, რომელნი იყვნეს მუნ მოსწავლე, და მეცნიერ იყვნეს მისდა და მამისა მისისა, იწყეს მისდ: სიტყუად სახითა მეგობრობისაჲთა (ხოლო არა სიყუარულ იყო გულსა მათსა, არამედ შური). და ეტყოდეს ნას ცილობით სიტყუათა, რაჲთამცა უდარეს მათსა გამოაჩინეს იგი. რამეთუ იცოდეს პირველითგანი იგი გონებისა მისისა სიმახჳლე და პატივსა ნას არა თავსიდებდეს: რომელ ყოველთა მიერ პატივ იცემებოდა, რამეთუ შურდა, რომელ-იგი მათ შეემოსა სამოსლები ათინელთა ფილოსოფოსთაჲ და მრავალ ჳამთა ესწავლა რაჲთამცა არარაჲ უმეტესი აქუნდა უცხოჲსა მის და ახლადმოსრულისა... ხოლო ვითარცა ვცან მზაკუვარებაჲ იგი მათი რომელსა გამოაცხადებს, მეყსეულად მოვიქეც და აფრაჲ სიტყუათა ჩემთაჲ მოვაქციე მისდა, ძლევაჲ მისი განვაძლიერე...“

ზღუსკლდე. ვინაჲცა მაშინ მრავლით ჳამით ჩუცულთა და მეგობართა, მერმეცა მამულისა და ზენაჲს მოყუსობისაგანთა ვიეთმე რომელნი-იგიცა მისთა ალაგთაჲთ მომავალ იყვნეს, მოისწრაფეს მისსა მეგობრობის მაზმნობელობითა. ხოლო შურ იყო და არა ერთგულება მომყვანებელი. ჰკითხვიდეს მას ძლევისმოყუარებით, უფროჲს ვიდრე სიტყჳერებით და მოდრეკად თავთა თჳსთად მეცადინობდეს პირველისავე კელყოფისაგან ზენაჲთგანივე კაცისა მის ფრთხილ-ბუნებაობაჲ, უწყოდეს და მაშინდელისა პატივსა ვერ თავს-იდებდეს, რამეთუ ძნელყოფად აღუჩნდებოდა, უკუეთუ წინამიძღებელთა ტრივონებისათა და წინამწურთელთა კორციანობისათა, არარაჲ უმეტესი აჭუნღეს უცხოჲსა და ახლადმოსრულისასა... ხოლო ვითარცა ვცან საჲდუმლოჲ ზრახვისაჲ მის, არღარა თავსმიდებულ ვიქმენ, არამედ განცხადებულად განვაშიშულე მჳის კუალად ქცევითა აფქიონით მართებისათა, მისდად ვიქმენ. და სხუაჲ ძალოვან-ვიყავ ძლევაჲ...“

მეთოდოლოგიური შენიშვნები კაპადოკიელთა სადაურობის თაობაზე*

მოსაზრება ბასილ დიდის სადაურობის თაობაზე თავდაპირველად 1962 წელს გამოვაქვეყნე. მას საკმაოდ მალე გამოეხმაურა პროფესორი გიორგი გოზალიშვილი *(ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან*, 1965). წიგნში შესულ მეორე ეტიუდში „სამი დიდი კაპადოკიელის ვინაობისათვის", რომელიც ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, სწორედ ზემოთ დასმული პრობლემაა განხილული. იგივე წიგნი ავტორმა შემდგომში რუსულად თარგმნა და გამოსცა.

გ. გოზალიშვილმა გაიზიარა პრობლემის ჩემეული გადაწყვეტა, რომ ბასილი კესარიელი და, მაშასადამე, მისი ძმა გრიგოლ ნოსელიც იყვნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომების ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები. ავტორმა კიდევ უფრო გააფართოვა დასმული საკითხი და იმავე ქართველური შტოს წარმომადგენლად მიიჩნია გრიგოლ ღვთისმეტყველიც (ნაზიანზელი). იგი იზიარებს ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობას იმის თაობაზე, რომ კაპადოკია ძველი მესხეთის თანამედროვე სახელია: სახელი კაპადოკია მხოლოდ ეთნიკურ (და არა გეოგრაფიულ) ერთეულად მიაჩნია, მასში ქართველთა ერთი ტომის, მესხეთის, სახელს ხედავს. აქედან გამომდინარე, კაპადოკიელ მოღვაწეებს – ბასილი კესარიელს, გრიგოლ ნაზიანზელს და გრიგოლ ნოსელს ქართველებად თვლის და ქართველ მწერლებად მიიჩნევს.

---

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს ძირითად დასკვნებს ჩემი მონოგრაფიის - *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის* (1982 წ.) – ქვეთავისა: „რამდენიმე განმარტება ბასილ დიდის სადაურობის საკითხზე", გვ. 244-261.

ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ამ საბუთით კატეგორიული დასკვნების გაკეთება ნაძალადევია. გრიგოლ ნაზიანზელის ეროვნული წარმოშობით ქართველურ სამყაროსთან დაკავშირებისთვის, რაც აპრიორულად შესაძლებლად მიმაჩნია, მოტანილი საბუთები საკმარისი არ უნდა იყოს. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ საკითხის ამგვარი ინტერპრეტირებით გამოიკვეთა მეთოდურად მცდარად გააზრებული ორი საკითხი[1], რომლებიც საზიანო შეიძლება აღმოჩნდნეს არა მხოლოდ კაპადოკიელთა ეროვნული სადაურობის განხილვისას, არამედ საზოგადოდ ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლისათვის.

1. ის გარემოება, რომ ბასილ დიდი ეროვნული წარმოშობით ერთ-ერთ ქართველურ ტომს შეიძლება ეკუთვნოდეს, იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ბასილი მივიჩნიოთ არა ბიზანტიელ მოღვაწედ და მწერლად, არამედ ეროვნულ, კაპადოკიელ და, რაც კიდევ უფრო გაუგებარია, ქართველ მწერლად.

ესა თუ ის მწერალი იმ ხალხის, იმ ქვეყნის მწერლად ითვლება, რომელი ხალხის ენაზედაც წერს და საკუთარი შემოქმედებით რომელი ქვეყნის ლიტერატურულ პროცესშიც არის ჩართული. ასე რომ, ეროვნული წარმოშობით ძველ ქართველურ ტომებთან დაკავშირებული ბასილ დიდი ბიზანტიელი მწერალია იმდენად, რამდენადაც იგი წერდა ბერძნულ ენაზე; მთელი მისი შემოქმედება თავისი წყაროებით, პრობლემატიკით და შემდგომ ლიტერატურულ პროცესზე გავლენით ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა.

---

[1] იხ. გოზალიშვილი, გ., *ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან.* თბ. 1965; მისივე, „კვლავ სამი დიდი კაპადოკიელის“ ვინაობის ირგვლივ“: *მნათობი,* №6, 1971, გვ. 88-104.

დიდი ბიზანტიური ლიტერატურის შექმნა და განვითარება მხოლოდ ბერძენი ხალხის მოღვაწეობასთან არ არის დაკავშირებული. ამ ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და შემდგომ პროგრესში ბერძნებთან ერთად დიდი მონაწილეობა მიიღეს წარმოშობით ეგვიპტელებმა, სირიელებმა, ებრაელებმა, კაპადოკიელებმა, სომხებმა და სხვა ხალხებმა, რომლებსაც ერთ პოლიტიკურ და კულტურულ სისტემაში აერთიანებდა ბიზანტიის იმპერია. ამიტომაც არის, რომ ძალზე ბევრი მწერალი, რომელიც ამ ლიტერატურული პროცესის მონაწილე იყო, ეროვნებით არ ყოფილა ბერძენი, მაგრამ ითვლება ბიზანტიელ მწერლად და თავისი ადგილი აქვს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში.

მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება. მხოლოდ ორიოდე მათგანი: ბიზანტიური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი იოანე მალალა წარმოშობით სირიელი იყო და თავისი „ქრონოგრაფის“ შესაქმნელად სირიულ წყაროებსაც კი იყენებდა, იგი ბიზანტიელი მწარალია. ასევე, იოანე დამასკელი წარმოშობით არაბი იყო, მაგრამ იგი ითვლება უდიდეს ბიზანტიელ მწერლად. სირიელი რომანოზ მელოდოსი, წარმოშობით ებრაელი, დიდი ბიზანტიელი მწერალია, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელი.

ეს გარემოება არ არის მხოლოდ ბიზანტიის, როგორც მრავალნაციონალური ქვეყნის სპეციფიკა. ჟოზე მარია დე ერედია, წარმოშობით კუბელი – ფრანგი მწერალია. გიიომ აპოლინერი, მამით იტალიელი, დედით პოლონელი – ფრანგი მწერალია. ოსკარ მილოში, ეროვნებით ლიტველი – ფრანგი პოეტია. ჯოზეფ კონრადი, ეროვნებით პოლონელი – ინგლისელი მწერალია. ადალბერტ შამისო, ეროვნებით ფრანგი – გერმანელი მწერალია.

2. ბასილ დიდის სადაურობის თაობაზე ჩემ მიერ გამოქვეყნებული თვალსაზრისის მეთოდურად არასწორი გაფართო-

ვებით კიდევ ერთი მცდარი დებულება იქნა ჩამოყალიბებული: რადგანაც ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში არის ცნობა, რომ კაპადოკია მესხების ტომის ახალი სახელია, ძველი კაპადოკიელები ეროვნებით მესხებად და ამაზე დაყდრნობით ეროვნებით თვით ქართველებად იქნენ გამოცხადებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ეროვნებისა იყვნენ ძველი კაპადოკიელები, გარკვეული არ არის. თვით ბერძნულ საისტორიო წყაროებში კაპადოკიელების ვინაობაზე სხვადასხვაგვარი აზრი ჩანს. ბასილ დიდის სადაურობაზე მსჯელობისას მე ბიზანტიური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს ვემყარები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ანუ ბიზანტიურ წყაროებში ამა თუ იმ მოღვაწის კაპადოკიელობაზე მითითების შემთვევაშიც, აუცილებელია ტერმინ „კაპადოკიელის“ შინაარსის მკაცრად დადგენა. თუ ტერმინი „კაპადოკიელი“ კონკრეტულ შემთვევაში ეთნიკური ხასიათის ტერმინია, იგი შეიძლება გამოდგეს იმ მოღვაწის ეროვნებაზე მსჯელობისას, ვის მიმართაცაა ეს ტერმინი გამოყენებული. მაგრამ, თუ „კაპადოკიელი“ არის არა ეთნიკური ხასიათის, არამედ გეოგრაფიული ხასიათის ტერმინი (როგორც, მაგალითად, კავკასიელი), თუ ამ ტერმინით აღინიშნება გარკვეული მხარის მოსახლეობა, მაშინ ეს ტერმინი ამა თუ იმ პიროვნების ეროვნულ წარმოშობილობაზე მსჯელობისათვის მეცნიერული არგუმენტის ძალას კარგავს. „კაპადოკიელი“ პირველწყაროებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება, ზოგჯერ გეოგრაფიული, ზოგჯერ ეთნიკური შინაარსით. ამიტომაც ბიზანტიურ წყაროებში დამოწმებული ტერმინის შინაარსი ყველა შემთხვევაში კონკრეტულად უნდა იქნას დადგენილი.

პირადად მე იმას კი არ ვამტკიცებ, რომ ყველა კაპადოკიელი მესხია და, ამდენად, ბასილ დიდიც მესხია; არამედ იმას, რომ A. ბიზანტიური წყაროები, კერძოდ ბასილის ბიოგრაფები (ფსევდო

ამფილოქე იკონიელი), ბასილის ეროვნებით კაპადოკიელობას მიუთითებენ; B. „კაპადოკიელობაში“ ისინი, და თვით სამი დი-დი კაპადოკიელი, მესხობას უნდა გულისხმობდნენ, რადგანაც ეს ბიოგრაფები ბიზანტიელი მწერლები და საეკლესიო მოღვაწეები არიან, ხოლო ბიზანტიურ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში დაკანონებული აზრით, კაპადოკიელი არის მესხი. მიუხედავად იმისა, ეს აზრი საზოგადოდ ჭეშმარიტია თუ არა, დიდ ბიზან-ტიელ წმინდა მამებს თავიანთი ეთნიკური ვინაობა მხოლოდ ამგვარად შეეძლოთ წარმოედგინათ და მხოლოდ ამ ტერმინით შეეძლოთ გამოეხატათ. აქედან გამომდინარე, მათი მითითება ეროვნებით კაპადოკიელობაზე იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ თავს თვლიან ბიბლიური მოსოხისაგან წარმოშობილი ხალხის – მესხების მკვიდრად.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც მხოლოდ ამაზე დაყრდნობით შეიძლება ბასილის გამოცხადება ქართველური ტომების წარმომადგენალდ და ამიტომაც მე მხოლოდ ამ გარემოებას არ ვემყარები. ამის გვერდით სხვა არგუმენტებიც უმნიშვნელოვანესი და პრინციპულია: დასაბუთება იმისა, რომ ბასილის ოჯახი და სანათესაო პონტოში მოსახლე ქართველურ ტომებს განეკუთვნებოდა და გრიგოლ ნაზიანზელი ბასილის წინაპრებს ძველი კოლხეთის მემკვიდრეებად მიიჩნევს.

ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების ამგვარი არამეცნიერული მეთოდოლოგიით განხილვა დიდ ზიანს აყენებს არა მხოლოდ დიდ კაპადოკიელ წმინდა მამათა ეროვნული სადაურობის კვლევას, არამედ საზოგადოდ ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას. ეს პრობლემატიკა მჭიდრო კავშირშია მეცნიერების ისეთ დიდ საერთაშორისო მიმართულებებთან, როგორებიცაა მედიევისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ბიზანტინისტიკა, ევროპული ცივილიზაციის კვლევა. საერთაშორისო

კვლევებთან დაკავშირებული საკითხების ამგვარი არამეცნიერული მეთოდოლოგიით განხილვა ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას საერთაშორისო ასპარეზზე გაუტეხს სახელს. უკვე ცნობილია ამის დამადასტურებელი არა ერთი შემთხვევა. ასეთი არაკომპეტენტური იმიჯი კი იმ ქართველოლოგიურ კვლევებსაც მოაქცევს უნდობლობის სუდარის ქვეშ, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დგანან და თანაც ჩვენი ეროვნული მეობის უაღრესად პრესტიჟულ სფეროებს ეხებიან. უფრო მეტიც, ეს უნდობლობის იმიჯი თანდათანობით ისეთი ყოვლისშემძლე ხდება, რომ ქართველოლოგთა შიდა სფეროშიც ბადებს ეჭვს ეროვნულ მეცნიერებაში ყოველი დიდი და პრინციპული სიახლის მიმართ.

ბასილ დიდის *ასკეტიკონის* ქართული ვერსიები და მათი მნიშვნელობა უძველესი ბერძნული რედაქციის აღსადგენად*

ბასილ დიდის სახელთანაა დაკავშირებული სამონასტრო ცხოვრების გავრცელება პონტოსა და კაპადოკიაში. ცნობილია, რომ მან სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად იმოგზაურა ეგვიპტეს, პალესტინასა და მესოპოტამიაში. პონტოში დაბრუნებულმა კი დააარსა თავისი საკუთარი მონასტერი და შეუდგა ასკეტურ ცხოვრებას. თავისი მონასტრისათვის შექმნა ბასილმა სამოღვაწეო წესების კრებული, რომელსაც ბიზანტიურ მწერლობაში *ასკეტიკონის* სახელი დაუმკვიდრდა.

ბასილ დიდის *ასკეტიკონი* შუა საუკუნეებში ძალზე პოპულარული წიგნია. IV-V საუკუნეებში ეს წიგნი ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნია ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს რუფინუსს. V საუკუნეშივე იყო იგი თარგმნილი სირიულად. ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, V საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი, რომელიც ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, მაღალ შეფასებას აძლევდა ბასილ დიდის ასკეტურ დოქტრინას და სიკვდილის წინ თავის მემკვიდრეებს მოუწოდებდა ამ დოქტრინის ერთგულებისაკენ.[1] შემდგომში *ასკეტიკონი* იყო თარგმნილი კოპტურად, არაბულად, ქართულად, სომხურად და სლავურად. ჩვენამდე ამ კრებულის 150-ზე მეტი ხელნაწერია მოღწეული. ეს ხელნაწერები კი შედგენილობით სხვადასხვაგვარია.

---

* წაკითხულ იყო მოხსენებად ბიზანტინისტთა VII საკავშირო კონფერენციაზე თბილისში, 1965 წელს. იბეჭდება 1982 წლის პუბლიკაციის მიხედვით: ე. ხინთიბიძე, *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის*. თსუ გამომცემლობა, თბ. 1982, გვ. 41-47.

[1] Raabe, R., *Petrus der Iberer*. Leipzig 1895, გვ. 135.

ბასილის ძირითადი თხზულება, რომელშიც თითქმის სრული სახითაა ჩამოყალიბებული მისი სამოღვაწეო დოქტრინა, არის *ასკეტური წესები*. იგი დაწერილია კითხვა-მიგების ფორმით და შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე აქვს. პირველს ეწოდება *მოკლე წესები* (PG, 31, 905-1052), ხოლო მეორეს – *ვრცელი წესები* (PG, 31, 1080-1305). რაოდენობა წესებისა, ანუ კითხვა-პასუხებისა თითოეულ ნაწარმოებში სხვადასხვა რედაქციით განსხავებულია. *ვრცელ წესებში* უფრო გავრცელებული რედაქციით ითვლიან 55 კითხვა-მიგებას, ხოლო *მოკლე წესებში* – 313-ს. რგოორც ვრცელ, ისევე მოკლე *წესებს* წინ უძღვით შესავალი, რომლებიც ხელნაწერებში ხშირად *წესებისაგან* მოწყვეტით გვხვდება და ამდენად დამოუკიდებელ სახეს ატარებენ. სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ნუმერაციით *მოკლე წესების* შესავალს ეწოდება პროლოგი 3 (PG, 31, 1080), ხოლო *ვრცელი წესების* შესავალს – პროლოგი 4 (PG, 31, 889-901). ბასილ დიდის ასკეტურ თხზულებებს მიაკუთვნებენ აგრეთვე *მორალურ წესებს* (PG, 31, 692-869).

გარდა დასახელებული თხზულებებისა ბერძნულ ხელნაწერებსა და გამოცემებში ბასილს მიეწერება შემდეგი ასკეტური თხზულებანი: *სამონასტრო კონსტიტუციები* (PG, 31, 1316-1428); სიტყვა – *ნათლისღებისათვის* (PG, 31, 1513-1628); პროლოგი 1 – მოკლე ასკეტიკონის, ანუ ბასილის *წესების* სირიული და ლათინური თარგმანების შესავალი (PG, 103, 483); პროლოგი 34 – პროლოგი 3-ის შერწყმა. პროლოგ 4-თან (PG-ში შეერთებული სახით გამოქვეყნებული არ არის); პროლოგი 5 – სამოღვაწეო შინაარსის სიტყვა, რომელიც ხელნაწერების მიხედვით მიჩნეულია *ასკეტიკონის* შესავლად (PG, 31, 881-888); პროლოგი 6 – *ასკეტიკონის* პირველადი ნაწილის, ე. წ. ჰიპოტიპოსის, შესავალი

(PG, 31, 1509-1513); პროლოგი 7 – *მორალური წესების* პირველი პროლოგი, რომლის სათაურია *ღვთის მსაჯულებისათვის* (PG, 31, 653-676); პროლოგი 8 – *მორალური წესების* მეორე პროლოგი, დასათაურებული *სარწმუნოებისათვის* (PG, 31, 676-692); პროლოგი 9 – ზოგიერთი ბერძნული რედაქციის მიხედვით, *მოკლე წესების* შესავლის მოვალეობას ასრულებს (PG, 34, 668-673); სიტყვა 10 – (PG, 31, 620-625); სიტყვა 11 – (PG, 31, 625-648); სიტყვა 12 – (PG, 31, 648-652); სიტყვა 13 – (PG, 31, 869-881); სიტყვა 14 (PG-ში არ არის გამოქვეყნებული); სიტყვა 15 – (PG-ში არ არის გამოქვეყნებული); სიტყვა 16 – (PG-ში არ არის გამოქვეყნებული); წერილი 2 – ბასილი კესარიელის წერილი გრიგოლ ნაზიან-ზელისადმი (PG, 32, 224-233); წერილები 22, 23, 42, 43, 44, 45, 150, 173 (ბასილი კაპადოკიელის ეპისტოლეების შესაბამისი ნომრები – PG, 32); წერილი 173 22 – შეერთება ბასილის 173-ე წერილისა 22-ე წერილთან; ეპიტიმიები 24 – დამნაშავე ბერთა დასჯის წესები (PG, 31, 1305-1308); ეპიტიმიები 25 (PG, 31, 1313-1316); ეპიტიმიები 26 (PG, 31, 1308-1313).

ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში ბასილის ზემოთ ჩამოთვლილი ასკეტური თხზულებანი გაერთიანებულია ერთ კრებულში, *ასკეტიკონის* სახელწოდებით. ძირითადი ნაწილი *ასკეტიკონისა* ეს არის ბასილის *კითხვა-მიგებანი. ასკეტიკონის* ყველა ხელნაწერში წარმოდგენილია სწორედ *კითხვა-მიგებანი*; ხელნაწერთა უმრავლესობაში მას ემატება სხვადასხვა პროლოგი, სიტყვა, წერილი და ეპიტიმია. დადგენილია, რომ ბასილის სახელით ჩვენამდე მოღწეული ყველა ასკეტური თხზულება მას არ ეკუთვნის. პრობლემაა, თუ როგორი იყო ამ კრებულის შედგენილობა მაშინ, როდესაც იგი ბასილის ხელიდან გამოვიდა. ივარაუდება, რომ ბასილის ასკეტური თხზულებანი უკვე IV საუკუნეში იყო გაერთიანებული *ასკეტიკონის* სახელწოდებით ერთ

კრებულში. სოზომენეს ცნობით, ასკეტური სტატიები ბასილისა IV-V საუკუნეებში ერთ კრებულში იყო თავმოყრილი (Sozom, H. E., 14) და ამ კრებულის ზოგიერთ რედაქციას უკვე IV საუკუნეში ეწოდებოდა *ასკეტიკონი*. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე IV საუკუნისა იერონიმე გარკვევით წერს, რომ ბასილმა შექმნა *ასკეტიკონი* (*De viris illustribus*, 116).

მეოცე საუკუნეში ფილოლოგიური მეცნიერება ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა ბასილის ასკეტური კრებულის თავდა-პირველი რედაქციის აღდგენის ამოცანის გადაწყვეტაში. ბასილის ასკეტური ნაწერების ხელნაწერთა შესწავლა XVIII საუკუნეში დაიწყო ჟ. გარნიემ. მან გამოიკვლია XII საუკუნის ოთხი ბერძნული ხელნაწერი. ბასილის *ასკეტიკონის* ხელნაწერთა კვლევა-ძიება XX საუკუნეში გაცხოველდა. ჯერ დ. ამანდი[1], ხოლო შემდეგ ფრ. გეტე ადგენენ ამ კრებულის ხელნაწეთა კოლექციებს და სწავლობენ მათ. 1953 და 1954 წლებში ბასილის *ასკეტიკონის* თაობაზე იბეჭდება 3 მონოგრაფია[2]. მათ შორისაა 1953 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემული ჟ. გრიბომონის კაპიტალური ნაშრომი (*წმ. ბასილის ასკეტური ნაწერების ტექსტის ისტორია*), რომელშიც რეზიუმირებულია მანამდე ჩატარებული მთელი მუშაობა.[3] ამის შემდგომ კვლევა წარიმართა ძირითადად ჟ. გრიბომონის გამოკვლევის შევსების გზით. მაგალითად, 1953 წელს ჟურნალში *Le Muséon* გამოქვეყნდა ი. დრიესენის სტატია, რომელშიც აღწერილია ჟ. გრიბომონისათვის უცნობი ბასილის *ასკეტიკონის* სომხური ხელნაწერები.[4] 1956 წელს იმავე ჟურნალ-

---

[1] Amand, D., "L'ascèse monastique de saint Basile": *Essai historique*. Maredsous 1948.

[2] Rudberg, V., *Études sur la tradition manuscrite de saint Basile*. Uppsala 1953; Guchteneere, P., *de Les "Constitutions ascétiques" attribuées a S. Basile*. Louvain 1954; Gribomon, T. J., *Histoire du texte des Ascétiques de S. Basile*. Louvain 1953.

[3] Gribomont J., დასახ. ნაშრომი.

[4] Driessen, I. W., „Les Recueils manuscrits arméniens de S. Basile": *Le Muséon*, LXVI, 1953, 1-2.

ში გამოქვეყნდა ლ. ლეფორის სტატია, რომელიც ცდილობს შეავსოს ჟ. გრიბომონის ხარვეზები კოპტური ხელნაწერების მიმართ.[1] 1962 წლიდან დაწყებული ქვეყნდება ჩემი გამოკვლევებიც ბასილის *ასკეტიკონის* ქართულ რედაქციებზე.[2] ჟ. გრიბომონისა და ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება ბასილის *ასკეტიკონის* ქართულ რედაქციებზე განზოგადებულია ჟურნალში *Revue de kartvélologie* 1975 წელს გამოქვეყნებულ კ. სალიას სტატიაში.[3]

ჩვენამდე მოღწეულ ბასილის *ასკეტიკონის* ხელნაწერთა უმრავლესობა ბერძნულია. დღეისათვის ცნობილია 60 ლათინური ხელნაწერი; შემონახულია აგრეთვე სირიული, არაბული, ქართული, სომხური და სლავური ხელნაწერები. ამ ხელნაწერთა უმეტესობა XV საუკუნემდელია. ძირითადი ნაწილი განეკუთვნება XI-XIII საუკუნეებს. ერთი ლათინური და ორი სირიული ხელნაწერი XI საუკუნისაა, VII საუკუნიდან მოღწეულია ერთი ლათინური, ხოლო VIII საუკუნიდან სამი ლათინური და ორი სირიული მანუსკრიპტი. *ასკეტიკონის* უძველესი ბერძნული ხელნაწერები თარიღდებიან IX საუკუნით.

ეს ხელნაწერები მათში წარმოდგენილი ტექსტის, *ასკეტური წესების* შედგენილობის და მასთან გაერთიანებული დანარჩენი ასკეტური თხზულებების მიხედვით დაყოფილია რამდენიმე ძირითად რედაქციად, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ რეცენზიებს. კერძოდ: V – ვულგატა, S – სტუდიტე, N – ნილი, O – ორიენტალური, M – მისოგინური (Misogyne – ქალთ-

---

[1] Lefort, L. Th., „Les Constitutions ascétiques de [S. Basile]": *Le Muséon*, LXIX, 1956, 5-10.

[2] ხინთიბიძე, ე., „ბასილი კესარიელის *სამოღვაწეო წიგნის* ქართული რედაქციები": *ლიტერატურული ძიებანი*, XIV, 1963; ხინთიბიძე, ე., *ბასილი კაპადოკიელის* „სამოღვაწეო წიგნის" *ქართული რედაქციები*. თბ. 1968.

[3] Salia, K., „Bref aperçu sur les rapports géorgiano-byzantins": *Revue de kartvélologie*, XXXIII. Paris 1975, 119-161.

მოძულე), B – ბარბერინი, H' – სომხური, G – ქართული, K – არაბული, RI – მოკლე ლათინური, Rs – მოკლე სირიული, A' – შუა საუკუნეების ლათინური. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს სლავური და კოპტური ვერსიებიც.

ჟ. გრიბომონის კაპიტალურ გამოკვლევაში ქართულ ხელნაწერთაგან ასახვა უპოვია მხოლოდ ერთს. ჟერარ გარიტის მითითებით, ჟ. გრიბომონმა სინას მთის ქართულ ხელნაწერებში იპოვა ბასილის *ასკეტიკონის* ქართული თარგმანი, შეისწავლა იგი და გამოიყენა მისი მონაცემები ამ კრებულის უძველესი რედაქციის დასადგენად. ამ ქართული ხელნაწერის მონაცემები მკველვრისათვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და იგი დანანებით წერდა, რომ სხვა ქართული ხელნაწერების გათვალისწინება მან ვერ შეძლო.[1]

ქართულ ხელნაწერებში დღეისათვის შემონახულია ბასილ დიდის *ასკეტიკონის* ოთხი რედაქცია:

C – მოთავსებული ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის #61 ხელნაწერში.

P – მოთავსებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A – 63 ხელნაწერში.

E – მოთავსებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A – 689 და A – 132 ხელნაწერებში.

G – მოთავსებული სინას ქართულ ხელნაწერში #35.

C – რედაქცია წარმოადგენს E რედაქციის შემოკლებულ ვარიანტს. უცნობ რედაქტორს პრაქტიკული მიზნებით შეუმოკლებია ბასილის *ასკეტიკონის* ქართული რედაქცია; შეურჩევია, მისი აზრით, მონაზონთათვის უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. რედაქ-

[1] Gribomont, J., დასახ. ნაშრომი. გვ. 5.

ტორის მუშაობა უნდა დათარიღდეს დაახლოებით XVII საუკუნით.

P რედაქცია თარგმნილია ბერძნულიდან ქართულ ენაზე უცნობი ქართველი ავტორის მიერ არაუადრეს XII საუკუნისა. ამ რედაქციის ტექსის შედარებამ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან და ბერძნულ რეცენზიათა აღწერილობებთან დაგვანახვა, რომ მასში მოთავსებულია V რეცენზიის ტექსტი, თუმცა ქართული რედაქციის ერთი თხზულება – *სამონასტრო კონსტიტუციები* – ეკუთვნის არა V, არამედ M რეცენზიას. ასეთი შერწყმა ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ ხელნაწერებს არ ახასიათებს. ამ ქართული ვერსიის ტექსტი მისდევს V ბერძნული რედაქციის ერთ ტიპს, რომელიც *შერეული ვულგატის* სახელითაა ცნობილი. კერძოდ კი ქართული ვერსია ყველაზე მეტად უახლოვდება ამ ტიპის ხელნაწერთაგან V 9-ს (ხელნაწერი ინახება პარიზში, ბერძნული ფონდის 502 A).

E რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე ბერძნულიდან ცნობილი ქართველი ფილოლოგის ეფრემ მცირის მიერ XI საუკუნეში. ეფრემს ხელთ ჰქონია რამდენიმე ბერძნული ხელნაწერი. მის მიერ თარგმნილი რედაქცია არის V ტიპის, ხოლო *სამონასტრო კონსტიტუციები* მასში შეტანილია N ტიპისა. ასეთი შერწყმა კი დამახასიათებელია მრავალი ბერძნული ხელნაწერისთვის. მოცულობის მხრივ ეფრემის თარგმნილი რედაქცია ერთ-ერთი ყველაზე სრულია საზოგადოდ რეცენზიათა შორის. სპეციალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეფრემსაც უთარგმნია *შერეული ვულგატის* ტექსტი. კერძოდ, ეფრემის ძირითად ორიგინალში, როგორც ჩანს, წარმოდგენილი იყო ბერძნული ტექსტი V 11 ტიპისა (ხელნაწერი ინახება ვატიკანში, ბერძნული ფონდის 1088).

G ქართული რედაქციის შედარებამ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან დაგვარწმუნა, რომ ეს ქართული ვერსია არსებითად განსხვავებულია ბერძნული ვულგატისაგან და წარმოადგენს დამოუკიდებელ რეცენზიას. G რედაქცია შედგება *მოკლე წესებისა* და ერთი ასკეტური შინაარსის სიტყვისაგან (სიტყვა 15). ასეთი ტიპის რედაქციებს სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ *მოკლე ასკეტიკონებს.*

ჩემი აზრით, ამ ვერსიის თარგმანი შესრულებულია ბერძნული ენიდან არაუგვიანეს X საუკუნისა ქართველი მთარგმნელის პროკოპი მღვდლის მიერ.[1]

შედგენილობის მიხედვით G რედაქციას მხარს უჭერს სამი სხვა რეცენზია: RI – მოკლე ლათინური, Rs – მოკლე სირიული და B – ბარბერინის ბერძნული. ეს რეცენზიები ერთმანეთს ემსგავსება, ჯერ ერთი, სიმოკლით და, მეორეც, მათში წარმოდგენილი *მოკლე წესების* კითხვა-მიგებანის რაოდენობით და მიმდევრობით.

დღეისათვის ევროპულ ბიზანტინისტიკაში აღდგენილია ბასილის *ასკეტიკონის* სამი უძველესი სავარაუდო რედაქცია. მათ პირობითად უწოდებენ X, Y და V.[2]

V არის უძველესი გადამუშავება დღევანდელი ვულგატის რეცენზიისა, მის შემდგენლად მიიჩნევენ VI საუკუნის უცნობ ბიზანტიელ რედაქტორს. როგორც ჩანს, მას შეუსწავლია *ასკეტური წესების* ძველი პონტოური და კესარიული მანუსკრიპტები.

Y რედაქცია აღდგენილია დღეისათვის ცნობილი შვიდი რეცენზიის საფუძველზე. ესენია S, H', N, O, M, A', K. რედაქცია Y

---

[1] ხინთიბიძე, ე., „ბასილი კესარიელის *სამოღვაწეო წიგნის* ქართული რედაქციები"; ხინთიბიძე, ე., *ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები*, გვ. 176-186.

[2] Gribomont, J., დასახ. ნაშრომი.

უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ვულგატის უძველესი გადამუშავება V რედაქცია.

ყველაზე ძველი ამ სამ გადამუშავებას შორის არის X რედაქცია. რა თქმა უნდა, დარწმუნებით არ შეიძლება ითქვას, რა დამოკიდებულება იყო X რედაქციასა და *ასკეტური წესების* იმ რედაქციას შორის, რომელიც გამოვიდა ბასილის ხელიდან, მაგრამ X რედაქცია არის ყველაზე ძველი, რომლის სავარაუდო აღდგენაც კი შეიძლება ჩვენამდე შემონახული ხელნაწერებით.

ეს უძველესი რედაქცია ბასილის *ასკეტიკური წესებისა* აღდგენილია ოთხი რეცენზიის საფუძველზე. ესენია G, RI, Rs და B. მიუხედავად იმისა, რომ X რედაქციის ყველაზე ძველი წარმომადგენლები არიან VI და VII საუკუნეების ლათინური და სირიული მანუსკრიპტები, ეს აღდგენილი რედაქცია ძირითადად ემყარება არა RI და Rs ლათინურ და სირიულ რეცენზიებს, არამედ უძველეს ქართულ თარგმანს – G რეცენზიას. ამ უკანასკნელში აშკარად შემონახულია უფრო ძველი და სანდო გადამუშავება, ვიდრე VI-VII საუკუნეების სირიულ და ლათინურ და IX საუკუნის ბარბერინის ბერძულ რეცენზიებში. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ არ შენახულიყო G ქართული რეცენზია, შეუძლებელი იქნებოდა ბასილის *ასკეტური წესების* X უძველესი გადამუშავების აღდგენა (ყოველ შემთხვევაში, მისი თანამედროვე სახით). ეს დასკვნა ჩვენ გამოგვაქვს ჟ. გრიბომონის მოტანილი ცხრილის შესწავლით, ცხრილისა, რომელშიც G, RI, Rs, B რეცენზიების საფუძველზე აღდგენილია X რედაქცია.[1] G რედაქციის საფუძველზეა აღდგენილი რაოდენობა და მიმდევრობა X რედაქციის კითხვა-მიგებებისა. დასახელებული ოთხი რედაქციიდან მხოლოდ G ქართულ რეცენზიაშია შემონახული X რედაქციის 40 კითხვა-მიგება. ასე

[1] Gribomont, J., დასახ. ნაშრომი, გვ. 166-169; ხინთიბიძე, ე., *ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები*, გვ. 154-156.

რომ, G რეცენზიაში თითქმის უცვლელადაა შენახული ბასილის *ასკეტური წესების* უძველესი სავარაუდო რედაქცია. ჟ. გრიბომონი პირდაპირ მიუთითებს, რომ X რედაქციის აღდგენაში იგი ეყრდნობა ძირითადად G ქართულ რეცენზიას.[1]

ამგვარად, ბასილ დიდის *ასკეტიკონის* ძველი ქართული ვერსიები უაღრესად მნიშვნელოვან მასალას იძლევა ბიზანტინისტიკისათვის. ბიზანტიური ლიტერატურის ამ დიდი წარმომადგენლის *ასკეტური წესების* უძველესი, თავდაპირველი რედაქციის აღსადგენად ამ თხზულების დღემდე 8 ენაზე შემონახული 150-ზე მეტი ხელნაწერიდან თითქმის ყველაზე მეტად ძვირფასი ერთი ქართული რედაქცია აღმოჩნდა.

[1] Gribomont, J., დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

ბასილ დიდის მოძღვრება სიყვარულზე და მისი *ასკეტური წესები**

ნარკვევი ბასილი კაპადოკიელის სიყვარულის მოძღვრებაზე პირველად გამოვაქვეყნე ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ (1990 წლის №1). იქვე დასტამბული იყო ნაწყვეტი ბასილ დიდის „ვრცელი წესებისაგან“, რომელშიც წმინდა მამა სიყვარულზე მსჯელობს, კერძოდ – ორი კითხვა-მიგება: „ღმრთისა მიმართ სიყვარულისათვის“ და „მოყუსისა მიმართ სიყვარულისათვის“. ნაწყვეტი, რომელიც ბასილის „ასკეტიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანის პირველი პუბლიკაცია იყო, ემყარებოდა ჩემ მიერ დამუშავებულ და გადაწერილ XI-XII საუკუნეების ორ ხელნაწერს – A-132 და A-689. აქ წარმოდგენილ ნარკვევში (რომელიც გადამუშავება და გავრცობაა მითითებული სტატიისა) პირველად დაბეჭდილი ვარიანტი გაფართოვებულია ციტირებებით ბასილისეული თხზულებიდან (A-132, ფრ. 20-22), ხოლო საკუთრივ თავდაპირველად გამოქვეყნებული ტექსტი სრული სახით აღარაა გადმობეჭდილი.

„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ (მთ. 22,37.38), – ასე აყალიბებს საღვთო წერილი, *სახარება*, ქრისტიანული მოძღვრების ძირითად პრინციპს. ქრისტიანული რელიგიით ზნეობრივი კანონის მთელი არსი და სიკეთის უმთავრესი სტიქია ესაა სიყვარული, არ არსებობს სიკეთე, გარდა ღმერთისა, რადგანაც, როგორც მახარებელი იტყვის, „არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოდ ღმერთი“ (მთ. 19, 17). და არ არსებობს სიყუარული გარდა ღმერთისა, რადგანაც თანახმად მოციქული-სა,

---

* გადამუშავებული ვარიანტი სტატიისა – „სიყვარულისათვის“ (ჟურნ. *ჯვარი ვაზისა*, N1, 1990, გვ. 24-30.

„ღმერთი სიყუარული არს... და ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ“ (1 იოანე 4,16). ჩვენი ზნეობრივი სრულყოფის ხარისხი განისაზღვრება იმ ძალითა და ენერგიით, რომლითაც ჩვენ მივისწრაფვით ღმერთისაკენ, როგორც უმაღლესი სიკეთისაკენ.

ქრისტიანული მოძღვრების არსში ამ უმთავრესი მცნების – სიყუარულის ადგილის განსაზღვრით იწყება წმიდა მამის ბასილი დიდის „ასკეტიკონი“. სამოღვაწეოდ ღვთის წინაშე შემდგარი, ანუ ასკეტურ ცხოვრებას მინდობილი ბერები ეკითხებიან წმიდა მამას: „რაჲ არს წესი შემდგომობისაჲ მცნებათა ღმრთისათაჲ“. წმ. ბასილი პასუხობს: „... აჰა ესერა თვით თავადმან უფალმან დადვა შემდგომობისა წესი მცნებათა თჳსთაჲ... პირველად და უდიდესად მცნებად ღმრთისა მიმართ სიყუარული განსაზღვრა“. რომელია ის ღვთაებრივი მცნებანი, რომელთა შორის პირველი ღმერთის სიყვარულია? ესენია: გიყვარდეს ღმერთი შენი, გიყვარდეს მოყვასი შენი (მთ. 22, 37-39), „არა კაც ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ (მთ. 19, 18. 19). რატომ არის უდიდესი ამ მცნებათა შორის ღმერთის სიყვარული? იმიტომ, რომ ღმერთის სიყვარული მის მცნებათა შესრულებასაც გულისხმობს. ასე, რომ ღმერთის სიყვარული მოიცავს ყველა დანარჩენ ღვთაებრივ მცნებას. „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს“ (იოან. 14, 23), – ამბობს მაცხოვარი. ამიტომ არის, რომ ქრისტიანული სწავლულების ძირითადი ღერძი არის სიყვარული.

რა არის სიყვარული ღვთისა? როგორ უნდა გვიყვარდეს ღმერთი? აი, კითხვა, რომელიც ბევრი ღვთისმოშიშის გონებაში დასმულა. ამიტომ არის, რომ კაპადოკიის კესარიის მთავარეპის-

კოპოსს ბერები ღვთებრივი სიყვარულის არსის ახსნას ეუედრებიან.

„უსწავლელ არს ღმრთისა მიმართ სიყვარული“, – გვასწავლის ბასილ დიდი. – როგორც სინათლის სიხარული, სიცოცხლის სიტკბო და დედის სიყვარული არავის უსწავლებია ჩვენთვის, ასევე და კიდევ უფრო მეტად, არ ისწავლება ღმერთის სიყვარული. ადამიანის აგებულებაში დაბადებიდანვე ჩათესილია სურვილი სიყვარულისკენ სწრაფვისა. არ გამოითქმის, არ აიხსნება ღმერთის მიმართ სიყვარული ისევე, როგორც საღმერთო სიკეთის ბრწყინვალება. ვერ წარმოაჩენს მას ადამიანის სიტყვა, ვერც ყური მოისმენს „მიუთხრობელ არიან ელვანი საღმრთოჲსა სიკეთისანი, ვერ წარმოაჩინებს სიტყუაჲ, ვერცა მიითუალავს სასმენელი“.

თუ როგორი ახლობელი, როგორი გასაგები იყო ეს სიბრძნე ძველ საქართველოში ქართველი კაცისათვის, კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სწორედ ამგვარად ახასიათებს საღვთო სიყვარულს რუსთველი:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“.

კაცი განშორებული საღვთო მცნებათაგან უნდა დაუბრუნდეს მას. ეს შეუძლია ყველა ჩვენთაგანს, რადგანაც, როგორც წმ. ბასილი გვასწავლის, ძალა საღვთო მცნებათა შესრულებისა მონიჭებული გვაქვს ჩვენ თვითონ მაცხოვრის მიერ. ადამიანი უმაღლესი სასწაულია უფლის შემოქმედებისა. თავის ხატად და თავის მსგავსად შექმნა ღმერთმა კაცი, დაადგინა იგი მეუფედ ქვეყნიერებისა და, როგორც იტყვის წმიდა ბასილი, მიანიჭა მას ცოდნა ღმერთის შესახებ: „მეცნიერებასა მისსა ღირსჰყო“. სწორედ ეს არის ღმერთისაგან ბოძებული მადლი, რომელსაც

ღვთისმოსავი მიჰყავს ღმერთისკენ, ღვთისაგან დაშორებულს მიაახლოვებს მას, ღვთისგან განდგომილს მიაბრუნებს მისკენ. ცოდნა ღმერთისა, რომელიც ჩვენში თანდაყოლილია, არის საწინდარი ჩვენი მისწრაფებისა, რათა აღვასრულებდეთ ღვთაებრივ მცნებებს. ხოლო ამ მცნებათაგან ღმრთის სიყვარულის შემდეგ მეორე და მსგავსი ამისი არის: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვსი“ (მათ. 22, 39).

ერთმანეთის სიყვარულის მცნება ის ახალი მცნება იყო, რომელიც მაცხოვარმა მისცა მოწაფეებს საიდუმლო სერობაზე: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ (იოან. 13, 34-35). მოყვასის სიყვარული ქრისტიანობის სპეციფიკაა, რომელიც გამოარჩევს მას სხვა რელიგიათაგან. უფალი იესო ქრისტე კატეგორიულად აცხადებს: „ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (იოან. 15,12). ამასთან ერთად იესო იმასაც უმტკიცებს თავის მოწაფეებს, რომ არ არსებობს სიყვარულის უფრო დიდი სახეობა, ვიდრე მეგობრის მიმართ სიყვარული: „უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თვსი დაღვას მეგობართა თვსთათჳს“ (იოან. 15, 13). ავითარებს რა ამ აზრს, წმიდა ბასილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანი თავისი ბუნებით მიისწრაფვის ურთიერთ სიყვარულისაკენ, რადგანაც იგი არის არა მარტოდმყოფი და ველური ცხოველი, არამედ მშვიდი და ურთიერთობისათვის მოწოდებული: „არარაჲ არს ესრეთ თვს ბუნებისა ჩუენისა, ვითარ ზიარებაჲ ურთიერთას და ჴუმევაჲ ურთიერთას და სიყუარული თანამონათესავეთა ჩუენთაჲ“.

ასე რომ, ღმერთის სიყვარული წარმართავს, განაგებს, განაპირობებს მოყვასის სიყვარულს, ხოლო მოყვასის სიყვარული აამაღლებს ადამიანს ღმერთის სიყვარულამდე: „აწ უკუე ცხად არს, – ამბობს ბასილ დიდი, – ვითარმედ პირველისაგან წარემართების მეორე, ხოლო მეორითა კუალად აღსვლაჲ იქმნების პირველისა მიმართ“. „ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისგან არს. – იტყვის მოციქული, – რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოანე 4, 7-8).

წმ. ბასილის სწავლებას სიყვარულზე კიდევ სხვა უმნიშვნელოვანესი ასპექტი აქვს. იგი ღმერთისა და მოყვასის სიყვარულთან მისვლის გზას, საშუალებას შეეხება.

ბასილ დიდის „კითხვა-მიგებანი“ აღმოჩნდა ჩემთვის უმთავრესი სახელმძღვანელო ერთი რუსთველისეული სიბრძნის ინტერპრეტაციისათვის. *ვეფხისტყაოსნის* ერთი ტაეპი – „მართლად იტყვის მოციქული“ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ (სტრ. 1045) პოემის კომენტატორთა გაკვირვებას იწვევდა. საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები, *ახალი აღთქმის* ტექსტის თანახმად, მოციქულთა არც ერთი გამონათქვამით არ იკითხება. ამიტომ გამოითქვა ეჭვი, რომ მოციქულთა მოძღვრების ზოგიერთი ფრაზა თითქოს ეწინააღმდეგება კიდეც რუსთველისეულ დებულებას. ზოგი იმასაც ფიქრობდა, რომ ამ ფრაზაში სიტყვა „მოციქულთა“ მცდარადაა ჩასმული და მის ნაცვლად „მეცნიერთა“ უნდა იყოსო („მართლად იტყვის მეცნიერი...“). ზოგიც ამ გამონათქვამის მსგავს აზრს *ბიბლიის* „ძველს აღთქმაში“ ეძიებდა.

მაგრამ ამავე დროს აშკარაა, რომ ქრისტიანულ სათნოებათა შორის ერთი უმთავრესი სწორედ ღმრთისმოშიშების სათნოებაა და მორწმუნის გზა საუკუნო სასუფევლისაკენ აშკარად ღმრთის

მიმართ შიშზე გადის: „ღმრთისა შიშმან უშიში ყვნის მოშიშანი“ (იოანე მინჩხი).

რუსთველის დებულება „შიში შეიქმს სიყვარულსა“, ბიბლიური დებულებაა. საღვთო სიბრძნე მოუწოდებს მორწმუნეს ღვთის შიშისაკენ: „შენი ღვთისა გეშინოდეს“ (ლევ. 19,32; რჯლ. 6,13; 8,6; 10,12; 13,4; იესო 24,14; 1 მეფ. 12,24; ფს. 32,8; ლუკ. 12,5; 1 პეტ. 2,17; გამოც. 14,7); „ისურვებს უფალი თავის მოშიშებს“ (ფს. 146,11); „შეიწყნარა უფალმა მოშიშნი მისნი“ (ფს. 102, 13). *ძველი აღთქმა* ხაზგასმით აცხადებს, რომ უფლის შიში სიბრძნის დასაბამია (ფს. 110, 10; იგავ. 3,7), ცოდნის სათავეა (იგავ. 1,7; 9,10). აშკარაა, რომ რუსთველის ეს დებულება ერთგვარი თარგმანებაა, განმარტებაა იმ საღვთისმეტყველო სწავლულებისა, რომელსაც ჰქვია „შიშისათვის ღმრთისა“, ღმრთის-მოშიშების ქრისტიანული სათნოებისა.

რუსთველის ათორიზმის ამ დებულების ინტერპრეტირებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, პოეტი ციტირებას არ ახდენს მოციქულთა სწავლებისაგან. მისი სიტყვები ინტერპრეტირებაა მოციქულის მოძღვრებისა ღმერთის სიყვარულის მორწმუნეში ჩასახლების თაობაზე (იოანე, 4.12). ისიც გამოვლინდა, რომ ეს დებულება არაორაზროვნად იკითხება წმინდა მამათა ქართულენოვან პატრისტიკულ თხზულებებში (გრიგოლ დიდი, იოანე სინელი...).[1] მაგრამ განმარტება იმისა, თუ როგორ მივყავართ ღმრთისმოშიშებას ღმერთის სიყვარულამდე მე ამოვიკითხე ბასილ დიდის „კითხვა-მიგებანში“. წმიდა მამა ღმრთისმოშიშების სათნოებას ღმერთის სიყვარულისა და მოყვასის სიყვარულის შემდგომ უთმობს ადგილს, იგი ქრისტიანულ სათნოებათა პირველ სამეულში შეჰყავს. ბასილ დიდი ღმრთისმოშიშების სათნოების განმარტებას სოლომონის სიტყვებ-

[1] ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. თბ. „ქართველოლოგი“, 2009, გვ. 347-360.

ზე აფუძნებს: „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა“ (იგავ. 1, 7) და უმტკიცებს ბერებს: რადგანაც ისინი ბავშვობის ასაკიდან გამოსულნი არიან და შეუძლიათ მტკიცე დოგმატებით სრულყონ თავიანთი შინაგანი ადამიანური სამყარო, დროა დაიცვან უმთავრესი სათნოებანი, რომელთა გზითაც მიიღწევა ქრისტეს სიყვარულის ჭეშმარიტება; რათა ისინი საღვთო ნიჭთა სიმდიდრემ მათ მიმართ უმადლო ქცევის გამო უმძიმეს საშჯელამდე არ მიიყვანოს. აკი მახარებელი იტყვის: „ვისაც ბევრი მიეცა, ბევრი მოეთხოვება“ (ლუკ. 12, 48).

აქვე ვაქვეყნებ ორ ამონაწერს *ღმრთისმოშიშობისა* და *მოყვასის სიყვარულის* შესახებ ბასილ დიდის *ასკეტიკონის* ეფრემ მცირისეული თარგმანისგან – „მოკლე წესები“ (ხელნაწერები A 689, A 132):

მოყუსისა მიმართ სიყუარულისათჳს
(A-689, 14v-15r; A-132, 23r-24r)

„შესადგინებელ უკუე არს წარმოთქმუად წესითაცა და ძალითა მეორისა მცნებისათჳს.

ვინაჲთგან პირველსა მას სიტყუასა შინა თქუმულ არს ჩუენ მიერ, ვითარმედ შჯული თესლოვანებით ჩუენ შორის მყოფთა მათ ძალთაჲ მუშაკ არს და მზრდელ თესლისა მის და მოძღურებისა მცნებათა უფლისათაჲსა; ხოლო აწ ვისწავოთ, თუ ვითარ ბრძანებულ ვართ შეყუარებად მოყუსისა, ვითარცა თავისა თჳსისა. დაღაცათუ ძალი ამისცა მცნებისა აღსრულებისაჲ მოგჳღიეს ღმრთისა მიერ.

ვინმე არა უწყის, ვითარმედ მშჳდი და ზიარებით ცხოველი არს კაცი და არა მარტოებითი, არცა ველურებითი. რამეთუ არარაჲ არს ესრეთ თჳს ბუნებისა ჩუენისა, ვითარ ზიარებაჲ ურთიერთას და ჴუმევაჲ ურთიერთას და სიყუარული თანა-მონათესავეთა ჩუენთაჲ.

ვინაჲცა რომელთანიცა-იგი თესლნი წინაჲთვე მოუცემიან ჩუენდა უფალსა ჩუენსა, ამათსავე შემდგომობით ნაყოფსაცა ეძიებს ჩუენგან და იტყჳს: *მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთი-*

ერთას (იოან. 13, 34). და ამის მცნებისა მიმართ ჰნებავს აღდგინებაჲ სულთა ჩემთაჲ. ამისთჳსცა ნიშად გამოსაჩინებელად მოწაფეთა თჳსთაგან არა თუ ძალთა სასწაულთა საკჳრველებასა ითხოვს, დაღათუ ამათიცა მოქმედებაჲ მიემადლა მათდა სულისა მიერ წმიდისა, არამედ რასა ეტყჳს: *ამით უწყოდიანო ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას* (იოან. 13, 35). და ესრეთ ყოველსა ადგილსა მცნებათა ამათ შეაერთებს – სიყუარულსა ღმრთისა და მოყუსისა. ვინაჲცა მოყუსისა მიმართ კეთილის ყოფასა თავისა თჳსისა შეჰრაცხს: *რამეთუ მშიოდა*, – იტყჳს, – და *მეცით მე ჭამადი* (მათ. 25, 35) და შემდგომი ამისი, რომელთა ზედა დაჰრთავს: *რაოდენი არა უყავთ ერთსა ძმათა ჩემთა მცირეთაგანსა, იგი მე არა მიყავთ* (მათ. 25, 40).

აწ უკუე ცხად არს, ვითარმედ პირველისაგან წარემართების მეორე, ხოლო მეორითა კუალად აღსლვაჲ იქმნების პირველისა მიმართ; და რომელსა უყუარდეს ღმერთი, იგი შეუდგეს მოყუსისაცა სიყუარულსა. რამეთუ ესმის უფლისა მიერ, ვითარმედ: *უკუეთუ გიყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით* (იოან. 14, 23). *ხოლო ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ* (იოან. 15,12). და კუალად, რომელსა უყუარდეს მოყუასი, ღმრთისა სიყუარულისა აღსრულებისათჳს ჰყოფს მას, რომელი-იგი თჳსად სამადლობელად მიეთუალავს ამას. ვინაჲცა სარწმუნოჲ იგი მონაჲ ღმრთისაჲ მოსე ესოდენსა აჩუენებდა ძმათა მიმართ სიყუარულსა ვიდრეღა აღჴოცასა ითხოვდა წიგნისაგან ღმრთისა, რომლისა შინა შთაწერილ იყო: *უკუეთუ არა შეენდობჳს ერსა მას შეცოდებაჲ მათი* (გამ. 32, 32). ხოლო პავლე შეჩუენებულ ყოფად თავისი თჳსი ქრისტესგან იკადრა თხოვად ძმათა თჳსთათჳს და ჴორციელად ნათესავთა მისთა (რომ. 9, 3), რამეთუ მიმსგავსებულად უფლისა საჴსარ ყოველთა ცხორებისა ენება ყოფაჲ თავისა თჳსისაჲ. ამას თანა უწყოდაცა, ვითარმედ შეუძლებელ იყო ამის ძლით უცხო ყოფაჲ მისი ღმრთისაგან; უკუეთუ მისა მიმართისა სიყუარულისა მცნებათა უზეშთაესისათჳს ღმრთისა მიერ მადლსა გამოითხოვდა და რამეთუ ამით მრავალ წილსა ნაცვალსა მიღებაჲ ეგულებოდა, რომელსა-იგი მისცემდა.

გარნა ვითარმედ, ვიდრე ესევითარად საზომადმდე მოყუსისა სიყუარულსა მიიწინეს წმიდანი კმა საყოფელი გამოჩინებაჲ ამისი აქუს აწ თქუმულთა ამათ“.

შიშისათჳს ღმრთისა (A-689, 15r-v)

„შიშისათჳს ღმრთისა. აწღა მოსრულთათჳს ღმრთის მსახურებად უსახმარეს არს შიშისა მიერი განმტკიცებაჲ განწესებისაებრ ბრძნისა სოლომონისსა, რომელი იტყჳს: *დასაბამი სიბრძნისაჲ შიში უფლისაჲ* (იგავ. 1, 7); ხოლო თქუენდა, რომელნი-ეგე თანა წარსრულ ხართ ქრისტეს მიერსა სიჩჩოებასა და არღარა მოქენე სძისა, არამედ შემძლებელ მტკიცეთა მიერ საზრდელთა შჯულთა სიმაღლისათა სრულყოფად, შინაგანისა მის კაცისა უთავადესთა სათნოებათა საჴმარებისა ჟამი არს, რომელთა მიერ ყოველივე ჭეშმარიტებაჲ ქრისტესმიერისა სიყუარულისაჲ წარემართების კრძალულებითა. ცხად არს, ვითარმედ ამისითა ნუსადა სიმდიდრე ნიჭთა ღმრთისათაჲ უმძიმესისა საშჯელისა მიზეზ გუექმნეს ჩუენ უმადლო ყოფითა ქველისმოქმედისა მიმართ. რამეთუ, *რომელსა მიეცა ფრიადი,* – იტყვის ვითარმედ, – *უმეტესიცა მოჰჴადონ მას* (ლუკ. 12,48).“

უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში

იოანე ოქროპირის „ჟამისწირვის“ უცნობი ხელნაწერი ივირონის წიგნთსაცავში*

ათონის წმინდა მთაზე ქართველთა მიერ 980-983 წლებში აგებულ იქნა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, რომელსაც თანდათანობით დაუმკვიდრდა ბერძნული სახელწოდება *ივირონი*, რაც ნიშნავს *ქართველთას*. ამ მონასტრის კედლებში ჩამოყალიბდა ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა შუასაუკუნეების ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის განვითარებაში. ივირონი განვლილი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე თავისი მწიგნობრული ინტერესებით ყოველთვის გამოირჩეოდა ათონის წმინდა მთის ცნობილ მონასტერთა შორის. ამ მონასტრის ბიბლიოთეკაში დღესაც 1700-ზე მეტი ბერძნული ხელნაწერი ინახება. ბერძნულ ხელნაწერთა რაოდენობით ივირონი ერთი უმდიდრესთაგანია ათონის მთის მონასტერთა შორის. კერძოდ ათონის ოც უმთავრეს მონასტერთა შორის ივირონს ბერძნულ ხელნაწერთა მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს ცნობილი დიდი ლავრის შემდეგ. ივირონის ბერძნული ხელნაწერები აღწერილ იქნა მეცხრამეტე საუკუნის დამლევს და ეს აღწერილობა შეტანილია ს. ლამბროსის ათონის

---

* გადამუშავებული ვარიანტი სტატიისა – „იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* უცნობი ქართული ხელნაწერი ივირონში“: *მასალები ფილოლოგიის ფაკულტეტის და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესიისა*, 1999, გვ. 172-174.

მთის ბერძნულ ხელნაწერთა ცნობილ კატალოგში, რომელიც ორ ტომადაა გამოქვეყნებული (I, 1895; II, 1900).[1] წინა საუკუნის დასასრულს ათონის მთაზე მიმდინარეობდა ივირონის ბერძნულ ხელნაწერთა ახალი სრულყოფილი აღწერილობის შედგენა და გამოქვეყნება. 1998 წელს ათონის მთაზე გამოცემულ იქნა ივირონის ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ტომი, შედგენილი პანაიოტის სოტიროიდის მიერ. მასში შესულია ასი ხელნაწერის აღწერილობა (ნომრები 1-100).[2]

ივირონში დაცულია მონასტრის მაშენებელ დიდ ქართველ წმინდა მოღვაწეთა მიერ შექმნილი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსებულია მე-10 საუკუნეში. ბიბლიოთეკაში ქართული კულტურისა და საზოგადოდ შუასაუკუნეების ქრისტოლოგიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი 90-ოდე დიდი კრებული ინახება. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს 978 წელს ქართველთა ლავრაში – ოშკში გადაწერილი ქართული ბიბლიის ორი უზარმაზარი ტომი, რომელიც მთელი ათონის მთის მწიგნობრულ სიწმინდეთა შორის ერთ უდიდეს განძად ითვლება.

ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მეცნიერულ აღწერასა და კატალოგიზაციაზე მუშაობა მე-18 საუკუნიდან იწყება. პირველი წერილობითი ცნობა ივირონის ქართული ხელნაწერების შესახებ თბილისის მიტროპოლიტს, ტიმოთე გაბაშვილს ეკუთვნის, რომელმაც ათონზე XVIII საუკუნის 50-იან წლებში იმოგზაურა.[3] ივირონის ქართულ ხელნაწერთა პირველი ჩამონათვალი, რომელიც წერილობითი სახით ჩვენამდეა მოღწეული,

---

[1] Lambros, S., Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, I, 1895; II, 1900, Cambridge.

[2] Ἱερὰ Μονὴ Ἰβήρων. Κατάλογος ἑλληνικῶν χειρογράφων. Τομος Α' (1-100). Περιγραφή Π. Σωτηρύδη. Ἅγιον Ὄρος 1998.

[3] გაბაშვილი, ტ., *მიმოსლვა* (ელ. მეტრეველის გამოცემა). თბ. 1956, გვ. 21-22.

შედგენილია ათონელი ბერის, ილარიონის მიერ 1836 წელს.[1] 1849 წელს მოკლე აღწერილობა ივირონის 39 ქართული ხელნაწერისა შედგენილი აქვს ცნობილ ქართველ სწავლულს, პლატონ იოსელიანს.[2] 1886 წ. გამოქვეყნდა ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი 1883 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ცაგარელის მიერ.[3] ეს საქმიანობა დასრულდა ცნობილი ბიზანტინისტისა და ქართველოლოგის რობერტ ბლეიკის მიერ 1932 წელს შედგენილი ივირონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობით.[4] გამოვლენა და შესწავლა ათონური წარმოშობის ქართული ხელნაწერების ან მათი ფრაგმენტებისა დღესაც გრძელდება.

1989 წელს, ბრიტანეთის მუზეუმში მე მივაგენი სამ ფურცელს ათონური წარმოშობის ქართული ხელნაწერებიდან, რომლებიც აკინძული იყო XVII საუკუნის ბერძნულ ხელნაწერში (Harley 5623). თანახმად ბრიტანეთის მუზეუმის ოფიციალური აღწერილობისა, ეს ხელნაწერი არის შერეული ლიტერატურული კოლექცია და შიგ ჩართული ბერძნული თხზულებანი თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. სხვადასხვა ნაწილები ხელნაწერისა აშკარად სხვადასხვა ხელითაა ნაწერი. აღმოჩნდა, რომ ამ სქელტანიანი ბერძნული ხელნაწერის 254, 255 და 256 ფურცლები წარმოადგენენ ქართული ხელნაწერების ფრაგმენტებს. აშკარად გამოიყოფა

---

[1] გამოქვეყნებულია ალ. ცაგარელის მიერ. იხ.: Цагарели, А. А., *Сведения о памятниках грузинской письменности*, вып. I. С.-Петербург 1886. დანართი I, გვ. 1-16.

[2] შენახულია საქართველოს მეც. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-3061).

[3] Цагарели, А. А., «Каталог грузинских рукописей и старопечатных книг Иверского монастыря на Афоне, составлен в июне месяце 1883 года»: *Сведения* ... I, стр. 69-96.

[4] Blake R., „Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la laure d'Iviron an Mount Athos": *Revue de l'Orient Chrétien*, XXVIII, №3-4; 1931-1932. pp. 289-361; XXIX, №3-4; 1933-1934, pp. 225-271.

ორი სხვადასხვა ხელი, ანუ ორი ფრაგმენტი სხვადასხვა ხელნაწერიდან. ამ ფურცლებზე მოთავსებული ტექსტის შემდგომმა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ბრიტანეთის მუზეუმის ეს სამი ქართული ფურცელი შეიცავს ფრაგმენტებს ორი დაკარგული ან დღემდე უცნობი ათონური წარმოშობის ხელნაწერიდან.[1] პირველი ფრაგმენტი – 254r-255v *საწელიწდო სახარების* ფრაგმენტია. ჯერ-ჯერობით არ დგინდება, რომ ეს ფრაგმენტი ეკუთვნოდეს ჩვენამდე მოღწეულ რომელიმე ქართულ ხელნაწერს.

მეორე ხელნაწერის ფრაგმენტი – 256r-256v *პარაკლიტონის* ფრაგმენტია. პარაკლიტონის ტექსტი მასში წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. ხელი ფრაგმენტისა XI საუკუნისაა. იგი ძალიან ჰგავს ათონის – 45 ხელნაწერის პარაკლიტონის ხელს, რომელიც, როგორც დადგენილია და როგორც მასში ჩართული გადამწერლის ანდერძი მიუთითებს, წმ. გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფს წარმოადგენს. ამდენად, სავარაუდოა, რომ ჩემ მიერ შესწავლილი ერთი ფურცელი (ფრ. 256) ბრიტანული ხელნაწერისა (Harley 5623) წმ. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფი იყოს. ჩემ მიერ ორგზისაა გამოქვეყნებული ბრიტანეთის მუზეუმის ამ ბერძნული ხელნაწერის ორივე ქართული ფრაგმენტის ტექსტი – თბილისში 1995 და რომში, 1998 წლებში.

1998 წლის ოქტომბრის დამლევს, წილად მხვდა ბედნიერება ათონის წმინდა მთაზე ქართველთა მიერ აშენებული მონასტერი – ივირონი მომენახულებინა და რამდენიმე ღამე მეათე საუკუნის

---

[1] ხინთიბიძე, ე., „მეთერთმეტე საუკუნის უცნობ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმში": *საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები.* თბ. 1998, გვ. 426-435; Khintibidze, E., „Fragments of Two Unknown 11th-century Georgian Manuscripts in a Greek Codex": *Orientalia Christiana Periodica,* v. 64, fasc. II. Roma 1998, p. 409-417.

ეკლესიაში – კათოლიკონში და ქართული სასწაულმოქმედი ხატის – კარის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიაში მელოცა. დღისით, ივირონის უმდიდრეს წიგნთსაცავში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე ვმუშაობდი. დახმარებას მიწევდა წიგნთსაცავის მცველი, განათლებული ბერძენი ბერი, სახელად თეოლოგოსი. ბოლოს მანაც მთხოვა, დავხმარებოდი წიგნთსაცავის კატალოგში შესატანი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების აღნუსხვაში და გადმომილაგა ათამდე ძველი ქართული ხელნაწერი თუ წიგნი და ასიოდე აუკინძავი ძველი ფურცელი, რომლებიც პირველი შეხედვით, რამდენიმე ქართული ხელნაწერის ფრაგმენტებს წააგავდა. ამ კოლექციაზე ჩემი ხანმოკლე დაკვირვებისას ეჭვი დამებადა, რომ ჩემს ხელთ იყო ისეთი ხელნაწერები და ფრაგმენტები, რომლებიც ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებში შეტანილი არ უნდა ყოფილიყო. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო გრაგნილის სახით დაცულმა ეტრატზე შესრულებულმა ერთმა ძველმა ხელნაწერმა და ჩემს მასპინძელს ავუხსენი, რომ საჭირო იყო მისი, ისევე როგორც სხვა ძველ ხელნაწერთა, ფრაგმენტების რაიმე ფორმით კოპირება, რათა საშუალება მომცემოდა მათზე თბილისში საგულდაგულო დაკვირვებისა. ბერძენი მწიგნობარი დარწმუნდა ჩემი გადაწყვეტილების ჭეშმარიტებაში, მაგრამ, როგორც ათონის მთაზე დამკვიდრებული ტრადიციით მოსალოდნელი იყო, თეოლოგოსმა ხელნაწერის მიკროფირის დამზადების უფლება ვერ მოიპოვა. ამიტომაც, ჩემი ახლანდელი დასკვნები ამ უაღრესად საინტერესო ხელნაწერზე ემყარება მხოლოდ იმ სახელდახელო ხანმოკლე დაკვირვებებს, რომლის საშუალებაც მომეცა.

როგორც ბიბლიოთეკის მცველმა თეოლოგოსმა მაცნობა, ეს უცნობი მასალა გამოკრებილი იყო მის მიერ ივირონის ბერძნული ხელნაწერებიდან. უმრავლესობა ამ დღემდე უცნობი კო-

ლექციის ხელნაწერებისა არის გვიანდელი და სხვადასხვაგვარი ხასიათისა: საღვთისმეტყველო (მაგ. მლოცველთათვის გამოკრებილი ფსალმუნი), საერო (ვახუშტი ბაგრატიონის *ისტორია გეორგიისა*...), სასწავლო წიგნები. ფრაგმენტები უფრო ძველი ხელნაწერებიდან იყო.

ჩემი მაშინდელი პილიგრიმული მოგზაურობა ათონზე მკაცრად იყო შეზღუდული მხოლოდ სამი დღით. მანამდე უცნობ ხელნაწერთა ამ კოლექციის აღმოჩენა ჩემთვის სავსებით მოულოდნელი იყო. ბუნებრივია, რომ ამ სიურპრიზის შესაძლებლობა ჩემ მიერ გათვალსიწინებული არ იყო, როცა ათონის მთაზე დარჩენის უფლებას ვიღებდი. ასე რომ, მე არ მქონდა დრო ამ მასალის სათანადოდ შესასწავლად. ჩემი თხოვნით, ხელნაწერთა მცველი თეოლოგოსი შეეცადა მიეღო უფლება მონასტრის წინამძღვარიდან, რათა ჩემთვის დაემზადებინათ ამ ხელნაწერთა პირველი გვერდების მიკროფილმები. მაგრამ ამაოდ, როგორც აღვიშნე, თეოლოგოსმა ამის უფლება ვერ მოიპოვა. ამის გამო, მე იძულებული ვიყავი ამ ხელნაწერების დაკვირვებული შესწავლა გადამედო ათონზე ჩემი შემდგომი ვიზიტისათვის, რომელიც დღემდე ვერ განვახორციელე ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გამო. ჩემ შემდეგ ქართველ მეცნიერთაგან ივირონის მონასტერში შედარებით უფრო ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა პროფ. ვალერი სილოგავა, რომელმაც ამ კოლექციიდან ყურადღება მიაქცია ერთ ხელნაწერს, კერძოდ, ზემოთ მოხსენიებულ ვახუშტი ბაგრატიონის *ისტორია გეორგიისას*. ესაა 1804 წელს მხედრული ხელით გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც პლატონ იოსელიანმა შესწირა ივირონის წიგნთსაცავს. ხელნაწერი ივირონში ინახებოდა მეცხრამეტე საუკუნეში. ალ. ცაგარელის კატალოგში იგი შეტა-

ნილია. შემდეგ გაუჩინარდა. რ. ბლეიკის აღწერილობაში იგი არ ჩანს.[1]

ამ უცნობი კოლექციიდან ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ძველმა კონდაკმა, ხის კოჭზე დახვეულმა გრაგნილმა, რომელიც აღმოჩნდა იოანე ოქროპირის *ჟამისწირვა*. მქონდა რა ძალზე მცირე დრო, ჩემი ყურადღება ძირითადად ამ ხელნაწერზე შევაჩერე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ამ ხელნაწერის მონაცემების შესწავლა გავაგრძელე და ჩემი წინასწარი დასკვნები კიდეც გამოვაქვეყნე.[2]

ხელნაწერი ეტრატზეა შესრულებული ნუსხურით. საზედაო ასოები გახუნებული წითელი ფერისაა. გრაგნილის სიგრძე სამი მეტრი და ექვსი სანტიმეტრია, სიგანე – ოც სანტიმეტრამდე. ხელნაწერზე ბოლოში აშკარად გვიანდელი მინაწერია მხედრულით: „საღმრთო ლიტურღია იოანე ოქროპირისა". ხელნაწერის დასაწყისია: „საღმრთოჲ ჟამისწირვაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისა. შერაჲვიდეს დიაკონ და შეიმოსოს სადიაკონესა შინა სტიხარი და ოლარი და მოიღოს სეფე და...". ნაწერის ხელი მიახლოებით XI საუკუნისად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების მოპოვება შედარებით გვიან მოხერხდა. ისინი საქართველოში გურამ პატარაიამ და ავთანდილ მიქაბერიძემ ჩამოიტანეს 1982 წელს. იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* ეს ხელნაწერი მიკროფილმების ამ კოლექციაში არ ჩანს. იგი არ არის აღნუსხული ივირონის ქართულ ხელნაწერთა ალ. ცაგარელისა

---

[1] სილოგავა, ვ., *ათონის ქართული სიძველეებიდან*. ახალციხე 2000, გვ. 23-25.

[2] ხინთიბიძე, ე., „იოანე ოქროპირის „ჟამისწირვის" უცნობი ქართული ხელნაწერი ივირონში": *მასალები ფილოლოგიის ფაკულტეტის და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესიისა*. თბ. 1999, გვ. 172-174. Khintibidze E., "Georgian Manuscripts on Mount Athos: Hitherto Unknown Old Georgian Manuscripts in the Iveron Library": XX[e] *Congrès International des Études Byzantines*, III. Paris 2001.

და რ. ბლეიკის ცნობილ აღწერილობებში. მასზე მინიშნებას ვერ მივაგენი ვერც სხვა მეცნიერისა და მოღვაწის ჩანაწერებში, რომლებმაც ათონის ქართული ხელნაწერები მოინახულეს. ამ ხელნაწერს არ იცნობენ ქართველი მეცნიერები, რომელთაც საგანგებოდ უმუშავიათ იოანე ოქროპირის თხზულებათა და კერძოდ მისი *ჟამისწირვის* ქართულ რედაქციებზე: მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, კორნელი კეკელიძე. იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* ქართული ტექსტი ლათინური თარგმანითურთ გამოცემულია მ. თარხნიშვილის მიერ 1950 წელს (CSCO, v. 122-123, Louvain). გამომცემელი ეყრდნობა ერთ, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერს და არც იგი იცნობს ათონურ კონდაკს.

ქართულად, როგორც ჩანს, იოანე ოქროპირის *ჟამისწირვა* საკმაოდ ადრე იყო თარგმნილი. წმ. ეფთვიმე ათონელი გიორგი ჭყონდიდელისადმი გამოგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავდა, რომ ქართველები ათონის მთაზე იყენებდნენ იოანე ოქროპირის ლიტურგიას. მაგრამ ივირონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებში იგი არ ჩანდა. ხოლო ამ თხზულების საქართველოში გავრცელებული რედაქციის ხელნაწერებს კ. კეკელიძე XVI საუკუნეზე ადრინდელად არ მიიჩნევდა.[1] მ. თარხნიშვილის გამოცემული გრაცის ხელნაწერი, რომელსაც გამომცემელი X-XI საუკუნეებით ათარიღებს, კ. კეკელიძის დაკვირვებით XII საუკუნეზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს. ამდენად, ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* დღემდე უცნობი ხელნაწერის მიგნება ძველი ქართული ლიტურგიკული ლიტერატურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია.

[1] კეკელიძე, კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბ. 1960, გვ. 583.

წინამდებარე სტატია ქვეყნდება იმ სახით (მცირეოდენი ჩასწორებით), როგორითაც გამოქვეყნდა 1999 წელს საქართველოში. მაგრამ ბუნებრივია დაისმის კითხვა: რატომღა შევუნარჩუნე დღევანდელ პუბლიკაციას სათაურად „...უცნობი ხელნაწერი ივირონის წიგნთსაცავში“. მიუხედავად იმისა, რომ მე ეს ცნობა ორგზის გამოვაქვეყნე, მათ შორის უაღრესად პრესტიჟულ გამოცემაში საზღვარგარეთ და წავიკითხე ფილოლოგთა საზოგადოებაში მოხსენებად საქართველოში, ივირონის ქართული ხელნაწერების შესწავლით დაინტერესებული საზოგადოებისათვის იგი უცნობი დარჩა.

1999 წელს გაჟღერებულ ჩემს ცნობებს ივირონის მანამდე უცნობი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შესახებ ყურადღება ჩემმა კოლეგამ ვალერი სილოგავამ მიაქცია. ჩემი მოხსენება ამ სიახლის შესახებ წაკითხული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების ერთობლივ კონფერენციაზე, რომელსაც მომხსენებლებადაც და მსმენელებადაც თსუ ახალციხის ფილიალის პროფესურაც და მათ შორის მათივე თანამშრომელი ვალერი სილოგავაც ესწრებოდა. შემდგომ წელს ათონზე ყოფნისას მან ყურადღება მიაქცია ათონურ ხელნაწერთა აღწერილობებისათვის ამ უცნობი კოლექციიდან ჩემ მიერ დასახელებულ ვახუშტი ბაგრატიონის „გეორგიის ისტორიის“ 1804 წლის ხელნაწერს. მან თავისი მოგზაურობის შედეგები 2000 წელს გამოაქვეყნა ახალციხეში („ათონის ქართული სიძველეებიდან“), რომელშიც ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორია“ აღწერა და ჩემ მიერ მითითებული სხვა ხელნაწერი არ უხსენებია. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ მე დაბეჯითებით ვცდილობდი ათონზე ამ ხელნაწერთა შესასწავლად დაბრუნებას. ბიბლიოთეკის მცველ ათონელ ბერს თეოლოგოსს, რომელიც სიმპათიურად იყო განწყობილი ჩემ მიმართ,

ჩემი ავტოკალამი დავუტოვე, ვუთხარი: შემინახე, მე აქ დავბრუნდები მეთქი. ეს კალამი მე ვალერი სილოგავამ ჩამომიტანა, მითხრა: თეოლოგოსმა გამომატანა პროფ. ხინთიბიძეს გადაეცი, დამიტოვა, ჩამოსვლას აპირებდა და ვეღარ ჩამოვიდაო.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ ჩემს მიგნებისა და მოკლედ აღწერილი იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* უცნობი ხელნაწერისათვის ყურადღება მიექცია პროფ. ვახტანგ იმნაიშვილს. მან 2004 წელს თბილისში გამოცემულ მნიშვნელოვან მონოგრაფიაში „უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში" ხელმეორედ (მ. თარხნიშვილის შემდგომ) გამოაქვეყნა გრაცის ხელნაწერის „საღმრთოჲ ჟამის წირვაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ" დეტალური აღწერილობითურთ. მაგრამ არც იგი ახსენებს *ჟამისწირვის* ამ უცნობ ათონურ ხელნაწერს.[1]

ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ჩემი პუბლიკაციებისთვის და კერძოდ, ივირონის წიგნთსაცავში დაცული იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* ამ კოლექციის ყველა აღწერილობისათვის უცნობი ხელნაწერებისთვის ყურადღება მიექციათ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, რომელთაც 2018 წელს განახორციელეს ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემა „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ".[2] მაგრამ არც ამ ფაქტზეა საუბარი ამ წიგნში და არც ათონური *ჟამისწირვაა* იქ მოხსენებული. თუმცა, წიგნში შეტანილია ჩემ მიერ მიგნებული ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმიდან, რომში გამოქვეყნებულ ჩემივე პუბლიკაციაზე მითითებით. დასანანი ისაა, რომ ამ ფუნ-

---

[1] იმნაიშვილი, ვ., *უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში*. თბ. 2004, გვ. 295-314.

[2] *ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ* (შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ. ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით). თბ. 2018.

დამენტურ კრებულში საერთოდ არ აისახა ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ათონზე ივირონის ხელნაწერთა წიგნთსაცავში ქართულ ხელაწერთა ფონდს შეემატა ყველა აღწერილობისათვის (მათ შორის ყველაზე სრულყოფილი რ. ბლეიკის აღწერილობისათვის) უცნობი ათიოდე ქართული ძველი წიგნი და ხელნაწერი და ასობით ფრაგმენტი უცნობ დაშლილ ხელნაწერთა ფურცლების სახით. მათ შორისაა ჩემ მიერ აღწერილი იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* პერგამენტზე შესრულებული გრაგნილი, ხის კოჭზე დახვეული, ჩემი წინასწარი ვარაუდით არაუგვიანესი XI საუკუნისა.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესიის უძველეს პრაქტიკაში მოციქულთა *ჟამისწირვები* იყო გავრცელებული, რომელიც კონსტანტინეპოლის ლიტურგიკულმა პრაქტიკამ ბასილ დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებით ჩაანაცვლა. ქართულ ეკლესიაში *იაკობის ჟამისწირვა* იყო პოპულარული. თუმცა, როგორც ჩანს ქართველებს ბასილისა და იოანეს *ლიტურგიებიც* საკმაოდ ადრე უთარგმნიათ. ამიტომაა, რომ სინას მთის ორ ხელნაწერში ერთადაა დაცული სამივე *ლიტურგია* „წმ. იაკობის, წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის ჟამისწირვები“ (Sin. Geo. N54 – Xს.; Sin Geo.0 89 – XIIს.). იმავე სინას ქართულ ხელნაწერებში იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* ცალკე ხელნაწერებიც არსებობს (Sin.Geo. 66N – Xს.; Sin. Geo. N.8s XVIს.). გრაცის ხელნაწერში დაცულ იოანე ოქროპირის *ჟამისწირვის* ტექსტს პირველი აღმწერელი ა. ცაგარელი XI-XII საუკუნით ათარიღებდა. მ. თარხნიშვილმა ტექსტი X-XI საუკუნით გადაათარიღა.[1] კ. კეკელიძის ვარაუდით ეს ხელაწერი XII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს.[2] შენიშნულია, რომ გრაცის

[1] იმნაიშვილი, ვ., *უძველესი...*, გვ. 295.

[2] კეკელიძე, კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბ. 1960, გვ. 583.

ხელნაწერის ტექსტი მსგავსი უნდა იყოს სინას მთის (კერძოდ – Sin. Geo.0 89) ხელნაწერთა ტექსტისა. ამავე გამოცემის (გრაცის) ხელნაწერის დასაწყისს ემთხვევა სინას ახალი ფონდის 54 (Sin. Geo. N54) ხელნაწერის დასაწყისიც.[1]

ჩემ მიერ აღწერილი ათონური *ჟამისწირვის* ტექსტის დასაწყისი კი განსხვავდება გრაცის ხელნაწერისეულისაგან. ეს უკანასკნელი ამგვარად იწყება: „შე-რაჲ-ვიდეს დიაკონი სადიაკონესა შინა და იტყოდის ლოცვასა: უფალო ღმერთო ჩემო, გარდამომივლინე მე ძალი მაღლით და განმაძლიერე მსახურებასა ამას შენსა...“.[2] ათონის ხელანწერის დასაწყისი კი, როგორც უკვე დავიმოწმე სხვაგვარია: „შე-რაჲ-ვიდეს დიაკონ და შეიმოსოს სადიაკონესა შინა სტიხარი და ოლარი და მოიღოს სეფე და...“. ასე რომ, წინასწარი ვარაუდით იოანეს *ჟამისწირვის* ათონური ხელნაწერის ტექსტი განსხვავდება სინური კოლექციების *ჟამისწირვებისაგან.*

უნდა გავიხსენოთ კ. კეკელიძის ზოგადი მითითება: „მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელს მოუცია ახალი თარგმანი კოსტანტინოპოლის ხელნაწერის (ბასილისა და ოქროპირის) ლიტურგიისა, რომლის ტექსტი თანდათან იცვლებოდა...“.[3] ასე რომ, რა ტექსტია დაცული ივირონის იოანე ოქროპირის *ლიტურგიაში,* შესასწავლია.

ამგვარად, ძიება ათონური წარმოშობის ქართული ხელნაწერებისა და შესწავლა ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკის კოლექციისა უნდა გაგრძელდეს. დღემდე უცნობი ქართული ხელნაწერები შესაძლებელია მოძიებულ იქნან არა მხოლოდ ივირონის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციაში, როგორც ეს

---

[1] *ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ...* .

[2] იმნაიშვილი, ვ., *უძველესი...*, გვ. 300

[3] კეკელიძე, კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია..*, გვ. 583.

მოხდა ჩემ მიერ ამჯერად აღწერილ შემთხვევაში, არამედ ათონის მთის სხვა მონასტრის ხელნაწერთა შორისაც. რაც შეეხება ათონური წარმოშობის ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტებს, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ შუასაუკუნეების ბერძნულენოვან კრებულებში, რომლებიც თვით კარგად მოწესრიგებულ და მეცნიერულად დამუშავებულ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებშია მოთავსებული. ამის დამადასტურებელი ნათელი მაგალითია ჩემ მიერ გამოვლენილი ბრიტანეთის მუზეუმის ბერძნულ ხელნაწერში ჩაკერებული ათონური ხელნაწერების ფრაგმენტები.

მეთერთმეტე საუკუნის უცნობ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმში*

წინამდებარე ნარკვევი მცირე ბიოგრაფიულ მოგონებით მინდა დავიწყო. 1989 წლის 5 მაისს, ლონდონის უნივერსიტეტში, ინგლისელი მწერლისა და მეცნიერის, ეროვნებით ქართველი ქალის, თამარ დრაგაძის ინიციატივით გაიმართა *ქართველოლოგის* დღე, რომელზედაც მე მიწვეული ვიყავი და წავიკითხე მოხსენება რუსთველისა და დანტეს სიყვარულის კონცეფციათა ტიპოლოგიური მიმართების შესახებ. *ქართველოლოგის დღეზე* აქცენტი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გადავიდა. ეს გასაგებიც იყო. ქართველოლოგთა შეკრებას უცხოეთში მცხოვრები ბევრი ქართველი და საქართველოთი დაინტერესებული მრავალი უცხოელი დაესწრო. ყველას აინტერესებდა თბილისში წინა თვეში დატრიალებული ტრაგედია – 9 აპრილის ამბები. მსჯელობა და კამათი გვიან ღამემდე გაგრძელდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ქალბატონმა თამარმა წარმომიდგინა ბრიტანეთის მუზეუმის ერთი თანამშრომელი, რომელმაც მაცნობა, რომ ბრიტანეთის მუზეუმიდან მთხოვდნენ, მივსულიყავი და მენახა ერთ ბერძნულ ხელნაწერში ჩართული მათთვის უცნობ ენაზე და უცნობი ანბანით დაწერილი რამდენიმე ფურცელი, რომლის წაკითხვა მუზეუმის ბერძნულ ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლებს ვერ მოეხერხებინათ.

მეორე დილით ბრიტანეთის მუზეუმის ბერძნულ ხელნაწერთა განყოფილებას ვეწვიე. მე მელოდებოდა განყოფილების გამგე,

---

* პირველად გამოქვეყნდა კრებულში – *საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობისა და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები* (1998 წ.).

ბატონი T. S. Pattie, რომელმაც საკმაოდ სქელტანიანი ძველი ბერძნული ხელნაწერი მომიტანა. მართლაც, ხელნაწერის სამი ფურცელი ძველი ქართულით – ნუსხურით აღმოჩნდა შესრულებული. ამ სამ ფურცელზე ორი სხვადასხვა ქართული ხელნაწერის ფრაგმენტი იკითხებოდა. მე დაახლოებით დავათარიღე ფრაგმენტები XI-XII საუკუნეებით. მივუთითე, რომ პირველ ორ ფურცელზე სახარებიდან გამოკრეფილი ტექსტი ჩანს, მეორეზე კი – ლიტურგიკული საკითხავის ფრაგმენტი. წამოვიღე ფურცლების ქსერო ასლი და მასპინძლებს შევპირდი, რომ თბილისში კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობისა და სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ უფრო ზუსტ დასკვნას მივაწვდიდი.

თბილისში გავაგრძელე ფრაგმენტების შესწავლა. ვსარგებლობდი ქალბატონ ლალი ჯღამაიას კონსულტაციით, ვმუშაობდი ჩემს მაშინდელ ასპირანტ დარეჯან თვალთვაძესთან ერთად. მუშაობამ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა, რაც ბრიტანეთის მუზეუმს უმალვე ვაცნობე. ბატონმა T. S. Pattie-მ დიდი მადლობა შემომითვალა, ჩემს შეკითხვებზე მიპასუხა და შესასწავლი ფურცლების მაღალი ხარისხის ფოტო ასლები მომაწოდა.

1995 წლის ნოემბრის ბოლოს ისევ ვინახულე ეს ხელნაწერი. ნოემბრის დასაწყისიდან ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ლექციაც წავიკითხე *ვარლაამ და იოასაფის* ავტორობის საკითხზე. საქართველოში გამომგზავრების წინ ბრიტანეთის მუზეუმს ვესტუმრე. მაინტერესებდა, ქართული ფრაგმენტები ბერძნული ხელნაწერიდან სხვაგან ხომ არ ჰქონდათ გადატანილი. ისინი ისევ ოდინდელ მისამართზე დამხვდნენ. ჩემი პირველი ნახვის შემდეგ ხელნაწერი რესტავრირებულია. ქართული ფურცლები თეთრი ნაჭრით გაუგანიერებიათ და ისე ჩაუკინძავთ ხელნაწერში.

ფურცლების მომწვარი კიდეები გაწმენდილი და გამაგრებულია. კატალოგში ქართული ფურცლების შესახებ უკვე გაჩენილია ჩანაწერი; ის, რაც მე წერილობით ვაცნობე ბატონ T. S. Pattie-ს რამდენიმე წლის წინათ.

ბერძნული ხელნაწერი, რომელიც ჩემი შესწავლის საგანი აღმოჩნდა, მოთავსებულია ბრიტანეთის მუზეუმის ე. წ. ჰარლეის ფონდში 5623 ნომრით (HARLEY MS. 5623). ხელნაწერი მუზეუმის აღმწერელთა ოფიციალური მონაცემებით წარმოადგენს შერეულ ლიტურგიკულ კოლექციას. მასში შეტანილი მასალა თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. ერთმანეთისაგან აშკარად გაირჩევა რამდენიმე სხვადასხვა ხელით გადაწერილი ფურცლები. მიუთითებენ, მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი უნდა იყოს XIV საუკუნისო.

ამ სქელტანიანი ბერძნული ხელნაწერის 254, 255 და 256-ე ფურცლებზე აღმოჩნდა ქართული ნუსხურით დაწერილი ტექსტი – ორი ფრაგმენტი სხვადასხვა ქართული ხელნაწერიდან. ქართული ფურცლები ჩართულია ბერძნული ხელნაწერის საერ-თო ნუმერაციაში და მათთან ერთადაა აკინძული.

254-ე და 255-ე ფურცლებზე წარმოდგენილია ერთი ხელნაწერის ფრაგმენტი. ნაწერი ნუსხურია, ასოები საშუალო ზომის. ხელნაწერის ზომა სხვადასხვა სტრიქონში მერყეობს 155/158მმ.×100/108მმ. გვერდში 22 სტრიქონია. სათაურები და საზედაო ასოები სინგურითაა გამოყოფილი. საწერი მასალა პერგამენტია, ოდნავ მოყვითალო.

256-ე ფურცელზე წარმოდგენილია მეორე ხელნაწერის ფრაგმენტი. ნაწერი ნუსხურია, ასოები წვრილი ზომის, ნაწერის ზომა სხვადასხვა სტრიქონში მერყეობს: 162/170მმX105/120მმ. გვერდში 29 სტრიქონია. სათაური და საზედაო ასოები სინგურითაა გამოყოფილი. მუხლების ბოლოს დასმულია გრაფიკული

ნიშნები, რომლებიც სხვა ქართულ ხელნაწერებში ზოგჯერ პერიოდის დასაბოლოვებლად იხმარება. საწერი მასალა პერგამენტია, თეთრი და თხელი, თითქოს გამჭვირვალეაო.

პირველი ფრაგმენტი – 254r-255v *საწელიწდო სახარების* ფრაგმენტია. ხელი არის ათონური, XI საუკუნის ბოლო. პირველი გვერდი (254r) ძალიან ცუდად იკითხება. ამ ფრაგმენტში წარმოდგენილია იოვანეს სახარებიდან გამოკრებილი ტექსტი (იოვანე 5.19-5.44). 254v-ზე არის სათაური: „მ̃ა ხუთშაბათსა გ̃ შვდეულისასა. სახარებაჲ იოვანესი თავი". სათაურია აგრეთვე 255v-ზე: „პარასკევსა ბ̃ შვდეულისასა. სახარებაჲ იოვანესი. თავი მ̃ა". ფრაგმენტის 254v-ზე ფურცლის მარცხენა ზედა კუთხეში არის მინაწერი, რომელიც ერთ-ერთი ადრინდელი აკინძვის დროს ჩამოჭრილია. მინაწერი ოთხსტრიქონიანია. იკითხება მხოლოდ თითოეული სტრიქონის ბოლო ასოები: ვა// /ნბ̃ლ//ა თ̃ს//იე.

სახარების ტექსტი ფრაგმენტში წარმოდგენილია წმ. გიორგი მთაწმიდლის რედაქციით. ჯერ-ჯერობით არ დგინდება, ეს ფრაგმენტი ეკუთვნის თუ არა ჩვენამდე მოღწეულ რომელიმე ქართულ ხელნაწერს. ჩვენს ფრაგმენტში წარმოდგენილი ტექსტის პარალელი ყველაზე მეტად შეიძლება ვეძიოთ სინა-74-ე ხელნაწერში. თუმცა აშკარაა, რომ ჩვენი ფრაგმენტი ამ ხელნაწერიდან არ მოდის. წინასწარი შესწავლით, არც ჩვენს ფრაგმენტში წარმოდგენილი ტექსტი იკითხება სინა-74-ე ხელნაწერში.

მეორე ხელნაწერი – 256r-256v *პარაკლიტონის* ფრაგმენტია. *პარაკლიტონის* ტექსტი მასში წმ. გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა. ხელი ფრაგმენტისა XI საუკუნისაა. იგი ძალიან ჰგავს ათონის 45 ხელნაწერის *პარაკლიტონის* ხელს, რომელიც, როგორც დადგენილია და როგორც მასში ჩართული მწერლის ანდერძი მიუთითებს, წმ. გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფს წარმოადგენს. ამდენად, საკარაუდოა, რომ ჩვენს ხელთ არსებუ-

ლი ერთი ფურცელი (ფრ. 256) ბრიტანული ხელნაწერისა (HARLEY 5623) წმ. გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფი იყოს. ეს ფურცელი არ განეკუთვნება ათონი-45 ხელნაწერს და, როგორც წინასწარი შესწავლიდან ჩანს, ფრაგმენტით მოღწეული ტექსტი არ უნდა იკითხებოდეს ათონი-45 ხელნაწერის *პარაკლიტონში*.

ბრიტანული ფრაგმენტის *პარაკლიტონში* ორი სათაური ჩანს: *წარდგომად მოციქულთად* (256r) და *წარდგომანი წმიდათანი* (256v). ჩვენ მივაგენით შესასწავლი *პარაკლიტონის* ფრაგმენტის ტექსტს – A-94 ხელნაწერში. ამ ფრაგმენტის ტექსტი A-94 ხელნაწერში 72v-ზე იწყება. ბრიტანული ფრაგმენტის დასაწყისი შედის A-94 ხელნაწერის სათაურში *სხუანი წარდგომანი*. A-94 ხელნაწერში ამ სათაურიდან რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მოდის ტექსტი, რომლითაც იწყება პარაკლიტონის ჩემ მიერ მიგნებული ფრაგმენტის ტექსტი. ექვსიოდე სტრიქონის შემდეგ A-94 ხელნაწერში მთავრდება გვერდი 72v და 73r-დან იწყება სულ სხვა ტექსტი. ფრაგმენტის ტექსტი A-94 ხელნაწერში გრძელდება 79r-დან. მაშასადამე, A-94, რომელიც XVI ს-ის ხელნაწერია (1517-1528 წწ.), აკინძულია აღრეულად. ამ დეფექტის გამოვლენის საშუალებას იძლევა ბრიტანული ფრაგმენტი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ბრიტანეთის მუზეუმის ერთ ბერძნულ ხელნაწერში (HARLEY 5623) ჩართული აღმოჩნდა სამი ფურცელი ძველი ქართული ხელნაწერებისა. ამ სამ ფურცელზე წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი – *საწელიწდო სახარებისა* და *პარაკლიტონის*. ორივე ფრაგმენტი ათონური ხელითაა შესრულებული. პირველი ფრაგმენტი (254r-255v) XI ს-ის დამლევით შეიძლება დათარიღდეს. მეორე ფრაგმენტი (256r-v) XI ს-ის შუა წლებისაა და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფს წარ-

მოადგენს. ორივე ფრაგმენტი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი ხელნაწერებიდან მომდინარედ უნდა ჩავთვალოთ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ორივე ფრაგმენტის ტექსტს გვერდების პაგინაციის და *სახარების* მუხლების მითითებით. ვაქვეყნებთ აგრეთვე ჩვენ მიერ წმ. გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფად სავარაუდოდ მიჩნეული ბრიტანეთის მუზეუმის ჰარლეი 5623 ხელნაწერის 256v-ს ფოტოს.

[საწელიწდო სახარება][1]

(ბრიტანეთის მუზეუმი, HARLEY 5623)

254r*
სწორ ჰყოფდა ღმრთისა. [მიუგო] იესუ და
ჰრქუა მათ: [ამენ, ამენ] გეტყჳ თქუენ. არა ჴელ-
ეწიფების [ძე]სა [კაცი]სასა საქ[მედ თავით]
თჳსით არცა [ერთი რაჲ] უკუეთუ არა
იხილ[ოს რაჲმე მამისა]გან საქმე.
რამეთუ რა[ვდენსა] იგი მამაჲ იქმს მას [ძე] ეგრეთ-
ვე მსგავ[სად] იქმს. რამეთუ მამასა უყუარს ძე
და ყოველსავე უჩ[უე]ნებს მას რაოდენ-
საცა იგი იქმს, და უფ[როჲ]სიცა ამისა
უჩუე[ნოს მას საქმე], რაჲთა თქუენ გიკჳრ-
დეს. რამეთუ [ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდა]-
რთა და აც[ხოვნებს, ეგრეცა ძე]
რომელთაჲ [ჰნებავს, აცხოვნებს] არცაღა მამაჲ შჯის [არავის, არამედ
ყოველი სა]შჯელი [მო]-
სცა ძესა, რაჲთა ყოველნი [პატივ-სცე]მდენ ძ[ესა],
ვითარცა-იგი პატივ-სცემენ მამასა, რამეთუ რომელმან არა
პატივ-სცეს ძესა, მან [არა] პატივ-სცა მამასა,
რომელმან მოავლინა იგი. ამენ, ამენ, გეტყჳ [თქუენ],
რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწ[მენ]-

---

[1] სახარების ტექსტი მისდევს გიორგი ათონელის რედაქციას (HJK). კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ადგილები აღდგენილია ამ რედაქციის მიხედვით.

* ი. 5, 19-24.

ეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს
ცხორებაჲ საუკუნოჲ და საშჯელსა იგი არა
შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად.

254v[1]

ო͠ შ ხუთშაბათსა ქ͠ შვდეულისასა, სახარებაჲ იოვანესი თავი.

ჰრქუა უფალმან მოსრულთა მათ მისა მიმართ
ჰურიათა: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყ-
უანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მო-
მავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ
საუკუნოჲ და საშჯელსა იგი არა შე-
ვიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სი-
კუდილისაგან ცხორებად.
ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და
აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინ-
ნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ის-
მინნენ, ცხონდენ. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქ-
უს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრე-
ცა ძესა მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხო-
რებაჲ თავისა თჳსისა თანა და ჴელ-
მწიფებაჲ მოსცა მას საშჯელისაცა
ყოფად, რამეთუ ძე კაცისაჲ არს. ნუ გიკჳ-
რნ ესე. რამეთუ მოვალს ჟამი რომელსა ყოველნი
რომელნი ისხნენ საფლავებსა ისმინონ ჴ-
მისა მისისაჲ და გამოვიდოდიან
კეთილის-მოქმედნი აღდგომასა ცხო-
რებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღ-

255r[2]

დგომასა საშჯელისასა. არა ჴელ-მეწიფების მე საქმედ თავით თჳსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვშჯი, და საშჯელი

---

[1] ი. 5,24- 5,29.

ხელნაწერი გვერდის მარცხენა კიდეზე შემორჩენილია ნუსხურით შესრულებული მინაწერის ფრაგმენტი. იკითხება მხოლოდ რამდენიმე ასო: „...ვა ნბ͠ლ ..ათ͠ს ..ეე.“

[2] ი. 5, 29 - 5,36

ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნე-
ბასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებ-
ელისა ჩემისა მამისასა. ჰარასკევსა q¯
შვდეულისასა სახარებაჲ იოვანესი თავი ჻¯შ.
ჰრქუა უფალმან მოსრულთა მათ მისა მიმართ
ჰურიათა: ვითარცა მესმის, ვსჯი და საშჯელი
ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ
ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებე-
ლისა ჩემი მამისასა. უკუეთუ მე ვწამებდე
თავისა ჩემისათჳს, წამებაჲ ჩემი არა
არს ჭეშმარიტ. სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთჳს, და უწყი, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ
მისი, რომელსა წამებს ჩემთჳს. თქუენ მიავ-
ლინეთ იოვანესა, და წამა ჭეშმარიტი. ხოლო მე წა-
მებაჲ კაცისაგან არა მოვიღო, არამედ ამას
ვიტყჳ, რაჲთა თქუენ სცხოვნდეთ. იგი იყო
სანთელი აღნთებული და საჩინოჲ,
ხოლო თქუენ ინებეთ ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა, ხოლო მე მაქუს წამებაჲ.

255v[1]
უფროჲს იოვანესსა, რამეთუ საქმენი რომელნი
მომცნა მე მამამან, რაჲთა აღვასრულნე
იგინი, ესევე საქმენი წამებენ ჩემთჳს,
რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე.
და რომელმან მომავლინა მე, მამამან, მან წამა ჩემთჳს.
თქუენ არცა ჴმაჲ მისი გესმა სადამე, არცა
ხატი მისი იხილეთ. და სიტყუაჲ მისი არა არს
თქუენ თანა დადგრომილი, რამეთუ რომელი-იგი მოავ-
ლინა ღმერთმან, ესე თქუენ არა გრწამს. გა-
მოეძიებდით წიგნთა, რამეთუ თქუენ ჰგონე-
ბთ, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მათ
შინა; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემ-
თჳს. და თქუენ არა გნებავს მოსლვად
ჩემდა, რაჲთა ცხორებაჲ გაქუნდეს.

[1] ი. 5, 36-44.

დიდებაჲ კაცთაგან არა მოვიღო, არამედ გიცნი
თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გაქუს თავ-
თა შინა თქუენთა. მე მოვედ სახელითა
მამისა ჩემისაჲთა და არა შემიწყნარე-
ბთ. უკუეთუ სხუაჲ მოვიდეს სახელითა
თჳსითა, იგი შეიწყნაროთ. ვითარ უკუე
ჴელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად,
რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ...[1]

*[პარაკლიტონი]**

(ბრიტანეთის მუზეუმი, HARLEY 5623)

256r

ცხოველსმყოფელსა ჯუარსა სახიერებისა შენისასა, რომელი
მომანიჭე ჩუენ უღირსთა, უფალო, მეოხებად შენდა მიგიპყრობთ.
აცხოვნენ მეფენი და ქალაქი შენი, რომელნი გევედრებით
ღმრთისმშობელისა მიერ, მხოლოო კაცთმოყუარეო.

პატიოსნისა ჯუარისა შენისა მიერ ჴელმწიფებაჲ მომეც ჩუენ
დათრგუნვად ყოველსა ძალსა მტერისაა და ცხოვნებულნი გიგალობთ
შენ, ყოვლადძლიერო მაცხოვარო
ჩუენო, დიდებაჲ შენდა. წარდგომაჲ მოციქულთაჲ

რომელმან მეთევზურნი განაბრძნივენ უფროჲს რიტორთასა
და ყოველსა ქუეყანასა ქადაგად წარავლინენ გამოუ-
თქუმელითა კაცთმოყუარებითა შენითა, ქრისტე ღმერთო, მათ მიერ
დაამტკიცე ეკლესიაჲ შენი და კურთხევაჲ შენი გარდამოუვლინე
მორწმუნეთა შენთა, ვითარცა მხოლოჲ სახიერ ხარ და კაცთმოყუარე.

შენ, რომელმან სოფლად წარავლინენ მოწაფენი შენნი, გადიდებთ შენ,
მაცხოვარო ჩუენო, რამეთუ მოიმოწაფნეს წარმართნი და
კერპთა საცთური განაქარვეს და ღელვათა აღტეხაჲ
მყუდროებად შეცვალეს. მათითა მეოხებითა ჩუენცა
განმათავისუფლენ უხილავთა მტერთაგან, მაცხოვარ,
და გუაცხოვნენ ჩუენ. მეთევზურთა მოინადირნეს

---

[1] წყდება ი. 5,44.

* წინამდებარე ნარკვევს დანართის სახით ერთვის ერთი გვერდის (256v) ფოტო.

წარმართნი და კიდეთა ქუეყანისათა თაყუანისცემაჲ შენი
ასწავეს მამისა თანა და სულისა, ქრისტე ღმერთო. მათ მიერ დაამტკიცე
ეკლესიაჲ შენი და მორწმუნეთა გარდამოუვ-
ლინე მაცხოვარებაჲ შენი, ვითარცა მხოლო მოწყალე ხარ და
კაცთმოყუარე. მოწაფენი შენნი, იესუ, კიდეთა სოფლისათა
წარავლინენ და წარმართნი, ვითარცა თევზნი, მოინადირ-
ნეს და ღმრთისმსახურებაჲ, ასწავეს და შენისა სახიერებისა შეწირნეს,
უფალო. მათ მიერ გევედრებით [...] კაცთმოყუარე ერსა შენსა მოჰმადლე
დიდი წყალობაჲ.

256v

წარდგომანი წმიდათანი. წმიდანო მოციქულნო წინასწარმეტყუელნო და
მოწამენო, რომელთა კეთილი ღუაწლი იმოღუაწეთ, სარწმუნოებაჲ
დაიმარხეთ, კადნიერებაჲ გაქუს მაცხოვრისა წინაშე, მას ევედრენით,
სანატრელნო, ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა.
შენ, რომელმან შეჰმოსენ ცანი ღრუბლითა, შეგიმოსიეს წმიდათა
სოფელსა შინა ვინაჲცა ტანჯვანი უშჯულოთანი მოითმინნეს და საცთური
კერპთაჲ
უჩინო-ყვნეს, მათითა მეოხებითა ჩუენცა განმათავისუფლენ უჩინოთა
მტერთაგან, მაცხოვარ,
და გუაცხოვნენ ჩუენ, რომელმან განაბრწყინვენ
წმიდანი შენნი უფროჲს ოქროჲსა და ადიდენ ღირს-
ნი შენნი, სახიერ, მათითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო,
მშჳდობა ყავ ცხორებისათჳს ჩუენისა, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ და
ლოცუაჲ ჩუენი წარჰმართე, ვითარცა საკუმეველი, მხოლოო, რომელი
დიდებულ ხარ წმიდა-
თა შორის. ღუაწლშემოსილნო უფლისანო,
ნეტარ არს ქუეყანაჲ, რომელი განიპოხა სისხლითა თქუენითა,
და წმიდა არიან საყოფელნი, რომელთა შეიწყნარნეს
ნაწილნი თქუენნი, რამეთუ სტადიონსა შინა მტერი განაქი-
ქეთ და კადნიერებით ჰქადაგეთ ქრისტე. მას
ვითარცა სახიერსა ევედრენით ცხორებისათჳს სუ-
ლთა ჩუენთაჲსა. ოდეს ღუაწლთა შინა მჴნდეს უფლისა მოწამენი, მაშინ
ზახებაჲ უღმრთოთაჲ
სარწმუნოებით მოაუძლურეს. ხოლო რაჟამს კერპთა საცთური ღმრთისა
მიერ უჩინოყვეს, მაშინ

დაიდგნეს გვრგვნნი ძლევისანი და გალობით ღაღადებდეს: ცხორებისმომცემელო ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

დანართი: პარაკლიტონი (სავარაუდოდ, გიორგი ათონელის ავტოგრაფი, HARLEY, 5623, 256v) – ფოტო.



ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი*

შუასაუკუნეების მდიდარი ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა ჯერ კიდევ მრავალმხრივ დამუშავებას საჭიროებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ლიტერატურის მსოფლიო ქრისტიანული აზროვნების პროცესში ჩართვის საკითხი. იციან შუა საუკუნეებში საზღვარგარეთ ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის შესახებ? ქართული ლიტერატურის რომელი ძეგლები გასცდა ძველად ქართული ენის ფარგლებს? რომელი დროიდან იცნობენ ქართულ მწერლობას ევროპაში? აი, საკითხთა ერთი რიგი, რომლებზეც პასუხის გაცემა, უცხოური წყაროების სათანადოდ შეუსწავლელობის გამო, ჯერ-ჯერობით ჭირს. ამ რიგის ზოგიერთ საკითხზე ვარაუდები ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმულია. მაგალითისთვის შეიძლება მივუთითოთ რუსთაველის პოეტური შემოქმედების ცალკეული ნიმუშების არაბულენოვან სამყაროში შესაძლებელი გავრცელების ვარაუდზე, რის სამტკიცებლადაც საკმარისი მასალა ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

უფრო სარწმუნოა თვალსაზრისი X-XI საუკუნეების დიდ ათონელ მოღვაწეებთან (იოანე, ეფთვიმე, გიორგი მთაწმიდელები) დაკავშირებული ქართული წერილობითი ძეგლების ბერძნულ ენაზე შესაძლებელი თარგმანის თაობაზე. საქმე ისაა, რომ ათონის მთის ქართველი მოღვაწეები ბერძნულ სამყაროში

---

* პირველად გამოქვეყნდა აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის საიუბილეო კრებულში – *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*. „ლოგოსი", თბ. 1999, გვ. 310-323).

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ბერძნულმა ეკლესიამ ისინი მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანებად აღიარა. ივირონის ქართველ დამაარსებელთა ხსენების დღე ახლაც უდიდესი დღესასწაულია ათონის მთაზე. მათ შესახებ ლიტურგიკულ პრაქტიკაში გამოსაყენებელი საკითხავები არც თუ იშვიათია ათონის მთის ბერძნულ ხელნაწერებში. ისიც დადგენილია, რომ შედარებით მოგვიანო პერიოდში შექმნილი მათი ცხოვრების ამსახველი სვინაქსარული *ცხოვრებანი* ერთგვარად დამოკიდებული არიან ქართულ მასალაზეც. და მაინც, ქართული ორიგინალური მწერლობის რომელიმე ძეგლის ან მისგან ნაწყვეტის უცხოურ ენებზე თარგმნაზე (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) აშკარა მითითება თვით XIX საუკუნემდე ჭირს (გამონაკლისია ქართული ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის ძეგლების სომხურენოვანი თარგმანები).

ამ ვითარებაში, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია მითითება ქართველ მკვლევართათვის, დღემდე უცნობ ერთ ფაქტზე, რომელსაც აქამდე თავისი ასახვა არ უპოვია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში: XIII საუკუნეში ლათინურ და ბერძნულ ენებზე გადაუტანიათ ერთი პასაჟი XI საუკუნის ქართული ორიგინალური აგიოგრაფიიდან, კერძოდ გიორგი მცირის *გიორგი ათონელის ცხოვრებიდან*, და იგი მოღწეულია ჩვენამდე XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ხელნაწერებში ჩართული ბერძნულ და ლათუნურენოვანი ტექსტებით.

1060-65 წლებში გიორგი მთაწმინდელმა საქართველოში ბაგრატ IV-ის მიწვევითა და თანადგომით დიდი საეკლესიო რეფორმა ჩაატარა. ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მოძღვარი საბერძნეთში, მთაწმინდას ბრუნდებოდა, თან მონასტერში აღსაზრდელად 80 ობოლი ბავშვი მიჰყავდა. ბერი კონსტანტინოპოლში შეჩერდა, იმპერატორ კონსტანტინე დუკასთან (1059-

1067) ქართველთა მეფის წერილი მიჰქონდა. ბიზანტიის სამეფო კარზე დაწინაურებულმა ქართველმა დიდებულებმა, კერძოდ პეტრე პატრიკმა, იგი სამეფო კარზე წარადგინეს. იმპერატორმა ბერი დარბაზობაზე მიიწვია, სადაც ბერძენთა და რომაელთა შორის საეკლესიო განხეთქილების საკითხზე მსჯელობდნენ. ამ განხილვას, ბიზანტიის სამეფო კარის დიდ მოხელეებთან ერთად, რომაელი და სომეხი დიდებულებიც ესწრებოდნენ. იმპერატორმა, შენიშნა რა ქართველი ბერის დიდი განსწავლულობა საღვთისმეტყველო დოგმატიკასა თუ ლიტურგიკაში, გიორგი მთაწმიდელს საკამათო დეტალების გადაწყვეტაში მთავარი არბიტრის როლი დააკისრა. თავდაპირველად მას ქართველთა სარწმუნოების ბერძნულ მართლმადიდებლობასთან მიმართებაზე ჰკითხა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ. და რაჟამს ერთგზის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ“,[1] – მიუგო დიდმა მოძღვარმა. შემდეგ მეფემ ქართველ ბერს ბერძნული და რომაული ლიტურგიის განსხვავებული დეტალების ახსნა სთხოვა. მოძღვარმა განმარტა ევქარისტული პრაქტიკის სიმბოლიკა და თან დასძინა: „ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს... ხოლო ჰრომთა ვინაჲთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდენ მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის.“[2] იმპერატორის კითხვას სომეხთა სარწმუნოების შესახებ წმინდა ბერმა მოკლედ მიუგო: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ.“[3] იმპერატორი „აღივსო სიხარულითა და მადლი შესწირა ღმერთსა.“[4] სომეხი

---

[1] გიორგი მცირე, „ცხორებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II. თბ. 1967, გვ. 178.

[2] იქვე. გვ. 179.

[3] იქვე. გვ. 180.

[4] იქვე.

დიდებულები შერცხვენილნი დარჩნენ, ხოლო „მთავართა მათ ჰრომთა დიდად განიხარნეს... ეტყოდეს წმიდასა: „წარგიყვანოთო წინაშე წმიდისა პაპაჲსა.“[1]

წინააღმდეგობა რომისა და ბიზანტიის ეკლესიათა შორის ოფიციალური განყოფის (1053 წ.) შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა. როგორც ზემოთ მოთხრობილი ისტორიიდან ჩანს, გიორგი მთაწმიდელის პიროვნებისადმი რომაელ დიდებულებს დიდი სიმპათია და ინტერესი იმთავითვე გამოუჩენიათ. ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმპერატორ კონსტანტინე X დუკას კარზე გამართული დისპუტი უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ლიტერატურულად იყო ფიქსირებული ათონის მთაზე გიორგი მცირის დაწერილ *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში*. ათონი კი ქართველ და რომაელ განდეგილ მოღვაწეთა შეხვედრის ადგილიც იყო: ივირონის მახლობლად, ლათინელებს, ქართველთა ხელშეწყობით, ჯერ კიდევ იოანესა და ეფთვიმეს სიცოცხლეში ჰქონდათ აგებული მონასტერი და ქართველებთან მათი კულტურული და მეგობრული ურთიერთობა ინტენსიურად გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნული და რომაული ქრისტოლოგიური მიმართულებების შეხვედრის არეალში მოღვაწე ლათინელ ბერებს უნდა სცოდნოდათ ზემოთ გადმოცემული ისტორია და დაინტერესებულიყვნენ ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში შეტანილი შესაბამისი პასაჟით.

ამ ვარაუდს ადასტურებს რომაელი მკვლევარის გეორგ ჰოფმანის მიერ 1951 წელს მილანში, აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკის თავმჯდომარის, ჯოვანი გალბიატისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში გამოქვეყნებული სტატია: „რელიგიური საუბრის ტექსტები იმპერატორ კონსტანტინე X დუკას

[1] იქვე.

წინაშე",[1] რომელშიაც XIII-XIV საუკუნეების სამი ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია აქ მოთხრობილი ამბის თავისებური გადამუშავების შემცველი ბერძნული და ლათინური ტექსტები.

გიორგი მცირის *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* განხილული პასაჟის ბერძნული და ლათინური თარგმანი შეტანილია *რწმენის საუნჯის* (Thesaurus fidei) სახელით ცნობილ კრებულში, რომლის შექმნაც დაკავშირებულია ბოლონიელი ბონაკორსის (Bonaccorsi von Bologna) სახელთან. ეს დომინიკელი ბერი მისიონერად მოღვაწეობდა საბერძნეთში, ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მის გარდაცვალებას დაახლოებით 1275 წლით ათარიღებენ. გ. ჰოფმანი ამ თხზულების სამ ხელნაწერს ასახელებს:

1. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნული ფონდის (Parisinus graecus) 1251 (ადრინდელი Colbert-ის ფონდის 3285). ხელნაწერი თარიღდება დაახლოებით XIII-XIV საუკუნეების მიჯნით. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ბერძნული და ლათინური ტექსტით *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან* იკითხება 124-126-ე ფურცლებზე.

2. Parisinus graecus 1252 (Colbert 2567). ხელნაწერი დაახლოებით თარიღდება XIII-XIV საუკუნეების მიჯნით. იგი ცოტათი უფრო გვიანდელია, ვიდრე Parisinus graecus 1251. *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* პასაჟი ბერძნულად და ლათინურად იკითხება 110-111-ე ფურცლებზე.

3. მილანის *ამბროსის ბიბლიოთეკის* ბერძნული ფონდის (Ambrosianus graecus) 253 (ძველი ნუმერაციით – D 78 sup.). ხელნაწერი თარიღდება დაახლოებით 1327 წლით. იგი ზემოთ

[1] Hofmann, G., S. I., „Texte zum Religionsgespräch von Kaiser Konstantin X. Dukas": *Miscellanea Giovanni Galbiati, v. III (Fontes Ambrosiani, XXVII)*. Milano 1951, pp. 249-262.

მითითებულ ხელნაწერზეა (Parisinus 1252) დამოკიდებული. Ambrosianus graecus 253 თხზულების მხოლოდ ბერძნულ ტექსტს შეიცავს სრულად, ხოლო ლათინურს ნაკლულად. აქ ჩვენთვის საინტერესო პასაჟის მხოლოდ ბერძნული ტექსტი იკითხება 158-159 ფურცლებზე.

პარიზის ზემოთ დასახელებული ხელნაწერები აღწერილია Quétif-ისა და Échard-ის მიერ,[1] ხოლო მილანის ხელნაწერი – Martini-ისა და Bassi-ის მიერ.[2] ჩვენთვის საინტერესო პასაჟზე დაკვირვებით გ. ჰოფმანი ასკვნის, რომ მეორე ხელნაწერი (Parisinus graecus 1252) დამოკიდებულია პირველზე (Parisinus graecus 1251). მის გადამწერს ლათინური ტექსტი გაუმართავს ანდა გაუსწორებია პარალელური ბერძნული ტექსტის მიხედვით, ან, შესაძლებელია, ორიგინალის მიხედვით. მესამე ხელნაწერის (Ambrosianus graecus 253) ბერძნული ტექსტი კი მომდინარეობს მეორე ხელნაწერიდან.[3]

როგორც გ. ჰოფმანმა შენიშნა, ბონაკორსის კრებულში შეტანილი პასაჟი რელიგიური დისპუტის შესახებ იმპერატორ კონსტანტინე X დუკას კარზე აშკარად მომდინარეობს *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* ტექსტიდან.[4] ეს დასკვნა, ჩემი აზრით, საბუთდება შემდეგი არგუმენტებით:

ა) იმის თაობაზე, რომ ეს ამბავი მოტანილია წმინდა მთის ბერის წმინდა გიორგის *ცხოვრებიდან* Thesaurus fidei-ში შეტანილი

---

[1] Quétif, I. - Échard, I., *Scriptores ordinis Praedicatorum*, I. Paris 1719, p.156-8.

[2] Martini, A. - Bassi, D., *Catalogus codicum graecorum bibliothecae Ambrosianae*, I. Milano 1906, p. 260.

[3] Hofmann, G., p. 253.

[4] გ. ჰოფმანი ქართულ ავიოგრაფიულ თხზულებას იცნობს პ. პეეტერსის ლათინური თარგმანით: "Histories monastiques géorgiennes": *Analecta Bollandiana*, XXXVI-XXXVII, 1917-1919, გვ. 5-309.

პასაჟის შესავალშივეა მითითებული: Ἐν τῷ βίῳ τοῦ ἁγίου Γεωργίου τοῦ ἐκ τοῦ ὄρους τοῦ ἁγίου.../// in vita beati Georgii de Monte Sancto.

ბ) Thesaurus fidei-ის პასაჟის მიხედვით, რელიგიური დისპუტი გაიმართა იმავე გარემოში და პირობებში, რომელსაც მიუთითებს *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება*: ბიზანტიის სამეფო კარი; ბიზანტიის იმპერატორის ინიციატივით საუბრობს ქართველი ბერი გიორგი; დისპუტს, გარდა ბერძნებისა, ესწრებიან რომაელი და სომეხი დიდებულები.

გ) ისევე როგორც *ცხოვრებაში* ბერძნულ-ლათინურ ტექსტშიც საუბარი მიმდინარეობს კითხვა-მიგების ფორმით: იმპერატორი ეკითხება ქართველ ბერს და იგი პასუხობს.

დ) ბერძნულ და ლათინურ თარგმანში ქართული თხზულების მსგავსადაა აღწერილი იმპერატორის მიერ დასმული საკითხები და წმ. გიორგი ათონელის პასუხები: ევქარისტიის სპეციფიკური დეტალები (პურის ცომის, მარილისა და წყლით განზავებული ღვინის გამოყენება), ქართული მართლმადიდებლობის სიწმინდე, ბერძენთა მიერ წარსულში მწვალებლობისაკენ გადახრები, რომაელთა რელიგიური სიმტკიცე პეტრე მოციქულიდან დაწყებული, სომეხთა სარწმუნოების განქიქება.

ე) ერთმანეთის მსგავსია რელიგიური დისპუტის შედეგების გადმოცემა: მეფის კმაყოფილება ქართველი ბერის პასუხებით, რომაელთა დიდი სიხარული, სომეხთა შერცხვენა.

წინამდებარე ნარკვევის ბოლოს დართულია გ. ჰოფმანის მიერ გამოქვეყნებული[1] ბერძნული და ლათინური ტექსტი წმინდა გიორგი ათონელის საუბრისა იმპერატორის კარზე ბონაკორსის შრომიდან Thesaurus fidei. XIII საუკუნის ბერძნულ-ლათინურ ტექსტში ჩვენ მიერ გამოყოფითაა დასტამბული ის ადგილები, რომელთა მიმართება *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* ქარ-

[1] Fontes Ambrosiani, XXVII, p. 256-258.

თულ ტექსტთან უფრო აშკარაა. აქვე პარალელურად ვურთავთ ქართული აგიოგრაფიული ტექსტის შესაბამის ადგილებს, თხზულების კრიტიკული პუბლიკაციის მიხედვით.[1] (იხ. *დანართი* ნარკვევის ბოლოს).

პარალელურად მოყვანილ ქართულ-ბერძნულ-ლათინურ პასაჟებში ბერძნულ-ლათინური ტექსტის მომდინარეობა ქართულიდან აშკარაა. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ საქმე არა გვაქვს ზუსტ თარგმანთან, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ბერძნულ-ლათინური ტექსტი არის ქართული *ცხოვრების* შესაბამისი ადგილების თავისუფალი ადაპტირებული თარგმანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ლათინური ტექსტი მისდევს ბერძნულს სიტყვა-სიტყვით.

გამოქვეყნებული ქართულ-ბერძნულ-ლათინური პარალელური ტექსტები მრავალ საკითხს სვამს მკვლევართა წინაშე. ამჯერად ჩვენი ინტერესისა და კვლევის სფეროში არ შემოდის ამ ფაქტთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ურთიერთობის თავისთავად უმნიშვნელოვანესი პრობლემები (დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსა ბიზანტიასთან და ევროპასთან XI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, ქართული ეკლესიის უმთავრესი ავტორიტეტის, გიორგი მთაწმიდელის მიერ გამოხატული სიმპათია რომის ეკლესიის მიმართ ბერძენ-ლათინთა საეკლესიო გათიშვის ადრეულ ეტაპზე, ბერძენი იმპერატორის, კონსტანტინე X დუკას ინტერესი ამ საეკლესიო პრობლემატიკისადმი და ერთგვარი ლოიალობა რომაელთა მიმართ და სხვ.); არც გიორგი ათონელის მიერ განმარტებული ლიტურგიკისა და ევქარისტიის დეტალების სიმბოლიკა (ქართველი მოძღვრის მიერ განმარტება ევქარისტიაში გამოყენებული პურის ცომის, მარილის, წყლით განზავებული ღვინის სიმბოლი-

[1] გიორგი მცირე, „ცხორებაჲ ...“, გვ. 178-180.

კისა და ახსნა რომაელთა ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული ტრადიციისა) და არც იმ ლიტურგიკულ-დოგმატიკური წყაროების ძიება, რომლებსაც შეიძლება გიორგი ათონელი თავის დისპუტში ან მისი *ცხოვრების* ავტორი ემყარებოდა.

ჩემი ინტერესი XIII საუკუნის ქართულ-ბერძნულ-ლათინური ლიტერატურული ურთიერთობების ამ უაღრესად საინტერესო და უნიკალური ფაქტის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ფილოლოგიურია. ამ კუთხით კი დაისმის რამდენიმე საკითხი, რომლებზეც პასუხის გაცემა ძალზე საშურია. დღეისათვის გამოვლენილი ფაქტობრივი მასალიდან აშკარაა მხოლოდ ის, რომ XI საუკუნის ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული თხზულება *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება* XIII საუკუნეში უკვე ცნობილია ბერძნულადაც და ლათინურადაც. უფრო მეტიც, მისგან თარგმნილია XI-XIII საუკუნეების ბერძენ-ლათინთა რელიგიური პოლემიკის უაღრესად მნიშვნელოვანი პასაჟი ბერძნულადაც და ლათინურადაც და იგი შეტანილია რომის ეკლესიის ძალზე პრესტიჟულ კრებულში Thesaurus fidei. რჩება საკითხები, რომლებზეც დამატებითი მასალის მოპოვების გარეშე პასუხის გაცემა არ ხერხდება. როგორ მიუწვდა ხელი დომინიკანელ ბერს ბონაკორსის ქართულ ტექსტზე? სხვაგვარად რომ ვთქვათ, საიდან თარგმნის იგი ლათინურ ენაზე ამ პასაჟს – ქართულიდან თუ *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* უკვე არსებული ბერძნული თარგმანიდან? როგორ გაჩნდა ამ პასაჟის ბერძნული თარგმანი: იგი უშუალოდ ქართული *ცხოვრებიდან* მომდინარეობს (უთარგმნეს იგი ბონაკორსის, ან მან თარგმნა სხვისი დახმარებით), თუ ლათინელი ბერი ამ პასაჟის ბერძნულ ტექსტს იღებს გიორგი ათონელის შესახებ ბერძნულ ენაზე უკვე არსებული თხზულებიდან?

ბერძნულ ენაზე დიდ ათონელ ქართველ მოღვაწეთა *ცხოვრებანი* ადრევე უნდა დაწერილიყო. ეს *ცხოვრებანი* უნდა თარგმნილიყო ქართულიდან ან ათონზე არსებული ზეპირი თუ წერილობითი ცნობების გამოყენებით ბერძნულად შექმნილიყო. ამაზე მეტყველებს ათონის მთაზე იბერთა ქართული ლავრის ბერძენთა ხელში გადასვლის შემდეგ ამ მონასტერში *ივირონის* დიდ ქართველ მაშენებელთა მოსახსენებელი დღის შენარჩუნების ფაქტი. აგრეთვე ის, რომ იოანე, ეფთვიმე და გიორგი ბერძნული ეკლესიის წმინდანებად იქნენ აღიარებულნი. ამ თვალსაზრისით, სწორედ XI საუკუნის დიდი ქართველი მთარგმნელის, გიორგი მთაწმიდელის სახელი სპეციფიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ზოგიერთ ბერძნულ წყაროში იგი აირია ივირონის მესამე მაშენებლის – გიორგი ვარაზვაჩეს (ივირონის მესამე წინამძღვარი, ბერძენთა მეფე რომანოზის მიერ ღალატისათვის დასჯილი და კუნძულ მონოვატზე გადასახლებული) სახელში. ეს აღრევა გამოწვეული იყო იმით, რომ ივირონში დაწესებული იყო მაშენებელთა – იოანეს, ეფთვიმეს და გიორგის ხსენების დღე, ხოლო ივირონის ქართულ საძმოში უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა დამკვიდრებული დიდ მოძღვარ გიორგის, წმიდა წერილის ქართულად მთარგმნელს და ასევე წინამძღვარს.

დღეისთვის მეცნიერებაში დამკვიდრებული ცნობების მიხედვით, ბერძნულ კოლექციებში მოიპოვება ივირონის ქართველ მაშენებელთა შემდეგი *ცხოვრებანი*:

1. *ეფთვიმე იბერის ცხოვრება* დაცული ათონის მთის ბერძნულ ხელნაწერში (ლამბროსის კატალოგით[1] ხელნაწერი 4467) და, შედარებით ახალმოპოვებული ცნობით, კუნძულ სამოსზე არსე-

[1] Catalogue of Greek manuscripts of Mount Athos, by S. P. Lambros, v. II, Cambridge 1900.

ბული ერთი ბერძნული ხელნაწერით[1]. ჯერ-ჯერობით ეს ხელნაწერები შესწავლილი არ არის.

2. *ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდათა და ღმერთშემოსულთა მამათა ჩვენთა იოვანესი, ეფთვიმესი და გიორგისი, ჩვენი წმინდა და უდიდესი ქართველთა ლავრის მაშენებლებისა* – Βίος καὶ πολιτεία... ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეულია ათონის 4573 ხელნაწერით,[2] ვატიკანის ბერძნული ფონდის 2613 ხელნაწერით[3] და ათენში 1857 წელს გამოცემულ ქართველთა მონასტრის *პროსკინიტარიონში* [4] დაბეჭდილი ტექსტით. ეს თხზულება შესწავლილია.[5] იგი დაწერილი უნდა იყოს ათონზე ივირონის მონასტერში, XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. მითითებულ ხელნაწერთაგან უძველესია ათონის 4573, გადაწერილი ივირონში 1758 წელს ბერი კოზმანის მიერ. ამ თხზულების ივირონის მაშენებელი გიორგი არის გიორგი ვარაზვაჩე და მასზე თხზულებაში ძალზე მწირი ცნობებია.

3. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩანს დაუზუსტებელი ცნობა იმის თაობაზე, რომ ბერძნულ ენაზე დაცულია *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება* კრებულში – Ἀκολουθία τῶν ἁγιονρειτῶν πατέρων. ამ ბერძნულ კრებულს ეძიებდა გ. ჰოფმანი, მაგრამ ვერ მიაგნო. მიუთითა, რომ მას არ იცნობს ბერძნული *აკოლუთიების* აღმწერელი ლუის პეტი.[6]

---

[1] *Analecta Bollandiana*, 1975, III. იხ. მაჩხანელი, მ., *იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება"*. თბ. 1982, გვ. 9.

[2] Lambros, S.P., Catalogue... II, p.147.

[3] Halkin, F., *Auctarium Bibliothecae Hagiographicae Graecae*. Bruxelles 1969.

[4] Προσκυνηταριον του... ιερου μοναστεριου των Ιβηρον. Athenis 1857,49-75.

[5] მაჩხანელი, მ., დასახელებული ნაშრომი.

[6] Bibliographie des acolouthies grecques, par S. G. Louis Petit. Bruxelles 1926. ჯ. კეკელიძე, *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* ბერძნულ ტექსტს, თანახმად ლამბროსის კატალოგისა, შემონახულად თვლის აგრეთვე ათონის ივირონის 453-ე ბერძნულ ხელნაწერში (*ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბ. 1960,

ცნობა *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* ბერძნული ტექსტის Ἀκολουθία-ში არსებობის შესახებ ქართულ მეცნიერებაში ა. ხახანაშვილიდან იღებს სათავეს.[1] ვფიქრობთ, ა. ხახანაშვილი უნდა ემყარებოდეს XIX საუკუნის დასასრულს რუსულ სასულიერო წრეებში ძალზე პოპულარულ ორტომეულს – *ათონურ პატერიკს*, რომელიც იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ათონის მთაზე მოღვაწე ვინმე ბერ აზარიას შეუდგენია.[2]

ათონურ პატერიკში შეტანილია ქართველ მთაწმიდელთა ცხოვრებანიც. კერძოდ, იოანე, ეფთვიმე და გიორგი ივერიელების, გაბრიელ ივერიელის და XIII საუკუნეში წამებულ ივერიელ ბერთა. *ათონური პატერიკის* ზოგი ნაწილი ორიგინალურია – შემდგენელს თვითონ შეუთხზავს სხვადასხვა წყაროს გათვალისწინებით. ზოგი ნაწილი კი თარგმნილია ბერძნულიდან. თანახმად შემდგენელის მითითებისა, ქართველ ათონელთა ცხოვრებანი თარგმნილია ორი კრებულიდან: "Ἀκολουθία τῶν ἁγιονρειτῶν πατέρων და Νέον ἐκλόγιον". ეს უკანასკნელი 1805 წელს ცნობილი მთაწმიდელი ბერისა და მწერლის, ნიკოდიმოსის (1748-1809) მიერ შედგენილი კრებულია. რა კრებულია დამოწმებული Ἀκολουθία, გამოცემული წიგნია იგი თუ რომელიმე ხელნაწერში იყო მოთავსებული, ამის შესახებ ათონურ პატერიკში ცნობები არ ჩანს.

გვ. 213). ეს არის ჩემ მიერ ზემოთ დასახელებული ათონის ბერძნული 4573 ხელნაწერი, რომელშიც შეტანილია Βίος καὶ πολιτεία ანუ „ცხოვრება და მოქალაქეობა... იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისი". ამ „ცხოვრების" გიორგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის გიორგი მაშენებელი, ვარაზვაჩე და არა გიორგი მთაწმიდელი.

[1] Хаханов, А., *Очерки по истории грузинской словесности*, т. I. М. 1895; т. II, 1897; т. III, 1901.

[2] Энциклопедический словарь, под ред. И. Е. Андреевского, т. IV. СПБ. 1891, стр. 585.

ათონური პატერიკის პირველი ნაწილის 1876 წლის გამოცემის[1] 113-139 გვერდებზე შეტანილია გიორგი ივერიელის ცხოვრება – «Преподобный Георгий Иверский. Память его мая 13-ого». მოყვანილ სათაურს თან ერთვის შენიშვნა: "Из 'Ακολουθία τῶν ἁγιονρειτῶν πατέρων". თხზულება იწყება პატარა შესავალით, რომელშიც გიორგი ივერიელი მიჩნეულია ივირონის ერთ-ერთ მაშენებლად, ეფთვიმეს ბიძაშვილად, რომელმაც ააგო მონასტერში მთავარი ეკლესია – კათოლიკონი. მოვიყვანთ სრულად ამ შესავალს:

«И сей богоносный отец наш Георгий происходил тоже из Иверии. Он был племянник Иоанна и двоюродный брат Евфимия; тоже старался об украшении распространении созданной Иоанном обители, вновь воздвиг от основания соборный храм (кафоликон) ея, и потому почитается также ея ктитором. Что соборный храм создан Георгием, видно из надписи, которая сделана им на медном круге, лежащем на полу, в средине этого священного храма, под хоросом, где святый пишет так: „Я Утвердил столпы сии, и в век не подвигнутся." - Георгии, монах Ивер и ктитор».

შესავალს მოსდევს გიორგი ივერიელის *ცხოვრება*, დაყოფილი ქვეთავებად: 1. Отрочество и воспитание преподобного Георгия - გვ. 113-115; 2. Путешествие Георгия по святым местам - გვ. 116-128; 3. Путешествие Георгия в Грузию – გვ. 128-134; 4. Кончина Георгия – გვ. 134-139. ეს *ცხოვრება* წარმოადგენს გიორგი მცირის გიორგი მთაწმიდელის *ცხოვრების* გვიანდელ გადამუშავებას. ამრიგად, *ათონური პატერიკის* გიორგი ივერიელი არის გიორგი ვარაზვაჩესა და გიორგი მთაწმიდელის ერთმანეთში აღრევით შექმნილი არარსებული პიროვნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ: დიდი მწერლის, მოძღვრისა და წმიდა მამის, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების დეტალები, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ გიორგი მცი-

[1] *Афонский патерик или жизнеописания святых на святой Афонской горе просиявших*, Издание четвертое, ч. I. С.-П. 1876.

რის თხზულებიდან (*ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა*) მიჩნეულია ივირონის მაშენებლის, გიორგი ვარაზვაჩეს ბიოგრაფიად.

ამჯერად, ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თუ როგორაა *ათონური პატერიკის* გიორგი ივერიელის ცხოვრებაში ასახული ეპიზოდი კონსტანტინე დუკას კარზე გამართული დისპუტისა. შეიძლება თუ არა ამ ტექსტის წინაპარი Ἀκολουθία-ის ბერძნული ტექსტი მივიჩნიოთ XIII საუკუნის ლათინური თარგმანის დედნად? ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. *ათონური პატერიკის* გიორგის *ცხოვრებაში* ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი გადამუშავებული სახითაა შეტანილი. კერძოდ, ამბავი მოთხრობილია თანმიმდევრულად, მხოლოდ სპეციფიკური დეტალები, რომლებშიც ჩანს ქართველი მოძღვრის სიმპათია რომაელთა მიმართ, გამოტოვებულია. მოგვყავს სათანადო ადგილი *პატერიკიდან* (გვ.136):

«В то время при царском дворе находилось много именитых мужей, из числа римлянь и армян, и сам последний царь армянский – Гагик, бежавший в Царьград из покоренной сарацинами столицы его Ани. Император, в присутствии их, распрашивал святаго старца о различии исповедании, извиняясь тем, что, как державший всегда меч и скипетр, он мало знаком с предметами церковными, хотя, по настоящему, православие должно утверждаться от царей. Константин желал знать, во всем ли согласна Церковь иверская с православною Церковию греческою, – и весьма был утешен, когда святый Георгий, ясными доказательствами, засвидетельствовал, что Церковь иверская, принявши однажды православие, никогда от него не отступала. Император возблагодарил за это Бога, и потом спрашивал еще о разности, какая существует в догматах и обрядах между греками, римлянами и армянами; - на все эти вопросы авва Георгии давал ему удовлетворительные ответы, так что державный, святитель и сановники изумлялись ясности, с какою излагал им Георгий самыя глубокия истины и то, чего не могли изьяснить им ни римляне, ни армяне».

ათონური პატერიკის ზემოთ მოყვანილი პასაჟი გიორგი მცირის ტექსტის გვიანდელი გადამუშავებაა ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესების შესაბამისად. შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ გადამუშავება *ათონური პატერიკის* შემდგენელის ხელიდან მოდის, ხოლო Ἀκολουθία-ის ჩვენთვის უცნობი ბერძნული ტექსტი მოსალოდნელია, რომ ქართულ *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებასთან* უფრო მეტ მიმართებას ამყარებდა. ჩემი ვარაუდით, ათონის მთაზე შედგენილ წმიდა მამათა აკოლუთიების კრებულში, თუ ასეთი მართლაც არსებობდა, შეტანილ ბერძნულ ტექსტში ჩვენთვის საინტერესო პასაჟი *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან* უკვე გადამუშავებული იქნებოდა მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მისაღები პოზიციის მიხედვით. სხვა საქმეა, თუ როგორ იქნა შედგენილი ბერძნული კრებული Ἀκολουθία (ვიმეორებ, თუ იგი მართლაც არსებობდა): კრებულის შედგენის დროს გადამუშავდა ქართული *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება* თუ შემდგენელი სარგებლობდა *ცხოვრების* ძველი ბერძნული თარგმანით? ასე რომ, დასმული საკითხის გადაჭრა უნდა დაემყაროს დღეისათვის უცნობ ფაქტებს ჯერ-ჯერობით შეუსწავლელი ამ ბერძნული ხელნაწერებიდან.

დავუბრუნდეთ XIII საუკუნის ლათინურ კრებულში ქართული აგიოგრაფიული თხზულებიდან შეტანილ პასაჟს. რა გზით უნდა მიეღწია ქართული ორიგინალური თხზულების ტექსტს ლათინურ *რწმენის საუნჯემდე*? ამ კითხვას სარწმუნო ფაქტების უქონლობის გამო მხოლოდ ვარაუდის სახით უნდა ვუპასუხოთ. როგორც უკვე აღვნიშნე, XI საუკუნის დასაწყისიდან ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის მეზობლად ლათინელ ბერ-მონაზონთა საკრებულო არსებობდა, რომელსაც ქართველებთან მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა. ქართველები და ლათინები ხშირად სარგებლობდნენ ერთმანეთის მხარდაჭერით. ფაქტები მეტყველებენ, რომ ეს

მხარდაჭერა კულტურულ სფეროებსაც მოიცავდა. ჩემი აზრით, ამის ერთი მაგალითია XI საუკუნის შუა წლებში ათონის მთიდან კონსტანტინოპოლში სათარგმნად წაღება „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული თხზულებისა; თანაც იმ ინფორმაციით, რომ იგი ქართულიდანაა თარგმნილი ეფთვიმე ათონელის მიერ. ჩემი ვარაუდით, სწორედ ათონის ლათინელთა საკრებულოდან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია დომინიკელთა ორდენის ბერს ბონაკორსის XI საუკუნეში იმპერატორის კარზე ბერძენ-რომაელთა დისპუტის თაობაზე ქართულ თხზულებაში არსებულ ჩანაწერზე.

ვფიქრობ, აღნიშვნას საჭიროებს ისიც, რომ ქართული მეცნიერებისათვის ამ უცნობი პუბლიკაციის მოძიება მოხერხდა იმ მნიშვნელოვანი საქმიანობით, რომელიც მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ *ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში*. 1994-96 წლებში NATO-ს გრანტით ვმუშაობდი შესაქმნელად მონოგრაფიისა *ქართული ლიტერატურის შესწავლა ევროპაში*. პროექტის შესრულებაში ჩაება ცენტრის თანამშრომლებისა და უცხოელი ქართველოლოგების ძალზე დიდი ჯგუფი. 1995 და 1996 წწ. ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა კოლეგასთან, ჩემს ყოფილ სტუდენტ, ამჟამად სამოციქულო ბიბლიოთეკის თანამშრომელ, დოქტორ გაგა შურღაიასთან ერთად იტალიურ მასალაზე მუშაობისას - Bibliotheka Sanctorum-ის ტომებში შეტანილ ქართველ წმინდანებზე ცნობების მოძიებისას – მივაგენით საკმაოდ არაზუსტ მითითებას *გიორგი ათონელის ცხოვრების* ქართული რედაქციის ნაწყვეტების ძველი ბერძნული და ლათინური თარგმანების შესახებ. დაზუსტებას საჭიროებდა, რასთან გვქონდა საქმე: ჩვენს მეცნიერებაში მოარულ აზრთან, *გიორგი ათონელის ცხოვრების* ბერძნული თარგმანის არსებობის შესახებ თუ რაიმე ჩვენთვის უცნობ მასალასთან? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მოვახერხე

1999 წლის მარტში, ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში, იმავე მონოგრაფიის საკითხებზე მუშაობისას, ზემოთ მოხმობილი პუბლიკაციის მოპოვებით.

დანართი: *გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების* ერთი მონაკვეთის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი, ქართული დედნის პარალელებით.

ἐγώ εἰμι ἄνθρωπος νέος, σχολάζων τοῖς ὅπλοις καὶ τοῖς στρατιωτικοῖς πράγμασιν, ἐν τούτοις ἔμπειρος, ἀλλ' ἐν τοῖς πνευματικοῖς ἄπειρος.

Ego sum homo iuvenis, vacans armis et militaribus rebus, in hiis exercitatus, sed in spiritualibus inexpertus.

οὐ δὲ βίβλους γραικὰς καὶ ἰβερικὰς βαθέως ἐπίστασαι,

Tu vero libros grecos et ybericos profunde nosti

μυσταγώγησον ἄρα ἡμᾶς.

Edoce ergo nos.

Ὁ δὲ ἀποκριθεὶς εἶπεν· ὦ θειοτάτε βασιλεῦ, ἀφ' οὗ εἰς τοὺς γραικοὺς πλειστάκις ὑπεισῆλθον αἱρέσεις καὶ σχίσματα, φροντίς τε καὶ μέριμνα ὑπῆρχε τοῖς προπάτορσί σου, βασιλεῦ, συναγαγεῖν τὰς συνόδους,

Ille autem respondens ait: Clementissime imperator, ex quo in grecos et frequenter hereses et scismata subintrarunt, solicitudo et cura imperatoribus progenitoribus tuis fuit, synodos congregare.

αἵτινες διορίζονται, τί πρατητέον καὶ τί πιστευτέον·

quid credendum, quidve tenendum ab omnibus, regulariter dirimentes.

ἐν τοῖς λοιποῖς δὲ αἱρετικοῖς ἐγένετο αἱρετικός τις ὀνόματι Ἀπολινάριος ἐπίσκοπος Σελευκίας διισχυρίζων καὶ βεβαιῶν τὸν κύριον καὶ σωτῆρα ἡμῶν μὴ ἐσχηκέναι ψυχὴν μηδὲ πνεῦμα, ἀλλ' ἡ θεότης ἦν αὐτῷ ὑπὲρ

Inter ceteros autem fuit hereticus quidam, Apolinarius nomine, Seleucie episcopus, dogmatizans dominum et salvatorem nostrum nec animam nec spiritum habuisse, sed

ψυχῆς διατρέφουσα τὸ σῶμα, φάσκων ἐκεῖνος ὁ δυσσεβὴς καὶ ἄφρων Ἀπολινάριος καὶ διὰ τοῦτο συνήχθη σύνοδος ἐλπόσα· ὁμολογοῦμεν τὸν Χριστὸν θεὸν ἀληθινὸν καὶ ἀληθινὸν ἄνθρωπον. Ἀληθινὸς δὲ ἄνθρωπος οὐκ ἔστιν, εἰ μὴ ἔσχηκὼς σῶμα καὶ ψυχήν. Πρὸς τὴν ἀνάλωσιν τῆς αἱρέσεως καὶ τῆς πλάνης ταύτης διετάξαντο οἱ ἅγιοι πατέρες, ἵνα ἐν τῷ δεσποτικῷ μυστηρίῳ τεθῇ ζύμη ὡς ζωοποιόν τι καὶ κινητικὸν καὶ ἅλας ὡς εἰς σημεῖον τοῦ Λόγου, ὃς ἔσχηκεν ἀληθινὴν καὶ λογικὴν ψυχήν, ὕδωρ δὲ εἰς τὸ ποτήριον, καθὸ ἐκ τῆς πλευρᾶς

Ἀλλ' εἰς τὴν ῥωμαικὴν ἐκκλησίαν οὐπώποτε ὑπεισῆλθε πλάνη, ἀλλ' ἀφ' ὅτου ἅπαξ τὴν πίστιν ἔλαβον, οὐδαμῶς πρὸς δεξιὰν εἴτε ἀριστερὰν ἐξέκλιναν, ἀλλὰ καθάπερ ἔλαβον ἀπὸ τοῦ μακαρίου Πέτρου τοῦ κυρυφαίου τῶν ἀποστόλων, οὕτως διακρατοῦσιν, ἀλλά γε μᾶλλον καθὼς αὐτὸς ὁ μακάριος Πέτρος ἔλαβεν ἀπὸ τοῦ Χριστοῦ ἐν τῷ δείπνῳ, οὕτως αὐτοί ἕως τῆς σήμερον συντελοῦσί τε καὶ ποιοῦσι, καὶ οὐδέ μία ἔστιν ἐν τούτῳ

divinitas pro anima sibi erat, fovens et nutriens corpus eius. Et propter hoc congregata synodus fuit, dicens: confitemur Cristum esse verum deum et verum hominem. Verus autem homo non est nisi hic, qui habet corpus et animam. Ad destructionem autem huius heresis statuerunt sancti patres, ut in dominico misterio poneretur fermentum et sal quasi vivificans quid et movens, in signum, quod in Verbo fuit anima rationalis et vera; aqua autem in calice secundum quod ex latere Cristi exivit sanguis et aqua.

Sed in romana, inquit, ecclesia nunquam error vel heresis subintravit, postquam semel fidem dei susceperunt, nunquam ad dexteram vel ad sinistram declinantes, sed quemadmodum acceperunt a beato Petro principe apostolorum, sic servant et tenent: qui beatus Petrus a Cristo accepit in cena, quod poteris derelinquit. Neque ulla est, inquit, differentia in hoc, ex quo est

ეიმია სახელ სელია გონიერისა და მარილა სახელ გონებისა ჴანაცდელად ჴელებასა უმჯობილისა ანდრიანესისა, რომელიცა კორეთა შეი ქრისტჱსსა საუჴლოსა უსულოდ და უგონებოდ დგომად უგუნური იგი და უსულო ბოლო ღუსისა თანა ჴყალსა ერთათ სახელ სიხლისა და ჴყლისა, რომელი გარდამოქდა გუერდსა მჯნელისასა...

ხილო პრობსა, ეპისკოპოსსა ერთგულსა იტყჳს ღმერთი, არდარა იღეს შიდრეკილ არიან და არცა იღეს ჴელებაი შეისრულ არს შეი შორის. და ეთანარცა-იგი მაშინ თაჳსან მოციქულობასა ჴედრე შეწორა ესისხლოთა იგი მსხუერპლი და, უეგესცდა. ეთანარცა თეთ თაჳსმას უეალსან მისცა მონაფესა დაჱმსა მას სერობისასა. ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, იღეს

სარწმუნოება მართალი იყოს." ხოლო მოგვართა მათ ქრისტია ღიად ვახიხარეს.

მერმე კადად აკოთხა მეფემან სიტყვასაებრ: „თუ აქეს რაი ბაწილი ქრისტეანეთა თანა?" ხოლო მიუგო წმიდამან მოკლედ. ეთქარეს: „პირიქით სარწმუნოებასა სახელით ნუ ეღრძან." და მათ ყოველთა წინაშე სარკმელითა აღუვსა სიმეტნი ცეცხლი.

διαφορά, ἀφ' οὗ ἐστὶν ὀρθὴ ἡ πίστις. Οἱ δὲ ταῦτα ἀκηκοότες, ὅ τε βασιλεὺς καὶ οἱ ῥωμαίων ἄρχοντες οἱ παρεστηκότες ἐχάρησαν σφόδρα.

Οἱ δὲ ἀρμένιοι ἐνετράπησαν μεγάλως, ὅταν εἴπε περὶ αὐτῶν· ἡ ψευδὴς πίστις οὐδὲ ὄνομα ἔχει.

vera fides et recta. Illi autem haec audientes, scilicet imperator et romanorum nobiles, qui astabant, gavisi sunt valde.

Armeni autem maxime sunt confusi, ipso precipue dicente: De eis falsa fides nec nomen habet.

Οἱ γὰρ ἀρμένιοι καὶ ἐν ἀζύμῳ ἐπιτελοῦντες τὴν λειτουργίαν ὡς καὶ οἱ λατῖνοι ὀρθοδόξως ποιοῦσιν, ἀλλ' ἐν τούτῳ πλανῶνται, ὅτι ὕδωρ οὐ προσπιδέασιν εἰς τὸ κοτήριον οὐδὲ ἑορτάζουσι τὴν ἡμέραν τῆς γεννήσεως τοῦ κυρίου οὐδὲ τὸν κυριακὸν εὐαγγελισμὸν τὸν διὰ τοῦ Γαβριὴλ γενόμενον ἐν τῷ καιρῷ ἐκείνῳ, ἐν ᾧ οἱ λοιποὶ χριστιανοί, ἀλλ' ἐν ἑτέρῳ καιρῷ, καὶ ὡς λέγεται, ἐν πολλοῖς ἄλλοις πλανῶνται.

Armeni enim et in azimo perficientes sicut et latini recte faciunt. In hoc tamen errant, quia aquam in calice non apponunt neque diem nativitatis domini sollemnizant neque annunciationem dominicam per Gabrielem factam tempore, quo alii christiani, sed in alio tempore, et errant in multis aliis, prout fertur.

ქართველთა ინტელექტუალური მოღვაწეობის ადრინდელი ნაკვალევი წმინდა მიწაზე და XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისის კატასტროფაზე*

ქართველთა ინტელექტუალური მოღვაწეობის უძველესი კვალი წმინდა მიწაზე საბაწმიდის ლავრაში ჩანს. წარმოშობით კაპადოკიელმა დიდმა ასკეტმა წმინდა საბამ (439-532) წმინდა მიწაზე მრავალი ლავრა და მონასტერი დააარსა, რომელთაგან ერთმა – დიდმა ლავრამ მისი დამაარსებლის სახელი (საბა-წმინდა) დაიმკვიდრა და მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული XI საუკუნემდე პალესტინის უმნიშვნელოვანეს საღვთისმეტყველო ცენტრად ითვლებოდა. საკმარისია დავასახელოთ, რომ აქ მოღვაწეობდა VI-VII საუკუნეების მიჯნაზე იოანე მოსხი, ხოლო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე იოანე დამასკელი.

ბიზანტიური წყაროები ქართველთა მოღვაწეობაზე საბა-წმინდაში V-VI საუკუნეებშივე მიუთითებენ (კირილე სკვითოპოლელის *წმინდა საბას ცხოვრება* და წმინდა საბას *ანდერძი*). საბაწმინდელ დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის საკმარისია დავასახელოთ კიმენური რედაქციის აგიოგრაფიული კორპუსის VIII საუკუნის მთარგმნელი სეითი; ქართული და ბერძნული ორთოდოქსული ეკლესიების დიდი წმინდა მამა IX საუკუნის მოღვაწე ილარიონ ქართველი; X საუკუნის დიდი ქართველი მწიგნობარი იოანე-ზოსიმე; XI საუკუნის ცნობილი ქართველი

* უცნობი სირიული ჰიმნის ქართული თარგმანი პირველად გამოვაქვეყნეთ ჟურნალ *ქართველოლოგის* №-19 ნომერში (2013 წ.).

ასკეტი, შემდგომში ჯვრის მონასტრის მაშენებელი გიორგი-პრო-ხორე. საბაწმიდის ლავრას უკავშირდება ჩამოყალიბება ქართული სახარების ერთი უძველესი რედაქციისა, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში *საბაწმინდურის* სახელით იყო ცნობილი (გიორგი მთაწმიდელი: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი ხანმეტურიცა და საბაწმინდურიც...“).

განსაკუთრებით ნაყოფიერი საეკლესიო მწერლობის თვალსაზრისით აღმოჩნდა IX-X საუკუნეების საბაწმიდის ლავრა, რაც ბერძენ, არაბ და ქართველ ასკეტ-მწიგნობართა ერთად ცხოვრებამ და თანამშრომლობამ განაპირობა. ბერძენ და არაბ მართლმორწმუნე ლიტერატორთა თანამშრომლობა ამ პერიოდის საბაწმინდაში საგანგებო მონოგრაფიული შესწავლის საგნად აქცია ოქსფორდელმა პროფესორმა კირილ მანგომ (C. Mango). საგანგებო ძიებას საჭიროებს ამავე თანამშრომლობაში ჩართულ ქართველ მწიგნობართა ღვაწლი. ამ თვალსაზრისით რამდენიმე გარემოებას მინდა მივაქციოთ ყურადღება:

IX-X საუკუნეებში არაბულენოვან ქრისტიანულ მწერლობასთან ქართული საეკლესიო მწერლობის მჭიდრო კონტაქტი შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში ამ პერიოდში არაბული ენიდან გადმოღებულად მიაჩნიათ ქართული სასულიერო მწერლობის ორი შესანიშნავი ძეგლი *მიქელ საბაწმიდელის მარტვილობა* და *ბალავარიანი*, რომლებიც შემდგომში ქართულიდან ბერძნულ მწერლობაში გადავიდნენ. *მიქელ საბაწმიდელის მარტვილობა* მასში მოთხრობილი ამბისა და ნაწარმოების დაწერის რეალიებითაც საბაწმიდის ლავრას უკავშირდება. ძველი ქართული ენის მკვლევარნი მასში გამოვლენილი არაბიზმების გამო თხზულებას არაბულიდან თარგმნილად მიიჩნევენ. მაგრამ ამგვარი ნაწარმოები არაბულ ქრისტიანულ მწერლობაში ჯერ-ჯერობით მიგნებული არ არის. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ თხზულება

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ მაღალი მხატვრულ-გამომსახველობითი სტილით, არამედ წარმოადგენს ქართული სასულიერო ლექსის ერთ ადრეულ ნიმუშსაც. შესასწავლია, ხომ არა გვაქვს საქმე საბაწმიდის ქართულ-არაბულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ურთიერთობის ატმოსფეროში შექმნილ ორიგინალურ ქართულ თხზულებასთან.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში მიღებული თვალსაზრისით, ე. წ. კლასიკურ ხანას ქართულ მწერლობაში იწყებს ის საქმიანობა, რომელიც ათონის ივირონის სავანეში ჩაისახა X საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში. ამ საქმიანობის ერთი ძირითადი მიმართულება იყო ქართული საეკლესიო პრაქტიკის გადაყვანა იმდროისათვის ახალ – კონსტანტინოპოლის სისტემაზე. თანამედროვე სამეცნიერო ძიებებით ირკვევა, რომ ათონელ მწიგნობრებს ამ მიმართულებით მოღვაწეობისათვის მასალას და სტიმულს აძლევდა საბაწმიდის ქართული სკრიპტორიუმიდან ჩამოტანილი ხელნაწერები. უფრო ზუსტად, ათონზე გრძელდებოდა ის მოღვაწეობა, რაც საბაწმიდაში იყო დაწყებული. XI საუკუნის დასაწყისში შექმნილი პალესტინური წარმოშობის *გოლგოთის თვენი* (H – 2337) ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას შეიცავს.[1] აქვე ჩანს სახელი აქ წამოწყებული საქმიანობის მეთაურის იოანე გოლგოთელის, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ღმერთშემოსილი და სახიერი მამა და ტკბილი მოძღვარი“.

XIX საუკუნის დასასრულიდან ბიზანტიურ ფილოლოგიაში ინტენსიურად ფიგურირებს ვინმე საბაწმინდელი ბერის იოანეს სახელი, რომელიც XI-XVI საუკუნეების ბერძნული და ლათინური ხელნაწერებით გვიანდელი შუასაუკუნეების ბერძნული, ლათინური და რუსული მწერლობის ყველაზე მეტად პოპულარულ ძეგლს *ვარლაამ და იოასაფს* უკავშირებდა. ეს უცნობი

[1] იხ. მენაბდე, ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II. თბ., 1980, გვ. 143.

საბაწმინდელი იოანე ძველმა ხელნაწერებმა ხან იოანე სინელად, ხან იოანე დამასკელად გადაიაზრეს. ბიზანტინისტები ამ უცნობ იოანეს *ვარლაამ და იოასაფის* ბერძნული რედაქციის ავტორად მიიჩნევდნენ და მის მოღვაწეობას ან VII საუკუნით (ჰ. ზოტენბერგი), ან IX საუკუნით (ა. კაჟდანი) ათარიღებდნენ. სხვა ევროპელ ბიზანტინისტთა სამეცნიერო ძიებები ამ უცნობ საბაწმიდელ იოანეში *ვარლაამ და იოასაფის* ამბის ან წიგნის წმინდა ქალაქში მიმტანს ხედავენ. ჩემი აზრით, ამ უცნობი საბაწმინდელი ბერის იოანეს იდენტიფიცირებისას საგანგებო ყურადღება უნდა მივაპყროთ საბაწმინდის ქართულ სკრიპტორიუმში მოღვაწე ქართველ ბერებსაც, რომლებიც იოანეს სახელს ატარებდნენ და ათონის ქართულ მონასტერთანაც ჰქონდათ კავშირი. ან კიდევ – ათონის მთაზე მოღვაწე ცნობილ იოანე-თორნიკეს, რომელიც რამდენიმე წლით მცირე აზიაში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა ათონზე ქართული სამონასტრო ცენტრებიდან ჩამოტანილი ბევრი წმინდა წიგნით.

X-XI საუკუნეებში საბაწმიდისა და ივირონის ქართული სამწერლობო ცენტრების ინტენსიური კავშირი და ამასთან ერთად საბაწმინდის სკრიპტორიუმთან დაკავშირებული ქართველი ბერი, სახელით იოანე – ზემოთმოხსენიებული იოანე გოლგოთელი, თავისი მწიგნობრული და მეცენატური მოღვაწეობით გამორჩეული ინტერესის აღმძვრელი უნდა იყოს ბიზანტიის ისტორიისა და ლიტერატურის მკლევართათვის, რომელნიც გვიანდელი შუასაუკუნეების ბიზანტიური მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშს *ვარლაამ და იოასაფის ისტორიის* შექმნის პრობლემით არიან დაინტერესებულნი. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი ათწლეულების სამეცნიერო ლიტერატურა უცილობლად ასაბუთებს, რომ ეს ნაწარმოები ათონის მთაზე ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრშია შექმნილი.

ქართველ მწიგნობარ-ღვთისმოსავთა საქმიანობა წმინდა მიწაზე ბევრ საიდუმლოს მოიცავს და მათი ძიება უპირატესად იმ მკვლევართა პრეროგატივა უნდა გახდეს, რომელთაც ხელი მიუწვდებათ იერუსალიმისა და მის მახლობლად არსებულ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრების ძეგლებსა და წყაროებზე. სამეცნიერო ინტერესი ამ მიმართულებით ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთაგან მრავალ საკითხზე საჭიროებს რეაგირებას. კერძოდ:

ზემოთ ჩემ მიერ დამოწმებული წმინდა საბას *ანდერძი* ქრონოლოგიურადაც უძველესი უცხო ენოვანი პირველწყაროა (532წ.), რომელიც ადასტურებს, რომ ქართველები ლიტურგიულ პრაქტიკაში ბიბლიურ წიგნებს თვით საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებში ჯერ კიდევ VI საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაზე კითხულობდნენ. *ანდერძის* ჩვენამდე შემონახულ ბერძნულ ტექსტში იკითხება: „არც იბერიელებსა და არც ასურებს ...μήτε τοὺς Ἴβήρες, μήτε τοὺς Σύρους... უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ჟამის წირვა შეასრულონ; მათ, ამ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წართქვან ჟამნი და სამხარისად, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე ...Ψάλλειν τὰς ὥρας καὶ τά τυπικά, ἀναγιώσκειν δὲ τὸν Ἀπόστολον καὶ τὸ Εὐαγγέλιον τῇ ἰδίᾳ διαλέκτῳ..., ხოლო ამის შემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში..."[1].

რამდენიმე წლის წინ არმენისტმა ვერნერ საიბტმა ამ ცნობის თაობაზე რაიმე სერიოზული არგუმენტის გარეშე გააჟღერა ჰიპოთეტური შესაძლებლობა იმისა, რომ წმინდა საბას ანდერძის თავდაპირველ ლიტურგიკულ ვერსიაში ამ ადგილას იბერიელების ნაცვლად, ან მათ გვერდით, არმენები იქნებოდნენ დასახე-

[1] Kurz, E., "Das Typikon des heiligen Sabbas": *Byzantinischen Zeitschrift*, III, S. 169; კეკელიძე, კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I. თბ. 1960, გვ. 39.

ლებულნი, რაც ქრისტოლოგიური განხეთქილების შედეგად იქნა ტექსტიდან ამოშლილიო.[1] განცხადების ავტორმა ანგარიში არ გაუწია იმ ფაქტებს, რომ ქართველ ღვთისმსახურთა კვალი საბას ლავრაში უძველესი დროიდან დასტურდება; რომ ბიბლიური წიგნების ქართულ ენაზე არსებობას წყაროები (თვით უცხოენოვანი) V ს-ის დასაწყისიდანვე ადასტურებენ, რომ მეხუთე საუკუნეში პალესტინაში მოღვაწეობს და უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტით სარგებლობს პეტრე იბერი, რომლის ინტერესს წმინდა მიწაზე ქართული საბერმონაზვნო კულტურის დამკვიდრებისაკენ არქეოლოგიური ფაქტები და რელიკვიები ადასტურებენ.

იგივე ვ. საიბტი ასევე „თვალ ღებით" და ზერელედ ეკიდება VI საუკუნის სირიული წყაროებით (იოანე რუფუსის *პეტრე იბერის ცხოვრება*) ჩვენამდე მოღწეულ ბიოგრაფიულ ფაქტებს პეტრე იბერზე. წერს: „მე არავითარ შემთხვევაში არ მივიჩნევ დამტკიცებულად იმას, რომ პეტრე ნამდვილად *სამეფო სისხლის* იყო, თუნდაც ნამდვილად არისტოკრატული წარმოშობის ყოფილიყო. ჰაგიოგრაფიული წყაროები ნაკლებად სანდოა წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში."[2] ამ განცხადების შესამოწმებლად მე თხოვნით მივმართე პეტრე იბერის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილ მკვლევარს კორნელია ჰორნის, რომლის გამოკვლევა ამ საკითხზე გამოვაქ-

---

[1] Seibt, W., „Wo wann und zu welchem Zweck wurde das georgische Alphabet gerschaffen?":*Veröffente; chungen zur Byzanzforschung.* Band XXVIII, S. 89: "Was das Testament des hl. Sabas betrifft, wo indererhaltenen sicher späteren Überlieferung in obigem Zusammen-hang von Iberen, Syrern und Franken die Rede ist, die Armenier aber fehle, möchte ich die Hypothese, dass ursprünglich Armenier anstalle der Iberer (oder zumindest neben ihnen) genannt waren, erstere aber in Folge der christologischen Differenzen Später aus Text eliminiert warden, unterstützen".

[2] იქვე. გვ. 88: „Ich sehe es als keineswegs erwiesenan, dass Petre tatsächlich von "königlichem" Geblüt war, auch wenn er sicherlich aristokratischen kreisen entsammte.. Hagiographische Quellen sind gerade in Fragen der Alstammung oft wenig zuverlässig."

ვეყნე ჟურნალ *ქართველოლოგის* 22-ე ნომერში 2014 წელს. მკვლევარის დასკვნით, „იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიმართლე სრულად არასოდეს გამოვლინდება, არც ეპიგრაფიული, არც ისტორიული და არც ჰაგიოგრაფიული მასალა არ იძლევა სერიოზული ეჭვის საფუძველს იმის შესახებ, რომ პეტრე ნამდვილად მეფისწული იყო, და არა მხოლოდ არისტოკრატული ოჯახის წარმომადგენელი".[1]

არაა გამორიცხული, რომ შუასაუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურის კონტაქტები აღმოსავლეთის ქრისტიანულ ლიტერატურასა და ხელოვნებასთან მრავალ და ჯერ კიდევ მეცნიერებისათვის გამოუვლინებელ ფაქტებს მოიცავდეს. ამ ფაქტების თანდათანობით მივიწყება იმ საეკლესიო გათიშულობით იქნებოდა განპირობებული, რასაც ადრინდელ შუასაუკუნეებში ჰქონდა ადგილი ქრისტიანულ სამყაროში.

ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის 2013 წელს ცნობილი გახდა შუა საუკუნეების საქართველოსა და სირიის კულტურული ურთიერთობის ერთი მანამდე უცნობი ფაქტი. ქართულ ენაზე ითარგმნა და სირიულ ორიგინალთან ერთად გამოქვეყნდა ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი XIII საუკუნის ჰიმნი სირიული ჰიმნოგრაფიული კოლექციიდან,[2] რომელიც ეხება 1220-30 წლების თბილისის მრავალგზისი აოხრების კატასტროფულ მოვლენებს. იგი შემონახულია მხოლოდ ერთი XVI საუკუნის სირიული ხელნაწერით (კემბრიჯის უნივერსიტეტი, Add. 1183, fal. 181r). ეს ჰიმნი შედის ყველაზე დიდ აღმოსავლეთ სირიულ ჰიმნოლოგიურ კოლექციაში, ე. წ. *ვარდას*

---

[1] ჰორნი, კ. ბ., „პეტრე იბერის იბერიის სამეფო ოჯახიდან წარმომავლობის ისტორიული დასაბუთების თაობაზე": *ქართველოლოგი*, №22, 2014, გვ. 68.

[2] „XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისზე" (ქართულად, ინგლისურად, სირიულად). *ქართველოლოგი*, №19, 2013 .

კოლექციაში (Wardaönita), რომელიც დღემდე გამოიყენება აღმოსავლეთის საეკლესიო პრაქტიკაში (ე. წ. ნესტორიანულში). ჰიმნი სამეცნიერო წრეებისათვის პოპულარული გახდა სირიოლოგ ანტონ პრიტულას პუბლიკაციით და ინგლისური თარგმანით.[1]

ჰიმნოგრაფი ვარდა, რომელსაც ეს ჰიმნი მიეწერება (თუმცა დარწმუნებით ვერ ამბობენ, რომ ჰიმნი ნამდვილად მას ეკუთვნის), XIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა და მისი ჰიმნები 1220-30-იანი წლების ტრაგიკულ მოვლენებს ეძღვნება. ამ კოლექციის ჰიმნთა უმრავლესობა გარითმულია და მიეკუთვნება სირიული პოეზიის განვითარების იმ პერიოდს, რომელსაც ზოგჯერ *სირიულ რენესანსს* უწოდებენ და რომელშიც იგრძნობა სირიული, არაბული და სპარსული პოეზიის ურთიერთკავშირი.[2]

ჰიმნი თბილისის აოხრების შესახებ საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდს შეეხება, რომელიც 1220 წელს მონღოლთა ლაშქრობით იწყება და 1225-26 წლების ხვარაზმის შაჰის ჯალალ ედ-დინის შემოსევებსაც მოიცავს. დამპყრობელთა შორის სხვადასხვა ეროვნებები იხსენიებება – თათრები, სპარსელები და იდუმალებით მოცული *მოგვები*. ისტორიულად ცნობილი რამდენიმე ომის ეპოზიდებიც შეინიშნება, კერძოდ გარნისის ბრძოლისა. ქართველ თავდადებულ გმირთაგან საუბარია შალვა ახალციხელზე (მოხსენიებულია სახელით *შარვა*), მის თავგანწირულ ცდაზე, რომ თვით დატყვევებულს გაეფრთხილებინა ქართველები მოსალოდნელ კატასტროფაზე და გაერთიანებისკენ მოეწოდებინა.

ჰიმნში ქართველები დახასიათებულია დიდ ღვთისმოსავ, მაღალი ქრისტიანული ზნეობის ერად. მთხრობელი დიდ საყვე-

---

[1] *Caucasus during the Mongol Period.* Wiesbaden 2012.

[2] Pritula, A., „The Hymn on Tiflis from the Warda Collection": *The Kartvelologist*, №19, 2013, p. 50.

დურს აღავლენს ღვთის მიმართ ამ უმანკო, ღრმად მორწმუნე ხალხის ასეთი უმაგალითო ტანჯვისთვის. ხალხის ტანჯვის და წამების სურათები დეტალური და ნატურალური აღწერებით შემზარავია. ჰიმნის ამგვარი სტილი – ღმერთისადმი უპასუხო კითხვების დასმა, თუ რატომ ისჯება ასე სასტიკად უდანაშაულო ხალხი, ტიპურია ამ ციკლის – ე. წ. *კატასტროფული ციკლის* სირიული კრებულის ჰიმნებისა. ჰიმნის დასასრულს ღმერთი კიცხავს ავტორს ამგვარი რიტორიკული სტილისათვის და უხსნის მას ღვთაებრივ ნებას: ღმერთი ამოწმებს ადამიანებს, სანამ ისინი გადავლენ სამარადჟამო ცხოვრების სამყაროში.

აქვე ვაქვეყნებ ჟურნალ *ქართველოლოგის* დასახელებული პუბლიკაციიდან[1] ამ ჰიმნის სირიულ ორიგინალს, ინგლისური და ქართული თარგმანითურთ. ჩემი თხოვნით ეს უკანასკნელი შეასრულა ჩემმა ყოფილმა მოწაფემ თამარ პატარიძემ, სირიოლოგ ა. პრიტულას ინგლისური თარგმანის გათვალისწინებით.

[1] ჟურნალ *ქართველოლოგის* პუბლიკაციები მომდინარეობს ა. პრიტულას გამოკვლევიდან, ავტორისეული თანხმობით: Pritula A., "A Hymn on Ti is from Warda Collection: A Transformation of the Muslim Conquerors into Pagans": Jürgen Tumach, Sophia Vashalomidze, Manfred Zimmer, Caucasus in the Mongol Period. Wiesbaden 2012, pp. 217-237.

დანართი: XIII საუკუნის სირიული ჰიმნი თბილისის კატასტროფაზე (კემბრიჯის უნივერსიტეტი, Add. 1183, fol. 181r), ინგლისური და ქართული თარგმანითურთ.

◆ ܬܫܒܘܚܬܐ ܕܥܠ ܬܦܠܝܣ ܕܝܠܗ ܕܒ ܕܝܠܗ ܓܘܪܓܝܬܐ [1]

[fol. 48v]

[1] ܒܫܘܒܚܐ ܕܠܒܬ ܫܘܒܚܬܐ

ܕܢܦܠܬ ܬܬܠ ܥܠܝ ܚܘܒܬܐ

ܕܟܘܣ ܢܦܩ ܥܠ ܩܘܪܝܬܐ

ܦܬܚ ܐ ܘܒܠܝܐ ܘܓܢܒܐ ܘܚܛܘܬܐ

ܘܫܒܝܐ ܘܒܙܬܐ ܘܒܘܣܪܬܐ

ܐܬܩܢ ܒܟܠܗܘܢ ܐܬܪܘܬܐ [fol. 49r]

ܘܐܬܦܬܚܬ ܒܫܡܝܐ ܬܪܥܬܐ

ܕܐܬܬ ܠܗ ܬܦܠܝܣ ܡܕܝܢܬܐ

ܡܢ ܕܥܒܕܬ ܒܡܪܕܘܬܐ

ܠܘܬ ܥܡܐ ܘܐܒܗܬܐ ܘܐܡܗܬܐ

ܕܫܡܥ ܚܫܟ ܥܠܝܗ̇ ܒܥܘܬܐ ◆

[2] ܘܡܢܐ ܢܣܒ ܦܘܪܥܢܐ ܕܬܦܠܝܣ . ܕܓܠ ܠܗ ܒܢܝܐ ܕܠܐ ܒܓܘܪܓܝܣ

ܘܠܐ ܒܝܬܐ ܘܠܐ ܓܒܪܐ ܕܬܦܠܝܣ . ܘܠܐ ܡܕܝܢܬܐ ܠܒܝܬܐ ܕܠܗ ܡܢܗܘܢ ◆

[3] ܚܙܘ ܬܬܠ ܘܚܙܘܢ ܕܡܠܟܐ . ܘܡܬܦܠܓܝܢ ܐܘܪܚܬܐ ܠܗܘܢ ܠܡܫܬܠܛܢܐ

ܐܝܟ ܠܥܠܡܐ ܕܡܬܚܙܝܢ . ܐܚܝܕ ܐܝܟ ܗܢܐ ܠܩܠܝܠܐ ◆

[4] ܐܬܐ ܚܝܠܐ ܕܬܪܬܝܢ . ܘܡܢܗܘܢ ܒܢܝܐ ܕܒܦܘܬܝܐ

ܘܐܬܪܝܢ ܡܫܬܩܠܝܢ . ܘܡܬܚܙܝܢ ܥܡ ܬܘܪܝܐ ◆

[5] ܡܢ ܦܬܚܝ ܐ ܡܬܚܙܝܢ ܗܘܘ . ܘܡܢ ܓܒܪܐ ܚܝܝܢ ܗܘܘ

ܘܡܢ ܬܡܝܗܐ ܚܕܝܢ ܗܘܘ . ܘܡܢ ܩܛܝܠܐ ܢܦܠܝܢ ܗܘܘ ◆

[6] ܥܠ ܐܬܪܐ ܕܝܠܗ ܕܝܢ ܥܒܕܝܢ ܗܘܘ . ܘܒܢܝܐ ܒܫܩܐ ܩܛܝܠܝܢ ܗܘܘ

ܘܥܠ ܡܕܝܢܬܐ ܕܝܠܗ ܥܡܠܝܢ ܗܘܘ . ܒܚܕܐ ܫܥܬܐ ܟܠܗ ܢܦܠܝܢ ܗܘܘ ◆

---

[1] marg. ◆ ܕܓܘܪܓܝܣ ◆ ܥܠ ◆ ܬܦܠܝܣ ◆

[7] ... ...

... ...

[8] ... ...

... ...

[9] ... ...

... ...

[10] ... ...

... ... [fol. 49v]

[11] ... ...

... ...

[12] ... ...

... ...

[13] ... ...

... ...

[14] ... ...

... ...

[15] ... ...

... ...

[16] ... ...

... ...

[17] ... ...

... ...

[18] ... ...

... ...

[19] ... ...

... ...

[20] ... ...

... ...

[fol. 50r; 21] ... ...

• ...

[22] ...

• ...

[23] ...

• ...

[24] ...

• ...

[25] ...

• ...

[26] ...

• ...

[27] ...

• ...

[28] ...

• ...

[29] ...

• ...

[30] ...

• ...

[fol. 52v; 31] ...

• ...

[32] ...

• ...

[33] ...

• ...

[34] ...

• ...

[35] ...

• ...

[36] ...

• ...

[37] ساعدك عضدك . ساعد ساعدك
* ساعد ساعد ساعد . ساعدك ساعدك
[38] عضدك كتفك . عضدك كتفك عضد
* عضدك عضد . عضدك عضد عضد
[39] عضدك عضد عضد . عضد عضد عضد
* عضدك عضد عضد . عضدك عضد عضد
[40] عضدك عضد . عضدك عضد
* عضدك عضد عضد . عضد عضد عضد
[41] عضدك عضد عضد . عضد عضد عضد
* عضدك عضد عضد . عضد عضد عضد
[42] عضد / عضد عضد . عضد عضد عضد (fol. 51r)
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[43] عضد عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[44] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[45] عضد عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[46] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[47] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[48] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[49] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[50] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
[51] عضد عضد عضد . عضد عضد عضد
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد
عضد عضد عضد عضد / . عضد عضد عضد (fol. 51v) 52
* عضد عضد عضد . عضد عضد عضد

[53] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[54] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[55] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[56] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[57] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[58] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[59] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[60] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[61] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[62 ; fol. 52x] لهم بعد ما . لهم بعد ما / لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[63] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما . لهم بعد ما
[64] لهم بعد ما . لهم بعد ما
لهم بعد ما
لهم بعد ما
لهم بعد ما
لهم بعد ما

[The Story on Tiflis]

1. In a year full of evils,
as a completion of the three long years,
when all the disturbances increased,
locust and cricket, and hunger, and death,
and devastation, and terror, and sedition
fol. 49r Ruled over all the lands,
there was an ominous rumour heard,
that came to Ti is city:
Ever since Christianity began,
there was neither people nor folk,
against whom evils took their ll.
2. How bitter the story of Ti is is,
for disobedient people entered it,
neither thought of nor expected,
and not listening to persuasion[1].
3. In the year twenty three by the Arabs
and six hundred by the Ishmaelites[2]
it happened with the Georgian people
as it had with the people of Amalek. [3]
4. The barbarians' force came,[4]
and the Persian people together with it,

---

[1] I.e. this disobedient people.

[2] The Arabs and Ishmaelites are meant here as synonyms for the Muslims. In the Thesaurus such a meaning for □□□□□□isregistered (Thesaurus 1879. T. 1. P. 172). Thus, the year mentioned in the text is 623 AH (by Hegira) / 1226 AD.

[3] King David attacked them while they were banqueting, none of them escaped. All the belongings the Amalekites had taken from Israel were taken back (1 Sam 30: 11-21).

[4] By the barbarians' force here, most likely, the Mongol invaders are meant.

and Tartars, and the Magians,[1]
and the Kartvelians with the Turks.[2]
5. They were more numerous than locusts,
and more terrible than wasps,
and worse than serpents,
and more ferocious than devils.
6. Any land they were crossing
they cast to the ames.
And any city they were entering
they used to leave like Sodom.
7. The people, resembling beasts,
evil and noxious,
entered those lands,
abundant in faith.
8. Indeed [3] they exposed the city to trial,
giving sentence without any judicial process
to Kingly Ti is,
The glorious and illustrious.
9. A brave man, Šarwā,[4]
having heard the news of them
led out about seven thousand,
and they fought with them unremittingly.

---

1 By the Magians (□□□□□)not only Zoroastrians could be meant, but sometimes the Persian people in general, even after their conversion to Islam. The supposed origin of this term here was suggested in the preface.

2 Persians and Turks and different nationalities formed the army of Jalal ad-Dīn, the Khorasmshah (Kirakos 1976. P. 146). Tatars are also mentioned in this list, but in fact their invasion to Georgia took place in 1220-1221 AD.

3 □□seemshere to have a positive emphatic sense. Such a meaning has been recorded in many texts and in the hymns ascribed to Warda as well (see: Vilsker L.H. Ob utverditel'nom znachenii chastlysy *Iā* v sirijskom jazyke, in: *Ksina*; 86 (1965). p. 25-50).

4 Here probably prince Shalva Akhaltsykheli is meant. He took part in many battles, and was captured in the battle at Garni by Khorasmshah Jalal ad-Dīn in 1225 AD (Buniyatov 1986, p. 167).

10. He destroyed a part[1] of their army,
and all day long was pursuing them,
fol. 49v but the other part / arose against him,
and took him and his troop.
11. And they were put into chains,
like cattle or beasts.
As [the man] full of braveness saw
the evil of magianism,
12. He wrote messages hastily
to the people: 'Rise in haste,
and everyone get together,
before paganism has overcome!
13. For very strong this people are,
and they are gathered like sea water.
seize them before they have arisen
and exterminated our people!'
14. The messages fell into their hands,[2]
and they brought the just man straight away.
And as they asked him about the letters,
he confessed with no fear:
15. 'It is not proper that I should hold paganism
To be greater than (my) baptism!'
And as they heard this, a slaughter
was made by all of them at a gathering.[3]
16. The rest, about three thousand,
who were standing at the top of the mountain,
gathered against them in gatherings,
and formed against them formations.

---

[1] Or "troop", if □□□□was here originally with rst ⲉ(a), not ⲟ(e); the vocalization here sometimes is dubious.

[2] I. e. into the hands of the invaders.

[3] I. e. the hero was killed.

17. From below armies climbed up,
like black clouds,
and heavy whirlwinds.
They all fell down and died immediately.[1]
18. They encircled Ti is with no fear,
for there was neither king nor a queen in it.
And the heathens came and unlocked from inside,
nd the Magians entered from outside.
19. At the beginning of the Great Day[2]
There was a great mockery in Ti is,
and a large crowd entered it,
and it was the undoing of the great people.
20. At the time when the Churches sound
Halleluiah and the songs,
there sounded in poor Ti is
the voice of weeping and lamentations.
fol. 50r 21. It was a day, full of oppression,
a day of darkness and gloom,
and that of mist and cloud,
as blessed Amos said.[3]
22. The day when groans became strong,
and tears of eyes poured forth.
The day when the noble women fell
into the hands of the evil pagans.
23. They made their city alike Shiloh[4]
and their capital alike Zion,

---

1 I. e. the Georgian troops

2 Probably Easter, as Ti is was captured by Jalal ad-Dīn on the 8th of Rabi 1, 623 AH / 9th of March 1226 AD (Buniyatov 1986, p.170).

3 A paraphrase of Am 1:14.

4 Jer 7:12; 26:9.

and their kings fell like Saul,
and their sons were killed like his sons,[1]
24. And their priests like the sons of Eli[2]
and their deacons he brought low like the sons of Korah.[3]
And like Jericho fell all
their towers and walls.[4]
25. They were ruined like Jonathan,[5]
and slain like Abner.[6]
Their kings' crowns were taken off,
as well as the bracelets and diadems of their nobles.
26. They destroyed their crosses with hatchets,
pulled out the altars with spades
ruined the sanctuaries with axes,
and cast their precious things to the ground.
27. They brought the dogs into their temples,
and the mules into their altars.
And the horses neighed in their chapels,
and the steeds rose onto their pulpits.
28. They burned their Scriptures in re,
and their Books in ames.
and they overthrew the pillars of their cloisters,
and of their glorious convents.
29. Their chiefs fell like Samson,[7]
and their least like Asahel.[1]

---

1 Saul, the king of Israel was killed at the battle of *Mount* Gilboa together with his sons (1 Sam 31).

2 Chief priest Eli's sons were killed at the battle with the Philistines (1 Sam 4:17).

3 Levite Korah and his sons were swallowed up by the earth together with their dwellings for their opposition to Moses (Num 16:32).

4 During the assault of Jericho by Israel its wall fell down (Josh 6:1-8).

5 Jonathan was one of Saul's sons killed at the Battle of Mount Gilboa (1 Sam 31:2).

6 Abner was a commander who supported David in his struggle against house of Saul. He was treacherously murdered by Joab (2 Sam 3:26).

7 Judg 16:28-30.

And their brave men like Goliath,[2]
and there is no one to bury them.
30. Like reapers they reaped them,
and threw down their elders like shocks,
and their youth like standing corn,
and their children like ears of wheat.
fol. 50v 31. And / they gathered them like grapes,
and they collected them like berries,
and like treaders of grapes they trod them down.
"Hurrah, hurrah!", and they trampled them.
32. The birds ate their corpses,
the animals sated themselves with their esh.
And the ground was saturated with their blood,
and the smoke reached heaven.[3]
33. Their virgins were dishonored,
and their respected [women] desecrated,
and most important of them were left naked,
and their great [women] were uncovered.
34. They led the girls out of the chambers
and the brides from the nuptial beds
and the noble women from the rooms
and made of them maidservants
35. They took crosses from the Churches,
and chalices together with the objects of worship
they sent them to [their] cities
as presents and gifts.
36. And the bishops were put into chains
like villains.

---

1. Asahel was Joab's young brother, who was very handsome. He was killed by Abner (2 Sam 2:18-23).
2. 1 Sam 17:48-50.
3. Such a smoke appeared after the extermination of Sodom and Gomorrah (Gen 19:28).

And the head of all episcopacy
was like Daniel in captivity.[1]
37. The Catholicos was bound,
and the bishop was muzzled,
and the chief priest and the chorepiscopus
they were dragging along, yoked like bulls.
38. They made amulets[2] of their censers
and spears of their hosannas,[3]
and they gave their stoles[4] to the slaves,
and their robes to the whores.[5]
39. And they threw their Prophets into the re,
and their Apostles into the ames.[6]
And the King's Gospel
was scorned by them.
40. The hermits in their cells,
and the monks in their chambers
like gazelles they came to them,
and skinned them alive.
41. The saintly nuns,
that had avoided matrimony -
They used them as cup-bearers,
and as whores in brothels.
42. And they violated those who had been virgins,
fol. 51r and captured those /who were beautiful.
And they tore apart those who were pregnant.
And they had no mercy on those who were suckling.

---

1 It is described in the Book of Daniel (Dan 1-12).
2 Or plates.
3 I. e. palm-branches.
4 Stoles of different shapes are worn by deacons of both Georgian and East Syrian ("Nestorian") Churches.
5 One of the meanings of □□□□□□isavestment of clergymen.
6 I. e. the Scriptures of the Prophets and Apostles.

43. Some of them they stripped of their clothing,
and left them like jackals.
And there are some, whose dear ones they slaughtered
like chickens in their wombs.
44. And some they burned inside their houses
together with their babies.
And some of them watched the torments of their children,
and their souls left them through the sufferings.
45. And some of them climbed up a mountain
and threw themselves down from there.
And some of them hid in the caves,
and died of hunger and thirst.
46. And some were bound to horses,
which they drove together with them.
And they were clamoring, like the Rich Man[1]
but they were not given a drop.
47. Who is able to tell about them,
how and how many attacked them?
And about the number of their persons,
also about the number of their families?
48. Psalm forty four,
in which there are fty four phrases,[2]
and another one is seventy four,
in which there are forty seven phrases.[3]
49. The third one is number ninety nine,
in which there are twenty nine phrases,

---

1 Lk 16:24-6.

2 Psalm 44 (according Peshitta numbering) contains 26 verses. But following the punctuation it is divided into 54 sentences, which corresponds to one of the meanings of ܡܠܬܐ (sentence, phrase). This psalm tells about the defeats of Israel and its disgrace.

3 Psalm 74 containing 47 sentences also relates about the defeats and destruction of Israel. It is particularly close to the descriptions of the devastation and burning of the sanctuaries, placed in strophes 26-28 of the hymn being published (compare to Ps 74: 4-7).

these were said of the Maccabees,
and are very suitable for the Georgians.[1]
50. Our Lord! Our Lord! For what reason
did You neglect Your people so?
And have forsaken it like a ock of sheep
that has neither a shepherd nor a leader?
51. Were they not confessing Your name,
and celebrating Your Feasts?
And were they not exulting Your Mysteries,
and glorifying You all the time?
52. Why are there moles in their houses,
fol. 51v And hedgehogs inside their chambers?
And lamentation in their yards,
And jackals in their rooms?
53. Why are there devils in their Churches,
and the lthy in their Holy of Holies.
Why are their nobles buried,
and their bodies being trampled in the streets?
54. Their graceful and handsome sons,
why did You hand them over into their haters' hands?
And also their beautiful daughters,
why did You leave them to their foes' hands?
55. And if they angered You with their sins,
and irritated You with their deeds,
they called You with their mouth,
and their hearts did not forget You.
56. The Righteous One heard those words,
and He was like an accuser for me:

---

[1] This Psalm, according to tradition, was written by David on the defeat of the Midianites from Moses (Num 31:1-12). In Peshitta this is also noted in the title of this Psalm. But in some apocryphal titles it could be connected with Maccabees.

'Fall silent and calm down, o sinner!
Whom have you judged?
57. Have you not read the book of the Gospel,
that is full of lively words?
Why have you strayed from what is proper,
and spoken like those who are misled?
58. Have you not heard the vivifying mouth
say this to His friends:
'The sons of the right hand are pursued
all the time by the sons of perdition.
59. From the houses they will drive you away
and in the streets they will beat you,
and they will consider you as sacri ces,
your impudent killers.
60. But if they kill the body on earth,
they are not able to kill the soul.
Your bodies will be resurrected by me,
and will rejoice in my Kingdom for ever.
61. If you are my disciples,
you are not better than your Lord.
So, what they did to me, they will do to you.
Be glad that you are my companions!' [1]
62. You did not promise mirth
fol. 52r in the world full of evil,
but rather sufferings and sorrows.
And incorruptible life is in the next world.[2]
63. Our Lord, crown of the slaughtered,
and bringing torment to the killers,
have mercy upon the head of the sinners
the composer of these words!

---

[1] Paraphrase of Mt 10:24; 24:9; Mk 13:9; Lk 21:12; Jn 15: 18-21; 16:2.
[2] Paraphrase of Jn 16:33.

64. And pity his weakness, and his perdition,
and forgive and remit his debts,
and pour Your grace on those like him!
And glory to You from all mouths,
the Concealed Being, for ever!

მოთხრობა თფილისის შესახებ, სხვა კვლავ მისთაგანი

1. კატაკლიზმებით აღსავსე წელს, სამი გრძელი წელიწადის დასასრულს,
როდესაც იმატა ყოველგვარმა უკანონობამ;
კალიები, კუტკალიები, შიმშილი და სიკვდილიანობა,
მოოხრება, ჯანყი და ამბოხი გაბატონდა მთელს ტერიტორიაზე,
ავისმომასწავებელი ხმა გავარდა და გავრცელდა თფილის-ქალაქზე.
ქრისტიანობის ჩასახვიდან არა ერი და ხალხი,
მათზე რომ ასე გაემარჯვა ბოროტებას.
რა მწარეა ხვედრი თფილისისა, სადაც ურჩი ხალხი შევიდა,
უგულისხმო და შეურაცხადი, და ვერვინ ვერაფერი შეასმინა მათ.
არაბთა ოცდამესამე და ისმაილიტთა მეექვსასე წელს
შეემთხვა ეს საქართველოს მკვიდრთ, მსაგვსად იმისა, რაც შეემთხვა ამალეკის ხალხს.
შემოვიდა ბარბაროსული ძალა და მასთან ერთად ხალხი სპარსეთისა,
თათრები, მოგვები და ქურთები , თურქებთან ერთად.

5

კალიებზე მრავალრიცხოვანი იყვნენ და კრაზანებზე ურიცხვნი;
ქვეწარმავლებზე უბოროტესნი და ეშმაკებზე დაუნდობელნი.
ყოველი სანახი მოვლეს და ცეცხლს მისცეს,

ყოველი ქალაქი, რომელშიც ფეხი დადგეს, სოდომის მსგავსად მოაოხრეს.
მხეცთა მსგავსი ხალხი, ბოროტნი და მავნენი,
მოედვნენ ამ სარწმუნოებით აღსავსე ადგილებს.
მოაწიეს განსაცდელი ქალაქზე და მკაცრად დასაჯეს თფილისის სამეფო, ცნობილი და სახელგანთქმული.
მამაცი ვაუკაცი შალვა , ამ ამბების გაგონებისთანავე
სათავეში ჩაუდგა შვიდი ათას [კაცს], რომლებიც შეერკინენ მათ შეუსვენებლად.

10
ჯარის ნაწილი გაუნადგურეს და ყოველ დღე უფრო და უფრო დევნიდნენ;
მაგრამ ახალი ლაშქარი გამოემართა მათ წინააღმდეგ და შეიპყრეს იგიც და მისი ამალაც.
ჯაჭვები დაადეს, მხეცთა და ცხოველთა მსგავსად.
როცა იხილა სიმამაცით აღსავსე [კაცმა] მოგვების ბოროტება,
უმალ აფრინა ხალხისთვის წერილი: "აღსდექით სწარაფად და გაერთიანდით, სანამ ურწმუნოებას გაუმარჯვია ჩვენზე.
რადგან ეს ხალხი უკიდურესად ძალმოსილია და ზღვის წყლის მსგავსად შეკრული.
შებოჭეთ ისინი, სანამ აღზევებულან და გაუნადგურებიათ ჩვენი ხალხი".
წერილი ხელში ჩაუვარდათ [დამპყრობლებს] და მეყსეულად იხმეს სამართლიანი კაცი,
და როგორც კი გამოკითხეს ამ წერილებზე, უშიშრად აღიარა:

15
"სამართლიანი არ იქნებოდა, ურწმუნოება სარწმუნოებაზე მაღლა დამეყენებინა"
და როგორც კი [ეს] მოისმინეს, ყველამ ერთად სიკვდილით დასაჯა იგი.
დანარჩენები, დაახლოებით რიცხვით სამი ათასი, რომლებიც მთის წვერზე იდგნენ,

მათ წინააღმდეგ შეიკრნენ და შეადგინეს დაჯგუფებები.
[მაგრამ] ქვემოდან აცოცდნენ მეომრები, მსგავსად შავი ღრუბლებისა და სქელი ქარბორბალისა,
ყველანი დასცეს და მოსწყვიტეს მეყსეულად.
შემოერტყნენ უშიშრად თფილისს, სადაც არც მეფე იყო და არც დედოფალი,
შიგნიდან გაუღეს [კარი] ურწმუნოებმა და გარედან შევიდნენ მოგვები.
იმ დიდი დღის დასაწყისში თფილისში მოხდა მეტად საზარელი მოვლენები,
შევიდა შიგნით ურიცხვი ბრბო და დაიღუპა ბევრი ხალხი.

20

ამ დროს რეკდნენ ეკლესიები ჰალელუიათი და საგალობლებით და
გაისმოდა გამწარებულ თფილისში ხმა ტირილისა და გოდებისა.
განსაცდელებით სავსე დღე იყო, დღე წყვდიადისა და ნაღველისა,
ნისლისა და ღრუბლებისა, როგორც ნეტარი ამოსი [წინასწარმეტყველი] ამბობდა,
ამ დღეს გაათკეცდა კვნესა და თვალთაგან ცრემლთა დენა,
ამ დღეს ჩავარდნენ კეთილშობილი [ქალბატონები] ბილწ ურწმუნოთა ხელში.
ქალაქს ისე მოექცნენ, როგორც სილოამს, ხოლო სიონივით - დედაქალაქს,
მათი ხელმწიფე საულივით დაეცა, ხოლო მისი შვილებიც მის მსგავსადვე მოისრნენ.
და ელის შვილებივით [მოისრნენ] მათი მღვდლები და კორახის შვილებივით - მღვდელთ-მსახურნი,
იერიხონის მსგავსად დაეცა ყველაფერი, მათი კოშკები და კედლები.

25

იონათანივით განადგურდნენ და აბნერივით მოისრნენ.
მეფეებს გვირგვინი მოხადეს, ხოლო მათ თავადებს - სამაჯურები და დიადემები.

ნაჯახებით დაჩეხეს მათი ჯვრები, ნიჩბებით ამოძირკვეს საკურთხევლებიდან.
მოაოხრეს სიწმინდენი და მიწას დაანარცხეს მათი ძვირფასეულობა.
ძაღლები მიუშვეს ტაძრებში, ხოლო საკურთხევლებში - სახედრები,
და ცხენები ჭიხვინებდნენ მათ სალოცავებში, ბედაურები შედგნენ მათ ამბიონებზე.
ცეცხლს მისცეს მათი [წმინდა] ნაწერები და გადაბუგეს წიგნები,
წამოაქციეს მონასტერთა და სახელოვან სავანეთა ბოძები.
მათი მეთაურები სამსუნის მსგავსად დაეცნენ, ხოლო უფრო მცირენი - ასაელის მსგავსად;
მათი ვაჟკაცები კი გოლიათის მსგავსად და არავინ გამოჩნდა მათი დამმარხველი.

30
მთიბავთა მსგავსად გადათიბეს და მოთელეს მათი მოხუცები და როგორც ბალახი - მათი ახალგაზრდები,
ხოლო შვილები კი - როგორც ხორბლის თაველები.
ყურძენივით დაკრიფეს და კენკრასავით შეაგროვეს, ფეხით გადაუარეს და გათელეს: "აჰა, აჰა" [იძახდნენ] და ზედ გადადიოდნენ.
ფრინველები ჭამდნენ მათ გვამებს და ცხოველები გამოძღნენ მათი ხორცით,
ხოლო მიწა კი - მათი სისხლით და ზეცას სწვდებოდა კვამლი.
მათი ქალიშვილები შეურაცხყვეს და ქალბატონები დაამცირეს:
მათ შორის დიდებულები გააშიშვლეს და ბანოვანთ შემოსძარცვეს სამოსელი.
საპირისფარეშოდან გამოყარეს გოგონები, ხოლო წყვილები თავიანთი საძინებლიდან,
ოთახიდან - დიდგვაროვანი ქალბატონები და ყველანი მოსამსახურეებად აქციეს.

35
ტაძრებიდან ხელთ იგდეს ჯვრები და ბარძიმები [სხვა] სიწმინდეებთან ერთად,

თავიანთ ქალაქებში გააგზავნეს, როგორც საბოძვრები და საჩუქრები,
ეპისკოპოსებს, როგორც ბოროტისმქმნელებს, ჯაჭვები დაადეს
და მათი მეთაური დანიელივით [აღმოჩნდა] ტყვეობაში.
კათოლიკოსი გაკოჭეს და ეპისკოპოსნი სახრჩობელაზე ჩამოკიდეს.
მღვდელმთავარნი და ქორეპისკოპოსნი ათრიეს და უღელში ჩააბეს
ხარებივით.
საკმევლებს მეტალის ფილები დაახურეს დაშუბები ჰალმის რტოებს
[დაასეს]
მონებს გადასცეს მათი მოსასხამები და მათი ანაფორები - კახპებს.
მათ წინასწარმეტყველებს ცეცხლი შეუკეთეს და მოციქულები ცეცხლის
ალში ჩააგდეს,
და სამეფო სახარებაც წაბილწეს.
40
განდეგილებს სენაკებში და ბერებს მათ კელიებში
ქურციკივით მიუხტნენ და ცოცხლად გაატყავეს.
სიწმინდეში მყოფ ქალებს, ქორწინებაში რომ არ ყოფილან შესულნი,
წყლის მზიდავებად და მეძავებად ფარდულებში იყენებდნენ.
წაბილწეს ვინც ქალიშვილი იყო, შეიპყრეს ვინც თვალწარმტაცი იყო,
და გაფატრეს ფეხმძიმენი და არ იწყალებდენენ ჩვილების მეძუძურ
დედებს.
ზოგს სამოსელი განძარცვეს და ტურებივით მიაგდეს,
ზოგის სანატრელი [არსებანი] მოწყვიტეს საშოში წიწილებივით.
ზოგი გადაბუგეს საკუთარ სახლებში თავიანთ შვილებთან ერთად.
ზოგმა იხილა თავიანთი შვილების წამება და ტანჯვით სულის
აღმოხდომა.

45
ზოგმა მთას მიაშურა, მაგრამ იქიდან ჩამოყარეს,
ზოგი გამოქვაბულებში ჩაიმალა და შიმშილითა და წყურვილით მოკვდა.
ზოგი ცხენებს მიაბეს და გააჭენეს, და ისინი მდიდარი [კაცივით]
მოსთქვამდნენ მაგრამ საშველი არ მიეცათ.
ვინ არის შემძლე გვიამბოს მათ შესახებ, იმაზე, თუ როგორ ან რამდენი
შეავიწროვეს?

ამ ადამიანთა ან მათი ოჯახების რიცხვზე?
ორმოცდამეოთხე ფსალმუნი შემცველი ორმოცდათოთხმეტი მუხლისა,
და კიდევ სხვა, სამოცდათმეთოთხმეტე, რომელშიც ორმოცდაშვიდი მუხლია,
მესამე კი ნომრით ოთხმოცდამეცხრამეტეა,
და მასში ოცდაცხრა მუხლია,
და რაც მაკაბელებზე ითქვა, შესაფერისია გორგაიებზე (ქართველებზე).
50
ღმერთო ჩვენო, ღმერთო ჩვენო, რატომ უგულებელყავი ასე შენი ხალხი?
და მიატოვე ისინი ცხვრის ფარასავით, არც მწყემსი რომ უვის და არც წინამძღოლი?
განა შენს სახელს არ ესავდნენ და შენს დღესასწაულებს არ ზეიმობდნენ?
შენს საიდუმლოებს არ აღასრულებდნენ და განუწყვეტლივ არ განგადიდებდნენ?
რატომ აღმოჩნდა მუმლი მათ სახლებში და ბუები მათ საძინებელში?
გოდება მათ ეზოებში და ტურები მათ საცხოვრისში?
საიდან მოხვდნენ ეშმაკები მათ ტაძრებში და სიბინძურე მათ წმიდათა წმიდაში?
როგორ დაიმარხნენ მათი კეთილშობილნი და როგორ გაითელა ქუჩებში ფეხით მათი სხეული?
მათი მშვენიერი და თვალადი შვილები რატომ ჩაუგდე ხელში მათ მოძულეებს?
და მათი მშვენიერი ქალიშვილები რატომ ჩააგდე მათი მტრების ხელში?
55
და თუ თავიანთი ცოდვებით განგარისხეს და თავიანთი საქმიანობით გაგაწბილეს,
მათი ბაგენი უფლად ხომ გიხმობდნენ და მათ
გულებს შენ არ დავიწყნიხარ.
უზენაესმა ისმინა ეს სიტყვები და იქმნა, როგორც ჩემი გამკითხველი:
დადუმდი და დაწყნარდი, საბრალობელო, ვის განიკითხავ?

განა არ წაგიკითხავს სახარება სავსე ცხოველი სიტყვით,
როგორ გადასცდი ჯეროვანს და ლაპარაკობ დაბრკოლებულთა მსგავსად?
არ მოგისმენია მაცხოვნებელ ბაგეთაგან ეს გამონათვამი მოყვასთათვის განკუთვნილი:
მართალთა ძენი მარადის იდევნებიან ძეთაგან წარწყმედილობისა,
სახლიდან განგაძევებენ და ქუჩებში გგვემენ,
მსხვერპლად ჩაგთვლიანშეუპუებელი მკვლელები.

60

დედამიწის სხეულიც რომ მოაკვდინონ, სულის მოკვლას ვერ შესძლებენ.
თქვენი სხეულები ჩემგან აღდგებიან და მარადიულად იხარებენ სასუფეველში.
იმ შემთხვევაშიც კი, მე რომ დამემოწაფოთ, უფალზე სათნო ვერ იქნებით.
რაც მე მიქნეს, მასვე გიზამენ თქვენ. განიხარეთ ჩემი ხვედრის გაზიარებით.
სიხარული არ გმართებთ ბოროტებით აღსავსე ქვეყანაზე,
არამედ ტანჯვანი და ტკივილები, ხოლო საუკუნო სიცოცხლე კი - იმ ქვეყნად.
უფალი ჩვენი მოწყლულთა გვირგვინია და მკვლელთა მტანჯველი.
წყალობა ჰყავ მთავარ ცოდვილზე, ამ სიტყვების მწერალზე.
შეუნდე სისუსტენი და წარწყმედილობა, შეუნდე და მიუტევე შეცოდებანი
და გადმოადინე შენი მადლი მის მსგავსებზე.
დიდება შენდა ყოველთა ბაგიდან და საიდუმლო მყოფობა მარად და მარად.

რუი გონსალეს დე კლავიხო, ჩანაწერები საქართველოს გავლით მოგზაურობისას 1405 წლის 5-17 სექტემბერს*

რუი გონსალეს დე კლავიხო კასტილიის მეფის ჰენრიხ (ენრიკე) III-ს ელჩია გაგზავნილი ესპანეთიდან სამარყანდში თემურ ლენგის სამეფო კარზე. იგი წარმოშობით მდიდარი ესპანელი დიდგვაროვანია, რომელსაც კასტილიის სამეფო კარზე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. მისი მშობლიური ქალაქი იყო მადრიდი. სამარყანდაში მივლენილ ელჩობაში, გარდა რუი გონსალესისა, შედიოდნენ ღვთისმეტყველების მაგისტრი, ალფონსო პაეს დე სანტა მარია და მეფის მცველი გომეს დე სალაზარი. როგორც ჩანს, ელჩობის მთავარი ფიგურა იყო სწორედ რუი გონსალეს დე კლავიხო. წარგზავნილებს ევალებოდათ, დაკვირვებოდნენ და ცნობები შეეგროვებინათ ყველა იმ მნიშვნელოვან ფაქტზე და მოვლენაზე, რომლებსაც ამ ხანგრძლივი მოგზაურობისას შეხვდებოდნენ. სწორედ ეს დავალება უნდა ყოფილიყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ რუი გონსალეს დე კლავიხო თავისი მოგზაურობის მთელ მანძილზე აწარმოებდა ყოველდღიურ ჩანაწერებს.

კლავიხოს *დღიური* გამოირჩევა თავისი მრავალმხრივობით და მრავალფეროვნებით და ითვლება შუასაუკუნეების ლიტერატურაში ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად, შესაბამისი ჟანრის ნაწარმოებთა შორის. კლავიხო აღწერს ყველაფერს, რასაც ის გზაზე

---

* პირველად დაიბეჭდა 2001 წელს: *ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი*, I. თსუ გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 336-349.

წააწყდა: ადგილმდებარეობა; ქალაქები; მნიშვნელოვანი ნაგებობები; პიროვნებები, ვისაც იგი ხვდებოდა; ზოგიერთი მათგანის გარეგნობა და ჩაცმულობაც. ბუნებრივია, რომ ბევრი ცნობა, რომელიც კლავიხოს *დღიურებშია*, ზუსტად ვერ ასახავს სინამდვილეს, ბევრი საკუთარი სახელი დამახინჯებულია. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. კლავიხოს ელჩობა არ იყო აღჭურვილი სათანადო გეოგრაფიული და პოლიტიკური ცოდნით. ელჩებმა არ იცოდნენ ადგილობრივი ენები, არ ჰქონდათ დრო, რომ გამოეძიებინათ და შეემოწმებინათ გაგონილი. კლავიხოს *დღიური* არის შავი, გადაუმუშავებელი ჩანაწერები ყველაფერი იმისა, რაც ელჩებმა გაიგონეს, დაინახეს და რაც მათ უთხრეს. უმთავრესი მაინც ის არის, რომ კლავიხო თავის ჩანაწერებში კეთილსინდისიერია, იგი არ არის ტენდენციური.

სწორედ ამ მიზეზების გამო, კლავიხოს თხზულებას, როგორც მნიშვნელოვან წყაროს, ღირსეული ადგილი უნდა მიენიჭოს საქართველოს ისტორიის უცხოურ დოკუმენტთა შორის. საქმე ისაა, რომ კლავიხო ეხება ისეთ პერიოდს (1405 წელი), რომლის დროსაც სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე არც თუ მრავალი საისტორიო წყარო გვაქვს. ამავე დროს, ესაა ცნობები საქართველოზე და ქართველებზე გარეშე თვალით, სრულიად არატენდენციური. ყოველივე ამის გამო რუი გონსალეს დე კლავიხოს *დღიურებს* უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე ქართველი ისტორიკოსები მას აქამდე უთმობდნენ. მეორე მხრივ, ისიც შეიძლება აიხსნას, თუ რატომ ვერ დაიჭირა აქამდე კლავიხოს ცნობებმა საათაბაგოზე სათანადო ადგილი ქართველ ისტორიკოსთა ნააზრევში. ჯერ ერთი, კლავიხოს ცნობები საქართველოზე ძალზე ეპიზოდურია და ძუნწი. მეორეც, გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც კლავიხოს *დღიურებში* ვხვდებით, გაუგებარია.

კლავიხოს მიერ მოტანილი ტოპონიმები ძირითადად თურქულია, თანაც დამახინჯებული, ამიტომ, მთელი ეს დოკუმენტი მკვლევარს იმთავითვე უუცხოვდება და ერთგვარად მეცნიერული ინტერესის მიღმა რჩება.

გარდა იმისა, რომ კლავიხოს *დღიურების* ერთი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას ეხება, თხზულების ორიოდე ადგილას ესპანელი ელჩი გაკვრით ახსენებს საქართველოს იმდროინდელ მეფეს გიორგის (გიორგი VII). ერთგზის გადმოსცემს გაგონილ ამბავს გიორგი მეფის ლაშქრობაზე დიდი არმენიის ტერიტორიაზე – ავნიკსა და აზერონში. ამ მონაკვეთში გადმოცემული ამბის ჭეშმარიტებაში კომენტატორთა ერთ ნაწილს ეჭვი შეაქვს. უფრო მნიშვნელოვანი კლავიხოს ჩანაწერებში მაინც ისაა, რაც მან საკუთარი თვალით ნახა. ქართველოლოგიის ინტერესებისათვის ასეთი მონაკვეთი კლავიხოს დღიურებში არის ელჩების საქართველოს ტერიტორიაზე მოგ-ზაურობა.

როგორ აღმოჩნდნენ კასტილიის სამეფოს ელჩები საქართველოს საზღვრებში?

სამარყანდში მიმავალმა ელჩებმა მცირე აზია ცნობილი გეოგრაფიული პუნქტების ერზრუმისა და ხიოს შორის გაიარეს იმ დროისათვის ცნობილი ცენტრალური გზით: პაზენის ხეობა, მდინარე არასის ხეობა და შემდეგ გზა სურმალის, იგდირისა და დოგუბაიზეტის გავლით. უკან დაბრუნებისას ელჩებმა ამ გზაზე უარი თქვეს, რადგანაც ხიოში ჩამოსულებმა გაიგეს, რომ ეს გზა უკე სახიფათო იყო. ერთ-ერთი ტომის ბელადი აჯანყებულიყო და ამ ტერიტორიას თავისი სამხედრო ძალით აკონტროლებდა. ელჩები სხვა გზით წავიდნენ და ჩავიდნენ საამიროს დედაქალაქში – ავნიკში. აქ კი მათ თანაგრძნობა გაუწია ამირას ვაჟმა და საქართველოს სამხრეთ რაიონების – საათაბაგოს გზით გაამგზავრა ტრაპიზონისაკენ. საათაბაგოში ისინი მოგზაურობ-

დნენ 1405 წლის 8 სექტებრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით. 14 სექტემბერს ისინი უკვე არიან მცირე არმენიის ტერიტორიაზე, ხოლო ტრაპიზონში ჩავიდნენ 17 სექტემბერს. ეს მხარე, საათაბაგო, ამ დროისათვის საქართველოსაგან ოფიციალურად გამოყოფილი ჯერ კიდევ არ იყო. მაგრამ, ფაქტიურად, მას უკვე ათაბაგები განაგებდნენ, რომლებსაც რეზიდენცია ახალციხეში ჰქონდათ.

როგორია ამ მხარის სოციალური მდგომარეობა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა?

აშკარად ჩანს, რომ ეს მხარე ქართველებითაა დასახლებული. თანაც ისინი მასობრივად ქრისტიანები არიან. მაგრამ ამავე დროს ისიც შეინიშნება, რომ აქაურ ქართველებსა და სომხებსაც უკვე დაწყებული აქვთ მაჰმადიანობის მიღება. ასე რომ, ამ მხარის გამაჰმადიანების დასაწყისი თურქთა მიერ ქვეყნის დაპყრობაზე ადრეა დაწყებული. კლავიხომ ვერ შენიშნა ამ მხარეში არსებული ძველი ქართული კულტურის ძეგლები. ეს მით უფრო საკვირველია, რომ მან გადაიარა თორთუმის ხეობა, სადაც ახლაც ამაყად დგას ხახულის, ოშკისა და იშხნის დიდებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები. კლავიხო მათ ვერ ამჩნევს. ეს განპირობებულია იმით, რომ ელჩებს არ ამოძრავებდათ განსაკუთრებული ინტერესი ამ მხარისადმი და თანაც მიიჩქაროდნენ სამშვიდობოზე გასასვლელად.

ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კლავიხოს *დღიურების* თანახმად, საქართველოს ამ მხარეში უწოდებდნენ *გურგანიას*. საინტერესოა, აგრეთვე კლავიხოსეული დახასიათება ამ რეგიონში მცხოვრები არმენებისა და ქართველებისა. კერძოდ, საათაბაგოში მცხოვრებ ქართველებზე იგი წერს: „გორგანები, ამაყი და ტანადი ხალხია, სარწმუნოება ბერძნებისა აქვთ, ენა კი საკუთარი“.

და ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ შუასაუკუნეების ესპანეთი საქართველოსა და ქართველებს, როგორც ჩანს, ძალიან ცუდად იცნობს. კლავიხოს თხზულებათა გადამწერებს ვერ გაუგიათ, რომელ ხალხს ამკობს ასეთი თბილი სიტყვებით კლავიხო. ავტორს ქართველებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ იგი საქართველოს გურგანიის სახელით მოიხსენიებს, უნდა ეწოდებინა გურგანოსები. თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებსა და გამოცემებში ეს სიტყვა სხვადასხვაგვარად იკითხება: გორგანები, გარგანები, გრიეგანები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი იკითხვისი. გადამწერელი ამ სახელს აშკარად ურევს ბერძენთა სახელში, რადგან იმავე წინადადებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნებიც მოიხსენიება. მაშინ, როცა „კლავიხოს მიხედვით, ეს ხალხი (გურგანოსები-ქართველები) სულ სხვა ნაციაა, რომელსაც რელიგია აქვს ბერძნების, ენა კი მათგან განსხვავებული.

ესეც ერთგვარი ტრაგიკული შტრიხია ამ „ამაყი და ტანადი ხალხისა“. მათი სახელი ისტორიის ხვეულებში ხშირად საბედისწეროდ გაუცხოებულია.

რუი გონსალეს დე კლავიხოს მოგზაურობა სამ წელს გრძელდებოდა (1403-1406 წლები). მისი თხზულება გამოიცა *ღღიურების* დაწერიდან დაახლოებით 180 წლის შემდეგ 1582 წელს, ესპანეთის ქალაქ სევილიაში, სათაურით: *ცხოვრება და მოღვაწეობა დიდი ტამერლანისა* („Vida y haranas del gran Tamorlan“). 1782 წელს ეს გამოცემა განმეორდა ქ. მადრიდში. 1943 წელს მადრიდში განხორციელდა ამ თხზულების ახალი გამოცემა XV საუკუნის ერთი ხელნაწერის მიხედვით. გამოცემის და

მასზე დართული გამოკვლევის ავტორია ფრანცისკო ლოპეზ ესტრადა.[1]

კლავიხოს თხზულება დღეს მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით: მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის ორი ხელნაწერით: №9218 და №18050 და ბრიტანეთის მუზეუმი Add 16613. თხზულება თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. კერძოდ, ინგლისურად: კლემენტს მარკჰამის[2] და გუი ლე სტრანგეს[3] მიერ. ი. სრეზნევსკიმ 1881 წელს გამოსცა თხზულების რუსული თარგმანი, შესრულებული ორიგინალის მეორე, 1782 წლის გამოცემიდან, პარალელური ესპანური ტექსტითურთ.[4]

რუი გონსალეს დე კლავიხოს *დღიურები* დღემდე ქართველ მეცნიერთა საგანგებო შესწავლის საგანი არც გამხდარა და არც თხზულების ქართული თარგმანი შესრულებულა. კლავიხოს თხზულების ის პასაჟი, რაც მის საქართველოს ტერიტორიაზე, საათაბაგოში მოგზაურობას შეეხება, საგანგებოდ შეისწავლა პარიზელმა მეცნიერმა, ილია ზდანევიჩმა. მისი გამოკვლევა *რუი გონსალეს დე კლავიხო საქართველოში* გამოქვეყნებულია ბიზანტინისტთა XII საერთაშორისო კონგრესის მასალებში 1964 წელს.[5] ი. ზდანევიჩი თავის გამოკვლევას ურთავს ფრანგულ თარგმანს კლავიხოს *დღიურების* ნაწყვეტისა, რომელიც მოიცავს საათაბაგოს ტერიტორიაზე მოგზაურობის ამბებს (1405 წ. 5-17 სექტემბერი). თარგმანი შესრულებულია ბრიტანეთის მუზეუმის

---

[1] *Embajada A Tamorlan* (Estudio y edicion de un manuscrito del siglo XV por Francisco Lopez Estrada). Madrid 1943.

[2] Markham, C., *Narrative of the Embassy of ... Clavis of the Court of Timour.* London 1859.

[3] Guy le Strange, *Clavijo Embassy tu Tamerlan.* London 1928.

[4] *Рюи Гонсалес де Клавихо, Дневник ко двору Тимура в Самарканде в 1403-1406 гг.* (Подлинный текст с переводом и примечаниями, составленными под редакцией И.И. Срезневского. Санкт Петербург 1881).

[5] Zdanevitch, E., „Ruy Gonzales de Clavijo en Georgie": *Actes du XIIe Congrès International d'Etudes Byzantines,* II. Beograd 1964. p. 249-256; *Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie,* vol. XXXIV. Paris 1979.

ხელნაწერის (Add 16613) მიხედვით. ტექსტი შეჯერებულია მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერებთან (№9218 და №18050) და მადრიდის 1943 წლის გამოცემასთან.

ჩემი ინტერესი კლავიხოს მოგზაურობისა და მისი *დღიურებისადმი* გამოიკვეთა 1984 წელს ესპანეთში სამეცნიერო მივლინების დროს, სადაც ვეცნობოდი საქართველოს ისტორიის შესახებ ესპანეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულ მასალებს.

ამ მასალებზე პირველი მიმოხილვითი ცნობა 1985 წელს გამოვაქვეყნე (გაზ. *კომუნისტი*, 1985 წ. 28. IV). უფრო დაწვრილებით კი მათზე ვისაუბრე თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის სხდომებზე 1985 წლის დასაწყისში. საკუთრივ რუი გონსალეს დე კლავიხოს მოგზაურობას საქართველოში მიეძღვნა ჩემი სამეცნიერო თემა, შესრულებული ეროვნულ ურთიერთობათა ინსტიტუტის 1991-92 წლების გეგმით. კლავიხოს მოგზაურობის ის მონაკვეთი, თანდართული შენიშვნებითურთ, რომელსაც ამჟამად ვაქვეყნებ, წარმოადგენს ზემოთ მითითებული სამეცნიერო თემის ერთ ნაწილს. იგი განხილული იყო 1992 წელს თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სხდომაზე, 1993 წლის 5 მარტს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

1992 წელს საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების სერიაში გამომცემლობა *მეცნიერებამ* გამოსცა *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ*, ელდარ მამისთვალიშვილის თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით. ამ გამოცემაში არაა გათვალისწინებული ილია ზდანევიჩის გამოკვლევა რუი გონსალეს დე კლავიხოს საქართველოში მოგზაურობის შესახებ

და არც უკანასკნელის მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი, რომელიც ეყრდნობა კლავიხოს ჩანაწერების ჩვენამდე მოღწეულ ყველა ხელნაწერს. ჩემი აზრით, ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმ უზუსტობებს, რომელიც ე. მამისთვალაშვილის ქართულ თარგმანს და მასზე დართულ შენიშვნებს ახასიათებს. კერძოდ, უნდა აღინიშნოს კლავიხოს მოგზაურობის გეოგრაფიული სახელების მთარგმნელისეული გაშიფრვა, მაგალითად ორიგინალისეული *ავნიკის* – ყარსისთან გაიგივება. უზუსტობათა მეორე ნაწილი იმით უნდა აიხსნას, რომ ქართული თარგმანი უპირატესად ი. ს. რეზნევსკის რუსულ გამოცემას მისდევს, რომელიც თავის მხრივ 1782 წლის ნაკლებად სანდო ესპანური გამოცემებიდან მოდის.

ქვემოთ მომყავს ჩემ მიერ შესრულებული რუი გონსალეს დე კლავიხოს *დღიურების* იმ მონაკვეთის ქართული თარგმანი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას შეეხება. თარგმანი შესრულებულია ესპანური ორიგინალის ფრანსისკო ლოპეზ ესტრადას 1943 წლის მადრიდის გამოცემიდან, ილია ზდანევიჩის ფრანგულ თარგმანზე დაყრდნობით და ი. ს. რეზნევსკის რუსული თარგმანების გათვალისწინებით. რუი გონსალესისა და მისი *დღიურების* შესახებ ჩემ მიერ მოტანილი მასალა ემყარება ზემოთ დასახელებული მთარგმნელების გამოკვლევებს.

ნაწყვეტი, რომლის თარგმანსაც ვაქვეყნებ, იკითხება ლოპეზ ესტრადას 1943 წლის გამოცემის 242-245 გვერდებზე ესპანური ტექსტის დაყოფით CXLVIIIa – CLIa მონაკვეთებში. თარგმანში საკუთარ სახელებს, როგორც გეოგრაფიულს, ასევე პირთა სახელებს, იმგვარად გადმოვცემ, როგორც ისინი ორიგინალშია წარმოდგენილი. უფრო მეტიც – ფრჩხილებში ვურთავ ესპანურ დაწერილობასაც. თუ სახელი სხვადასხვაგვარადაა წარმოდ-

გენილი ლოპეზ ესტრადას და ი. სრეზნევსკის გამოცემაში შეტანილ ესპანურ ტექსტში, მაშინ ორივე მათგანი მომაქვს.

აქვე უნდა გამოვხატო მადლიერება იმ თავაზიანი თანამშრომლობისა და დახმარებისათვის, რომელიც აღნიშნული მონაკვეთის ესპანურ და ფრანგულ ტექსტებზე მუშაობისას გამიწიეს მადრიდის კომპლუტენსის უნივერსიტეტის თანამშრომელმა დოქტორმა ანტონიო ბრავომ და თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელმა – ნინო ციმაკურიძემ.

დანართი: რუი გონსალეს დე კლავიხო, 1405 წლის ჩანაწერები საქართველოს გავლით მოგზაურობისას (ე. ხინთიბიძის თარგმანი):

მეოთხე დღეს, ეს იყო სექტემბრის ხუთი რიცხვი, შაბათი, ისინი (ელჩები – ე. ხ.) ჩავიდნენ ქალაქ ავნიკში [Avnique//Aumian]. ოთხშაბათს ისინი ავიდნენ ციხე-კოშკში, რათა ენახათ დიდი რაინდის ვაჟი, რომელიც მამის ნაცვლად განაგებდა ამ მიწას. ამ უკანასკნელს კი, ჩაღათაელს, სახელად ტოლადიბეკს [Tolady Beque//Toladaybeqau], ეს მიწა მიუღია მისი დამპყრობელის – ტამურბეკისაგან [Tamurbeque//-Tamurbec]. ელჩებმა ტოლადიბეკის ვაჟს კამოკანის კაბა მიართვეს, როგორც ეს მიღებული იყო, შემდეგ უამბეს თავიანთი ამბავი. ტოლადიბეკის ვაჟმა უთხრა ელჩებს, რომ ყარაოტომანი [Caraoтoman] იმყოფებოდა არზინგას [Arzinga] მიწაზე, საითაც ისინი აპირებდნენ წასვლას და იქ იქმოდა ავს. მაგრამ მეფის, მათი ბატონის, პატივისცემისათვის და ტამურბეკის სამსახურისთვის, რომელთანაც ისინი მოვიდნენ, იგი გაატარებდა მათ სხვა გზით. ამ გზაზე ელჩებს არავითარი საფრთხე არ ელოდათ. თურქეთის ელჩები კი სხვა გზით წავიდოდნენ. ავნიკის ეს ციხე-კოშკი ძალიან მაღალ ადგილას იყო აგებული და კარგად გაეამაგრებინათ. მას გარს ერტყმოდა სამმაგი კედელი. შიგნით წყაროს წყალი მოედინებოდა, ციხეს უხვი მარაგი ჰქონდა და დიდ შემოსავალს ფლობდა.

სამშაბათს, რვა სექტემბერს, ისინი გაემგზავრნენ ერთი ჩაღათაელის თანხლებით, რომელიც ავნიკის მფლობელის ნდობით იყო აღ-

ჭურვილი. მან ელჩები წაიყვანა გურგანიის [Gurgania] გზით. ხოლო არზინგას გზა, რომლითაც მოვიდნენ, მარცხნივ მოიტოვეს. ის ღამე გაათიეს ქალაქში, რომელიც ეკუთვნოდა ავნიკის გამგებელს. მეორე დღეს ალიონზე ადგნენ და მაღალი მთა გადალახეს. იქიდან რომ ჩამოვიდნენ, მათ დაინახეს მაღალ მთაზე აღმართული ციხე-კოშკი, რომელსაც ტორკონი [Corcon//Tarcon] ერქვა. გურგანიელი [Gurgania] დიდებულის კუთვნილი ეს ციხე ტამურბეკს აუღია და ხარკი დაუდვია მისთვის. ელჩებმა ღამე გაათიეს სოფელში, აქედან ერთი ლიგის დაშორებით; და ამის შემდეგ ორი დღე იარეს ამ მთებში.

პარასკევს, ეს იყო სექტემბრის თერთმეტი, ისინი მიადგნენ ციხე-კოშკს, რომელსაც ვისერი [Vicer] ეწოდება. ციხის მგლობელი მავრი მოლა იყო. მოლა კი დოქტორს ან სწავლულს აღნიშნავს. ამ უკანასკნელმა დიდი პატივით უმასპინძლა ელჩებს. მთელი ეს ქვეყანა აკლებული იყო ყარაოტომანისა და სხვა ტომთა მიერ, რომლებიც ამ გზით გარმოდნენ თავიანთ ჯოგებთან ერთად. ელჩები აქ დიდხანს არ შეყოვნებულან. გამყოლმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ენახათ ქალაქ ასპირში [Aspri//Aspir] დიდებული, რომელთანაც თავისმა ბატონმა წერილები გაატანა. გზა, რომელიც მათ გამოიარეს ტორკონიდან აქამდე, მთებსა და კლდეებზე გადიოდა. ამ მიწის მფლობელს პირა კონბერი [Pira Conberi] ერქვა. ეს ადგილი, მიუხედავად მთაგორიანობისა, ხორცით მდიდარი იყო. მომდევნო დღეს, შაბათს, ელჩები ამ დიდებულთან მივიდნენ და კამოკანის ორი კაბა მიართვეს. მან ელჩებს მეგზური გააყოლა ტრაპიზონის იმპერიამდე. ის ღამე მთის ძირას მდებარე ერთ სოფელში გაათიეს.

მეორე დღეს, კვირას, ისინი ავიდნენ ერთ კლდოვან, გაშიშვლებულ მთაზე, რომელიც ოთხი ლიგის სავალზე ისეთი ციცაბო იყო, რომ ცხოველებმა და ადამიანებმა დიდი გაჭირვებით გადაიარეს. იმავე დღეს მათ დატოვეს გურგანიის [Gurgania//Gorgania] მიწა და გადავიდნენ არაქიელის [a Raguiel//Arraguel] ტერიტორიაზე. გორგანები [Grieganos//Gorganos] ამაყი და ტანადი ხალხია, სარწმუნოება ბერძნებისა [Grigesca//Griquesca] აქვთ, ენა კი – საკუთარი.

მომდევნო დღეს, ორშაბათს, მათ ისადილეს, არაქიელის ერთ სოფელში, მაშინვე გააგრძელეს გზა და ღამე სხვა სოფელში გაათიეს. მიზეზი, რომლის გამოც ასპირის გამგებელი მავრი არაქიელის მიწის მფლობელიც გამხდარა, შემდეგია: ამ ქვეყნის მცხოვრები მავრები უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი გამგებლით, რომელსაც, ისევე როგორც თავად ამ მიწას, არაქიელი ექვა. ისინი წავიდნენ ასპირის გამგე-

ბელთან, უთხრეს, რომ სცნობდნენ მას თავიანთ პატრონად, ხოლო მას ისინი უნდა დაეცვა. ასეც გააკეთეს და მისი ხელისუფლების ქვეშ მოექცნენ. ასპირის გამგებელმა მიიღო ისინი თავისი მფარველობის ქვეშ. მან დანიშნა მთავარი, რომელიც მის ნაცვლად და მისი სახელით განაგებდა ამ ხალხს ქრისტიანებთან ერთად. ეს მხარე დაფარულია ტყით მოფენილი მთებით. აქ ისეთი ციცაბო დაღმართებია, რომ ცხოველები მათზე ვერ დადიან. ერთი კლდიდან მეორეზე გადასასვლელ ხიდად ხეა გადებული. ხშირად ხდება ხოლმე, რომ დატვირთულ პირუტყვს გავლა არ შეუძლია და ადამიანებს უწევთ ტვირთის აკიდება. ამ მხარეში ცოტა პურია. ამ მიწაზე ხსენებულ ელჩებს, ისევე როგორც თურქეთის ელჩებს, დიდი საფრთხე შეემთხვათ. აქ იყო მდაბიო წარმოშობის ცუდი ხალხი, თუმცა ისინი ქრისტიანი სომხები იყვნენ. მათ ხსენებული ელჩები არ გაატარეს, სანამ თავიანთი ბარგიდან ზოგი რამ არ დაუტოვეს. ამ მთებში ოთხი დღე იარეს და მიაღწიეს ზღვის პირას მდგარ ერთ სახლს. აქედან ტრაპიზონამდე ექვსი დღის სავალი გზა იყო მთების გავლით. შემდეგ მათ იარეს ცუდი გზით იმ ადგილამდე, რომელსაც სურმენია [Xurmenia// Surmena] ჰქვია. ტრაპიზონის მთელი ეს მიწა ძალიან კლდიანია და მაღალი ხეებით მოფენილი მთებითაა დაფარული, რომელიც ზღვას ეკვრის. ყოველ ხეზე შემოხვეულია ვაზი, რომელსაც არ უვლიან, თუმცა მისგან ღვინოს აყენებენ. მოსახლეობა ცხოვრობს კოშკებში, როგორც ისინი უწოდებენ სოფლის სახლებს, რომლებიც სინამდვილეში აქა-იქ მიმოფანტული, ერთმანეთზე მიდგმული ქოხებია მხოლოდ, ამ გზაზე ყველა ცხოველი დაეღუპათ.

ხუთშაბათს, სექტემბრის მეჩვიდმეტე დღეს, ისინი ჩავიდნენ ტრაპიზონში და ჩასვლისთანავე შეიტყვეს, რომ კაკლით დატვირთულ ერთ ხომალდს აფრები აღემართა პერაში [Pera] წასასვლელად.

უცნობი მასალა ესპანეთის არქივებიდან

ძველი ფოლიანტები მოგვითხრობენ*

1984 წლის ბოლოს, სამი თვით ესპანეთში ვიმყოფებოდი. მივლინების ძირითადი მიზანიცა და საქმიანობაც ის იყო, რომ შუასაუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესსა და ბიზანტიურ და დასავლეთ ევროპულ მწერლობებთან მის მიმართებებზე ლექციები წავიკითხე ესპანეთის უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში (მადრიდში – კომპლუტენსის უნივერსიტეტი, ბიზანტინოლოგიის ინსტიტუტი, უცხო ენათა ინსტიტუტი; ვიტორიაში – ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტი). საკმაოდ ხანგრძლივმა მივლინებამ იმის საშუალებაც მომცა, რომ რამდენადმე გავცნობოდი ამ ქვეყნის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულ საქართველოს ისტორიის პირველწყაროებსაც. ამის სტიმულს მაძლევდა ესპანეთის საისტორიო არქივებში ქართველ ისტორიკოსთა (ილია ტაბაღუა, ჯუანშერ ვათეიშვილი) ნაყოფიერი მუშაობის რამდენიმე ფაქტი. ჩემი ყურადღება მიიპყრო როგორც გამოქვეყნებულმა საისტორიო მასალამ – ესპანელი ელჩებისა და მოგზაურების მოგონებებმა და დღიურებმა, ასევე მადრიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულმა უცნობმა ხელნაწერებმა, აგრეთვე ძველმა რუკებმა და ესპანეთის სახელმწიფო არქივებში შემონახულმა ქართველ მეფეებთან მიმოწერის საბუთებმა.

ევროპის ქვეყნებთან ძველი საქართველოს ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება რომის და შემდგომში ბი-

* პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს გაზეთ „კომუნისტში“, #99 (1924), 28.04.1985. ამჯერად ქვეყნდება გადამუშავებული სახით.

ზანტიის იმპერიასთან მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული კონტაქტებით. ჯვაროსნული ომების ეპოქიდან მოკიდებული, ხშირდება ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ქართველები დაჟინებით ეძებდნენ რეალურ მეგობრულ კავშირს ქრისტიანული დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ქართველთა პოლიტიკური ორიენტაცია, ერთი მხრივ, რუსეთისაკენ ისწრაფვოდა, მეორე მხრივ კი – ქრისტიანული ევროპისაკენ. დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სამეფოთაგან ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას ესპანეთისადმი ამჟღავნებდნენ.

1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ თავზარი დასცა მთელ საქრისტიანო მსოფლიოს. არაერთი ქრისტიანული სახელმწიფოს მეთაურს და რომის მრავალ პაპს შეუდგენია თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის გეგმა. ქართველი მეფეებიც იჩენდნენ ამგვარ ინიციატივას.

1495 წლის დამლევს ქართველთა მეფეს კონსტანტინე II-ს ეგვიპტის სულთანთან გაგზავნილმა საკუთარმა დესპანმა იერუსალიმიდან ესპანეთის მეფის ელჩები ჩამოუყვანა. ამგვარად შემოაღწია საქართველოში ესპანეთის არაბთაგან გათავისუფლების და ქრისტიანი დედოფლის, იზაბელას წარმატებების ამბავმა. ამავე წლის ადრე გაზაფხულზე კონსტანტინე მეფემ ესპანეთის ელჩს დედოფალ იზაბელასთან დესპანებიც გააყოლა ძვირფასი ძღვენითა და წერილებით და თან კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად ერთიანი ლაშქრობა შესთავაზა. კონსტანტინეს ელჩობა ესპანეთისაკენ ლიტვა-პოლონეთის ანტითურქული ორიენტაციის სახელმწიფოზე გავლით წასულა. აქ ელჩებს სამეფო კარისათვის გაუცნიათ ქართველთა მეფის წერილი დედოფალ იზაბელასადმი. ამ გზით მოხვედრილა ამ წერილის რუსუ-

ლი თარგმანი სახელმწიფო საბჭოზე განხილულ სხვა მასალებთან ერთად ეგრეთ წოდებულ *ლიტვის მეტრიკის* წიგნში.

საქართველოდან ესპანეთში გაგზავნილი წერილის ძველი რუსული თარგმანი XIX საუკუნის I ნახევარში გამოქვეყნდა და შემდგომში ქართველ ისტორიკოსთა მრავალგზისი განხილვის საგანი გახდა (ივანე ჯავახიშვილი, იასე ცინცაძე და სხვ.).

როგორც ირკვევა, არც ესპანეთის სამეფო კარს დაუტოვებია კონსტანტინე ქართველთა მეფის წერილი უყურადღებოდ. ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფალ ელისაბედის (იზაბელას) საპასუხო წერილის მოკლე შინაარსი ჩვენს სამეცნიერო წრეებს გააცნო უნგრელმა მკვლევარმა, ლ. ტარდიმ. მე მივაგენი ამ წერილის სრულ ტექსტს, გამოქვეყნებულს ანტონიო დე ლა ტორეს მიერ (*დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ*, ტ. V. ბარსელონა, 1965 წ. გვ. 114-115); [1] დოკუმენტი დაცულია ქ. ბარსელონაში, *არაგონის სამეფო არქივში*, საკანცელარიო საქმეები, რეესტრი 3607, ფურცლები 186-187. წერილი დაწერილია 1495 წლის 30 ივლისს, ქ. ბურგოსში. ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა სამეფო წერილებს, ამ წერილსაც ხელს აწერს კანცელარიის მდივანი ლუის გონსალესი. წერილი შედგენილია ლათინურ ენაზე.

ამ წერილის ჩემ მიერ შესრულებული ქართული თარგმანი ქვეყნდება მომდევნო ქვეთავში. წერილი ბევრ საკითხს სვამს ქართველ ისტორიკოსთა წინაშე. იქვე ჩემი საგანგებო კომენტარებიც ქვეყნდება. ესპანეთის სამეფო კართან მიმოწერას საქართველოს გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. ესპანეთის კათოლიკე ხელმწიფეთა წერილში იგრძნობა, რომ გარდა იმ

[1] *Documentos sobre relaciones internacionales de los Reyes Católicos.* Edición preparada por Antonio De La Torre. Volumen V. 1495-1497. Barcelona 1965.

ლოცვა-კურთხევისა, რომელიც ამ წერილში უშუალოდ იკითხება, სხვა საიდუმლო შემონათვალიც უნდა არსებულიყო, თუმცა ამ მოლაპარაკების შედეგები საისტორიო წყაროებში არ ჩანს.

ქართველ მეფეთა თავგამოდებული მცდელობა ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპული ქრისტიანული სახელმწიფოებიდან, კერძოდ ესპანეთიდან, პრინციპული დახმარების მიღების და სამხედრო კოალიციის შექმნისა XV საუკუნის ამბებით არ დასრულებულა. ერთი საუკუნის შემდეგ, XVI საუკუნის დასასრულს, იგივე ჩანაფიქრი ანალოგიური სიმძაფრით დადგა დღის წესრიგში. ამჯერად ინიციატივა რომის პაპისაგან, კლიმენტი VIII-ისაგან მოდიოდა და მას სათავეში გერმანიის იმპერატორი რუდოლფ II ედგა. ამ ინიციატივას დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა ქართლის მეფე სიმონ პირველი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა სპარსეთის შაჰი აბას პირველი და მხარს უჭერდა კახეთის მეფე ალექსანდრე. სიმონ მეფე დახმარებისათვის ისევ ესპანეთის მეფეს და ისევ რომის პაპს მიმართავდა. ესპანეთში იმ დროს სახელგანთქმული ფილიპე II მბრძანებლობდა. ესპანეთის არქივებში სიმონ მეფის რამდენიმე წერილია დაცული, რომელთა პუბლიკაცია 1920 წელს არმენისტმა ფრედერიკ მაკლერმა განახორციელა. შემდგომი შესწავლა ამ საარქივო მასალისა უმთავრესად ამ პუბლიკაციას ეყრდნობა. სიმონ ქართლის მეფის წერილებისა და ესპანეთის არქივებში მათთან დაკავშირებულ მასალაზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ეს პუბლიკაცია მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. ფ. მაკლერს, როგორც არმენისტს, ამ საარქივო მასალაში უპირველეს ყოვლისა სიმონ მეფის ერთი სომხურ ენაზე გაგზავნილი წერილი აინტერესებდა და სათანადო ყურადღება არ მიაქცია ამ ფაქტთან არსებულ სხვა ჩანაწერებს, რამაც თვით სომხურენოვანი წერილის ინტერპრეტაციისას პრინციპული უზუსტობა გამოიწვია. ამ საარქივო მასალის უფრო

სრულყოფილ პუბლიკაციასა და ახლებურ ინტერპრეტაციას ეძღვნება წიანმდებარე ნაშრომის ერთი შემდგომი ქვეთავი.

ისევ ესპანეთის სამეფო კარი და რომის პაპი იყვნენ ადრესატები XVII საუკუნის 20-იან წლებში ქართველთა სახელგანთქმული მეფის თეიმურაზ პირველის წერილებისა, რომლებიც მაჰმადიანურ გარემოცვაში ჩაკეტილი ქვეყნის პრინციპული დახმარებისთვის იყო მოწოდებული. მაგრამ შედეგი ყველა შემთხვევაში დიდი იმედგაცრუება იყო.

ქართველთა საგარეო პოლიტიკაში მეორე ხაზიც არსებობდა. XV საუკუნიდან მოკიდებული, ქართველი პოლიტიკოსები მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ მოსკოვის დიდ სამთავროსთან. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით, რომელსაც შემდგომი გაგრძელება მოჰყვა, კახეთის მეფემ ლევანმა (1518-74 წწ.) გადადგა. XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I თავად ესტუმრა მოსკოვის სამთავროს. არჩილ I-მა მოსკოვში ქართული კოლონია დააარსა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ვახტანგ VI-ისა და ქართლის თავად-აზნაურთა ელიტის რუსეთში ემიგრირება მოხდა; ხოლო ამავე საუკუნის შუა წლებში – ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის სტუმრობა. როგორც ცნობილია, ეს ურთიერთობა ერეკლე II-ის დროს 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულებით გაფორმდა.

ამ ფაქტს საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ესპანეთის სახელმწიფო არქივებში დაცულმა ერთმა წერილმა, რომელშიც ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თავისი წარმომადგენელი ბერლინიდან ატყობინებს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ამბავს. წერილი ინახება სიმანკის არქივის სახელმწიფო სამდივნოს დოკუმენტებში (შეკვრა 6602, ფურც. 163). ქართულ ენაზე ეს წერილი დღემდე თარგმნილი არ ყოფილა და მისი მონაცემებისათვის, რამდე-ნადაც ჩვენთვის

ცნობილია, გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე მსჯელობისას ქართველ მეცნიერებს ყურადღება არ მიუქცევიათ. მოგვყავს წერილის თარგმანი სრულად:

„თქვენო აღმატებულებავ,

ჩემო ძვირფასო ბატონო, მივიღე თქვენი აღმატებულებისაგან წერილი, რომელშიც მიდასტურებთ ჩემი ოთხი, ამავე თვის 2 რიცხვისა და 29 ივლისის წერილების მიღებას.

ბატონმა გრაფმა დე არანდამ მიმდინარე თვის 5-ში გადმომცა სასიამოვნო ცნობა ვერსალში 3 რიცხვში ესპანეთის, საფრანგეთისა და ინგლისის სამეფოთა საბოლოო შეთანხმების თაობაზე; ასევე ცნობა იმავე დღეს პარიზში ბრიტანეთის სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტა-ტებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისა იმ ერთადერთი გასხვა-ვებით, რომ ის არის წინასწარი, რომელსაც, როგორც საბოლოოს, დასჭირდება რატიფიკაცია; და აგრეთვე ამბავი წინასწარი შეთანხმების ხელმოწერისა წინა დღეს პარიზში ინგლისსა და ჰოლანდიას შორის.

დღეს ამ დედაქალაქში გავლით იმყოფებოდა ინგლისელი კურიერი, გაგზავნილი ლონდონიდან პეტერგბურგში. მან აქ ვერ იპოვა ინგლისის მინისტრი, რომელიც წასულა საქსონიის მთავრის, კურლანდიის ჰერცოგის კარზე, რათა გაატაროს 15-ოდე დღე ქალაქგარეთ რეზიდენციაში, სადაც ამჯერად ეს მთავარი იმყოფება.

ამ სამინისტრომ მიიღო შეტყობინება, რომ საქართველოს მთავარმა ერაკლიმ, რომელსაც რუსეთის იმპერატრიცამ გაუგზავნა სკიპტრა და გვირგვინი, მიიღო ეს საპატივცემული ნიშანი, გამოაცხადა რა თავი ვასალად, დამოკიდებულად რუსეთის სამეფოზე. საქართველოს მთავარმა სალომონმა, რომელსაც ასევე გაეგზავნა საპატივცემულო ნიშნები, მათზე უარი თქვა და ამჯობინა, შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებელი მბრძანებლობა.

უფალმა დაიფაროს თქვენი აღმატებულება მრავალ წელს, როგორც ეს მე მსურს.

ბერლინი, 16 სექტემბერი 1783 წლისა.

(ხელმოწერა) თქვენო აღმატებულებავ, ვეამბორები თქვენს ხელს.

თქვენი უმორჩილესი მსახური სიმონ დე ლას კასას.

(ქვემოთ) მის აღმატებულება გრაფ დე ფლორიდაბლანკას.“

გარდიგარდმო მინაწერი წერილზე:

„რომ გავლით იმყოფებოდა პეტერბურგისკენ მიმავალი ინგლისელი კურიერი.

რომ ბატონმა გრაფმა დე არანდამ აცნობა მას სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა.

რომ მთავარმა პრინცმა ერაკლიმ გამოაცხადა თავისი თავი ცარიცას ვასალად, მაგრამ პრინც სალომონს სურს, შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა.

გაიგზავნოს დახურულად“.

წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი დაწერილია გეორგიევსკში შეთანხმების ხელმოწერიდან (1783 წ. 24 ივლისი) თვე-ნახევრის შემდეგ და, ამდენად, ინახავს ერთ-ერთ უძველეს ვერსიას იმის თაობაზე, თუ როგორ გავრცელდა ამ შეთანხმების ამბავი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მმართველ წრეებში. როგორც წერილიდან ჩანს, საქართველოს რუსეთთან შეერთების ამბავი ევროპის ქვეყნებში გახმაურდა სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტთან ერთად. წერილის ადრესატი გრაფი დე ფლორიდაბლანკა ცნობილი ესპანელი პოლიტიკური მოღვაწეა (1728-1808). წერილის შედგენის დროს იგი ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრია. წერილის ავტორი სიმონ დე ლა კასას, როგორც წერილიდან ჩანს, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელია ბერლინში. წერილში დასახელებულია გრაფი დე არანდა, ასევე ცნობილი ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე, ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამ დროისათვის ესპანეთის ელჩი საფრანგეთში. საქსონიის მთავარი, რომელზეც ლაპარაკია წერილში, უნდა იყოს ფრიდრიხ-ავგუსტ III (1763-1827). წერილში ქართველი მეფეები მოხსენიებულნი არიან მთავრის ტიტულით (ესპანურ ორიგინალში – ელ პრინსიპე), ისევე როგორც ჰერცოგი ფრიდრიხ-ავგუსტი, საქსონიის მთავარი. მათი სახელები თარგმანში იმ სახით დავტოვეთ, როგორც ესპანურ ორიგი-

ნალშია: ერაკლი, სალომონი. თარგმანში შევინარჩუნეთ აგრეთვე რუსეთის დედოფლის ორიგინალისეული დასახელება: იმპერატრიცა – წერილის ტექსტში, და ცარიცა (ესპანურად ცარინა) – საკანცელარიო მინაწერში.

ესპანეთში 1984 წელს ჩემ მიერ მოპოვებული მასალებიდან, ვფიქრობ, ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთი ხელნაწერი იტალიურ ენაზე (№2470), რომელიც, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, ეხება 1577-1580 წლების ომებს თურქეთის სულთანს, სპარსეთის მეფესა და „ქართველ ქრისტიანებს შორის". მაგრამ იგი საგანგებო და ხანგრძლივ შესწავლას საჭიროებს და მასში დაცული ცნობების შეფასება მხოლოდ შემდეგ გახდება შესაძლებელი.

მასალის მიგნებაში, მოპოვებასა და დამუშავებაში დიდი სამსახური გამიწიეს ესპანელმა კოლეგებმა: პროფესორმა ანტონიო ტოვარმა, დოქტორებმა მარია სანჩესმა, ელვირა განგუტიამ და ანტონიო ბრავომ, მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის სლავისტიკის განყოფილების გამგემ, ხოსე ფერნანდესმა, სიმანკის სახელმწიფო არქივის დირექტორმა, ამანდო რეპრესამ, არაგონის სამეფო არქივის დირექტორმა მარია-მერსედეს კოსტამ, ქართველმა დიპლომატმა ზურაბ აბაშიძემ (იმ დროს საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენელმა ესპანეთში) და საქართველოს ისტორიით, კულტურითა და ლიტერატურით დაინტერესებულმა ბევრმა ესპანელმა მოქალაქემ. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო პროფ. ანტონიო ტოვარისა და დოქტორ ანტონიო ბრავოს დახმარება ესპანური დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში.

დანართი: 1783 წლის ესპანური დოკუმენტი გეორგიევსკის ტრაქტატზე (ფოტოასლი – სიმანკის არქივის სახელმწიფო სამდივნოს დოკუმენტები, შეკვრა 6602, ფურც. 163).



E. Est. 6602
fol. 163

Exmo. Señor

Mi Amo Señor: He recibido la carta de V.E. de 25 del Agosto, en que acusando recibo del resto de las quatro mias de 9 del mismo y de 24 de Julio

Me ha dado el Rey Carta de Abanico con fecha 25 del corriente la agradable noticia de haverse firmado en Versalles el dia 3 del Corriente definitivo entre las Coronas de España, Francia é Inglaterra, y en el mismo dia en Paris el de la Corona Britanica con los Estados unidos de America sus respectivas declaraciones que ya se han publicado como definitivas, y la respectiva en Paris los Preliminares entre Inglaterra y Holanda.

Hoy ha pasado por esta Capital un Correo Inglés despachado de Londres a Petersburg. No ha hallado aquí al Ministro de Inglaterra, que ha ido a hacer su Corte al Principe de Saxonia Duque de Curlandia, y passa quatro dias en la Casa de Campo que habita actualmente este Principe.

No necesito decir a V.E. lo mucho que el Principe Oracio de Georgia, a quien la Emperatriz de Rusia ha embiado un Coche y varios Caballos



Exmo. Señor Conde de Floridablanca.

ესპანეთის მეფეთა წერილი კონსტანტინე ბაგრატიონისადმი*

ესპანეთში ჩემი სამეცნიერო მივლინების დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საშუალება მქონდა სამეცნიერო საქმიანობით ვყოფილიყავი დაკავებული. ვფიქრობ, რომ ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ესპანეთის სამეფო არქივსა და მუზეუმებში იმ დოკუმენტების მიგნება და დამუშავება, რომლებზედაც ქართველ მეცნიერებს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ეს დოკუმენტები შეეხება ქართველ მეფეთა მიმოწერას ესპანეთის სამეფო კარზე.

ესპანეთში ქართველთა მიმოწერის ინტენსირების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, XV საუკუნის II ნახევრიდან ესპანეთის ქრისტიანული სამეფოს გაძლიერებაა. მაგრამ ამის გვერდით, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ქართველებს ესპანეთში თავიანთი შორეული ნათესავებიც ეგულებოდათ. ამ წარმოდგენას ის საფუძველი ჰქონდა, რომ უძველეს დროში ესპანეთსაც, ისევე როგორც საქართველოს, იბერია ერქვა. დასავლეთის იბერიის ანუ ესპანეთის იბერიის, ან კიდევ პირენეს იბერიის (როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ) ნათესაობაზე აღმოსავლეთის იბერიასთან ანუ ევქსინის პონტოს იბერიასთან, როგორც ზემოთ გამოქვეყნებულ ნარკვევში იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ ძველი ბერძნები წერდნენ.[1] იბერების მიგრაციას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სარწმუნოდ თვლიდნენ მეგასთენე (IV-IIIს. ძვ. წ.), აპოლოდორე (IIIს. ძვ. წ.),

---

* პირველად გამოქვეყნდა 1986 წ. ჟურნალ „ცისკარში" (#3), სათაურით: „ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ".

[1] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. III. თბ. 1966, გვ. 10-21.

სტრაბონი (Iს.), იოსებ ფლაბოისი (Iს.), დიონისე პერიეგეტი (IIს.), ევსევი კესარიელი (III-IVს.), სოკრატე სქოლასტიკოსი (Vს.) და სხვები. ძველი რომაელი მწერლები უპირატესად იბერების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასახლების ვერსიას უჭერდნენ მხარს: აპიანე (II-Iს. ძვ. წ.), ვარონი (II-Iს. ძვ. წ.), პლინიუსი (Iს.).

ძველად ჩვენში ესპანეთის იბერებს მონათესავე ხალხად თვლიდნენ. ამის დასადასტურებლად ორიოდე ფაქტიც კმარა.

ძველ ქართულ თარგმნილ საისტორიო და გეოგრაფიულ ძეგლებში *დასავლეთის იბერები* (და თვით *კელტიბერები*) იხსენიებიან, როგორც *ქართველნი დასავლეთისანი*...[1] ასე, მაგალითად: რომის პაპის, გრიგოლ დიდის *დიალოღონის* ეფთვიმე ათონელისეულ ქართულ თარგმანში დასავლეთის *იბერს* შეესატყვისება *ქართველი*.[2] ბასილი კაპადოკიელის *ჰექსემერონის* (*ექუსთა დღეთაი*) ძველ ქართულ თარგმანში ბერძნული ტექსტის *იბერია* გადმოტანილია როგორც *ქართველნი დასავლეთისანი*.[3] უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში, ძველ ქართულ თარგმანებში ბერძნული დედნის *ესპანეთი* (*სპანია*) თარგმნილია *საქართველოდ*. ამბროსი მედიოლანელის *ცხოვრების* XI საუკუნისეულ ქართულ თარგმანებში (ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანები) დედნისეული *ესპანეთი* თარგმნილია *საქართველოდ*, „რომელსა სპანიაი ეწოდების".[4] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ჩვენში ქართულ ენას ზოგჯერ „სპანთ მოსახელე ენასაც" უწოდებდნენ.[5]

---

[1] კეკელიძე, კ., „ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში": *ეტიუდები*, I . თბ. 1956, გვ. 177.

[2] კეკელიძე, კ., „IV ს. საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე": *ეტიუდები*, VI. თბ. 1960, გვ. 12-18.

[3] სირაძე, რ., *წერილები*. თბ. 1980, გვ. 7-8.

[4] კეკელიძე, კ., „IV ს. საზღვარგარეთელი ქართველი ...", გვ. 18.

[5] კეკელიძე, კ., იქვე, გვ. 14.

იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში, რომელიც XI საუკუნეშია დაწერილი გიორგი ათონელის მიერ, აშკარად ჩანს, რომ ქართველებს ესპანელები თავიანთ მონათესავე ხალხად მიაჩნდათ. აგიოგრაფის მონათხრობის თანახმად, იოანე ათონელი ესპანეთში მიდიოდა, „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკუიდრ არიან მუნ".[1]

როგორც ჩანს, ეს ტრადიცია ცოცხალია ქართველთა სამეფო კარზე XV-XVIII საუკუნეებშიც და, ამდენად, საქართველოდან ესპანელ მეფეებს მეგობრობისა და დახმარებისათვის მიმართავდნენ არა მხოლოდ როგორც ძლიერ ქრისტიან მეფეებს, არამედ, ამავე დროს, როგორც ქართველთა შორეულ ნათესავებსა თუ თანამემამულეებს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის კარზე თეიმურაზ პირველის წარგზავნილი ნიკიფორე ირბაქის ელჩობის მასალებში მარტო ქართველი მეფის წერილი კი არ ინახება, არამედ მოხსენებითი ბარათიც ესპანელი ხელმწიფისადმი - „ცნობა იბერიისა და იბერთა ანუ ქართველთა შესახებ...", რომლის შედგენაში, ამ მასალების შემსწავლელის აზრით, აუცილებლად მონაწილეობს ნიკიფორე ირბაქიც. ეს „ცნობა" ესპანელთა და ქართველთა ნათესაობის მტკიცებას არ შეიცავს, მაგრამ ფილიპე IV-ს შეახსენებს, რომ ძველ ბერძნებს სარწმუნოდ მიაჩნდათ ორი იბერიის ურთიერთკავშირი: „ისინი ამბობდნენ, რაც მეტად საეჭვოა, რომ არსებობს ორი იბერია, ერთი აღმოსავლეთით, მეორე – დასავლეთით, რომელიც არის სწორედ ესპანეთი. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ აღმოსავლელნი (იბერნი)

[1] *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II. თბ. 1967, გვ. 54.

მოვიდნენ ესპანეთში და მას ეს სახელწოდება მისცეს. სხვებს პირიქით ჰგონია. ორივე ეს აზრი არასწორად მიმაჩნია".[1]

როცა იმაზე ვფიქრობთ, თუ რატომ ელოდნენ ქართველი მეფეები მეგობრული ხელის მოწოდებას შორეული ესპანეთიდან, ურიგო არ იქნება, ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის მოგონებებიდან ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ. შარდენი საქართველოში 1672 წლის სექტემბერში ჩამოვიდა და ხუთიოდე თვე დარჩა. თავისი შთაბეჭდილებები ავტორმა დღიურების სახით გამოსცა – *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.* შარდენი დეტალურად აღწერს საზეიმო ვახშამს ქართველ მეფესთან (შარდენი მას *მთავარს* უწოდებს), სადაც თვითონ სა-პატიო სტუმრად იყო მიწვეული: „...შუა ღამეს წამოვედით, მას შემდეგ, რაც დიდის მოწიწებით გამოვეთხოვეთ მთავარს. გა-მომშვიდობებისას მან მკითხა, როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათსავი ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო... დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან".[2]

მეთხუთმეტე საუკუნის წერილი ესპანეთიდან. XV საუკუნის II ნახევარი უაღრესად რთული ხანა იყო საქართველოსათვის. 1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპე-რია საბოლოოდ დაანგრიეს. ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელს საქრისტიანოს. რომის პაპმა პიოსმა კონსტანტინოპოლის

---

[1] ჟუჟუნაძე, ო., „XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის": *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, I. თბ. 1970.

[2] *შარდენის მოგზაურობა* (ფრანგულიდან თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარი მზია მგალობლიშვილისა). თბ. 1975, გვ. 349.

გასათავისუფლებლად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანობის გაერთიანების გეგმა შეადგინა და თავისი ელჩი საქართველოშიც გამოგზავნა. საქართველოს მეფემ, გიორგი VIII-მ მოახერხა, დროებითი ზავი დაედო საკუთარ მთავრებთან, დაუკავშირდა ტრაპიზონის სამეფოს და მცირე არმენიას და საბრძოლო მზადყოფნის დასადასტურებლად ელჩობა გაგზავნა რომის პაპთან. ელჩობა მალე დარწმუნდა, რომ ევროპას თავისი შინაური საქმეები იმდენად აწუხებდა, რომ რომის პაპს თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების იმედის ნასახიც აღარ ჰქონდა. კოალიციის გეგმის ჩაშლას საქართველოში შინაური ზავის დარღვევა და ძმათა სისხლის ღვრა მოჰყვა. თურქეთის წინააღმდეგ ახალი კოალიციის შექმნა სცადა გიორგი მეფის ძმის შვილმა, კონსტანტინე მეორემ, რომელიც 1479 წელს გამეფდა. ამ მიზნით პირველად ეგვიპტის მბრძანებელთან გაგზავნა საკუთარი დესპანი *ნილოსი*. ეგვიპტიდან უკან დაბრუნებულ ქართველთა დესპანს იერუსალიმში ესპანეთის მეფის ელჩები შეხვედრიან და მათგან ესპანეთის არაბთაგან განთავისუფლების ამბავი გაუგია. გახარებულ ნილოსს ესპანეთის ელჩები საქართველოში თავის მეფესთან სტუმრად წამოუყვანია.[1] ეს უნდა მომხდარიყო 1494 წლის დამლევს, ან 1495 წლის დასაწყისში.

პირენეს ნახევარკუნძული VIII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბებმა დაიპყრეს. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ომანიანთა დინასტიის დამოუკიდებელი კორდოვის არაბული საამირო, ხოლო X საუკუნის I მეოთხედიდან კორდოვის ხალიფატი არსებობს. XIII საუკუნის დასაწყისიდან, კორდოვის სახალიფოს ნანგრევებზე ახალი არაბული სამეფო გრანადის საამირო შეიქმნა. ესპანეთის არაბთაგან განთავისუფლება გრანადის საამიროს წინააღმდეგ პირენეს ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში

[1] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ...* , ტ. III. თბ. 1966, გვ. 437-452.

არსებული ესპანური სამთავროების ბრძოლით დაიწყო. 1479 წელს გაფორმდა დინასტიური უნია კასტილიისა და არაგონის ესპანურ სამთავროებს შორის, რასაც წინ უსწრებდა ქორწინება კასტილიის ტახტის მემკვიდრე იზაბელასა და არაგონელ უფლისწულს ფერდინანდს შორის. ასე დაიწყო ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანება. 1480 წლიდან ესპანეთში დაიწყო ინკვიზიცია. ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით არაქრისტიან მოსახლეობას ძალით აქრისტიანებდნენ, ხოლო ურჩებს ესპანეთიდან დევნიდნენ. 1492 წელს ფერდინანდ II-მ და იზაბელა დედოფალმა დაამხეს პირენეს ნახევარკუნძლზე მაჰმადიანთა უკანასკნელი დასაყრდენი – გრანადას საამირო. ამავე წელს კასტილიის სამეფოს ქვეშევრდომმა, ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. სწორედ ეს ამბები უნდა მოეტანა ქართლის მეფე კონსტანტინესთან იერუსალიმიდან სტუმრად მოყვანილ ესპანეთის ელჩს.

1495 წლის გაზაფხულზე კონსტანტინე მეფემ ესპანეთის ელჩებს თავისი დესპანები გააყოლა და ძვირფასი ძღვენითა და წერილებით ესპანეთის დედოფალთან გაგზავნა. რადგანაც შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი თურქებს ეპყრათ, კონსტანტინეს ელჩობა ესპანეთისკენ ჩრდილოეთის გზით უნდა გამგზავრებულიყო. დასავლეთ საქართველოდან შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ელჩები მდინარე დნეპრამდე უნდა ასულიყვნენ. შემდეგ დნეპრით კიევზე გავლით და დნეპრის მარჯვენა შენაკადით ლიტვა-პოლონეთის სამეფო კარზე უნდა მოხვედრილიყვნენ.[1] საქართველოს ელჩობას აქ ხვდებოდა ანტითურქული ორიენტაციის ძლიერი სახელმწიფო.

---

[1] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან*. თბ. 1966, გვ. 28-29.

XI საუკუნის დასასრულს გერმანელების ტევტონთა ორდენის შიშით პოლონეთის სამეფო ლიტვის ძლიერ სამთავროს შეუერთდა. პოლონეთის მეფედ ნაკურთხი დედოფალი მისთხოვდა ლიტვის დიდ მთავარს და ეს უკანასკნელი ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე ავიდა ვლადისლავ II-ის სახელწოდებით. 1410 წელს პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანელ ტევტონთა დიდი არმია. ლიტვა-პოლონეთის სამეფო დნეპრის გზით გადიოდა შავ ზღვაზე. ვაჭრობას აწარმოებდა დასავლეთთანაც, ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული გენუის კოლონიებით, და აღმოსავლეთთანაც. ამ გზაზე ლიტვა-პოლონეთის სამეფოს მთავარი მოწინააღმდეგე იყო თურქეთი, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითადი საყრდენი იყო ყირიმის სახანო. XV საუკუნის დასასრულს ლიტვა-პოლონეთის სამეფო თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეებს ეძებდა. სწორედ ამ ანტითურქულად განწყობილ სამეფო კარს ესტუმრა ესპანეთში მიმავალი ქართული ელჩობა. ქართველი და ესპანელი ელჩები, როგორც ჩანს, ლიტვა-პოლონეთის სამეფო კარზე მიუღიათ. აქვე განუხილავთ კონსტანტინე მეფის წერილი ესპანეთის დედოფლისადმი. რუსულად უთარგმნიათ იგი და, საქმიანი მიმოწერის სხვა დოკუმენტებთან ერთად, ამ წერილის რუსული ტექსტი *მეტრიკის წიგნში* შეუტანიათ.[1]

მოგვყავს წერილის ქართული თარგმანი, შესრულებული ძველი რუსულიდან, იასე ცინცაძის მიერ:[2] „ღვთისა ჩვენისა ქრისტეს ერთგული თვითმპყრობელი მეფე კონსტანტინე პანკრატოვანი, მეფე სრულიად ივერთა ქვეყნისა, ჯიქთა და მეგრელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა და *ტურბანთა*,

[1] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა და* ..., გვ. 80-85.
[2] იქვე, გვ. 71-78.

სახელოვანსა და უმაღლესსა, უბრწყინვალესსა და მშვიდსა თვითმპყრობელ დედოფალსა და მეფეს ელისაბედს, ესპანეთის ციხე-ქალაქისა და ყოველთა ქრისტიანეთა ზედა ღვთით დამტკიცებულს. მრავალ მოწყალე იგივე ღმერთი მფარველობდეს და იცავდეს შენს წმინდა მეუფების სახელმწიფოს მწუხარებისაგან და სნეულებისაგან, სულით და ხორცით ჯანმრთელად მრავალჟამიერ, ყოველთა ქრისტიანეთა გასამტკიცებლად. რამეთუ თქვენი წყალობით და ღვთის ძლიერებით თქვენი სამეფოს სიმრთელით არსებობა გვესმა და, სადაც კი საბრძოლველად გასულხართ, იქ ყოველგან მტერი შენი დაგიძლევია, ჩვენ ეს უსაზღვროდ გვიხარია და ყოვლად ძლიერ ღმერთს დიდებას აღვუვლენთ... მისავე მადლმა განგამტკიცოს შენ მთელი სამყაროს მპყრობელობაზე და მფარველობაზე, ხოლო სხვა ურჯულო მპყრობელი ღვთის ძალით წარგეტყვევნოს. და თვით უწმინდური იგი სარკინოზი თავისი მრჩევლით შეგირცხვენია და მისი დიდნი ციხე-ქალაქნი დაგიპყრნია, არც ერთი ეს გამარჯვება სხვისი დახმარებით არ მოგიპოვებია, ყოველივე მხოლოდ ღმერთმა მოგანიჭა შენ უზენაესად და გიბოძა შენ ძლევის გვირგვინი უღვთო აგარიანელთა ზედა, როგორც ბრძენსა და ღირსეულ მეფეს, ბრწყინვალებით და სიბრძნით შემკულს, სამეფოს ღირსეულად მპყრობელს. გვესმა, რომ სხვა მრავალი მეფენი გაერთიანებულა თქვენი მეფობის ქვეშ, გაგვიხარდა ეს უაღრესად და ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ კეთილმორწმუნე ქრისტიან ხელმწიფეებს ერთმანეთში სიყვარული და ერთობა დაგიმკვიდრებიათ. ახლა ვფიქრობთ, რომ ამიერიდან დედამიწაზე სხვა ბრწყინვალე მზეს ვხედავთ აღმოსავლეთიდან მოკიდებული მთელ ქვეყანაზე და მეორე მოციქულს (ვხედავთ) ღვთის მიერ დაგვირგვინებულს და დიდ მეფე კონსტანტინეს (ვხედავთ), მან ხომ ელინური უღმერთობა და კერპთა საცდური დაამხო. ხოლო შენმა

ღვთისმოსავმა მეფობამ კი აგარიანთა ულვთო თესლი დაამხო და წარტყვევნა, ხოლო ჩვენი ნათესავი მათ მიერ პირველ დატყვევებული, გაათავისუფლა. სად არის ის დიდება და პატივი, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ? სად არის ქება და იმედი, სად არის წმინდა და დიდებული კონსტანტინეს დიდი ქალაქი? სად არიან იქ მყოფი კეთილმორწმუნე მთავრები? სად არის სიხარული და მხიარულება მისი? სად არის წმიდათაწმიდა ღვთის სიბრძნე. რამეთუ იტყოდა სოლომონი: „სიბრძნე და ძალა ღვთისა წინათ სიხარული იყო, ახლა კი ტირილია, წინათ სიხარული და მხიარულება, ახლა მწუხარება და შევიწროება, წინათ დიდება, ახლა უპატიობა, წინათ სინათლე გვქონდა, ახლა წყვდიადი, წინათ მეტყველება და დიდება მეფისა, ახლა ტირილი, გოდება და კვნესა ჩვენს შორის“. ჰოი, რაოდენ მადლს მოკლებულია ჩვენი ნათესავი! სადღა არის ტრაპეზონის სამეფო და ამორეველთა, იაგისგელთა და ეგრიპოელთა? ან სერბთა ქვეყანა სად არის? ან სხვა ქვეყნები რა იქნა? ახლა კი გავიგეთ და მტკიცე იმედიც გვაქვს, რომ ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი ულვთო აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანიჭებს. რომელ საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირნილო ეგვიპტის სულთაგან ქაიროში წარვგზავნეთ, რომელმაც იგი დიდი სიხარულით მიიღო. (იცოდეთ, რომ) ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან საერთო არაფერი გვაქვს. როცა იგი (კირნილო მღვდელ-მონაზონი) ეგვიპტიდან იერუსალიმში დაბრუნდა, იქ იერუსალიმში, თქვენი მეუფების დესპანები იპოვა და ამ თქვენ დესპანებთან ერთად, ჩვენთან მოვიდა. ამ დესპანებისგან გავიგეთ თქვენი მეუფეების გამარჯვების ამბავი და დიდად გავიხარეთ. მაშინვე საჩქაროდ თქვენს მეუფებასთან დაბეჭდილი წერილებით, მოძღვარი და მესაიდუმლე ჩემი, იგივე მღვდელ-მონაზონი კირნილო გამოვგზავნეთ. წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენს

გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან, რადგანაც გზაზე მრავალი მტერია. როგორც თქვენმა მეუფებამაც იცის, უღვთო სპარსთაგან მარად ჟამს წამებული ვართ და მათ მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩვენ. სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ან ჩვენ გვებრძოლეთო (აჯობებდა ამგვარად თარგმნა: „ჩვენთან ერთად იბრძოლეთო“. შეადარე „и любо биитеся с нами“[1] – ე. ხ.); ანდა ჩვენს სარწმუნოებაზე მოიქეცითო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინოპოლისა, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან ჩვენ ხომ მარტო დავრჩით, ძალიან მცირენი ვართ. ამჟამად უღვთოთა მთელი სიმრავლე აგარიანთა, თურქთა და არაბთა შეძრწუნებული და შეშინებულია. ახლა დრო დაგვიდგა ღვთის მეოხებით და გთხოვთ შენ კონსტანტინოპოლზე გაემართო. არ დაიზაროთ. აიღე ჯვარი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, როგორც ფარი, ხოლო ღმერთი უფალი დეე შენს სურვილებს აღასრულებდეს. ხოლო მე, ჩემი ვაჟიშვილით და ჩემი ლაშქრით, რამდენიც შემეძლება, როგორც კი თქვენი მეუფების მიერ გამოგზავნილი დესპანი ჩემამდე მოაღწევს, დაუზარებლად ამ საქმეზე თქვენს მოწყალებას თან გამოგყვებით. თქვენი მოწყალების სიყვარულისათვის გამოგიგზავნეთ მცირე მოსაკითხი (ძღვენი) იეზდის ცხრამეტი ოქროს ქსოვილი, ოცდათხუთმეტი მისხალი მსხვილი მარგალიტი და ორი ცხრა ფოცხვერის (ვეფხვი?) ბეწვეული. ხოლო ჩვენ, ვითარცა ძმანი ქრისტეს მიერ სიყვარულითა, თქვენი დიდებისა და თქვენი მეუფების დიდი მოიმედე გწერთ და ღმერთს ვევედრებით – აღსრულდეს ყოველივე ნებითა ღვთისითა და მეფობდე ქვეყნის გასაახლებლად ყველა ხალხზე. ღმერთმა ინებოს თქვენი და

---

[1] იქვე, გვ. 48. იხ. აგრეთვე ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის* ... ტ. III, გვ. 458; ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. IV. თბ. 1967, გვ. 156.

ჩვენი განუყრელობა უკუნითი უკუნისამდე. ამინ. მარტის 10-სა დღესა ქრისტეს შობიდან ჩუენ წელსა (1495)".

ამ წერილის რუსული თარგმანი პოლონელმა ისტორიკოსმა ბუსემ იპოვა ვარშავის არქივში 1823 წელს და ამავე წელს გამოაქვეყნა რუსეთში მცირე კომენტარებით.[1] შემდგომში, 1850 წელს ამ საბუთის ტექსტი მარი ბროსემ გადაბეჭდა ჟურნალში „Закавказский Вестник". მ. ბროსემ ამ წერილის ფრანგული თარგმანი, განმარტებებითურთ, შეიტანა თავის საქართველოს ისტორიაზე საფრანგეთში გამოქვეყნებულ წიგნში (*საქართველოს ახალი ისტორია*). ამ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, კონსტანტინეს წერილს იზაბელა დედოფლისადმი თავისი ადგილი მიუჩინა *ქართველი ერის ისტორიაში* ივანე ჯავახიშვილმა. ამავე წერილის რუსული თარგმანის ასლები, რომლებიც მოსკოვისა და ვარშავის არქივებშია დაცული, ქართული თარგმანებითურთ, გამოაქვეყნა იასე ცინცაძემ წიგნში *მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის.*[2]

მარი ბროსე ვარაუდობდა, რომ ქართველთა მეფეს კონსტანტინეს ესპანეთში გაგზავნილი წერილი რუსულად უნდა შეედგინა და ვარშავაში აღმოჩენილ ტექსტს ამ წერილის დედნად მიიჩნევდა. მისივე ვარაუდით, ქართველი ელჩი ესპანეთში აღარ ჩასულა და ეს წერილი, გაურკვეველი მიზეზების გამო, ვარშავაში იქნა დატოვებული.[3] ეს ვარაუდი მოიხსნა მას შემდეგ, რაც მიხეილ თამარაშვილმა გამოაქვეყნა ქართული თარგმანი პაპის ალექსანდრე VI-ს პასუხისა ქართველთა მეფის კონსტანტინესადმი,

---

[1] *Труды высочайше утвержденного вольного обшества российской литературы*, II, №5, 1823, გვ. 218-219.

[2] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა ...*

[3] ბროსე, მ., *საქართველოს ახალი ისტორია*. პარიზი, გვ. 409 (ფრანგულ ენაზე); იხ. ცინცაძე, ი., *მასალები...*, გვ. 26.

მოწერილი 1496 წლის 10 ივლისს.[1] ამ წერილიდან ნათელი გახდა, რომ კონსტანტინემ მონაზონი ნილოსი რომის პაპთანაც გაგზავნა წერილითა და შესაბამისი ძღვენით. 1496 წელს ნილოსი უკვე რომშია. როგორც ამ საპასუხო წერილიდან ირკვევა, კონსტანტინეს რომის პაპისთვისაც მიულოცავს ესპანეთის დედოფლის გამარჯვება არაბებზე, უთხოვია დახმარება ევროპიდან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავისი მზადყოფნაც შეუტყობინებია. „ეგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ“, – წერდა პაპი ალექსანდრე VI კონსტანტინეს, მაგრამ აქვე დასძენდა, რომ იმხანად ევროპაში არ იყო სათანადო თანხმობა ასეთი ლაშქრობის წამოსაწყებად. თუმცა პაპი იმედს არ კარგავდა, ამხნევებდა ქართველთა მეფეს და საბოლოო გამარჯვების იმედს აძლევდა: „იმედი გვაქვს კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა და აგრეთვე სხვა ადგილის საპატრიარქოებიც დავიხსნათ, რადგან აქაური ქრისტიანე მთავრები ამას შემოგვპირდნენ. გარნა, სამწუხაროდ, ძველმა სულის მტერმა, ჩვენის ნატვრის და სასარგებლო რჩევის წინააღმდეგ, იმ მთავართა შორის განხეთქილების ღვარძლი დასთესა. მაგრამ, ქრისტეს შემწეობით, იმედი გვაქვს მალე შევარიგოთ და ესე ყოველივე ჩვენი ცდა მოვაქციოთ წინააღმდეგ სარწმუნოების მტერთა... და... მათზე სრულიად გავიმარჯვოთ“.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ კონსტანტინე მეფის ელჩობა პოლონეთში არ შეწყვეტილა. მონაზონმა ნილოსმა ევროპა გადაიარა და მეფის წერილი ძღვენი-

[1] თამარაშვილი, მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.* ტფ. 1902, გვ. 64-67.

თურთ რომის პაპს მიართვა. რომიდან საქართველოში გამომგზავრებისას მისი მგზავრობის უზრუნველსაყოფად რომის პაპი 1496 წლის 5 ივნისს სხვა წერილსაც წერს: „ქვეშევრდომ კაპიტანთ... ჯარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულოთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგით და თანამხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა, მობრუნება, დადგომა, გავლა და ღამით დარჩენა ყველა გზებსა, ნავთსადგურებსა, ხიდებსა და ქვეყნებში... და ხარჯი არაფერი გადაახდევინოთ“. ამიტომ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილს უკვე აღარ ეეჭვებოდა, რომ კონსტანტინეს წერილი ესპანეთში ჩავიდა. იგი მხოლოდ იმ პასუხზე ფიქრობდა, რომელიც ესპანეთის დედოფალს საქართველოში უნდა გამოეგზავნა: „რა პასუხი შემოუთვალა ესპანეთის ძლევამოსილმა დედოფალმა, არ ვიცით“.[1] ამავე აზრს იმეორებს ისტორიკოსი ი. ცინცაძეც: „რა პასუხით წამოვიდა ესპანეთიდან ქართველი ელჩი, ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვიცით. შესაძლებელია, ესპანეთის ხელნაწერებში ამის შესახებ ცნობა შენახული იყოს კიდეც, მაგრამ იგი არავის უძებნია დღემდე, მომავალში ასეთი მუშაობა ალბათ ჩატარდება“. [2] როგორც ირკვევა, ესპანეთის სამეფო კარს მართლაც არ დაუტოვებია ქართველთა მეფის წერილი უყურადღებოდ. საპასუხო წერილის არსებობაზე ჩვენს სამეცნიერო წრეებს პირველად მიუთითა და ამ წერილის მოკლე შინაარსი გამოაქვეყნა უნგრელმა მკვლევარმა ლაიოშ ტარდიმ.[3]

---

[1] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ...*, ტ. IV , გვ. 159.

[2] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა ...* გვ. 25-26.

[3] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში.* თბ. 1980, გვ. 81.

ესპანეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოს შესახებ დაცული მასალების ძიება ჩვენც უშალოდ კონსტანტინე მეფის წერილის ძებნით დავიწყეთ. მივმართეთ ყველა იმ არქივს, რომელშიაც, ესპანელი კოლეგების აზრით, შეიძლებოდა ეს წერილი ყოფილიყო დაცული. კონსტანტინე მეფის წერილი ვერ ვიპოვეთ, მივაგენით ქართველთა მეფისადმი ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას პასუხის სრულ ტექსტს, რაზედაც ასე ოცნებობდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

ფერდინანდისა და ელიზაბედის (იზაბელას) საპასუხო წერილის ტექსტი ქართველთა მეფის კონსტანტინესადმი ინახება *არაგონის სამეფო არქივში*, ქ. ბარსელონაში (საკანცელარიო საქმეები, რეესტრი 3607, ფურცლები 186-187), წერილი დაწერილია ქ. ბურგოსში 1495 წლის 30 ივლისს. ხელს აწერს, ისე როგორც ამ პერიოდის სხვა სამეფო წერილებს, მდივანი ლუის გონსალესი. არაგონის სამეფო არქივის დოკუმენტები გამოქვეყნებულია ანტონიო დე ლა ტორეს მიერ. ეს წერილი შესულია გამოცემაში: *დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ*, V ტომში (114-115 გვერდები), რომელიც გამოიცა ბარსელონაში 1965 წელს. წერილი, ისევე როგორც კათოლიკე ხელმწიფეთა მიმოწერა საზოგადოდ, შედგენილია ლათინურ ენაზე. გამომცემელი წერილს წინ ურთავს მოკლე რეზიუმეს ესპანურად: „კათოლიკე ხელმწიფეები საქართველოს იმპერატორს კონსტანტინე პანკრატიოსს უდასტურებენ წერილების მიღებას, რომლებიც მოიტანეს მისმა დესპანებმა, მონაზვნებმა - ნილოსმა და ზაქარიამ. მოუწოდებენ გააგრძელოს ბრძოლა ქრისტიანული რწმენისთვის. მოუთხრობენ საკუთარ ნამოქმედარს: მუსულმანებისა და იუდეველების გაძევება, დონ ფერნანდესის განზრახვა, რომ ბრძოლა გადაიტანოს აფრიკაში".

ქვემოთ მომყავს ქართული თარგმანი ფერდინანდისა და იზაბელას საპასუხო წერილისა კონსტანტინესადმი. თარგმანი შესრულებულია ანტონიო დე ლა ტორეს პუბლიკაციიდან. გამომცემელს ორგზის გამოუტოვებია ტრაფარეტული მიმართვა ღმერთისადმი (ანალოგიური მდგომარეობაა სხვა წერილების პუბლიკაციის შემთხვევაშიც), რაც ჩვენს თარგმანში, ისევე როგორც გამოცემულ ლათინურ დედანში, მრავალწერტილითაა აღნიშნული. ლათინური ენა წერილისა ერთგვარად გადახრილია კლასიკური ნორმებისგან ე. წ. *ხალხური ლათინურისკენ.*

„ფერდინანდი და ელისაბედი, ღვთის წყალობით მეფე და დედოფალი კასტილიისა... გულწრფელად მიესალმებიან უბრწყინვალეს კონსტანტინე პანკრატიოსს, ქართველთა საუკეთესო და უღირსეულეს იმპერატორს. მივიღეთ თქვენი წერილები ღირსეული მონაზვნების, თქვენი ბრწყინვალების მიერ ჩვენთან გამოგზავნილი ელჩების, ძმების ნილოსისა და ზაქარიას ხელით; რომელთა შემწეობით ამავე დროს გავიგეთ ზოგიერთი რამ, რაც მათ თქვენი სახელით გვიამბეს. ჩვენ ძლიერ გვახარებს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი რწმენა, რუდუნება და დაცვა კათოლიკური რელიგიისა; და, საპირისპიროდ ამისა, განვიცადეთ არც თუ მცირე ტკივილი, როცა გვაიმბეს იმ წუხილის, მღელვარებისა და ხიფათის შესახებ, რომელსაც განიცდის თქვენი ბრწყინვალება ყოველდღიურად. ამისდა მიუხედავად, ყველა შემთხვევაში უნ-და მადლი შევწიროთ უზენაეს ღმერთს და ბევრი ვილოცოთ მის წინაშე იმისათვის, რომ არა მხოლოდ თქვენ, არამედ მთელი ქრისტიანი ხალხი გაათავისუფლოს ურჯულოთაგან, დაგიცვათ თქვენ და მოგანიჭოთ მტერთა ძლევა. არ გვეეჭვება, რომ მოწყალე ღმერთი აღასრულებს ამას, თუ თქვენი ბრწყინვალება მომავალშიც, ისე როგორც დღეს, მტერთაგან თავდასაცავად იხმარს ყველა ღონეს და მგზნებარე სულით იღვაწებს კათოლიკური

რწმენის დაცვისა და განდიდებისათვის. და იმისათვის, რომ თქვენ აკეთოთ ეს და უარი არ თქვათ ამ განზრახვაზე, ჩვენ მიწყივ ვევედრებით თქვენს ბრწყინვალებას და მოგიწოდებთ ღვთის სახელით. რაც შეგვეხება ჩვენ, აქამომდე სწორედ ამგვარად ვიქცეოდით და, თუ უფალი ინებებს, მომავალშიც ამგვარად ვიმოქმედებთ. მართლაც, ბეტიკაში, ჩვენს სამფლობელოთაგან ყველაზე წარჩინებულ და ლამაზ პროვინციაში, ღვთის წყალობით, დავიბრუნეთ გრანადის სამეფო, რომელსაც ლიბიიდან მოსული არაბი მეფეები რვაასი წლის განმავლობაში ფლობდნენ, და ვაიძულეთ აგარიანნი გადასულიყვნენ ლიბიის ზღვაზე, გარდა ამისა, სრულად განვასხით ჩვენს სამეფოთა და სამფლობელოთაგან ყველა იუდეველი, რომელნიც დიდ-დიდ გუნდებად დაძრწოდნენ, მიჰქონდათ რა ზიანი ყველა კუთხეში. მაგრამ თუ, როგორც ჩვენ გვსურს და მოველით, ღვთაებრივი უზენაესობა ხელს შეუწყობს ჩვენს მისწრაფებებს, არავითარ შემთხვევაში არ განვუდგებით საკუთარ განზრახვას, რამეთუ არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფეს ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ჯარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის. სხვა მხრივ, ჩვენ ძლიერ დავაფასეთ საჩუქრები, რომლებიც მოხსენიებულმა ელჩებმა თქვენი ბრძანებების თანახმად ჩვენ მოგვართვეს; დიდ მადლობას ვუძღვნით მათთვის თქვენს დიდბუნებოვნებას. ამის გამო სულიერი მგზნებარებითა და კმაყოფილებით აღგითქვამთ, მოვიხმაროთ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პატივისა და სარგებლობისათვის და ქრისტიანული რწმენის ამაღლებისა და განდიდებისათვის. რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიამბეს, ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით. დაე, მათ გიამბონ; დაე, თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილად ირწმუნოს; დაე, უკვდავი ღმერთი

მფარველობდეს და წყალობდეს თქვენს მეფურ პიროვნებას, თქვენს სახელმწიფოს და სამეფოს თავისი მზრუნველობით...".

მოყვანილი წერილი ბევრ საკითხს სვამს ქართველ ისტორიკოსთა წინაშე. ვფიქრობთ, რამდენიმე გარემოება ამთავითვე საჭიროებს კომენტარს.

მიმოწერის თარიღი. კონსტანტინე მეფის წერილი იზაბელა დედოფლისადმი *ლიტვის მეტრიკის* იმ ნუსხაში, რომელიც 1823 წელს იპოვა და გამოაქვეყნა პოლონელმა ისტორიკოსმა ბუსემ და რომლისგანაც იგი მარი ბროსემ გადმობეჭდა 1850 წელს, დათარიღებულია 1465 წლის 10 მარტით. ამ თარიღმა ბროსე დააეჭვა, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა გამართლებას.[1] ივანე ჯავახიშვილმა პაპი ალექსანდრეს კონსტანტინესადმი გამოგზავნილი წერილის თარიღის საფუძველზე (1496 წ. 10 ივლისი) სავსებით სწორად ივარაუდა, რომ კონსტანტინეს წერილი იზაბელასადმი დაწერილია 1495 წლის 10 მარტს, შეცდომა ახსნა გრაფიკულ ნიადაგზე და მიიჩნია წერილის რუსულად თარგმნის ან გადაწერის დროს დაშვებულად.[2] *ლიტვის მეტრიკის* უფრო ძველი ნუსხის საფუძველზე მართლაც აშკარა გახდა, რომ ეს შეცდომა რუსული ხელნაწერის გადაწერის დროსაა დაშვებული[3]. ესპანეთიდან საქართველოში გამოგზავნილი საპასუხო წერილის თარიღი (1495 წლის 30 ივლისი) საბოლოოდ ადასტურებს, რომ ეს მიმოწერა საქართველოსა და ესპანეთის სამეფო კარს შორის 1495 წლით თარიღდება. საპასუხო წერილის თარიღმა ისიც დაგვანახვა, რომ ქართველი ელჩი უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე ვარაუდობდნენ. იასე ცინცაძე ასკვნის, რომ ქართველი

---

[1] ბროსე, მ., *საქართველოს ...*, პარიზი, გვ. 409 (ფრანგულ ენაზე).

[2] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ...* , ტ. IV , გვ. 153-154.

[3] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა ...* , გვ. 11.

დესპანი ესპანეთისკენ მოსკოვზე გავლით არ წასულა, რადგანაც შემახია-ბაქო-დარუბანდისა და ასტრახან-ვოლგის გზით მოსკოვამდე მგზავრობისათვის საჭირო იყო სულ მცირე ოთხი თვე და შემდეგ რუსეთში გამოზამთრება, ხოლო იგი 1496 წლის ივნისში პაპისგან სარეკომენდაციო წერილს იღებს და საქართველოში დაბრუნებას გეგმავს. „ეს იმის დამამტკიცებელია, – წერს მკვლევარი, – რომ ქართველი დესპანი 1495 წელს საქართველოდან გაზაფხულზე გამგზავრებული ესპანეთში იმავე წელს მივიდა.[1] როგორც ჩანს, დესპანს 1495 წლის ივლისის დამლევს უკვე ისტუმრებდნენ ესპანეთიდან. მას მეფესთან სიტყვიერი დანაბარები უკვე მოუსმენია და თან წასაღებ წერილსაც უმზადებენ.

ესპანეთიდან კონსტანტინე მეფისადმი გამოგზავნილი წერილის თარიღად ლ. ტარდის მიერ შეცდომითაა მითითებული 30 ივნისი.[2] ძნელი სათქმელია, ეს შეცდომა ბეჭდვის კორექტურაა, თუ იმ წყაროდან მოდის, რომლითაც ლ. ტარდი სარგებლობდა. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს, რამდენადაც ლ. ტარდის მიერ გადმოცემულ ამ წერილის მოკლე შინაარსში სხვა შეცდომებიცაა დაშვებული. მაგალითად: ლ. ტარდი წერს, თითქოს ესპანეთის მეფე და დედოფალი „მაღალ შეფასებას აძლევენ კონსტანტინეს წინადადებებს ესპანეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ".[3] როგორც წერილის მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მასში არავითარ ამგვარ წინადადებებზე არ არის საუბარი, ასევე არ ასახავს წერილში ჩამოყალიბებულ აზრს ზუსტად ლ. ტარდის კიდევ ერთი

[1] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა ...*, გვ. 81.
[2] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს ...*, გვ. 30.
[3] იქვე. გვ. 31.

ცნობა: „ფერდინანდი და იზაბელა მატერიალურ დახმარებას პპირდებიან საქართველოს მეფეს".[1]

იზაბელა თუ ელისაბედი. ივანე ჯავახიშვილი კონსტანტინეს წერილის რუსულ თარგმანში კიდევ ერთ შეცდომას ხედავდა. დედოფლის სახელი, რუსული ნუსხის მიხედვით, არის *ელისაბედი* („...самодержавной госпожи и царицы Элизаветы// Елисавети..."). [2] ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას იმაზე ამახვილებდა, რომ „არაბთა საბოლოო დამარცხება და ესპანიითგან განდევნა 1492 წელს მოხდა სწორედ იზაბელას დროსა და პირადი მონაწილეობით". და იქვე აგრძელებდა: „ბროსეს ეს ორი სახელი სინონიმებად მიაჩნია და საჭიროდ არც კი სთვლის, რომ აქ გადამწერის შეცდომა ვიგულისხმოთ".[3] ესპანეთის დედოფლის სახელი მის თანამედროვე ლათინურენოვან დოკუმენტებში და მათ შორის ამ წერილშიც არის *ელისაბეტი*. ესპანურ ტრადიციაში ეს სახელი დამკვიდრდა *ისაბელად*. ასეთივე ცვლილება განიცადა ამ წერილში მოხსენიებულმა მეფის სახელმა. ესპანეთის მეფესა და იზაბელა დედოფლის მეუღლეს წერილში *ფერდინანდუსი* ეწოდება. ესპანურ ტრადიციაში მისი სახელი დამკვიდრდა სხვაგვარად: *ფერნანდო*. ამგვარად წერს მეფის სახელს ამ დოკუმენტის გამომცემელი ლათინური წერილის წინ დართულ ესპანურ რეზიუმეში. ასე რომ, ჩვენი წერილის ფერდინანდუსი და ელისაბეტ თანამედროვე ესპანურ ენაზე უნდა გადმოვიდეს, როგორც *ფერნანდო* და *ისაბელი*. ჩვენ ვამჯობინეთ ქართულ თარგმანში დაგვეტოვებინა სახელის ფორმები, რომლებიც ესპანურ დედანში იყო: *ფერდინანდი* და *ელისაბედი*. ხოლო,

---

[1] იქვე.

[2] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა ...* , გვ. 73, 79.

[3] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ...* , ტ. IV , გვ. 153.

წინამდებარე ნარკვევში უპირატესობა მივანიჭეთ სახელთა იმ ფორმებს, რომლებიც ამ მეფეთა მიმართ დამკვიდრებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: *იზაბელა* (იხ. ივანე ჯავახიშვილი და სხვა ქართველი ისტორიკოსები) და *ფერდინანდი* (იხ. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*).

მეფეთა ტიტულები. კონსტანტინე მეფე ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში თავის თავს სრულიად საქართველოს მფლობელად თვლის: „ღვთისა ჩვენისა ქრისტეს ერთგული თვითმპყრობელი მეფე კონსტანტინე პანკრატოვანი, მეფე სრულიად ივერთა ქვეყნისა, ჯიქთა და მეგრელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა და *ტურბანთა*.“ სინამდვილეში კი სწორედ კონსტანტინეს მეფობის დროს დაირღვა საბოლოოდ საქართველოს მთლიანობა. კახეთში ალექსანდრე გიორგის ძე მეფობდა, იმერეთში – ალექსანდრე ბაგრატის ძე, ხოლო მესხეთში მძლავრობდა ყვარყვარე ათაბაგი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1490 წლიდან კონსტანტინე ოფიციალურად შეურიგდა ქვეყნის ამ დაქუცმაცებას და ზავი დასდო როგორც კახეთის, ასევე იმერეთის მეფესთანაც და ყვარყვარე ათაბაგთანაც.[1] როგორც ჩანს, ესპანეთის მეფისა და დედოფლისათვის საქართველოს დაქუცმაცებულობა საიდუმლოდ არ დარჩენილა. აკი ატყობინებდნენ კათოლიკე ხელმწიფეები კონსტანტინე მეფეს: „განვიცადეთ არც თუ მცირე ტკივილი, როცა გვიამბეს იმ წუხილის, მღელვარებისა და ხიფათის შესახებ, რომელსაც განიცდის თქვენი ბრწყინვალება ყოველდღიურადო“. ამიტომაა, რომ საპასუხო წერილში იზაბელა და ფერდინანდი კონსტანტინეს სახელს დებენ არა როგორც მეფეთ-მეფეს და სრულიად საქართველოს მპყრობელს, არამედ – „ქართველთა საუკეთესო და უღირსეულეს იმპე-

[1] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა* ... , გვ. 19.

რატორს", ე. ი. ქართველთა შორის უკეთეს და უფრო ღირსეულ მეფეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ სხვა მხრივ საპასუხო წერილში შენარჩუნებულია ქართველთა მეფის იმგვარი დასახელება, რომელიც საქართველოდან გაგზავნილ წერილში იყო. ამის ასახვაა მეფე კონსტანტინეს პანკრატიოსად მოხსენიება, რაც შეესატყვისება კონსტანტინეს მიერ გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანის „Константин панкратиос"-ს.[1] არ არის ზუსტი ლ. ტარდის ცნობა, თითქოს ესპანეთიდან გამოგზავნილ წერილში ქართველთა მეფეს „კონსტანტინე პანკრატიას უწოდებენ".[2]

ეს მიწერ-მოწერა საქართველოსა და ესპანეთს შორის ამ ორი ქვეყნისათვის ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ სიტუაციაში ხდებოდა. თუ ეს ხანა საქართველოსთვის პოლიტიკური ერთიანობის საბოლოოდ დაქუცმაცების ხანა იყო, ამავე დროს იგი დაქუცმაცებული ესპანეთის გაერთიანების ეპოქა იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესპანეთის გაერთიანება კასტილიის სამეფოდან დაიწყო სწორედ იზაბელა კასტილიელისა და ფერდინანდ არაგონელის შეუღლებით. ამიტომ უწოდებენ ამ წერილში კათოლიკე ხელმწიფეები თავიანთ თავს კასტილიის მეფესა და დედოფალს. ვფიქრობთ, რომ ქართველთათვის ესპანეთის სამეფო კარის გაძლიერების ეს სპეციფიკური ხაზი ცნობილია. ყოველ შემთხვევაში, იზაბელა კონსტანტინეს წერილში კასტილიის დედოფლად უნდა ყოფილიყო სახელდებული. ამას გვაფიქრებინებს კონსტანტინეს წერილის ჩვენამდე შემონახულ რუსულ თარგმანში დაცული მიმართვა დედოფალ იზაბელასადმი: „თვითმპყრობელ დედოფალსა და მეფეს ელისაბედს, ესპანეთის ციხე-ქალაქისა და ყოველთა ქრისტიანეთა ზედა ღვთით

---

[1] იქვე, გვ. 73, 79.

[2] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს* ... , გვ. 81.

დამტკიცებულს". ტიტული „ესპანეთის ციხე-ქალაქისა ზედა დამტკიცებული", რაც თარგმანია ძველი რუსულის „утверждаемого града испанейского".[1] მიუთითებს ესპანელი დედოფლის კასტილიელობაზე, ღვთის წყალობით კასტილიის მფლობელობაზე, როგორც ეს საპასუხო წერილშია მითითებული („ფერდინანდი და ელისაბედი ღვთის წყალობით მეფე და დედოფალი კასტილიისა"). საქმე ის არის, რომ ესპანური პროვინციის – კასტილიის სახელი წარმომდგარია ლათინური *კასტელლუმ* და ესპანურ *კასტელიო*-საგან (*კასტელლუმ* – გამაგრებული ადგილი; *კასტილიო* – ციხე-სიმაგრე). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ *ლიტვის მეტრიკაში* დაცული თარგმანი კონსტანტინეს წერილისა ლათინური დედნიდან უნდა იყოს შესრულებული. ვფიქრობთ, ლათინურ ენაზე დაწერილი წერილის რუსულად თარგმნისას შეიძლებოდა *კასტილიის დედოფალი* ესპანეთის ციხე-ქალაქის დედოფლად გადაკეთებულიყო. გვაგონდება ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კონსტანტინეს წერილი დედოფალ იზაბელასადმი საქართველოშივე უნდა ეთარგმნათ ან დაეწერათ ლათინურად.[2]

ნილოსი და ზაქარია. კათოლიკე ხელმწიფეთა წერილში კონსტანტინე მეფის დესპანებად დასახელებული არიან მონაზვნები *ნილოსი* და *ზაქარია*. კონსტანტინე მეფის დესპანი ესპანეთში რომ მღვდელ-მონაზონი *ნილოსი* იყო, ეს კონსტანტინეს წერილიდანაც ჩანდა. ეს *ნილოსი* ქართველთა მეფის მიერ ჯერ ეგვიპტის სულთანთან იყო მივლენილი, შემდეგ ესპანეთსა და იტალიაში გაიგზავნა. კონსტანტინე მეფე მას თავის „მოძღვრად და მესაიდუმლედ თვლის". მონაზონ ნილოსს მოიხსენიებს საპასუხო

[1] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა* ... , გვ. 73.
[2] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი* ... , ტ. IV, გვ. 152-154.

წერილში რომის პაპი ალექსანდრე VI: „თქვენის ელჩის, საყვარელის შვილის, ნილო მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი“.[1] პაპი მონაზონ ნილოსს სარეკომენდაციო წერილსაც აძლევს, რომელშიაც ის უბრძანებს ყველა მის ქვეშევრდომთ, ხელი შეუწყონ ქართველთა დესპანს. პაპი მას უწოდებს „წმინდა ბასილის წესის მონაზონს“.[2] კონსტანტინეს წერილის ძველ რუსულ თარგმანში ამ ნილოსს ეწოდება Корнил (18, გვ. 74).[3] ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „*კორნილიოს* რუსული თარგმანის დამახინჯება უნდა იყოს და წარმომდგარი იქნება *კურ-ნილოს*-ითგან... როგორც რუსული საბუთების ენაში მიღებული იყო“.[4] ესპანეთიდან მოწერილი წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველ დესპანს სახელად *ნილოსი* (ნილო) ერქვა.

ამ წერილში ნილოსთან ერთად ქართველთა დესპანად დასახელებულია *ზაქარია*. არასწორი ფორმითაა ეს სახელი დამოწმებული ლ. ტარდის მიერ: *ზაქირიში*.[5] ეს მეორე დესპანი არც კონსტანტინეს და არც პაპის ალექსანდრე VI-ს წერილში არ იხსენიება. მიუხედავად ამისა, ზაქარია დესპანის არსებობაში ეჭვს ვერ შევიტანთ. ის გარემოება, რომ მონაზონ ნილოსს ახლდნენ თანმხლები პირნი, ორგზისაა აღნიშნული პაპის სარეკომენდაციო წერილში: „...საგანგებოთ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომ კაპიტანთ, ჩვენის ჯარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიას კაპიტულოთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგით და თანმხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა...“; „... ვუბრძანებთ ყოველს და თვითეულს ჩვენს...

---

[1] თამარაშვილი, მ., *ისტორია კათოლიკობისა* ..., გვ. 64.

[2] თამარაშვილი, მ., იქვე, გვ. 67.

[3] ცინცაძე, ი., *მასალები პოლონეთისა* ... , გვ. 67.

[4] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი* ..., ტ. IV, გვ. 152.

[5] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს* ... , გვ. 31.

ქვეშევრდომ ძმათა... მიიღოთ ხსენებული მონაზონი ნილო ყველა თავისი მხლებლებით ჩვენს ქალაქებსა და ქვეყნებში...".[1]

ერთ გარემოებას კიდევ უნდა მიექცეს ყურადღება. წერილში ფერდინანდი და იზაბელა კონსტანტინე მეფეს ატყობინებენ: „მივიღეთ თქვენი წერილები...". როგორც ცნობილია, პოლონეთის არქივიდან ჩვენამდე შემონახულია კონსტანტინე მეფის მიერ ესპანეთში გაგზავნილი ერთი წერილის თარგმანი, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეორე წერილის გაგზავნა ესპანეთის სამეფო კარზე სხვა დროის ამბავია და მისი მიმტანი აქვე დასახელებული დესპანი ზაქარია უნდა იყოს. ამგვარი ვარაუდი არ იქნება სარწმუნო. საქმე ის არის, რომ ესპანეთის სამეფო კარზე ქართველ მეფეებს სხვა დროსაც რამდენიმე ენაზე შედგენილი წერილები ერთდროულად გაუგზავნიათ. ასე მაგალითად, ქართლის მეფის სიმონ პირველის მიერ ესპანეთის მეფის ფილიპე მეორისადმი ერთდროულად რამდენიმე ენაზე იყო გაგზავნილი წერილები. ეს წერილები ინახება სიმანკის არქივში (ე. ლეგ.. 703). ქართველ დესპანს, ნილოსს ესპანეთის დედოფლისადმი კონსტანტინე მეფის წერილები რომ მიჰქონდა, ესეც დადასტურებულია კონსტანტინეს წერილით: „მაშინვე საჩქაროდ თქვენს მეუფებასთან დაბეჭდილი წერილებით, მოძღვარი და მესაიდუმლე ჩემი, იგივე მღვდელ-მონაზონი კირნილო გამოვგზავნეთ. წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენს გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან". და ბოლოს, ფერდინანდი და იზაბელა თავიანთ საპასუხო წერილში ნილოსსა და ზაქარიას ერთად ასახელებენ და მათთან ერთდროულად შეხვედრაზე ლაპარაკობენ.

კათოლიკური რწმენა. ესპანეთის კათოლიკე ხელმწიფეები ქართველთა მეფეს ქრისტიანული რელიგიისადმი თავგანწირულ

[1] თამარაშვილი, მ., *ისტორია ...*, გვ. 67.

სამსახურს უწონებენ: „ჩვენ ძლიერ გვახარებს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი რწმენა, რუდუნება და დაცვა კათოლიკური რელიგიისა"; „მოწყალე ღმერთი აღასრულებს ამას, თუ თქვენი ბრწყინვალება მომავალშიც, ისე როგორც დღეს... მგზნებარე სულით იღვაწებს კათოლიკური რწმენის დაცვისა და განდიდებისთვის".

იბადება კითხვა: „კათოლიკურ რელიგიასა" და „კათოლიკურ რწმენაზე" ამ წერილში ზოგადად ქრისტიანული რელიგიის, ჭეშმარიტი, საყოველთაო ქრისტიანული რწმენის მნშვნელობითაა ლაპარაკი, თუ მასში კონკრეტულად კათოლიკური ქრისტიანობა იგულისხმება? ვფიქრობთ, არ შეიძლება ესპანელ ხელმწიფეთა წერილში საკუთრივ კათოლიკური რწმენის ხაზგასმის უარყოფა. ფერდინანდი და იზაბელა ესპანეთის ისტორიაში კათოლიკე ხელმწიფეებად არიან მიჩნეულნი. დედოფალი იზაბელა ზედწოდებით *კათოლიკე იზაბელად* იწოდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მეფეთა დროს დაიწყო ე. წ. ინკვიზიცია ესპანეთში და ცეცხლითა და მახვილით იქნა ჩახშობილი ყოველგვარი რელიგიური განდგომილება. მეორე მხრივ, კონსტანტინე მეფის პოზიციაც იძლევა საშუალებას კათოლიკური რელიგიისადმი ერთგვარ ორიენტაციასა (თუ შემწყნარებლობაზე) ვილაპარაკოთ. მართალია, ამის შესახებ არაფერია თქმული კონსტანტინე მეფის წერილის ძველ რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანში, მაგრამ პაპის ალექსანდრეს წერილიდან აშკარად ჩანს, რომ მეფე კონსტანტინეც პაპისადმი მიწერილი წერილით და მისი დესპანი ნილოსი პირადად ამჟღავნებდნენ ორიენტაციას კათოლიკური აღმსარებლობისადმი: „... მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას...". პაპის წერილიდან ჩანს, რომ კონსტანტინე მეფე რომის პაპს სთხოვს, გაუგზავნოს ფლორენციის კრების გადაწყვეტილება, რომელსაც თავის დრო-

ზე (1487-1489 წწ.) საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა ხელი არ მოაწერეს,[1] და აღუთქვამს მის დაცვას: „...თქვენის ორატორის ნილოსის პირით მევედრებით, თქვენს დიდებულებას გამოვუგზავნო სარწმუნოების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარ ხსენებულის პაპის ევგენიო მეოთხის დროს იქნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე და რომელსაც მსოფლიო ეკლესია თუ ლათინისა და თუ ბერძნისა ეთანხმება, რათა თქვენ და თქვენი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა...".

მიმოწერის შედეგები. ესპანეთის სამეფო კართან მიმოწერას საქართველოს გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად არსებითი შედეგი არ გამოუღია. საინტერესოა, გარდა იმ ლოცვა-კურთხევისა და დარიგებებისა, რაც ესპანეთის მეფემ და დედოფალმა კონსტანტინეს შემოუთვალეს, ფიქრობდნენ თუ არა ისინი საქართველოსათვის რაიმე ფორმით რეალურ დახმარებაზე. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია წერილის ერთი ფრაზა: „...სულიერი მგზნებარებითა და კმაყოფილებით აღგითქვამთ მოვიხმაროთ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პატივისა და სარგებლობისათვის...", – წერდნენ კათოლიკე ხელმწიფენი კონსტანტინე მეფეს. რა იმალებოდა ამ სიტყვების მიღმა წერილიდან ძნელად ამოსაცნობია. საქმე ის არის, რომ არსებით სახელმწიფოებრივ საქმეებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა ზეპირი გზით წარმოებდა. კონსტანტინე ატყობინებდა იზაბელა დედოფალს: „წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან (მონა-

[1] ჟუჟუნაძე, ო., „XV საუკუნის..., გვ. 5-28; მამისთვალიშვილი, ე., *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნეში.* თბ. 1981, გვ. 99.

ზონ ნილოსისაგან), რადგანაც გზაზე მრავალი მტერია". მეფე და დედოფალიც უდასტურებდნენ კონსტანტინეს: „რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიამბეს, ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით". რა უპასუხეს ესპანეთის ხელმწიფეებმა ელჩებს? რა კავშირი აქვს საქართველოს მძიმე პოლიტიკურ სიტუაციასთან ესპანეთის სამეფო კარის სურვილს, რომელზედაც მეფე და დედოფალი კონსტანტინეს ატყობინებდნენ: „არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფეს ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ჯარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის"? როგორი მიმართება შეიძლება ჰქონდეს ამ განზრახვას კონსტანტინე მეფისა და აფრიკის ერთ-ერთი მაჰმადიანი სულთანის, ეგვიპტის მამლუკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ად-დინ კაიტბეის მოლაპარაკებასთან? საქართველოს მეფეებს ეგვიპტის მბრძანებლებთან ხომ დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდათ?! კონსტანტინე მეფემაც ხომ აცნობა ამის შესახებ დედოფალ იზაბელას: „ახლა კი გავიგეთ და მტკიცე იმედიც გვაქვს, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი უღვთო აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანჭებს. რომელ საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირნილოს ეგვიპტის სულთანთან ქაიროში წარვგზავნეთ, რომელმაც იგი დიდი სიხარულით მიიღო. ჩვენ სხვა მხრივ ურწმუნოებთან საერთო არაფერი გვაქვს"?! ამ განზრახვათა და ვარაუდთა ამოცნობა დღეისათვის ალბათ შეუძლებელია; ხოლო ესპანეთის მეფისა და დედოფლის სიტყვიერი დანაბარები არა თუ ჩვენამდე, თვით კონსტანტინე მეფემდე მივიდა თუ არა, ისიც კი არ ვიცით. საზოგადოდ კი, რა თქმა უნდა, ქართული სამეფო კარის ცდა დასავლეთ ევროპიდან არსებითი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის მოპოვებისა განუხორციელებელი ოცნება იყო. ევროპის თითოეულ ქვეყანას თავისი საკუთარი

დამოკიდებულება ჰქონდა აღმოსავლეთთან, კერძოდ, თურქეთთან და საქართველოს მდგომარეობის გამოსასწორებლად საკუთარ პოლიტიკას ისინი ვერ შეცვლიდნენ. „დასასრულ, – როგორც სავსებით სწორად აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, – აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკოსებს ესპანეთის სამეფოს სამხედრო ძლიერებაზეც გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ, ვერც ის გარემოება გაუთვალისწინებიათ, თუ რა დიდი მანძილისა და, მაშასადამე, რამდენი დაბრკოლების დაძლევა იყო საჭირო, რომ ესპანეთიდან კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა“.[1]

[1] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ...*, ტ. III, გვ. 454.

დანართი: ესპანეთის მეფეთა 1495 წლის წერილი ქართველთა მეფის კონსტანტინე მეორესადმი (*არაგონის სამეფო არქივი*, რეესტრი 3607, ფურცლები 186-187. ფოტოასლი ანტონიო დე ლა ტორეს პუბლიკაციიდან: *დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ*, ტ. V. ბარსელონა 1965, გვ. 114-115).

172 30-VII-1495. Burgos 3/07. 186 v.-187

Los Reyes Católicos a Constantino Pancracio, emperador de Georgia, acusando recibo de cartas, traídas por sus oradores, fray Nilo y fray Zacarías, exhortándole a seguir luchando por la fe cristiana, y exponiendo lo hecho por ellos: expulsión de moros y judíos, propósito de don Fernando de llevar la guerra a África.

Ferdinandus et Elisabet Dei gracia rex et regina Castelle.... serenissimo Constantino Pancratio, optimo et dignissimo Georgianorum imperatori, salutem plurimam dicunt. Reddite sunt nobis littere vestre, per venerabiles, religiosos, oratores vestros, fratres Nilum et Zachariam, a vestra serenitate ad nos destinatos, ex quibus pariter accepimus nonnulla, que nomine vestro retulerunt. Et inprimis summopere gaudemus de vestra erga Catholicam religionem fide studio et observancia, et e contra non mediocri dolore afficimur ex his que de molestiis, erumnis atque periculis, in quibus serenitas vestra quotidie versatur, nobis relata sunt. In omnibus tamen Deus optimus maximus laudandus est, et summopere orandus vt, et vos et cunctum regnum christianum, a cervicibus et potestate infidelium eruat et custodiat et victorem faciat; quod suam diuinam clementiam facturam non dubitamus, si vestra serenitas totis, vt hactenus fecit, viribus atque presenti animo, pro fidei Catholice defensione et augmento, hostibus resistendum carnaerit; idque vt faciat, neque incepto desistat, serenitatem vestram etiam atque etiam rogamus et in Domino exhortamur. Quod

autem ad nos attinet, idem et fecimus hactenus et anuente Deo deinceps facturi sumus. Nam et regnum Granate; quod reges Arabum, a Libia venientes, in Bethica, nobilisima et pulcherrima dominiorum nostrorum prouincia, octingentos uel circiter annos occupauerant, diuina cooperante manu, recuperauimus, et agarenos Libicum mare transire coegimus; et insuper iudeos omnes, quorum magna et perniciosa multitudo vbique vagabatur, a regnis et dominiis nostris radicitus expulimus. Quod si, vt cupimus et speramus, diuina Maiestas studiis nostris aspirauerit, incepto minime desistemus; nichil enim tantopere nobis Ferdinando regi cordi est, quam exercitum in Africam traducere, bellumque contra ex leges pro fidei Catholice exaltacione constanter gerere. Ceterum oblationes, quas predicti oratores verbis vestris nobis fecerunt, magnifacimus, et pro his humanitati vestre ingentes gracias agimus; offerentes nos propterea vires, opes, facultates regnaque et dominia nostra, pro honore et comodis vestris ac fidei Catholice exaltacione et augmento, libenti et grato animo impensuros. Quantum vero ad alia, que memorati oratores nobis retulerunt, eis abunde respondimus; que referent, placeat vestre serenitati eis fidem prestare. Immortalis Deus vestram regiam personam, statum atque regnum in suis obsequiis sospitet atque secundet ...

L. Gonçales, secretarius.

სიმონ ქართლის მეფის წერილები ესპანეთში*

ქართველთა მეფის, კონსტანტინე II-ის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის უშედეგო მცდელობის შემდეგ ერთი საუკუნე გავიდა. ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის საკითხი ისევ დღის წესრიგში იდგა. XVI საუკუნის დამლევს ამგვარი კოალიციის შექმნის ინიციატივა რომის პაპმა, კლიმენტი VIII-მ და გერმანიის იმპერატორმა, რუდოლფ II-მ ითავეს. მათ წერილებს დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ქართლის მამაცი მეფე, ოსმალეთის დაუძინებელი მტერი, სიმონ I. მცირე აზიაში შეიკრა ანტიოსმალური კოალიცია, სპარსეთის შაჰის აბასის, ქართლის მეფის სიმონის და კახეთის მეფის, ალექსანდრეს მონაწილეობით. ქართველებმა კვლავ მიაპყრეს იმედის თვალი იმხანად ძლიერ ესპანეთის სამეფოს, სადაც მეფობდა სახელგანთქმული მეფე ფილიპე II. 1596 წლის აგვისტოში სიმონს წერილები მიუწერია ფილიპე მეორისადმი. უცნობებია ოსმალთა წინააღმდეგ აღმოსავლეთის სამი მეფის შეკავშირების ამბავი. უთხოვია, რომ კავშირი დაემყარებინა გერმანიის იმპერატორსა და ტრანსილვანიის მთავართან, რომ მათაც დაეწყოთ სამხედრო ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ.

უცნობი დოკუმენტი სიმანკის არქივში. სიმონ ქართლის მეფის წერილები ფილიპე მეორისადმი ესპანეთში სიმანკის არქივში იპოვა და ფრანგული თარგმანებითურთ გამოაქვეყნა არმენისტმა ფრედერიკ მაკლერმა 1921 წელს.[1] შემდგომში ამ პუბლი-

---

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში", #6, 1986 წ.

[1] მაკლერი, ფ., „შენიშვნები სომხურ ხელნაწერებზე": *რევიუ დეს ეტიუდ არმენიენ*, ტ. I, ნაწ. I, გვ. 68-80; ნაწ. II, გვ. 85-89 პარიზი 1920-21. (ფრანგ. ენაზე). Macler, F., "Notices de Manuscrits Arméniens": *Revue des Études Arméniennes.* Tome I, Fascicule 1, p. 68-80; T. 1, Fasc. 2, p. 85-89 (Paris 1920-21).

კაციასა და სიმონ მეფის მიმოწერაზე ევროპის სხვა არქივებში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით სიმონ მეფის მოღვაწეობა მრავალგზისი განხილვის საგანი გახდა.[1] ფ. მაკლერის მიერ სიმანკის არქივიდან სიმონ ქართველთა მეფის მიმოწერასთან დაკავშირებით არსებული მასალიდან გამოქვეყნებული იყო ოთხი დოკუმენტი: სიმონ მეფის წერილი სომხურ ენაზე (ფოტო და ტექსტი ორიგინალის ენაზე ფრანგული თარგმანითურთ),[2] სიმონ მეფის წერილი ბერძნულ ენაზე (ფოტო და ტექსტი ორიგინალის ენაზე),[3] ძველი ესპანური თარგმანი სიმონ მეფის სომხური წერილისა (ესპანური ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ),[4] ძველი ესპანური თარგმანი სიმონ მეფის ბერძნული წერილისა (ესპანური ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ).[5] ყველა შემდგომი თარგმანი ან პუბლიკაცია სიმონ მეფის ესპანეთში მიწერილი წერილებისა და მსჯელობა მათზე, ფ. მაკლერის გამოქვეყნებულ დოკუმენტებს ემყარება. როგორც ირკვევა, არმენისტმა ფ. მაკლერმა, სიმანკის არქივის სახელმწიფო დოკუმენტების 703-ე შეკვრიდან (Estado leg. 703), გამოაქვეყნა მხოლოდ ის მასალა, რომელიც სიმონის სომხურ ენაზე გაგზავნილი ერთი წერილის ინტერპრეტაციისათვის იყო საჭირო. ამავე საარქივო საქმეში, სიმონ მეფის წერილების თაობაზე შენახულია სხვა დოკუმენტიც, რომელზედაც ფ. მაკლერს

---

[1] გაბაშვილი, ვ., „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან": *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკ. 31. თბ. 1954, გვ. 59-128; ტარდი, ლ., „საქართველოს მეფე სიმონ I მისი დროინდელი ცენტრალური ევროპის წყაროების შუქზე": *რევიუ დე კარტველოლოჟი*, ტ. XXXI, 1973, გვ. 187-206; ტ. XXXII, 1974, გვ.147-174 (ფრანგ. ენაზე), Tardy L.,"Le Roi Simon Ier á la lumiére des sources d'Europe Centrale, contemporaines de son époque": *Revue de Kartvélologie*, vol. XXXI, 1973, pp. 187-205; vol. XXXII, 1974, pp. 147-174 (Paris); ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*. თბ. 1984.

[2] მაკლერი, ფ., „შენიშვნები ..." , I, გვ. 70-74.

[3] მაკლერი, ფ., იქვე, 1, გვ. 75-76.

[4] მაკლერი, ფ., იქვე, 1, გვ. 76-80.

[5] მაკლერი, ფ., იქვე, 2, გვ. 85-89.

ყურადღება არ მიუქცევია. ამდენად, დღემდე არც ამ დოკუმენტის ტექსტი ყოფილა გამოქვეყნებული და არც მასში დაცული ცნობები გამხდარა ქართველ ისტორიკოსთა განხილვის საგანი.[1]

დოკუმენტი (სიმანკის არქივი E. 703), რომელიც ამჟამად ჩემი განხილვის საგანია, წარმოადგენს ფილიპე II-ის სამეფო კარზე შესრულებულ ჩანაწერს, გამიზნულს სიმონ მეფისადმი საპასუხო წერილის შესადგენად. დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი არის სიმონ მეფის ბერძნულ ენაზე გაგზავნილი წერილის მოკლე რეზიუმე და გამიზნულია იმისთვის, რომ მოხსენდეს ფილიპე მეორეს. იგი დაწერილია ორ ფურცელზე, მხოლოდ მარცხნივ დატოვებულია საკმაოდ ფართო აშია, თითქმის ნახევარი გვერდის ოდენობისა. მეორე ნაწილი ამ დოკუმენტისა, რომელიც შესრულებულია, როგორც ჩანს, სხვა დროს, არის მინაწერი სწორედ ამ აშიაზე. იგი უნდა წარმოადგენდეს ფილიპე მეორის პასუხის ჩანაწერს.[2] ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ დოკუმენტის ესპანელი კოლეგების კონსულტაციით ჩემ მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს: (ასლის ფოტო თან ერთვის ამ ქვეთავს – დანართი 1).

---

[1] ამ დოკუმენტს, როგორც ჩანს, იცნობდა ლ. ტარდი, რაც ირკვევა მისი გამოკვლევის ერთი სქოლიოდან (იხ. *Revue de Kartvélologie*, XXXII, გვ.158).

[2] დოკუმენტის ძირითადი ტექსტი დაწერილია 2 გვერდზე, შედარებით წვრილი კალმით და მკრთალად. იგი შედგება, სათაურის ჩათვლით, 40 სტრიქონისაგან, პირველ გვერდზე მოთავსებულია 24 სტრიქონი, მეორეზე – 16. ნაწერის ზომაა, პირველ გვერდზე, 13X26 სმ., მეორე გვერდზე – 13X17 სმ. დოკუმენტის მეორე ნაწილი ანუ მინაწერი შესრულებულია უფრო მსხვილი კალმით და მუქად. ნაწერი მოთავსებულია პირველი გვერდის მარცხენა ნახევრის ზემო მხარეს, ზომით 7X8 სმ., 10 სტრიქონი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს სტატია ამ დოკუმენტის განხილვითა და ქართული თარგმანით პირველად გამოვაქვეყნე 1986 წელს. 1993 წელს ამ ესპანური საარქივო ჩანაწერის ქართული თარგმანი, ჩემ პუბლიკაციაზე მითითების გარეშე, გამოაქვეყნა ი. ტაბაღუამ (ლ. ხილ ფერნანდესი, ი. ტაბაღუა, *დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში*. მადრიდი 1993, გვ. 121, 368-9).

ძირითადი ტექსტი:

„რეზიუმე წერილისა მისი უდიდებულესობის ქართველთა ბატონისა და მთავრის სიმეონისათვის.

რომ არიან რა თვითონ და მისიანები თურქეთის მოხარკენი, გადაწყვიტეს აღდგნენ მის წინააღმდეგ, რისკენაც მოუწოდა მას იმპერატორმა, თავისი წერილებით.

ასეთივე გადაწყვეტილება მიუღიათ აგრეთვე აღმოსავლეთის მთავარს, ალექსანდრეს და შიაბეს სპარსელს და სამივე მთავარს მტკიცედ გადაუწყვეტიათ იბრძოლონ თურქის წინააღმდეგ და დაამსხვრიონ მისი რქა წმინდა ქალაქის, იერუსალიმის და ქრისტიან ხალხთა გასათავისუფლებლად.

და ამისათვის თხოვენ მის უდიდებულესობას გაერთიანდეს იმპერატორთან და არ მისცეს მას უფლება, თურქთან დაზავებისა, რათა მასთან ერთად არ წავიდეს მათ წინააღმდეგ.

რომ იგი და მასთან ერთად ყველა დიდი მთავარი მზად არიან, დაითმინონ ტანჯვა და აღესრულონ ქრისტიანული რწმენისათვის.

ღმერთო ჩემო, აი, მცდელობა, რათა, როგორც ითქვა, იერუსალემი და უფლის საფლავი დაბრუნდეს ქრისტიანთა ხელში, რის რწმენაშიც იგი არის მყარი და უცვლელი, რათა ეწამოს და მოკვდეს მისთვის და თქვენი უდიდებულესობისა და იმპერატორისათვის.

რომ თქვენმა უდიდებულესობამ ჩათვალოს, იგი ღირსად პასუხისა და მოსმენისა და რომ შეიძლებოდეს პასუხის მიცემა მომტანისათვის.

ასევე ითხოვს, რომ მისი უდიდებულესობა თავისი წერილებით შეუთანხმდეს სპარსეთის მეფეს, რათა საუკეთესოდ განახორციელოს თავისი კეთილი განზრახვა და დაასრულოს საქმე“.

აშიაზე მინაწერი

„ეპასუხოს მათ გამამხნევებლად, რათა გააგრძელონ შეუპოვრობა და გაიგზავნოს წერილი ბერძნულად, ეცნობოს რა გაუკეთდა სპარსელს.

ამის ასლი გაეგზავნოს დონ გილიენს, რათა დაეხმაროს მათ იმპერატორის წინაშე.

გააგებინეთ ამის შესახებ ჰერცოგ დე სესას“.

სიმანკის არქივის სახელმწიფო საქმეების 703-ე შეკვრაში არის კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტის თავფურცლად. მასში იკითხება იმავე საკანცელარიო ხელით შესრულებული შვიდი სტრიქონი, რომელიც ადასტურებს და აზუსტებს ამ დოკუმენტის ცნობებს. ამ ფურცელზე წერია:

„რეზიუმე ქართველთა მთავრის წერილისა უპასუხა მისმა უდიდებულესობამ ქართველს ბერძნულ ენაზე [.] ივლისს 98 და მიეწერა ამის შესახებ ჰერცოგ დე სესას და დონ გილიენ დე [..] კლემენტს“.

გამოქვეყნებული დოკუმენტი, ჩემი აზრით, კომენტარს საჭიროებს.

ამ დოკუმენტის ფურცლებზე ასახულია ესპანეთის მეფის ფილიპე მეორის კანცელარიაში სიმონ ქართველთა მეფის წერილზე გასაგზავნი პასუხის მომზადების პროცესი. დოკუმენტში შემონახულია ის ტექსტი, რომელიც უნდა მოეხსენებიათ მეფისათვის. ტექსტში ჩანს ერთგვარი კანცელარული, თითქოსდა თეზისური სტილი: „რომ არიან რა თვითონ...“ „რომ იგი და მასთან ერთად...“, „ღმერთო ჩემო, და მცდელობა, რათა... იერუსალემი და უფლის საფლავი დაბრუნდეს ქრისტიანთა ხელში...“. ამავე დროს, აქვე იგრძნობა ერთგვარი ცდა იმისა, რომ ამბის გადაცემამ ხელმწიფე კეთილად განაწყოს ამ წერილისადმი და პასუხი გაეცეს მას: „რომ თქვენმა უდიდებულესობამ ჩათვალოს იგი ღირსად პასუხისა და მოსმენისა და რომ შეიძლებოდეს პასუხის მიცემა მომტანისათვის“. ამავე დოკუმენტს შემოუნახავს

ჩანაწერი ფილიპე მეორის ბრძანებისა იმის თაობაზე, თუ რა უნდა მიეწეროს ქართველთა მეფეს და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მისი თხოვნის საპასუხოდ. ასე რომ, ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა შემდგარიყო საპასუხო წერილი სამეფო კანცელარიაში. ამიტომაც, ვფიქრობთ, გამართლებულია დოკუმენტის ერთგვარად ბუნდოვანი სათაური: „რეზიუმე წერილისა მისი უდიდებულესობის ქართველთა ბატონისა და მთავრის სიმეონისათვის".

როგორც ჩანს, ფილიპე მეფეს სიმონის წერილების შინაარსი ბერძნული წერილის მიხედვით მოახსენეს. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ გამოქვეყნებულ დოკუმენტში შეტანილი რეზიუმე ქართველთა მეფის წერილისა სიმანკის არქივში დაცული სიმონ მეფის წერილის სამი სხვადასხვა ვერსიიდან (სომხური, ბერძნული და ძველი ესპანური თარგმანი სომხური წერილისა), მისდევს ბერძნულს. ყველა ის თავისებურება, რაც ბერძნულ ვერსიას ახასიათებს, დანარჩენ ორთან შედარებით, გადასულია რეზიუმეში. ასე მაგალითად: ქართველთა მეფე სიმონი ამ დოკუმენტში სახელდებულია, როგორც „ქართველთა ბატონი და მთავარი", რაც პირდაპირაა ამოღებული სიმონის ბერძნული წერილის ფილიპე მეორის სამეფო კარზე შესრულებული ესპანური თარგმანიდან.[1] ქართველთა მეფის წერილის სამი ვერსიიდან მხოლოდ ბერძნულშია საუბარი თურქთა მიმართ ხარკის გადახდაზე.[2] ჩემ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშიც იკითხება: „რომ არიან თვითონ და

---

[1] სიმონ მეფის ბერძნული წერილი ფილიპე მეორის კარზე უთარგმნია სამეფო კანცელარიის მთარგმნელს, ნიკოლაო დე ლა ტორეს, რაც მიწერილია ამ თარგმანის დასასრულს: „თარგმნილი ნიკოლაო დე ლა ტორეს, ბერძნულიდან ესპანურად სამეფო მთარგმნელის მიერ" (მაკლერი, ფ., „შენიშვნები...": იხ. *Revue des Études Arméniennes*. T. 1, Fasc. 2, გვ. 86).

[2] მაკლერი, ფ., „შენიშვნები ...", 1, გვ. 75; მაკლერი, ფ., „შენიშვნები...": *Revue*..., 2, გვ. 85.

მისიანები თურქის მოხარკენი". ქართველთა მეფეების მოკავშირე შაჰ აბასი სიმონ მეფის სხვადასხვა წერილში სხვადასხვაგვარად იხსენიება. ბერძნულში მას ეწოდება *შიაბეს სპარსელი*. ამგვარადვე გადასულა ეს სახელი აქვე გამოქვეყნებულ რეზიუმეში. აღმოსავლეთის სამი მეფის განზრახვის თაობაზე ფილიპე მეორეს ამგვარად აცნობებენ: „სამივე მთავარს მტკიცედ გადაუწყვეტიათ იბრძოლონ თურქის წინააღმდეგ და დაამსხვრიონ მისი რქა წმინდა ქალაქის იერუსალემის და ქრისტიან ხალხთა გასათავისუფლებლად". გამოთქმა – „დაამსხვრიონ მისი რქა" – სიტყვა-სიტყვით მომდინარეობს სიმონ მეფის ბერძნული წერილის ესპანური თარგმანიდან და იგი არ ჩანს სიმონ მეფის წერილის არც ერთ სხვა ვერსიაში. სომხურ წერილში ეს აზრი სხვაგვარადაა გადმოცემული: „თურქს თავს მოვჭრით".[1] – „თავი გავუჭეჭყოთ თურქს",[2] სიმონ მეფის ბერძნული წერილის ეს სპეციფიკური გამოთქმა, როგორც ფ. მაკლერმა შენიშნა,[3] სათავეს ბიბლიიდან, წინასწარმეტყველთა წიგნებიდან იღებს (შდრ. იერემია XLVIII, 25; დანიელი, VII, 11, 20. 21; VIII, 5. 8. 9. 21; მიქია, IV, 13).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტი იმითაა, რომ მასში ჩანს ესპანეთის მეფე ფილიპე მეორის გამოხმაურება სიმონ პირველის წერილებზე. როგორც ჩანს, ესპანეთის ხელმწიფემ ყურად იღო სიმონ მეფის თხოვნა და სათანადო მითითებები მისცა თავის წარგზავნილებს იმპერატორისა და პაპის კარზე. აქედან ისიც ჩანს, რომ ესპანეთის მეფესთან თათბირისას გათვალისწინებულია სიმონ მეფის არა მხოლოდ ბერძნულ ენაზე დაწერილი წერილი, არამედ სხვა წერილიც, რო-

---

[1] ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*. თბ. 1983. გვ. 223.

[2] გაბაშვილი, ვ., „ქართული ...", გვ. 94.

[3] მაკლერი, ფ., „შენიშვნები...", 2, გვ. 88.

მელიც დღეისათვის სიმანკის არქივში მხოლოდ ესპანური თარგმანითაა დაცული. მხოლოდ ამ წერილში უამბობს სიმონ მეფე ფილიპეს თავის ურთიერთობაზე პაპთან და სთხოვს, თავის მხრივ დაუკავშირდეს მას. ესპანეთის მონარქი ფილიპე კი, როგორც მისი მითითებების განხილვისას ვნახეთ, მოითხოვს, გამამხნევებელი წერილი გაეგზავნოს ქართველთა მეფეს და ბრძანებს, რომ ასლი წერილისა გადაეგზავნოს მის წარგზავნილებს იმპერატორის კარზე დონ გილიენ დე კლემენტეს, რათა დახმარება აღმოუჩინოს ქართველებს იმპერატორთან ურთიერთობისას. მეფე მოითხოვს, აგრეთვე, ეს ამბავი გააგებინონ ჰერცოგ დე სესას.[1] მეფის ბრძანების შესრულების თაობაზე გვაუწყებს ამ დოკუმენტის თავფურცელი.

საპასუხო წერილი, მეფის ბრძანების თანახმად, ბერძნულ ენაზე შედგენილი, ფილიპე მეორის სამეფო კარიდან საქართველოში გამოიგზავნა. მართალია, ამ დოკუმენტის თავფურცელზე წერილის გამოგზავნის თარიღი წერია, მაგრამ ძნელი ამოსაკითხია, როგორც რიცხვი ამ თარიღისა, ასევე წელი. გარკვევით იკითხება მხოლოდ თვე – ივლისი. გაურკვეველია, მითითებული წელი არის 97 თუ 98.

სიმონ მეფის წერილები ფილიპე მეორისადმი, როგორც ჩანს, ევროპაში უნდა წაეღო, თანახმად მკვლევართა ვარაუდისა[2] სიმონის ცნობილ დესპანს – სომეხ ვაჭარს, იაკობ ჯულფელს (ევროპული წყაროებით მამა ჯაკობი, დონ ჯაკონო, დონ ჯაკოპო). იაკობს ჩაუტანია ევროპაში არა მარტო ქართლის მეფის სიმონის, არამედ შაჰის წერილებიც. და, შესაძლებელია, კახეთის მეფის, ალექსან-

---

[1] ლ. ტარდი აზუსტებს, რომ დონ გილიენ სან კლემენტეს წერილი გაეგზავნა პრაღაში, ხოლო პრინც სესას – ვატიკანში (*Revue de Kartvélologie*, XXXII, გვ. 158).

[2] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში*. თბ. 1980, გვ. 167.

დრეს წერილებიც. ზოგი წერილი მას მიჰქონდა იტალიაში, სხვა გერმანიის იმპერატორთან, თუ ტრანსილვანიის მთავართან. სხვა დესპანი, რომელსაც ამ პერიოდში საქართველოდან ევროპაში წერილები მიჰქონდეს, არც ევროპულ და არც ქართულ წყაროებში არ ჩანს. მამა იაკობი კი ევროპაში წასულა 1597 წლის დასაწყისში.[1] 1597 წლის ევროპული გაზეთები საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს იძლევიან ევროპაში იაკობის ელჩობის თაობაზე. 1597 წლის ივნისში იგი ვენეციაშია, ივლისში – ვენაში და შემდეგ პრაღაში. ევროპული გაზეთები პრაღაში მის ყოფნას სექტემბრის დასასრულსაც კი ადასტურებენ.[2] როგორც ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, სიმონ მეფის წერილები ესპანეთის სამეფო კარზე განუხილავთ და იქედან საპასუხო წერილები გამოუგზავნიათ ივლისის თვეში, თან, როგორც ამავე დოკუმენტის თანახმად ივარაუდება, სიმონ მეფის ელჩის ესპანეთის სამეფო კარზე ყოფნის დროს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ამ ფაქტებზე დაყრდნობით ძნელი სავარაუდოა, ეს იყო 1597 თუ 98 წლის ივლისი.

სიმონ მეფის მცდარად იდენტიფიცირებული წერილი. სიმონ მეფის წერილთაგან ორი მათაგნის დედანი ამჟამად სიმანკის არქივში ინახება (E. 703). ერთი სომხურადაა დაწერილი, 1596 წლის 14 აგვისტოს, მეორე ბერძნულად, იმავე წლის 25 აგვისტოს. ორივეს ამშვენებს სიმონ მეფის ხელწერა და სამეფო ბეჭედი. როგორც ზემოთ მივუთითებდი, იმავე არქივში, იმავე ნომრით, ბერძნული წერილის ძველი ესპანური თარგმანიც ინახება, შესრულებული მეფის მთარგმნელის ნიკოლაო დე ლა

[1] მამისთვალიშვილი, ე., *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში.* თბ. 1981, გვ. 288.

[2] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს* ..., გვ. 170-171.

ტორეს მიერ. იქვე ინახება, აგრეთვე, სიმონ მეფის ერთი წერილის ძველი ესპანური თარგმანი, რომლის თავფურცელსაც აწერია, რომ თარგმნილია სომხური ენიდან. ყველა ეს წერილი ფრანგული თარგმანებითურთ, როგორც აღვნიშნეთ, გამოქვეყნებული იყო ფ. მაკლერის მიერ. მათი მოკლე შინაარსი და ნაწყვეტების თარგმანი სიმონ მეფის დიპლომატიური მოღვაწეობის მიმოხილვისას, გამოაქვეყნეს ჯერ ვ. გაბაშვილმა, [1] ხოლო შემდეგ ლ. ტარდიმ.[2]

სიმონ მეფის სომხური და ბერძნული წერილები ორიგინალის ენაზე (ფ. მაკლერის პუბლიკაციის მიხედვით) და მათი ქართული თარგმანები გამოსცა ი. ტაბაღუამ.[3] ფ. მაკლერმა სიმონ მეფის ბერძნულ და სომხურ წერილებთან ერთად გამოაქვეყნა სიმანკის არქივში დაცული სიმონ მეფის წერილის ძველი ესპანური თარგმანი თავისი თავფურცლითურთ, რომელშიც იკითხება, რომ ეს წერილი თარგმნილია სომხური ენიდან. ეს წერილი კი არ წარმოადგენს სიმანკის არქივში დაცული და ქართულად გამოქვეყნებული სიმონ მეფის არც სომხური და არც ბერძნული წერილის თარგმანს და, ამავე დროს, მასში დაცული ცნობები ავსებს და აზუსტებს დასახელებული ორი წერილის შინაარსს, საჭიროდ მიმაჩნია, სრული სახით წარმოვადგინო ამ დოკუმენტის ჩემ მიერ ესპანელი კოლეგების კონსულტაციით შესრულებული ქართული თარგმანი: (დოკუმენტის ასლის ფოტო თან ერთვის ამ ქვეთავს – დანართი 2):

---

[1] გაბაშვილი, ვ., „ქართული დიპლომატიის...“.

[2] ტარდი, ლ., *უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობათა...*, გვ. 167-168.

[3] ტაბაღუა, ი., საქართველო ევროპის ...., გვ. 291-294; გვ. 222-227.

თავფურცელი[1]

„თარგმანი ქართველთა მეფის სიმეონ ხანის სომხურენოვანი წერილისა.

ამბობს, რომ 14 წელია, რაც განიცდის დიდ ჭირს თურქისაგან და იმისათვის, რომ მისგან გათავისუფლდეს და დაამხოს იგი და აიღოს იერუსალემი, შეჰკრეს კავშირი მან, მისმა ბიძაშვილმა ალექსანდრემ, ქართველთა მეფემ და გაშაჰ აბასმა, სპარსეთის მეფემ.

მისი უდიდებულესობა დაეხმაროს მათ. დაამყაროს რა ამისათვის კავშირი მის უწმინდესობასა[2], იმპერატორსა და ტრანსილვანიელთან, რათა ერთნი ერთი მხრიდან, ხოლო მეორენი მეორე მხრიდან გასტეხდნენ, ამ მტრის ძალას.

რომ მათ მისწერეს აგრეთვე ამის შესახებ მის უწმინდესობას, იმპერატორს და ტრანსილვანიელს და მიიღეს ამ ორი მთავრისაგან პასუხი, რომ დაეხმარებიან ამ ცდაში.

რომ სურთ, იცოდნენ განზრახვა მისი უდიდებულესობისა და მიი-ღონ პასუხი მათ წერილებზე".

წერილი

„ყოვლისმძლე ღმერთის იესო ქრისტეს სახელით დაწერილია[3] ორი ამგვარი უსტარი, ერთი ბერძნულად, ხოლო მეორე – სომხურად. დიდის

---

[1] მე პირობითად ვუწოდებ *თავფურცელს* სიმანკის არქივის სახელმწიფო დოკუმენტების 703-ე შეკვრაში დაცულ ერთ ფურცელს, რომელშიც ნაჩქარევი საკანცელარიო ხელწერით მოცემულია სათაური და რეზიუმე მომდევნო გვერდზე მოთავსებული წერილისა. სათაური დაწერილია ორ სრულ სტრიქონად, რეზიუმე – მის ქვემოთ, ვიწროდ, სათაურის ნახევარი სიგანის 22 სტრიქონზე (ზომა: 7X17სმ). საკუთრივ წერილი დაწერილია ცალკე ფურცელზე, პროფესიონალი მწერლის ლამაზი ხელით, 31 სტრიქონად (ზომა: 19X16სმ).

[2] სიტყვები „მის უწმინდესობასთან" ამ წერილის ფ. მაკლერისეულ პუბლიკაციაში გამოტოვებულია. იგი ხელნაწერში აშიაზეა ჩამატებული, სათანადო ჩამატების ნიშნით.

[3] ფ. მაკლერის პუბლიკაციაში იკითხება „ესკრიბო" (escribo - იხ. Macler, F., "Notices...": *Revue*..., T. I, Fas. 1, გვ. 77), დოკუმენტში კი იკითხება „ესკრიტო" (escrito). ამიტომ ეს ადგილი უნდა ითარგმნოს არა „ვნერ ორ ამგვარ უსტარს", როგორც ეს ფ. მაკლერის მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანშია, არამედ „დაწერილია ორი ამგვარი უსტარი". (იხ. დანართი 3: შესაბამისი ნაწყვეტის ფოტო ასლები ფ. მაკლერის პუბლიკაციიდან და ამ დოკუმენტის ორიგინალიდან.)

მოკრძალებით და ღაღადებით, წინაშე თქვენი უდიდებულესობისა, მეფეთ მეფისა და ყველა კათოლიკე ქრისტიან ხელმწიფეთა მეთაურისა, ესპანეთის მეფისა ფილიპესა, ღმერთო, დაიფარე რომელიც და განადიდე სიცოცხლითა და ძალაუფლებითა. მიიღეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს უსტარი თქვენი უდიდებულესობის უმორჩილესი მონისგან, რომელიც მთელის მოკრძალებით და თაყვანისცემით, რამდენადაც შემძლებელ ვარ, თავს ვხრი ესოდენი კათოლიკე ხელმწიფის ფერხთით, აღვაღებ პირთა ჩემთა, რათა ვიუბნო უდიდესი მოკრძალებით, როგორც მსახური თქვენი უდიდებულესობის ხელქვეით, თუ თქვენი უდიდებულესობა დამრთავს ნებას მბობისა, თუ როგორ განვიცდი დიდი თურქისაგან თოთხმეტი წლის განმავლობაში დიდ ჭირს მე, სიმეონ ხანი, მეფე ქართველთა, და არ მქონდა აქამდე შესაძლებლობა მომეწერა თქვენი უდიდებულესობისათვის, მეთხოვა მოწყალება და დახმარება თურქის წინააღმდეგ. და ამჟამად მე და ჩემმა ბიძაშვილმა ქართველთა მეფემ, ალექსანდრემ, სპარსეთის მეფე გაშა-აბასთან ერთად შევკარით კავშირი სამივემ თურქის წინააღმდეგ. ამჟამად უმორჩილესად ვევედრები, თქვენს უდიდებულესობას, რათა აგრეთვე შეკრას კავშირი მის უწმინდესობასა და იმპერატორთან. ხოლო ტრანსილვანიელმა ასევე შემომთავაზა, რომ თავისი მიწისათვის ისიც იომებს. და ამგვარად ის ერთი მხრიდან და თქვენი უდიდებულესობა მეორე მხრიდან და ჩვენ კიდევ სხვა მხრიდან შევძლებთ გავტეხოთ ძალა, რომელიც აქვს თურქს. გარდა ამისა, უმორჩილესად ვევედრები თქვენს უდიდებულესობას, არ დაუშვას ზავის დადება იმპერატორისა და ტრანსილვანიელისა თურქთან, რამეთუ ესე არს ჟამი, როდესაც შეიძლება გამოვიტაცოთ წმინდა სახლი იესუ ქრისტეს წმინდა რწმენის მტრის ძალაუფლებისაგან. ჩვენ სამთა ხელმწიფეთა, ორმა ქართველმა და ერთმა სპარსელმა გაშა აბასმა, შევფიცეთ, მოვკვდეთ წმინდა კავშირში იესო ქრისტეს რწმენის დაცვისათვის და საკუთარი თვალით ვიხილოთ წმინდა სახლი. ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის არ დაივიწყოთ ამის შესახებ, თქვენო უდიდებულესობავ, რამეთუ თქვენი უდიდებულესობა ყოველთვის ეხმარებოდა ტრანსილვანიის იმპერატორს. როგორც ესოდენ კათოლიკე მეფემ, დაე, იცოდეს თქვენმა უდიდებულესობამ, რომ ტრანსილვანიელ იმპერატორმა ჩვენ მოგვწერა წერილი და აღგვითქვა, რომ იგი ყოველთვის მხარში ამოგვიდგება, წარმართავს რა ომს ერთი მხრიდან, ჩვენ კი – ჩვენი მხრიდან. წერილები, რომლებიც მე მივწერე თქვენს უდიდებულესობას, რათა მცოდნოდა თქვენი უდიდებულესობის ნება-სურვილი, ეხებოდა ამ კავშირს, ჩვენ რომ შევკარით ერთმანეთს

შორის. ნება-სურვილი ტრანსილვანიელთა იმპერატორისა ჩვენ უკვე ვიცით და დიდი იმედი გვაქვს, რომ დაგვეხმარება, როგორც უკვე თქვა ამის შესახებ. ჩვენ მივწერეთ სხვა წერილი მის უწმინდესობას და სხვაც გერმანიის იმპერატორს. ღვთის გულისათვის, ნუ დაგვივიწყებს თქვენი უდიდებულესობა, თავისი წერილებითა და თავისი მოწყალებით. იქნებ, ღმერთმა ინებოს, რომ წერილები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, რომელთაგან შევიტყობთ ქრისტიან ხელმწიფეთა ნება-სურვილებს. სპარსელ მეფეს დიდი სურვილი აქვს ემსახუროს ქრისტიან ხელმწიფეებს დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით. პასუხი ამ წერილზე მიეცეს მომტანს. მისწერეთ, თქვენო უდიდებულესობავ, წერილი იმპერატორს და შეიტყობს თქვენი უდიდებულესობა, არის თუ არა მართალი, რასაც ჩვენ ვამბობთ. მომწერეთ, თქვენო უდიდებულესობავ, წერილი სომხურ ენაზე და მეორე – ბერძნულად.

ესოდენ კათოლიკე ხელმწიფეს, აღმატებულს ყველა ქრისტიან მეფეზე სახელით, ძალაუფლებით და დიდის პატივით, ღმერთი ფარავდეს! წელთა სიმრავლე უფლისწულებს, რომელთა სახელები ჩვენ არ ვიცით!“

გამოქვეყნებულ წერილში დაცული ფაქტების საისტორიო მნიშვნელობა კარგადაა გარკვეული ვ. გაბაშვილისა და ლ. ტარდის საგანგებო გამოკვლევებში. ამჯერად, ვაქვეყნებ რა პირველად ამ წერილის სრულ თარგმანს ქართულ ენაზე, მინდა ყურადღება შევაჩერო ერთ ჩემს მოსაზრებაზე. სიმანკის არქივში დაცული ქართლის მეფის სიმონის წერილებისა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების გაცნობამ მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ არქივში დაცული ზემოთ გამოქვეყნებული წერილის ესპანური ტექსტი უნდა იყოს თარგმანი იმავე საარქივო დოკუმენტში დაცული სიმონ მეფის ბერძნული და სომხური წერილისაგან დამოუკიდებელი, სიმონ მეფის სხვა – მესამე წერილისა ესპანეთის ხელისუფალისადმი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს წერილი იყო არა დოკუმენტად წარსადგენი, არამედ ზეპირად მოსახსენებლად განკუთვნილი და არაა გამორიცხული, ქართულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი.

სიმანკის არქივში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმონის ხელმოწერით და ბეჭდით ორი წერილია დაცული – ერთი ბერძნული და მეორე – სომხური. ამავე არქივში ინახება ორი ძველი ესპანური თარგმანი სიმონის წერილებისა. ერთს თავფურცელზე აწერია: თარგმნილია სომხურიდან, მეორეს ბოლოში აქვს მითითება: თარგმნილია ესპანურად სამეფო კარის ბერძნული ენიდან მთარგმნელის მიერ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო ის დასკვნა, რომელიც ამ წერილების აღმომჩენმა და პირველმა პუბლიკატორმა ფ. მაკლერმა გააკეთა: სიმონს წერილები ორ ენაზე გაუგზავნია – სომხურად და ბერძნულად; ქართველთა მეფემ „სომხურ წერილს თან დაურთო მისი ბერძნული შესატყვისი იმ შემთხვევისათვის თუ ესპანეთის სამეფო კარზე სომხურს ვერ გაიგებდნენ".[1] ეს აზრი დამკვიდრდა ქართულ საისტორიო მეცნიერებაშიც[2] და გამოქვეყნდა კიდეც სიმონ მეფის ფილიპე მეორისადმი მიწერილი ორი წერილი: სომხური და ბერძნული, თანამედროვე ქართული თარგმანებითურთ.[3]

სიმანკის არქივის მასალებში სიმონ მეფის სამი სხვადასხვა წერილის ტექსტი ჩანს დაცული: ერთია სომხურ ენაზე 1596 წლის 14 აგვისტოს დაწერილი წერილი, სიმონ მეფის ხელმოწერითა და ბეჭდით შემკული, მეორე – 1596 წლის 25 აგვისტოს დაწერილი წერილი, ბერძნულ ენაზე, ასევე სიმონ მეფის ხელწერითა და ბეჭდით. ამ წერილთან ერთად, აქვე ინახება მისი ესპანური თარგმანიც. მესამე წერილის (ზემოთ გამოქვეყნებულის) დედანი არქივში არ ჩანს, შენახულია მისი მხოლოდ ესპანური თარგმანი. სამივე წერილი ერთსა და იმავე ცნობებს აწვდის ესპანეთის მეფეს. ერთი და იმავე სათხოვარით მიმართავს. როგორც ჩანს, სიმონ

---

[1] მაკლერი, ფ., „შენიშვნები...": *Revue...*, გვ. 70.

[2] ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის ...*, გვ.160.

[3] ტაბაღუა, ი., იქვე, გვ. 222-227; გვ. 291-294.

მეფეს ესპანეთის სამეფო კარზე ერთდროულად სამ სხვადასხვა ენაზე დაწერილი წერილები გაუგზავნია. ორი მათგანი დაწერილი იყო უცხოურ ენებზე (ბერძნულად და სომხურად), რათა ერთ-ერთ მათგანს მაინც ესპანეთის სამეფო კარზე წამკითხველი გამოსჩენოდა და მეფის ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ ტექსტს საბუთის ძალა ჰქონოდა.[1] ამდენად, არაა მოსალოდნელი, რომ ამ ორ წერილთან ერთად გაგზავნილი და ამავე ცნობების შემცველი მესამე წერილიც იმავე უცხოურ ენათაგან რომელიმეზე ყოფილიყო დაწერილი.

ეს თვალსაზრისი დასტურდება ზემოთ გამოქვეყნებული წერილის ტექსტიდანაც. სიმონ მეფე წერილის შესავალშივე ატყობინებს ესპანეთის მეფეს: „დაწერილია ორი ამგვარი უსტარი, ერთი ბერძნულად, ხოლო მეორე სომხურად...“ ალბათ, ამ სიტყვებიდანაც გამოიტანეს ის დასკვნა, რომ სიმონმა ორი ანალოგიური წერილი გაგზავნა ესპანეთში – ბერძნული და სომხური.[2] მაგრამ ეს დასკვნა სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ესპანეთში ჩასულიყო მართლაც ორი წერილი და ორივეს შესავალში იკითხებოდეს ზემოთ დამოწმებული სიტყვები. სინამდვილეში, ესპანეთში ჩასული ჩანს სამი წერილი. მხოლოდ ერთის შესავალში იკითხება ეს სიტყვები, ხოლო დანარჩენი ორი მართლაც სომხურად და ბერძნულადაა დაწერილი. ე. ი. ქართველთა მეფე სამ ენაზე აგზავნის წერილს. მესამე მათგანს, ალბათ, თავის საკუთარ ენაზე წერს და მასში იმოწმებს ორ უცხოურ ენაზე შესრულებულ წერილს, რომელთაც ესპანეთის სამეფო კარზე დოკუმენტის მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს. რომ ეს წერილი ქართულად არ იყოს დაწერილი, რომ ისიც რომელიმე უცხოურ

---

[1] ტარდი, ლ., „საქართველოს მეფე...“: *Revue de Kartvélologie*, XXXII, გვ. 157

[2] მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფ. მაკლერმა წერილის ეს ადგილი არასწორად წაიკითხა: „ვწერ ორ ამგვარ წერილს...“

ენაზე იყოს (მოსალოდნელი იყო ლათინურად) შედგენილი, მაშინ მასზე, როგორც დოკუმენტის მნიშვნელობის მქონეზე, მითითება იქნებოდა სხვა რომელიმე წერილში.

სიმონ მეფის მიერ ქართულ ენაზედაც რომ იყო მოსალოდნელი ესპანეთში წერილის მინერა, ეს მკვლევარებს შენიშნული აქვთ. ლ. ტარდი წერდა: „თავის დიპლომატიურ მიმოწერაში მეფე სიმონი იყენებდა, გარდა ქართულისა, ბერძნულსა და სომხურ ენებს". [1] ვ. გაბაშვილიც ვარაუდობდა: „საფიქრებელია, რომ ესპანეთში სომხურ და ბერძნულ ტექსტებთან ერთად ქართული ტექსტიც გაეგზავნოთ".[2]

სიმონ მეფის მიერ გაგზავნილი სამი წერილის ერთმანეთთან შედარებაც, ჩემი აზრით, იმას ადასტურებს, რომ ზემოთ გამოქვეყნებული წერილი სავარაუდოდ ქართულად შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი. ამას მაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი:

ზემოთ გამოქვეყნებული ტექსტი სხვა ორ წერილთან (სომხურსა და ბერძნულთან) შედარებით გამოირჩევა მეტი უშუალობით, მასში უფრო მკაფიოდ იგრძნობა აღმოსავლელი მეფის თავმდაბლური დამოკიდებულება დასავლეთის დიდი კათოლიკე ხელმწიფისადმი. მეფისადმი მიმართვისას ტიპური აღმოსავლური ჰიპერბოლიზაციაა, ჰიპერბოლიზირებულ პასაჟთა ხშირი განმეორება. ამ თვალსაზრისით, ბერძნული და სომხური წერილები უფრო ზომიერია. ამასთან, მათში უშუალობაც ერთგვარად წარხოცილია. ამ ორ წერილში არ იკითხება ზემოთ გამოქვეყნებული ტექსტების ზოგიერთი ინტიმური პასაჟი: ჩივილი თურქეთთან ურთიერთობის გამო, თოთხმეტწლიან ჭირზე, ესპანელი მეფის უფლისწულების მოკითხვა.

---

[1] ტარდი, ლ., „საქართველოს მეფე...": *Revue de Kartvélologie*, XXXII, გვ.157.

[2] გაბაშვილი, ვ., „ქართული დიპლომატიის...", გვ. 93.

ზემოთ გამოქვეყნებულ წერილში უფრო მეტად იგრძნობა უშუალოდ მეფისეული პოზიცია, რაც გამოხატულებას პოულობს, ერთი მხრივ, მეფის სარწმუნოებრივ ლოიალობაში; ხოლო, მეორე მხრივ, დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი ფაქტების სიუხვეში. სიმონ მეფის სარწმუნოებრივი ლოიალობა ჩანს იმ გარემოებაში, რომ წერილის ამ ვარიანტში ესპანეთის მეფის კათოლიკობაზეა განსაკუთრებული ხაზგასმა. სომხურ და ბერძნულ წერილებში ეს გარემოება საზოგადოდ უგულვებელყოფილია. რაც, სავარაუდებელია, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ სომხური და ბერძნული წერილები ქართლის იმდროინდელ ვითარებაში სომხური და მართლმადიდებლურ-ბერძნული სამღვდელოების წარმომადგენელთა მიერ ითარგმნება, ან იწერება. ამ თვალსაზრისით, ერთმანეთს შევადაროთ ამ სამი წერილის მხოლოდ დასაწყისი:

სომხური: „გიგზავნი წმინდა კოცნას მეფეთა მეფეო, ქრისტეს ყველა მორწმუნეთა მეუფეო და მბრძანებელო, ყოველთა მეფეთაგან და ქრისტიანთაგან პატივცემულო. ოი, წმინდა მეფეო ფილიპე! ...შენს ფერხთ წინაშე ქედს ვიხრი და თავს შენს ფერხთ ქვეშ ვდებ".[1]

ბერძნული: „მეფეთა მეფევ და ყოვლისა ქრისტიანის მეთაურო, მეფეო და ღირსეულო ქრისტეს რწმენის მეფეთა შორის, მბრძანებელთა შორის უღვთაებრივესო ფილიპე. უპირველესად მდაბლად მოვიდრეკ თავს შენს ფერხთა წინაშე".[2]

ქართული (სავარაუდო): „...დიდის მოკრძალებით და ღაღადებით წინაშე თქვენი უდიდებულესობისა, მეფეთ მეფისა და ყველა კათოლიკე ქრისტიან ხელმწიფეთა მეთაურისა, ესპანეთის მეფისა ფილიპესა... მთელის მოკრძალებით და თაყვანისცემით,

---

[1] ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის* ..., გვ. 223.

[2] ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის* ..., გვ. 224.

რამდენადაც შემძლებელ ვარ, თავს ვხრი ესოდენ კათოლიკე ხელმწიფის ფერხთით...“.

მეორეც, როგორც სავარაუდო ქართული წერილის დასაწყისიდან ჩანს, როდესაც ეს უკანასკნელი იწერება, სოხური და ბერძნული წერილები უკვე დაწერილია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეს წერილი ახალი ფაქტობრივი მასალითაა შევსებული. იგი დიპლომატიური ურთიერთობის ისეთ ფაქტებზე მიუთითებს, რომლებიც სომხურ და ბერძნულ წერილებში არ ჩანს. ამითაც იგრძნობა უშუალოდ მეფისეული პოზიცია, მის მიერ შევსება უკვე დაწერილი წერილებისა. ასეთია ამ უკანასკნელი წერილის მითითება ქართველთა მეფის ურთიერთობაზე მის უწმინდესობა რომის პაპსა და ტრანსილვანიის მეფესთან (ტექსტში მას იმპერატორი ეწოდება) და შესაბამისად თხოვნა ფილიპე მეორესთან მათთან კავშირის დამყარების თაობაზე. სიმონ მეფე ამ უკანასკნელ წერილში გარკვევით მიუთითებს ესპანეთის ხელმწიფეს, რომ წინა წერილებში (ბერძნულსა და სომხურში) სწერდა უკვე დამყარებულ სამთა კავშირის ამბავზე. „წერილები, რომლებიც მე მივწერე თქვენს უდიდებულესობას, რათა მცოდნოდა თქვენი უდიდებულესობის ნება-სურვილი, ეხებოდა ამ კავშირს, ჩვენ რომ შევკარით ერთმანეთს შორის“: ამჯერად კი ტრანსილვანიის მთავართან, რომის პაპსა და გერმანიის იმპერატორთან ურთიერთობის ამბავს ატყობინებს. ესეც დიპლომატიური ნიუანსია: ოფიციალურ დოკუმენტში საერთაშორისო შეთქმულებას არ ახსენებს.

ზემოთ გამოქვეყნებული წერილის სავარაუდოდ ქართულად დაწერის ფაქტზე მიუთითებს, ჩემი აზრით, კიდევ ორიოდე გარემოება:

სპარსეთის შაჰის სახელი სიმონის ბერძნულენოვანი წერილის მიხედვით არის *შიაბეს*, სომხურის მიხედვით – *აპასი*, სავა-

რაუდო ქართული წერილის მიხედვით სწორედ ის, რასაც ამ მეფეს საქართველოში უწოდებდნენ: *აბასი*.

სომხურ და ბერძნულ წერილებში ქართველთა მეფეები, სიმონი და ალექსანდრე, სხვადასხვა წოდებით იხსენიება: სომხურში – სიმონი, ხანი გურჯისტანისა; ალექსანდრე, ხანი ლევანდინისა (აღმოსავლეთისა). ბერძნულში – სიმონი, ქართველთა მთავარი; ალექსანდრე, აღმოსავლეთის მთავარი (ან გამგებელი). სავარაუდო ქართულ ვარიანტში კი სიმონიც და ალექსანდრეც დასახელებულია იმგვარად, როგორც მათ საქართველოში უწოდებდნენ: სიმონ ხანი, მეფე ქართველთა და ალექსანდრე, მეფე ქართველთა.

და ბოლოს, ამ – მხოლოდ ესპანური თარგმანით შემონახული სიმონ მეფის წერილის დასასრულიდან ჩანს, რომ სიმონ მეფე სამ წერილს აგზავნის ესპანეთის ხელმწიფესთან: ორი მათგანი (სომხურ და ბერძნულენოვანი) ოფიციალური დოკუმენტებია (ბეჭედდასმული) და წერილობით პასუხსაც ამ ორ მათგანზე თხოულობს; მესამეზე (ჩემი ვარაუდით, ქართულენოვანზე) პასუხის გაცემას სხვა ფორმით ითხოვს (ან ზეპირი ფორმით, ან პირადად მისთვის მიწერილი წერილით და არა ოფიციალური დოკუმენტით): „პასუხი ამ წერილზე მიეცეს მომტანს... მომწერეთ თქვენო უდიდებულესობავ, წერილი სომხურ ენაზე და მეორე ბერძნულად."[1]

---

[1] ეს წინადადება სიმონ მეფის წერილის ესპანურენოვანი დოკუმენტიდან სამეცნიერო ლიტერატურაში მცდარად თარგმნილი სახითაა გავრცელებული. (რაც, ჩემი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ფ. მაკლერის მიერ ესპანური დოკუმენტის escrito [დაწერილი] escribo [ვწერ] გასწორებით და, ამის ნიადაგზე გამოწვეული, სიმონ მეფის გამოგზავნილ წერილებზე მცდარი წარმოდგენის ფიქსირებით. კერძოდ ეს ადგილი ი. ტაბაღუას მიერ გამოქვეყნებულ თარგმანში ამგვარად იკითხება: „ვწერ თქვენს უდიდებულესობას ერთ წერილს..." (ლ. ხილ ფერნანდესი, ი. ტაბაღუა, *დოკუმენტები*... გვ. 364). ამ პასაჟის შესაბამისი ტექსტი ესპანურ დედანში ("Escriuirme a vuesa magestad una carta...")

ამგვარად, ვფიქრობ, რომ ზემოთ გამოქვეყნებული ქართული ტექსტის სიმანკის არქივში დაცული ესპანური დედანი წარმოადგენს სიმონ მეფის მიერ ფილიპე მეორისადმი, სავარაუდოდ, ქართულ ენაზე გაგზავნილი წერილის თარგმანს, შესრულებულს ფილიპე მეორის სამეფო კარზე. როგორც ჩანს, შორეულ ესპანეთში მიმავალ ელჩს, სიმონ მეფემ, ქართულად დაწერილ წერილთან ერთად, გაატანა თავისი ხელწერითა და სამეფო ბეჭდით დადასტურებული სომხური და ბერძნული წერილები, რომ მეფის წერილის წაკითხვა ესპანეთის სამეფო კარზე შესძლებოდათ, რომ მის წერილს დოკუმენტის ძალა ჰქონოდა. სიმონი ფიქრობდა, რომ ესპანეთის კარზე, გარდა ბერძნულისა, სომხურის მცოდნეც იქნებოდა. ამიტომ სთხოვდა ფილიპე მეორეს: „მომწერეთ, თქვენო უდიდებულესობავ, წერილი სომხურ ენაზე და მეორე – ბერძნულადო". საეჭვოა, რომ ესპანეთის სამეფო კარზე სიმონ მეფის სომხურად მიწერილი წერილი ეთარგმნათ. ყოველ შემთხვევაში, ამ მიწერ-მოწერის დოკუმენტებში დაცულია ბერძნული წერილის ძველი ესპანური თარგმანი, მაგრამ სომხური წერილის თარგმანი არ ჩანს. როგორც ზემოთ გამოქვეყნებული მასალიდან ირკვევა, მეფესთან ქართველთა ამბის მოხსენებისას საზოგადოდ არ დაყრდნობიან სომხურენოვან წერილს. არც ფილიპე მეფეს ჩაუთვლია საჭიროდ საქართველოში წერილის სომხურად გაგზავნა. ზემოთ გამოქვეყნებულ დოკუმენტში იკითხება: – მეფემ ბრძანა, „გაიგზავნოს წერილი ბერძნულადო". მეორე მხრივ, სიმონი არ ცდებოდა, როდესაც ესპანეთის სამეფო კარზე სამეფო ბეჭედდასმულ უცხოურ ენაზე დაწერილ წერილებს გზავნიდა. ფილიპე მეფის კარზე ბერძნული წერილი სამეფო კარის

თითქოს იძლევა სტიმულს კონტექსტის სხვადასხვაგვარად გააზრებისათვის, მაგრამ ესპანური Escriuirme აშკარად ნიშნავს *მომწერე*, და ამას მხარს უჭერს წერილის შინაარსი (დასაწყისიც და დასასრულიც).

ბერძნული ენიდან მთარგმნელს უთარგმნია და სამეფო კანცელარია სწორედ ამ წერილს დაყრდნობია, როგორც დოკუმენტს. სწორედ ბერძნული წერილის შინაარსი მოუხსენებიათ მეფისათვის. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ისიც ჩანს, რომ მეფესთან თათბირისას ზემოთ გამოქვეყნებული, სავარაუდოდ, ქართულ ენაზე დაწერილი წერილიც გაუთვალისწინებიათ.

ასახსნელი რჩება ერთი ფაქტი: რატომაა ჩათვლილი სიმონის, ჩემი ვარაუდით, ქართულ ენაზე დაწერილი წერილის თარგმანი საარქივო მასალაში სომხური ენიდან შესრულებულ თარგმანად? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თარგმანი ქართული წერილისა ესპანეთის სამეფო კარზე შესრულდა სომხური ენის მეშვეობით თვითონ ელჩის (სომეხი ვაჭრის, იაკობ ჯულფელის) დახმარებით, რაც აისახა კიდეც ზედწარწერაში. მოსალოდნელია, რომ სიმონ მეფე ოფიციალურ – უცხოურ ენებზე დაწერილ და ბეჭედდასმულ წერილებთან ერთად თავის ელჩს უფრო საიდუმლო ცნობებს პირადად დააბარებდა, რაც მის მიერ ქართულად დაწერილ წერილში შეიძლებოდა ასახულიყო. ეს ვარაუდი იმიტომაცაა საგულისხმო, რომ სიმონ მეფის ელჩის (სომეხი ვაჭარი) ევროპაში გამგზავრება არაა მოსალოდნელი, რომ სიმონის მიერ ბერძნული და სომხური წერილების დაწერისა და ბეჭედდასმის პერიოდშივე (1596 წ. აგვისტო) უმალ მომხდარიყო. იაკობ ჯულფელი ევროპაში ბევრად უფრო გვიან ჩანს. უფრო არსებითი და, ალბათ, უფრო ახალი ცნობები კი ელჩს ადრესატისთვის პირადად უნდა მოეხსენებინა. ამ პერიოდის მეფეთა მიმოწერისას ასეთი პრაქტიკა დამკვიდრებული იყო. ასე იქცეოდა ამ ფაქტამდე ერთი საუკუნით ადრე ქართველთა მეფე კონსტანტინე მეორე. იგი ესპანეთის დედოფალს იზაბელას წერდა: „... თქვენს მეუფებასთან დაბეჭდილი წერილებით მოძღვარი და მესაიდუმლე ჩემი... გამოვგზავნეთ. წერილებს გარდა ჩვენს გულის ნადებსაც

გაიგონებთ მისგან, რადგან გზაზე მრავალი მტერია“.[1] საპასუხო წერილში ესპანეთის მეფე და დედოფალი ქართველთა მეფეს წერდნენ: „რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიამბეს, ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით. დაე მათ გიამბონ თქვენ“.[2]

ამგვარად, მოსალოდნელია, რომ სიმონ მეფეს თავისი ელჩის იაკობისთვის პირადად სათქმელიც დაებარებინა, რაც მის მიერ ქართულად დაწერილ (ან ნაკარნახევ) და ელჩის მიერ ჩაწერილ წერილში აისახებოდა. ქართული წერილი კი იაკობს ესპანეთის სამეფო კარზე შეეძლო სომხურად მოეხსენებინა (სამეფო კარზე სომხურიდან ესპანურად მთარგმელი უფრო მოიძებნებოდა). სწორედ ეს გარემოება შეიძლება იყოს ერთი შესაძლებელი, თუმცა სავარაუდო, ახსნა იმისა, რომ ამ ესპანური დოკუმენტის სათაურად იკითხება: „თარგმანი ქართველთა მეფის სიმონ ხანის სომხურენოვანი წერილისა“.

შეიძლება სხვა ვარაუდიც: ზემოთ გამოქვეყნებული წერილი სიმანკის არქივში იკითხება ცალკე ფურცელზე. მასში არ წერია, რომელი ენიდან ითარგმნა იგი და ვის მიერ. შემდეგ მას თავზე დართული აქვს თავფურცელი, რომელშიც ნაჩქარევი ხელით სამეფო კანცელარიის მიერ წერილის რეზიუმეა გაკეთებული და მითითებულია, რომ იგი სომხურიდან ითარგმნა. ვფიქრობ, არაა გამორიცხული, რომ შეცდომის დაშვება მას შემდეგ მომხდარიყო, როდესაც თარგმანი მთარგმნელს დაშორდა. იმ მიმოწერიდან გარკვეული ხნის შემდეგ, მეფის კანცელარიაში აღმოჩნდა ბერძნული წერილი და მისი ესპანური თარგმანი, სომხური წერილი და სხვა ესპანური თარგმანი, რომელშიც ეწერა, რომ წერილები

[1] წერილის ტექსტი იხ. ზემოთ გამოქვეყნებულ ქვეთავში – „ესპანეთის მეფეთა წერილი კონსტანტინე ბაგრატიონისადმი“.

[2] იხ. იქვე.

სომხურად და ბერძნულად დაიწერაო. ბუნებრივია, სამეფო კანცელარიის მოხელეები ჩათვლიდნენ, რომ ეს უკანასკნელი იყო სწორედ იქვე არსებული სომხურენოვანი წერილის თარგმანი.

პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: არც ისაა უცნაური, რომ ესპანეთის სამეფო არქივში სიმონ მეფის სხვა წერილებთან ერთად (სავარაუდოდ) ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ორიგინალის სახით არაა შენახული: ეს წერილი არ იყო ოფიციალური; იგი პირადად უნდა მოხსენებოდა სამეფო კარს და დოკუმენტად არ შენახულიყო (ესპანურად ითარგმნა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფისთვის მოეხსენებინათ). ასეთი იყო სამეფო კართა შორის ურთიერთობის სპეციფიკა.

ამგვარად, როგორც ირკვევა, სიმონ მეფისა და ფილიპე მეორის დიპლომატიური ურთიერთობა ორმხრივი იყო. ესპანეთის სამეფო კარზე სიმონის თხოვნაც ყურად უღიათ და პასუხიც გამოუგზავნიათ საქართველოში. მაგრამ სიმონ მეფის სურვილებს განხორციელება არ ეწერა. გარდა იმისა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზები, სიმონ მეფეს ბედიც არ სწყალობდა. 1598 წლის 18 სექტემბერს, თავის რეზიდენციაში, ესკორიალის სამეფო სასახლეში, ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ, ფილიპე მეორე გარდაიცვალა.

დანართი 1: ფილიპე მეორის პასუხის ჩანაწერი სიმონ ქართლის მეფის წერილზე (ასლის ფოტო სიმანკის არქივის სახელმწიფო დოკუმენტების 703-ე შეკვრიდან – Estado leg. 703)





დანართი 2: სიმონ მეფის (სავარაუდოდ ქართული) წერილის ძველი ესპანური თარგმანი – (ასლის ფოტო. სიმანკის არქივი, Estado leg. 703)



დანართი 3: ნაწყვეტი სიმონ მეფის წერილის ესპანური თარგმანიდან:

ა) ფ. მაკლერის მცდარი პუბლიკაცია - escribo (Macler, F., "Notices...": *Revue...*, T. I, Fas. 1, გვ. 77, სტრიქონი 1);

NOTICES DE MANUSCRITS ARMENIENS. 77

|Dentro :|* En el nombre de Iesucristo dios poderoso. Escribo dos papeles destos uno griego y otro armenio con mucha umildad y suspiros a vuessa magestad rrey de los rreyes y caueça de todos los rreyes cristianos catolicos rrey ellppe despaña que dios guarde y aumente en uida y estado rrecina vuessa magestad este papel de un umilde esclauo de vesa magestad que con aquella umildad y rreuerencia que puedo pongo

ბ) ორიგინალის ასლის ფოტო – escrito (Estado leg. 703), სტრიქონი 1

L. 703



ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე*

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულით თვალნათლივ ჩანს, რომ ქართველთა ცხოვრება ყოველთვის არ ხდებოდა ერთი სახელმწიფოებრივი მმართველობის გარემოში. უმთავრესად ამით იყო განპირობებული, რომ ზოგჯერ, და არც თუ ძალზე იშვიათად, ეროვნებით ქართველთა ინტელექტუალური, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობა საქართველოს საზღვრებს გარეთაც ხდებოდა და სხვა ქვეყანათა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. ამ თვალსაზრისით ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ხანა იყო XV-XVII საუკუნეები, როდესაც თურქეთის სახელმწიფოს ექსპანსიისა და ირანთან ათწლეულობით გაჭიანურებული ომების პერიოდში ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი თურქეთის, მეორე კი ირანის სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურით მთელი ოჯახებითურთ სამუდამოდ კარგავდნენ თავიანთ სამშობლოს და ეროვნულობას. ამ წარმოშობით ქართველთა მოღვაწეობის ზოგი ასპექტი ისევ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და ინტელექტუალური ინტერესებისაკენ იყო მიმართული. მათი საქმიანობის ბევრი ფაქტი და ეპიზოდი ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ამ თვალსაზრისით, ერთი უმნიშვნელოვანესი ოჯახია უნდილაძეთა ოჯახი და მათი საქმიანობა სეფიანთა ირანის შაჰების სამსახურში. ამ ოჯახის და კერძოდ მისი მეთაურის ალავერდი ხან უნდილაძის საქმიანობაში აშკარად იკვეთება ის ინტერესი, რომელიც XV-XVI საუკუნეებში ქართველ მეფეთა პოლიტიკური

* სტატია პირველად გამოქვეყნდა 2012 წელს ჟურნალ *ქართველოლოგში*, N18.

მოღვაწეობის უმთავრესი მიმართულება იყო – თურქეთის წინააღმდეგ დიდ სახელმწიფოთა სამხედრო დაპირისპირების ორგანიზება.

უკანასკნელი ათწლეულების ქართველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერესი ალავერდი ხანის პიროვნებისადმი თანდათან გაიზარდა. წინა საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ეს ინტერესი ძირითადად მისი ეროვნული კუთვნილების პრობლემისადმი იყო მიმართული, რაც საქართველოში მამა-პაპეული ოჯახის გვარის – უნდილაძის გამოვლენით წარიმართა[1] და თვით ყველა დაეჭვებულ წრეში მისი წარმომავლობითაც და ეროვნებითაც ქართველობის უყოყმანო აღიარებით დასრულდა.[2] მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში ქართველოლოგიაში ახალი სენსაციური სიახლე გამოვლინდა: *ვეფხისტყაოსნის* ამბავს იცნობენ და იყენებენ XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისელი დრამატურგები, კერძოდ თვით შექსპირი.[3] იმის ძიებამ, თუ რა გზით უნდა მისულიყო *ვეფხისტყაოსნის* ამბავი შექსპირის ეპოქის ინგლისში, ჩემი ყურადღება ალავერდი ხანისა და მასთან დაკავშირებულ ინგლისის დიპლომატთა და მოგზაურთა წრეს მიაპყრო. ინგლისელ მოგზაურთა 26 კაცისაგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც 1598 წლის დასასრულს ეწვია შაჰ-აბას პირველის სამეფო კარს, მეთაურობდა ცნობილი დიპლომატი, მოგზაური და, როგორც ინგლისური სამეცნიერო კრიტიკა ახასიათებს, ავანტიურისტიც ანტონი შერლი. იგი 6 თვეს დარჩა

---

[1] გაბაშვილი, ვ., „უნდილაანთ ფეოდალური სახლი XV-XVIII სს. ირანში": *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, ტ. II. თბ. 1972.

[2] Babaie, S., Babayan, K., Baghdiantz-McCabe I., Farhad, M., *Slaves of the Shah. New Elites of Safavid Iran*. I.B. Tauris, London – New York 2004.

[3] Khintibidze, E., *Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature*. Bennet and Bloom, London 2011; ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსანი შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში*. თბ. 2016.

შაჰის კარზე. შემდეგ შაჰის ელჩის რანგში ევროპაში გაემგზავრა, სადაც გარდაცვალებამდე, 1635 წლამდე, ცხოვრობდა – რუსეთში, ცენტრალურ ევროპაში, იტალიაში, ესპანეთში და აქტიურად იყო ჩართული ევროპისა და სპარსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით ჩანს, რომ ანტონი შერლის სპარსეთის სამეფო კარზე კავშირი დაუმყარებია შაჰის ცოლების გავლენიან საზოგადოებასთან. უფრო კონკრეტულად, ამ საზოგადოების წევრი ორი ქრისტიანი (კერძოდ, ქართველი) ქალის დამსახურებაცაა შერლის დიდი პატივით მიღება შაჰის კარზე.[1] შემდგომში კი შერლის უმთავრესი მხარდამჭერი ალავერდი ხანი აღმოჩნდა, რომელსაც შაჰის ქართული წარმოშობის ქალების საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

ამჯერად მე ხელთ მაქვს ანტონი შერლის მიერ 1613 წელს ლონდონში მისი სპარსეთში მოგზაურობის შესახებ გამოცემული წიგნი.[2] შერლის წიგნის ზოგადი შთაბეჭდილებიდან ჩანს (და ეს აზრი ინგლისურ სამეცნიერო კრიტიკაში გავრცელებულია), რომ შერლი აჭარბებდა უმთავრესად თავისი დამსახურების წარმოჩენისას. როგორც ანტონი შერლის ჩანაწერებიდან ჩანს, XVI საუკუნის დამლევის ინგლისური ექსპედიციის უმთავრესი მიზანი იყო სპარსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება. ანტონი შერლის წიგნი ქართველოლოგიურ მეცნიერებებისათვის ბევრ მნიშვნელოვან ცნობას იძლევა. მივუთითებთ მხოლოდ ერთ მათგანზე, რომელიც ეხება მის ურთიერთობას

---

[1] Curzon George N., *Persia and the Persian Question*, vol. 2. London, 1892, p. 537-538; *Dictionary of National Biography*, vol, 52. Djvu/132.

[2] Sir Antony Sherley, *His Relation of His Travels into Persia*. Printed for Nathaniell Butter, and Ioseph Bagfet, London 1613. ამ წიგნს ქართველი მეცნიერები, რომლებიც ალავერდი ხანის მოღვაწეობას ეხებიან, მიუთითებენ, მაგრამ მისი გამოყენება და მისგან ფაქტების მოხმობა ქართველოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობისას ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ ჩანს.

ალავერდი ხანთან და ამ უკანასკნელის ეროვნული სადაურობის საკითხს. ამ ფაქტების ფიქსირებისას კი შერლის გადაჭარბებისთვის არავითარი საბაბი არ ჰქონდა.

პირველმა აუდიენციამ შაჰ-აბასთან შერლი დაარწმუნა, რომ მისთვის უპირველესი ამოცანა შაჰის ნდობის მოპოვება უნდა ყოფილიყო. იგი წერს:[1] „ამიტომ მე გარკვეული დრო მოვანდომე იმაზე ფიქრს, თუ რა გზას უნდა დავდგომოდი, და გამეგო მისი (მეფის) მოქმედების მიზანი, მის ბუნებასა (ხასიათზე) და მიდრეკილებებზე დაკვირვებით; გარდა ამისა, არა მხოლოდ უნდა მიმეღწია იმისთვის, რომ მას (მეფეს) შინაგანად მოვწონებოდი, არამედ ყველა მისი დიდი თანამდებობის ადამიანს – განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ჩემი წარმოდგენით იქნებოდნენ ყველაზე უკეთესი და ძლიერი დამხმარეები ჩემი მიზნის მიღწევაში. ასეთებად მე მივიჩნიე ალავერდი ხანი[2] – მისი გენერალი, და შაჰთამას ყული ბეგი – ორივე ქართველი. და თუმცა ისინი მაჰმადიანებად აქცია მეფის მამამ, რომელსაც მიუყვანეს ახალგაზრდობაში, მაინც მათ მუდამ ქრისტიანული გულები ჰქონდათ და უსაზღვროდ კეთილად იყვნენ განწყობილნი ყველაფრისადმი, რასაც შეეძლო ქრისტიანთა წამოწყობისათვის ხელის შეწყობა, და საჯაროდ უსურვებდნენ კარგს მათ (ქრისტიანებს) საქმიანობაში და ყველა შემთხვევას იყენებდნენ, რომ მათთვის სახელი და პატივი მიეგოთ“.

---

[1] Sir Antony Sherley, *His Relation ...*, p. 73.

[2] ანტონი შერლის წიგნში ალავერდი ხანის სახელი ამგვარად იკითხება *Oliver di-Can*. სახელი *ალავერდი* ორ ნაწილად აღუქვამს: მეორე ნაწილში ევროპელთა სახელების გადმოცემისას პოპულარული *di* შეუცვნია; ხოლო პირველი ნაწილი ინგლისური ორთოგრაფიით *Oliver*-ად დაუწერია, რისკენაც ევროპელთათვის ნაცნობი სახელი *ოლივერიც* მიანიშნებდა. რომ შერლის *Oliver di-Can* ნამდვილად ალავერდი ხანია ამაში ეჭვი შერლის წიგნის არც ერთ ინგლისელ კომენტატორს არ შეპარვია (იხ. Ross E. D., *Sir Antony Sherley and his Persian adventure*. London 1933).

შერლის ექსპედიცია ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვაო ქალაქ საუთჰამპტონიდან გაემგზავრა. მას ესექსის დიდი პროვინციის გრაფი რობერტ დევერეუქსი ათინანსებდა. ამ ვოიაჟის პოლიტიკური მისია იყო სპარსეთის მიერ აღმოსავლეთში დიდი ომების წამოწყება, ევროპის ოსმალთაგან დასაცავად სპარსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრება. ოსმალეთი, რომელმაც XV-XVI საუკუნეებში წარმატებული სამხედრო ექსპანსიით გააფართოვა და განამტკიცა თავისი საზღვრები მცირე აზიასა და კავკასიაში, წარმატებით იბრძოდა აღმოსავლეთ ევროპაში და ამით აღელვებდა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით უნგრეთს, ტრანსილვანიის სამთავროს, პორტუგალიას, ესპანეთს. XV საუკუნიდან დაწყებული ოსმალეთი ქართული სახელმწიფოს ერთიანობას დამანგრეველ დარტყმას აყენებდა, რაც ამავე საუკუნის დასასრულისთვის არსებითად დასრულდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ტერიტორიის ოტომანთა იმპერიაში მოქცევით და გაგრძელდა საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ოსმალთა გავლენის თანდათანობით გაზრდით. ქართველთა ეროვნული ინტერესი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს დასავლეთ ევროპის ქრისტიანი მეფეებისგან დახმარებაში და ევროპასთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციურ ომებში ხედავდა. ქართველთა მეფეების ეს მიზნებია გამოვლენილი ესპანეთის მეფეებისა და რომის პაპთა წინაშე გაგზავნილ წერილებში: გიორგი VIII-ის ელჩობა რომის პაპთან (XV საუკუნის მეორე ნახევარი), კონსტანტინე II ელჩობა და წერილი ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან (1495 წ.), ქართლის მეფის სიმონ პირველის წერილები ესპანეთის მეფე ფილიპე მეორესთან, გერმანიის იმპერატორთან, რომის პაპთან (1596-98 წწ.). XVI საუკუნის დამლევს ქართლის მეფის აქტიური მოქმედება ოსმალეთის წინააღნდეგ სამხედრი ოპერაციების

წამოსაწყებად ინსპირირებული იყო ევროპაში დაწყებული ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობით, რაც გერმანიის იმპერატორმა რუდოლფ II და რომის პაპმა კლიმენტი VIII ითავეს. როგორც სიმონ I წერილებიდან ჩანს, ამ ინიციატივას ქართლის სამეფოს გარდა მხარს უჭერდნენ კახეთის მეფე ალექსანდრეც და თვით სპარსეთის შაჰიც.[1]

ასე რომ, ანტიოსმალური განწყობილება შაჰ-აბასის სამეფო კარზე, როცა იქ 1598 წელს ინგლისელთა დელეგაცია ჩავიდა, ნამდვილად არსებობდა. მეორე მხრივ, ამ დროისათვის სპარსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა, რაც წინა ათწლეულებში ოსმალთა სპარსეთის ტერიტორიაზე წარმატებული ბრძოლების შედეგად დადებულ ზავს მოჰყვა. სპარსეთისთვის სამეფო კარზე ოსმალთა წინააღმდეგ ხელახალი ომების წარმოწყების საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ პრობლემური იყო. ეს წინააღმდეგობა იგრძნო ანტონი შერლიმ სპარსეთის სამეფო კარზე პირველი ვიზიტისთანავე და ამიტომ ეძებდა იგი მხარდამჭერებს შაჰის დიდებულთა შორის. ასეთი დიდი მხარდამჭერი აღმოჩნდა ალავერდი ხანი. ამ პოზიციაზე მტკიცედ დგომისკენ მას, ჩემი ფიქრით, მამა-პაპეული ქართული ქვეყნის ინტერესებიც ეწეოდა.

ალავერდი ხანის მოღვაწეობაში ქართული ეროვნული დეტალების, კერძოდ კი ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ინტერესების ელემენტების გამოვლენა მის პიროვნებაზე და, უფრო ზოგადად, სპარსეთის შაჰის აბას პირველის კარზე დაწინაურებულ ქართველთა შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობების გათვალისწინებას საჭიროებს.

საისტორიო წყაროები: ევროპული (ადამ ოლეარიუსი, ანტონი შერლი, პიეტრო დელა ვალე, ანტონიო გოვეა, დონ პიეტრო

[1] იხილეთ ამ წიგნის წინა ქვეთავები.

ავიტაბილე...),[1] ქართული (ფარსადან გორგიჯანიძე, არჩილ II, იოანე ბაგრატიონი, სეხნია ჩხეიძე, ალექსანდრე ორბელიანი...),[2] სომხური (არაქელ დავრიჟეცი)[3] და ნაწილობრივ, სპარსული (ფაზალი ხუზანი, მირ მუჰამედ საიდ მაშიზი, ვალიყული შამლუ, ვინმე ბეჟანი, ჯალალ ალ-დინ მონაჯემი, ისქანდერ მუნში...)[4] – აშკარად მეტყველებენ, რომ XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XVII საუკუნის პირველი ათწლეულების სპარსეთის სამეფო კარზე ქართული ელემენტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე სამხედრო არისტოკრატიის წრეებში და ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაში. უკანას-

---

[1] Adam Olearius, *Relation du voyage de Moscovie, Tartarie, et de Perse... depuis l' An 1633 jusque en l'An 1639*, Paris 1661; Antony Sherley, *Sir Antony Sherley, his Relation...* Pietro Della Valle, *Informazione della Giorgia datta alla Santita di nostro Signore Urbano VIII....* Roma 1627; Pietro Della Valle, *I vioggi di Pietro Della Valle, Lettre della Persia*, vol. I. Eds. F. Gaeta and L. Lockhart, Roma 1972; Antonio Gouvea, *Relations des grandes guerres et victoires obtenues par le roi de Perse de Chah-Abbas contres les empereurs de Turquie Ahmet et Muhamet.* Tradiut de partougais. Roven 1646; დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე* (ბ. გიორგაძის თარგმანი). „მეცნიერება", თბ. 1977.

[2] გორგიჯანიძე ფარსადან, *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია.* ს. კაკაბაძის გამოც.. თბ. 1926; არჩილ II ბაგრატიონი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა": *თხზულებათა სრული კრებული.* თბილისი 1999; იოანე ბაგრატიონი, *აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.* ზურაბ კაცელაშვილის გამოცემა, თბ. 1997; ჩხეიძე სეხნია, *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა.* დ. ჩუბინაშვილის გამოც., სანკტ პეტერბურგი 1854; ორბელიანი ალექსანდრე, *ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან.* ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H2490; ორბელიანი ალექსანდრე, *ჩემი სახლის წინაპარნი.* ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H2412α.

[3] Jolâl al-Dîn Monajjem, *Târîkh-e 'Abbasî.* Ed. Seyf-allâh Vaḥîdniyâ. Tehran 1987-88; British Library, MS Or. 6263.

[4] Faẓlî Khûzânî al-Esfahânî, *Afżal al-tavârîkh.* University of Cambridge, Ms Dd. 5.6; Mir Mohammad Sa'îd Mashîzî, *Tarżkere-ye Ṣafavîye-ye Kermân.* Ed. Moḥammad Ebrâhîm Bâstanî-Pârîzî, Tehran 1990-91; Valîqolî Shâmlû, Qeṣaṣ al-khâqanî. Ed. Ḥasan Sâdât-Nâṣerî, vol. 1-2. Tehran 1992-96; Bîjan, [*Târîkh-e Rostam Khân*], British Library, MS. Add. 7655; La *Vîtaei Tempi di Rostam Khan* (edizione e traduzione del ms. British Library Add. 7655). Ed. Giorgio Rota. Ph. D. Thesis. Istituto Universitario Orientale, Naples 1996; Jolâl al-Dîn Monajjem, *Târîkh-e 'Abbasî...* Eskander Monshî, *Târîkh-e 'âlam-ârê-ye...*

კნელი ათწლეულების სამეცნიერო ძიებებმა კი გამოავლინა, რომ ეს ქართული ელემენტი არ არის მხოლოდ გატაცებული, გაყიდული ან ტყვედწაყვანილი გოგო-ბიჭების, შემდგომში გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული, მშობლიურ გარემოსა და ტრადიციებს აბსოლუტურად გაუცხოებულ მონა-მხევალთა და მეომართა მრავალათასეულ, მაგრამ განმარტოებულ და დაქსაქსულ ადამიანთა სიმრავლე. ისინი ქმნიან ირანის სეფიან მბრძანებელთა, კერძოდ შაჰ თამაზ I-ისა და შაჰ აბას I-ის, სამეფო კარზე დაწინაურებულ წარმოშობით ქართველ არისტოკრატთა წრეს, ერთმანეთთან ნათესაური ურთიერთობით და ეროვნული ინტერესებითაც დაკავშირებულ, გამაჰმადიანებულ ქართველ თავად-აზნაურთა, სპარსეთის უაღრესად გავლენიანი მმართველების დიდ ჯგუფს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ქართული წრე არც წარმომავლობით და არც სოციალური მდგომარეობით არ უნდა იყოს გაიგივებული სპარსეთის ე. წ. მონა-ჯარისკაცთა კორპორაციასთან. უფრო მეტიც, ისინი არ იყვნენ მხოლოდ გამოჩენილი მხედართმთავრები. ეს წრე სპარსეთის ინტელექტუალურ ელიტას განეკუთვნებოდა.[1]

სპარსეთის ამ ქართული წარმოშობის ელიტიდან გამოვლენილია ოთხი დიდი გვარის წარმომადგენლები: ბარათაშვილთა, სააკაძეთა, უნდილაძეთა და მირიმანიძეთა ოჯახებიდან. ისინი წარმოშობით ქვემო ქართლის რეგიონიდან, უპირატესად იმ ოლქებიდან იყვნენ, რომლებსაც ქართულ წყაროებში ხან საბარათიანო (ბარათილი) და ხან სომხითი ეწოდებოდა. ამ კუთხის თავად-აზნაურთა სწრაფვა სპარსეთის ქვეშევრდომობისკენ უმთავრეს შემთხვევებში გამოწვეული იყო XV1-XVII საუკუნეების

[1] Bîjan, [*Târîkh-e Rostam Khān*]...

სპარსეთ-ოსმალეთის დაუსრულებელი ომებით, რომლებიც ამ რეგიონის დაუზოგავ აოხრებას იწვევდა. ზოგიერთ საისტორიო წყაროში სპარსეთის სამსახურში შესულ რამდენიმე გამაჰმადიანებულ ქართველთა ეთნიკური წარმოშობით სომხობაზე მითითება, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, მათი ქვემო ქართლის *სომხითის* პროვინციიდან წარმომავლობის არასწორი გაგებით უნდა იყოს გამოწვეული. ჩამოთვლილი საგვარეულოების გამაჰმადიანებულ ქართველთაგან მხოლოდ მირიმანიძეთა გვარის წინაპრები არიან მიჩნეული სომხური ეთნოსის წარმომადგენლად, რამდენადაც ისინი მელიქის წოდებას ფლობენ, რაც ადგილობრივ სომეხს ნიშნავდა. თუმცა ამ გვარიდან სპარსეთის სამეფო კარზე დაწინაურებულ მირიმანიძეებს ზოგიერთი როგორც სპარსული (ფაზალი ხუზანი ესფაჰანი), ასევე სომხური (არაქელ დავრიჟეცი, იგივე თაბრიზელი) წყარო ქართველებად თვლის.

სპარსეთის სამეფო კარზე ამ უაღრესად დაწინაურებულ წარმოშობით ქართველ დიდ მხედართმთავართა და მმართველთა წრიდან ჩვენი საკვლევი პრობლემის ინტერესით საგანგებოდ მინდა შევჩერდე ალავერდი ხანზე, უნდილაძეზე. იგი არის სეფიანთა ირანში უაღრესად დაწინაურებულ წარმოშობით ქართველ მმართველთა უმთავრესი და ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. მან და მისმა შვილებმა – იმამ-ყული ხანმა, დაუდ ხანმა და შვილიშვილმა სეფი-ყული ხანმა სამეფო კარზე უდიდესი ავტორიტეტი, უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობანი (ბეგლარბეგობა) და უდიდესი სიმდიდრე თითქმის 40 წლის მანძილზე შეინარჩუნეს. საკმარისია ორიოდე ფაქტზე მითითება. პორტუგალიის ელჩი შაჰ აბასის კარზე ანტონიო გოვეა წერს, რომ მისთვის შაჰს უთქვამს: მთელი სპარსეთი მე მემორჩ-

ილება, ხოლო მე ალავერდი ხანს ვემორჩილებიო.[1] ალავერდი ხანი და მისი ოჯახი დიდ სიმდიდრეს ფლობდა. ალავერდი ხანის სახსრებით შენდებოდა სასახლეები და ხიდები. ისპაჰანის ერთ-ერთი ულამაზესი ხიდი დღესაც ალავერდი ხანის სახელითაა ცნობილი. ალავერდი ხანის ქართველი მეუღლის სახსრებით გაიყვანეს გზები ცენტრალური ირანის მთიანეთის უღელტეხილზე. უმდიდრესი იყო იმამ-ყული ხანი. მისი წარსაგებელით ისპაჰანის მახლობლად გრანდიოზული საირიგაციო მშენებლობები მიმდინარეობდა. როგორც ინგლისელი, ისე ქართველი ისტორიკოსები იმოწმებენ ერთი სპარსული ხელნაწერის ცნობას. ერთხელ შაჰ აბასს იმამ-ყული ხანისთვის უთქვამს: შენ ჩემზე ერთი დირჰემით ნაკლები დახარჯე, ხალხმა შაჰსა და ხანს შორის განსხვავება რომ დაინახოსო.[2]

უნდილაძეთა გვარის სპარსეთის სამეფო კარზე ეს უპრეცედენტო გავლენა გრძელდებოდა XVI საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან XVII საუკუნის 30-იან წლებამდე – შაჰ აბას პირველის ეპოქა. ეს დრო კი არის ირანის ისტორიაში ევროპასთან ძალიან ინტენსიური ურთიერთობის პერიოდი და ეს ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ირანისა და ინგლისის დიპლომატიური, სამხედრო და სავაჭრო კონტაქტებით. ამ ურთიერთობების ცენტრში საკუთრივ შაჰის შემდეგ და მის გვერდით ალავერდი ხანი იდგა. აი, როგორ აღწერს შაჰ აბასის ურთიერთობას ალავერდი ხანთან ირანელი ისტორიკოსი, პროფესორი ნასროლა ფალსაფი: „შაჰ აბასი ალავერდი ხანს ირანის ყველა სხვა დიდ სარდალზე უფრო მეტად აფასებდა და პატივს სცემდა. რადგანაც იგი ხანდაზმული კაცი იყო, შაჰი მას „მამას“ ეძახდა. ვერც ერთი სარდალი ვერ უტოლდებოდა მას ჩინისა და

[1] Antonio Gouvea, *Relations des grandes...*, p. 43.

[2] გაბაშვილი ვ., „უნდილაანთ ფეოდალური სახლი ...“, გვ. 65-66.

თანამდებობის მხრივ. იგი კარგად შეიარაღებული და ომში გამოწრთობილი ოცდაათიათასიანი ცხენოსანი ჯარით ირანის სამხრეთით მდებარე ყველა ვილაიეთზე, სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ აბასი დიდი ომებისას, რომელთაც ოსმალეთთან აწარმოებდა, უპირატესად მის სამხედრო ძალას ემყარებოდა ხოლმე."[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში პრობლემურია ალავერდი ხანის ეროვნული სადაურობის საკითხი. ზოგიერთი ისტორიკოსი მას ეროვნებით სომეხად თვლის, მხოლოდ საქართველოდან გადმოსახლებულად. ამის საფუძველს ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერებში ხედავენ.[2] ამავე დროს როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მკვლევარები პიეტრო დელა ვალეს ამ ცნობას შეცდომად თვლიან და იტალიელი მოგზაურის მიერ ძველ ჩანაწერებში ან ქართველთა ნაამბობში ქართლის ერთ რეგიონზე – სომხითზე მითითებას სომეხთა ეთნოსში სავარაუდო აღრევით ხსნიან (ზ. ავალიშვილი, დ. ალენი, ვ. გაბაშვილი, ჰ. მაედა). ალავერდი ხანის ქართველობას პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერებზე უფრო ადრინდელი ევროპული წყაროები ადასტურებენ:[3] დონ-ხუან სპარსელი, რომელიც შაჰის მიერ ელჩად გამოგზავნილ ანტონი შერლის სპარსეთიდან ევროპაში გამოჰყვა, თავის 1604 წელს გამოქვეყნებულ რელაციაში გარკვევით მიუთითებს, რომ შაჰმა ალავერდი ხანი 12000 ქართველი მეომრის სათავეში დააყენა, რადგან იგი ქართველი

---

[1] ფალსაფი ნ., *შაჰ-აბას პირველის ცხოვრება* (სპარსულიდან თარგმანი ლ. ჟორჟოლიანისა). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2003, გვ. 19-20.

[2] Pietro Della Valle, *I vioggi di Pietro Della Valle, Lettre della Persia*, vol. I. Eds. F. Gaeta and L. Lockhart, Roma 1972.

[3] გაბაშვილი ვ., „უნდილაანთ ფეოდალური სახლი...", გვ. 68-69.

რენეგატი იყოო.[1] ირანში ანტონი შერლის ამალის წევრის ინგლისელი უილიამ პერის ცნობით ალავერდი ხანი ქართველი ქრისტიანი იყო.[2] ალავერდი ხანის ქართველობას ადასტურებს მისი და მისი დიდი ოჯახის მჭიდრო და ამავე დროს ნათესაური (მოყვრული) კავშირი ქრისტიანულ საქართველოსთან და კერძოდ მის სამეფო საგვარეულოსთან. ქართველი მეცნიერის ვ. გაბაშვილის მიერ გამოვლენილია, რომ უნდილაძეთა გვარი ქართულ წერილობით დოკუმენტებში XIII საუკუნიდან ფიგურირებს. იაპონელი მკვლევარის ჰ. მაედას დაზუსტების თანახმად, ეს გვარი ქართულ საბუთებში XVI საუკუნის ჩათვლით უწყვეტად იხსენიება. დღეისათვის ევროპულ ირანისტიკაში ალავერდი ხანის ქართველ უნდილაძეთა გვარისადმი მიკუთვნება აღიარებული ფაქტია.[3]

მე ვფიქრობ, რომ *ვეფხისტყაოსნის* სიყვარულის რომანის საქართველოდან ევროპაში გატანის გზების ძიებისას XVI საუკუნის დასასრულის სპარსეთის სამეფო კარზე დაწინაურებულ ქართველთა მოღვაწეობა სარწმუნო სავარაუდო გზად უნდა ჩაითვალოს. ამას მაფიქრებინებს შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტი. 1599 წელს სპარსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა ინგლისელთა დელეგაცია ცნობილი დიპლომატის ანტონი შერლის მეთაურობით. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ინგლისელთა ამ წარმომადგენლობის ხელშეწყობით შესრულდა ირანელთა არმიის გადაიარაღება, კერძოდ ცეცხლმსროლელი იარაღის მოპოვება და დანერგვა. ამ საქმეს კი შაჰ აბასის საერთო მეთვალყურეობით უპირატესად ალავერდი ხანი ასრულებდა. ანტონი შერ-ლისა და მის ძმას რობერტ შერლის ეხმარებოდა

---

[1] *Relations de Don Juan de Persia dirigidas a la Magestad Chatolica de Don Philippe III, Rey de las Españos.* Valladolid 1604.

[2] Ross, E. Denison, *Sir Antony Sherley and his Persian adventure.* London 1933.

[3] Babaie S., Babayan K., Baghdiantz-McCabe I., Farhad M., *Slaves of the Shah. New Elites of Safavid Iran.* I. B. Tauris, London, New York 2004, pp. 28, 37, 119, 156.

აგრეთვე საქარ-თველოდან გამოსული შაჰის კარზე სხვა დაწინაურებული მოხელე – თამაზ-ყული ხანი, მირიმანიძეების საგვარეულოდან. ანტონი და რობერტ შერლიმ ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ირანის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებაში. შაჰ აბასმა ჯერ ანტონი შერლი და შემდეგ მოგვიანებით მისი ძმა რობერტ შერლი საკუთარ ელჩებად გაგზავნა ევროპაში.[1] ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, რომ შაჰის მიერ ევროპისადმი შეთავაზებულ ანტიოსმალური კოალიციის საკუთარ გეგმაში ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა მის კეთილ-განწყობლურ ურთიერთობას ქრისტიანებთან, რის გამოვლენასაც იგი ქართველ ქრისტიანებთან საკუთარი დამოკიდებულების აფიშირებით ცდილობდა. ამის ერთი დამამტკიცებელი აქტი, როგორც ამას XVII საუკუნის წყაროები აღნიშნავენ, იყო შაჰის მიერ ქართველთა მეფის სიმონის ქალიშვილის ცოლად შერთვა. უფრო მოგვიანებით კი პაპის მიერ ნაჩუქარი ოქროს ჯვრის საქართველოს მეფესთან გაგზავნა, ხოლო საქართველოს პატ-რიარქთან კი – საკუთარი ხელით გათლილი ხის ჯვრისა. შაჰ აბასი ყველანაირად ცდილობდა ევროპელთა თვალში ქრისტიან ქართველთა მიმართ საკუთარი ლოიალობა და კეთილგანწყობა გამოეხატა. ირანელი პროფესორი ნასროლა ფალსაფი იმასაც ფიქრობს, რომ შაჰ აბასმა ქართული ენა იცოდა. ესპანეთის ელჩის დონ გარსიას ჩანაწერების საფუძველზე იგი ერთ ფაქტს იხსენიებს. ერთ-ერთ აუდიენციაზე, იმისთვის, რომ თურქეთის ელჩს მათი საუბრის არსი არ გაეგო, შაჰმა ესპანეთის ელჩს ქართულ ენაზე

[1] პავლიაშვილი ქ., „ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე": *ქართული დიპლომატია*, 4. თბილისი, 1997.

მიმართა და მის სიტყვებს ესპანური და ქართული ენების მცოდნე თარჯიმანი თარგმნიდა.[1]

ანტონი შერლი, შაჰ აბასის ელჩის რანგში, ევროპაში 1599 წელს გაემგზავრა. შაჰმა მას ბევრი დანაბარები, წერილი და საჩუქარი გაატანა ევროპელი მონარქებისათვის. გახმაურებული იყო შაჰის მიერ ევროპაში გაგზავნილი საჩუქრების 32 ყუთი, რომლებიც ანტონი შერლის გვიანდელი განცხადებით დაიკარგა, ხოლო მკვლევართა აზრით, შერლიმ გზაში გაყიდა. შაჰის ინგლისელმა ელჩმა მთელი ევროპა მოიარა. ყველგან შაჰის დახმარებას ეძებდა, ბევრი ჩანაწერიც დატოვა. შაჰის კარზე მოგზაურობის შესახებ მის ჩანაწერთაგან ბევრი მათგანი ახლაც ინახება ბრიტანეთის არქივებში.

ეს ხანა, ევროპისა და ირანის მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობის, ინგლისელ დიპლომატთა მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობისა შაჰ აბასის ადმინისტრაციასთან, ანტონი შერლის მოგზაურობისა ირანსა და ევროპას შორის, არის XVI საუკუნის დასასრული და XVII საუკუნის პირველი წლები. 1608-1611 წლებში კი ინგლისის სამეფო თეატრალური დასის წრეში ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტზე დამყარებით დაიწერა ორი პიესა *ფილასტერი* და *მეფე და არა მეფე*. ამიტომ ვფიქრობ მე, რომ სპარსეთის ხელისუფლებაში უაღრესად დაწინაურებულ ქართული წარმოშობის მოხელეთა ამ წრის მეშვეობით შესაძლოა *ვეფხისტყაოსანი* ან ამ პოემის ამბავი ევროპაში გასულიყო და მას ინგლისელ ინტელექტუალთა წრეებამდე მიეღწია.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებსაც. იმდროინდელი ინგლისის მეცნიერთა და ჰუმანიტართა, კერძოდ

[1] ფალსაფი ნ., *შაჰ-აბას პირველის ცხოვრება...*, გვ. 18

დრამატურგთა, საზოგადოება მუშტრის თვალით დაეძებდა აღმოსავლეთიდან მოღწეულ ყველა ამბავს, ცნობას, წიგნს თუ ლიტერატურულ სიუჟეტს. ლიტერატურული საქმიანობის ეს სტილი გამოკვეთილია ბომონტისა და ფლეტჩერის შემოქმედებაშიც. მეორე მხრივ, XV საუკუნის დასასრულიდან დაწყებული ქართული დიპლომატია დაბეჯითებით ცდილობს, პოლიტიკური მხარდაჭერა მოიპოვოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ამ მიზნით ქართველთა ქვეყანა მთელი თავისი ღირებულებებით, მათ შორის კულტურულით, წარმოაჩინოს. ჩემი დაკვირვებით, XVI საუკუნის დასასრულიდან გამოიკვეთა ქართველთა კულტურული წარსულის უდიდესი გამოხატულების *ვეფხისტყაოსნის* გადარჩენის ცდა. ამ პერიოდში უნდა იყოს შეკრებილი, შევსებული და ერთ რედაქციად დამუშავებული *ვეფხისტყაოსანი*, წამძღვარებული მისი სასულიერო იდეოლოგიისგან გამმიჯნელი და საერო ლიტერატურად გამომცხადებელი სტროფით, რომელიც გადამწერლებს მისი გავრცელების საშუალებას აძლევდა.[1] ამ პერიოდში უნდა იყოს გააზრებული რუსთველის პოემის ქარველთა მაღალი ინტელექტუალური სახის წარმოჩენისათვის გამოყენების, ალბათ, პირველი ცდა; რაც შემდეგ მრავალგზის განმეორდა ჩვენი ქვეყნის საუკუნოვან და მძიმე ისტორიაში.

ბუნებრივია, რომ დაისმის ამგვარი კითხვა: იყო კი სპარსეთის წარმოშობით ქართველთა ეს მმართველი და დაწინაურებული წრე, კერძოდ ალავერდი ხანი და მისი ოჯახი, იმგვარი ეროვნული და კულტურული ინტერესებით შთაგონებული, რომ ქართული საზოგადოებრივი ინტერესის ეს მისია ეტვირთა? ჩემი აზრით, ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ჯერ ერთი, ქართულ საისტორიო მეხსიერებაში მტკიცედაა დამკვიდრებული ალავერდი ხანის ოჯახის უნდილაძეთა გვარიდან წარმომავლობის

[1] ხინთიბიძე ე., *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი...*, გვ. 297-299.

ფაქტი. ეს მტკიცდება არა მხოლოდ თეიმურაზ I-სა და არჩილ II-ის უშუალო ცნობებით, არამედ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის ისტორიულ ამბებზე უცხოურ წყაროებში დაცული ცნობებითაც. XVII საუკუნის სპარსელი ქრონისტის ფაზალი ხუზანის ცნობით აჯანყებულმა ქართველებმა 1626 წელს იმამ-ყული ხანის ქალიშვილი და სიძე – ანდუყაფარ ამილახვარი დაატყვევეს. მათ გადასარჩენად შაჰ აბასმა საქართველოში დიდი ლაშქარი გამოგზავნა. შეშინებულმა აჯანყებულებმა თავს გაქცევით უშველეს, მაგრამ მანამდე ტყვედ აყვანილი ანდუყაფარი და მისი მეუღლე – იმამ-ყული ხანის ქალიშვილი საბარათიანოში ალავერდი ხანის ოჯახს გაუგზავნეს.[1]

უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ალავერდი ხანი თავის ოჯახში მკაცრად იცავდა ქართულ ძირებს. მისი მეუღლე ქართველი ქალი იყო. მისი ორი ვაჟიშვილი, დიდი ბეგლარბეგები – იმამ-ყული ხანი და დაუდ ხანი ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ, რისთვისაც შაჰ აბასის მემკვიდრემ შაჰ სეფიმ ორივე მოაკვლევინა. დაუდ ხანი თავდაპირველად ფარულად მიემხრო გიორგი სააკაძის აჯანყებას, ხოლო მოგვიანებით თეიმურაზ I-თან ერთად შაჰ სეფის აუჯანყდა.

ალავერდი ხანმა თავისი ვაჟიშვილი დაუდ ხანი თეიმურაზ I-ის დაზე – ელენეზე დააქორწინა. XVII საუკუნის სპარსული თხზულების *აფდალ ალ-თავარიხის* მესამე ტომში დაცული ცნობის თანახმად, იმამ-ყული ხანის ქალიშვილები, შაჰ აბასის ნებითა და შუამავლობით, ქართული წარმოშობის გამაჰმადიანებულ თავადიშვილებსა და აზნაურებზე იყვნენ გათხოვილნი.[2]

---

[1] მაყდა ჰ., *ქართველები სეფიანთა ირანში*. „არტანუჯი". თბ. 2008, გვ. 37.

[2] მაყდა, ჰ., „ახალი ინფორმაცია ალავერდი ხანის შესახებ *აფდალ ალ-თავარახის* მესამე ტომიდან": *ვალერიან გაბაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბ. 2001, გვ. 46.

მართლაც, საისტორიო წყაროებით დასტურდება, რომ იმამ-ყული ხანის ოთხი ქალიშვილი ქართველებზე იყვნენ დაქორწინებულნი: ერთი მათგანი დაუდ-ბეგ გურჯიზე, მეორე – ალი-ყული-ბეგიზე (როსტომ სააკაძის ძმაზე), მესამე – ნოურუზ თულაშვილზე და მეოთხე – ანდუყაფარ ამილახვარზე.[1]

ევროპული წყაროები იმაზეც მეტყველებენ, რომ XVII საუკუნის ქართული საზოგადოება უნდილაძეთა ოჯახზე დიდ იმედებს ამყარებდა. იტალიელი მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელიც ამ დროს საქართველოში ცხოვრობდა, ასეთ ფაქტს აფიქსირებს: ირანის შაჰს სეფის საქართველოდან შეუთვალეს: თუ გინდა საქართველოს დაეპატრონო, იმამ-ყული ხანი უნდა მოიშორო, რადგანაც ქართველების თვალები მას მისჩერებიაო.[2]

ბუნებრივია, რომ ალავერდი ხანის დიდი ოჯახის მწიგნობრობასთან, და კერძოდ ქართულ მწიგნობრობასთან, დამოკიდებულებაზე სპარსულ საისტორიო წყაროებში ცნობები არაა დაცული და მაინც უნდა მიექცეს ყურადღება რამდენიმე ფაქტს: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ, გადმოცემის თანახმად, ისპაჰანში, ალავერდი ხანის ხარჯით მოხატულ ჩეჰელ-სუთუნის სასახლეში ქართული წარწერებიც იყო გაკეთებული.[3] უფრო დანამდვილებით იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ იური მარს 1925-26 წლებში ირანში მოგზაურობისას, ისპაჰანში, ალი-კაპუს სასახლეში, სადაც გადმოცემით შაჰ აბას I-ის ცოლების რეზიდენცია იყო, შემდგომ ეპოქაში გაკეთებული შენალესი ფენის ჩამოხსნის შედეგად ფრესკები გამოჩნდა. ერთ-ერთ

---

[1] გაბაშვილი ვ., „უნდილაანთ ფეოდალური სახლი..., გვ. 68; მაედა ჰ., *ქართველები სეფიანთა...*, გვ. 69.

[2] დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე...*, გვ.47.

[3] გაბაშვილი ვ., „უნდილაანთ ფეოდალური სახლი...", გვ. 65.

მათგანზე გამოხატული იყო მამაკაცის ფიგურა, ხელში გადაშლილი წიგნით, რომელშიც უფორმო ასოები ჩანდა, რომელთა შორის ხშირად მეორდებოდა ორი ქართული ასო: ა, დ.[1] სპარსეთის ქალაქ შირაზში რომის პაპის მიერ გაგზავნილ მისიონერთა (კარმელიტთა ორდენი) პრეფექტის 1623 წლის წერილი იუწყება, რომ იმამ-ყული ხანს უთხოვია, რომიდან მისთვის გამოეწერათ ბერძნულ და ლათინურ ენებზე პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა ტექსტები, არაბულ-ლათინური ლექსიკონი და არაბულად თარგმნილი ბიბლია.[2] სპარსული ისტორიული წყაროების საფუძველზე დაყრდნობით უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალავერდი ხანი ხელს უწყობდა არა მარტო არქიტექტურული პროექტების განხორციელებას, არამედ ისტორიული ქრონიკების და რელიგიური ტექსტების შექმნას; უფრო მეტიც, თვითონ ქმნიდა საკუთარ პოეტურ ნაწარმოებებს.[3] ალავერდი ხანსა და იმამ-ყული ხანს სპარსული წყაროები ილუსტრირებული ხელნაწერების მფარველებადაც მოიხსენიებენ.[4]

დაბოლოს – ალავერდი ხანისა და მისი ოჯახის დამოკიდებულებაზე შაჰ აბასის მიერ საქართველოში წარმოებული სისხლისმღვრელი ლაშქრობებისადმი. ქართველ ისტორიკოსთა დასკვნით, ალავერდი ხანის და მისი ოჯახის წარმომადგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სპარსეთის დიდი მხედართმთავრები იყვნენ, შაჰის მიერ საქართველოში განხორციელებულ

---

[1] Марр, Ю. Н., "По поводу выставки копий фресок Али-Капу": *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვეთი VII. ტფ. 1937, გვ. 570.

[2] *The Chronicle of the Carmelites and Papal mission in Persia XVII-XVIII centuries*, v. 1. London 1939, p. 279

[3] Babaie S..., *Slaves of the Shah*..., p. 121.

[4] იქვე, p. 137.

ლაშქრობებში პირადად მონაწილეობა არც ერთხელ არ მიუღიათ.[1]

1612 წლის ოქტომბერში ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და შაჰმა დაიწყო მზადება საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისა და ქართველთა ქვეყნის საბოლოოდ დამორჩილებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი თავის გეგმებს ალავერდი ხანს გაანდობდა: იგი შაჰის უპირველესი მრჩეველი იყო, ამავე დროს მთელი ირანის ჯარების მთავარსარდალი და ბაგრატიონთა სამეფო გვართან დამოყვრებული.[2] შაჰის ყველა პოლიტიკური ინტრიგის მცოდნე ალავერდი ხანმა კარგად იცოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა ამ საკითხზე თათბირი მის ხელში გაზრდილ მრისხანე მბრძანებელთან. ერთი გადმოცემის თანახმად, რომელიც სპარსეთში ალავერდი ხანის სიკვდილზე გავრცელდა, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ალავერდი ხანმა იმ კაცს, რომელსაც მისი აკლდამის მშენებლობა ევალებოდა, ჰკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო მისი საუკუნო განსასვენებლის მშენებლობა. დიდებულ ხანს აუწყეს, რომ ყველაფერი დასრულდა და აკლდამა მის მიბრძანებას ელოდებოდა. ალავერდი ხანის მხლებლებმა ამ დაუფიქრებელი პასუხისათვის მშენებელი გაკიცხეს. ალავერდი ხანმა კი იგი დაიცვა, თქვა, რომ მისი წასვლის დრომ უკვე მოაღწია. როგორც ჩანს, შაჰმაც კარგად იცოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა ალავერდი ხანთან თათბირი. შაჰ აბასის მემატიანე ისქანდერ მუნში ასეთ ამბავს გადმოგვცემს: შაჰი შორი გზიდან ისპაჰანში დაბრუნდა. ალავერდი ხანი თავი-სი პროვინციიდან – ფარსიდან შაჰის შესახვედრად ჩამოვიდა. როცა შაჰმა მას თვალი მოჰკრა, თანამგზავრებს გადაულაპარაკა: ალავერდი ხანს საიმქვეყნიო პირი უჩანსო. მემატიანე დასძენს:

---

[1] გაბაშვილი ვ., „უნდილაანთ ფეოდალური სახლი...“, გვ. 69.

[2] სვანიძე, მ., *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები*. თბ. 1990, გვ. 182.

როგორც შაჰმა იწინასწარმეტყველა, რამდენიმე დღის შემდეგ ფარსის ამირათა ამირა შემთხვევით ავად გახდა და გარდაიცვალაო. შაჰმა ისიც იცოდა, როგორ უნდა გაცხადებულიყო დიდებული ხანის შემთხვევით გარდაცვალება. მან ერთგული ბეგლარბეგი დიდებულად დაიტირა, ირანის დიდ ხელისუფალთა დასწრებით სამეფო ხარჯით დაკრძალა. მეორე დღესვე მის ვაჟიშვილს იმამ-ყული ხანს ეწვია, მამის ყველა თანამდებობა და სიმდიდრე მას დაუმტკიცა და რამდენიმე თვეში, 1613 წლის ოქტომბერში, საქართველოსკენ სალაშქროდ გაემგზავრა. სპარსული წყაროები იმოწმებიან, რომ ხალხში ფარულად დადიოდა ხმა იმაზე, რომ ალავერდი ხანის სიკვდილში შაჰის ხელი ერია. სპარსული წყაროების შეფარვით ნაამბობი ევროპულ წყაროებში ნათლადაა გამჟღავნებული. 1635 წელს პარიზში კლოდ მალეგრის წიგნი გამოსულა (გამომცემელი დე სენ-ლაზარი),[1] რომელშიც ამ ამბავთან დაკავშირებით იკითხება: „შაჰი მეტად განრისხებული იყო. შირაზის ხანი, სახელად ალავერდი (ალოავარდი) და მისი ჰარემის მეთვალყურე და მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩი-ბაში (კურში ბაში) შეეცადნენ უარი ეთქმევინებინათ შაჰისთვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ. ამის გამო ისინი შაჰის რისხვას ვერ გადაურჩნენ: შაჰმა ბრძანა ალავერდი ხანი მოეწამლათ (იგი მოწამლეს). მან სიკვდილის წინ გამწარებულმა ხელები დაუკბინა თავის ცოლს. ყორჩი-ბაში კი შაჰის ბრძანებით ჯოხით სცემეს.“[2]

ამგვარად, რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ამბის XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის ინტელექტუალურ წრეებში შეღწევის ჩემ

---

[1] Maligre Claude, *Histoires Tragiques de notre Temps, par sieur de S. Lazare Historiographe.* Paris 1635.

[2] ტაბაღუა, ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში,* III. „მეცნიერება“. თბ. 1987, გვ. 64.

მიერ შესაძლებლად მიჩნეულ სავარაუდო გზებიდან უფრო მეტად სარწმუნოდ მესახება სეფიანთა სპარსეთის კარზე დაწინაურებულ ეთნიკური წარმოშობით ქართველთა (მათ შორის შაჰ აბას პირველის ქართველ ცოლთა) ურთიერთობა ევროპელ დიპლომატებთან და ევროპაში სპარსეთიდან გაგზავნილ ელჩებთან. განსაკუთრებით საყურადღებოა ინგლისში *ვეფხისტყაოსნის* ამბის გამოჩენის უშუალოდ წინა პერიოდში ირანის ცნობილი ბეგლარბეგის და შაჰის უახლოესი მრჩევლის ალავერდი ხანის ურთიერთობა ინგლისის ელჩობასთან, რომლის მეთაური ანტონი შერლი XVI საუკუნის დამლევს შაჰ აბასის ელჩად გაემგზავრა ევროპაში; ალავერდი ხანის ინტერესი ქართლის პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მისი მოყვრობა ქართველთა სამეფო კართან; პირადად მისი და მისი ოჯახის მწიგნობრული ინტერესები. პრინციპული მნიშვნელობისაა ჩვენამდე მოღწეული ცნობა იმის თაობაზე, რომ ანტონი შერლის შაჰ აბასის სამეფო კარზე მხოლოდ ქართველი დიდებულები კი არ თანაუგრძნობდენ, არამედ შაჰის ქრისტიანი ცოლებიც,[1] რომლებიც თავიანთი მხრივ ალავერდი ხანის ახლობლებიც იყვენ. ეს ცნობა ამ საკითხის შემდგომი კვლევის მიმართულებით ახალ პერსპექტივებს სახავს.

დარწმუნებით მსჯელობა იმ დებულებაზე, რომ *ვეფხისტყაოსნის* ამბის ინგლისში შეტანა XVI საუკუნის დამლევს შაჰის გარემოცვაში დაწინაურებულ წარმოშობით ქართველთა და ამ პერიოდში სპარსეთში ჩასულ ინგლისელ დიპლომატთა და მოგზაურთა ექსპედიციის ურთიერთობის შედეგი იყო, კიდევ ერთ კითხვაზე მოითხოვს პასუხის გაცემას:

შეიძლება თუ არა ვიყოთ იმაში დარწმუნებული, რომ ანტონი შერლის და მისი თანამგზავრების მიზნებში შედიოდა აღმოსავ-

[1] „A short Account of the Sherley Family", by Major-General Briggs, F.R.S: F.G.S. (Journal of the Royal Asiatic Society. #XL).

ლეთში კულტურული, კერძოდ ლიტერატურული თუ ფოლკლორული მასალით დაინტერესება? და შემდგომ, ჰქონდათ თუ არა შერლის და მის მოგზაურებს კავშირი ინგლისის საზოგადოების იმ წრეებთან, რომელთაგანაც შეიძლებოდა ამ ექსპედიციის ამბებს და მოპოვებულ ცნობებს მიეღწია ინგლისის სამეფო კარის დრამატურგთა ჯგუფთან? პასუხი ამ კითხვაზე ცალსახად დადებითი აღმოჩნდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVI საუკუნის უკანასკნელ წელს სპარსეთში დიპლომატიური მისიით ჩადის ინგლისელ მოგზაურთა ჯგუფი ცნობილი დიპლომატისა და ავანტიურისტის ანტონი შერლის მეთაურობით, რომელიც ექვსიოდე თვე რჩება ირანის სამეფო კარზე და ეწევა პროპაგანდას თურქეთის წინააღმდეგ საომრად სპარსეთის ამხედრებისათვის. იმდროინდელ ევროპულ პუბლიკაციებზე დამყარებით, მკვლევარები ლაპარაკობენ აგრეთვე ანტონი შერლის დამსახურებაზე სპარსეთის არმიის რეორგანიზაციის საქმეში. თანამედროვე ირანისტების გამოკვლევების თანახმად, ანტონი შერლი აჭარბებდა თავისი დამსახურების წარმოჩენისას. მაგრამ შაჰ აბასის მიერ იგი საკუთარი ელჩის რანგში ნამდვილად იყო მივლენილი ევროპაში და წლების მანძილზე მოღვაწეობდა რუსეთში, ცენტრალურ ევროპაში, იტალიასა და ესპანეთში.[1] 1613 წელს ლონდონში დაისტამბა ანტონი შერლის წიგნი ირანში მისი მოგზაურობისა და დიპლომატიური საქმიანობის შესახებ. (Sir Antony Sherley. *Relation of his travels into Persia.* London 1613). როგორც ამ წიგნიდან ჩანს, ძირითადი საქმიანობა, რასაც ანტონი შერლი ეწეოდა შაჰის კარზე იყო პროპაგანდა იმის თაობაზე, რომ სპარსეთს საომარი მოქმედება დაეწყო თურქეთის წინააღმდეგ, ხოლო ამ საქმეში

[1] Ghani C., *Shakespeare, Persia and the East.* "Mage Publishers", Washington 2008.

შერლის მთავარი მხარდამჭერი იყო ალავერდი ხანი.[1] ალავერდი ხანზე, როგორც შერლის უმთავრეს და ერთადერთ მხარდამჭერზე სპარსეთის სამეფო კარზე მიანიშნებს უილიამ პერი, ანტონი შერლის კამპანიის მონაწილე, რომელმაც ამ მოგზაურობის შესახებ წიგნი 1601 წელს გამოაქვეყნა ლონდონში.[2]

როგორც ჩანს, პოლიტიკური და დიპლომატიური ინტერესები, რომლებზედაცაა გამახვილებული ყურადღება ანტონი შერლის წიგნში, არ იყო ერთადერთი მიზანი ამ მოგზაურობისა; ყოველ შემთხვევაში, ექსპედიციაში მონაწილე ყველა წევრისა, რომელთა რაოდენობა ანტონი შერლის გარდა 25 კაცს შეადგენდა. ჯერ ერთი, დიპლომატიური მისია, რომელსაც შერლი ასრულებდა, არ იყო უშუალოდ ინგლისის სამეფო კარის, და კერძოდ დედოფალ ელისაბედ მეორის მიერ ინსპირირებული.[3] ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ექსპედიციის შემადგენლობაში ნაკლებად ჩანს სამხედრო ექსპერტები ან დიპლომატები, რომლებიც ამ მიმართულებით ანტონი შერლისთან ერთად უნდა აქტიურობდნენ. ამავე დროს, ექსპედიციის წევრთა შორის არიან ინტელექტუალები, რომლებიც ამ მოგზაურობის თაობაზე წერენ და აქვეყნებენ ანგარიშებს, სტატიებს და წიგნებს მათი ლონდონში დაბრუნების უმალ: უილიამ პერი (William Parry), აბელ პინკონი (Abel Pincon), ჯორჯ მანვარინგი (George Manwaring), და კიდევ ვინმე ანონიმი.[4] ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს წიგნები თუ ანგარიშები დაწერილია ჩვეუ-

---

[1] Sherley Antony, *Sir Antony Sherley, his Relation ...*, p. 73.

[2] Perry William, *A New and Large Discourse of the Travels of Sir Anthonie Sherley, Knight by Sea and Overland to the Persian Empire.* London 1601.

[3] Ghani C., *Shakespeare, Persia...*

[4] The Anonymous *True Report*, William Perry's *New and Large Discourse*, Abel Pinçon's *Relation*, George Manwaring's *True Discourse* - იხ. *The Broadway Travelers.* (Edited by Sir E. Denison Ross and Eileen Power). Published by George Routledge and Sons LTD. London 1933.

ლებრივი მოგზაურული ინტერესებით (და არა განსაკუთრებული პოლიტიკური, სამხედრო თუ დიპლომატიური ინტერესებით). მათში წაიკითხავთ ცნობებს ქვეყნების ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, მოსახლეობის შედგენილობაზე, ხალხის ცხოვრების ეკონომიურ მხარეზე, საკვებზე, ჩვეულებებზე, კულტურულ სიძველეებზე და ღირსშესანიშნაობებზე, რელიგიური განსხვავებების დეტალებზე და სხვა ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ფაქტებზე.

1600 წლიდან დაწყებული ინგლისში უხვად შედის ცნობები ანტონი შერლის ექსპედიციის თაობაზე როგორც შერლის პირადი კორესპონდენციებით ბევრ ინგლისელ დიდგვაროვანთან, ისევე ინგლისში დაბრუნებული მისი თანამგზავრების მეშვეო-ბით და მაშინდელი ინგლისური პრესის საშუალებით. ამ მოგზაურობამ ინგლისში აღმოსავლეთის შესახებ უხვი ცნობები ჩაიტანა, რომელსაც ეყრდნობოდა იმდროინდელი ევროპული ინტელიგენცია.

ანტონი შერლის სპარსული ვოიაჟი განსაკუთრებით პოპულარული იყო ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – ძველ ანგლო-საქსონურ პროვინციებში: სასექსის, ესექსის, ჰემპშირის საგრაფოები (Sussex, Essex, Hampshire). შერლის სპარსული მოგზაურობის ერთადერთი სპონსორი იყო ესექსის გრაფი რობერტ დევერუქსი (Robert Devereux). შერლების ოჯახი სასექსის საგრაფოდან იყო. ანტონი შერლის და საუთჰამპტონის (ჰემპშირის საგრაფოს დიდი ქალაქი) გრაფს ჰენრი რაიტსლის (Henry Wriothesley) ცოლად ჰყავდათ დები, ესექსის გრაფის ბიძაშვილები. საუთჰამპტონის გრაფი ესექსის გრაფის უმცროსი მეგობარი და ერთგული თანამზრახველი იყო. თავის მხრივ საუთჰამპტონის გრაფი შექსპირის მფარველი, თაყვანისმცემელი და ესექსის გრაფთან ერთად თეატრის დიდი მოყვარული იყო. დედოფალი ელისაბედ I ესექსის გრაფ რობერტ დევერუქსისადმი

თავდაპირველად სიმპატიურად იყო განწყობილი, მას დაავალა ირლანდიის წინააღმდეგ დიდი კამპანიის წინამძღოლობა, რაც მარცხით დამთავრდა. ესექსის გრაფისა და მისი თანამზრახველების დაპირისპირება სამეფო კარისადმი გადაიზარდა პოლიტიკურ შეთქმულებაში (მასში თვით სამეფო თეატრალური დასიც იყო ჩათრეული), რასაც ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფების დაპატიმრება და 1601 წელს ესექსის გრაფის სიკვდილით დასჯა მოჰყვა. ამან განაპირობა ანტონი შერლის არაპოპულარობა ინგლისის სამეფო კარზე; მისი ინგლისში დაბრუნებაზე უარის თქმა და თვით მის შესახებ არსებული პუბლიკაციების ნაწილობრივ აკრძალვა.

დავუბრუნდეთ შერლის მონათხრობს 1613 წელს გამოცემული წიგნის მიხედვით. შერლის დიპლომატიურმა საქმიანობამ ხელი შეუწყო იმ ჩანაფიქრის ამოქმედებას, რაც სპარსეთის სამეფო კარზე არსებობდა. შაჰ-აბასმა მრავალწლიანი საომარი მოქმედებები დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც თანდათანობით სპარსეთის მიერ ათეული წლების წინ დაკარგული რეგიონების დაბრუნებით და ქვეყნის პოზიციების განმტკიცებით დასრულდა. შაჰის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას წინ უძღოდა ცხარე დისპუტი, რასაც ანტონი შერლი დეტალურად აღწერს:

გადამწყეტი თათბირი შაჰის კარზე მას შემდეგ გაიმართა, რაც შერლიმ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაჰის დიდ ვეზირთა შორის მხარდამჭერებს მიაგნო. შაჰისა და ინგლისელი მოგზაურის საუბარს ესწრებოდნენ ვეზირები: ჰალდენ ბეგი (Haldenbeague), ბეფთან აღა (Beftan-Aga) და ალავერდი ხანი (Oliver di-Can). შერლი შეეცადა შაჰის დარწმუნებას ევროპის ქრისტიან მეფეებთან კავშირისა და მათთან ერთად თურქთა წინააღმდეგ გალაშქრების აუცილებლობაში. ვეზირებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს. ჰალდენ ბეგიმ და ბეფთან აღამ არ მოიწონეს ეს წინადადება. მათ

მსჯელობას სათანადო არგუმენტაციაც ახლდა: სერ ანტონი შერლი, როგორც ვაჭარი, არაკომპეტენტურად მსჯელობს პოლიტიკურ საკითხებზე; სპარსეთს უწინაც ხშირად შეხვედრია უსიამოვნება ქრისტიან მეფეებთან კავშირის გამოც და ახლაც საშიშია მათთან კავშირის დაჭერა; მართალია, თურქებთან მეზობლობა არ არის ადვილი, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში სპარსეთს მათთან კონფლიქტი აღარა აქვს; თურქებთან ომი ძალზე ძნელი იქნება, რადგან მათ სპარსეთის საზღვრებთან – თბილისში, ვანსა და თავრიზში ციხე-სიმაგრეები აქვთ გამაგრებული; უმჯობესი იქნება თურქებთან მშვიდობის შენარჩუნება და იმ ტერიტორიების დალაშქვრა, სადაც სპარსელთა რელიგიის მიმდევრებს ავიწროებენ.

ამ ვეზირთა შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ალავერდი ხანმა. ანტონი შერლის წიგნში მისი სიტყვა ვრცლადაა გადმოცემული,[1] ქართველ ისტორიკოსთა და ორიენტალისტთათვის, როგორც ჩანს ეს სიტყვა არ იყო ცნობილი, ან სათანადოდ გაანალიზებული. სასურველია ყურადღება მიექცეს ალავერდი ხანის ორატორიის რამდენიმე ასპექტს: მონარქის მრჩეველთათვის დამახასიათებელი მაღალი ორატორული ხელოვნება; მეფისადმი ჰიპერბოლურ სახოტბო მიმართვაში ჩართული ბრძნული და ლოგიკური რჩევები; მსუბუქი სტილით მსჯელობის გარკვეული მიმართულებით წარმართვა; პრაქტიკული და ტაქტიკური მიზნებით რელიგიური ტოლერანტობისაკენ მოწოდება; პოლიტიკური და მილიტარული მოქმედების მეთოდური და ტაქტიკური რჩევები; საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება; საკუთარი ქვეყნის (სპარსეთის) ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდგომარეობის

[1] ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა სპარსეთ-ოსმალეთის ომის განახლების თაობაზე წარმოთქმულა შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე XVI საუკუნის დასასრულს, სავარაუდოდ, 1599 წლის დასაწყისში.

შეფასება; მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება; აღმოსავლური სიბრძნე: ზოგადი ბრძნული სენტენციები.

ქვემოთ ვაქვეყნებ ალავერდი ხანის სიტყვის თარგმანს.[1]

ალავერდი ხანის, უნდილაძის სიტყვა შაჰ აბას პირველის სამეფო კარზე 1599 წლის დასაწყისში

(Sir Antony Sherly, *His Relation of His Travels into Persia.* London 1613, pp. 86-93)

„ვეზირების მსჯელობის საპასუხოდ ალავერდი ხანი შაჰის წინაშე შემდეგი სიტყვით წარდგა: დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან რჩევის მიცემა და საკუთარი აზრის თავზე მოხვევა. [სერ ანტონი შერლის] შაჰისთვის რამე კი არ ურჩევია და, მით უმეტეს, მის დაყოლიებას კი არ ცდილა, არამედ ოდენ განსახილველად შესთავაზა ხსენებული საკითხი მის უდიდებულესობას. შესაძლოა [შერლის] მიერ წამოყენებული გეგმის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იყოს სახელმწიფოში ამჟამად

---

[1] ალავერდი ხანის სიტყვის ინგლისური ტექსტი იკითხება ანტონი შერლის წიგნში: Sir Antony Sherly, *His Relation of His Travels into Persia.* London 1613, pp. 86-93. ქართული თარგმანი ჩემი თხოვნით და რედაქციით შესრულებულია მარიამ ნოდიას მიერ, ბატონ არიანე ჭანტურიას კონსულტაციით. ეს პუბლიკაცია ინგლისურ ორიგინალთან ერთად პირველად განხორციელდა ჟურნალ „ქართველოლოგში“, #18, 2012 წ., გვ. 16-31. აქვე ვაქვეყნებ მთარგმნელის შენიშვნას მითითებული პუბლიკაციიდან ქართული თარგმანის დედანთან მიმართების (ისევე როგორც ჟურნალში გადმობეჭდილი ინგლისური ტექსტის) თაობაზე: „ორიგინალის ტექსტი ძველი ინგლისურითაა დაწერილი, ქვემოთ წარმოდგენილ ინგლისურენოვან ვარიანტში კი სიტყვათა მართლწერა თანამედროვე ინგლისური ნორმების შესაბამისადაა შეცვლილი, თუმცა პუნქტუაცია და წინადადების წყობა უცვლელადაა გადმოტანილი. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი თავისუფალია და, შესაბამისად, წინადადებათა თანმიმდევრობა ზოგან არ მიჰყვება ორიგინალისას, შევეცადეთ, რომ დედნის ტექსტში წარმოდგენილი შინაარსობრივი ინფორმაცია დედანთან ზედმიწევნით ახლოს გადმოგვეცა“.

არსებულ რიგ გარემოებათა გამო, რომელთა შესახებაც მას ნაკლებად მოეხსენება. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ იმსახურებს კრიტიკის ასეთ ქარ-ცეცხლში გატარებას. დიდებულთა ვალია მრავალი მოსაზრება მოისმინონ და უპირატესობა მათგან საუკეთესოს მიანიჭონ. ამას კი ისე ვერ შეძლებენ, თუ თავიანთ ქვეშევრდომებს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება არ მისცეს. დღეს თქვენც, მეც და თითოეულ ჩვენთაგანს წილად გვხვდა დიდი შაჰის წინაშე სიტყვით წარდგომის პატივი. ამიტომაც, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, მას გულახდილად მოვახსენოთ, რასაც ვფიქრობთ. ჩვენ გადაწყვეტილებების მიღება კი არ გვევალება, არამედ მისი უდიდებულესობის წინაშე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მსჯელობა. ნებისმიერ ღირსეულ ადამიანს, მიუხედავად იმისა, ქრისტიანი იქნება ის, იუდეველი თუ თავისი განსხვავებული პოზიციით ყველაზე ცუდი კაცი ამქვეყნად, უნდა შეეძლოს შაჰისთვის თავის მოსაზრებათა გაზიარება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი მსჯელობა საღი იქნება, ჩვენ კი არ შევეწინააღმდეგოთ, არამედ, პირიქით, მხარი უნდა დავუჭიროთ. ჩვენ, როგორც ვეზირებს, გვევალება, რომ მოვუსმინოთ ყველას, განურჩევლად მისი წარმომავლობისა თუ მდგომარეობისა და ოდენ მისი რჩევანი ვიღოთ ყურად, ვისაც ნამდვილად შესტკივა ქვეყანაზე გული. ეს ქრისტიანი ირწმუნება, რომ ესოდენ შორი გზა იმისთვის გამოიარა და მრავალი განსაცდელი იმისთვის გადაიტანა, რომ ერთგული სამსახური გაეწია ჩვენი დიდი ხელმწიფისათვის, რომლის ძალმოსილებისა და სიქველის შესახებ მრავალი სმენია. მართლაც, რა გასაკვირია, რომ უდიდებულესობის სახელი საქვეყნოდ იყოს განთქმული? როგორც წესი, ვაჭარნი საკუთარი დადებითი მხარეების შესახებ საუბრისას თავის ზნეს არ ივიწყებენ და ისე აზვიადებენ ყველაფერს, თითქოს გასაყიდი საქონლის გასაღებას ცდილობდნენ. [სერ ანტონი შერლი] კი სრულიად საპირისპიროს ჩადის: იგი არ ითხოვს, რომ, როგორც შორიდან წარმოგზავნილ ელჩს, განსაკუთრებული პატივი მივაგოთ ან რაიმე წოდება თუ პრივილეგიები მივანიჭოთ. საოცარია, რომ იგი ასე იქცევა ქვეყანაში, სადაც სხვა არავინ გაუშვებდა ხელიდან უკეთ ან უფრო უსაფრთხოდ ცხოვრების საშუალებას. ეს ქრისტიანი გონების კარნახით მოქმედებს და ღირსეული მიზანი დაუსახავს: სურს, რომ ჩვენს ხელმწიფეს ემსახუროს მანამ, სანამ ამას მისი უდიდებულესობა ინებებს. სანაცვლოდ კი ქონებას, პირად სარგებელს ან რაიმე სხვას კი არ გამოელის, არამედ ოდენ დიდი შაჰის კეთილგანწყობას. თუმცა, ეს დიადი განზრახვა იმთავითვე დასაღუპად იქნება განწირული, თუ

[შერლი] შაჰის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას, როგორც გარეშე პირი, ისე შეუდგება. სულ სხვაგვარად იქნება საქმე, თუ ხელმწიფე მას თავისი ღირსებისა და ერთგულებისათვის დააჯილდოვებს და დიდებულის წოდებას უბოძებს. (ტიტული და მიწა [შერლის] წინსვლაში დაეხმარება და შედეგად იგი კიდევ უფრო მეტად გამოადგება ჩვენს ქვეყანას. ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, მსურს დიდმა შაჰმა, ჩვეულებისამებრ, სამართლიანად განსაჯოს ყოველივე და შესაფერი პატივი მიაგოს ღირსეულთ. გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, რომ არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს ადათს, რომელიც სტუმართმოყვარეობას, კეთილშობილური ზრახვებით მოსულთა, განსაუკთრებით კი ჩვენი მეფის ერთგულთა, საკადრის მიღებასა და დაცვას გვიქადაგებს).

რაც შეეხება [შერლის] წინადადებას: მიუხედავად იმისა, რომ ვეზირებს გონიერ და ბრძენ პირებად მივიჩნევ, მაკვირვებს ამ საკითხისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულება. როგორც წესი, ხალხის გარკვეულ წრეს ძალუძს ინდივიდის შეცდომაში შეყვანა და მისთვის განზრახულსა თუ ნაფიქრალზე ხელის აღებინება. როგორც ჩანს, ამჟამადაც სწორედ ასე მოხდა: მისმა უდიდებულესობამ დიდებულთა აზრი გაითვალისწინა და სწორედ ამიტომ გაიგო არასწორად [შერლის მიერ] წამოყენებული წინადადების უმთავრესი მიზანი. კაცს იმის გაკეთება არ უნდა მოსთხოვო, რაც მის ძალ-ღონეს აღემატება. [სერ შერლის აზრით], ჩვენს ქვეყანას ესოდენ საპატიო მისიის შესრულება დიდძალ სიმდიდრეს მოუხვეჭს და სახელსაც გაუთქვამს. ამასთან, იგი დარწმუნებულია, რომ ისეთ ბრძენსა და გონიერ შაჰს, როგორიც ჩვენ გვყავს, ამ რთულ საქმესთან შეჭიდება არ გაუჭირდება. ამისთვის მას დიდძალი განძი, იარაღი და ჯარი დასჭირდება, მაგრამ მათ მოძიებას იოლად შეძლებს. დრო გადაწყვეტილების მიღებაზე კი არ უნდა დავხარჯოთ, არამედ დასახული ამოცანის სისრულეში მოყვანას უნდა მოვახმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო ზომების დროულად მიღებას ვერ შევძლებთ. მთავარი ახლა ფული კი არაა, არამედ ის, რომ შაჰმა თურქების ამჟამინდელი დაბნეულობითა და დაქსაქსვით ისარგებლოს, მის ხელთ არსებული ძალები გააერთიანოს: მოუხმოს როგორც თავის თიმარებში*, ასევე მის მიერ დაქირავებულ საზღვრებთან განლაგებულ ჯარებს და თურქთა დასალაშქრად მოემზადოს (თუნდაც ამისთვის რაიმე კონკრეტული

* 20000 აკრზე ნაკლები ფართობის მიწა, რომელთაც ოტომანთა სულთნები იჯარით გასცემდნენ.

საბაბი არ ჰქონდეს). მართალია, ამის ალბათობა მცირეა, მაგრამ დავუშვათ, რომ შაჰი უნგრების არახელსაყრელ პირობებს დასთანხმდეს და მათთან მშვიდობის დამყარება გადაწყვიტოს. აღნიშნული საკითხის განხილვას, ზავის დადებას, ჯარების გაწვევასა და ა. შ. ძალზედ დიდი დრო დასჭირდება. სავარაუდოდ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კიდევ რაიმე ახალი დაბრკოლება იჩენს თავს და დაზავებას ხელს შეუშლის. მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, მაინც აჯობებს, შაჰი დროებით ზავს დასთანხმდეს, ვიდრე მომავალში იძულებული გახდეს, უარეს დათმობებზე წავიდეს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი უმთავრესი მოკავშირენი უნგრელებს ემხრობიან. გარდა ამისა, არც ისაა გამორიცხული, რომ უნგრეთმა თავისი საზღვრები კონსტანტინოპოლამდე განავრცოს.

თურქებთან ბევრი რამ გვაქვს საერთო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რელიგიები მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, შეუძლებელია, ომმა სამუდამო მტრებად გადაგვკიდოს და ერთურთის მიწისაგან აღგვა გვასურვებინოს. არაერთი გარემოება შეგვიწყობს ხელს მომავალში მათთან ურთიერთობის აღდგენაში. კარგად ვიცი, რომ თავრიზი, და ვანი ძლიერი ქალაქებია. მაგრამ ძალისა და ნებისყოფის მობილიზების საშუალებით ნებისმიერი ადგილის აღებაა შესაძლებელი. თანაც, არა მგონია, გაჭირვების ჟამს ჩვენს მოწინააღმდეგეს ვინმე ამოუდგეს მხარში. თათრები, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ხანი არაა, რაც დამარცხდნენ და პირველივე შესაძლებლობისთანავე აჯანყდებიან. ჩვენც შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ და დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ. უკმაყოფილება მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიზარდოს სერიოზულ საფრთხეში, როდესაც მას წინ უძღვის ამაო და ხანგრძლივი ბრძოლა გათავისუფლებისათვის. მის უდიდებულესობას შეუძლია ოცდაათიათასი ჯან-ღონით აღსავსე თათარი გაიწვიოს ომში, შედეგად კი არა მარტო პროვინციაში დაისადგურებს სიმშვიდე, არამედ ჩვენი ჯარიც განახლდება და შეივსება. თათრები, რომელთაც ეცოდინებათ, რომ მათი ცოლ-შვილისა თუ მშობლების ბედი შაჰის ხელთაა, იძულებულნი გახდებიან, რომ ერთგულად ემსახურონ მას. არაა გასაკვირი, რომ ჩვენს ხელმწიფეს აქამდე არ უფიქრია თურქებთან ომის დაწყება და საკუთარი სამეფოსა და ხალხის საფრთხეში ჩაგდება. თუმცა, ცხადია, რომ იგი ამ სარისკო ნაბიჯებით არა მარტო ამჟამად არსებული უსამართლობისა და ბოროტების აღმოფხვრას შეუწყობს ხელს, არამედ მომავალში მოსალოდნელ სირთულეთაც აიცილებს თავიდან. როგორც წესი, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი წინასწარ განჭვრეტს ხვალინდელ დღეს და

საჭირო ზომებს დროულად მიიღებს, მისი ქმედება სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს. ხოლო თუ იგი მანამ არ გაანძრევს ხელს, სანამ სავალალო შედეგების წინაშე არ აღმოჩნდება, ვეღარაფერი უშველის. ექიმების თქმისა არ იყოს: საწყის ეტაპზე ციებ-ცხელების განკურნება ადვილია, შემჩნევა კი – რთული. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფმა დროულად არ მიაკითხა მკურნალს, მდგომარეობა რადიკალურად იცვლება: ავადმყოფობა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, მისი განკურნება კი – შეუძლებელი. სახელმწიფოს შემთხვევაშიც ხშირად სწორედ ასეა საქმე: თუ კაცი წინასწარ განჭვრეტს მოსალოდნელ პრობლემებს, მათი თავიდან აცილება არ გაუჭირდება; ხოლო სირთულეთა უგულებელყოფის შემთხვევაში კი მათ აღმოფხვრას ვერასდროს შეძლებს. ყოველივე ზემოთქმულს შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: მიუხედავად იმისა, რომ თურქებთან შეტაკება მის უდიდებულესობას არაერთ უსიამოვნებას მიაყენებს, მან უკან არ უნდა დაიხიოს და ბრძოლაზე უარი არამც და არამც არ უნდა თქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმის ნაცვლად, რომ მოწინააღმდეგე ჩამოიშოროს, მას წინსვლის საშუალებას მისცემს. მოგეხსენებათ, ომის თავიდან აცილება შეუძლებელია – ოდენ მისი გადადებაა შესაძლებელი. ეს კი ისევ და ისევ ჩვენი მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს. არ დავეთანხმები იმ ბრძენთ, რომლებიც მუდამ იმას გვირჩევენ, რომ არ ავჩქარდეთ. პირიქით, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ნებისმიერმა დიდებულმა თუ უბრალო მოკვდავმა თავისი გონებისა და ღირსებების სრული რეალიზება დროულად უნდა მოახდინოს, ვინაიდან დრო სწრაფად გარბის და ხშირად სიკეთეს ბოროტებით ცვლის და ბოროტებას – სიკეთით. როგორც წესი, ხელმწიფეთა რეპუტაციას მათი სამართლიანი ქმედება განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შაჰის სახელს ამ ქრისტიანის თავის სამსახურში ჩაყენება ოდნავადაც კი არ მიაყენებს ჩრდილს. პირიქით, ამ ეტაპზე უგნრეთთან და ესპანეთთან კავშირი მას სასიკეთოდ წაადგება. მიუხედავად იმისა, რომ თურქებთან მრავალი საერთო გვაქვს, ამჟამად ის უფრო მართებული და იოლი იქნება, რომ შაჰმა ესპანეთი და უნგრეთი მასთან კავშირის აუცილებლობაში დაარწმუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც თავად აღმოვჩნდებით სირთულეთა წინაშე და დახმარება დაგვჭირდება, შესაძლოა ამ ქვეყნების მმართველებმა ჩვენი საუბარი ყურად აღარც კი იღონ. მიუხედავად თქვენ მიერ გამოტანილი დასკვნისა, გთხოვთ, კიდევ ერთხელ აწონ-დაწონოთ ყოველივე. ხელმწიფე თურქებთან ომის დაწყების შემთხვევაში დიდძალ იარაღსა და ხაზინას კი არ

დაკარგავს, არამედ, პირიქით, სიმდიდრეს მოიხვეჭს და ჯარის შენახვა აღარ გაუჭირდება. ხოლო მაშინ, თუ ომზე უარს იტყვის, თავისი მეომრების განლაგება ისეთ შორეულსა და უნაყოფო მიწებზე მოუწევს, როგორებიც ლორე და ორმუზია. იქ კი ჯარისკაცთა გამოკვება ბევრად უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე იარაღის შესყიდვა და ბრძოლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი.

გარდა ამისა, საფრთხეს არც ესპანეთის მეფე შეგვიქმნის, რომელიც პრიორიტეტს თავისი ტერიტორიების განვრცობას კი არ ანიჭებს, არამედ მათ დაცვას. როგორც წესი, იგი ცდილობს შექმნას იმის ილუზია, რომ ქვეყნის საზღვრების გაფართოებას აპირებს. სინამდვილეში კი ამისათვის არც საკმარისი რაოდენობის მეომრები ჰყავს და არც ცხენები. ერთადერთი, რისი იმედიც აქვს, თავისი კარაპები,* რომლებითაც ფორტებს ამაგრებს. ესპანეთის მეფესთან ბრძოლა ჩვენს ხელმწიფეს დიდძალი სიმდიდრისა და ჯარისკაცების დაკარგვის ფასად დაუჯდება, რაც, რასაკვირველია, თურქებს მეტად აამებს და მათ კიდევ უფრო გააძლიერებს. საქმე ისაა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ზღვასთან არიან გამაგრებულები, სადაც ჩვენ საფორტო ნაგებობანი არ გაგვაჩნია. აქედან გამომდინარე, შაჰს დიდი სიფრთხილე მართებს გადაწყვეტილებების მიღებისას. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანას მეტად არახელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა უკავია: თურქების იმპერიასა და ესპანეთის სამეფოს შორის მდებარეობს. როგორც წესი, თურქები მუდამ სარგებლობდნენ ჩვენსა და ესპანელებს შორის არსებული უთანხმოებით და ჩვენ მიერ დაკარგულ ტერიტორიებს თავად იერთებდნენ. წინაპრების მაგალითმა არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების საფუძველს ესპანეთთან კავშირი და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა წარმოადგენს. უფლისა და დიდი შაჰის წყალობით არ უნდა გაჭირდეს ჩვენი ქვეყნის საზღვრების განვრცობა. ამისათვის აუცილებელია, მისმა უდიდებულესობამ თურქების მიერ მიტაცებული პროვინციები დაიბრუნოს (რაშიც მას ვერაფერი დაეხმარება ისე, როგორც ქრისტიან მეფეებთან, განსაკუთრებით კი ესპანეთის ხელმწიფესთან კავშირი და მისი საზღვაო ფლოტით სარგებლობა). სწორედ ამიტომ ვერ გამიგია, რატომ ცდილობთ შაჰის დარწმუნებას იმაში, რომ მას ებრძოლოს, ვისთან თანამშრომლობაც სიკეთის მეტს არაფერს მოუტანს. გარდა ამისა, ესპანეთის მტრად მოკიდებით დანარჩენ ქრისტიან მონარქებსაც განვარისხებთ. შედეგად

---

* საბრძოლო გემი

თურქებს თავადვე შევუწყობთ ხელს გაძლიერებაში. ისინი კი, რასაკვირველია, პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლებენ და ჩვენ წინააღმდეგ იმოქმედებენ. თურქნი სწორედ იმიტომ ცდილობენ ჩვენთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, რომ დრო მოიგონ, ძალების მობილიზება მოახდინონ, საჭირო აღჭურვილობა მოიმარაგონ და ჩვეულებისამებრ აგვიჯანყდნენ (ისე, როგორც, მაგალითად, მისი უდიდებულესობის მოხარკე არმესელი დიდებული მუმბარაგი და არაერთი მისთანანი, რომლებიც არც თავიანთი მდგომარეობით გამოირჩევიან და არც – ქმედებით). მართალია, ვეზირები თურქებთან ომის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ, აშკარაა, რომ შეტაკების შემთხვევაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ამაში კი, უპირველეს ყოვლისა, თურქთა სულთანის ამჟამინდელი არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა დაგვეხმარება. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი მეფეთა მრჩეველნი ხშირად თავიანთი ხელმწიფის დადებით თუ უარყოფით მხარეებთან ასოცირდებიან. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სხვა პიროვნებას, თუნდაც იგი განსაკუთრებული ღირსებით გამოირჩეოდეს, ისინი ეჭვის თვალით უყურებენ და მოქმედების დროსა და საშუალებას უზღუდავენ. ასე ისინი იმიტომ იქცევიან, რომ თავიანთზე ნიჭიერ და ღირსეულ პირთა კონკურენცია აშინებთ. ჩემს ნათქვამში დასაწმუნებლად აღარ მოვიყვან იმ უამრავ მაგალითს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა და არც მათი სახელების ჩამოთვლას მოვყვები, ვინც, ზემოხსენებული მიზეზის გამო, საწყალობლად დაასრულა საკუთარი სიცოცხლე. ერთადერთი სურვილი მაქვს: მის უდიდებულესობას ვთხოვო, მკაცრად ნუ განსჯის ამ ქრისტიანს, რომელმაც ესოდენი გაბედულება მხოლოდ იმისთვის გამოიჩინა, რომ შაჰისათვის თავისი ერთგულება დაემტკიცებინა. შირლიმ ოდენ თავისი მოსაზრებანი გაგვიზიარა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მისი გეგმის სისრულეში მოყვანა კიდევ უფრო გაუთქვამდა სახელს შაჰს, მის სამეფოსა და ქვეშევრდომებს; და მათთვის უსაფრთხო და უზრუნველყოფილი მომავლის გარანტი გახდებოდა. შერლის არ უსაუბრია თურქთაგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომელზედაც ზემოთ მოგახსენებდით, ვინაიდან ეს ისედაც აშკარაა. შაჰმა მადლობა გადაუხადა ალავერდი ხანს და უბრძანა ბოსტან აღას თავისი აზრი გამოთქვა. მან ჯერ ყველას მადლობა მოახსენა გულახდილობისათვის, შეაქო ისინი (ვინაიდან მას საჯარო კრიტიკა არ სჩვევია: ოდენ თავად უწყის, რას ფიქრობს სინამდვილეში), შემდეგ კი ისაუბრა როგორც თურქებთან ომის, ასევე ჩემ [სერ ანტონი შერლის] შესახებ...“

უცნობი საისტორიო წყარო სპარსეთის სეფიანთა კარზე ქართული კვალის თაობაზე*

ჩემი ინტერესის შესახებ. სპარსეთის სეფიანთა სამეფო კარზე მყოფ ქართველთა თავგადასავლებით ჩემი დაინტერესება *ვეფხისტყაოსნის* ფაბულის XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის დრამატურგთა წრეში შეღწევის კვალის ძიებით დაიწყო. ჩემი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ეს მოვლენა XVI საუკუნის დასასრულის სეფიანთა სამეფო კარზე დაწინაურებული და უაღრესად გავლენიანი ქართველი მოხელეების, კერძოდ, ალავერდი ხანი უნდილაძის და იმავე საუკუნის დამლევს სპარსეთში რამდენიმე თვის განმავლობაში სერ ანტონი შერლის მეთაურობით მოღვაწე ინგლისელ დიპლომატთა და მოგზაურთა ჯგუფის თანამშრომლობით უნდა დაწყებულიყო, ყველაზე მეტად სარწმუნო აღმოჩნდა. ამ თვალსაზრისს საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ უცხოელ ჰუმანიტართაგან ერთ-ერთმა პირველმა ინგლისელმა მწერალმა და მეცნიერმა ანტონი ანდერსონმა მიაქცია ყურადღება. მან ჩვენი პირველი შეხვედრისა და საუბრისას მითხრა: სადღაც წამიკითხავს, ანტონი შერლის სპარსეთის სამეფო კარზე შაჰ-აბასის ორი ქრისტიანი ცოლი ეხმარებოდაო. ეს აზრი 2018 წლის ნოემბერში ლონდონში სამეფო სააზიო საზოგადოებაში ჩემი წიგნის (*Medieval Georgian Romance*

---

* პირველად გამოქვეყნდა 2019 წელს სამეცნიერო კრებულში *ისტორიანი* (აკადემიკოს როინ მეტრეველისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა „არტანუჯი"), გვ. 306-323. ამჟამად ქვეყნდება გადამუშავებული სახით.

The Man in a Panther-Skin and Shakespeare's Late Plays) პრეზენტაციაზე გაიმეორა. სად უნდა ამოეკითხა ჩემს ინგლისელ კოლეგას ეს აზრი? ემყარება ეს ცნობა რაიმე პირველწყაროს თუ მხოლოდ ვარაუდია? ვინ უნდა ყოფილიყო ეს ორი ქრისტიანი ცოლი? ქართველები ხომ არ იყვნენ? ძველი ქართული ტრადიციით, ქართველ პატარძალთა სამზითვო საბარგულში ერთი უმთავრესი ხომ *ვეფხისტყაოსანი* იყო!

აქტიური ძიება ამ კითხვების პასუხისა 2018 წლის დასასრულიდან დავიწყე ჩემს სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ერთად. შედეგმაც არ დააყოვნა. მე და ჩემმა დოქტორანტმა ნინო ჯილაურმა მივაგენით, რომ ბრიტანეთის „ნაციონალური ბიოგრაფიის ლექსიკონში" შეტანილი ანტონი შერლისადმი მიძღვნილ სტატიაში იკითხება: შაჰ აბასის ორი ფავორიტი ცოლი ქრისტიანები იყვნენ და მათ უზრუნველყვეს შერლის ძალზე საიმედო მიღება. მან აგრეთვე მოიპოვა კეთილგანწყობა არმიის მთავარსარდლის ალავერდი-ბეგისა; და მას მირზას, ანუ პრინცის წოდებაც მიანიჭეს.[1]

შემდგომი ჩემი ძიებანი გავაგრძელე ანტონი შერლის ბიოგრაფიის ამ სტატიაში დამოწმებული ლიტერატურის შესწავლით. დამოწმებული ლიტერატურა, თავის მხრივ შერლის სპარსული ვოიაჟის მიმომხილველ სხვა სტატიებზეც მიმანიშნებდა. შერლის მოგზაურობის თაობაზე ჩემ მიერ შესწავლილი ლიტერატურიდან რამდენიმეს დავასახელებ:

- *Sir Anthony Sherley and his Persian Adventure* (Edited by Sir. E. Denison Ross. The Broadway Travellers. London 1933.);
- *The Sherley Brothers*, by Evelyn Philip Shirley. 1848;

[1] "The two favourite wives of Shah Abbas were Christians and they procured for Shirley a very promising reception. He won, too, the regard of Aly-verd Beg, the chief of the army, and the rank of mirza, or prince, was conferred upon him". (*Dictionary of National Biography, vol. 52*, 1897: Djvu/132).

- *The Three Brothers: or the Travels and Adventures of Sir Anthony Sherly*.... London 1823.
- Major-General Briggs, „A Short Account of the Sherley Family":*The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, Vol. 6, N1 (1841), pp. 77-104.

ამ ლიტერატურიდან ჩემ წინაშე დასმული კითხვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო უკანასკნელი მათგანი აღმოჩნდა. გენერალი ბრიჯის სტატიიდან შერლების ოჯახზე, რომელიც სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში 1841 წელს გამოქვეყნდა, ხოლო სამიოდე წლით ადრე ავტორმა მოხსენების სახით წაიკითხა. ირკვევა, რომ ანტონი შერლის დამხმარე შაჰის ქრისტიანი ცოლები იყვნენ ქართველები. ცნობები შაჰის ფავორიტი ორი ქართველი ქრისტიანი ცოლის თაობაზე XVIII საუკუნის ინგლისური *უნივერსალური ისტორიის* ტომებშიცაა დამოწმებული.[1] გასარკვევი ის რჩებოდა, თუ რა საისტორიო წყაროს ემყარებოდა შერლის სპარსეთში მოგზაურობის მიმოხილვისას XVIII და XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზისი, რომ XVI ს-ის ინგლისელთა ექსპედიციას სპარსეთში შაჰის ორი ქრისტიანი ქართველი ცოლი უწყობდა ხელს. ინგლისური საისტორიო მიმოხილვები ამ საკითხზე მსჯელობისას ტომას ჰერბერტს, შაჰ აბასის სამეფო კარზე ინგლისის ატაშეს, იმოწმებენ. ტომას ჰერბერტს XVII საუკუნეში ორი წიგნი აქვს გამოქვეყნებული სპარსეთის შესახებ. მე, ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ შევისწავლე აგრეთვე 1613 წელს ლონდონში დასტამბული სერ ანტონი შერლის წიგნი მისი სპარსეთში მოგზაურობის თაობაზე.[2] ამ პირველწყაროებში დამოწმებული ფაქტები ქართველი ცოლების შესახებ მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან

[1] *The Modern Part of a Universal History, from the Earliest Account of Time.* Vol. V. London 1759.

[2] Sherley Antony, *His Relation of his Travels into Persia*.... London 1613.

თანხმობაში აღმოჩნდა. და რაც მთავარია, ამ პირველწყაროებს, როგორც ჩანს, ქართველი ისტორიკოსები არ იცნობენ. ამიტომაც სეფიანთა სამეფო კარზე ქართველთა კვალის შესწავლის თვალსაზრისით მათი დეტალური მიმოხილვა საჭიროდ მივიჩნიე.

ანტონი შერლი შაჰ-აბასის ქართველი ქრისტიანი ცოლების შესახებ. სერ ანტონი შერლი XVI-XVII საუკუნეების ცნობილი ინგლისელი დიპლომატი და მოგზაურია. 1598 წლის დამლევს იგი 26-კაციანი დელეგაციით შაჰ-აბასის სამეფო კარს ეწვია. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი ინიციატივა სეფიანთა სამეფო კარზე თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების განწყობის შესაქმნელად. იგი 6 თვეს დარჩა სპარსეთში. შემდეგ კი შაჰის ელჩის რანგში ევროპის მრავალ ქვეყანას ეწვია. შერლი ინგლისში ვერ დაბრუნდა, რადგანაც მისი დიპლომატიური მისია სპარსეთში დედოფალ ელისაბედ პირველთან არ იყო შეთანხმებული; ხოლო მისი სპონსორი და მხარდამჭერი გრაფები დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილეს და უმკაცრესად დასაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ ინგლისის საშინაო პოლიტიკის კურსი რადიკალურად შეიცვალა, შერლიმ ინგლისში დაბრუნების უფლება ვერ მოიპოვა. ანტონი შერლი მრავალი ენის მცოდნე, უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო. მას და მის სპონსორ გრაფებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ინგლისის სამეფო თეატრალურ დასთან. XIX საუკუნის ერთი ინგლისელი ავტორის აზრით, იგი ლიტერატურულ სიუჟეტებს აწვდიდა ლონდონის თეატრალურ დასებს და, უფრო მეტიც, ამ ავტორის გაზვიადებული თვალსაზ-

რისით, შექსპირის შემოქმედების ბოლო პერიოდის პიესების თავდაპირველი მონახაზები შერლის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.[1]

მიჩნეულია, რომ შერლი აშკარად აჭარბებს საკუთარი პიროვნების ღირსებისა და დამსახურების აღწერისას 1613 წელს ლონდონში დასტამბულ წიგნში, რომელიც სპარსეთში მის მოგზაურობას შეეხება. მაგრამ ამავე დროს იგი შაჰის სამეფო კარის ამბების თვითმხილველია და გადმოგვცემს საისტორიო ფაქტებს იმ ვერსიით, რომელიც იმდროინდელი სამეფო კარის ელიტარულ წრეებში ცირკულირებდა. არაა სავარაუდო, რომ შერლი რაიმეს მოიგონებდა, ან გადააჭარბებდა იმ ფაქტების გადმოცემისას, რომელთაც მის ღირსებასა და მოღვაწეობასთან კავშირი არ ჰქონდათ.

ანტონი შერლი შაჰ-აბასის ცოლთაგან საუბრობს მხოლოდ ორზე, ორივე ქრისტიანზე და ორივე ქართველზე. პირველი მათგანი, შერლის მონათხრობის მიხედვით, ქართლის მეფის სიმონის ქალიშვილია. იგი წერს[2]: შაჰ-აბასმა ცოლად მოითხოვა სიმონ ხანის ქალიშვილი, ქართველთა ერთი პრინცესა, რომელიც უკვე მზად იყო იმგვარი სასიყვარულო ურთიერთობისთვის, როგორიც მოეთხოვებოდა. ცოტა უფრო ქვემოთ ავტორი უბრუნდება ამ ამბავს: დედოფალი ჩამოვიდა, მას საპატიოდ მოაცილებდა 2000 ცხენოსანი და მისი ძმა უფლისწული *ბირეიკი* (Byraike Myrza). ქორწილი მალე გაიმართა. ორივე მხარემ სათანადო ცერემონიები მოაწყო. ღმერთმა ორივე მათგანს ბედნიერება მიანიჭა: ერთ წელზე უფრო ნაკლებ დროში მათ მისცა მშვენიერი პრინცი უფლისწული სოფი (Sophir Mirza), რომელიც ახლაც ცოცხალია.

---

[1] Scott Surtees, *William Shakespeare of Stratford-on-Avon. His Epitaph Unearthed....* London 1888.

[2] Sir Antony Sherley. *His Relation* .... London 1613, pp. 44-45.

შაჰის მეორე ქართველი ცოლის ამბავს შერლი პირველის გარდაცვალებას უკავშირებს. შაჰის ცხოვრების რამდენიმე შემდგომი ეპიზოდის გადმოცემის შემდეგ, იგი აღწერს აბასის რამდენიმედღიან სტუმრობას ერთ-ერთი ხანის სამფლობელოში, სადაც ნადირობით ცდილობდა მოწყენილობის განქარვებას: მეფე ნადირობით ატარებდა დროს რვა თუ ათი დღის მანძილზე, მაგრამ უცებ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა მისი ცოლის დაღუპვის ამბის გამო, რომელიც გარდაიცვალა უეცარი და ძლიერი ავადმყოფობით. ...შაჰი დაბრუნდა ისპაჰანში, სადაც რამდენიმე დღე მწუხარებაში გაატარა, დიდი დანაკარგის გამო. შემდეგ გაგზავნა მაცნე ალექსანდრესთან, ქართველთა სხვა ხანთან, მისი ქალიშვილის მოთხოვნით; იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს ის ურთიერთობა, რაც შეიძლებოდა გამქრალიყო დედოფლის გარდაცვალების გამო. ამ დავალებით წავიდა შაჰ-თამაზ ყულიბეგი (Xa-Tamas Coolibeague), რომელიც რამდენიმე თვეში ქალბატონით დაბრუნდა.

ამგვარად, ანტონი შერლი თავის სპარსეთში მოგზაურობის ვრცელ მიმოხილვაში ახსენებს შაჰ-აბასის მხოლოდ ორ ცოლს, ორივე ქართველ ქრისტიან პრინცესას – მეფის ასულებს; სპარსეთის სამეფო კარის ტიტულატურით ქართველი *ხანების* ასულებს. XVIII და XIX საუკუნეების ინგლისური ისტორიოგრაფიაც შაჰის ორ ქართველ ქრისტიან ცოლს მიიჩნევს სეფიანთა კარზე შერლის ხელშემწყობად. უფრო მეტიც, ეს ისტორიოგრაფიული წყაროები ინგლისელი დიპლომატის ხელისშემწყობად სწორედ შაჰის იმ ორ ცოლს ასახელებენ, რომლებზეც შერლი საუბრობს თავის წიგნში (ქართლის მეფის სიმონის/სიმონ ხანის და კახეთის მეფის ალექსანდრეს/ისკანდერ ხანის ასულებს). ისიც ჩანს, რომ ეს ისტორიოგრაფიული მიმოხილვები არ ეყრდნობიან ანტონი შერლის (ან მხოლოდ ანტონი შერლის) ცნობებს. ისინი ამ

ქართველ ასულთა სახელებსაც ახსენებენ და მათი შვილების თავგადასავლებსაც მოგვითხრობენ. უფრო დაწვრილებით:

ინგლისური ისტორიოგრაფია შერლის დამხმარე შაჰის ქრისტიანი ცოლების შესახებ. შაჰ-აბასის ფავორიტი ქრისტიანი ცოლების შერლისადმი დახმარებაზე შერლების ოჯახის ისტორიის მიმოხილვაში საუბრობს შერლების გვარის უფრო გვიანდელი წარმომადგენელი ეველინ ფილიპ შირლი (Shirley Evelyn Philip – 1812-1882): „სერ ანტონი შერლის კეთილგანწყობილი მიღება კაზბინში (Kazveen), იმ პერიოდის სპარსეთის შაჰის – შაჰ-აბას დიდის მიერ გენერალ-მაიორის ბრიჯსის მიერ შერლის ოჯახზე მის საინტერესო მოგონებაში მიჩნეულია იმ გავლენის შედეგად, რომელსაც ფლობდნენ სახელგანთქმული მონარქის სამეფო კარზე ქალბატონები (მისი ორი ფავორიტი ცოლი ქრისტიანი იყო)".[1]

გენერალი ბრიჯსი თავის „შერლის ოჯახის მოკლე ცნობარში" წერს: „სერ ანტონი შერლისა და მისი კომპანიის ასეთი კეთილგანწყობილი მიღება სპარსეთში შეიძლება აიხსნას შაჰ-აბასის ტოლერანტული დამოკიდებულებით ქრისტიანობის მიმართ, რაც ალბათ მონარქის კარზე მყოფი ქალების გავლენით ხდებოდა. ამ გარემოებას სერ ტომას ჰერბერტი (Thomas Herbert) განსაკუთრებულად აღწერს. მათი გავლენის იმაზე დიდი საბუთი რა უნდა იყოს, რომ ქართველები მეფის ხელდასხმით იღებდნენ ისეთ ტიტულებს, როგორიცაა ხანი და მირზა – ტიტულებს, რომელთა მინიჭებაც მკაცრადაა შეზღუდული მუსულმანთა მიერ. შაჰ-აბასს ჰყავდა ბევრი ცოლი, რომელთა შვილების განათლებაზე ზრუნვა და ხარჯები არ იყო შეზღუდული. შაჰს რომ უყვარდა,

[1] Shirley, Evelyn Philip, *The Sherley Brothers, an historical memoir of the lives of Sir Thomas Sherley, Sir Anthony Sherley, and Sir Robert Sherley, knights.* Press of C. Whittingham 1848, p.19.

მათ შორის გამორჩეულები იყვნენ: ისმაილი (Ismael), ტოფი მირზა (Tophy Mirza), ყოდაბუნდა სულთანი (Kodabunda Sultan) და იმან ყული (Iman Kooly). პირველი ორი ჰყავდა სიმონ ხანის (Simon Khan) ქალიშვილის გორდინასგან (Gordina); ხოლო შემდეგი ორი სკანდა მირზას (Scanda Mirza) ქალიშვილის მართასგან. ორივე ცოლი იყო ქართველი, ორივე ქრისტიანი და მისთვის ორივე ძალიან ძვირფასი; რადგან, როგორც ჩანს, სწორედ მათთან მოიპოვა მან ამქვეყნიური ბედნიერება."[1]

შაჰ-აბასის ქართველი ცოლებისა და მათი შვილების შესახებ ჩემ მიერ ზემოთ დამოწმებული XVII საუკუნის *უნივერსალური ისტორიაც* იმავე ფაქტებს ადგილსირებს და იქაც პირველწყაროდ ტომას ჰერბერტია დამოწმებული. მბობა შაჰის მუხანათობით იწყება საკუთარი შვილების მიმართ; ხოლო შემდეგ გრძელდება: „ჰერბერტი, რომელიც სპარსეთში მოგზაურობდა შაჰ-აბასის მეფობის პერიოდში, ამ ამბებს განსაკუთრებულად აღწერს. იგი ამბობს, რომ შაჰს ჰყავდა ოთხი ვაჟი: უფროსი ისმაილი (Ismaeli), სოფი მირზა (So Mirza), ყოდაბანდა სულთანი (Kodabanda Sultan) და ემანღოლი (Emangoli). პირველი ორი სიმონ ხანის (Simon Khan) ქალიშვილის გორდინას (Gordina) შობილი იყო. მომდევნო ორი სკანდერ მირზას (Scander Mirza) ქალიშვილი მართასი (Martha). ორივენი იყვნენ ქართველი ქრისტიანები. ისმაილი, რომელმაც შური აღძრა სამხედრო ხელვნებისადმი თავისი მისწრაფებით, მოწამლეს. სოფი მირზა (რომელიც ოლარიუსის მიხედვით არის საფი – Sa , ან სეფი – Se), მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იყო განდიდებული, შეთქმულების გამოაშკარავების გამო ჩამოიშორეს და ცემით მოაკვლევინეს კაპიჯებს (Kapiji). ემანღოლი (ან იმამ ყული – Imam Kuli), იყო რა ნაწინას-

[1] Briggs, Major-General, „A Short Account of the Sherley Family": *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, Vol. 6, N1 (1841), p. 88.

წარმეტყველები, რომ დიდხანს არ იცოცხლებდა, იზრდებოდა მამის სისასტიკის შიშით და მელანქოლიით გარდაიცვალა. ხოდაბუნდა სულთანი, რომელსაც ეწოდა სოფი, ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი ვაჟი, იყო დიდი ნიჭით დაჯილდოებული უფლისწული. მან თავი გამოიჩინა მრავალ ბრძოლაში და მამამისი მისით ამაყობდა, ხოლო ხალხი აღფრთოვანებული იყო. მაგრამ მისმა ასეთმა პოპულარობამ აბასს მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ იგი გაეწადგურებინა".[1]

ტომას ჰერბერტი შაჰ-აბასის ქართველი ქრისტიანი ცოლებისა და მათი შვილების შესახებ. ტომას ჰერბერტი, რომელსაც შაჰ-აბასის ქართველ ცოლებსა და მათ შვილებზე საუბრისას ინგლისური საისტორიო მწერლობა ეყრდნობა, XVII ს-ის ინგლისის სამეფო კარზე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი აბასის ცხოვრების ბოლო წლებში სეფიანთა სამეფო კარზე ინგლისის ატაშე იყო და ამდენად მისი ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანი პირველწყაროა სეფიანთა სპარსეთის ისტორიის შესასწავლად.

ტომას ჰერბერტი სპარსეთის ისტორიის თაობაზე ორი წიგნის ავტორია. ერთი მათგანია – „სპარსეთის მონარქიის აღწერა", რომელსაც მე ლონდონის 1634 წლის გამოცემით გავეცანი. მასში ქართულ-სპარსულ ურთიერთობებზე საგანგებო ქვეთავია, სათაურით „საქართველოს ტრაგიკული ისტორია",[2] რომელშიც უმთავრესად კახეთის მეფის ალექსანდრეს, მისი ვაჟის კონსტანტინეს და შემდეგ თეიმურაზისდროინდელი საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდზეა საუბარი. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხზე – სპარსეთის შაჰის ქართველ ცოლებზე – წიგნში

---

[1] *Universal history*.... Vol. V, p. 443.

[2] Herbert Thomas, *A Description of the Persian Monarchy*. London 1634, pp. 72-82.

ცნობები არ გვხვდება. მეორე წიგნი – „მოგზაურობა სპარსეთში“ ჰერბერტისეული გადამუშავებით ინგლისში მისივე სიცოცხლეში ოთხჯერ დაისტამბა: 1634, 1638, 1665 და 1677 წლებში. 1928 წელს ლონდონში სერ უილიამ ფოსტერმა ჰერბერტის უკანასკნელი 1677 გამოცემის მიხედვით განახორციელა წიგნის კრიტიკული გამოცემა – შესავლით, შენიშვნებითა და მცირე შემოკლებით. გამომცემლის შენიშვნით, მან შეუბრალებლად ამოიღო (ruthlessly excised) ჰერბერტისეული აღწერები ისეთი ადგილებისა, სადაც იგი არ ყოფილა, ასევე მის მიერ მოხმობილი სხვა ავტორთა აზრები და სხვა, მისი აზრით, არა საისტორიო ღირებულების მრავალი პასაჟი.[1] მე ხელთა მაქვს ამ კრიტიკული ტექსტის 2014 წლის გამოცემა, რომლის 160-167-ე გვერდებზე შაჰის ქართველი ქრისტიანი ცოლების და მათი შვილების ამბავი იკითხება. იგი ამგვარად იწყება (ამ მბობის სწორედ დასაწყისი არის მრავალგზის ციტირებული ინგლისურ საისტორიო მწერლობაში):

„შაჰ აბასს სხვადასხვა ცოლისაგან ჰყავდა ბევრი შვილი, რომელთა განათლებაზე არც ზრუნავასა და არც ფულს არ ზოგავდნენ. უფრო მეტად საიმედონი იყვნენ ისმაილი (Ismael), სოფი-მირზა (Soffy-Mirza), ყოდაბუნდა სულთანი (Codabanda-Sultan), და ემანღოლი (Emangoly), ოთხი ახალგაზრდა მამაცი პრინცი. პირველი ორი იყო გორდინას (Gordina) შვილი, სიმონ ხანის ქალიშვილის; მომდევნო ორი მართას შვილები იყვნენ, სკანდერ მირზას ქალიშვილის; ორივე ქართველი, ორივე ქრისტიანი. პირველი ქალბატონი ჩამოიყვანა ქურჩიკი-ხანმა (Kurchiki-cawn), მეორე შაჰ-თამაზ-ყულიბეგმა (Shaw-Tamas-Coolibeg). ორივენი იყვნენ სპარსელები, ორივე ფავორიტები. ყველა მათგანი ისეთი ძვირფასი იყო აბასისთვის, ჩანდა, რომ მაშინ მას ჰქონდა

[1] Herbert Thomas, *Travels in Persia. 1627-1629.* (Abridged and Edited by Sir William Foster, C. I. E.). Broadway House, London 2014, p. XII.

ამქვეყნიური ბედნიერების ელექსირი: მისი ცოლები იყვნენ შეუდარებელი სილამაზისა; მისი ფავორიტები, ჭეშმარიტად ერთგულები. ვაჟები მისი ხასიათის, პოლიტიკისა და სიმტკიცის მსგავსები იყვნენ – რაც ერთდროულად სიამოვნებას ანიჭებდა, როგორც ხანში შესულ მეფეს, ასევე ომისმოყვარულ სპარსელებს".

შემდგომ ჰერბერტი ყვება შაჰის შურსა და მუხანათობაზე თავისი ვაჟების მიმართ: ისმაილი და სეფი მირზა, ეჭვიანი მამის სურვილით, 19 წლის ასაკში დაიღუპნენ (რომელთაგან პირველი თავისი სამხედრო ხელოვნებით აღაფრთოვანებდა ხალხს; ხოლო მეორე სამეფო კარის ერთგული სამსახურის გამო უკვე დაწინაურებული იყო). ემანღოლი ღრმა და მწუხარე მელანქოლიამ შეიწირა. რომლის მიზეზი, ერთი მხრივ, მისთვის ჰოროსკოპით ნაწინასწარმეტყველი მძიმე ხვედრი იყო; ხოლო, მეორე მხრივ, შიში მამის მოღალატეობრივი ხასიათისადმი.

შემდეგ კი ჰერბერტი დაწვრილებით გადმოსცემს ხოდაბუნდა სულთნის (რომელსაც შემდგომში სეფფი ეწოდა) ტრაგიკულ ამბავს. მან დიდი სიფრთხილით და ერთგულებით მოიპოვა აბასის სიყვარული და ხალხის დიდი პატივისცემა; ხოლო გამბედაობით, გამოცდილებით და სამხედრო ხელოვნებით დაიმსახურა მთელი აღმოსავლეთის აღიარება და პატივისცემა. ეჭვიანმა და შურიანმა მამამ ჯერ მისი აღმზრდელი დასაჯა სიკვდილით, ხოლო მის გადასარჩენად მოსულ შვილს, უგონოდ დაჭრილს, თვალები დასთხარა. დაბრმავებული სეფფი ვერ შეურიგდა თავის ბედს. მამისაგან ნამემკვიდრევი მუხანათობა გამოიჩინა: დაახრჩო საკუთარი ქალიშვილი ფატიმა, რათა შური ეძია აბასზე (ხანშიშესულ აბასს საოცარი სიყვარულით უყვარდა ეს შვილიშვილი) და შემდეგ თავი მოიკლა.

ამ ამბებს ჰერბერტი საკუთარი ემოციითა და ფილოსოფიური წიაღსვლებით ვრცლად ყვება.[1]

ტომას ჰერბერტის ცნობები შაჰ-აბასის ცხოვრების ბოლო პერიოდზე მნიშვნელოვან პირველწყაროდ ითვლება. იგი დამოწმებულია შაჰის კარზე ქართული კვალის შემსწავლელ ისტორიკოსთა მიერაც, მაგრამ დამოწმებულია მისი მხოლოდ ერთი წიგნი (*A Description of the Persian Monarchy*);[2] ხოლო ტომას ჰერბერტის *Travels in Persia*-ზე მითითებას ამ საკითხისადმი მიძღვნილ ქართულ სამეცნიერო კვლევებში მე ვერ მივაგენი. ვიმედოვნებ, რომ ზემოთ მითითებულ პირველწყაროებში დაცული ცნობები შაჰ-აბას პირველის ორი ქრისტიანი ქართველი ცოლის შვილებზე, ქართველ ისტორიკოსთა შემდგომი კრიტიკული შესწავლის საგანი გახდება; მოხდება ამ ვერსიის დეტალური შეჯერება შაჰის შვილების შესახებ სპარსულ, ქართულ, სომხურ და სხვა ენებზე დაცული პირველწყაროების ვერსიებთან. ამჯერად მე მინდა დავუბრუნდე ჩემი საკვლევი პრობლემის ძირითად თემას.

კომენტარები ინგლისურ პირველწყაროებზე. ინგლისური ისტორიოგრაფიის და პირელწყაროების ზემოთ ციტირებული ცნობები სეფიანთა ირანის კარზე ქართული კვალის თაობაზე ჩვენს მეცნიერებაში გავრცელებულ თვალსაზრისებთან შედარებით არა მხოლოდ სიახლეებს, არამედ სხვაობებსაც აფიქსირებს.

---

[1] ქართული თარგმანი (ინგლისური დედნითურთ), შესრულებული ჩემი და ჩემი დოქტორანტის ნინო ჯიღაურის მიერ, გადმობეჭდილია ამ გამოკვლევის ბოლოს.

[2] გიორგაძე, ბ., „შესავალი“: დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე, XVIIს.*. თბ. 1977, გვ. 10; სონღულაშვილი, ა., *ირანში ქართველთა ნაკვალევზე*. თბ. 2005, გვ. 105; სტეფნაძე, ჯ., „წინასიტყვაობა და შენიშვნები“: ნასროლა ფალსაფი, *შაჰ-აბას პირველის ცხოვრება* (სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა). თბ. 2003, გვ. 82.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პოპულარული თვალსაზრისით, შაჰ-აბასის ცოლთაგან ოთხი მათგანი იყო ქართველი, ესენი იყვნენ: ანდუყაფარ ამილახორის და თამარი, სიმონ მეფის და ფახრიმჯან-ბეგუმ, თეიმურაზ მეფის და ელენე, ლუარსაბ მეფის და ლელა.[1] ინგლისური ისტორიოგრაფიის ცნობა ქართული მეცნიერების პოპულარულ თვალსაზრისთან თანხმობაში არაა. ეს გარემოება ამ ცნობათა კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს, ამ მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება.

შაჰის ქართველ ცოლთა თაობაზე სხვადასხვა პირველწყაროს განსხვავებული თვალსაზრისი მოულოდნელი არ არის. არაქართველი ავტორები, მათ შორის თვით სპარსელი, ამ ქალთა სახელებს სხვადასხვა სოციალური და რელიგიური თუ კულტურული წრეებიდან ეცნობოდნენ. ისიც ბუნებრივია, რომ სპარსულ გარემოში შერქმეული რამდენიმე სახელიდან ამ საკითხით არა საგანგებოდ დაინტერესებული ავტორები მხოლოდ ზოგიერთ სახელს ახსენებენ. ქართული წყაროები კი ქართველ პატარძლებს მათთვის საქართველოში შერქმეული სახელებით იცნობენ.

როგორც ქართული, ასევე უცხოური სასიტორიო წყაროებით ცნობილია, რომ შაჰ-აბასის მამის მოჰამედ ხუდაბანდას მოთხოვნით ქართლის მეფემ სიმონმა და კახეთის მეფემ ალექსანდრემ თავიანთი ქალიშვილები სპარსეთში გაგზავნეს, რომლებიც უფლისწულს ჰამზა მირზას შერთეს ცოლებად.[2] იგი 1587

---

[1] ჯამბურია, გ., „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში“: *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად)*, ტ. III. თბ. 2012, გვ. 198; სონღულაშვილი, ა., *ირანში* ..., გვ. 109.

[2] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია*, IV. თბ. 1967, გვ. 271; გაბაშვილი, ვ., „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“: *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, (ნაკვ. 31). თბ. 1954, გვ. 99; ფათემი, მორთეზა მეჰდი,

წელს გარდაიცვალა და აბასი მალე გამეფდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუსლიმანური ტრადიციით, არაა იშვიათი, როცა ძმა ცოლად ირთავს გარდაცვლილი ძმის ქვრივს. საისტორიო წყაროებში შაჰის ცოლთა საერთო ჩამონათვალში ჰამზა მირზას ერთ-ერთი ქვრივიცაა მოხსენიებული (Olgan Pasha Khanum).

ინგლისური ისტორიოგრაფიის ცნობები შაჰ-აბასის ქართველ ცოლებზე ქართულ მეცნიერებაში გაუღერებული ფაქტებისგან განსხვავებით ერთ საყურადღებო ფაქტსაც შეიცავენ: სიმონ მეფის და ალექსანდრე მეფის ქალიშვილებს – შაჰ-აბასის ცოლებს ხაზგასმით და დაბეჯითებით შაჰის ქრისტიან ცოლებს უწოდებენ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს გარემოება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ ისინი (ქართველი პატარძლები) წარმოშობით ქრისტიანები იყვნენ. ვფიქრობ, ეს კატეგორიული ხაზგასმა მათ ქრისტიანობაზე იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი შაჰთან დაქორწინების შემდეგაც ქრისტიანებად დარჩნენ; რაც მოულოდნელია სეფიანთა სამეფო კარის სამსახურში შესულ თუ შაჰების ცოლთა საკრებულოში მყოფ წარმოშობით ქრისტიანთა საერთო ფონზე – ისინი, უპირატესად, გამაჰმადიანებულნი იყვნენ (გამონაკლისები ყოველთვის არსებობდა). ინგლისური პირველწყაროების კატეგორიული მითითება ამ ქალთა ქრისტიანობაზე აშკარად გააზრებული და ფაქტობრივი მნიშვნელობის განცხადებაა. ტომას ჰერბერტი აბასის ქრისტიანი ცოლების ეპიზოდში ახსენებს შაჰის ორ გამაჰმადიანებულ დიდ მოხელეს – ქურჩიხანსა და შაჰ-თამაზ-ყულიბეგს და ორივეს სპარსელს უწოდებს, თითქოს კონტრასტულად იქვე ნახსენები ორი ქართველი ქრისტიანი ცოლისა ([პატარძლები] „...ორივე ქართველი, ორივე

სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ. თბ. 1982, გვ. 42; მაედა, ჰიროტაკე, *ქართველები სეფიანთა ირანში.* თბ. 2008, გვ. 47.

ქრისტიანი. პირველი ქალბატონი ჩამოიყვანა ქურჩიკი-ხანმა, მეორე – შაჰ-თამაზ-ყულიბეგმა, ორივენი იყვნენ სპარსელები"). ანტონი შერლი კი შაჰ-თამაზ-ყულიბეგსა და ალავერდი-ხანზე ზუსტად მიუთითებს, რომ ისინი, ქრისტიანი ქართველები, შაჰის კარზე გაამაჰმადიანეს.[1]

ქრისტიანი ცოლების შერთვა და მათთვის ქრისტიანობის შენარჩუნება შაჰ-აბასის პოლიტიკის და სახელმწიფოებრივი სტრატეგიის ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც შაჰი ევროპელ მონარქებთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას ცდილობდა. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რომის პაპისთვის ქრისტიანობისადმი საკუთარი სიმპათია მოეჩვენებინა. ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ინგლისელ მოგზაურთა დიდი ჯგუფის მიღება შაჰის კარზე და ანტონი შერლის ჩანაწერები შაჰის ქართველ ქრისტიან ცოლებზე. შაჰმა ანტონი შერლი 1599 წლის მაისში სპარსეთის ელჩის რანგში ევროპაში გაგზავნა. წერილები გაატანა რომის პაპთან და ევროპის ბევრ მონარქთან და დიდ გრაფთან თუ ჰერცოგთან. წერილებთან ერთად შერლის დიპლომატური ნუსხაც მიჰქონდა, რომელშიც აქცენტი სწორედ შაჰის ქრისტიანთა მიმართ კეთილ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე იყო გადატანილი. ამის ერთ-ერთი საბუთი კი იყო სიმონ-ხანის, ქართველი მეფის, ქალიშვილის ცოლად შერთვა შაჰის მიერ.[2] *კარმელიტთა ქრონიკის (The Chronicle of the Carmelits)* იგივე კრებული ინახავს ცნობას იმის თაობაზე, რომ პაპი კლიმენტი VIII

---

[1] Sherley, Antony, *His Relation ...*, p. 73.

[2] *The Chronicle of the Carmelits and Papal mission in Persia XVII-XVIII centuries.* v. I. London, 1939, p. 78; პავლიაშვილი, ქ., „ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე": *ქართული დიპლომატია*, №4, 1997, გვ. 200.

1601 წლის თებერვალში წერილს უგზავნის შაჰ-აბასის ქრისტიან მეუღლეს, უწოდებს მას „ქრისტეს მიერ საყვარელ დას“, შეახსენებს მას სიტყვებს პავლე მოციქულის ეპისტოლედან, რომ წარმართი მეუღლე განწმენდილია მორწმუნე მეუღლისგან და მოუწოდებს შაჰის კარზე ქრისტიანული რწმენის სამსახურისაკენ.[1]

და ბოლოს, ინგლისური პირველწყაროების უმთავრესი შეუსაბამობა შაჰ-აბასის ქართველ ცოლთა თაობაზე გავრცელებულ თვალსაზრისებთან: ინგლისური პირველწყაროები შაჰის ქართველ ქრისტიან ცოლებად ასახელებენ სიმონ მეფის და ალექსანდრე მეფის ქალიშვილებს.[2] ქართულ ისტორიოგრაფიაში სიმონ ქართლის მეფისა და ალექსანდრე კახეთის მეფის ქალიშვილები შაჰ-აბასის ცოლებად არ არიან მოხსენიებულნი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიმონ და ალექსანდრე მეფეს თავიანთი ქალიშვილები ვაჟიშილებთან ერთად სპარსეთში შაჰ-აბასის მამის (მოჰამედ ხუდაბანდა) მოთხოვნით გაუგზავნიათ, იქ კი ისინი უფლისწულ ჰამზა მირზას ცოლებად განუწესებიათ. ანტონი შერლისა და ტომას ჰერბერტის ქართველი ქრისტიანი ქალიშვილები ჰამზა მირზას ცოლები აშკარად არ არიან. ინგლისურ პირველწყაროებში დასახელებული შაჰის ქრისტიანი ცოლები ბევრად უფრო ახალგაზრდები არიან. მათ ამბავს შერლი ყვება, როგორც თანამედროვეთა ამბავს (ეს დაახლოებით 1598-1605 წლებია). ამასვე უჭერს მხარს ევროპაში ელჩად გაგზავნილი შერლის (1599 წ.) დიპლომატური ნუსხა, რომელშიც შაჰის ქრისტიან ცოლზეა საუბარი და პაპის 1601 წლის წერილი შაჰ-აბასის ქრისტიანი მეუღლისადმი. და ბოლოს, – ტომას ჰერბერტის

---

[1] გაბაშვილი, ვ., „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“, გვ. 103.

[2] ანტონი შერლისთან – Simon Can და "Alexander, the other Can of Georgians". ტომას ჰერბერტთან – Simon-cawn და Scander-mirza. სახელი *ალექსანდრე* სპარსულ ენაში გადადის *სკანდერ* ან *ისკანდერ* ფორმით.

სიტყვები, სადაც ავტორი ამ ცოლების კონტექსტში ლაპარაკობს შაჰის ხანშიშესულობაზე. გარდა ამისა, საისტორიო წყაროები არ მოიხსენიებენ ჰამზა მირზას წარმოშობით ქართველ ქვრივს შაჰ-აბასის ცოლად.

ტომას ჰერბერტისეული შაჰ-აბასის ქრისტიანი ცოლის – სიმონ მეფის ქალიშვილის *გორდინას* იდენტიფიცირებას ახდენს ჰერბერტის წიგნის – *Travels in Persia*-ს გამომცემელი სერ უილიამ ფოსტერი (1928წ). შენიშვნებში იგი წერს: „როგორც ჩანს, ჰერბერტის 'გორდინა' უნდა იყოს ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის უმცროსი და თინათინი".[1] სახელი თინათინი მოიხსენიება შაჰის ქართველ ცოლთა ზოგიერთ ინგლისურ (საკმაოდ ბუნდოვან) ჩამონათვალშიც. იგი უნდა იყოს ქართულ წყაროებში დადასტურებული *ფატმან სულთან ბეგუმი* – ლელა ბაგრატიონი – ქართლის მეფის გიორგი X-ის ქალიშვილი; ჩემ მიერ ზემოთ მოხსენიებული ლუარსაბ II-ის და.

ლელა ბაგრატიონის, ლუარსაბ მეფის დის, მიჩნევას ინგლისურ პირველწყაროებში მოხსენიებული შაჰის ქართველ ქრისტიან ცოლად (გორდინა) ის უჭერს მხარს, რომ ანტონი შერლიც და ტომას ჰერბერტიც ამ ქართველ პატარძალს სიმონ ქართლის მეფის შვილად მიიჩნევენ. ლელა ბაგრატიონი კი მართლაც სიმონ პირველის სამეფო კარიდანაა გაგზავნილი სპარსეთში. იგი სიმონ მეფის შვილიშვილია, გიორგი X-ის ქალიშვილი, რომელიც, ანტონი შერლის მონათხრობის თანახმად, შაჰის კარზე ჩაიყვანა მისმა ძმამ – უფლისწულმა (Mirza).

არაა გამორიცხული, რომ სპარსეთის სამეფო კარზე გორდინას სახელით მოხსენიებული ქართველი პატარძალი ქართული წყაროებით ცნობილი სიმონ მეფის და იყოს; რამდენადაც ისიც სიმონ მეფის სამეფო კარიდანაა გაგზავნილი (თუმცა შერლისა და

[1] Foster, W., „Notes": Tomas Herbert, *Travels in Persia*. London 2014, p. 320.

ჰერბერტის მონათხრობით, სიმონ მეფის შვილად მიჩნეული გორდინა ბევრად ურო ახალგაზრდაა). საქმე ისაა, რომ ანტონი შერლი მის ჩამოყვანას შაჰის კარზე კახეთიდან მოწვეული პატარძლის – მართას უწინარეს მოიხსენიებს.[1] ასე რომ, ინგლისურ პირველწყაროებში მოხსენიებული ქართველი პატარძლის (გორდინას) საბოლოო იდენტიფიცირება ქართველ ისტორიკოსთა შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

გიორგი X-ის ქალიშვილს, ლუარსაბ II-ის უმცროს დას, სეფიანთა სამეფო კარზე რომ სხვა სახელი შეარქვეს, ეს მოულოდნელი არაა. მაგრამ ძნელია ვარაუდის გამოთქმა იმის თაობაზე, თუ რატომ უწოდა მას ჰერბერტმა *გორდინა* (რასაც იმეორებენ შერლის ბიოგრაფიის ინგლისელი მიმომხილველები). ხომ არ არის ეს სახელი სამეფო კარზე ან შაჰის ცოლთა

---

[1] სპარსელი ისტორიკოსის ნასროლა ფალსაფის შაჰ-აბასის ცხოვრებაზე გამოქვეყნებულ მრავალტომეულში (შაჰ-აბას I-ის ცხოვრება", თეირანი 1953-62) აბასის მიერ ლუარსაბ II-ის დის (თინათინი) ცოლად შერთვა სიმონ I-ის მეფობაზე ბევრად უფრო გვიანდელ დროსთანაა დაკავშირებული; მისი მეტსახელი (გორდინა) ტომას ჰერბერტზე მითითებით, ხოლო შემდგომი ცხოვრების ფაქტები ვახუშტის „საქართველოს ისტორიის" მიხედვითაა დამოწმებული (ფალსაფი, ნასროლა, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება. ლ. ჟორჟოლიანის ფრაგმენტული თარგმანი სპარსულიდან. თბ. 2003, გვ. 27): „გიორგი-ხანის სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ მის ვაჟსა და მემკვიდრეს ლუარსაბ-ხანს ცოლად სთხოვა გიორგის ასული თინათინი და ის დროებით ცოლად („სიღე") შეირთო". იქვე სქოლიოში გრძელდება: „ამ ქალის სახელად გორდინასაც წერენ (იხ. თომას ჰერბერტის მოგზაურობის წიგნი). იგი შაჰის ჰარამხანაში მოხვედრის შემდეგ გამუსულმანდა და იწოდა ლეილიდ და ფათემე სოლთანად (იხ. ვახუშტის „საქართველოს ისტორია")." აღსანიშნავია, რომ ფალსაფის მონათხრობით, აბასის მიერ ლუარსაბ II-ის დის ცოლად შერთვა უფრო ადრინდელ ამბად ჩანს, ვიდრე თეიმურაზ I-ის დაზე დაქორწინება. ეს უკანასკნელი კი, ამ მონათხრობით, 1604 წლით შეიძლება დათარიღდეს.

გარემოცვაში, ან კიდევ სპარსეთის ინგლისურენოვან წრეში, შაჰის ამ ცოლზე მისი ქართველობის მისათითებელად (სპარსული ენის საფუძველზე) შერქმეული *გორგინას* მსგავსი მეტსახელის ჰერბერტისეული დამახინჯება (მცდარად მოსმენილი)?

უფრო მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა თუ რატომაა სეფიანთა კარზე გიორგი X-ის ქალიშვილი, ლუარსაბ II-ის და, მიჩნეული ქართლის მეფის სიმონ I-ის ქალიშვილად. ეს არაა ჰერბერტისეული შეცდომა. ამ ქალს ანტონი შერლიც სიმონ მეფის ქალიშვილად თვლის (ტომას ჰერბერტის წყარო კი მხოლოდ ანტონი შერლის წიგნი არ არის. მას აშკარად სხვა ცნობებიც აქვს აბასის ქრისტიან ცოლებზე და მათ შვილებზე).

დასმული საკითხი უმჯობესია ტომას ჰერბერტის ცნობების და მასზე დამყარებული ინგლისური საისტორიო ლიტერატურის კიდევ ერთ, ამავე ტიპის შეუსაბამობასთან ერთად განვიხილოთ. ტომას ჰერბერტი (ისევე როგორც ანტონი შერლი) შაჰის მეორე ქრისტიან ცოლს – მართას ალექსანდრე მეფის ქალიშვილად მიიჩნევს. აბასის ქართველი ცოლი მართა, ჩემ მიერ დამოწმებულ ყველა ჩამონათვალში მიჩნეულია კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის დად, კახეთის მეფის დავით I-ის ქალიშვილად. იგი არის კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის შვილიშვილი. ასევე, ინგლისური პირველწყაროების შაჰის ქრისტიანი ქართველი ცოლი, ჰერბერტისეული *გორდინა*, არის ქართლის მეფის სიმონის არა შვილი, არამედ შვილიშვილი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს აღრევა მხოლოდ შერლისა და ჰერბერტის შეცდომად ჩაითვალოს. ანტონი შერლის, შაჰ-აბასის მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩის, დიპლომატურ ნუსხაში აღნიშნულია შაჰ აბასის მიერ ცოლად შერთვა ქართველი მეფის სიმონ ხანის ქრისტიანი ქალიშვილისა

(*კარმელიტთა ქრონიკა*).[1] უფრო საფიქრებელია, რომ ეს ქართველი პატარძლები – ბაგრატიონთა სახლის პრინცესები, რომელთა სეფიანთა კარზე გამოგზავნა აბასმა ქართლის და კახეთის მეფეებს სიმონს და ალექსანდრეს მოსთხოვა და მათაც ეს მოთხოვნა შეასრულეს, სამეფო კარზე, ან სამეფო კარის ზეპირ მითქმა-მოთქმაში ამ მეფეთა შვილებად იქნენ გამოცხადებულნი და წარდგენილნი. ისინი მართლაც მეფის შვილები იყვნენ, მაგრამ არა გამომგზავნ მეფეთა შვილები, მათი შვილიშვილები[2].

ასე რომ, ინგლისური პირველწყაროების ეს ვერსიაც ახსნადია, მაგრამ შერლისა და ჰერბერტის ნაამბობში სხვა დეტალებიცაა დასაზუსტებელი და კრიტიკულად განსახილველი. შეიძლებელია ვიფიქროთ, რომ შერლი მართლაც იყო ერთი ქართველი ქრისტიანი საპატარძლოს შაჰის კარზე მიღების თვითმხილველი, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ მეორე ამბავს იგი გაგონილის მიხედვით ყვებოდეს. არც ისაა გამორიცხული,

---

[1] პავლიაშვილი, ქ., „ინგლისელი ძმები...", გვ. 200.

[2] ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებასაც: სპარსეთის მბრძანებლის რელიგიური ლოიალობის მტკიცების მიზნით ევროპის უმაღლესი ქრისტიანული წრეები (რომის პაპი, ევროპელი მონარქები და დიდი გრაფები) იმთავითვე იყვნენ ინფორმირებულნი შაჰ აბასის მიერ ქართველთა სამეფო კარის ქრისტიანი პრინცესების ცოლად შერთვის თაობაზე. ინგლისური საისტორიო პირველწყაროები (ანტონი შერლი, ტომას ჰერბერტი) მიანიშნებენ, რომ პრინცესა (სიმონ მეფის ასული) სრულიად ახალგაზრდა იყო (Anthony Sherley: „he required the daughter of Simon Can, one of the Princes of the Georgians, to wife, which was, with as ready an affection performed, as demanded" – მან ცოლად მოითხოვა სიმონ ხანის ქალიშვილი, ქართველთა ერთი პრინცესა, რომელიც უკვე მზად იყო ისეთი სასიყვარულო ურთიერთობის შესასრულებლად, როგორიც მოეთხოვებოდა); ხოლო შაჰი კი – უკვე ხანშიშესული (Thomas Herbert: "his wives were so incomparably beautiful ... reciprocally joying the aged King" – მისი მეუღლეები იმგვარი უმაგალითო მშვენიერებით იყვნენ შემკულნი, რომ ხანშიშესული შაჰის საპასუხო სიხარულს იწვევდნენ). ამიტომაც ქართველი მეფეების (სიმონის და ალექსანდრეს) მიერ მათივე ოჯახიდან სარძლოდ გამოგზავნილი პრინცესები უმჯობესი იყო გამოცხადებულნი და წარდგენილნი ყოფილიყვნენ მეფეთა შვილებად და არა შვილიშვილებად.

რომ იგი ფაქტების ახსნას საკუთარი ფანტაზიით ახდენდეს[1]. ჰერბერტიც შაჰის სიცოცხლეში სამეფო კართან დაახლოვებულ საზოგადოებაში გავრცელებულ ამბებს ყვება.

ვიმედოვნებ, რომ ამ ისტორიული პირველწყაროების კრიტიკული განხილვა და შაჰ-აბასის კარზე ქართველთა ნაკვალევის თაობაზე სხვა პირველწყაროებთან შეჯერება ჩვენი საისტორიო მეცნიერების საგანი გახდება.

შაჰის ქართველი ქრისტიანი ცოლები და *ვეფხისტყაოსნის* გზა საქართველოდან ინგლისამდე. XVI-XVII საუკუნის მიჯნაზე სეფიანთა სამეფო კარზე ქართული კვალის თაობაზე ზემოთ განხილული ინგლისური პირველწყაროები თვალნათლივ ადასტურებს, რომ ინგლისურ მისიას შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე XVI საუკუნის დასასრულიდან XVII საუკუნის 20-იან წლებამდე (ანტონი შერლის დელეგაცია, რობერტ შერლის ოჯახი, ტომას ჰერბერტი) მჭიდრო ურთიერთობა აქვს შაჰ-აბასის გარემოცვის ქართულ წრესთან (ალავერდი ხანი და მისი დიდი ოჯახი, შაჰის ქართველი ცოლები, შაჰ-თამაზ ყულიბეგი, კონსტანტინე მირზა...). ჩემი საგანგებო დაინტერესება ამ საკითხით უკავშირდება იმ გზის ძიებას, რომლითაც უნდა მისულიყო *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტი XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის სამეფო თეატრალური დასის დრამატურგებთან. ამ გზის ყველაზე მეტად სარწმუნო ვარაუდი XVI საუკუნის დასასრულს სეფიანთა სამეფო კარზე რამდენიმე თვის განმავლობაში მყოფი ინგლისელ მოგზაურთა და დიპლომატთა, და უპირველეს ყოვლისა მათი მეთაურის სერ ანტონი შერლის, თანამშრომლობაა შაჰის კარზე მყოფ ქართული წარმოშობის დიდ მოხელეებთან. ანტონი

[1] მაგალითად, შაჰის მიერ მეორე ქრისტიანი ცოლის თხოვნა პირველის გარდაცვალების გამო.

შერლის დაახლოვება ალავერდი ხანთან თავად შაჰ-აბასის მიერ იყო ინსპირირებული. შერლის მოგზაურობის მიმომხილველი ინგლისური საისტორიო მწერლობა დაბეჯითებით იუწყება, რომ სამეფო კარზე შერლის ხელშემწყობი იყო შაჰის ორი ქართველი ქრისტიანი ცოლი. სწორედ შაჰის ორი ქართველი ქრისტიანი ცოლის შესახებ დიდი სიმპათიით საუბრობს თვით ანტონი შერლი 1613 წელს ლონდონში თავისი მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნებულ წიგნში.

შერლის სპარსეთში ყოფნის დროს რომ იქ სიმონ ქართლის მეფის სამეფო კარიდან ჩამოყვანილი შაჰის ქრისტიანი ცოლი იყო, ეს დასტურდება არა მხოლოდ შაჰ-ბასის კარზე მოღვაწე ინგლისელი ატაშეს ჩანაწერებით, არამედ სპარსეთიდან ევროპაში 1599 წელს გაგზავნილი ინფორმაციითაც და რომის პაპის მიერ 1601 წელს აბასის ამ ქრისტიანი ცოლისადმი მიწერილი წერილითაც.

შაჰის ამ ორი ქართველი ქრისტიანი ცოლის და მათი შვილების შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა სერ ტომას ჰერბერტი, რომელიც ინგლისის სამხედრო ატაშე იყო შაჰ-აბასის სპარსეთში 1627-29 წლებში. ჰერბერტის ცნობები შაჰის ქართველ ცოლებზე იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ უმთავრესი და ამავე დროს უშუალო წყარო ამ ამბების მბობისა არის სერ რობერტ შერლი, ანტონი შერლის ძმა, რომელიც ანტონი შერლის და მისი თანამგზავრების შაჰის კარზე მოღვაწეობის თვითმხილველია. ტომას ჰერბერტი ინგლისიდან სპარსეთში რობერტ შერლისთან და მის ოჯახთან ერთად ჩავიდა. რობერტ შერლისთან ერთად იყო იგი სტუმარი ალავერდი ხანის შვილის იმამ-ყული ხანის დიდი და მრავალდღიანი დღესასწაულისა. ასე რომ, მისი ცნობები და კერძოდ დაინტერესება შაჰის ორი ქართველი ქრიასტიანი

ცოლით და მათი შვილებით, სავარაუდოდ შერლების ოჯახის ამბებსაც უკავშირდება.

ამგვარად, სავარაუდოდ, შერლისა და მისი კომპანიონების კონსულტანტები და დამხმარეები დიდი ქართული ეროვნული სარაინდო რომანის *ვეფხისტყაოსნის* გაცნობისა და მისი ფაბულის ინგლისურად გადამუშავებაში სპარსეთში შაჰის ცოლებად განწესებული ქართველ მეფეთა ასულებიც უნდა ყოფილიყვნენ. საქართველოდან სპარსეთში ახლად ჩამოსულ პატარძლებთან ინგლისელ მოგზაურთა და დიპლომატთა ურთიერთობის დადასტურება კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აღმოსავლეთის საისტორიო ამბებით, ფოლკლორით და ლიტერატურით დაინტერესებულ ინგლისელ ინტელექტუალთა მიერ *ვეფხისტყაოსნისადმი* განსაკუთრებულ ყურადღებას და რუსთველის დიდი შემოქმედებისთვის რენესანსული დიდი კულტურისაკენ გზის გახსნის ფაქტს.

ქართველი პატარძლის სამზითვო საბარგულში რომ *ვეფხისტყაოსანი* ყველაზე უსაფრთხოდ იყო შეფუთული, ამ გადმოცემას ქართველთა ისტორიული მეხსიერება საიმედოდ ინახავს. და როცა ეს პატარძლები ქართველ მეფეთა ოჯახებიდან სპარსეთში გადასახვეწად განწესებული პრინცესები იყვნენ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ სათუთად მიჰქონდათ ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის დიდი სიყვარულის ამბით შთაგონებაც.

დანართი: სერ ტომას ჰერბერტის 1634 წლის ჩანაწერი შაჰ აბას პირველის ქართველი ცოლებისა და მათი შვილების შესახებ (Herbert Thomas, *Travels in Persia. 1627-1629.* თარგმანი სერ უილიამ ფოსტერის 2014 წლის გამოცემიდან, გვ. 160-167.

შაჰ აბასს სხვადასხვა ცოლისაგან ჰყავდა ბევრი შვილი, რომელთა განათლებაზე არც ზრუნავასა და არც ფულს არ ზოგავდნენ. უფრო მეტად საიმედონი იყვნენ ისმაილი (Ismael), სოფი-მირზა (Soffy-Mirza), ყოდაბუნდა-სულთანი (Codabanda-Sultan) და ემანღოლი (Emangoly) – ოთხი ახალგაზრდა მამაცი პრინცი. პირველი ორი იყო გორდინას (Gordina) შვილი, სიმონ ხანის ქალიშვილის; მომდევნო ორი – მართას, სკანდერ მირზას ქალიშვილის შვილები. ორივე იყო ქართველი, ორივე ქრისტიანი. პირველი ქალბატონი ჩამოიყვანა ქურჩიკი-ხანმა (Kurchiki-cawn), მეორე – შაჰ-თამაზ-ყულიბეგმა (Shaw-Tamas-Coolibeg), ორივე იყო სპარსელი, ორივე ფავორიტი. ყველა მათგანი ისეთი ძვირფასი იყო აბასისთვის, ჩანდა, რომ მაშინ მას ჰქონდა ამქვეყნიური ბედნიერების ელექსირი. მისი ფავორიტი ცოლები იყვნენ შეუდარებელი სილამაზისა და ჭეშმარიტად ერთგულები; ხოლო ვაჟები მისი ხასიათის, პოლიტიკისა და სიმტკიცის მსგავსნი – რაც ერთდროულად სიამოვნებას ანიჭებდა, როგორც ხანშიშესულ მეფეს, ასევე ომისმოყვარულ სპარსელებს. მაგრამ როგორც ჩვეულებრივად ხდება, ყველაზე კარგი გარემოებანიც კი სწრაფად შეიცვლებიან და არ არის ისეთი მშვიდი დღეები, რომელთაც ღრუბლების ჩრდილი არ მიადგება, ამრიგად ახალგაზრდა პრინცების გულწრფელობა და სრულყოფილება სწრაფად გაქრა. ისმაილი (რომელიც სამხედრო ხელოვნებისა და სულგრძელობის ადრეული ნიშნებით აღაფრთოვანებდა და თვალში ხვდებოდა აზიურ სამყაროს) წყეულმა შხამიანმა ღრუბლებმა დასცა და უდროოდ დაასამარა ცხრამეტი წლის ასაკში, მისი დიდებულების ზენიტში. სოფი-მირზა, რომელსაც თან სდევდა ბედის უკუღმართობა, თავდაპირველად დაწინაურდა შეთქმულების გამოვლენის გამო, მაგრამ საბოლოოდ ისიც იმავე წლებში დამარცხებული და სასიკვდილოდ დაჩეხილი იქნა მუჯი კაპიჯის (capigi) მიერ, რომელმაც მოიპოვა საძულველი გამარჯვება და უბრალოდ ეჭვიანი მეფის სურვილი აღასრულა.

და ემანღოლიმ, მისი პუპულარობის აღიარებამდე, ჯადოქართან კავშირით შეიტყო საკუთარი ბედის ჰოროსკოპი, გაიგო, რომ ხანმოკლე სიცოცხლე ექნებოდა, მშიშარა გაიზარდა მამის მოღალატეობრივი ხა-

სიათის გამო, ღრმა და მწუხარე მელანქოლიამ შეიწირა მისი ნაღვლიანი სული. სუვერენობის შანსი მისცა ხოდაბუნდა სულთანს, რომელსაც ეწოდა სეფი, რომელსაც (დაბრძენდა რა თავისი ძმის უბედურებით) ისეთი სიფრთხილით ეჭირა თავი მეფის სამსახურში, და ისეთი სასიამოვნო და უსაფრთხო ურთიერთობა ჰქონდა ხალხთან, რომ აბასმა შეიყვარა, ხალხიც ზეიმობდა; თითქოს აშკარა შეუცნობელი იღბალი ანებივრებდა მას. კეთილგანწყობის, გულუხვობის, ერთგულების, გამბედაობისა და სამხედრო ხელოვნებაში გამოცდილების გამო, როგორც შინ, ისე საზღვრებს გარეთ სპარსეთის მონარქია, თურქეთი, არაბეთი, მონღოლეთი და ყიზილბაშები ადიდებდნენ, ეშინოდათ და ამკობდნენ მას სხვადასხვა ხოტბით: ასე რომ, თვითონ არაფერს ტოვებდა გამოუვლენელსა და უთქმელს, რასაც შეეძლო მისთვის დიდება მოეტანა; მის მტრებს, მიუხედავად იმისა, რომ თავს არ იტყუებდნენ, არ შეეძლოთ, არ გაეკერპებინათ ის, ვინც ამ ყველაფრის მიუხედავად, არ იცვლებოდა და შეწუხებული იყო ამ პოპულარობით (არა მსგავსად ჩვენი ბუნებისა, რომ ყოველი მოქმედების, ყოველი ვულგარული ნიშანი გაგვაღმერთებს, და ყველა დიდებულების ამაოებას გვმატებს დამსახურების გარეშე). იგი მოკრძალებით საყვედურობდა მაამებლებს; იტანჯებოდა მათი თვალთმაქცობით, მიაჩნდა, რომ მისი გამარჯვებები ყოველთვის იყო გაზვიადებული. თვლიდა, რომ რაც კი გააჩნდა და რასაც აკეთებდა, იყო მხოლოდ მამამისის ძლევამოსილების დამსახურება. ეჭვობდა, რომ მას დატანჯავდა მისი მონაპოვარის დაკარგვა. ოჰ! როგორი საშინელია ჩაბუდებული და დაფარული ეჭვი და შური! ... – და ეს, იმ გონიერებას, რომელიც ჩვენ ადამიანებად გვაყალიბებს, ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე გადააქცევს სისატიკედ; დიახ, ბოროტებით გაიზრდება ყველაზე არაგონიერ და სასტიკ არსებებში! აბას მეფე მამა ხომ არის? განა მოწყალება არ არის უპირატესი ადამიანის თვისებათაგან? ხომ არის სოფი-მირზა-სულთანი პრინცი, მისი ვაჟი? ვის მიმართ უნდა გამოამუღავნოს მან სათანადო სიყვარული? ვისში უნდა ეძიოს ღირსება უფრო მეტად? სად შეიძლება იპოვნოს უკეთესი საყრდენი? საბრალო პრინცი! ბილიკი რომელზეც იგი მიაბიჯებს უმატებს მისი მამის დიადემას ბრწყინვალებას და ამავე დროს უბიძგებს თავის ქვეყანას არ მიჰყვეს მის გზას, და ამით ჩაითრევს საკუთარ თავს საშინელ უფსკრულში; რაც უფრო მეტად მაამებლურად ექცევა თავის მამას, მით მეტად აალებს მასში უსამართლო შურს; რაც მეტად აღამაღლებს ის თავის ქვეყანას თავისი დიდი წარმატებებით თურქების წინააღმდეგ, მით მეტი აპლოდისმენტით ამკობს მას ხალხი,

მაგრამ აბასს აშინებს მისი პოპულარობა. დიახ, ისე ძალიან ეშინია, იმდენად არის გადაგვარებული მასში მამობრივი გულმოწყალება, რომ ნაცვლად მოწყალებისა და სამართლიანობისა (რომელიც აძლევს მეფეს უფრო მეტ მშვენიერებას, ვიდრე თავზე დადგმული დიადემა) ის ჩაიფიქრებს მის განადგურებას.

სამეფო კარის ამ ინტრიგების პერიოდში, პრინცი ამაყად იქნევს თავის მახვილს არაბეთში, სადაც მრავალი წარმატების შემდეგ, გამარჯვებული თვითონ გახდა დატყვევებული ულამაზესი არაბი პრინცესას (და ასეთ სხეულებში, როგორც წესი, უმშვენიერესი სულები ცხოვრობენ) მომხიბვლელობით; მაგრამ ისეთი იყო მისი სიმამაცე და ღირსება, რომ სწრაფად გამოისყიდა თავისი თავი, და ის (პრინცესა) აქცია თავის ტყვედ. ... ამ ქალისგან მას შეეძინა ორი შვილი, სოფი და ფატიმა. ... ეს ახალგაზრდა პრინცესა ფატიმა მამამისზე – სოფი-მირზაზე ნაკლებად არ უყვარდა პაპას – შაჰ-აბასს. ... [შაჰი] სოფი-მირზას განრისხებას ცდილობდა იმით, რომ მტრულად მოპყრობოდა იმას, ვინც [პრინცს] ძალიან უყვარდა. ეს იყო მისი მრჩეველი არაბი მაღარი, ერთგული და ნინდახედული მსახური... შაჰმა მაღარი გამოიძახა და ნაცვლად იმისა, რომ პატივი მიეგო პრინცის კეთილშობილური აღზრდის გამო, მკაცრი მზერა მიაპყრო მას. დაადანაშაულა იგი სიამაყეში და ბრალი დასდო, რომ მან პრინცი მოაჯადოვა არაკეთილსინდისიერი ამბიციებით. მაღარი თავმდაბლობით, მაგრამ თავდაჯერებული თავის უდანაშაულობაში ბოდიშს იხდიდა და მთელ ძალღონეს იყენებდა, რომ დაემშვიდებინა იგი. მაგრამ რაც უფრო მეტად იცავდა თავს, და ნათლად ცდილობდა მირზას [პრინცის] ლოიალობის წარმოჩენას, მით მეტად აღიზიანებდა მეფეს... [მეფემ] სისხლსმოწყორებულ კაპიჯებს [capigis] დააჭრევინა და დაახრჩობინა იგი... პრინცმა, რომელიც ამ დროს ტარტარების [Tartar] წინააღმდეგ იბრძოდა, გაიგო რა ამის შესახებ, გონდაკარგულმა დატოვა ბანაკი და ჩამოვიდა სამეფო კარზე. ... პრინცი ზეცას იმოწმებდა, რომ მაღარი უდანაშაულოა. მაგრამ აბასი ახდენდა მის შემდგომ პროვოცირებას, უმტკიცებდა, რომ მას ნათლად შეეძლო ქვეყნის დარწმუნება, მაღარის დესტუქციულ ჩანაფიქრში. პრინცი აინთო სიბრაზით. განრისხებულმა წარმოიდგინა ჩამომხრჩვალი მაღარი; იშიშვლა მახვილი, დაიფიცა, რომ გადაარჩენდა მას. ...ზოგიერთი სარწმუნო გადმოცემის მიხედვით, პრინცი ჯერ განაიარაღეს. შაჰმა მიიწვია იგი სხვა დარბაზში, თავი მოაჩვენა, რომ თვითონ არ იყო კარგად და გავიდა, უბრძანა შვიდ დიდტანიან ბოროტმოქმედს – ყრუებსა და მუნჯებს – სისხლმოწყურებულნი და სასიკვდილო მშვილდ-ისრებით

შეირაღებულნი შესულიყვნენ დარბაზში საიდუმლო კარიდან; რომელთა გარეგნობამ, საქციელმა და იარაღმა მაშინვე გამოააშკარავა მათი დანიშნულება და სურვილი. ... პრინცი გულუბრყვილოდ ცდილობდა გაერკვია რაში იყო საქმე. რომ არ დაეწყო მჭერმეტყველება და ხვეწნა-მუდარა ამ ჯოჯოხეთის ძაღლებში თანაგრძნობის გაღვიძების მიზნით და სცოდნოდა ამ ბოროტი ბრძანების ნამდვილი საფუძველი, ის შეძლებდა გამკლავებოდა მათ. ... იგი ეძგერა ამ მონსტრებს – ჯერ ერთს, მერე მეორეს; იხილეს რა მისი ამგვარი სიმამაცე, სამი მათგანი გაემგზავრა ეშმაკთან, სანამ ისინი მოახერხებდნენ მშვილისრების საზარელ აუღარუნებასა და მის დაბმას. იგი საოცარი სიმარჯვითა და სიმამაცით იცავდა თავს. ... საბოლოოდ მათ მოახერხეს მისი გათოკვა. ... ბოროტმოქმედნი ზეიმობდნენ გამარჯვებას, ტკბებოდნენ მისი წამებით მანამ, სანამ მეფემ (რომელიც, როგორც ჩანს, შორს არ იყო) არ შეაჩერა ისინი. ბრძანა პრინცის გათოკვა და გავარვარებული ფოლადით დაბრმავება, სანამ გონზე მოვიდოდა. ამით მოუსპო მას ხილვა ყველაფრისა, (რაც ყველაზე მეტად უყვარდა) – ცოლის, შვილების, მეგობრებისა; და თვით მაღარის გვამისა. ...

მამაცი პრინცის დაკარგვა მალე გახმაურდა, მთელი სპარსეთი გლოვობდა. ... გაიაზრა რა საკუთარი განადგურებული არსებობა, პრინცმა დასწყევლა თავისი დაბადება, დიდება, სამართლიანობა და (რაც ყველაზე მეტად სამწუხაროა) თვით საკუთარი მშობელი. გაშმაგებულმა დაიფიცა, რომ მას გაანადგურებდა. თუმცა დარწმუნდა, რომ მისი შურისძიება შეუძლებელი იყო. პრინცი ბობოქრობდა და იმუქრებოდა მანამ, სანამ სულეიმან-მირზამ, ქურჩიკი ხანმა და სხვა მონათესავეებმა და ახლობლებმა ერთხმად არ მოუწოდეს მას სიმშვიდისაკენ. რომლებიც მიაწყდნენ მას, და თავიანთი საბრალო მაგალითებით მოუწოდეს სიმშვიდისკენ. ...

ამ უსიამოვნო ჟამს, აბასი ინარჩუნებდა თავის ორბიტას, მოძრაობდა, როგორც მეორე სატურნი; და თავისი გვირგვინის სიმტკიცეში დარწმუნებული იყო, არაფერი მოჩანდა რაც დაარღვევდა მის სიმშვიდეს; მის სიამოვნებათა შორის არაფერი იყო მეტად ძვირფასი, ვიდრე ახალგაზრდა ფატიმა. ... სამეფო კარი და მთელი ქვეყანა აღტაცებული იყო მისი სიყვარულით ამ ძვირფასი ქმნილებისადმი. არც თუ ცოტანი ხარობდნენ ამით, რადგანაც ამ უმწიკვლო ქალის მეშვეობით მათ მრავალგზის მოახერხეს აეცდინათ შაჰის მრისხანება. ...მაგრამ რა სიხარული უნდა ჰქონოდა დაბრმავებულ პრინცს, როცა თვითონ არ იყო ამ სიხარულის მონაწილე? მას მხოლოდ შურისძიება სურდა; ... ეს სიტყვა,

როგორც სასიამოვნო მუსიკა, ყველაზე მეტად სიამოვნებდა მელანქოლიით შეპყრობილი მირზას ჯოჯოხეთურ ფანტაზიას. არ წუხდა, როგორი საზარელი იქნებოდა ეს შურისძიება, ოღონდ აბასი დატანჯულიყო. ... გაიგო რა, რომ მამამისი აღმერთებდა ფატიმას, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ძალიან უყვარდა იგი, განუახლდა რა მამისადმი სიძულვილი, ჩაიფიქრა ამ უდანაშაულოს დაღუპვა. შურისძიებამ იმდენად ჩაძირა სიბნელის გაუგონარ მორევში, რომ მასთან მხოლოდ და მხოლოდ დასამშვიდებლად მისულ უმწიკვლო ბავშვს არამზადამ ხელი სტაცა და სისხლსმოწყურებული მრისხანებით მოუგრიხა კისერი. ... განცვიფრებული პრინცესა, მისი ცოლი, მოსთქვამდა: მხედველობამ შეაცდინა ის! – არ უნდა ვირწმუნოთ, იმიტომ მოეკლა, რომ ფატიმა იყო. და, თითქოს ეს საკმარისი არ იყო, გაიგო რა, ფატიმას გამო ახალგაზრდა სოფის საცოდავი ტირილის ხმა, მრისხანებით აღივსო და ხელის ცეცებით წავიდა მისკენ, რათა მოესპო მეფისთვის მემკვიდრე; მაგრამ პრინცესას ჩარევით ბავშვი გადარჩა, თორემ დაიღუპებოდა კიდევ სხვა – სპარსეთის გვირგვინი, რომელსაც იგი ამჟამად ფლობს.

როდესაც ამ ტრაგედიის შესახებ შეიტყო, აბასი ისეთი სასტიკი მძვინვარებით აღივსო, ბევრს ეშინოდა, ის თავად გახდებოდა მისი პირადი ჯალათი. მაგრამ, როდესაც თავისი მწუხარება ზღვის ცრემლებით დაალტვო, მან შეიკავა თავისი დარდი, განიზრახა სამომავლო დასჯა, დაიფიცა, რომ მის უაზრო მოქმედებაზე შურს იძიებდა, ბოროტების უმაღლესი ფორმით: როდესაც პრინცმა ეს გაიგო, პასუხი იყო ისეთი საშინელი, ზედ დართული მილიონობით საზარელი წყევლა-კრულვით, რომ ამან თვით მეფეც გააოცა. და ბოლოს, დატანჯა რა მრისხნების წუთებმა, გააცნობიერა, რომ მხოლოდ სიკვდილი იხსნის ადამიანს ამქვეყნიური უბედურებისგან მონობის ბორკილების დამსხვრევით. მესამე დღეს მან წერტილი დაუსვა თავის სიცოცხლეს ერთი ჭიქა საწამლავის დალევით. ... მეფემ მიზანშეწონილილად მაინც არ მიიჩნია მისი დაკრძალვის ცერემონიალის გამართვა. უბედური პრიცესა, განცალკევდა ადამიანთაგან; მაგრამ როდესაც, მისი შვილის გამეფების დრო დადგა, ... შეწყვიტა თავისი იზოლირება, და გარკვეული დროით დაივიწყა თავისი დარდი.

მეტი მე არ ვიცი. მაგრამ აბასი თვითონ, ჩვენი წასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოემშვიდობა ამ ქვეყანას.

(მთარგმნელები: ელგუჯა ხინთიბიძე, ნინო ჯიღაური)

შუასაუკუნეების ქართული სამართლის ერთი უცნობი ფორმა*

ჩემი ინტერესი შუასაუკუნეების საქართველოს იურისპრუდენციის საკითხებისადმი *ვეფხისტყაოსნის* ერთმა სამართლებრივმა ცნებამ გამოიწვია. ტარიელი და ნესტანი ინდოეთის სახელმწიფო კარზე შექმნილ რთულ სიტუაციაში, რომელიც ემუქრებოდა ერთი მხრივ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულს, ხოლო მეორე მხრივ ინდოეთის სახელმწიფოს ეროვნულ პრესტიჟს, გადაწყვეტენ ხვარაზმ-შაჰის ძის „მოპარვით" მოკვლას. ნესტანის გეგმით, ეს ნაბიჯი საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ინდოეთის მეფეს ფარსადანს ტარიელისათვის მიეთხოვებინა საკუთარი ასული და ისინი (ნესტანი და ტარიელი) ინდოეთში გაემეფებინა. ნესტანი ტარიელს არიგებს:

„რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად" (545)

თავიდანვე ცხადია, რომ გამოთქმაში *მართალი სამართალი* მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობაც მოიაზრება და იგი გულისხმობს სწორ, მართებულ სამართალს. სხვაგვარად საზღვრულის - *სამართლის* მსაზღვრელად *მართლის* დასმა ყოვლად მოულოდნელი იქნებოდა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ კონტექსტში გამოთქმა *მართალი სამართალი* არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი გაგებით სწორ, მართებულ სამართალს.

---

* წინამდებარე ნარკვევი არის შემოკლებული და გადამუშავებული ვარიანტი ჩემი 1969 წელს გამოქვეყნებული სტატიისა „მართალი სამართლის ცნებისათვის" *(მაცნე,* 1969, N2), რომელიც შემდგომში მცირე შემოკლებით შევიტანე მონოგრაფიებში: *მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში* (1975) და *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო* (2009).

იგი სპეციფიკური გამოთქმაა, რომელშიაც ამ სიტყვების ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან ერთად რაღაც სხვა ნიუანსი უნდა იყოს ჩამარხული. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი:

1. ამთავითვე ჩანს, რომ ის, რასაც რუსთველი *მართალ სამართალს*, უწოდებს, რაღაცით განსხვავდება ჩვეულებრივი ანუ გავრცელებული სამართლის, ფორმალური, იმ სოციალურ გარემოში მიღებული, ფორმირებული, მოქმედი კანონმდებლობისაგან; რამდენადაც უდანაშაულო ხელმწიფის შვილის მალული მკვლელობა არ შეიძლება არც ერთი ფორმალური, დაკანონებული სამართლის ნორმებით, სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით სამართლად იქნეს მიჩნეული. ამიტომაა, რომ სამართლისმცოდნეები, იხილავენ რა საკითხს წმინდა იურისპრუდენციის, ფეოდალიზმის სამართლებრივი სისტემის თვალსაზრისით, ნესტანის გადაწყვეტილებას სამართლის საპირისპიროდ მიიჩნევენ .[1]

2. რუსთველი სხვა ადგილასაც ახსენებს *მართალ სამართალს*. ქაჯეთის ციხიდან ნესტანი სწერს საყვარელს:

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად,
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“ (1308).

3. რუსთველის განაცხადში – „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ – გამოთქმა *მართლისა სამართლისა* შემთხვევითი არ არის. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში კარგა ხანია შენიშნულია, რომ ამ აფორიზმს პარალელი მოეპოვება (ან მას მოგვიანებით უპოვია ასახვა) ე. წ. „აბდულმესიანში“:

---

[1] სურგულაძე, ი., „ტახტის მემკვიდრეობის საკითხი *ვეფხისტყაოსნის* მიხედ-ვით“: *თსუ საიუბილეო კრებული შოთა რუსთველს*, თბ. 1966, გვ. 92-118.

„ესა მართალი: ე სამართალი ხეს შეიქმს ჴმელსა წყალ-მომდინარედ“.[1]

რა შინაარსის შემცველი უნდა იყოს *მართალი სამართლის* ცნება?

XIII-XVIII საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში და სხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებში შესიტყვება *მართალი სამართალი* არაერთხელ დასტურდება. იგივე გამოთქმა რუსთველამდელ, ძველი ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის *საეკლესიო* ძეგლებში გვხვდება *სამართალი სასჯელის* და მისი მონაცვლე *სამართალი საშჯელის* ან *სარჩელის სახით*. ქართულ სასულიერო ლიტერატურაში ეს ცნება ხშირად გვხვდება. მაგრამ არც ქართულ იურიდიულ ძეგლებში, თუ სხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებში, არც სასულიერო მწერლობაში ამ ცნების მნიშვნელობაზე მითითება არ ჩანს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს ცნება ქართულ სინამდვილეში ჩამოყალიბებული არ უნდა იყოს. მართლაც, ეს გამოთქმა *სახარებაში*, კერძოდ *იოანეს სახარებაში* გვხვდება. იოანეს სახარების მე-7 თავის 24-ე მუხლის *სამართალი სასჯელი* და მისი ბერძნული შესატყვისი δικαία κρίσις სწორედ იმავე მნიშვნელობის ცნება ჩანს, რაც ჩვენთვის საინტერესო *მართალი სამართალია:* „ნუ სჯით თუალ-ღებით, არამედ სამართალი საჯელი საჯეთ“. თუმცა არც სახარებაში ჩანს ამ ცნების განმარტება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სახარების ამ ცნების გასახსნელად კიდევ უფრო ძველ წყაროებს უნდა მივმართოთ.

იოანეს სახარება აღიარებულია ისეთ ძეგლად, რომელიც *სახარების* სხვა ნაწილებზე მეტად განიცდის ანტიკური აზროვნების გავლენას. ძველ აღთქმაში საუბარია იმ ჭეშმარიტ სასჯელ-

---

[1] *ძველი ქართველი მეხოტბენი*, წიგნი მეორე (ი. ლოლაშვილის გამოცემა). თბ. 1964, გვ. 124.

ზე, ჭეშმარიტ მსჯავრზე, რომელიც ღმერთმა ებრაელ ხალხს მოუვლინა. „დანიელის წინასწარმეტყველებაში“ იკითხება: „და მშჯავრთა ჭეშმარიტებისათა ჰყავ ყოველთა ებრ რომელნი მოაწიენ ჩუჱნ ზედა, და ქალაქსა ზედა წმიდასა მამათა ჩუჱნთა-სა იერუსალიმსა, და რამეთუ ჭეშმარიტებისა მიერ და მშჯავრისა მოაწიენ ესე ყოველნი ჩუჱნ ზედა ცოდუათა ჩუჱნთა თჳს“... (დან. 3, 28). იგივე მრწამსი ჩანს *ფსალმუნზე* დართულ გალობის ტექსტებში (გალ. 7, 6): „და ყოველი, რაოდენი მოავლინე ჩუენ ზედა, და ყოველი, რაოდენი მიყავ ჩუენ, *სიმართლისა საშჯელითა* ჰყავ“.[1]

ძველმა აღთქმამ დაამკვიდრა რწმენა, რომ ღმერთის ყოველი განაჩენი მართალი, სწორი, ჭეშმარიტი არის. ეს რწმენა ბუნებ-რივია ახალ აღთქმაშიც გადმოვიდა და მთელ ქრისტიანულ ლი-ტერატურას მოედო: „ჰე, უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მართალ და ჭეშმარიტ არიან სასჯელნი შენნი“ (იოვანეს *გამოც-ხადება*, 16,7).[2] „სასჯელი ღმრთისაჲ *მართალ* არს და *მშჯავრი* მისი სამართალ არს.....“.[3]

ძველი აღთქმის ამ ჩვეულებრივ გამოთქმას – *ჭეშმარიტების მსჯავრი, სამართლის სასჯელი* – გარკვეული წვლილი მიუძღვის იოანეს სპეციფიკური ცნების – *სამართალი სასჯელის* ჩამოყალიბებაში. უდავოა, რომ *სამართალი სასჯელის* ცნებაში შევიდა ძველი აღთქმის შეხედულება ჭეშმარიტ მსჯავრზე. ე. ი. ცნება *სამართალი სასჯელი* გულისხმობს, რომ იგი არის სწორი მსჯავრი, ჭეშმარიტი განაჩენი. მაგრამ ძველი აღთქმის *ჭეშმარიტების მსჯავრი* თუ მხოლოდ და მხოლოდ მართებულ, სწორ

---

[1] *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები* (მ. შანიძის გამოცემა). თბ., 1960, გვ. 434.

[2] *იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება* (ი. იმნაიშვილის გამოცემა): *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*. თბ. 1961, გვ. 23.

[3] ეფრემ ასური, „სინანულისათჳს, ჯუარისათჳს და შარასკევისა და კვრიაკისათჳს“: *მამათა სწავლანი* (ი. აბულაძის გამოცემა). თბ. 1955, გვ. 216.

სასჯელს ნიშნავს, იოანეს სახარების *სამართალი სასჯელი* დამატებით კიდევ სხვა ნიუანსის მატარებელია. იგი მხოლოდ და მხოლოდ სწორ, მართებულ სამართალს არ ნიშნავს. ამიტომაც ამ ცნების საბოლოოდ დადგენისათვის ანტიკურ მწერლობასაც უნდა მივმართოთ.

მართალი სამართლის მნიშვნელობის დასადგენად, ვფიქრობ, ყურადსაღებია ანტიკური მწერლობის სპეციფიკური ცნება ἐπιείκεια (*ეპიეიკეია*). ἡ ἐπιείκεια ზოგადად ითარგმნება როგორც სამართლიანობა, სიმართლე. მაგრამ ეს ტერმინი სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა ნიუანსის მატარებელია. იგი გვხვდება პლატონის, პლოტინოსის, ისოკრატეს, თუკიდიდეს და კიდევ ზოგიერთ სხვა ავტორთა თხზულებებში. ზოგიერთ კონტექსტში ἡ ἐπιείκεια და τὸ εἰκός ფუძიდან ნაწარმოები სხვა სიტყვები ნიშნავს ისეთ სიმართლეს, რომელიც ფორმალურ (დაკანონებულ) სამართლიანობას უპირისპირდება. მაგალითად, ჰეროდოტესთან გვაქვს ასეთი გამოთქმა: τῶν δικαίων τὰ ἐπεικέστερα προτιθέται, რაც ამგვარად უნდა ითარგმნოს: ფორმალურ სამართლიანობაზე უპირატესობის მიცემა ἐπιείκής-ისთვის.[1]

ეთიკურ-იურიდიული ცნება ἡ ἐπιείκεια – ზე, როგორც სამართლის თავისებურ სახეობაზე, მოძღვრება ჩამოაყალიბა არისტოტელემ თავისი *ეთიკის* იმ თავში, რომლის სათაურია: *სამართლიანობის შესახებ* (Eth. Nic., 5, 10). არისტოტელეს ეს თხზულება ანტიკურ საბერძნეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. არისტოტელეს ტერმინი ἡ ἐπιείκεια სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც *უტყუარი, უცდომელი მართალი სიმართლე*. არისტოტელეს თხზულებათა ლათინელი მთარგმნელი ἡ ἐπιείκεια-ს თარგმნის როგორც aequum bonum (სწორი, თანასწორი სიმართლე). ძველი ბერძნული ენის ერთ-ერთი ძალზე სოლი-

[1] Дворецкий, И., *Древнегреческо-русский словарь*. Москва 1958, стр. 609.

დური ლექსიკონი – პაპეს ბერძნულ-გერმანული ლექსიკონი არისტოტელეს ἡ ἐπιείκεια-ს განმარტავს როგორც: ზუსტი, მკაცრი სამართლის ქმნა გარემოებათა გათვალისწინებით (Schilderung des strengen Rechtes mit Berücksichtigung der Umstände).[1] მკაცრ, ზუსტ სამართლიანობადაა (La stricte juctice) გაგებული არისტოტელეს ἐπιείκεια ძველი ბერძნულ-ფრანგულ ლექსიკონებშიც.[2]

როგორია არისტოტელეს მოძღვრება ἡ ἐπιείκεια-ს ანუ aequum bonum-ის (უტყუარი სიმართლის) შესახებ?

არისტოტელემ ჩამოაყალიბა თავისებური გაგება *უტყუარი სიმართლისა* (ἡ ἐπιείκεια) და განასხვავა იგი სამართლიანობისაგან. იგი წერს: Οὔτε γὰρ ὡς ταὐτὸν ἁπλῶς οὔθ' ὡς ἕτερον τῷ γένει φαίνεται σκοπουμένοις[3] (უფრო დაკვირვებით განხილვისას უტყუარი სიმართლისა და სამართლიანობის გაგებანი ჩანან არა უდავოდ იგივეობრივნი, მაგრამ ამავე დროს არც გვარეობრივად არ განსხვავდებიან). ფილოსოფოსის აზრით, უტყუარი სიმართლე ყოველთვის ეხება სამართლიანობის გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევას და ამ შემთხვევაში წარმოადგენს უმაღლეს სამართლიანობას, მაგრამ იგი სრულიად არ არის სხვა გვარეობითი ცნება, სამართლიანობაზე უკეთესი. არისტოტელეს აზრით: Ταὐτὸν ἄρα δίκαιον καὶ ἐπιεικές, καὶ ἀμφοῖν σπουδαίοιν ὄντοιν κρεῖττον τὸ ἐπιεικές (უტყუარი სიმართლე და სამართლიანობა ერთი და იგივეა და, თუმცა ორივენი კარგია, მაგრამ უტყუარი სიმართლე მაინც უფრო სასურველია). არისტოტელე იქვე განმარტავს, თუ რატომაა უტყუარი სიმართლე სამართლიანობაზე უკეთესი და ამბობს: ... τό ἐπιεικὲς δίκαιον μέν ἐστιν, οὐ τὸ κατὰ νόμον δέ ἀλλ' ἐπανόρθωμα νομίμου δικαίου (უტყუარი სიმართლე, არის რა იგი

---

[1] Pape, W., *Griechisch-Deutsches Handwörterbuch*, Bd. I-II. Braunschweig, 1908.

[2] Bailly, A., *Dictionannaire grec-francais*, Paris. 1950.

[3] ყველა ციტატი არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკის" V წიგნის X თავიდან მოყვანილია გამოცემით: Aristotelis, *Opera omnia*, vol. secundum. Parisiis, 1883.

სამართალი, არის მართალი არა კანონის თვალსაზრისით, არამედ დაკანონებული სამართლიანობის შესწორებაა). მაშასადამე, როცა უტყუარი სიმართლე სამართლად გვევლინება, იგი კანონის თვალსაზრისით კი არ არის მართებული, არამედ გარკვეულად ამ კანონის შესწორებაა. არისტოტელე იქვე განმარტავს, თუ რა არის ამის მიზეზი: Αἴτιον δ' ὅτι ὁ μὲν νόμος καθόλου πᾶς, περὶ ἐνίων δ' οὐχ οἱόντε ὀρθῶς εἰπεῖν καθόλου (ამის მიზეზი ის არის, რომ ყოველგვარი კანონი არის ზოგადი, ხოლო ცალკეული დეტალების შესახებ არ შეიძლება მართებული ზოგადი განსაზღვრების განწესება). არისტოტელეს სიტყვით, კანონის ეს თავისებურება გამომდინარეობს თვით კანონის ხასიათიდან: კანონი ეხება ისეთ შემთხვევებს, რომლებიც უფრო ხშირად ხდება, სინამდვილეში პრაქტიკულად შექმნილი სიტუაცია კი კანონით ხშირად გაუთვალისწინებელი რჩება. მიუხედავად ამისა, არისტოტელეს აზრით, კანონი მაინც სწორია. შეცდომას იწვევს არა კანონი ან კანონმდებელი, არამედ კანონის ობიექტის სირთულე.[1] არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ: როგორც ჩანს, ასეთია ადამიანთა მოქმედების ხასიათი. ამგვარად, – განაგრძობს არისტოტელე, – უტყუარი სიმართლე არის სამართლიანობა და უკეთესი, ვიდრე ცალკეული შემთხვევა სამართლიანობისა, მაგრამ ზოგადად სამართლიანობაზე კი არა, არამედ მხოლოდ იმაზე უკეთესი, რომელიც თავისი ზოგადობის გამო შეიცავს შეცდომას (Διὸ δίκαιον μὲν ἐστι, καὶ βέλτιον τινος δικαίου, οὐ τοῦ ἁπλῶς δὲ ἀλλὰ τοῦ διὰ τὸ ἁπλῶς ἁμαρτήματος).

არისტოტელე კიდევ უფრო აზუსტებს თავის აზრს. მისი მტკიცებით, უტყუარი სიმართლის ხასიათი მდგომარეობს კანონის შესწორებაში იმ შემთხვევის დროს, როცა კანონი თავისი ზოგადობის გამო არადამაკმაყოფილებელია. არისტოტელეს

[1] Hardie, W.F.R., *Aristotle's Ethical Theory*. Oxford 1968, p. 209.

აზრით, არსებობენ მოვლენები, რომელთა შესახებ არ შეიძლება კანონის დაწერა, რადგანაც მათ სპეციალური დადგენილება სჭირდებათ. არისტოტელე გარკვევით აყალიბებს თავის შეხედულებას: Ὅταν οὖν λέγῃ μὲν ὁ νόμος καθόλου, συμβῇ δ᾽ ἐπὶ τούτου παρὰ τὸ καθόλου, τότε ὀρθῶς ἔχει, ᾗ παραλείπει ὁ νομοθέτης καὶ ἥμαρτεν ἁπλῶς εἰπών, ἐπανορθοῦν τὸ ἐλλειφθέν, ὃ κἂν ὁ νομοθέτης αὐτὸς οὕτως ἂν εἴποι ἐκεῖ παρών, καὶ εἰ, ἤδει ἐνομοθέτησεν ἄν (ამგვარად, თუ კანონი არის ზოგადი, ხოლო კონკრეტული შემთხვევა არ უდგება ზოგად დებულებას, მაშინ უეჭველია, სწორად მოიქცევა ის, ვინც შეასწორებს ნაკლს და შეავსებს ხარვეზს, რომელიც კანონმდებელმა დატოვა; ნაკლს, რომელსაც თვითონ კანონმდებელიც შეასწორებდა, ისიც რომ ესწრებოდეს და ან მაშინ რომ სცოდნოდა ასეთი შემთხვევის შესახებ, როცა კანონს აწესებდა).

ამგვარად, არისტოტელეს ἐπιείκεια, ანუ *უტყუარი სიმართლე* არის სამართლიანობის თავისებური სახეობა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევას შეეხება და პრაქტიკულ გარემოებათა გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული. ეს არის სამართლიანობის ის სახეობა, რომელიც ემიჯნება ფორმალურ სიმართლეს, კანონით დაწყებულ ოფიციალური კანონმდებლობის სიმართლეს; რადგანაც იგი წარმოადგენს სიმართლეს იმ კონკრეტულ სიტუაციაში, რომელსაც ოფიციალური კანონმდებლობა ზუსტად ვერ ასახავს. რამდენადაც ზოგად სამართლებრივ კანონში ეს კონკრეტული შემთხვევა არ შეიძლებოდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ამდენად *უტყუარი სიმართლე* სამართლის დაზუსტებას, ან ზოგჯერ შესწორებას წარმოადგენს და იგი სამართლიანობის ყველაზე მაღალ, სასურველ ფორმადაა მიჩნეული!

ვფიქრობ, რომ არისტოტელეს *უტყუარი სიმართლე* არის სამართლიანობის ის სახეობა, რომელიც ყველაზე მეტ სამსახურს

გაგვიწევს ქრისტიანული ეპოქის *სამართალი სასჯელის* ცნების მნიშვნელობის დადგენაში.

ეს ორი ცნება – ერთი მხრივ, ἐπιείκεια, aequum bonum, უტყუარი სიმართლე და მეორე მხრივ δικαία κρίσις, სამართალი სასჯელი, მართალი სამართალი – მხოლოდ გარეგნულად კი არა ჰგავს ერთმანეთს, მათ შორის შინაარსობრივი კავშირიცაა.

ქრისტიანულ მწერლობაში, პატრისტიკაში, ანტიკური მოძღვრება ἐπιείκεια-ზე (უტყუარ სიმართლეზე) თავისებურადაა გადააზრებული, მასში რელიგიური შინაარსია გამოკვეთილი.

არისტოტელეს ἡ ἐπιείκεια-ის (უტყუარი სიმართლის) შინაარსში ორი ძირითადი მომენტია: 1. ეს სიმართლე არის მართალი, სწორი, მართებული და 2. იგი არის სიმართლე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სიტუაციისდა მიხედვით და არა ფორმალური, კანონით დადგენილი სამართლის მიხედვით. ჩანს თუ არა ეს ორი მომენტი იოანეს სახარებასა და ქრისტიანულ მწერლობაში დამკვიდრებულ δικαία κρίσις, *სამართალ სასჯელში*?

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, იმთავითვე ჩანს, რომ პირველი მომენტი *სამართალი სასჯელის* ცნებაში უთუოდ არის, რადგანაც ამ ცნების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ძველი აღთქმის *ჭეშმარიტ მშჯავრს*, რომლის შინაარსში მხოლოდ და მხოლოდ სწორი, მართებული განაჩენი ამოიკითხება.

იმის გარკვევა კი, არის თუ არა რაიმე ნიუანსი *იოანეს სახარებისა* და ქრისტიანული მწერლობის *სამართალ სასჯელში* იმ სიმართლისა, რომელიც კონკრეტული სიტუაციისდა მიხედვით და არა ფორმალური სამართლის მიხედვით, არის სიმართლე, იოანეს სახარების ჩვენთვის საინტერესო მუხლის დეტალური ანალიზით უნდა დავიწყოთ.

იესო მიმართავს ებრაელებს: „ნუ სჯით თუალ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (μὴ κρίνετε κατ᾽ ὄψιν, ἀλλὰ τὴν δικαίαν κρίσις κρίνατε). ანუ გარეგნულად (ზერელედ) ნუ სჯით, მართალი სამართალი საჯეთო. „თუალ-ღებით“ ნიშნავს გარეგნულად (მხოლოდ თვალის შევლებით, დაუკვირვებლად), ზერელედ. იგივე შინაარსია ბერძნულ გამოთქმაში κατ᾽ ὄψιν (ὄψις, εως – გარეგნული შესახედაობა, გარეგნობა). ამასვე ამბობს ლათინური თარგმანის secundum vultum[1] და რუსული თარგმანის по наружности.[2] იესოს სიტყვებში „თუალ-ღებით“ სჯა დაპირისპირებულია მართალი სამართლით სჯასთან. რომ გავიგოთ, რას უწოდებს იესო „თუალ-ღებით“ სჯას, უნდა დავუკვირდეთ მთელ კონტექსტს. იესო ეკამათება ებრაელებს, რომლებიც მას ბრალს სდებენ იმაში, რომ იესომ შაბათ დღეს კაცი განკურნა. ებრაული ღვთაებრივი სამართლით, მოსეს სჯულით კი შაბათ დღეს რაიმე საქმის გაკეთება არ შეიძლებოდა.

ამგვრად, იესო „თუალ-ღებით“ სასჯელს უწოდებს კანონად მიღებული მოსეს სჯულით გამოტანილ განაჩენს. იგი ამგვარ განაჩენს უპირისპირებს მართალ სამართალს. რაც მისივე სიტყვებით ის იქნება, რომ კონკრეტულად და არა მოქმედი კანონით შეფასდება ის საქციელი, რაც მან ჩაიდინა. იგი ამტკიცებს, რომ კონკრეტულად და ზუსტად თუ შევაფასებთ მის მოქმედებას, ის დამნაშავე აღარ გამოჩნდება. ამ კონკრეტული შემთხვევის მიმართ იგი მოითხოვს სიტუაციისდა მიხედვით განსჯას. ანუ, როგორც თვითონვე ამბობს, *მართალ სამართალს*. ვფიქრობ, იოანეს

---

[1] *Novum Testamentum*. Berolini 1886, p. 223.

[2] *Новый завет и Псалтырь*. С.-П. 1911, стр. 169. *ი. იმნაიშვილის თუალთ ღების* განმარტება (მოხათრება. მიკერძოება) არ უდგება აღნიშნული ადგილის ბერძნულ დედანს (იმნაიშვილი, ი., *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*. თბ. 1949, გვ. 235).

სამართალი სასჯელი სწორედ იმავე ნიუანსის შემცველი ცნება უნდა იყოს, რაც არისტოტელეს ἡ ἐπιείκεια (უტყუარი სიმართლე).[1]

თუალ-ღებით, ან თუალ-ხუმით (*თუალ-ხუმით თუალ-ღების* მონაცვლედ გვხვდება ადიშის ოთხთავში)[2] სჯა პატრისტიკაშიც კონკრეტული სიტუაციის შეფასებით გამოტანილ სასჯელთანაა დაპირისპირებული. წმ. ბასილ დიდი წერდა „თუალ-ხუმით“ სჯის შესახებ: „აწ უკუე რომელმან იცოდის ჭეშმარიტი სიმართლე, მას ძალ-უც წარმატებაჲ საშჯელისაჲცა. რამეთუ ვითარცა მოისარი ისარსა მას თჳსსა, რომლისა განგურემაჲ ეგულებოდის, მას დაუმართებს და ივლტის ზედაჲთ გინა ქუეშეთ წარვლასსა მისსა, გინა თუ იმიერ ანუ ამიერ, არამედ მართლიად ხედავს; ეგრეთვე იქმს მსაჯული სიმართლისაჲ: არცა თუალ-ხუმით იქმს, რამეთუ თუალ-ხუმაჲ საშჯელსა შინა ბოროტ არს“.[3] მაშასადამე, წმ. ბასილის განმარტებით, სიმართლის მსაჯული, რომელიც თუალ-ხუმით არა სჯის, მოისარს უნდა ემსგავსოს. როგორც მოისარი ცდილობს ზუსტად მოახვედროს მიზანს და არ აუცდეს ან ზემოთ ან ქვემოთ, ან იქით, ან აქეთ, ასევე პრაქტიკულად, დაკვირვებით, სიტუაციის შესაბამისად უნდა გამოიტანოს განაჩენი სამართლის მსაჯულმა. ბასილის ეს განმარტება გავრცელებულია საქრისტიანო მწერლობაში. *ბალავარიანის* ქართულ რედაქციაში იკითხება: „მსაჯული სიმართლისაჲ ჯერ-არს, რაჲთა ემსგავსოს

---

[1] ვფიქრობთ, აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ კონკრეტული შემთხვევის *სამართალ სასჯელს* არავითარი საერთო არა აქვს ღვთაებრივ ან ბუნებრივ სამართალთან (როგორც ამას ძველი ქართული სამართლის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევდა). იესო დაუპირისპირდა სწორედ ღვთაებრივად მიჩნეულ სამართალს (მოსეს სჯულს) და მოითხოვა *ადამიანთაგან* კონკრეტული მიდგომა საკითხისადმი და ამგვარ სამართალს უწოდა *სამართალი სასჯელი*.

[2] იქვე.

[3] ბასილი დიდი, „დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა“ (თ. ჭყონიას გამოცე-მა): *ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი*. თბ. 1965, გვ. 102.

მოისარსა, რომელმან უფროჲს ზომისა არა მოჰზიდნის მშჳლდსა, ნუუკუე გარდაავლოს განსა, და არცა უმცრო ზომისა, ნუუკუე დააკლდეს და ვერ მიაწინეს, და არცა მრუდად, ნუუკუე აჰჴადოს გარე, არამედ ზომით ყვის და მართლ თუალი მიაყვანის, რაჲთა განემარჯოს მიმთხუევაჲ განისაჲ".[1]

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ადგილი დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსიდან". ქაცვია მამას ცოლის შერთვის ნებას სთხოვს, მამა უარზეა: რა დროს შენი ცოლის შერთვაა, ახალგაზრდა ხარო. ქაცვია მამას მიუგებს: „ერთს სიტყვას ვიტყვი, – გთხოვ არ მიწოდო მე მისთვის ბრიყვი – შენ ქენ სამართალი სწორე და მართალი, ნუ სჯი თვალღებით".[2]

სამართალი სასჯელის ცნება გავრცელდა საქრისტიანო მწერლობაში. ძველი აღთქმის კვალობაზე მთელ საქრისტიანო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ღმერთი მართალი, ჭეშმარიტი 100სამართლით სჯის. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მორწმუნეთა აზრით, იმქვეყნად, საუკუნო მისაგებელს ღმერთი *სამართალი სასჯელით* განსჯის. „ზეცისაჲ იგი საყჳრი, – წერს ეფრემ ასური, – მზა არს ჴმობად ბრძანებითა ღმრთისაჲთა და შეძრვად ერთბამად ყოველთა შესაძრწუნებელითა მითა ღმრთისაჲთა და აღდგინებად ყოველთა, რომელნი საუკუნითგან დაძინებულ არიან რაჲთა კაცად-კაცადსა მიეგოს საქმეთა მათთაებრ სამართალი სასჯელი".[3] „ხოლო რაჲჟამს დასასრული მიიღოს და დაცადებაჲ მყოფობამან აწინდელისა ამის ცხორებისამან, – ნათქვამია ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულ

---

[1] *ბალავარიანის ქართული რედაქციები* (ი. აბულაძის გამოცემა). თბ. 1957, გვ. 164.

[2] დავით გურამიშვილი, *დავითიანი*. თბ. 1955, გვ. 229.

[3] ეფრემ ასური, „ცრემლთათვს": *საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში*, II (ი.იმნაიშვილის გამოცემა). თბ. 1966, გვ. 52-53.

ეკლესიასტეს თარგმანებაში, – მაშინ იქმნეს სამართალი საშჯელი და შესაბამი მისაგებელი".[1]

მორწმუნეთა აზროვნებაში დამკვიდრდა წარმოდგენა, რომ იმქვეყნად ღვთაებრივ სასოებაში *მართალი სამართალი* მეფობს და იგი სასურველი და სანეტაროა. სულხან-საბა:

„სჯობს სასოება უფლისა, ვიდრე მთავართა სასოსა...
მუნ სამართალი მართალი, აქ ზაკვა სტანობს ასოსა".[2]

საზოგადოდ, შუა საუკუნეებშიც *სამართალი სასჯელი*, ისევე როგორც არისტოტელესთან იყო, სამართლიანობის უმაღლეს სახედაა მიჩნეული (ამიტომაც, ღმერთის ყოველ განაჩენს ქრისტიანული ეკლესია სამართალ სასჯელად ანუ მართალ სამართლად მიიჩნევს). დავიმოწმებთ მხოლოდ ორიოდე მაგალითს *ბალავარიანიდან*:

„მისცეს აღთქუმაჲ ურთიერთას, რაჲთა არა მძლავრებით იყოს, და არცა გარდაწევნაჲ სიტყჳს გებასა მათსა შინა, არამედ სამართლისა საშჯელითა განიხილნენ ურთიერთას...".[3]

„მიუგო და ჰრქუა იოდასაფ: ჭეშმარიტად საშჯელი სამართალი განაწესე, მეფე, და არავისა ჯერ-არს აღსრულებაჲ სიმართლისაჲ, გარნა მეფისაჲ".[4]

ზოგიერთ შემთხვევაში *სამართალი სასჯელი* ეწოდება ისეთ განაჩენს, რომელიც ღვთაების მიერ საზოგადოდ მოულოდნელი იყო, მაგრამ რომელსაც კონკრეტული სიტუაცია მოითხოვდა. მაგალითად, ქრისტიანული შეხედულებით ღმერთი კრძალავს კაცის მოკვლას. მაგრამ აი, გარდაიცვალა წმინდა ეპისკოპოსი

---

[1] კეკელიძე, კ., *თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ბმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ*. ტფ. 1920, გვ. 45.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი*, II1 (ა. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით). თბ. 1962, გვ. 259.

[3] *ბალავარიანის ქართული რედაქციები*, გვ. 144.

[4] იქვე, გვ. 113.

ეპიფანე, – გვაცნობებს „მიმოწერაჲ პოლობიჭსი და საბინჭსი“, – ღვთისმგმობელნი ლოგგინოს და პეტრონიოს არ აძლევენ გარდაცვლილის მოწაფეებს ნებას, რომ იგი დამარხონ. მაშინ ერთერთმა ღვთისმოსავმა საბინოსმა მიმართა მიცვალებულს: მამაო, შეევედრე ღმერთს, რომ განდგომილნი ლოგგინოს და პეტრონიოს მოკლასო. „და სიტყუასა მას ოდენ პატიოსნისა მის დიაკონისა საბინჭსსა მასვე ჟამსა სამართალი საშჯელი იქმნა ღმრთისა მიერ“. ლოგგინოს იქვე მოკვდა. ხოლო პეტრონიოსს დამბლა დაეცა და მეორე დღეს გარდაიცვალა.[1] ეჭვი არაა, რომ ქრისტიანული ღვთაებრივი სამართლით, რომელიც გვიქადაგებს: „წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათ. 9, 13), ლოგგინოსისა და პეტრონიოსის მოკვლა არ იყო კანონიერი, მაგრამ ამ სასჯელს შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა. ამიტომ მონათლა ეს განაჩენი ქრისტიანმა ავტორმა *სამართალი სასჯელის* სახელით.

ამგვარად, ქრისტიანული მწერლობის „სამართალი სასჯელი“ („მართალი სამართალი“) სამართლიანობის იმ გაგებას უახლოვდება, რომელიც იყო მოაზრებული ანტიკური ფილოსოფიის ცნებაში ἐπιείκια (უტყუარი სიმართლე). „სამართალი სასჯელი“ მიუთითებს სამართლიან განაჩენზე ისეთ კონკრეტულ სიტუაციაში, რომელსაც ფორმალური სამართალი, კანონი (მიღებული კანონმდებლობა) არ უდგება (კანონში ეს კონკრეტული შემთხვევა არ იყო გათვალისწინებული; ანდა ფორმალური სამართლის მიყენებით კონკრეტულ სიტუაციაში, მისი განსაკუთრებულობის გამო, სიმართლე, სამართლიანობა დაირღვევა). ასე რომ, „სამართალი სასჯელი“ იმ ხარვეზის შევსებაა, რომელიც ამ

[1] *საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში*, II (ი. იმნაიშვილის გამოცემა). თბ. 1966, გვ. 144.

კონკრეტული შემთხვევის მიმართ აღმოაჩნდება ფორმალურ, დაკანონებულ სამართალს, კანონს. სამართლიანობის აღდგენა უნდა მოხდეს ნაცვლად დაკანონებული სამართლისა, ამ კონკრეტულ სიტუაციაში *ჭეშმარიტ სიმართლეზე*, ანუ *ბუნებით სიმართლეზე* დაყრდნობით. ამგვარად, „სამართალი სასჯელი" *(მართალი სამართალი)* მოითხოვს კონკრეტული შემთხვევის მიმართ ხარვეზის შევსებას მოქმედ კანონში, ფორმალურ სამართალში, კონკრეტულ სიტუაციაში *ბუნებითი სიმართლის* გამოვლენას.

ამავე გაგებით შევიდა „მართალი სამართალი" ბერძნულენოვან ბიზანტიურ იურიდიულ ძეგლებში. „მართალი სამართალი" კონკრეტულ სიტუაციაში უფრო ზუსტად გარკვევის საშუალებას იძლეოდა. ამ ნიშნით იგი უპირისპირდებოდა ფორმალურ სამართალს, როგორც „მკაცრ სამართალს" და სარგებლობდა დი-დი სიმპათიით ბიზანტიელ იურისტებში: "Часто встречающееся в источниках права VI в. выражение „справедливое право"... пользовавшееся большим признанием у византийских юристов, являлось несомненным шагом вперед юристичсской мысли. Возможность судить по справедливости, конечно, по существу отвечала более тонко требованиям многообразных и сложных жизненных ситуаций, которые, разумеется, далеко не всегда укладывались в строгие формы заранее установленных договоров и защищавших их исков". [1] სამართლის ეს თავისებური ფორმა, მოწოდებული მაღალი სამართლიანობის დასაცავად, ანიჭებდა რა კანონით შეუზღუდავ უფლებებს მსაჯულებს, როგორც ჩანს, ბიზანტიელი მოხელეების ხელში ხშირად საპირისპირო შედეგს იძლეოდა და უსამართლობის იარაღად იყო ქცეული. ამაზე მიუთითებდნენ ბიზანტიელი კანონმდებლებიც, მაგალითად იუსტინიანე თავის *ნოველებში* – Nov. Just. 124, 1, 2.[2]

[1] *Липшиц, Е., Право и суд в Византий IV-VIII вв.* Ленинград 1976, стр. 167.
[2] იქვე, გვ. 167-169.

ზუსტად ამგვარივე გაგებით გადმოვიდა *სამართალი სასჯელი* ქართულ ორიგინალურ საეკლესიო ლიტერატურაში. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: ადარნასე კურაპალატს გრიგოლმა უკანონო ცოლი წაართვა და ფებრონიას მონასტერში მონაზვნად აღკვეცა. ქალი ადრე გარდაიცვალა და წმინდა დათა სასაფლაოზე დაკრძალეს. მაგრამ აი, მოხდა საკვირველება: წმინდა დებმა იგი მიწაში არ მიიღეს. სამჯერ დამარხეს გარდაცვლილი და სამჯერვე მიცვალებული მიწიდან ამოაგდეს. გრიგოლ ხანძთელმა გაიგო ეს ამბავი და მიცვალებულ დებს წერილი გაუგზავნა, სთხოვა ეპატიებინათ ცოდვილისათვის შეცოდებანი. იგი ასე მიმართავდა მათ: „აწ ვიხილეთ თქუენ-მიერი სამართალი საშჯელი, რომლისათჳსცა მე, გლახაკი გრიგოლ, და დედაჲ ფებრონია, მადლიერ ვართ თანაშეწევნასა თქუენსა".[1] აი, ნამდვილი მაგალითი *სამართალი სასჯელისა*. ეს იყო სამართალი, რომელიც არც ერთ სამართლებრივ კოდექსში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ასახული. კონკრეტულ, თავისებურ სიტუაციას თავისებური, კონკრეტული განაჩენი სჭირდებოდა. და ასეთ განაჩენს საქმის ცოდნით უწოდა გიორგი მერჩულემ *სამართალი სასჯელი*.

ზუსტად ამავე მნიშვნელობით შესულა სამართლის ეს ცნება ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში. XIII-XVII საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლები, ისტორიული დოკუმენტები და ზოგჯერ საერო ლიტერატურული ქმნილებანი ძალზე ხშირად იმოწმებენ მას. მხოლოდ ამ პერიოდის ძეგლებში გამოთქმა *სამართალ სასჯელს* უკვე *მართალი სამართლის* ფორმა მიუღია. *მართალი სამართლის* ცნებაშიც ყველგან ორი მნიშვნელობაა ჩამარხული:

---

[1] გიორგი მერჩულე, „შრომაჲ და მოღუაწებაჲ... მამისა ჩუენისა გრიგოლისი": *ჩვენი საუნჯე*, I. თბ. 1960, გვ. 200.

1. კონკრეტულად, პრაქტიკულად და არა ფორმალურ სიმართლეზე, კანონზე დაყრდნობით გადაწყვეტილი სამართალი და 2. ჭეშმარიტი, სწორი სამართალი. ჩვენ მიერ შესწავლილ მაგალითებში ზოგჯერ ერთი მნიშვნელობაა წინ წამოწეული, ზოგჯერ მეორე. გავაანალიზებთ რამდენიმე შემთხვევას.

1. ქართლის მეფეს სვიმონ I-ს 1592 წელს მაღალაძეებისათვის მიუცია „სისხლის განჩინების სიგელი". ამ სიგელში ჩამოთვლილია, თუ თითოეული დანაშაულისადმი რა სასჯელი უნდა იქნეს მიყენებული. მაგალითად: „თუ ხუცესსა ცოლი მოუტყუოს, სრულსა სისხლსა ორმოციათასი სხუა ემატოს. თუ ერისაგანსა მოუტყუოს, ნახევარი სისხლისა უზღოს. თუ ღალატითა მოკლას, სამოციათასი სისხლსა უმატოს. თუ ცოლი წაუღოს, სამოციათასი დაეურვოს"[1] და სხვ. ამგვარადაა აგებული მთელი სიგელი. გამონაკლისს მხოლოდ ერთი ადგილი წარმოადგენს: „თუ ცეცხლი ვინმე შეუდვას ანუ საბზელსა, ანუ ეზოსა, ანუ სიახლოესა რამე დაუწუას, ნახევარი სისხლისა ეზღოს. თუ სასახლესა შეუდვას, სრული სისხლი არის. *და რაზომიცა სული დაეწყუდიოს, მისგან ყუალა დამწუარი იქნების. და მართლითა სამართლისა გაუჩნდეს*".[2] ამ ერთ შემთხვევაში არ არის გარკვეული, დანაშაული რა სიმძიმის იქნება (რამდენი სულიც იქნება დამწყვდეული სასახლეში, იმდენი დაიწვება) და კანონში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მეფის სიგელში) მისი ზუსტი ასახვა არ ხერხდება, ამიტომაც განაჩენიც *მართალი სამართლით* უნდა იქნეს გამოტანილი, პრაქტიკულად უნდა გადაწყდეს ადგილზე.

2. ვახტანგ ბატონიშვილის *სამართლის კოდექსში* ერთი კარი სპეციალურად ქურდობაზეა დაწერილი. კანონმდებელი დასაწყისშივე შენიშნავს: „...ქურდობა, დიაღ, ბევრი რიგი არის და

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II (ი. დოლიძის გამოცემა). თბ. 1965, გვ. 206.
[2] იქვე.

მრავალფერი არის, და თვითეულად ყველას ცალკე დაწერა არ იქნებოდა, გრძლად მოვიდოდა...“.[1] და ვახტანგ სჯულმდებელი გვაცნობებს, მე მხოლოდ სამ-ოთხ სახეს ჩამოვთვლიო, შემდეგ პირველი სახის ქურდობას იხილავს და იქვე დასძენს: „...თუ რომ ეს ქურდობა მართლის სამართლით არა ჩნდეს, ფიცით გამართლდეს, როგორც ზემოთ ფიცის საზღვარი დაგვიწერია“ (იქვე). მაშასადამე, რამდენადაც ვახტანგი მხოლოდ ზოგად ხაზებში, რამდენიმე მაგალითის ფარგლებში იხილავს ქურდობას, იქვე მიუთითებს, თუ კონკრეტულად, პრაქტიკულად, ადგილზე შექმნილ სიტუაციაში (*მართლის სამართლით*) ეს სახე ქურდობისა არ დამტკიცდეს, მაშინ ეჭვმიტანილმა ფიცით დაამტკიცოს თავისი სიმართლეო.

3. კიდევ ერთ საინტრესო შემთხვევას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ვახტანგ მეექვსემ მე-18 საუკუნის დასაწყისში სამართლებრივი კრებული შეადგინა, მან ათარგმნინა ყველა კანონმდებლობის ძეგლი, რომელზეც კი ხელი მიუწვდებოდა. გააერთიანა ყველა მისთვის ცნობილი „სამართალი“ ერთ კრებულში და საკუთარი სამართლებრივი კოდექსიც დაურთო. საკუთარ სამართალს შესავალი შეუდგინა, რომელშიც ვკითხულობთ: „პირველ „დაბადებისა“, მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი, და კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგის და ბექას განჩინებული სამართლები შევკრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ. ხოლო ესეცა სცანთ, იგულეთ და იგულისმოდგინეთ, და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა იქმოდეთ“.[2]

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. I (ი. დოლიძის გამოცემა). თბ. 1963, გვ. 519.

[2] იქვე, გვ. 478. ტექსტის გამომცემელი *ი. დოლიძე* უკანასკნელ წინადადებას ამგვარად ბეჭდავს: „...მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ“. იგი ეყრდნობა

ვახტანგი პირდაპირ მიუთითებს: განაჩენის გამოტანის დროს ყველა კანონმდებლობა უნდა მიიღოთ მხედველობაში, ყველა გაითვალისწინოთ და რომელიც მიუდგეს საქმეს და უკეთესად გეჩვენოთ, ის გამოიყენოთო. ე. ი. ჩემი აზრით, ვახტანგი მოსამართლეს სთხოვს ყველა კანონი იცოდეს, რომ პრაქტიკულ სიტუაციაში, კონკრეტულ შემთხვევაში *მართალი სამართალი* საჯოს და ამისთვის კი რომელი სამართალიც დასჭირდება, ის მოიმარჯვოს. მაშასადამე, იმისათვის, რომ კონკრეტულ სიტუაციაში ჭეშმარიტი, ბუნებითი სიმართლე იქნეს ამოცნობილი, მოსამართლემ ყველა კანონი უნდა მოიშველიოს და მოცემულ სიტუაციას რომელიც მიუდგება, ის გამოიყენოს, იმით იმოქმედოს.

ამრიგად, ქართული სამართლის ძეგლებში *მართალი სამართალი* ნიშნავს განსაკუთრებულ კონკრეტულ სიტუაციაში არა მოქმედი კანონით, არამედ სიტუაციისდა მიხედვით გამოტანილ სწორ სამართლებრივ განაჩენს; *განსაკუთრებულ კონკრეტულ სიტუაციაში* არა დაკანონებულ სამართლებრივ კოდექსზე დაყრდნობას, არამედ ნამდვილი, ჭეშმარიტი, ბუნებითი სამართლის განხორციელებას (ამგვარი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს არა მიღებული, დაკანონებული, არამედ რომელიც გნებავთ

B ხელნაწერს და ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას A ხელნაწერის „*სამართალსა მართალსა*"-ს. სინამდვილეში კი სწორედ A ხელნაწერია სანდო, რადგანაც: 1. საზოგადოდ გამოქვეყნებული ტექსტი ყველა შემთხვევაში A ხელნაწერს მისდევს. იგია დედანი, გამომცემელი მხოლოდ ზოგჯერ, ცალკეულ წაკითხვებს ასწორებს B ხელნაწერით. 2. B ხელნაწერი დასაწყისში მით უმეტეს არ არის სანდო, რადგანაც ხელნაწერი თავნაკლულია და იგი სწორედ ამ სიტყვებით იწყება. 3. A ხელნაწერი, როგორც სამართლიანად წერს ი. დოლიძე, უძველესია და საუკეთესოა ყველა (მათ შორის B) ხელნაწერს შორის. 4. A ხელნაწერი არის ვახტანგის ხელით ჩასწორებული პირი და იგი ხელნაწერთა ტრადიციითაც ამ კრებულის დედნადაა მიჩნეული. 5. გასწორება ეხება სწორედ ვახტანგის შესავალ წერილს. ვფიქრობთ, არ იქნება მართებული ვახტანგის მიერ გასწორებულ მისსავე საკუთარ შესავალ წერილში ერთი სიტყვის ზედმეტად მიჩნევა.

სამართლებრივი კოდექსის გამოყენებით, თუ იგი შექმნილ სიტუაციას მიუდგება, ანდა მოქმედი კანონის დაზუსტებით ან შესწორებით).

მაინც რა შემთხვევაში მიმართავდა ქართული ფეოდალური სახელმწიფო სამართლის ამ სახეობას? *მართალი სამართლის* გამოყენების შემთხვევები სხვადასხვაგვარი ყოფილა. ამ კონკრეტული შემთხვევებიდან რამდენიმე ზოგად სიტუაციას გამოვყოფთ:

1. საჩივარი ხელმწიფის კარზე *გარკვეულ შემთხვევაში მართალი სამართლით* წყდებოდა. თუ ქვეშევრდომი არ ემორჩილებოდა დიდებულის მიერ დაწესებულ კანონს, მას ხელმწიფის კარი განსჯიდა არა ამ დიდებულის მიერ დაწესებული კანონით, არამედ *მართალი სამართლით*. 1707 წლის ერთი საბუთით ჩვენამდე შემონახულია ასეთი ცნობა: „თუ ვისმე საჩივარი და სარჩელი ჰქონდეს დიდებულთა, კართა ჩვენთა მოვიდნენ და მუნ მართლის სასჯელით განისამართლნენ“ („ისტორიული საბუთები“, V, გვ. 14). უფრო საინტერესოა კონფლიქტი სამეფო ხელისუფლებასთან. თუ ქვეშევრდომებს არ მოსწონდათ სახელმწიფო კანონი, ისინი სამეფო კარზე *მართალ სამართალს* ითხოვდნენ, ე. ი. უნდოდათ მათი საქმის პრაქტიკულად, კონკრეტული დაკვირვებით განსჯა და არა სახელმწიფო კანონით გასამართლება. ასე მაგალითად, ულუ-დავითის დროს სამეფო ხელისუფლებას ქართული ეკლესიისათვის წინათ ბოძებული მამულები ჩამოურთმევია და დაზარალებულ ერისკაცებზე გაუცია. სამეფო კარის ახალ კანონს ეკლესიის მრისხანება გამოუწვევია. 1263 წლის საეკლესიო კრებას დადგენილება გამოუტანია, მეფისადმი მიმართვა წარუდგენია და *მართალი სამართალი* უთხოვია. ეკლესია მეფეს სთხოვს ახალი კანონების გაუქმებას და მიწა-წყლის უკან დაბრუნებას. საეკლესიო დადგენილება სწორედ ამ სიტყვებით იწყება: „გეევედრებით და

ვრეკთ კარსა მოწყალებისა თქვენისასა მოიწყინეთ ჭრტინვა ჩუენი და სიგლახაკე და უქონელნი... და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღვთისანი შეიწყალენით, განშიშულებანი სამართლით შემოსენით, იჭსენით დაწუნებულნი, უსაჯეთ სამართალი მართალი...".[1]

2. *ზოგიერთ შემთხვევაში* ადგილობრივ ხელისუფალთ, ანდა კონკრეტულ შემთხვევებში სასახლის კარის მოხელეებს ევალებოდათ, *მართალი სამართლით* გამოეტანათ განაჩენი.

როსტომ მეფეს 1655 წელს გივი გურამიშვილისადმი ასეთი შინაარსის წყალობის წიგნი მიუცია: „ესე წიგნი დავდევით ჩუენ, ჴელმწიფემან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ: ასრე და ამა პირსა ზედან, რომე გურამიშვილი გივი, მისი ძმა და სახლისკაცნი იყრებოდეს და მოკითხული ვქენით და, ვითაც გივის თავის ალაგსა და მამულზედ ბევრი ჭირნახული დაედვა, იმისათვის საჭირნახულოდ ერთი კუამლი ვარდანაშვილი ტურია, ერთი კუამლი შაშვიაშვილი, ერთი კუამლი ჩაიშელაშვილი ლაზარე, გივისაგან აშენებული ღუაროს ზარი, ესენი უწილოდ გივისა და მისთა შუილთათვის გუიბოძებია და სხუა რაც იყოს, მართლის სამართლიანის საქმით ჩუენის კარის მოსაქმეთ გაუყონ".[2]

ეკლესია-მონასტრების და საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მართალი სამართლით საქმის წარმოებას მოითხოვს 1245-50 წლების შეუვალობის განახლების სიგელი, დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი: „თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო მღუიმისა და ჩუენთა კაცთა შუა, მამასახლისმან და მღუიმის ჴელისუფალმან მართლითა სამართლითა დაუურვონ".[3]

---

[1] ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია*, III. თბ. 1966. გვ. 491.

[2] *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან*, I. თბ. 1940, გვ. 367.

[3] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II (ი. დოლიძის გამოცემა). თბ. 1965. გვ. 37.

3. მეფესა და ფეოდალს შორის, პატრონსა და ყმას შორის ურთიერთობის მოწესრიგების ყველაზე სასურველ ფორმად *მართალი სამართალია* მიჩნეული. ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგება როგორც მეზობელ ფეოდალებს შორის, ასევე საერო წოდებასა და ეკლესიას შორის *მართალი სამართლით* ხდებოდა. ამას მოწმობს დაახლოებით 1527 წლისათვის დაწერილი ერთი დოკუმენტი: „ესე სათავდებო წიგნი მოგაჴსენეთ ჩუენ ბეგამან, სარგის, ნოდარ და ამილღაბარ... ქართლის კათალიკოზს ბასილის ასრე და ამას პირსა ზედა, რომე მცხეთის საყდრის მამულსა სარკის მონასტრისა... რაც სამამულო საქმე იყოს და აგრეთვე ხუჱდურეთს რაც მცხეთისა საყდრისა მამული იყოს, ნასყიდი, თუ უსყიდელი, ყუჱლასი საქმე მართლითა სამართლითა გარდაგიწყვდოთ...“.[1]

მართალი სამართალი პატრონს და ყმას შორის სამართლებრივი ურთიერთობის სასურველ სახედაა მიჩნეული. ასე აისახა იგი მხატვრულ ლიტერატურაშიც:

„აწ ესე სჯობს, რომე სამართალსა და კარგსა იქმოდე, ჩვენი სიყვარული დაიჭირე და მართალი სამართალი ქვეყანასა ზედან დაგვიდგინე, რომე უკუნისამდე შენი სახელი იადიგარად იჴსენებოდეს“.[2]

„ყოველთვის მოსამართლეო ხელმწიფეო, რად ჩემზედა უსამართლოსა იქ? ყოველი ქვეყანა ისე ზავთსა და ყაზაბს არ მოურჩენია შენთვის, რომ მართალსა სამართალსა დაუმორჩილებია...“.[3]

---

[1] *ჟორდანია, თ., ქრონიკები.* II, ტფ. 1897, გვ. 371.

[2] *შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები,* ტ. II (იუსტ. აბულაძის, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით). თბ. 1934, გვ. 403.

[3] *თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული* (გ. ჯაკობიას გამოცემა). თბ. 1939, გვ. 20.

4. *მართალი სამართლით* ხდებოდა ამა თუ იმ პირის მოძრავი და უძრავი ქონების ოდენობის განსაზღვრა. თუ რა ზომით ეკუთვნოდა მეპატრონეს მიწა-წყალი, ეს უნდა გადაწყვეტილიყო ადგილზე, პრაქტიკულად. ყმების გაჩუქებისას გაჩუქებულთა მიწა-წყლის საზღვრების დადგენა *მართალი სამართლით*, პრაქტიკულად ადგილზე ხდებოდა და ამიტომაც, სიგელ-გუჯრებში საზღვრები არ იწერებოდა.

1615-1619 წლების წყალობის წიგნიდან გიორგი მეფისა დავით ბოქაულთუხუცესისადმი: „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენივე სამკვიდრო მამული, რაც მამათქვენსა და თქვენს ძმებს ჰქონებოდა და ან თქვენ გქონდეს – ან აზნაურიშვილი და ანუ ვაჭარი – ისრევ თქვენთვის გვიბოძებია: სტკოცა რიკაძებითა და წაბლუნა, აბანო, რარიგაცა გქონებოდეს, და ბრეთი – ესენი რისაც მქონებელი იყონ, მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა".[1]

1626 წლის სიგელიდან სვიმონ მეფისა შიო სალაღაშვილისადმი: „...გიბოძეთ თქუენივ სამკუიდრო სოფელი შინდისი, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, ყოვლითურთ მართლის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, მთითა და ბარითა, და წყლითა და წისქუილითა, ველითა და სახნავითა და სათიბითა და შესავალითა და გამოსავალითა".[2]

1794 წლის სოლომონ II-ის წყალობის წიგნიდან ჯრუჭის მონასტრისადმი: „...ესენი მათის ცოლშვილით, სახლკარით, ადგილ-მამულით, ჭურმარნით, გასავალ გამოსავალით, საფლავ-სამარხით, საძებრითა და უძებრით, რისაც მქონებელი იყვნენ

---

[1] *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა*, ნიგნი I (შ. ბურჯანაძის გამოცემა). თბ. 1959, გვ. 20.

[2] *საქართველოს სიძველენი*, ტ. II. ტფ. 1909, გვ. 409.

მართლის სამართლიანის საზღვრით ყოვლის კაცის უცილებლათ შამოგვიწირავს და დაგვიმტკიცებია".[1]

1680 წლის გიორგი მეფის წყალობის წიგნიდან ქაიხოსრო წერეთელს: „...გიბოძეთ ქავთარაძის გიორგისა და იონათამისსოული მამული მისის სახლ-კარითა, მამულითა ალაგითა – რაც მისოული იყოს, მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა, ტყითა, ველითა, სასაფლაოთა, წყლითა, მთითა, ბარითა, საძებრითა და მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა მოგვიცემია".[2]

1639 წლის ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნიდან ბეჟან წერეთელს: „...ჩვენ გიბოძეთ წერეთელი ხოსა ხუთის კვამლის კაცითა, ერთის სამოსახლოს ალაგითა და ერთის პარტახტითა. გვიბოძებია ეს, რაც ამ სიგელშიდ სწერია, მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, ალაგითა, ჭურ-მარნითა, ტყითა, ვენახითა, საყანითა, სათიბითა, სასაფლაოთა, ეკლესიითა, სასაძოვრეთა, წყლითა და საწისქვილოთა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა გვიბოძებია".[3]

ამ სიგელებში გატარებული ფორმულირებანი – „რისაც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა"; „რაც მისოული იყოს, მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა", „რისაც მქონებელი იყვნენ მართლის სამართლიანის საზღვრით", „რისაც მქონებელი ყოფილიყოს ყოვლითურთ მართლის სამართლიანის საზღვრითა", – კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აქ მოძრავი და უძრავი ქონების პრაქტიკულ საზღვარსა და ოდენობაზეა საუბარი. ხოლო ამისი დადგენა და გარკვევა მართალი სამართლით: პრაქტიკულად, ადგილზე მიღებული გადაწყვეტი-

[1] *საისტორიო მოამბე*, V. თბ. 1950. გვ. 181.

[2] *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის* ... I, გვ. 27.

[3] იქვე. გვ. 29.

ლებით შეიძლებოდა და წინასწარ მათზე კანონის დაწერა შეუძლებელი იყო.

ასეთი იყო ფეოდალურ საქართველოში *მართალი სამართალის* გამოყენების შემთხვევები. *მართალი სამართლის* გაგება თანდათანობით კარგავდა თავის კონკრეტულ შინაარსს. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ *მართალი სამართალი* თავისი სიტყვიერი გამოხატულებით მიუთითებდა სწორ სამართალზე. მის შინაარსშიც ეს მომენტი იმთავითვე ყოველთვის იგულისხმებოდა. და მართლაც, *მართალი სამართალი* თანდათან გადააზრებულ იქნა სწორ სამართლად და ჩვენს თანამედროვეობას უკვე მასში სხვაგვარი შინაარსი აღარ ესმის.

მართალი სამართლის ჭეშმარიტი მნიშვნელობის მივიწყების შემთხვევები ძველ წყაროებშიც გვაქვს.

ერთი მხრივ, კუთვნილება-ქონების გამომხატველი ის ფორმულირება, რომელზედაც ზემოთ მივუთითებდით: „მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა – XVI საუკუნის ძეგლებში ზოგჯერ კარგავს თავის შინაარსს და მას ენაცვლება გამოთქმა: „მისის სამართლიანის საქმითა“.

მაგალითად: „1660 წლის ბაგრატ მეფის შეწირულების წიგნ-ში გელათის მონასტრისადმი“ იკითხება: გიბოძეთ... „ამას გარეთ – ხუთი პარტახი, ესენი მათის სახლ-კარითა, ალაგითა, სათიბითა, ჭალითა, მამულითა, მისის სამართლიანის საქმითა“.[1]

მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში *მართალი სამართალის* ცნების შინაარსში წინ წამოწეულია სწორი, მართებული სამართლის მნიშვნელობა და, ალბათ, მხოლოდ ამ გაგებით არის ნახმარი. მაგალითად: „ჩვენ მისთვის ესრეთ კეთილად გუჩანს, რომე იგი წყევლით შეკრულ იქმნას, ამისთვის რაიმე, ეგება მოიქცეს და შეშინდეს და მართალი სამართალი ქნას. ამას მათთვის ვიტყვით,

[1] იქვე, გვ. 32.

რომელნიცა მართალსა სამართალსა მრუდად გარდააქცევენ და უსამართლოსა იქმონენ".[1]

ასე იკარგებოდა თანდათან *მართალი სამართლის* ცნების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რომელიც ამ გამოთქმას ქართული სამართლის ძეგლებში უძველესი დროიდან დაწყებული XVIII საუკუნის ჩათვლით ჰქონდა.

ამგვარად, *მართალი სამართალი* ნიშნავდა განსაკუთრე-ბულ კონკრეტულ სიტუაციაში არა მოქმედ სამართალზე (დადგენილ ანუ დაწესებულ კანონზე) დაყრდნობას, არამედ ჭეშმარიტი, ბუნებითი სამართლის განხორციელებას, ანუ *კონკრეტულ სიტუაციაში სიმართლეს ბუნებითი სიმართლით (მართალი სამართალი* მოითხოვს კონკრეტულ სიტუაციაში ბუნებითი სიმართლის აღდგენას და ამისათვის მოქმედი სამართლის შესწორებას, ან სხვა კანონზე დაყრდნობას, ან ახალი სამართლის გაჩენას).

ვეფხისტყაოსნის მართალი სამართალი სწორედ ამ გაგების შემცველი უნდა იყოს:

1. *მართალი სამართალი* გარკვეულ შემთხვევებში, ზოგჯერ უპირისპირდება მოქმედ სამართალს და მის შესწორებას წარმოადგენს. რუსთველი ერთმანეთისაგან ასხვავებს *სამართალს* და *მართალ სამართალს*. რასაც რუსთველი ამ ეპიზოდში *სამართალს* უწოდებს, ყველაფერი ის, მართლაც, თანხვდება მოქმედ, დაკანონებულ სამართალს, ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივ შეხედულებებს. მაგრამ, რასაც იგი *მართალ სამართალს* უწოდებს, ინდოეთის ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივი შეხედულებებით, მიუღებელი იყო. რას უწოდებს ამ ეპიზოდში რუსთველი სამართალს?

ნესტანი არიგებს ტარიელს: როცა სასიძოს მოკლავ, ჩემს მამას, ხელმწიფეს შეუთვალე:

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. I, გვ. 134.

„ჰკადრე, თუ „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა...“ (547).

„ჩემი ყოლა ნურა – სიყვარული, ნუცა ნდომა,
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა“ (548).

მაშასადამე, ნესტანმა ტარიელს ურჩია, ინდოეთი დაეჩემებინა და დაეფარა, რომ ამ ამბოხს იგი ნესტანის სიყვარულისათვისაც აწყობდა. – ეს უფრო სამართლიანად ჩაითვლებაო. ეჭვი არაა, რომ ფეოდალური სახელმწიფოს ფორმალური სამართლით ტარიელი მართალი არ იქნებოდა, თუ იგი ქალის სიყვარულის გამო ხელმწიფეს განუდგებოდა: ხოლო იმავე ფეოდალური სახელმწიფოს სამართლით ტარიელს შეეძლო ტახტი დაეჩემებინა, როგორც ხელმწიფის გვარის ერთადერთ მემკვიდრე-მამაკაცს. და ტარიელმაც საქვეყნოდ განაცხადა:

„იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! –
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, – ყველაი თქვენ მოგხდომია...“ (567).

ბ) განუდგა რა ხელმწიფეს, ტარიელმა ფარსადანს სამართალი დაუწუნა და შეუთვალა: „მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქნელი სამართალისა“ (566). მართლაცდა, ინდოეთის მეფე, ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, არ იყო მართალი. ჯერ ერთი, მეფე თვითნებობას იჩენდა: იგი თავიდანვე ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა ტარიელს, შემდეგ კი მამამისს უკან დაუბრუნა. მეორეც, იმისათვის, რომ ტახტი მისი უშუალო მემეკვიდრე-ქალის ნესტანისათვის დაენარჩუნებინა, არ ითვალისწინებდა ტახტის ერთადერთი მემკვიდრე-მამაკაცის ტარიელის ინტერესებს და ამასთანავე ამცირებდა ინდოეთის სახელმწიფოს ეროვნულ პრესტიჟს. ნესტანის სიტყვაში: „ჰკადრე, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“ – აშკარად ისმის ინდოეთის სამეფო კარის შელახული ნაციონალური სიამაყე.

მეორე მხრივ, ის საქციელი, რომელსაც რუსთველი *მართალ სამართალს* უწოდებს – ხვარაზმ-შაჰის ძის მოკვლა, არასგზით არ შეიძლება არსებული კანონმდებლობით, ინდოეთის ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივი შეხედულებებით, სამართლიანობად მივიჩნიოთ. უფრო მეტიც, ნესტანისა და ტარიელის მოქმედება უპირისპირდება ფეოდალურ ეპოქაში ღვთაებრიობის სახელით დამკვიდრებულ სამართლებრივ შეხედულებებს: „არა კაც კლა“. მით უფრო, როგორც ღვთაებრივი სამართლით, ასევე შუასაუკუნეების ტრადიციით შეუძლებელი იყო პერსონალურად, პიროვნულად უდანაშაულო ადამიანის, თანაც მეფის ძის, მოკვლა. სასიძოს მოკვლა არღვევს ღვთაებრივი სამართლის ძირითად დოგმას.

როგორც ფეოდალური საქართველოს ცენტრალიზაციის ეპოქაში, ისევე *ვეფხისტყაოსანში* ღვთაებრივი სამართლის ერთერთი ძირითადი მოთხოვნაა ხელმწიფისადმი პატივისცემა. ხელმწიფის წინააღმდეგ ხმლის აღმართვა ღვთაებრივი დანაშაულია, ღვთაებრივი სამართლის დარღვევაა.

შუასაუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოში მშობლისადმი პატივისცემა ერთ მთავარ ქრისტიანულ მცნებად ითვლება – „პატივ-ეც დედასა შენსა და მამასა შენსა“. თუ ეს მშობელი ხელმწიფეა, *ვეფხისტყაოსნის* მიხედვით, მისი პატივისცემა მართლაც ღვთაებრივი კანონის თანასწორია. ინდოეთის მეფის მიერ მოწვეული სასიძოს მოკვლა მეფის ქალიშვილის და მისი შვილობილის მიერ *ღვთაებრივ სამართალს* ეწინააღმდება.

ხვარაზმ-შაჰის ძის მოკვლა არც ღვთაებრივი სამართლით და არც სახელმწიფო კანონით სამართლიანობად არ ჩაითვლება.

ტარიელი და ნესტანი მოქმედი კანონმდებლობით მართალნი არ არიან. მათი სიმართლე მხოლოდ და მხოლოდ მათ წინაშე კონკრეტულად დასმული ამოცანის გადაწყვეტაში შეიძლება ვე-

ძიოთ. იმასაც უნდა დავუკვირდეთ, რომ ნესტანი „მართალი სამართლის ქმნას“ უწოდებს შექმნილ სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებას მთლიანად და არა მხოლოდ სასიძოს მოკვლას. ესე იგი, ნესტანის აზრით, შექმნილ სიტუაციაში „მართალი სამართალია“ უბრალო დიდი სისხლის არ დაღვრა, სასიძოს ჩუმად მოკვლა (რომ ამას არ მოჰყვეს დიდი სისხლის ღვრა), ლაშქრის არ დახოცვა: „დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ... რა მოვიდეს, სიძე მოკალ მისთა სპათა აუწყვეტლად, ქმნა მართლისა სამართლისა...“

ამგვარად, რუსთველი სწორედ ისევე ასხვავებს ერთმანეთისაგან *სამართალს* და *მართალ სამართალს,* როგორც არისტოტელეს ἐπιείκεια (უტყუარი სიმართლე) და სახარების *სამართალი სასჯელი* ემიჯნება მოქმედ, დაკანონებულ სამართალს.

2. ინდოეთის სამეფო კარზე შეიქმნა ისეთი სიტუაცია და ტარიელისა და ნესტანის წინაშე დაისვა ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დაკანონებული და მოქმედი სამართლებრივი შეხედულებებით არ შეიძლებოდა. ეს იყო ისეთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც, არისტოტელეს სიტყვით თუ ვიტყვით, სწორედ თავისი კონკრეტულობის გამო არ შეიძლებოდა ასახული ყოფილიყო კანონში. აქ მოქმედება შეიძლებოდა არა მოქმედი სამართლით, არამედ პრაქტიკულად ამ სიტუაციისთვის გაჩენი-ლი სამართლით. ისეთი სამართლით, რომელიც სწორედ ამ სი-ტუაციის მიმართ იქნებოდა სწორი – *მართალი სამართლით,* იმ სამართლით, რომელსაც არისტოტელე ἐπιείκεια-ს (უტყუარ, მართალ სიმართლეს) უწოდებდა, ხოლო ბიზანტიური ეპოქის იურისპრუდენციის პრაქტიკაში უკვე *მართალი სამართლის* სახელით ამოქმედდა.

3. ნესტანისა და ტარიელის გადაწყვეტილება არ იყო განაჩენი ხვარაზმ-შაჰის ძის მიმართ და ამდენად გმირებს ხვარაზმ-შაჰის ძე

არც *მართალი სამართლით*, არც მოქმედი სამართლით დამნაშავედ არ მიუჩნევიათ. მათ განაჩენი არ გამოუჰქონდათ ხვარაზმ-შაჰის ძისადმი (ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნესტანისა და ტარიელის თათბირში ერთი სიტყვაც არ არის თქმული იმაზე, სასიძო დამნაშავეა, თუ არა, მას ედება ბრალი რაიმეში თუ არა). ნესტანისა და ტარიელის გადაწყვეტილება იყო სტრატეგიული გეგმა. ამ სტრატეგიით უნდა დაეღწიათ თავი გმირებს შექმნილი სიტუაციიდან. სასიძო დაისაჯა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ობიექტურად შექმნილ სიტუაციაში სწორედ იგი იყო ისეთი ფიგურა, რომლის მოსპობა გმირებს დასახულ მიზნამდე მიიყვანდა. ნესტანი გრძნობს, რომ ტარიელმა უნდა იტვირთოს უბრალო სისხლი და ცდილობს, რაც შეიძლება მცირე სისხლი დაიღვაროს. გმირები გრძნობენ, რომ ამ სიტუაციაში მათ სხვა გამოსავალი არა აქვთ. მათი მოქმედების მიზანი მათივე სიყვარულის გადარჩენაა და შექმნილ სიტუაციაში უკეთეს არჩევანად ნესტანს მხოლოდ სასიძოს მოკვლა მიაჩნია. ამიტომ უწოდებს მას *მართალი სამართლის* ქმნას.

ამგვარად, რუსთველის გამოთქმა *მართალი სამართალი* ქარ-თულ მწერლობაში, ბიზანტიურ იურიდიულ ძეგლებში და ფეოდალური საქართველოს იურისპრუდენციაში გავრცელებული ცნებაა. მასში იგივე შინაარსი ჩანს, რაც ანტიკური მწერლობის ცნობილ ტერმინს ἐπιείκεια-ს (უტყუარ სიმართლეს) აქვს. ქართულ მწერლობაში იგი უშუალოდ *სახარებიდან* მკვიდრდება და ნიშნავს: კონკრეტულ სიტუაციაში, პრაქტიკულად შექმნილ მდგომარეობაში სამართლიანობას ბუნებითი სიმართლით და არა დაკანონებული სამართლებრივი ნორმებით.

არისტოტელეს ამ სამართლებრივ ფორმას – „უტყუარ სიმართლეს" – დიდი მნიშვნელობა მიანიჭა XIII საუკუნის ევროპულმა აზროვნებამ. ჯერ თომა აკვინელმა (Summa Theologiae, 2,

11) და შემდეგ თომისტებმა იგი ქველმოქმედებად მიიჩნიეს და მასში ადამიანური მოქმედების უმაღლესი წესი დაინახეს. ამგვარი გააზრება ჩანს *ვეფხისტყაოსნის* „მართალი სამართლის ქმნაში“. იგი ნესტანს მიაჩნია ადამიანური მოქმედების უმაღლეს ნორმად და ამდენად ქველმოქმედებად.

ვეფხისტყაოსნის ფრაზაში – „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ – *ხმელი ხის განედლება* ძველი აღთქმის და ქრისტიანული მწერლობის სასწაულებში, ასევე ქართულ და ზოგად ზეპირსიტყვიერებაში სიკეთედაა გააზრებული და მიიღწევა ქველმოქმედების შედეგად.

პოემის ამ ეპიზოდის მიხედვით სასიძოს მოკვლა საშუალებაა მიზნის მისაღწევად – სიყვარულის გასამარჯვებლად. თუ ამ ჩანაფიქრს და ქმედებას ეთიკის, როგორც მეცნიერების დარგის, ტერმინებით განვმარტავთ, მოქმედების მიზანი ანუ ამქვეყნიური ბედნიერება (ამ შემთხვევაში, სიყვარულის გამარჯვება) არის უმაღლესი სიკეთე; ხოლო მისი მიღწევის საშუალება, გზა სიკეთის მისაღწევად (ამ შემთხვევაში სასიძოს მოკვლა), ჩაითვლება ქველმოქმედებად. ესაა ის ეთიკური კონცეფცია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წესად რენესანსის ეპოქამ თანდათანობით დაამკვიდრა და რომელსაც საფუძველი წინაქრისტიანულ, ანტიკურ აზროვნებაში აქვს. ამავე დროს, ეს არ არის ქრისტიანული ეპოქის ნორმატიული იდეალი, რომლის თანახმადაც სიკეთე უშუალო შედეგია ქველმოქმედებისა, რაც ადამიანის ქრისტიანული ნორმატივით დაკანონებულ სათნოებით მოღვაწეობაში მდგომარეობს. ქართულმა ეკლესიამ სავსებით სწორად დაინახა *ვეფხისტყაოსნის* ეთიკური პოზიცია და იგი ქრისტიანული ორთოდოქსიისთვის მიუღებლად ჩათვალა (*ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერების პირველი, ფსევდორუსთველური, სტროფი; კათალიკოსი ანტონ პირველი; ტიმოთე მთავარეპისკოპოსი...).

როგორი შეფასება უნდა მიეცეს ამ ეპიზოდს ქრისტიანული ცივილიზაციის ისტორიული პროცესის პოზიციიდან? ტარიელისა და ნესტანის ქმედება რენესანსული ტიპისაა. ისინი არ მოქმედებენ ბიბლიური და შუასაუკუნეობრივი პრინციპით: არ მიანდობენ საქმის მოგვარებას უფალს; და არც იმას ფიქრობენ, რომ უფალი დასჯის მათ უდანაშაულო და თანაც ხელმწიფის შვილს მკვლელობის გამო. ისინი მოქმედებენ რენესანსული პრინციპით, ანალიტიკურად: შექმნილი სიტუაციის ანალიზს აკეთებენ, ადამიანური გონების პოზიციიდან გათვლიან მოქმედების საფეხურებს და მათ თანმიმდევრობას, მიზნის (სიყვარულის გამარჯვების) მისაღწევად აირჩევენ უმცირესი ცოდვის – საუკეთესო საშუალის გზას. იციან, რომ კლავენ უდანაშაულო კაცს, მაგრამ გაურბიან უდანაშაულო ლაშქრის დახოცვას – *„უბრალო სისხლი დიადის“* დაღვრას. ნესტანი „მართალ სამართალს“ მთლიანად ამ გადაწყვეტილებას უწოდებს და არა მაინცა და მაინც სასიძოს მოკვლას. მართალი სამართალი იყო ამ კონკრეტულ სიტუაციაში საუკეთესო საშუალის პოვნა უმაღლესი მიზნის – ამქვეყნიური ბედნიერების, სიყვარულის გადასარჩენად. ისიც რენესანსული პრინციპია, რომ საუკეთესო საშუალის პოვნა (რადგანაც იგი ადამიანური ქმედებაა) არაა აბსოლუტური საუკეთესოს პოვნა. ის არ იმსახურებს გაკიცხვას, ვინც საუკეთესო საშუალის პოვნისას ოდნავ გადაიხრება სიჭარბის, ან უკმარისობისაკენ (არისტოტელე). მთავარია მოქმედება, და არა უმოქმედობა საუკეთესო საშუალის მისაღწევად და ამ მოქმედებისას არცერთ უკიდურესობაში არ გადავარდნა (ერთი უკიდურესობა იქნებოდა არაფრის არ მოქმედება ნესტანის გათხოვების წინააღმდეგ, ხოლო მეორე – მთელი ლაშქრის ამოხოცვა). ნესტანისა და ტარიელის თათბირში ჩანს ამ ორივე უკიდურესობის უარყოფა.

თუ ამ ეპიზოდის სიტუაციას ბიბლიურ-შუასაუკუნეობრივი პრინციპებით შევაფასებთ, უდაოა, რომ ნესტანის და ტარიელის გამართლება შეუძლებელია. სიტუაციის ამ პოზიციით განსჯის ინსპირირებას თვითონ რუსთველი იწვევს. საქმე ის არის, რომ ნესტანის მსჯელობაში ორიენტირები შუასაუკუნეობრივი იდეალებია: უბრალო სისხლის არ დაღვრა („დიადი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო"), ლაშქრის არ ამოხოცვა („მისთა სპათაცა ნუ დახოც!"), მართალი სამართლის ქმნა...; მაგრამ გმირთა მოქმედების პრინციპი კი უკვე რენესანსულია. ესაა შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის შერწყმა; ცნობიერების გადაორიენტირების პროცესი. ეს ის ეტაპია შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის შერწყმისა, როცა წინააღმდეგობა მათ შორის ჯერ კიდევ არაა გააზრებული; როცა ახალი ძველის შევსებად შემოდის. ამიტომაა, რომ ნესტანის მსჯელობაში ამქვეყნიური ბედნიერება (სიყვარულის გამარჯვება) სიკეთედაა გააზრებული („ხმელი ხის განედლება"); ხოლო მისი მიღწევის საშუალება (დამაბრკოლებელი ფიგურის გამოთიშვა) – ქველმოქმედებად („მართალი სამართლის ქმნა").

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ქაჯეთის ციხიდან ნესტანი ტარიელს სწერს, რომ მან (ტარიელმა) შეიცნოს ის სიმართლე, რაც მის (ნესტანის) გულშია („ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად"), ხოლო თათბირის ეპიზოდში შექმნილ სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებას უწოდებს *მართალი სამართლის* ქმნას („ქმნა მართლისა სამართლისა"). პირველ შემთხვევაში („სამართალი მართალი") მითითებაა იმ სიმართლეზე, რაც ნესტანშია და რომელიც თავისი სპეციფიკის გამო მხოლოდ *მართალი სამართლით* გამოვლინდება. (გავიხსენოთ არისტოტელეს განმარტება უტყუარი ანუ მართალი სიმართლის შესახებ: იგი არის მართალი არა კანონის

თვალსაზრისით, არამედ კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკით და ამდენად კანონის შესწორებაა). თათბირის ეპიზოდში კი საუბარია შექმნილ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღებაზე („ქმნა მართლისა სამართლისა"); ანუ (უხეშად თუ ვიტყვით) განაჩენის გამოტანაზე. ეს კი ეხმიანება მართალი სამართლის, როგორც იურისპრიდენციის ფორმას, რომელიც გავრცელებული ყოფილა შუა საუკუნეების საქართველოშიც, ბიზანტიაშიც და, თავისებური ფორმით, სხვა ქვეყნებშიც. როგორც ზემოთ განხილული პირველწყაროებიდან ჩანს, სიტუაციის მართალი სამართლით განსჯა ზოგჯერ მიჩნეული იყო მართლმსაჯულების უმაღლეს სახეობად. ამითაა განპირობებული ნესტანის სიტყვები: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად"; რაც ამგვარად უნდა გადავიაზროთ: შექმნილი სიტუაციის მართლმსაჯულების ამ ფორმით (*მართალი სამართლით*) განსჯა სასწაულის მომხდენია.

დავუბრუნეთ ქართული შუასაუკუნეობრივი სამართლის ამ უცნობ ფორმას და ტერმინს – *მართალი სამართალი*. როგორც ჩანს, *მართალი სამართალი*, როგორც სამართალწარმოების ფორმა, მხოლოდ ძველ საქართველოში არ მოქმედებდა. ამას ადასტურებს ზემოთ დამოწმებული ცნობა, რომ VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში ეს ტერმინი ხშირად მეორდება და, როგორც ჩანს, სამართალწარმოების ეს ფორმა ფართოდ გამოიყენებოდა.

ამჯერად ყურადღება მინდა მივაქციო ერთ გარემოებას, რომელიც ჩემი ინტერესის სფეროში მკვეთრად გამოიკვეთა 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულიდან: *ვეფხისტყაოსნის* ფაბულა ლიტერატურულ წყაროდაა გამოყენებული მე-17 საუკუნის დასაწყისის დიდ ინგლისურ დრამატურგიაში, რაც გამოვლენილია ინგლისელი დრამატურგების ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორ პიესაში „მეფე და არა მეფე" და „ფილასტერი",

ასევე შექსპირის „ციმბელინში“. ამ ფაქტს ადასტურებს როგორც ამ თხზულებათა ფაბულების, კომპოზიციის, თემის, იდეის, ნარატიული და მხატვრული დეტალების მკაფიო მიმართება *ვეფხისტყაოსანთან*, ასევე ავტორთა საქართველოზე მინიშნებაც.

დასახელებულ ინგლისურ პიესებში, კერძოდ შექსპირის *ციმბელინში*, ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სიუჟეტურმა ეპიზოდმა და თავისებურმა შესიტყვებამ თუ ტერმინმა. შექსპირის პიესაში ბრიტანელთა მეფის ციმბელინის სამეფო კარზე ნაწარმოების ერთი მთავარი მოქმედი პირი ტყვედ აყვანილ მძიმე დამნაშავეს და პირადად მის შეურაცხმყოფელს სასტიკი შურისძიების ნაცვლად გაათავისუფლებს. მეფე აღფრთოვანდება ამ უცნაური განაჩენით და მას უწოდებს Nobly doomed, რაც შეიძლება ითარგმნოს *დიდებულის (მიერ) გასამართლებად*, ან *დიდებულ გასამართლებად*, ეჭვი *ვეფხისტყაოსნის* შორეულ რემინისცენციისადმი იმან აღმიძრა, რომ პიესის იმავე სცენაში საუბარია გამხმარი ხის განედლებაზე. ბუნებრივია, რომ *დიდებული სამართლის* და *ხმელი ხის განედლების* პიესის ერთ სცენაში გამოჩენამ მიმანიშნა რუსთველის ზემოთ განხილულ ფრაზაზე „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. არც ხმელი ხის განედლება და არც გამოთქმა Nobly doomed – შექსპირის სხვა ნაწარმოებებში არ ჩანს.

ქართული შუასაუკუნეების იურისპრუდენციის ამ სპეციფიკური ფორმის ტიპის სამართლებრივი ქმედება ინგლისურ დრამატურგიაში შექსპირის *ციმბელინის* დროინდელ სხვა პიესაშიც ჩანს. ესაა ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესა *ფილასტერი*, რომლის სიუჟეტური წყარო *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის ამბავია. პიესის ერთ ეპიზოდში სიყვარულით და იჭვით სასოწარკვეთილი პერსონაჟი თავის სატრფოზე იარაღს აღმართავს და უფალს შესთხოვს, რომ შეასრუ-

ლებინოს – *Piece of justice (მართალი სამართალი – ?)*. საქმე ის არის, რომ ამ პიესის რუსულ თარგმანში (შესრულებულია ინგლისური ლიტერატურის კარგი მცოდნის პროფ. ბ. ტომაშევსკის მიერ) მითითებული გამონათქვამი *მართალ სამართლადაა* გადატანილი: "Совершить я должен справедливый суд!"[1] ძველი ინგლისური სამართლებრივი ძეგლებით დასტურდება, რომ არსებობდა სამართლებრივი ფორმა – Justice of the Peace, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში, სამართლიანობის აღდგენას ნიშნავდა. იგი ხშირად კანონის გვერდის ავლით ხდებოდა. პიროვნება, რომელიც მეფის მიერ უფლებამოსილი იყო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი შეხედულების საფუძველზე განაწესებდა სასჯელს და არა მაინცადამაინც სამეფოში მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე.[2]

პიესა *ფილასტერის* Piece of the Justice შესაძლებელია ძველი ინგლისური იურისპრუდენციის ფორმაზე – Justice of the Peace – მიანიშნებდეს. მიუხედავად იმისა, რომ peace ნიშნავს *მშვიდობას*, ხოლო უმთავრესი მნიშვნელობა სიტყვისა piece არის *ნაწილი*, piece და peace ინგლისურად ერთმანეთის მსგავსად გამოითქმის და აუდიოფორმით სცენიდან მსმენელთან მიწოდებისას სამართლის ქმნის იმ სახეობაზე მიანიშნებს, რაც არის Justice of the Peace. სიტყვათა ამგვარი თამაში – კალამბური, ზმური მეტყველება შექსპირის ეპოქის ინგლისურ დრამატურგიაში ძალზე პოპულარული მხატვრული ხერხი იყო. სცენიდან მოსმენილი კალამბური (ინგლისურად – pun, quibble) ორმაგ ასოციაციას იწვევდა. სიტყვის უშუალო მნიშვნელობასთან ერთად მიანიშნებდა

---

[1] "Филастр" (перевод Б. Томашевского): Фрэнсис Бомонт, Джон Флетчер, *Пьесы*, перевод с английского, т. I. *Искусство*, Москва 1965, стр. 219.

[2] ჯიღაური, ნ., „მართლმსაჯულების თავისებური ფორმა მე-17 საუკუნის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში": *ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში*, II, 2019, გვ. 81-87.

იმას, რასაც ეს გამოთქმა ემსგავსებოდა. Justice of the Peace კი თავისი არსით აშკარად შეესაბამება „მართალ სამართალს". ამითაა განპირობებული რუსულად *ფილასტერის* ზემოთ მითითებულ ეპიზოდში ამ ტერმინის „მართალ სამართლად" თარგმნა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას: შუასაუკუნეების საქართველოში არსებობდა სამართალწარმოების სპეციფიკური ფორმა – *მართალი სამართალი.* იგი კონკრეტულ სიტუაციაში განაჩენის გამოტანისას ეყრდნობოდა არა იმ ქვეყანაში თუ იმ არეალში მიღებულ კანონმდებლობას, არამედ მოსამართლეს უფლებას აძლევდა თავად გამოეტანა იმგვარი განაჩენი, რაც მისი აზრით იმ კონკრეტულ სიტუაციაში სამართლიანი იქნებოდა. სამართალწარმოების ამ სახეობის არსებობა დოკუმენტურად დასტურდება ბიზანტიური ეპოქის ბერძნულ წყაროებში; მისი საფუძველი ჩანს *ახალ აღთქმაშიც* და არისტოტელეს *ეთიკაშიც. მართალი სამართლის* მსგავსი თავისებური ფორმა სამართალწარმოებისა დასტურდება შუასაუკუნეების ინგლისური სამართლებრივი დოკუმენტებითაც.

Researches in Source Studies

(Summary)

The book includes some of my essays which present various unknown facts and new assumptions in Kartvelian studies based on the identification and interpretation of previously unexplored sources. Essays were published as articles during decades, namely from 1962 to 2020.

The first chapter of the book is "The Designations of the Georgians and their Etymology". The popular etymologies of the European designations of the Georgians, *Georgia*, must be erroneous, viz. a) linking it semantically to Greek and Latin roots (respectively, γεωργός "tiller of the land" and *georgicus* "agricultural") and b) its derivation from the name of st. George. It probably stems from the Persian-Arabic designation of the Georgians (*gurg, gorg*), later becoming likened to the Greek-Latin stem just cited. The Russian designation of Georgia (*Gruziya*) also derives from the Persian *gurg* via its Syriac-Arabic development (*gurz-ān*).

The New Persian *gurg* and *gurgān* stemming from the Ancient Iranian and Middle Persian designations (*vrkān, waručān*) – and the latter and their Greek variant (Ὑρκανία) coincide with the designations of the Ancient Eastern trans-Caspian province of Gurgan, preserved in oriental sourses.[1] The ethnonym of the Georgians in Old Armenian (*veria, virk*) stems from the same root.

The present study is largely based on the findings of Georgian linguistics, viz. (a) the possible interchange of the members of triads of homorganic stops (b-p-p.; g-k-ḳ) as well as labial and sonars (b-v; r-l) recognized in general phonetics (G. Akhvlediani), in accounting for interrelationship of different ethnonyms of the same people recorded

---

[1] G. Tsereteli, "Towards the Iranian Designation of Georgia": *The Foreign and Georgian Terminology Designating Georgia and Georgians*. Tb. 1993 (in Georgian).

in various periods or sources; (b) individual cases of correspondence of suffixes forming geographical names in Georgian and Armenian (A. Shanidze), on the one hand, and in Georgian and Zan (Th. Gamkrelidze, G. Machavariani), on the other; (c) the establishment of the peculiarities of the structure and variational changes of some stems in Indo-European languages (Th. Gamkrelidze, V. Ivanov).

In my opinion, foreign and self-designations of the Georgians are linked to the totemic name of the wolf stemming from the ancient Indiac *vŕ.kah*.

Let us begin from the name *Iberia*, spread not only in the Mediterranean but also in Western Europe:

a) As hypothesized by Marr, and later by Deeters, the *i* in *Iberia* is a formant, and *ber* is the root[1]. This is confirmed by the fact that ethnonyms formed from the root *ber* are attested as the ancient designation of the Georgians: *ber* is the name of the ancient habitat of the Georgians in Kakheti ("Ber was the name of the place first built in Kakheti" – Leonti Mroveli); according to classical sources (Hippolytus of Rome), *ber-anoi* was the name of a tribe living next to Iberians (near to the current territory of Georgia); the root *ber* is preserved in the name of a Kartvelian tribe, *Speri*, referred to as *Sasperes* in classical sources (Herodotus, Xenophon, Apollonius Rhodius, Strabo); the ancient Armenian designations of Kartli, *Veria, Virk*, are derived from the *ber/ver* root.

b) The root *ɣel* is reconstructed as the initial one designating the wolf in the family of Indo-European languages. The suffixes *k[h]o* and *-p[h]* are added to it. The ancient Indian *vŕ.kah* is derived by adding the suffix *ɣl[ɣel]* root, forming the initial stem of a group of Georgian ethnonyms deriving from old Iranian. Not all the designations of the Georgians, deriving from this totemic name, seem to have been formed via the old Persian, as attested by the old Armenian *veria* and

[1] N. Marr, *Selected Works*, V, Leningrad 1935, p. 189 (in Russian); G. Deeters, *Der Name der Kaukasischen Iberer*, S. 85-86.

virk, these latter being directly linked to the *ɣel* root. The same structure seems to be apparent in the *kart* root.

The root *ber* found in the ethnonym *Iberia* must be a counterpart of the same *ɣel* root.

I believe that the self-designation of the Georgians – formed from the *Kart* stem (*Kartli, Kartveli*) – is related to the cycle of the above ethnonyms of the Georgians. I consider it a parallel linguistic form of the Ancient Iranian, Middle and New Persian designations of the land of the Georgians (*Vark-ān, Waruč-ān, Gurg-ān).*

The relation of the segment *kar* of the stem *Kart* to the above ethnonyms and to the Ancient Indic initial form (*vr. kān*) is accounted for by the established phonetic rules. The provenance of the final *t* of the *Kart* stem is to be explained. The possibility of explaining the stem *Kart* – which seems to me more probable – is the following. The final -*t* of this stem must be the remnant of the *-et* suffix of geographical names, or of the *–ta* suffix of genitival derivation (less acceptable), added to the *kar* root. The isolation of the root *kar* in the ethnonym *Kart* is supported by the following circumstances:

1) In the family of Indo-European languages the root *ɣel* is reconstructed as the initial root denoting "wolf", to which the suffixes *-k$^{(h)o}$–* and *-p$^{(h)}$–* are added[1].

The Anc. Ind. *vr. kah* is derived by adding the *-k$^{(h)o}$–* suffix to the *-ɣl (ɣel)* root. Now, *vŕ.kan* is the initial stem of the above-said group of ethnonym of Georgians, deriving from Ancient Iranian. If it is assumed that *kar* is the root in the *Kart* lexeme, it follows that, in place of the IE *-k$^{(h)o}$* suffix, the *kar* segment, regularly substitutive of the cited IE root (*vr.*), adds the most archaic Georgian suffix *-et*, forming geographical names from ethnic ones (*Her-et-i, Ovs-et-i, Kakh-et-i...*). Alternatively, which is not ruled out, it may add the *ta* suffix of geographical names of genitival derivation (*Gogolaur-ta, Chkikv-ta, Gurian-ta*), subsequent contraction of the ethnonym *Kart* should be

[1] Th. Gamkrelidze, V. Ivanov, Indo-European and the Indo-Europeans. Tb. 1984, v. II, p. 492 (in Russian).

assumed to have taken place independently of the Anc. Iranian *vrk* stem rather than in the series of transitory ethnonyms from Anc. Iranian to New Persian (*vrkān, waručān, gurgān*).

2) The Old Armenian name of Kartli, *Vir-k*, appears to be similar in construction as the ethnonym *Kar-et*. In it *vir* is the root deriving from the above cited IE *vr.* complex, while *k* must be a plural-forming suffix. It has been noted that the suffix *-et*, forming Georgian geographical names, has its corresponding *k* of plurality, in Armenian[1].

3) The existence of place names derived from the *kar* root is attested on the territory of Kartli (*Kar-eli*), which is suggestive of the identification of a root and suffix in the *Kart* stem. It is significant that near *Kareli* there is a village of *Variani* pointing to the origin of the Georgians' designations from the *vr.* root.

4) Two more Georgian self-designations, viz. *E-gur-i // E-ger-i* (= *Egrisi*) and *Gur-ia*, seem to be related to the totemic name of wolf – either to the form (*ger-i*), attested in Kartvelian languages, or to the IE *gurg* stem. In the latter case, the final-consonant of the suffix is clipped.

The ethnonym **Karet-i* yields the stem *Kart* through the contraction of the vowel *e*, caused by the addition to it of the suffix of provenance *-el* and of the suffixes *–ev* or *av* of geographical names. It has been hypothesized [2] that *Kartveli* and *Kartli* were derived independently from the *Kart* stem: **Kart-ev-el-i // *Kart-av-el-i > Kartveli. *Kart-el-i > Kartli.*

The latter hypothesis is supported by the Megrelian and Laz *Kortu*: *Kort* is a regular correspondence of Georg. *Kart*, and as has been observed[3], the Zan. *–u* is a transformation of the Georg. *-el* suffix.

---

[1] A. Shanidze, Fundamentals of Georgian Grammer, Tb. 1953, p. 140 (in Georgian).

[2] G. Burchuladze, "About the ethnonym *Kartvel*": *Proceedings of the 3rd International Symposium on Kartvelian Studies.* Tb. 1999, p. 128 (in Georgian).

[3] Th. Gamkrelidze, G. Machavariani, The System of Sonants and Ablant in Kartvelian Languages. Tb. 1965, p. 89-93 (in Georgian).

The etymology of the Ancient Iranian *vrkan* and its corresponding Middle Persian, Parthian, and New Persian geographical names *waručān, wiršān, gurgān* – deriving from it – is clear. *Varkān*, deriving from the Ancient Indic *vŕ.kah* - "wolf", denotes "the land of wolves". Among ancient peoples the wolf, as a totemic animal, gave rise to ethnonyms.

According to the ancient religious and mythological notions of the Georgians, the wolf was a totem – a mythical ancestor and patron of the tribe, which is attested by the extant historical sources, the ancient traditions of the Georgian tribes and by surviving specimen of ritual-graphic art[1].

The second part of the book ("The Great Cappadocian Saint Fathers") combines the articles: concerning the origin of the great Cappadocian Holy Fathers; The origin of Great Basil; The origin of the Cappadocians and methodological notes; Georgian versions of Basil the Great's *Asceticon* and their significance for the establishmet of the original Greek redaction; Basil the Great's doctrine of Love and his *Ascetic Rules.*

On the basis of primary sources of 4th-century Byzantine Literature, a hypothesis is advanced to the effect that Basil the Great (Cappadocian), a celebrated representative of Byzantine literature, was descended from a people of Georgian population inhabiting the Black Sea littoral. This hypothesis rests on the following arguments: 1. Basil and all his kin lived in the area of Eastern Pontus populated mainly by Georgian tribes. 2. Apart from Georgian peoples, the area in question was also inhabited by Greeks and Armenians. However, according to primary sources Basil was neither a Greek nor an Armenian and his father's family was from old native population of this area. 3. Basil's biographers and contemporaries refer to him as a Cappadocian. In Byzantine historiography of the period Cappadocians are identified with Meskhians. In my opinion, irrespective of the reliability of

1 V. Bardavelidze, The Ancient Religious and Ritual Graphic Art of Georgian Tribes. Tb. 1957, pp. 37-53 (in Russian).

Byzantine sources, the fact that both Basil and Gregory of Nazianzus called themselves Cappadocians proves that they considered themselves Meskhians. 4. Gregory of Nazianzus (Theologus), Basil's closest friend and biographer, considers the view on the ancestors and relatives of Basil to be descended from the ancient Colchian Kingdom, the Kingdom of the Antic Greek mythology's King Aeëtes.

The spread of monastic life in Pontus, and in Asia Minor as a whole, is linked to the name of Basil the Great. Basil is known to have travelled across Egypt, Palestine, and Mesopotamia in order to study monastic life. On returning to Pontus, he founded a monastery, himself embarking on the life of an ascetic. He drew up a collection of rules or *Asceticon* for the monastery he had founded.

The *Asceticon* was a widely known book in the Middle Ages. At the turn of the fourth and fifth centuries, it was translated from the Greek into Latin. In the fifth century the *Asceticon* was translated into Syriac. Subsequently, the *Asceticon* was translated into Coptic, Arabic, Georgian, Armenian, and Slavic. Over 150 manuscripts of the collection have survived, their redactions differing in composition.

The bulk of the extant manuscripts of the *Asceticon* are in Greek, while about 60 are known in Latin. There are also manuscripts in Syriac, Arabic, Georgian, Armenian, and Slavic.

Basil's principal work in which his ascetic doctrine is fully represented in his *Ascetic Rules.* Written in the form of questions and answers, the Rules comprise two parts written as independent works. The first part is called *Rules set forth at Length in Questions and Answers,* and the second: *Rules Set forth Briefly in Questions and Answers.* They are called *Longer Rules and Shorter Rules.* However, Basil's *Asceticon* also includes other works, namely, *Moral Rules, Monastic Constitutions,* speech *On Baptism* and many others.

In Byzantine Studies, according to their text, as well as to the composition of the *Asceticon,* the manuscripts are classed into several principal recensions, viz. V-Vulgate, S-Studite, N-Nilus, O-Oriental, M-Misogynic, B-Barberini, H'-Armenian, G-Georgian, K-Arabic, Rl-

Shorter Latin, Rs-Shorter Syriac, A'-medieval Latin. There also are Coptic and Slavic versions.

I have identified four redactions of Basil's *Asceticon* in Georgian manuscripts: Kutaisi MS-61, Tbilisi MS A-63, Tbilisi MSS A-689 and A-132, Sinai MS-35.

Three oldest redactions of Basil's *Asceticon* have been reconstructed in Byzantine studies, tentatively designated X, Y, and V (see Gribomont, J., *Historie du texte des Ascétiques de S.Basile*, Louvain, 1953). And amongst them X is considered to be the oldest reconstructed redaction.

The tentatively original redaction X of Basil's *Asceticon* is reconstructed on the basis of the following four recensions: G, Rl, Rs, and B. Although the Latin and Syriac manuscripts, dating from the sixth and seventh centuries, the later redaction – X is based chiefly not on recensions Rl and Rs but on the oldest Georgian translation – recension G, preserved in 10th century Georgian manuscript Sinai – 35.

The next part of the book, "Unknown old Georgian manuscripts in foreign libraries" begins with the subchapter "The Unknown Georgian Manuscript of John Chrysostom's *Liturgiae* in the Iviron Library".

The Iviron monastery on Mount Athos houses the Georgian library created in the 10th c. by the Georgian monks, founders of the monastery. The library today boasts up to 90 large collections. Work on the scholarly description and catalogization of the collection of the Georgian Mss commenced in the 18th c. The activity was completed by Robert Blake in 1932. Identification and study of unknown Georgian manuscripts or their fragments from Athos continues today.

At the end of 1998, while visiting Mount Athos, in the Iviron Library I saw up to a dozen Georgian Mss or books and several dozens of loose leaves (fragments from old Mss), unknown to all the researchers of the Georgian Mss. Most of the them are of a later date

and of diverse character: theological (e.g. Psalms selected for prayers), secular (e.g. Vakhushti Bagrationi's *History of Georgia*).

In this collection of hitherto unknown Mss my attention was drawn by an old *Kondakion*, which proved to be John Chrysostom's *Liturgiae*. The writing is on parchment in *nuskhuri*. The hand may be assumed to be near to the 11th c.

The Georgian text of John Chrysostom's *Liturgiae*, with a Latin translation, was published by M. Tarchnishvili. The publisher used a Georgian Ms of this work, preserved at the Library of the University of Graz. John Chrysostom's *Liturgiae* seems to have been translated into Georgian at a fairy early date. It is seem from St. Euthymius the Athonite's writings that the Georgian monks at Iviron used John Chrysostom's Liturgy. However, the hitherto known Georgian Mss were not being considered earlier than the 12th -13th c. Hence John Chrysostom's Liturgiae, newly discovered in the Library of Iviron, is unique.

The next subchapter of the book is "Fragments of Eleventh-Century Georgian Manuscripts in the British Museum". In 1989 in the British Museum, I identified three Georgian leaves of Athonite origin, inserted in a 17th c. Greek Ms Harley 5623 (leaves: 254, 255, 256). A study of the text has shown that we are dealing with fragments of two unknown Georgian Mss: 1) Harley 5623, 254r-255v – a passage from the "Annual Gospel". The Ms dates from the 2nd half of the 11th century. 2) Harley 5623, 256r-v – a passage from the "Parakleiton". The Ms is assignable to the mid-11th century. This leaf is presumably an autograph of Giorgi the Hagiorite.

The next chapter of the book ("Thirteenth-Century Greek and Latin Translations of a Georgian Hagiographic Text") presents a fact unknown to Georgian Studies: A fragment of Georgian original hagiographic works translated into Latin in the Middle Ages. A passage of an 11th-century Georgian original hagiography, namely, from "The Life of Giorgi the Athonite" by Giorgi Mtsire, was metaphrased in Latin in the 13th century. The paper contains a

publication of the 13th-century Greek and Latin texts according to G. Hofmann's edition (Fontes Ambrosinni, XXVIII), with fragments of the respective Georgian text of "The Life of Giorgi the Athonite". Philological questions connected with the issue are also discussed.

The next chapter of the book („Early traces of Georgian intellectual activity on the Holy Land and the unknown 13th-century Syriac hymn on the catastrophe in Tbilisi") discusses Georgian-Syrian literary contacts in the Middle Ages and presents one unknown fact. XIII century unknown Syriac hymn on Tbilisi is published in the book. The hymn concerns the disasters of conquering and ruining Tbilisi in 1220-21. It is met only in one manuscript of XVI century (the University of Cambridge) and became available for the scholarly circles with the publication of Assyriologist Anthon Pritula and its English translation ("Caucasus during the Mongol Period", Wiesbaden 2012). The Syriac original, English translation by A. Pritula and Georgian translation by Tamar Pataridze is being published in the book.

The next chapter is entitled "Rui Gonzales de Clavijo – 15th century traveller and Georgians of Saatabago". This article publishes my translation of an excerpt from the Clavijo's Diary to Timur's court in Samarkand in 1403-1406. The excerpt describes Clavijo's journey to the territory of Saatabago, southern Georgia, on September 5 -17, 1405. Philological and historical questions connected with the excerpt are discussed.

The next part of the book is "Unknown Materials Preserved in Archives of Spain". The first subchapter of this part -"The Old Foliants Tell Us". Correspondence between the Georgian Royal Court and European monarchs became especially active at the end of the 15th century. The most frequent addressees of Georgian Kings were the Popes of Rome and Kings of Spain.

Spanish Royal archives have preserved numerous documents proving the above-mentioned relationship. Identification of these

documents started in 20th century. These documents became the field of my interest in 1984, when I was on a scientific leave in Spain.

In the Spanish archives I came across diverse material of great interest: unpublished and unstudied or wrongly identified documents. Their publication and analysis will develop new insight into certain facts from Georgian history.

One unpublished and unknown document preserved in The General Archive of Simancas is a letter written from Berlin to the Spanish Minister of Foreign Affairs. The letter concerns *The Treaty of Georgievsk* and expresses the earliest opinion in European diplomacy on this important fact in the Georgian-Russian relationships. In this subchapter the Georgian translation of the document is published with my comments.

The following subchapter is "The letter to Konstantine II Bagrationi by the Kings of Spain". At the beginning of the 19th century, Russian translation of the letter written by Georgian King Konstantine II to Spanish Queen Isabel was discovered in Polish archives. Initially it was thought that this letter had not reached Spain. Later it was supposed that the letter had reached the addressee (I. Javakhishvili, I. Tsintsadze).

In the 20th century, a Hungarian scholar L. Tardi briefly introduced the scientific circles to the reply of Spanish authorities to the Georgian king. I found a reply letter written to Georgian King Konstantine Bagrationi by the Spanish King Ferdinand and Queen Isabel (*Documentos solre relaciones internacionales de los Aeyes Catolicos.* Edicion preparada por Antonio De La Toree. Volumen V, 1495-1497. Barcelona, 1965).

I am publishing Georgian translation of this letter with my comments.

The last subchapter of this part of the book is "The Letters by Simon I , King of Georgia in Spain". Spanish Royal archives have preserved documents concerning correspondence between the Georgian Royal Court and the King of Spain. One letter from Kartlian

King Simon I to Spanish King Philip II, preserved in The General Archive of Simancas only in Spanish, in my opinion, presumably may have been written in Georgian. However, the European Armenist F. Macler considered that the letter was written in Armenian. The document is published in the original language (Spanish), appended with photocopies and Georgian translations with my comments and research.

The next chapter of the book – Speech of Alaverdi-Khan Undiladze at the Court of Shah Abbas I. In this scientific essay, I published a document unknown to Georgian orientalists - the speech of Alaverdi Khan Undiladze at the royal court of Shah-Abbas I, proposing the resumption of the Persian-Turkish war, delivered by him at the ending of 1599. This important historical source is preserved in the book of the English diplomat Antony Sherley on his travel to Persia (Sir Antony Sherley, *His Relation of His Travels into Persia*, London 1613). The Georgian translation is being published along with the original.

The next chapter of the book is entitled "Unknown historical source about the Georgian traces on the Persian Safavid court".This paper examines the information emerging in the English historical literature and primary sources concerning the origin of Shah Abbas' Georgian Christian wives, which has not yet been discussed in Georgian historical writing. Specifically, English diplomat and traveller Sir Anthony Sherley, at the end of the 16th century, and Sir Thomas Herbert, an English attaché to Persia in the early 17th century, note in their books published in the 17th century that Abbas married the daughters of King Simon of Kartli and King Alexander of Kakheti (on the edge of the sixteenth and seventeenth centuries). English historical writings and sources indicate that the English diplomat Sir Anthony Sherley and his colleagues were assisted by the Georgian Christian wives of the Shah at the end of the 16thcentury. This statement reinforces the view that the story of the MPS known to a group of the early 17th century English playwrights, and Shakespeare

himself, became known through the cooperation of prominent ethnic Georgians, promoted at the court of Abbas, with Sir Anthony Sherley.

The last chapter of the book is "An Unknown Form of Medieval Georgian Jurisprudence". In a noteworthy episode of *The Man in a Panther Skin,* the main characters decide to kill the innocent bride groom invited by the Royal court and this action is considered as a *True justice;* and *True justice* is regarded the highest form of justice: "To do true justice makes even a dry tree green." – (M. Wardrop's translation).

Based on the Medieval Georgian documents, *True Justice* indicates a peculiar form of jurisprudence which means to make a true judgment at a given, peculiar situation through the judge's personal decision by passing the law.

This kind of jurisprudence form is attested in *The New Testament* (*Dikaia Krisis*). In ancient Greek philosophy, mainly in Aristotle's *Ethics,* this form of justice is reviewed and named as *epieikeia* (In Latin *aequum bonum* – true justice).

True justice as a peculiar form of jurisprudence is attested in the tenth century Byzantine documents as well. The same kind form of justice is confirmed in English Medieval documents as *Justice of the peace*: some noblemen were allowed to practice justice at a peculiar situation through his personal decision.

მითითებული ლიტერატურა

1. **აბულაძე, ილ. (რედ),** *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* II, თბ. 1967.
2. **აბულაძე, იუსტ.,** „ტერმინ გურჯის ეტიმოლოგიისათვის“: *მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის* (აკად. ნ. მარისადმი მიძღვნილი კრებული). თბ. 1934.
3. **აბულაძე, ც.,** „საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბილისი 1993.
4. **ანტონიო დე ლა ტორე,** *დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ,* ტ. V. ბარსელონა 1965 (ესპანურ ენაზე).
5. **აპიანე,** *მითრიდატეს ომების ისტორია* (თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა). თბ. 1959.
6. **არჩილ II ბაგრატიონი,** „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“: *თხზულებათა სრული კრებული.* თბ. 1999.
7. **ახვლედიანი, გ.,** *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები,* თბ. 1949.
8. *ბალავარიანის ქართული რედაქციები* (ი. აბულაძის გამოცემა). თბ. 1957.
9. **ბასილი დიდი,** „დაწყებისათვს სოლომონის იგავთაჲსა“ (თ. ჭყონიას გამოც.): *ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი.* თბ. 1965.
10. **ბასილი კესარიელი,** *წერილები* (*Migne, PG., t. 32, 219-1110).*
11. **ბატონიშვილი ვახუშტი,** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბ. 1973.
12. **ბერიძე, თ., ... და აღმოცენდა თბილისი.** თბ. 1977.
13. **ბერძენიშვილი, ნ.,** *საქართველოს ისტორიის საკითხები,* VIII. თბ. 1990.
14. **ბროსე, მ.,** *საქართველოს ახალი ისტორია.* პარიზი (ფრანგულ ენაზე).

15. **ბურჭულაძე, გ.**, „კვლავ ქართველ ეთნონიმის თაობაზე“: *მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*. თბ. 1999.

16. **ბურჭულაძე, გ., შავხელიშვილი, ბ.**, „ქართლის, საქართველოს აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დაღესტნურ ენებში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.

17. **გაბაშვილი, ვ.**, „უნდილაანთ ფეოდალური სახლი XV-XVIII სს. ირანში“: *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, ტ. II. თბ. 1972.

18. **გაბაშვილი, ვ.**, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“: *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკ. 31. თბ. 1954.

19. **გაბაშვილი, ტ.**, *მიმოსლვა* (ელ. მეტრეველის გამოცემა). თბ. 1956.

20. **გამყრელიძე, თ., მაჭავარიანი, გ.**, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*. თბ. 1965.

21. *გეორგიკა*, I, (ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). თბ. 1961.

22. *გეორგიკა*, IV, (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა). თბ. 1952.

23. *გეორგიკა*, V (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ. 1963.

24. **გვანცელაძე, თ.**, „ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და აბაზურ ენებში“: *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.

25. **გვეტაძე, ჯ.**, „*გურია*-ს ეტიმოლოგიისათვის“: *საისტორიო კრებული*, VI. თბ. 1976.

26. **გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., ქავთარაძე, ი.**, *ქართული დიალექტოლოგია*, I. თბ. 1961.

27. **გიორგაძე, ბ.**, „შესავალი“: *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, XVII ს.* (ბ. გიორგაძის გამოცემა), თბ. 1977.

28. **გიორგაძე, გ.**, „ტოპონიმები არმაზის ერთენოვან არამეულ წარწერაში“: *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები*, I. თბ. 1991.

29. **გიორგი მერჩულე**, „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი“: *ჩვენი საუნჯე*, I. თბ. 1960.

30. **გიორგი მცირე**, „ცხორებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II. თბ. 1967.

31. **გოზალიშვილი, გ.**, *მითრიდატე პონტოელი*. თბ. 1962.
32. **გოზალიშვილი, გ.**, *ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან*. თბ. 1965.
33. **გორგიჯანიძე ფარსადან**, *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია*. (ს. კაკაბაძის გამოც.). თბ. 1926.
34. **გრიგოლ ნაზიანზელი**, *სიტყვა 43 (Migne, PG., t. 36, 493-606)*. (ბერძნულ ენაზე).
35. **გრიგოლ ნოსელი**, *მაკრინას ცხოვრება* (*Migne, PG., t. 46, 958-998*). (ბერძნულ ენაზე).
36. **გრიგოლ ნოსელი**, *სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე* (*Migne, PG., t. 46, 787-818*). (ბერძნულ ენაზე).
37. **გრიგოლ ნოსელი**, *ქალწულებისათვის და საღმრთოისა მოქალაქობისა* (გიორგი ზვიადაძის გამოცემა გამოკვლევებით, კომენტარებითა და ლექსიკონით), თბ. 2011.
38. **დავით გურამიშვილი**, *დავითიანი*. თბ. 1955.
39. *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან*, I. თბ. 1940.
40. **დონ პიეტრო ავიტაბილე**, *ცნობები საქართველოზე* (ბ. გიორგაძის თარგმანი). „მეცნიერება", თბ. 1977.
41. **ერისთავი, რ.**, „ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალწელიწადის დღეს": *მოთხრობები და სცენები*, ტ. III. 1937.
42. **ეფრემ ასური**, „სინანულისათვს, ჯუარისათვს და პარასკევისა და კვრიაკისათვს": *მამათა სწავლანი* (ი. აბულაძის გამოცემა). თბ. 1955.
43. **ეფრემ ასური**, „ცრემლთათვს": *საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში*, II (ი. იმნაიშვილის გამოცემა). თბ. 1966.
44. **ეფრემი (ან ფსევდო ეფრემი) სირიელი**, *სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე* (იხ. ძვ. ქართული თარგმანი, Q-662. ფრ. 242-244).
45. **ვათეიშვილი, ჯ.**, „ორი იბერიისა და მათ მემკვიდრეთა წარმავლობის შესახებ": *კომუნისტი*, 5, VIII. 1984 წ.
46. **ვაშაკიძე, ვ.**, „ტერმინები იბერია და იბერები ანტიკურ წყაროებში": *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
47. **თამარაშვილი, მ.**, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. ტფ. 1902.

48. **თედეევა, ო.**, „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ოსურში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
49. **თეიმურაზ II**, *თხზულებათა სრული კრებული* (გ. ჯაკობიას გა-მოც.). თბ. 1939.
50. **თოფურია, ვ.**, „ხმოვანთავსართული სახელები“: *შრომები*, III. თბ. 1979.
51. *თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივის საქმე* № 22135.
52. **ითონიშვილი, ვ.**, *ხევის ტოპონიმიკა*. თბ. 1971.
53. **იმნაიშვილი, ი.**, *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*. თბ. 1949.
54. **იმნაიშვილი, ვ.**, *უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში*, თბ. 2004.
55. **ინგოროყვა, პ.**, *ძველი ქართული სასულიერო პოეზია*. ტფ. 1913.
56. **იოანე ბაგრატიონი**, *აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* (ზურაბ კაცელაშვილის გამო-ცემა). თბ. 1997.
57. „იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება“ (ი. იმნაიშვილის გა-მოც.): *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*. თბ. 1961.
58. *ისტორიანი, აკადემიკოს როინ მეტრეველისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019.
59. *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა*, წიგნი I (შ. ბურჯანაძის გამოც.), თბ. 1959.
60. **კაკაბაძე, ს.**, „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკი-თხები“: *საისტორიო მოამბე*, წ. I. ტფ. 1924.
61. **კაკაბაძე, ს.**, *წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ის-ტორიაში*. თბ. 1912.
62. **კარბელაშვილი, პ.**, *ქართული საერო და სასულიერო კილოები*. 1898.
63. **კახაძე, ო.**, „ტერმინი ეგრისი“: *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
64. **კეკელიძე, კ.**, *თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ*. ტფ. 1920.
65. **კეკელიძე, კ.**, „*უძველესი რედაქცია ქრისტინეს მარტვილობისა*“: *ეტიუდები*, III. თბ. 1955.

66. კეკელიძე, კ., „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“: *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV. თბ. 1957.
67. კეკელიძე, კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I. თბ. 1960.
68. კეკელიძე, კ., „ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში“: *ეტიუდები*, I. თბ. 1956.
69. კეკელიძე, კ., „IV საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე“: *ეტიუდები*, VI. თბ. 1960.
70. კენჭოშვილი, ნ., „ტერმინ საქართველოს გაგებისათვის ინდოეთში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
71. კვირკველია, თ., *ძველთბილისური დასახლებანი*. თბ. 1985.
72. კიკნაძე, ვ., „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“: *მნათობი*, №9. თბ. 1982.
73. კილანავა, ბ., „ვინა ვართ ჩვენ?“: *ჟურ. რიწა*, №1. 1985.
74. *კომუნისტი*, #99 (1924), 28.04.1985.
75. კუტალია, გ., „XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ“: *მაცნე* (ისტორიის სერია), №2, 1981.
76. ლომთათიძე, ქ., *კომპლექსთაგან მომდინარე ხშულები ქართველურ ენებში*, თბ. 1984.
77. ლორთქიფანიძე, მ., *აფხაზები და აფხაზეთი*. თბ. 1990.
78. მაედა, ჰ., „ახალი ინფორმაცია ალავერდი ხანის შესახებ აფდალ ალ-თავარახის მესამე ტომიდან“: *ვალერიან გაბაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბ. 2001.
79. მაედა, ჰ., *ქართველები სეფიანთა ირანში*. „არტანუჯი“, თბ. 2008.
80. მაკლერი, ფ., „შენიშვნა სომხურ ხელნაწერებზე“: *Revue des Études Arméniennes* , ტ. I, ნაწ. I და II (ფრანგ. ენაზე). 1920-21.
81. მამისთვალიშვილი, ე., *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნეში*. თბ. 1981.
82. მაჩხანელი, მ., *იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“*. თბ. 1982.
83. *მაცნე*, #2, 1969.

84. მელიქიშვილი, გ., *საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის.* თბ. 1965.
85. მენაბდე, ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II. თბ. 1980.
86. *მოამბე*, #3, 1962.
87. მუსხელიშვილი, დ., *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ტ. I. თბ. 1977.
88. მუსხელიშვილი, დ., „ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ. 1993.
89. ორბელიანი ალექსანდრე, *ჩემი სახლის წინაპარნი.* ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H2412α.
90. ორბელიანი ალექსანდრე, *ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან.* ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H2490.
91. „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა" (კ. კეკელიძის გამოცემა, მისივე შესავალი წერილი): *ლიტერატურული ძიებანი*, IV. თბ. 1948.
92. პავლიაშვილი, ქ., „ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე": *ქართული დიპლომატია*, 4. თბ. 1997.
93. პაიჭაძე, გ., „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ. 1993.
94. ჟორდანია, თ., *ქრონიკები*, II. ტფ. 1897.
95. ჟუჟუნაძე, ო., „XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის": *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, I. თბ. 1970.
96. *საისტორიო მოამბე*, V. თბ. 1950.
97. *საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში*, II (ი. იმნაიშვილის გამოცე-მა). თბ. 1966.
98. სანიკიძე, ლ., *პონტოს სამეფო.* თბ. 1956.
99. სარჯველაძე, ა., „კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ": *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1989, №3.
100. *საქართველოს ისტორია*, I. თბ. 1958.
101. *საქართველოს სიძველენი*, ტ. II. ტფ. 1909.

102. **სახოკია, თ.,** *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი,* ტ. II. თბ. 1954.

103. **სახოკია, თ.,** *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი,* ტ. III. თბ. 1955.

104. **სვანიძე, მ.,** *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები.* თბ. 1990.

105. *სვანური პოეზია, „დალი კლდეში მშობიარობს"* (შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა): თბ. 1939.

106. **სილაგაძე, ა., თოთაძე, ა.,** *გვარ-სახელები საქართველოში.* თბ. 1997.

107. **სილოგავა, ვ.,** *ათონის ქართული სიძველეებიდან.* ახალციხე 2000.

108. **სირაძე, რ.,** *წერილები.* თბ. 1980.

109. **სონღულაშვილი, ა.,** *ირანში ქართველთა ნაკვალევზე.* თბ. 2005.

110. **სტეფნაძე, ჯ.,** „წინასიტყვაობა და შენიშვნები": *ნასროლა ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება.* (სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა). თბ. 2003.

111. **სულხან-საბა ორბელიანი,** *თხზულებანი,* II 1 (ა. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით). თბ. 1962.

112. **სურგულაძე, ი.,** „ტახტის მემკვიდრეობის საკითხი *ვეფხისტყაოსნის* მიხედვით": *თსუ საიუბილეო კრებული შოთა რუსთველს.* თბ. 1966.

113. *სუფსა-ნატანების ხეობები.* თბ. 1993.

114. **ტაბატაძე, კ.,** „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XI ს.ს. სპარსული წყაროების მიხედვით": *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ. 1994.

115. **ტაბაღუა, ი.,** *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში.* თბ. 1983.

116. **ტაბაღუა, ი.,** *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში,* III. „მეცნიერება", თბ. 1987.

117. **ტარდი, ლ.,** „საქართველოს მეფე სიმონ I მისი დროინდელი ცენტრალური ევროპის წყაროების შუქზე": *რევიუ დე კართველოლოჟი,* ტ. XXXI. 1973; ტ. XXXII. 1974 (ფრანგ. ენაზე).

118. **ტარდი, ლ.,** *უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში.* თბ. 1980.

119. **ურუშაძე, ა.,** *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში.* თბ. 1964.

120. **ფათემი, მ.** *სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ.* თბ. 1982.

121. **ფალსაფი, ნ.,** *შაჰ-აბას პირველის ცხოვრება* (სპარსულიდან თარგმანი ლ. ჟორჟოლიანისა). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2003.

122. **ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ.,** *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი,* თბ. 1990.

123. **ფერაძე, გრ.,** *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრის შესახებ.* თბ. 1995.

124. *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები* (მ. შანიძის გამოცემა). თბ. 1960.

125. *ფრონეების ხეობის ტოპონიმია.* თბ. 1988.

126. **ფსევდო ამფილოქე იკონიელი,** *ბასილის ცხოვრება* (იხ. ძველი ქართული თარგმანი, A-1103, ფრ. 119-131).

127. *ქართველოლოგი,* #18, 2012.

128. *ქართველოლოგი,* #19, 2013.

129. *ქართლის ცხოვრება,* ტ. I. თბ. 1955.

130. *ქართლის ცხოვრება,* ტ. IV (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.). თბ. 1973.

131. *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი* (ილ. აბულაძის თარგმანი და გამოცემა), თბ. 1953.

132. *ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი,* კრებ. I. თსუ გამომცემლობა, თბ. 2001.

133. *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ. I (ი. დოლიძის გამოცემა). თბ. 1963.

134. *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ. II (ი. დოლიძის გამოცემა). თბ. 1965.

135. *ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ* (შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ. ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით). თბ. 2018.

136. **ღლონტი, ალ.,** *მცხეთის ტოპონიმია.* თბ. 1975.

137. **ღლონტი, ალ.,** *ქართველური საკუთარი სახელები.* თბ. 1986.

138. **ყაუხჩიშვილი, თ., „იოსებ ფლავიუსი": ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.** თბ. 1983.

139. **შანიძე, ა.**, „ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი“: *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, №23. თბ. 1980.
140. **შანიძე, ა.**, *ქართული გრამატიკის საფუძვლები*. თბ. 1953.
141. **შანიძე, ა.**, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*. თბ. 1971.
142. **შანიძე, ა.**, *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბ. 1976.
143. *შარდენის მოგზაურობა* (ფრანგულიდან თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარი მზია მგალობლიშვილისა). თბ. 1975.
144. *შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები*, ტ. II (იუსტ. აბულაძის, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით). თბ. 1934.
145. **შენგელია, ვ., ჯანაშია, რ.**, „ქართველის სახელწოდებისათვის ჩერქეზულ და უბიხურ ენებში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
146. **ჩიქობავა, ა.**, *სახელის ფუძის აგებულება ქართველურ ენებში*, თბ. 1942
147. **ჩიქობავა, არნ., ცერცვაძე, ილ.**, *ხუნძური ენა*. თბ. 1962.
148. **ჩხეიძე, თ.**, „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
149. **ჩხეიძე სეხნია**, *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა* (დ. ჩუბინაშვილის გამოც.). სანკტ პეტერბურგი 1854.
150. **ცაგარეიშვილი, ე.**, „ქართველისა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
151. **ცინცაძე, ი.**, *მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის*. თბ. 1966.
152. *ცისკარი*, #3, 1986.
153. *ცისკარი*, #6, 1986.
154. *ძველი ქართველი მეხოტბენი*, წიგნი პირველი (ი. ლოლაშვილის გამოცემა). თბ. 1964.
155. **ძიძიგური, შ.**, *ბასკურ-კავკასიური პრობლემა*. თბ. 1981.

156. **წერეთელი, გ.**, „საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
157. **წერეთელი, კ.**, „ქართველისა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები არაბულსა და ებრაულში“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ. 1993.
158. ხელნაწერი A-1 (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).
159. ხელნაწერი A-16.
160. ხელნაწერი A-55.
161. ხელნაწერი A -109.
162. ხელნაწერი A-132.
163. ხელნაწერი A-142.
164. ხელნაწერი A-689.
165. ხელნაწერი A-1103.
166. ხელნაწერი H–760.
167. ხელნაწერი H-1760.
168. ხელნაწერი Q-662 .
169. **ხილ ფერნანდესი, ლ., ტაბაღუა, ი.**, *დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში*. მადრიდი 1993.
170. **ხინთიბიძე, ე.**, „ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ“: *ცისკარი*, №3, თბ. 1986.
171. **ხინთიბიძე, ე.**, „ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის თაობაზე“: *ცისკარი*, N6, თბ. 1986.
172. **ხინთიბიძე, ე.**, „ბასილი დიდის სადაურობისათვის“: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*, 1962, #3.
173. **ხინთიბიძე, ე.**, „ბასილი კაბადოკიელის *სამოღვაწეო წიგნის* ქართული რედაქციები“. თბ. 1968.
174. **ხინთიბიძე, ე.**, „ბასილი კესარიელის *სამოღვაწეო წიგნის* ქართული რედაქციები“:*ლიტერატურული ძიებანი*, XIV, 1963.
175. **ხინთიბიძე, ე.**, *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. გამომცემლობა „ქართველოლოგი“, თბ. 2009.
176. **ხინთიბიძე, ე.**, *ვეფხისტყაოსანი შექსპირისა და მისი თანამედ-*

როვეების ინგლისურ დრამატურგიაში. თბ. 2016.

177. **ხინთიბიძე, ე.,** „იოანე ოქროპირის ჟამისწირვის უცნობი ქართული ხელნაწერი ივირონში“: *მასალები ფილოლოგიის ფაკულტეტის და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესიისა.* თბ. 1999

178. **ხინთიბიძე, ე.,** „მეთერთმეტე საუკუნის უცნობ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმში“: *საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები.* თბ. 1998.

179. **ხინთიბიძე, ე.,** *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის.* თსუ გამომცემლობა, თბ. 1982.

180. **ჯავახიშვილი, ი.,** *ქართველი ერის ისტორია,* ტ. I. თბ. 1961.

181. **ჯავახიშვილი, ი.,** *ქართველი ერის ისტორია,* ტ. III. თბ. 1966.

182. **ჯავახიშვილი, ი.,** *ქართველი ერის ისტორია,* ტ. IV . თბ. 1967.

183. **ჯავახიშვილი, ი.,** „ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები – სამშობლო და უძველესი ბინადრობა“: *ქართველი ერის ისტორია,* I, თბ. 1961 (პირველად გამოქვეყნდა *ქართველი ერის ისტორიის* მეორე გამოცემაში, 1913).

184. **ჯამბურია, გ.,** „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში“: *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად), ტ. III.* თბ. 2012.

185. **ჯანაშია, ს.,** „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“: *ენიმკის მოამბე,* ტ. I. თბ. 1937.

186. **ჯანაშია, ს.,** „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ“: *შრომები,* II. თბ. 1952.

187. **ჯაფარიძე, გ.,** „ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები“: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ. 1993.

188. *ჯვარი ვაზისა,* N1, 1990.

189. *ჯვარი ვაზისა,* N3, 1992.

190. **ჯიღაური, ნ.,** „მართლმსაჯულების თავისებური ფორმა მე-17 საუკუნის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში“: *ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში,* II. თბ. 2019.

191. **ჯუანშერი,** „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“: *ქართლის ცხოვრება,* I. თბ. 1955.

192. **ჰეროდოტე,** *ისტორია,* I. თბ. 1975.

193. ჰორნი, კ. ბ., „პეტრე იბერის იბერიის სამეფო ოჯახიდან წარმომავლობის ისტორიული დასაბუთების თაობაზე": ჟურ. *ქართველოლოგი*, №22. თბ. 2014.
194. **Allard, P.,** *St-Basile.* Paris 1899.
195. **Allen, W.E.D.,** *A History of the Georgian People.* London 1932.
196. **Altaner, Ber.,** *Patrologie.* 1958.
197. **Amand, D.,** "L'ascése monastique de saint Basile": *Essai historique.* Maredsous 1948.
198. *Analecta Bollandiana,* 1975, III.
199. **Aristotelis,** *Opera omnia,* vol. secundum. Parisis 1883.
200. **Babaie, S., Babayan, K., Baghdiantz-McCabe I., Farhad, M., Slaves of the Shah.** *New Elites of Safavid Iran.* London - New York 2004.
201. **Bailly, A.,** *Dictionannaire grec-francais.* Paris 1950.
202. **Bardenhewer, O.,** *Geschichte der altkirchlichen Literatur*; III. Freiburg, 1923.
203. ***Bedi Kartlisa.*** *Revue de Kartvélologie,* vol. XXXIV. Paris 1979
204. *Berlin ABC - Geschichte, Politik, Wirtschaft, Kultur.* Berlin-München 1969.
205. **Bielmeier, R.,** „Zum Namen der Kaukasischen Iberer": **Bibliotheca Nubica,** B. I. Nubia et Oriens Christianus, 1987.
206. **Bîjan,** [*Târîkh-e Rostam Khān*], British Library, MS. Add. 7655;
207. **Blake R.,** „Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la laure d'Iviron an Mount Athos": *Revue de l'Orient Chrétien,* XXVIII, №3-4, 1931-1932.
208. **Briggs (Major-General Briggs),** "A Short Account of the Sherley Family": *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland. Vol. 6, #1* (1841).
209. **Brosset, M.,** *Histoire de la Géorgie,* t. I, 1849.
210. **Bunbury, E. H.,** „Celtica": *D.G.R.G.,* I
211. *Caucasus during the Mongol Period.* Wiesbaden 2012.
212. **Curzon George N.,** *Persia and the Persian Question,* vol. 2. London 1892;
213. **Deeters, G.,** „Der Name der Kaukasischen Iberer": *MNHMHZ, XAPIN,* Wiesbaden-Wien, I, 1956.
214. *Dictionary of National Biography,* vol, 52. Djvu/132.
215. *Documentos sobre relaciones internacionales de los Reyes Catolicos.* Edicion preparada por Antonio De La Torre. Volumen V, 1495-1497. Barcelona 1965.

216. **Driessen, I. W.**, "Les Recuells manuscrits arméniens de S. Basile": *Le Muséon*, LXVI. 1953, 1-2.

217. **Duruy, V.**, *Histoire de la Grece ancienne*. 1874.

218. *Embajada a Tamorlán* (Estudio y edición de un Monuscrito del siglo XV por **Francisco López Estrada**). Madrid 1943.

219. *Enciclopedia Italiana, Di Scienze, Lettere ed Arti*, t. XVI, Roma 1950.

220. *Enciclopedia universal ilustrada, Europeo-Americana*, t. XXV. Barcelona 1924.

221. **Faẓlî Khûzânî al-Esfahânî**, *Afżal al-tavârîkh*. University of Cambridge, Ms Dd. 5.6.

222. **Foster, W.**, "Notes": *Tomas Herbert, Travels in Persia*. London, 2014.

223. **Ghani, C.**, *Shakespeare, Persia and the East*. "Mage Publishers", Washington 2008.

224. **Gouvea, A.**, *Relations des grandes guerres et victoires obtenues par le roi de Perse de Chah-Abbas contres les empereurs de Turquie Ahmet et Muhamet*. Tradiut de partougais. Roven 1646.

225. **Gribomont. J.**, *Histoire du texte des Ascétiques de S. Basile*. Louvain 1953.

226. **Guchteneere, P.**, *De Les "Constitutions ascétiques" attribuées a S. Basile*. Louvain 1954.

227. **Guy le Strange**, *Clavijo Embassy tu Tamerlan*. London 1928.

228. **Halkin, F.**, *Auctarium Bibliothecae Hagiographicae Graecae*. Bruxelles 1969.

229. **Hardie, W. F.R.**, *Aristotle's Ethical Theory*. Oxford 1968.

230. **Hayri Hayrioğlu**, „Demagogi uzmanlari": *Čveneburi, Kulturel dergi*, 1993, 1(8).

231. **Herbert, Thomas**, *A Description of the Persian Monarchy*. London 1634.

232. **Herbert, Thomas**, *Travels in Persia. 1627-1629*. (Abridged and Edited by Sir William Foster, C. I. E. with and Introduction and Notes). Broadway House, London 2014.

233. **Hofmann, G.**, S. I. "Texte zum Religionsgesprach von Kaiser Konstantin X Dukas": *Miscellanea Giovanni Galbiati*, v. III (Fontes Ambrosiani, XXVII). Milano 1951.

234. **Honigmann, E.**, et **Maricq, A.**, *Rescherches sur les Gestae Divi Saporis*. Bruxelles 1953.

235. **Jolâl al-Dîn Monajjem**, *Târîkh-e 'Abbasî*. Ed. Seyf-allâh Vaḥîdniyâ. Tehran 1987-88; British Library, MS Or. 6263.

236. **Khintibidze, E.,** "Fragments of Two Unknown 11th-century Georgian Manuscripts in a Greek Codex": *Orientalia Christiana Periodica*, v, 64, fasc. II. Roma 1998.

237. **Khintibidze, E.,** *Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature.* Bennet and Bloom, London 2011.

238. **Kiepert, H.,** *Atlas Antiques Asia citerior* (იხ. კეკელიძე, კ., „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა": *ლიტერატურული ძიებანი*, IV. თბ. 1948).

239. **Klein, E.,** *A Comprehensive Etymological Dictionary of the Hebrew Language for Readers of English.* Jerusalem 1987.

240. **König, E.,** "Eber": *The Jewish Encyclopedia*, vol. V. New York and London 1903.

241. **Kurz, E.,** "Das Typikon des heiligen Sabbas": *Byzantinischen Zeitschrift*, III,

242. **Lambros, S.,** *Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos*, I. Cambridge 1895.

243. **Lambros, S.P.,** *Catalogue of Greek manuscripts of Mount Athos*, v. II. Cambridge 1900.

244. **Latham, R.G.,** "Origin of the Word Britannia": *A Dictionary of Greek and Roman Geography.* Edited by William Smith. (D.G.R.G.), vol. I. London 1878.

245. **La *Vitaei* *Tempi di Rostam Khan*** (edizione e traduzione del ms. British Library Add. 7655). Ed. Giorgio Rota. Ph.D. Thesis. Istituto Universitario Orientale, Naples 1996;

246. **Lee, Sidney,** *Dictionary of National Biography*, volume 52. 1897.

247. **Lefort, L. Th.,** Les "Constitutions ascétiques de [S. Basile]": *Le Muséon*, LXIX, 1956, 5-10.

248. *Lexique de Géographie Ancienne,* par **Maurice Besnier**. Paris 1914.

249. **Liddel, H. G.** and **Scott, R.,** *A Greek-English Lexicon.* Oxford 1983.

250. **Long, G.,** „Gallia Transalpina": *D.G.R.G.*, I

251. **Macler, F.,** "Notices de Manuscrits Arméniens": *Revue des Études Arméniennes.* Tome I, Fascicule 1. T. 1, Fasc. 2 (Paris 1920-21).

252. **Maligre, C.,** *Histoires Tragiques de notre Temps, par sieur de S. Lazare Historiographe.* Paris 1635.

253. **Markham, C.,** *Narrative of the Embassy of ... Clavis of the Court of Timour.* London 1859.

254. **Marquart, J.,"** Beiträge zur Geschichte und Sage von Eran": *ZDMG*, 49, 1895.

255. **Marquart, J.,** *Eranschahr, nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci.* Berlin. 1901.

256. **Martini, A., – Bassi, D.,** *Catalogus codicum graecorum bibliothecae Ambrosianae*, I. Milano 1906.

257. **Meier, G. F.,** "Das Problem des Baskischen als Nationalsprache, Zeitschrift, für Phonetik": *Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung*, Heft 4. Band 29. Berlin 1976

258. **Minorsky, V.,** „Transcaucasica": *Journal Asiatique*, t.CCXVII, Juillet-Septembre, 1930.

259. **Mir Mohammad Sa'îd Mashîzî**, *Tarẕkere-ye Ṣafavîye-ye Kermân*. Ed. Moḥammad Ebrâhîm Bâstanî-Pârîzî, Tehran 1990-91.

260. **Morton, A.L.,** *A People's History of England*. London 1984.

261. *Novum Testamentum*. Berolini 1886.

262. **Olearius, A.,** *Relation du voyage de Moscovie, Tartarie, et de Perse... depuis l' An 1633 jusque en l'An 1639*. Paris 1661.

263. **Pape, W.,** *Griechisch-Deutsches Handwörterbuch*, Bd. I-II. Braunschweig 1908.

264. *Patrologia Graeca*, t. 32, 1857.

265. **Peeters, P.,** "Histories monastiques georgiennes": *Analecta Bollandiana, XXXVI-XXXVII*. 1917-1919.

266. **Perry, William**, *A New and Large Discourse of the Travels of Sir Anthonie Sherley, Knight by Sea and Overland to the Persian Empire*. London 1601.

267. **Peters, J. P.,** *Hebrew, The Jewish Encyclopedia*, vol. VI. New York and London 1904.

268. **Petit, L.,** *Bibliographie des acolouthies grescues*, par S. G. Bruxelles, 1926.

269. **Pietro Della Valle**, *Informazione della Giorgia datta alla Santita di nostro Signore Urbano VIII...*, Roma 1627.

270. **Pietro Della Valle**, *I vioggi di Pietro Della Valle, Lettre della Persia*, vol. I. Eds. F. Gaeta and L. Lockhart. Roma 1972.

271. **Pritula A.,** *"A Hymn on Tiflis from Warda Collection: A Transformation of the Muslim Conquerors into Pagans"*: Jürgen Tumach, Sophia Vashalomidze, Manfred Zimmer, Caucasus in the Mongol Period. Wiesbaden 2012.

272. **Pritula, A.,** „The Hymn on Tiflis from the Worda Collection": *The Kartvelologist*, №19. Tb. 2013.

273. *Προσκυνηταριον του... ιερου μοναστεριου των Ιβηρον*. Athenis 1857.

274. **Quétif, I., Échard, I.,** *Scriptores ordinis Praedicatorum*, I. Paris 1719.

275. **Raabe, R.,** *Petrus der Iberer*. Leipzig 1895.

276. *Relations de Don Juan de Persia dirigidas a la Magestad Chatolica de Don Philippe III, Rey de las Españos*. Valladolid 1604.

277. **Ross E. D.,** *Sir Antony Sherley and his Persian adventure.* London 1933.
278. **Rudberg, V.,** *Études sur la tradition manuscrite de saint Basile.* Uppsala 1953.
279. **Salia, K.,** "Bref apercu sur les rapports géorgiano-byzantins": *Revue de kartvélologie*, XXXIII. Paris 1975.
280. **Schmitz, L.,** „Germania": *D.G.R.G.*, v. I.
281. **Schmitz, L.,** " Franci": *D.G.R.G.*, v. I.
282. **Seibt, W.,** „Wo wann und zu welchem Zweck wurde das georgische Alphabet gerschaffen?": *Veröffente; chungen zur Byzanzforschung.* Band XXVIII, S. 89.
283. **Shirley, Evelyn Philip,** *The Sherley Brothers, an historical memoir of the lives of Sir Thomas Sherley, Sir Anthony Sherley, and Sir Robert Sherley, knights. By one of the same house.* (Chiswick: Press of C. Whittingham) 1848.
284. **Sir Antony Sherley,** *His Relation of His Travels into Persia* (Printed for Nathaniell Butter, and Ioseph Bagfet). London 1613.
285. **Smith, P.,** „Celtiberia": *D.G.R.G.*, I.
286. **Smith, W.,** *Graecia*: *D.G.R.G.*, v. I.
287. **Spengling, M.,** *Third Century Iran, Sapor and Kartir.* Chicago 1953.
288. *Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung*, Heft 4, Band 29. Berlin 1976.
289. **Surtees, Scott,** *William Shakespeare of Stratford-on-Avon. His Epitaph Unearthed, and the Author of the Plays Run to Ground.* London 1888.
290. **Tardy, L.,** "Le Roi Simon Ier éx la lumiére des sources d'Europe Centrale, contemporaines de son époque": *Revue de Kartvélologie*, vol. XXXI, 1973. (Paris).
291. **Tardy, L.,** "Le Roi Simon Ier éx la lumiére des sources d'Europe Centrale, contemporaines de son époque": *Revue de Kartvélologie*, vol. XXXII, 1974 (Paris).
292. *The Encyclopaedia Britannica*, Vol. 3, London 1959.
293. **Telfer, J. B.,** *The Crimea and Transcaucasia*, vol. II. London 1876.
294. *The Broadway Travelers.* (Edited by Sir E. Denison Ross and Eileen Power). Published by George Routledge and Sons LTD. London 1933.
295. *The Chronicle of the Carmelites and Papal mission in Persia XVII-XVIII centuries*, v. 1. London 1939.
296. *The Modern Part of a Universal history, from the Earliest Account of Time. (Compiled from Original Writers. By the Authors of the Antient Part). Vol. V.* London 1759.
297. **Toumanoff, C.,** *Studies in Christian Caucasian History.* Georgetown University Press, 1963.

298. **Valîqolî Shâmlû**, *Qeṣaṣ al-khâqanî. Ed. Ḥasan Sâdât-Nâṣerî*, vol. 1-2. Tehran 1992-96.

299. **Zdanevitch, E.**, „Ruy Gonzales de Clavijo en Georgie": *Actes du XIIe Congrès International d'Etudes Byzantines*, II. Beograd 1964.

300. **Амиранашвили, Ш.**, *История грузинского исскуства*. т. I, Мос. 1950.

301. *Афонский патерик или жизнеописания святых на святой Афонской горе просиявших* (издание четвертое), ч. I, С-П. 1876.

302. **Бакрадзе, Дм.**, Археолгическое путешествие по Гурии и Адчаре. С-П. 1878.

303. **Бардавелидзе, В.**, *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен*, Тб. 1957.

304. **Гамкрелидзе, Т., Иванов, В.**, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, т. II, Тб. 1984.

305. **Дворецкий, И.**, *Древнегреческо-русский словарь*. М. 1958.

306. **Иосселиани, П.**, *Различныя наименования грузинов*. Т. 1846.

307. **Кипшидзе, И.**, *Грамматика мингрельского (иверского) языка*. С.-Петербург 1914.

308. **Кекелидзе, К.**, *Иерусалимский канонарь VII века*. Тиф. 1912.

309. **Кекелидзе, К.**, *Литургические грузинские памятники*. 1908.

310. **Климов, Г. А.**, *Этимологический словарь картвельских языков*. М. 1964.

311. **Липшиц, Е.**, *Право и суд в Византии IV-VIII вв.* Ленинград 1976.

312. **Марр, Н.**, *Грамматика древнелитературного грузинского языка*. Л. 1925.

313. **Марр, Н.**, "Это и глоттогония восточной Европы": *Избранные работы*, т. V. Л. 1935.

314. **Марр, Н.**, „Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием": *Зап. Вост. Отд. и Рус. Арх. Общ.*, т. XVI.

315. **Марр, Н.**, *Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими*, СПБ. 1908.

316. **Марр, Н.**, "По поводу выставки копий фресок Али-Капу": *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვეთი VII. ტფილისი 1937.

317. **Меликишвили, Г.**, *g ЛТЪ УрЛй grВвМВИ ЙрЬББЛЛ*, Тб. *1959.*

318. **Меликсетбеков, Л.**, „Новый взгляд на происхождение названия *Иверия*": *Изв. Кавк. Отдела Рус. Географического Общества*, т. XXIV, №1. Тиф. 1916.

319. **Меликсетбеков, Л.,** *Родство грузин с испанцами по древним источникам.* Тиф. 1911;

320. **Меликсетбеков, Л.,** *Введение в историю государственных образований Юго-Кавказа.* Тиф. 1924.

321. **Мещанинов,** И., Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа": *Зап. Вост. Отд. Русск. Арх. Общ.,* т. XXVI.

322. **Миллер, А.,** "Изображения собаки в древностях Кавказа": *а Йда е д,* Ъ II, 1922.

323. *Новый завет и Псалтырь.* С.-П. 1911.

324. *Православная богословская энциклопедия,* III.

325. **Рюи Гонсалес де Клавихо,** *Дневник ко двору Тимура в Самарканде в 1403-1406 гг.* (Подлинный текст с переводом и примечаниями, составленными под редакцией И. И. Срезневского). Санкт Петербург 1881.

326. *Св. Василий Великий,* 1902.

327. *Солон, Перикл, Александр Великий.* Киев 1992.

328. *Творения Григория Богослова,* ч. IV, 1844.

329. *Труды высочайше утвержденного вольного общества российской литературы,* II, №5, 1823.

330. **Фаррар, Ф. В.,** *Жизнь и труды святых отцов и учителей церкви,* II, 1903.

331. "Филастр" (перевод Б. Томашевского): ***Франсис Бомонт, Джон Флетчер,*** *Пьесы,* перевод с английского, т. I. *Искусство,* Москва 1965.

332. **Хаханов, А.,** *Очерки по истории грузинской словесности,* т. I. М. 1895.

333. **Хаханов, А.,** *Очерки по истории грузинской словесности,* т. II. М. 1897.

334. **Хаханов, А.,** *Очерки по истории грузинской словесности,* т. III. М. 1901.

335. **Хаханов, А.,** *Разселение грузин по Малой Азий.* М. 1890.

336. **Цагарели, А. А.,** *Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I.* Санкт Петербург 1886.

337. *Энциклопедический словарь,* под ред. Андреевского, И. Е., т. IV. СПБ. 1891.

საძიებლები

პირთა სახელები[1]

ა

აბაშიძე, ზ. 262

აბელ პინკონი (Abel Pincon) 345

აბულაძე, ი. 15, 46, 122, 388, 396

აბულაძე, იუსტ., 9, 11, 32, 33, 406

აბულაძე, ც., 20

აგათია სქოლასტიკოსი 94, 122

ადარნასე კურაპალატი 400

ადრიანე (იმპერატორი) 105

ავალიშვილი, ზ. 333

ავიტაბილე დონ პიეტრო 329, 339, 368

აზარია (ათონელი ბერი) 202

ათანასე ალექსანდრიელი 75, 98

აიაკსი 93

აიეტი 94, 122

ალავერდი ხანი უნდილაძე 323-326, 328, 331-334, 337-345, 347-349, 355, 357, 358, 371, 377, 378

ალენი, დ. 333

ალესანდრე მაკედონელი 52

ალექსანდრე (იმერეთის მეფე, ბაგრატის ძე) 284

ალექსანდრე VI (პაპი) 275, 276, 281, 287, 289,

ალექსანდრე მეფე/ისკანდერ ხანი 258, 284, 295, 298, 305, 306, 313, 328, 362, 365, 369, 370, 372, 375, 376, 408

ალექსიძე, ა. 249

ალი-ყული-ბეგი 339

ალკმეონ 93, 126

ალფონსო პაეს დე სანტა მარია, 243

ამანდი, დ. 150

ამიანე მარცელინუსი 14

ამფილოქე იკონიელი 86, 90, 101,109, 130, 145

ანდერსონი, ანტონი 357

ანდუყაფარ ამილახვარი 338, 339, 369

ანტონიო დე ლა ტორე (Antonio De La Torre), 257, 278, 279, 293, 432

აპიანე 14, 23, 24, 55, 266

აპოლინარი ლაოდიკიელი 98

აპოლინარიუსი 81

აპოლინერი გიიომ 143

აპოლოდორე 23, 265

აპოლონიოს (აპოლონისი) როდოსელი 25, 49, 94, 122, 123

არიანე 105, 125,

არიანე ფლავიუსი, 16

არისტოტელე, 54, 340, 389-393, 395, 397, 413, 414, 416, 417, 421

არიუსი 84

არშაკ მეფე 8

[1] გამონაკლის შემთხვევებში პიროვნება საძიებელში შეტანილია არა გვარის, არამედ სახელის რიგით (უპირატესად ამ სახით პოპულარულნი, ან ჩვენთვის ნაკლებად ცნობილნი).

არჩილ I 259,
არჩილ II 329, 338
ახვლედიანი, გ. 40, 51, 56
Allard, P. 99, 112, 113, 114, 116
Allen, W. E. D. 52
Altaner, Ber. 99, 136
Amand, D. 150

ბ

ბაგრატ IV 192
ბაგრატ მეფე 284, 409
ბარდაველიძე, ვ. 58, 62
ბასილი (ქართლის კათალიკოზი) 406
ბასილ დიდი (კაპადოკიელი, კესარიელი) 14, 75-163, 177, 178, 266, 287, 395
ბასილი(ბასილ დიდის მამა) 76
ბაქრაძე, დ. 136
ბეჟან წერეთელი 408
ბეჟანი (სპარსელი მემატიანე) 329
ბერიძე, თ. 28
ბეფთან აღა 347
ბექა 402
ბილმაიერი, რ. 26
ბირეიკი (Byraike Myrza) 361
ბომონტი, ფრანსის 336, 337, 418, 419
ბონაკორსი (Bonaccorsi) 195-197, 199, 206
ბრავო, ანტონიო 251, 262
ბურჭულაძე, გ. 20, 37-39
Babaie, S. 324, 334, 340
Babayan, K. 324, 334,
Bagfet loseph 325
Baghdiantz-McCabe I. 324, 334
Bailly, A. 390
Bardenhewer, O. 96, 99
Bassi, D. 196
Besnier Maurice 14
Bielmeier, R. 10, 26, 49
Briggs (Major-General) 343, 359, 364
Brosset, M. 8
Bunbury, E. H. 55
Butter, Nathaniell 325
Бардавелидзе, В. 58, 61-63

გ

გაბაშვილი, ვ. 296, 301, 304, 307, 310, 324, 332-334, 338, 339, 341, 369, 372
გაბაშვილი, ტიმოთე 168, 415
გამყრელიძე, ალ. 14, 49, 111
გამყრელიძე, თ. 44, 69, 71
განგუტია, ელვირა 262
გარიტი, ჟ. 152
გარნიე (Mauriner Julien Garnier) 100, 150
გაშაჰ აბასი 305
გელასი კესარიელი 14,
გეტე, ფრ. 150
გვანცელაძე, თ. 19
გვეტაძე, ჯ. 56
გიგინეიშვილი, ი. 132
გიორგაძე, ბ. 329, 368
გიორგაძე, გ. 70
გიორგი VII 245
გიორგი VIII 269, 327
გიორგი ათონელი 14, 170, 178, 183-185, 190-207, 212, 267
გიორგი ვარაზვაჩე 200-204
გიორგი მერჩულე 400
გიორგი სააკაძე 338
გიორგი ჭყონდიდელი 174

გოვეა ანტონიო (Antonio Gouvea) 328, 329, 331, 332
გოზალიშვილი, გ. 75, 103, 141, 142
გომეს დე სალაზარი 243
გონსალესი, ლუის 7, 22, 243, 244, 247-251, 257, 278
გორგიჯანიძე, ფარსადან 329
გორდინა (Gordina) 364, 366, 373-375, 380
გრიბომონი, ჟ. (Gribomon, T. J.) 150, 151, 152, 155, 156
გრიგოლ IX 17
გრიგოლ ბაკურიანისძე 15, 73
გრიგოლ დიდი 14, 162, 266
გრიგოლ ნოსელი 75-77, 80-82, 85-88, 92, 93, 95, 101, 108, 118, 119, 125, 135, 136, 141
გრიგოლ საკვირველთმოქმედი 77
გრიგოლ სურამელი 405
გრიგოლ ხანძთელი 400
გრიგოლი (გრიგოლ ნაზიანზელის მამა) 82
გუი ლე სტრანგე (Guy le Strange) 248
გულიაშვილი, ს. 3
გურამიშვილი, გივი 405
გუჯეჯიანი, მ. 61

დ

დავით აღმაშენებელი 73
დავით ბოქაულთუხუცესი 407
დავით გურამიშვილი 396
დავრიუეცი, არაქელ 329, 331
დანტე 180
დაუდ ხანი 331, 338
დე არანდა 261
დე სენ-ლაზარი 342
დე სესა (პერცოგი) 299, 302
დეეტერსი, გ. (Decters, G.) 10, 51, 68, 424
დევერუქსი, რობერტ (Robert Devereux) 327, 346
დელა ვალე, პიეტრო (Pietro Della Valle) 328, 329, 333
დემოსთენე 76
დიონისე არეოპაგელი
დიონისე პერიეგეტე 14, 24, 266
დოლიძე, ი. 401-403, 405
დონ გილიენ 299, 302
დრაგაძე, თ. 180
დრიესენი, ი. (Driessen, I. W.) 150
Duruy, V. 52
Дворецкий, И. 389

ე

ევნომიუსი 78, 81, 99
ევსევი (ეპარხოზი) 135
ევსევი კესარიელი 24, 266
ევსტათი ანტიოქელი 88, 97, 128
ელენე (თეიმურაზ მეფის და) 338, 369
ელისაბედი|იზაბელა 18, 257, 272, 279, 283, 285, 286, 345, 346, 360
ემელია (ბასილ დიდის დედა) 77
ეპიფანე კვიპრელი 14
ერაკლი 260-262
ერეკლე II 259
ერემია სოზომენე 14
ერისთავი, რ. 133

ესტრადა, ფრანცისკო ლოპეზ 248, 250, 251
ეფთვთიმე ათონელი 84
ეფრემ ასური 100, 388, 396,
ეფრემ მცირე 84, 92, 94, 114, 116, 122, 123, 126, 134, 139, 153, 157, 164, 266
Échard, I. 196
Estrada Francisco López 22, 248

ვ

ვათეიშვილი, ჯ. 255
ვალენტი (იმპერატორი) 80, 98
ვალიყული შამლუ 329
ვარდა (ჰიმნოგრაფი) 217, 218
ვარდანაშვილი, ტურია 405
ვარონი 24
ვაშაკიძე, ვ. 23
ვახტანგ ბატონიშვილი 401
ვახტანგ გორგასალი 58, 106, 107
ვახუშტი ბატონიშვილი 8, 47, 172, 175, 284, 374,

ზ

ზაქარია 278, 279, 286-288
ზდანევიჩი, ი. (Zdanevitch, E.) 248-250
ზვიადაძე, გ. 82
ზოტენბერგი, ჰ. 214

თ

თამარაშვილი, მ. 174, 275, 276, 287, 288
თამარი (ანდუყაფარ ამილახორის და) 369
თარხნიშვილი, მ. 174, 176, 177
თედეევა, ო. 20
თეიმურაზ I
თეიმურაზ II
თემისტიოსი 14, 94, 122
თემურ ლენგი 22, 243
თეოდორიტე კვირელი 14, 88, 128, 129
თეოდოსი (იმპერატორი) 83
თეოდოტი (ეპისკოპოსი) 113, 114
თეოზევია 136
თეოლოგოსი 171, 172, 175, 176
თეოფილე ხუცესმონაზონი 266
თვალთვაძე, დ. 181
თინათინი (ლუარსაბ II-ის და) 373, 374
თობელი 10, 24, 30, 33 , 35, 129, 130
თოთაძე, ა. 63
თომა აკვინელი, 414
თოფურია, ვ. 132
თულაშვილი, ნოურუზ 339
Theodorites 98
Toumanoff, C. 8

ი

იეზეკიელი 129
იერონიმე 150
იესო 81, 84, 160, 162, 273, 274, 305, 306, 394, 395
ითონიშვილი, ვ. 43
ილარიონი (ათონელი ბერი) 169, 211
იმამ|იმან ყული (Imam|Iman Kuli) 364

იმამ-ყული ხანი 331, 332, 338, 339, 340, 342, 378,
იმნაიშვილი, ვ. 176, 177, 178
იმნაიშვილი, ი. 382, 394, 396, 398
ინგოროყვა, პ. 133
იოანე (საბაწმინდელი ბერი) 213
იოანე ათონელი 14, 267
იოანე გოლგოთელი 213, 214
იოანე დამასკელი 74, 135, 143, 211
იოანე იტალოსი 16
იოანე მალალა 143
იოანე მინჩხი 162
იოანე მოსხი 211
იოანე ოქროპირი 96, 167, 173, 174, 176-178
იოანე რუფუსი 216
იოანე სინელი 135, 162, 213
იოანე-თორნიკე 214
იოვანე მტბევარი 133, 134
იოდასაფი 397
იოსებ ფლავიუსი| იოსებ ფლაბიოსი 8, 14, 16, 23,88
იოსელიანი, პ. 11, 169, 172
იპოლიტე რომაელი 48, 68
ისმაილი (Ismael) 364, 366, 367, 380
ისქანდერ მუნში 329, 341
იუსტინიანე 399
იუსტინიანე კეისარი 111
Иванов, В. 33, 42, 45, 57
Иосселиани, П. 11

კ
კაკაბაძე, ს. 25, 35, 36, 46, 49, 329
კაჟდანი, ა. 214
კარანაძე, მ. 176
კარბელაშვილი, პ. 132, 134, 135, 136
კახაძე, ო. 46, 47
კეკელია, ვ. 176
კეკროპსი 93
კენჭოშვილი, ნ. 18, 20
კვირკველია, თ. 49
კიკნაძე, ვ. 18
კილანავა, ბ. 37
კირილ მანგო (C. Mango) 212
კირილე სკვითოპოლელი 211
კლავიხო, რუი გონსალეს 7, 22, 243-251, 257, 278
კლიმენტი VIII 258, 295, 328, 371
კლიმოვი, გ. 44
კოზმანი (ათონელი ბერი) 201
კონრადი, ჯოზეფ 143
კონსტანტინე (იმპერატორი) 193-196, 198, 206
კონსტანტინე II 18, 256, 257, 265, 269-291, 293, 295, 315, 327, 365, 377
კონსტანტინე პორფიროგენეტი 88, 129
კუტალია, გ. 18
Curzon George N. 325
Kiepert, H. 104
Klein, E. 28
Kurz, E. 215
Климов, Г. А. 17

ლ
ლევანი (კახეთის მეფე) 259, 313
ლელა (ლუარსაბ მეფის და) 369, 373
ლეონ გრამატიკოსი 88,130
ლეონტი მროველი 35, 36, 46, 48, 68

ლეფორი, ლ. (Lefort, L. Th.)151
ლიბანიოსი 97
ლოგგინოს 398
ლომთათიძე, ქ. 66
ლორთქიფანიძე, მ. 16
Lambros, S. P. 168, 200, 201
Latham, R. G. 52
Long, G. 55
Липшиц, Е. 399

მ

მაედა, ჰ. 333, 334, 338, 339, 370
მათუშაელ (მათუსალა) 35
მაკლერი, ფ. 258, 295, 296, 300, 301, 304, 305, 308, 309, 313, 321
მაკრინა (ბასილ დიდის და) 77, 81, 82, 89, 92, 101, 119, 136
მაკრინა (ბასილ დიდის დიდედა) 77, 102
მალეგრი კლოდ (Maligre Claude) 342
მამისთვალიშვილი ე. 249, 290, 303
მარანი (Prudent Maran) 100
მართა 364, 366, 374, 375, 380
მარი, იური (Марр, Ю.) 339, 340
მარი, ნ. (Марр, Н.) 9-11, 24, 25, 34, 38, 39, 47, 51, 55, 56, 64, 66, 68,
მარკვარტი, ი. 9, 10, 68
მარკჰამი, კლემენტს (Markham, C.) 248
მაჩხანელი, მ. 201
მგალობლიშვილი მ. 268
მეგასთენე 23
მელიქიშვილი, გ. 36, 38
მელიქსეთ-ბეგი, ლ. (Меликсетбеков, Л.) 9, 11
მენაბდე, ლ. 213
მეტრეველი, ე. 168, 397
მეტრეველი, როინ 357
მითრიდატე პონტოელი 103
მილოში, ოსკარ 143
მინორსკი, ვ. (Minorsky, V.) 10
მირ მუჰამედ საიდ მაშიზი 329
მიტროფანე (ზმვრნელი მიტროპოლიტი) 397
მიქაბერიძე ავ. 173
მიქელ მოდრეკილი 133, 134
მოსე 164, 394, 395, 402
მოსოხი (ოსოხი) 30, 88, 128, 129, 130, 145
მოჰამედ ხუდაბანდა 369, 372
მუსხელიშვილი, დ. 26, 37, 38
Macler, F. 295, 305, 321, 433
Maricq, A. 31
Marquart, J. 9
Martini, A. 196
Meier, G. F. 26
Morton, A. L. 23
Moses Xorenaci 9
Меликишвили, Г. 52, 56, 103

ნ

ნესტანი 379, 385, 386, 410-419
ნიკიფორე ირბაქი 267
ნიკოლაო დე ლა ტორე 300, 303
ნილოსი| კირ-ნილო 269, 276, 278, 279, 286- 291
ნოდია, მარიამ 349
ნოე 88, 128
ნონა (გრიგოლ ნაზიანზელის დედა) 82
ნონე აბასი (Nonnus Abbas) 122

ო
ოლეარიუსი ადამ (Adam Olearius) 328
ორბელიანი, ალექსანდრე 329
Oliver di-Can 326, 347

პ
პავლიაშვილი, ქ. 335, 371, 376
პაიჭაძე, გ. 17-20
პაპე (Pape, W.) 390
პატარაია, გურამ 173
პატარიძე, თამარ 219
პელოპსი 93
პერი, უილიამ (Perry William), 334, 345
პეტრე იბერი 147, 216, 217
პეტრე პატრიკი 193
პეტრე სებასტიელი 77
პეტრონიოს 398
პიობელმანის, ბ. 26
პლატონი 81, 169, 172, 340, 389
პლინიუს უფროსი 16, 24
პლინიუსი 104, 108, 266
პლოტინი 81
პლუტარქე 14
პოლოვიოს 123
პრიტულა, ა. (Pritula, A.) 218, 219, 431
პროკოპი მღვდელი 105, 107, 154
პტოლემეოსი 22
Pattie, T. S. 181, 182
Peters, J. P. 28
Petit S. G. Louis 201

ჟ
ჟოზე მარია დე ერედია 143
ჟორდანია, თ. 406
ჟორჟოლიანი, ლ. 333, 368
ჟუჟუნაძე, ო. 268, 290

რ
რაიტსლი, ჰენრი (Henry Wriothesley) 346
რომანოს მელოდოსი 74, 143
როსტომ მეფე 405
რუდოლფ II (გერმანიის იმპერატორი) 258, 295, 328
რუსთაველი 40, 73, 191 40, 159, 161, 162, 180, 329, 337, 342, 379, 386, 387, 410, 412- 414, 417, 419
რუსიეშვილი, მ. 3
რუფინუსი 14, 147
Raabe, R. 147
Ross, E. Denison 334, 345, 358
Rudberg, V. 150

ს
სააკაძე, როსტომ 339
საბა (საბაწმიდის დამაარსებელი) 211, 215, 216
საბელიუსი 84
საბინოსი 398
საიბტი, ვერნერ 215
სალაღაშვილი, შიო 407
სალია, კ. (Salia, K.) 151
სალომონი 260-262
სანიკიძე, ლ. 103
სანჩესი, მარია 262
სარჯველაძე, ა. 26, 27
სარჯველაძე, ზ. 37
სახოკია, თ. 62
სეითი 211
სეფი-ყული ხანი 331

სვანიძე, მ. 341
სილაგაძე, ა. 63
სილოგავა, ვ. 172, 173, 175, 176
სიმონ დე ლას კასა 260, 261
სიმონი/სიმონ ხანი 258, 288, 295-297, 299, 301-318, 320, 321, 327, 328, 335, 361, 362, 364, 366, 369-376, 378, 380
სირაძე, რ. 14
სოკრატე სქოლასტიკოსი 14, 24, 266
სოლომონ II 407
სოლომონ ბრძენი 162, 165, 273, 395
სონღულაშვილი, ა. 368, 369
სოტიროიდი პ. 168
სოფი (Sophir Mirza) 361, 364, 366, 380-382
სრეზნევსკი, ი. 248, 251
სტეფანე საბაწმინდელი 135
სტეფნაძე, ჯ. 368
სტრაბონი, 14, 22, 23, 25, 49, 55, 105, 107, 266
სულხან-საბა 397
სურგულაძე, ი. 386
Schmitz, L. 54, 55
Seibt, W. 216
Smith, W. 52, 54, 55
Socrates 98
Sozomene 98, 150
Spengling, M. 31
Surtees, Scott 361

ტ
ტაბატაძე, კ. 17, 19
ტაბაღუა, ი. 18
ტარდი ლ. 257, 277, 282, 285, 287, 296, 297, 302-304, 307, 309, 310
ტარიელი 379, 385, 410-414, 416, 417, 419
ტერენტიუსი 91, 114
ტოვარი, ანტონიო 262
ტომას ჰერბერტი (Thomas Herbert) 359, 363-368, 370, 372-378, 380
ტომაშევსკი, ბ. 420
ტოფი მირზა (Tophy Mirza) 364
Telfer, J. B. 18

უ
ულუ-დავითი 404
ურუშაძე, ა. 14, 122

ფ
ფაზალი ხუზანი 329, 331, 338
ფათემე სოლთანი 369, 374
ფათემი მორთეზა მეჰდი 369
ფალსაფი ნ. 332, 333, 335, 336, 368, 374
ფატიმა 367, 382-384
ფატმან სულთან ბეგუმი 369, 373
ფაშალიშვილი, თ. 123
ფახრიმჯან-ბეგუმ (სიმონ მეფის და) 369
ფებრონია 400
ფენრიხი, ჰ. 37
ფერაძე, გ. 18, 22
ფერდინანდი/ფერნანდესი (ესპანეთის მეფე) 257, 270, 278-286, 288, 289, 291

ფილიპე II 258, 288, 295, 297, 299-302, 308, 312, 314, 317, 318, 327
ფილიპე IV 267,306, 311, 314
ფილიპე მაკედონელი 54
ფლეტჩერი ჯონ 336, 337, 418, 419
ფლორიდაბლანკა 260, 261
Farhad, M. 324, 334
Foster, W. 366, 373
Фаррар, Ф. В. 96, 99, 102, 110, 111, 136

ქ
ქავთარაძე, გიორგი 408
ქავთარაძე, იონათამ 408
ქავთარაძე, ი. 132
ქაიხოსრო წერეთელი 408
ქართლოს 35, 36
ქსენოფონტე (ქსენოფონ, Xenophon) 25, 49, 94, 105, 123
Quétif, I. 196

ღ
ღლონტი, ალ. 40, 43

ყ
ყორჩი-ბაში (კურში ბაში) 342
ყოდაბუნდა სულთანი (Kodabunda Sultan) 364, 366, 380
ყიფშიძე, ი. 9, 10, 24, 46, 68
ყაუხჩიშვილი,ს. 8, 14, 15, 24, 47, 49, 51, 65, 111, 122, 127, 129, 130, 191

შ
შავხელიშვილი, ბ. 20
შათირიშვილი, ლ. 176
შამისო, ადალბერტ
შარდენი 268
შარვა (შალვა ახალციხელი) 218
შაჰ აბას I 301, 305, 330-341, 343, 344, 349, 358, 359, 366, 375, 376, 380
შაჰ-თამაზ ყულიბეგი (Xa-Tamas Coolibeague) 326, 362, 366, 370, 371, 377, 380
შენგელია, ვ. 19
შერლი ანტონი 324-328, 333-336, 343-351, 355, 357-363, 371-379
შერლი, რობერტ 334, 335, 346, 371, 377, 378
შექსპირი 324, 346, 361, 419, 420
შიაბეს 298, 301, 312
შირლი, ეველინ ფილიპ (Shirley Evelyn Philip) 363

ჩ
ჩაიშელაშვილი, ლაზარე 405
ჩიქობავა, არნ. 53
ჩუბინაშვილი, დ. 132, 329
ჩხეიძე, სეხნია 329
ჩხეიძე, თ. 31
ჩხიკვაძე, ნ. 176

ც
ცაგარეიშვილი, ე. 20
ცაგარელი, ა. (Цагарели, А.) 169, 172, 173, 177
ცერცვაძე, ილ. 53
ციმაკურიძე, ნ. 251
ცინცაძე, ი. 257, 270, 271, 275, 277, 281-284, 286, 287

წ
წერეთელი, გ. 11, 18, 19, 31-33, 40, 48,
წერეთელი, კ. 18, 19
წმინდა გიორგი 21, 131, 197
წმინდა ნინო 25

ჭ
ჭავჭავაძე ილია 132

ხ
ხაკანი 17
ხილ ფერნანდესი, ლ. 297, 313
ხინთიბიძე, ე. (Khintibidze, E.) 18, 75, 115, 123, 147, 151, 154, 155, 162, 170, 173, 176, 251, 324, 377
ხოდაბუნდა სულთანი 365, 367, 381
Хаханов, А. 103, 132, 202

ჯ
ჯავახაძე, ი. 3
ჯავახიშვილი, ივ. 9, 10, 24, 25, 34, 35, 68, 103, 257, 265, 269, 274, 275, 277, 278, 281, 283, 284, 286, 287, 292, 369, 405
ჯაკობია, გ. 406
ჯალალ ალ-დინ მონაჯემი 329
ჯამბურია, გ. 369
ჯანაშია, რ. 19
ჯანაშია, ს. 10, 11, 23-25, 49, 53, 68
ჯოვანი გალბიატი 194
ჯორჯ მანვარინგი (George Manwaring) 345
ჯუანშერი 58
ჯულფელი, იაკობ 302, 315
ჯღამაია, ლ. 181

ჰ
ჰალდენ ბეგი 347
ჰამზა მირზა 369, 370, 372, 373
ჰეკატიუსი 93
ჰენოხი 35
ჰენრიხ (ენრიკე) III (კასტილიის მეფე) 22, 243
ჰერაკლე 93
ჰეროდოტე 10, 25, 29, 49, 51, 53, 55, 389
ჰორნი, კორნელია 216
ჰოფმანი, გ. (Hofmann, G., S. I.), 194-197, 201
Halkin, F. 201
Hardie, W. F. R. 391
Hayri Hayrioğlu 21
Honigmann, E. 31

თხზულებანი

ათონური პატერიკი 202-205
ანდერძი (წმინდა საბას) 211, 215
არსების ხატი 134
არღონავსპტიკონი 94, 123
ასკეტიკონი (ასკეტიკა) 78, 147-158, 163
აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა 329
ბალავარიანი 73, 212, 395, 397
გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა 329
გალობანი სინანულისანი 73
გოლგოთის თვენი 213

დაბადება 82, 383
დიალოღონი 14, 266
დღიური (კლავიხოს ჩანაწერები) 7, 243-250
ევნომიუსის წინააღმდეგ 78, 81, 99
ეკლესიასტე 81
ეკლესიასტეს თარგმანება 397
ეპისტოლეები (ბასილი დიდისა) 79, 97, 149
ეპიტიმიები (ბასილ დიდისა) 149
ექვსთა დღეთა 79, 81, 135
ვარდას კოლექცია (Wardaönita) 218
ვარლაამ და იოასაფის ისტორია (რომანი) 16, 73, 181, 206, 213, 214
ვეფხისტყაოსანი 73, 161, 162, 324, 334, 336, 337, 342, 343, 357, 358, 377, 379, 385, 386, 410, 412, 415, 418, 419
ვრცელი წესები 148, 157
ზღაპრობანი დიდისა ბასილისა ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი 122, 134
თეოლოგიური ქადაგებანი (გრიგოლ ნაზიანზელისა) 84
იაკობის ჟამისწირვა|ლიტურგია 173, 174, 176-178
იბერიკე 23, 55
ილიადა 53
იოანეს სახარება 387, 393
იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება 14, 141, 202, 267
ისტორია (ჰეროდოტეს) 10, 53, 55
ისტორია გეორგიისა 172
კარმელიტთა ქრონიკა 371, 376
კაცისა შესაქმისათვის 81
კითხვა-მიგებანი 149, 154, 161
ლიტვის მეტრიკა|მეტრიკის წიგნი 257, 271, 281, 286
ლიტურგია|ჟამისწირვა (ბასილ დიდისა) 177
მაკრინას ცხოვრება, 82, 92, 101, 119
მეტეოროლოგიკა 54
მითრიდატეს ომების ისტორია 24
მიქელ საბაწმიდელის მარტვილობა 212
მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში
მოგზაურობა სპარსეთში (*Travels in Persia)* 268, 325, 344, 349, 359, 366, 368, 373, 380, 433
მოკლე წესები 148, 149, 154, 163
მორალური წესები 149
ნათლისღებისათვის (ბასილ დიდისა) 148
ნიკომაქეს ეთიკა 390
ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა 103, 104
პარაკლიტონი 170, 183, 184, 188, 190
პეტრე იბერის ცხოვრება 216
პეტრიწონის მონასტრის წესდება 15, 73
ჟამისწირვა (იოანე ოქროპირისა) 173, 174, 176, 177
რწმენის საუნჯე (Thesaurus dei) 195, 197, 199, 205, 227

საეკლესიო ისტორია (თეოდორიტე კვირიელისა) 88, 135
სამართლის კოდექსი (იუსტინიანეს) 401
სამონასტრო კონსტიტუციები 148, 153
სარწმუნოებისათვის (ბასილ დიდისა) 149
საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა 329
საწელიწდო სახარება 170, 183-185
სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე (გრიგოლ ნოსელისა) 101
სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე (ეფრემ ასურისა) 101
სიტყუა-ეპიტაფია დიდისა ბასილისათვის 84
სპარსეთის მონარქიის აღწერა (A Description of the Persian Monarchy) 365, 368
სული წმიდა 78, 98, 99
ტრაქტატი ახალგაზრდობისათვის 79, 99
ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია 329
ფსალმუნები 79, 81
ფსალმუნთა განმარტებანი 79, 99
ქალწულობისათვის 82
ქებათა ქება 81
ქრისტინეს მარტვილობა 131
ქრონიკა 49
ქრონოგრაფი – Chronographia (იოანე მალალას) 106, 143
ქრონოგრაფია – Χρονογραφία (ლეონ გრამატიკოსისა) 130
ღვთის მსაჯულებისათვის (ბასილ დიდისა) 149
შენ ხარ ვენახი 73
შესაქმე 79
ჩემი სახლის წინაპარნი 329
ცნობები საქართველოზე 329, 339, 368
ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან 329
ცრემლთათვს 329
ცხოვრება და მოღვაწეობა დიდი ტამერლანისა 247
ცხოვრებანი (ივირონის მაშენებელთა, ბერძნული)
ცხორებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ 200, 201
ძველი აღთქმა 162, 388, 393, 396, 415
წმინდა ბასილის ცხოვრება (ამფილოქე იკონიელისა) 86, 90
წმინდა საბას ცხოვრება 211
ჰექსემერონი 14, 266
De Thematibus (კონსტანტინე პორფიროგენეტის) 129
De viris illustribus 150
Summa Theologiae 414
Vida y haranas del gran Tamorlan 247
Ακολουθία τῶν ἁγιονρειτῶν πατέρων 201-205
Иерусалимский канонарь 12

ISBN 978-9941-9423-6-5

ელგუჯა ხინთიბიძე

წყაროთმცოდნეობითი ძიებანი

რეცენზენტები: დამანა მელიქიშვილი, დარეჯან თვალთვაძე

კომპიუტერული მომსახურება და კორექტირება:
გულიაშვილი სოფიო, მელიქიძე თამარი, ჯავახაძე ირინა

© ქართველოლოგი
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ილია ჭავჭავაძის გამზირი,
0179, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com:

© Kartvelologi
Fund for Kartvelian Studies,
13, Ilia Chavchavadze Ave.,
0179, Tbilisi, Georgia
Email: kartvcentre@hotmail.com

სტამბა „ლოგოსი“
13, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 0179, თბილისი